

ნაწერები
სერგეი მესხისა

ტომი პირველი

ავტორის სურათით და ავტოგრაფით

გამოცემა

ს. ფირცხალავასი.

ტფილისი
მსწრ.-მბეჭ. ა. ქუთათელაძ., ნიკ. ქ. 21 || Скоропеч. А. Кутателад. Ник. у. 21
1904

ნაწერები
სერგეი მესხისა

ნ 9999

ტომი პირველი

ავტორის სურათით და ავტოგრაფით

СССР მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия

გამოცემა ს. ფირცხალავასი. ტფილისი. 1903.

ბეჭდავს ტიპოგრაფია ალ. ალ. ბ. ბ. ... ... № 21.

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 20-го Апрѣля 1903 г.

სერგეი მესხი

[illegible]

[illegible]

[illegible]

სერგეი მესხის თხზულებანი იბეჭდება ორ წიგნათ. პირველ წიგნში მოთავსებულია ნაწერები 1869—1878 წ.წ., მეორეში დაბეჭდილი იქნება ნაწერები 1879—1883 წლებისა და წერილები სხვა-და-სხვა პირისადმი, საბიოგრაფიო მასალები და მოგონებანი ს. მესხის შესახებ.

ჩვენ ვბეჭდავთ მხოლოთ ს. მესხის ზრგიერთს ნაწერს. ყველაფერი, რაც განსვენებულს დაუწერია, არ მოთავსდებოდა 4—5 ტომში; თანაც ბევრს მის ნაწერს მეტათ დროებითი ან უბრალო ამბავის ხასიათი ჰქონდა და დღეს არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენს. ჩვენ ამოვკრიბეთ მარტო ისეთი ნაწერები, რომელნიც უფრო ახასიათებენ ავტორის ზნეობრივ პიროვნებას, გვიხატავენ გავლილი ცხოვრების სულის კვეთებას,

დღესაც ერთ არიან მოულებულნი საზოგადოებრივ ინტერესს.

ს. მესხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი პირველი პუბლიცისტი იყო ჩვენში, იყო მამა პოლიტიკური მწერლობისა, პროგრესიულ გზაზე იდგა და იბრძოდა მოწინავე აზრებისათვის. მასთან იყო ადამიანი იშვიათის ზნეობრივის სიფაქიზისა და პირადი ანგარიშს და არაზოგადოებრივ ინტერესს ერთხელაც არ გაუმრუდებია შისი კალამი.

მართალია დღეს ყველაფერში ვერ დავეთანხმებით ს. მესხს, მაგრამ მისი წაწერები არის ისტორია ჩვენის თვითცნობიერებისა და ვისაც ინტერესებს ეს თვითცნობიერება, მისთვის ს. მესხი საინტერესოა და სასარგებლოა.

1903 წ., 26 თებერვალი.



1869 წ.

მეუველეთ ამხანაგობა *)

ამბობენ, რომ ერთმა ძველებურმა მეფემ სიკვდილის წინ მოიხმო თურმე თავისი თორმეტი ვაჟი და უთხრა: „ხომ, ხედავთ შვილებო, ჩემ ხელში თორმეტს ლერწამის ჯოხსა, მე? მინდა, ამათი ცადატეხა. ვეცდები ჯერ, ყველა ერთად გადავტეხო ხედავთ?! რამდენსა ვსცდილობ, მაგრამ როცა თოკშეტმეტი ერთად ერიან, ვერც ერთი ვერ ბედავს ტეხვას. ახლა ვეცდები თითო-თითოთ გაცალკევებულს მოვეერიო და იქნებ ცალ-ცალკე მაინც დავტეხო ესენი.“ მაშ, ავიღებ ტელში ჯერ ერთსა. ხედავთ?! თუმც ძალიან ცოტა ძალა მოვიხმარე, მაგრამ მაინც გადატყდა; აბა მეორე — მეორეც გადატყდა. ესა-მეცა ბევ სხვებიც; გაცალკევებული ყველა დავტეხე და როცა ერთად იყვნენ, მაშინ კი ვერც ერთს ვერა დავაკ-ლე რა.“ — ალბამიძნებს საქმეც ესეთია, შვილებო: თუ ისი-

*) ეს ზღაპარი ვიგონებ, რომელიც ერთს ბერ ბერ ბერ ... ...

ნი თანხმობით იქნებიან ერთმანეთ შორის და მჭიდროდ მიეკავშირებიან ერთმანეთს, მაშინ, დამიჯერეთ, ვერაფერი მტერი იმათ ვერ ავნებს, და თუ ისინი გაცალკევდენ, მარტო თავის თავის სარგებლობისათვის დაიწყეს ზრუნვა და არ მოეხმარენ ერთმანეთსა, მაშინ კი უსათუოთ ყველას ცალცალკე დაეცემა მტერი და ყველას დაიმორჩილებს. ამას ისტორიაშიც კი ამოიკითხავდით: როცა რომელიმე ერი ერთგულად და ერთსულად დახდომია მტერსა, ყოველთვის გაუმარჯვნია ხოლმე და დაუცავს მამული. და როცა მათ შორის გაჩენილა უთანხმოება და შური, ყოველთვის ისინი დამარცხებულან და მამულის მტერს გაუმარჯვნია. ესაა, ჩემო საყვარელო შვილებო, ჩემი უკანასკნელი თხოვნა და დარიგება: იცხოვრეთ ძმურად, თანხმობით, ნუ იქონიებთ ერთმანეთ შორის შურსა და უკმაყოფილებას და მტერი, ხუთჯერ თქვენზე ძლიერიც რომ იყოს, ვერ მოგერევათ თქვენ“.

რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ბრძნული სიტყვები მუდამ გვახსოვდეს ჩვენ და ამ დარიგებისა თანახმად ვიქცეოდეთ! რა კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა და ძმური სიყვარული გვქონდეს! ბოლოს, რომ თვითეული ჩვენგანი არ ამბობდეს, რომ მე კარგად ვიყო და სხვებს მეხიც დაცემიათ, არ მენალვლებაო!.. ჩვენ არ გვესმის ის, რომ სხვისი სიკეთე — ჩვენი სიკეთეა, რომ თუ სხვებს უჭირსთ ცხოვრება, მაშინ ჩვენც გაგვიჭირდება და თუ სხვები, ჩვენი თანამემამულეები ალსავსე არიან სიკეთით, პატიოსნობით, კეთილდღეობით და სიმდიდრით, მაშინ ჩვენც კმაყოფილნი ვიქნებით ჩვენი ცხოვრებითა და ბედნიერადაც ჩავრეცხავთ ჩვენს თავსა. უცხო ქვეყნებში კარგად იცნეს ეს ჭეშმა-

რიტებას, თუმც იქაც არის ჯერ შური და ჯიბრობა; მაგრამ იმას კი მიხვდენ ეხლა, რომ თანხმობით და შეერთებული შრომით საქმის წაყვანა ძლიერ სასარგებლოა მათთვის; ბევრია ისეთი საქმე, გაცალკევებულმა კაცმა რომ მოჰკიდოს ხელი, წაგების მეტს ვერაფერს სარგებლობას ვერ ნახავს; და თუ რამდენიმე კაცი შეერთდა ერთად რომელიმე საქმისათვის და ყველამ მოჰკიდა თანხმობით ხელი, მაშინ ისვე საქმე ძლიერ სასარგებლოთ დარჩება ყველასათვის თითოეულათ. ეს ჭეშმარიტება რომ უფრო ნათლათ გიჩვენოთ და უკეთ გაგაგებინოთ, მე მოვიყვან ერთს ძლიერ შესანიშნავს მაგალითს; ეს მაგალითი დაგვიმტკიცებს ჩვენ—რა შეუძლია შეერთებულს შრომას და რამდენს სარგებლობას მოუტანს კაცს, თუ კარგად და თავდარიგიანად დაიჭერს საქმეს.

ოთხი წელიწადია მას შემდეგ, რაც ერთმა ყმაწვილმა კაცმა უფ. ვერესჩაგინმა გაათავა სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაბრუნდა თავის სამშობლო ქვეყანაში, ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც ის დანიშნეს მომრიგებელ მოშუამდგომლედ (მიროვოი პოსრედნიკად). უფ. ვერესჩაგინმა კარგად გაიცნო იქაური გლეხების ყოფა-ცხოვრება და მეურნეობა, რადგან ის მუდამ იმათთან იყო და მათთან ეპირა საქმე. განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია იმან გლეხების პირუტყვებს, რომლებსაც ძლიერ ცოტა სარგებლობა მოჰქონდათ მათთვის: გლეხები სარგებლობდნენ მარტო პირუტყვის ნეხვითა და ხორცით. ვერესჩაგინმა იფიქრა, მთელი სოფლის ფურების რძე რომ შეაერთოს, კაცმა და დაიწყოს ყველისა და ერბოს მზადება, უეჭველია ეს საქმე დიდს

სარგებლობას მოუტანს სოფელსაც, მაშინ როდესაც ეხლა რძე ტყვილად ფუჭდებაო. იმას უნდოდა მოეწყო სოფელში „მეყველეთა ამხანაგობა“ (артельная сыроварня), ამისთვის იმას, რასაკვირველია, ჯერ თვითონ უნდა შეესწავლა ეს საქმე რიგიანად. უ. ვერესჩინინმა დასტოვა სამსახური და ამ საქმისათვის წავიდა სამზღვარს გარეთ — შვეიცარიაში, სადაც ყველის კეთება ძლიერ კარგად იციან და სადაც ბევრი მეყველეთა ამხანაგობაც არის, მივიდა ერთ იქაურს ქალაქში და დადგა უბრალო მუშათ საყველე ქარხანაში. იქაურ. ვერესჩაგინი ისე გულმოდგინეთ მუშაობდა, რომ ცოტა ხნის განმავლობაში თვითონ შეიქნა ამ საქმის ოსტატიც. იქაურ სოფლებში ამ გვარ ამხანაგობათ იმდენი შემოსავალი ჰქონდათ და ისე კარგათ მისდიოდათ საქმე, რომ უფ. ვერესჩაგინი დარწმუნდა, რომ ეს საქმე რუსეთშიაც კარგათ უნდა წავიდესო. შემდეგ ხს მივიდა პეტერბურგში და იქაურ „ეკონომიურ საზოგადოების“ შემწეობით შეუდგა საქმეს: ეკონომიურმა საზოგადოებამ უფ. ვერესჩაგინი ვალდებული გაზადა, რომ 1) ესწავლებინა ყველის მზადება ყველასთვის, ვინც კი ისურვებდა, 2) იმას უნდა მოეწყო მეყველეთა ამხანაგობანი ტვერის გუბერნიაში და 3) უნდა მოენახა საშუალება ამ ქვეყნებში გაკეთებული ყველის და ერბოს გასაღებისა. უფ. ვერესჩაგინი დაბრუნდა ნოვგოროდში და სთხოვა იქაურ მებატონეებს, რომ მიეცათ მისთვის ნება მათ მამულში ყველის ქარხნის გაკეთებისა. მაგრამ რადგან ეს საქმე ჯერ ახალი და გამოუცდელი იყო რუსეთში, ბატონებს ყველამ უარი უთხრა. ბოლოს, როგორც ჩანს, უფ. ვერესჩაგინმა დაარწმუნა ერთი ტვერის გუბერნიის მებატონე — თ. შახოვ-

სკრი, რომელმაც მისცა მას ნება, ეს საქმე მის მამულში ოტროკოვიჩში გამოეცადნა. ვერესჩაგინმა მიჰმართა ეხლა გლეხებს, აუხსნა მათ—რა არის და რამდენ სარგებლობას მოუტანს მათ მეყველეთა ამხანაგობის გამართვა და სიმხნევა, რომ მთელი სოფლის ფურების რძისათვის მოეყარნათ ერთად თავი და ერთათ დაეწყოთ ყველისა და ერბოს კეთება; მაგრამ გლეხებმა გადაწყვეტილი უარი უთხრეს, ჩვენ მაგისთანა საქმეში არ გავერევიოთ და ძლიერ იშვიანნთ უყურებდენ ჯერ-ჯერობით ამ საქმეს. მაშინ ვერესჩაგინმ მისმ ცოლი და ერთი მისი ცოლის ნათესავი ქალი თითონ შეუდგენ ამ საქმეს. ისინი ყიდულობდენ ხოლმე ამ გლეხებიდან რძეს, აკეთებდენ მშვენიერ ყველსა და ერბოს და კარგათაც ასალებდენ; გლეხებმა რომ ნახეს—რა კარგათ მიდის საქმე და რა კარგი შემოსავალი აქვს ვერესჩაგინს, ნანება დაიწყეს; ამბობდენ—რატომ არ დაუნახვიეთ, სარგებლობა გვექნებოდა... რძის გასალება ვერ ძლიან იამათ გლეხებს და ერთი მეორისგ ჯიბრობით უკლებდენ ხოლმე ფასსა ვერესჩაგინმა ბოლოს ნაირი ოსტატობა იხმარა: ლიტრა რძეს ჰყიდულობდა ჯერ ათ შაურათ, შემდეგ აბაზათ და მერე გამოუცხადა გლეხებს, რომ ვინც ორ შაურათ მომაცემს, მისგან ვიყიდო. გლეხებმა დაიწყეს ვერესჩაგინს ყვედრება: „შენ არ გვეუბნებოდი—რომ თქვენ სასარგებლოთ მინდა ქარხნის გაკეთება; ეხლა კი შენ თითქმის უფასოთ გიწდა ყიდო ჩვენგან რძეო“—ეუბნებოდენ გლეხები. ვერესჩაგინმა უთხრა იმათ, რომ თუ გსურთ ეხლავ მოგცემთ ამ ქარხანას და ყველის საკეთებელ მოწყობილებასაც; მაშინ, რაც მე მაქვს ეხლა მოგება, სულ თქვენი იქნებაო. გლეხები ძლიერ გაუკვირვა ამ სიტყვებ-

მა: ერთის მხრით უნდოდათ ამისთანა სასარგებლო საქმის ხელის მოკიდება, მაგრამ მეორე მხრით იშვიანობდენ-ბა რათ ზრუნავს ჩვენთვის ეს კაცი, თუ რამე არ ჰქონდეს სახეშიო. ვილაბამაც დაადგა ხმა, რომ ვერესჩაგინი ჩინოვნიკია და თქვენი მოტყუილება უნდაო; როგორც მოჰკიდებთ ამ საქმეს ხელს, იმ წამსვე ფურის ხარჯს დაგადებენო და სხვა ამ ხმებმა შეაშინა გლეხები, მაგრამ ცოტ-ცოტათი გაიცნეს იმათ ვერესჩაგინი და თითონ დარწმუნდენ, რომ ის პატიოსანი კაცია და მართლა მათი სარგებლობისათვის ჰზრუნავს; შემდეგ დაეთანხმენ ვერესჩაგინს, მოჰკიდეს ხელი საყველე ქარხანას და თითონ შეუდგენ ამ საქმეს.

ამ რიგათ დაარსდა რუსეთში უფ. ვერესჩაგინის მეცადინეობით, პირველი მეყველეთა ამხანაგობა. ეხლა თორმეტია ამისთანა ამხანაგობა; ზოგს მარტო გლეხები შეადგენენ, ზოგში მლვდლებიც და მებატონეებიც ურევიან. ყველაზე უკეთესი და მეტი სარგებლის მომტანი მეყველეთა ამხანაგობა დააარსა უფ. ვერესჩაგინმა სოფ. ვიდოგორჩში (ტვერის გუბერნიაში, ვოლგის ნაპირას).

აქაურე საყველე ქარხანა არის ერთი უბრალო ხუთ ოთახიანი სახლი. ერთ ოთახში ყველს აკეთებენ, სარდაფში ინახავენ გაკეთებულ ყველსა და ერბოს, მესამეში რძეს აყენებენ, სხვა ორ ოთახში ყველის გამკეთებელი ოსტატები დგანან. ამ ქარხნებში მოაქვთ მარტო სალამოს გამოწველილი რძე; დილანდელს კი თითონ გლეხები ხმარობენ ოჯახში.

სალამოს ცხრა საათზე ძლიერ კარგი სანახავია ეს ქარხანა; ამ დროს აქ მოაქვთ დედაკაცებს ლიტრებიდ ახალ გამოწველილი რძე და აძლევენ რძის მიმღებს ასა-

წონათ; ის ერთ წამში ასწონის და ცარიელ სარძეო ლიტრას დაუბრუნებს პატრონსა. ანგარიშის ჩასაწერათ, თუ ვის, ან როდის—რამდენი რძე მოუტანია, ქარხანაში აქვთ წიგნი; ამას გარდა ყველა ამ ამხანაგობის წევრ-საც აქვს თითო წიგნი, რომელშიაც რძის მიმღები თა-ვის ხელითა სწერს—როდის და რამდენი რძე მოიტა-ნა.—რძეს დაასხამენ დიდრონ გობებზედ და დასდგამენ ხოლმე მეორე დილამდი სარდაფში. მეორე დღეს ნაღებს მოართმევენ და ჩაასხამენ ცალკე კასრებში; ნაღებიდან აკეთებენ ერბოსა და ნაღების შემდეგ დანარჩენ რძესა ჩაასხმენ ხოლმე ერთ დიდ ქვაბში; აქედან კეთდება ყვე-ლი.—

ამ ამხანაგობაში გაკეთებული ყველი და ერბო ბევ-რად სჯობია თითქმის სამზღვარ გარეთის ყველსა და ერ-ბოსა. ახლა პეტერბურგში ძლიერ კარგათ და ბევრი იყი-დება იქ გაკეთებული ყველი და ერბოცა. ამბობენ, რომ წელს გზავნის ამხანაგობა საზღვარს გარეთ გასაყიდად ორას კასრს მარტო ერბოსა.—თითო გირვანქა აქ გაკე-თებული ნაღების ერბო იყიდება ექვს შაურად. აქ გაკე-თებული ყველი, რადგან, რასაკვირველია უფრო იაფიცაა და კარგიცა, ძლიერ ბევრი გადის ხოლმე. მაგ. სასწავ-ლებლებში; ლარიბი ხალხიც დიდის კმაყოფილებით ყიდუ-ლობს იქაურ ყველსა. გირვანქა ყველი 9 კაპ. ღირს.—

თითო ძროხის პატრონს მარტო რძიდან შემოუვა რაც-და-ათი მანეთი მაინცა. რაც უფრო ბევრი ძროხაა, ის სჯობია, ასი ძროხის რძე რომ ერთათ ამუშავეს, მაშინ ორმოც მანეთზე მეტიც, შეიძლება, შემოსავალი ჰქონ-დეს ყოველ ამხანაგობის წევრსა.—

უფ. ვერეს ჩაგინმა ბევრს ასწავლა, რიგიანათ ყველი-

სა და ერბოს კეთება; ყველა მისს დაარსებულ საყველე ქარხანში მისი გაზდილი ოსტატები არიან ეხლა და კარგათაც მიჰყავთ საქმე. ამ საყველე ქარხნებთან უფ. ვერესჩაგინი ურჩევს ღორების მოშენებას. ყველის კეთების დროს რჩება ბევრი რძე, რომელიც არაფრად არ მოიხმარება ხოლმე და ღორს კი ძლიერ ასუქებს.—ესეც ახალი შემოსავალი.—

აი რას ამბობს პეტერბურღის „ეკონომიური საზოგადოება“ უფ. ვერესჩაგინის მეყველეთა ამხანაგობაზე: „1867 წ. დაარსდა ოთხი მეყველეთა ამხანაგობა, უფ. ვერესჩაგინის მეცადინეობით, ტვერის გუბერნიაში; წარსული წლის ბოლოს ამისთანა ამხანაგობა ცამეტი—იყო: თერთმეტი ტვერისა და ორი ნოვგოროდის გუბერნიაში. რვა საყველე ქარხანა მოქმედებდა მთელი წლის განმავლობაში; დანარჩენმა ხუთმა კი მოსპო მუშაობა. რადგანაც ზაფხულში იაფი იყო ერბო და ყველი პეტერბურღში, ამის გამო ეს მაღაზია, სადაც ამხანაგობას მიჰქონდა ყველი და ერბო, არ ვაჭრობდა და ზამთარში აპირებდა უფრო სარგებლიანათ ვაჭრობის დაწყებას; ამიტომაც, რასაკვირველია, ბლეხებს არაფერი სარგებლობა არ ჰქონდათ ჯერ-ჯერობით თავიანთ ამხანაგობიდან და დანებეს ამ საქმეს თავი. ამისთანა შეძთხვევანი ხშირად მოჰხდებოდა, რომ ერთ ტვერის მეოჯახეს უფ. ოკნოვს არ ექნა ერთი კეთილი საქმე. უ. ოკნოვმა შეიტანა ტვერის სახელმწიფო ბანკში ხუთი ათასი ფანეთი (5000) იმათთვის, ვინც ამ ამხანაგობაში ურევია თუ რომელიმე ამოზმხანაგობათა წევრს დასჭირდება ფულები სახელმწიფო ხარჯის გადასახდელად, ან სხვა რამესათვის, იმას შეუძლია გამოიტანოს ამ ბანკიდან და რომ იმათ პეტერ-

ბურლის მაღაზიაში მის წილს ყველსა და ერბოს გაჰყიდიან, მაშინ ის დაუბრუნებს ისევ ბანკს ნასესხებს ფულებსა.—ამ ამხანაგობაებში გაკეთებულის ერბოსა და ყველის გასასაღებლათ ჰეტერბუღში არის მაღაზია (დეპო); ამ მაღაზიის ზედამხედველობა და ყურის გდება იკისრა დაუჯილდოებელათ ერთმა ტვერის მეოჯახემ უფ. კოზლოვმა.—

შარშან (1868) უფ. ვერესჩაგინმა ოც-და-ექვს კაცს ასწავლა ყველისა და ერბოს კეთება: იმათგან რვა მებატონე იყო, ხუთი სასულიერო წოდებისა და ცამეტი გლეხი; ვერესჩაგინის შაგირდებს ეძლევათ ახლა წელიწადში ას-ორმოც მანეთამდე ჯამაგირი; სამზღვარ გარეთიდან რო დაებარებინათ ყველის მკეთებელი—ათას მანეთ ნაკლებ არავინ წამოვიდოდა. ეხლა ხშირათ მოსდის უფ. ვერესჩაგინს სხვა-და-სხვა გუბერნიიდან წერილები და მიიპატიჟებენ—ჩვენში მოაწყვე მეყველეთა ამხანაგობაო.

აქ მოყვანილი მაგალითებს გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ ეს საქმე რუსეთში ძალიან წავა. ჩვენ ძლიერ მადლობელი უნდა ვიყვეთ ტვერის საზოგადოებისა, რომელმანცა შეეწია ამ საქმეს ფულითა და სხვა ყოველივე საშუალობით. ჩვენ აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ თავის მოგზაურობის დროს ნახა ვიდოგორჩის საყველე ქარხანა და ძლიერ მოეწონა იქაური დაწყობილება; იმან გამოუგზავნა ტვერის გუბერნატორის ხელით ვიდოგორჩის ამხანაგობას ორას ორმოც-და-ათი მანეთი ბანკის გასაკეთებლად. ამ ბანკიდან გლეხებს გამოაქვთ ფულები საწველავი პიროუტყვების საყიდლად; დიდს მთავარს ძლიერ იამა, როცა გლეხებმა

უთხრეს იმას, რომ ჩვენ ამ საქმისა ძლიერ ჭმაყოფილნი ვართო, რომ ჩვენ ახლა არაფერი არ გვაკლიაო და უწინ-დელზე უკეთაც ვცხოვრობთო. ეხლა ვიდოგორჩში და-არსდა ბანკი და ფლეხები აღარ არიან იძულებულნი დი-დი სარგებლით ისესხონ სხვებისაგან ფულები; როცა სჭირდებათ—გამოაქვთ ხოლმე ამ ბანკიდან და, როცა შეძლება აქვთ, მაშინ იხდიან ვალსა.

შარშან ვერესჩაგინი იყო სამზღვარს გზრეთ გოლ-შტინიაში და იქ მოძებნა რუსეთის ყველისა და ერბოს გასასალებელი ალაგი. ერთ გამბურგის ვაჭარს შეეკრა პირობით, რომ ყოველ წელიწადს გამოგიგზავნი რუსე-თიდან ერბოსა—ფუთს თოთხმეტ მანეთათო; ვაჭარმა ით-ხოვა—მხოლოთ, რომ ერბო ჩვენებურათ გააკეთეთო და აქაური მარილი უყავითო. ვერესჩაგინმა მოიწვია ერთი იქაური ერბოს კეთების მცოდნე ოჯახობა და დაიწყო ერთ სოფელში გოლშტინიურად ერბოს ჭეთება; მარი-ლიც იქაური დაიბარა. ერბოს აკეთებს ქალი; ქმარი კი საერბოე ჭესრებს ამზადებს. ეხლა ბევრი რუსის ქალები დაიარებიან ხოლმე ამ ქალთან ქარხანაში და სწავლობენ ერბოს ჭეთებასა. ფოლშტინიურათ გაკეთებული ერბო ძლიერ კარგათ გადის პეტერბურგშიაც, ასე რომ რაც ახლა კეთდება, ათი იმოდენა რომ კეთდებოდეს, მაინც კარგი გასავალი ექნება.

ამ საქმეს დიდი გავლენა აქვს აგრეთვე პირუტყვის გაუმჯობესობაზედაც. ყველამ იცის, რომ რაც უკეთ არ-ჩენენ და შეინახვენ ფურს, ისე უფრო ბევრს და უკე-თესს რძესაც გამოიწველის ხოლმე და ამით უფრო მომეტებული სარგებლობაც ექმნებათ, რადგან მეტს ერ-ბოსა და ყველსაც ფაჭყიდიან.“

რასაკვირველია, ამისთანა მეყველეთა ამხანაგობანი ყოველგან არ შეიძლება შესდგეს, რადგან ყოველგან არ მოიპოვება თივა და საძოვარი ადგილები; მაგრამ თუ რომელიმე ქალაქის მახლობ სოფლებში შესაძლოა სამოცი ან ასი ფურის დარჩენა, იქ რომ შესდგებოდენ ამისთანა ამხანაგობანი, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოიტანს ეს საქმე.

საცა კი შესდგა ამისთანა ამხანაგობანი, იქ გლეხები ახლა ბევრად უკეთესს მდგომარეობაში არიან, ვიდრე წინეთ, ასე რომ იმათ აღარ ეძნელებათ ახლა სახელმწიფო ხარჯის გარდახდა და ოჯახობაც უკეთ მიჰყავთ.



1870 წ.

ჩვენებური განათლებულები

გამოჩენილი ბუნების მეცნიერი—ჰიოქსლი ამბობს, რომ მთელი კაცობრიობა ისეთისავე დრო-გამოშვებით იცვლის და განაახლებს თავის ცხოვრებას, ჩვეულებებს და ჭკუის მიმართულებას, როგორც რომელიმე მარტივი ბუზანკალი იცვლის თავის ქერქსაო. ამ შედარებაში ჭკუაზე ახლოს არის მხოლოთ ის გარემოება, რომ ორივე შემთხვევაში—კაციცა და ბუზანკალიც ძველი ქერქის მაგივრათ ახალს გარდიცმენ. მაგრამ ბუზანკალის ახალი ქერქი სრულებით და ყველაფერში ჩამოგავს ძველს, გარდაგდებულს ქერქსა. კაცობრიობის წარმატება კი იმაში მდგომარეობს, რომ ძველი, დამპალი და უვარგისი ცხოვრების, ჩვეულებებისა და შემცდარის აზრის ნაცვლათ შეითვისებს უმჯობესს და უსარგებლესსა. კაცობრიობას ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ ადგილზე გაჩერება, ერთი და იმავე ჩვეულებისა და აზრის სამუდამოთ შენახვა იმას არასოდეს არ შეუძლია. ის მუდამ წარმატებაშია, მუდამ წინ მიდის; ერთ უაზრო ჩვეულებას დააგდებს და მის ნაცვლათ შემოიღებს მეორეს, უფრო საფუძვლიანს;

დღეს ის ჰფიქრობს, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მეორეს უნდა არჩენდეს, მეორესთვის უნდა შრომობდეს, ხვალ კი მიხვდება, რომ ამნაირათ საზოგადოების დაყოფა უსამართლო საქმეა და მავნებელი ორივესთვის, როგორც მშრომელისთვის, ისე ტყუილა-მჭამელისთვისაც; დღეს ამბობენ, რომ ყოველმა კაცმა მარტო თავის მუცლისთვის, თავის კეთილდღეობისთვის უნდა იზრუნოსო („მე თუ არ ვიქნები, თუნდ ქვეყანაც დაქცეულაო"), ხვალ კი გაიგებენ, რომ ყოველი განცალკევებული კაცი საზოგადოების წევრია და მაშასადამე ყოველ ღონისძიებას უნდა ხმაროობდეს, რომ წარმატებაში შევიდეს ეს იმის გამჩენელი ⁄ დამარჩენელი საზოგადოება, მით უფრო, რომ საზოგადოების კეთილდღეობის შედეგი კერძოთ იმისივე კეთილდღეობა იქნება.—ამისთანა მაგალითების მოყვანა, რომ საჭირო იყოს, ათასობით შეიძლება.

რომელიმე ერის ან ცალკე პირის ცხოვრებას რომ დავაკვირდეთ, ამ კანონის წინააღმდეგ მაგალითსაც კი ბევრს ვნახავთ. ერთ დროს ძველმა ბერძნებმა მიაღწიეს ისეთს კეთილ დღეობამდინ, იმათ ჰქონდათ ისეთი სახელმწიფოს დაწყობილება, რომ ჩვენ ახლა ზოგიერთს შემთხვევაში შევნატრით იმათ კიდეცა. მაგრამ შემდეგ, როცა იმათში გახშირდა მონობა და ტყუილა-მჭამელობა და როცა მოისპო ერთობა და სიყვარული, ბერძნები დაეცნენ, როგორც ზნეობით, ისე ჭკუითაც და კიდეც ბარბაროსებმა დაიმორჩილეს; ამ ირიგათ იმათ დაჰკარგეს თავისუფლება და თვითარსებობა. განცალკევებულ პირს, ინდივიდუუმს კიდევ უფრო იშვიათად აქვს ეს მუდამ ცვლილებისა და წარმატების თვისება: საზოგადოთ შენიშნულია, რომ კაცი, მიაწევს თუ არა ერთს

წერტილამდინ, შევა თუ არა მოხუცებულობაში, შემდეგ ძალიან იშვიათათ გამოიცვლის თავის ცხოვრებას, ჩვეულებას და აზრს, რაც უნდა ცუდნი იყვნენ ისინი, და ძალიან იშვიათათ შეითვისებს ახალი დროების რომელსამე ცვლილებასა.—ეს ითქმის მხოლოთ განცალკევებულ პიროვნებაზე და ერზე. მთელი კაცობრიობის შესახებ კი ისევ ზემო მოყვანილი კანონი ჩანს, რომ კაცობრიობა მუდამ და ყოველი მხრით იცვლება და წარმატებაში შედის.

ყოველი განცალკევებული ერის ისტორია გვიჩვენებს, რომ რომელისამე აზრის და ჩვეულების უსაფუძვლობა და საზოგადოთ წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზთ მოსპობის საჭიროება ერთ დროს და ყველას ერთათ არც ერთ ქვეყანაში არ უგრძვნია: ყოველთვის და ყველგან პირველათ საზოგადობის რამდენთამე უფროჭკუიან და განათლებულ პირთა შეუმჩნევიათ და გამოუთქვამთ სახალხოთ, რომ ესა და ეს ჩვეულება ან აზრი უსაფუძვლო და მავნებელიაო და ამა დიდამ საქმეს ყურადღება რომ მივაქცეოთ, ყველსათვის სასარგებლო იქნებაო. ამნაირი ახალი აზრები ცოტ-ცოტათი გავრცელებულა საზოგადოებაში და, რაც ისინი საზოგადოებასაც მოსწონებია და სასარგებლოთ დაუნახავს, იმათ-და გვარათ მოქცეულა, თუმცა, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილს (განსაკუთრებით მოხუცებულებს) ყოველთვის გაჰყვიროვია ძველი, უვარგისი ჩვეულებების და ცხოვრების ერთბაშათ დატოვება და ახალს გზაზედ დადგომა. უამისოთ კაცობრიობის წარმატება ყოვლად შეუძლებელი საქმე იქნებოდა, უამისოთ კაცობრიობა ვერ მიაღწევდა იმ განათლების ხარისხამდი, რომელზედაც ახლა დგას, ის

დარჩებოდა იმავე ბარბაროსულ მდგომარეობაში, რომელშიაც ამ რამდენიმე ათასწლეულის წინეთ იმყოფებოდა.

ყოველ საზოგადოებაში მოინახებიან ისეთნი პირნი, რომელნიც ჭკუით და განათლებით სხვებზე წინ სდგანან ამ საზოგადოებაში; იმათ შეძლებისა და ან ნიჭის წყალობით, გაუხსნიათ სხვებზე მომეტებულათ ჭკუა-გონება და მიუღიათ ცოდნა აი, ამ პირებს ვალია, შეძლებისა და დროს მოთხოვნილებისა დაგვარად, წინ წასწიონ მთელი საზოგადოება და სცდილობენ იმის კეთილდღეობაზე. საზოგადოებასი ბევრი დაუხარჯავს განათლებულების აღზრდისათვის და ამიტომ უფლებაცა აქვს ბევრი მოსთხოვოს იმათ. ვისაც შეძლება არა ჰქონია, რომ ცოტაოდენი განათლება მაინც მიეღო, ვინც სიყმაწვილიდან მუდამ იმის ფიქრში ყოფილა, რომ ხვალ ულუკმაპუროთ არ დავრჩეო, იმას საზოგადოება, რასაკვირველია, ვერ მოსთხოვს, რომ მაგდენათ სასარგებლო კაცი იყოს ქვეყნისათვის, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგან ჩვენ დროში თითქმის მთელი საზოგადოების ცხოვრება მარტო შეუძლებლებს აწევს კისერზე. უეჭველია, იმ კაცს უფრო მეტი მოეთხოვება, რომელსაც 20—25 წლამდი თავის ჭკუისა და გონების გახსნის მეტი არაფერი დარდი არ აწუხებდა, რომელსაც ამ დროს განმავლობაში უზრუნველათ და დროსა და შრომის დაუკარგავათ ჰქონია მზათ ყოველი საცხოვრებელი სახსარი, ვიდრე იმას, რომელმაც დღეს არ იცის ექნება ხვალ რამ საზრდო, თუ არა, რომელიც, ერთი სიტყვით, მთელ თავის სიცოცხლეს ატარებს ამ საზრდოს მოპოვების ზრუნვაში.

ამას გარდა განათლებულს ჭკველთვის უფრო ეჭვეთ შეუძლიან, უჩვენოს საზოგადოებას იმის ნაკლულევანება

და სახსრები ამ ნაკლულევანების მოსპობისათვის და საზოგადოთ ყოველი ახალი საშუალება, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ ეხმარება ხალხის კეთილდღეობას და იმის ცხოვრების გაუმჯობესებას. განათლებულსა და გონებაგახსნილს კაცს ყოველთვის შეუძლია თავის ცხოვრებით და სიტყვით დიდი და კეთილი გავლენა იქონიოს საზოგადოთ გაუნათლებელ საზოგადოებაზე; თუ იმას არა აქვს ამნაირი გავლენა, თუ იმაში საზოგადოება ვერა ხედავს კაცურსა და სამაგალითო კაცსა, მაშინ იმის განათლებისათვის დახარჯული ფულები მუქთათ, უნაყოფოთ დახარჯული ფულებია; ამნაირი კაცის მაგალითი მეორე მხრითაც აძლევს საზოგადოებას ვნებასა: იმის შემხედვარე მამები, უეჭველია, ისე გულმოდგინეთ აღარ დაიწყებენ მეცადინეობას, რომ უმაღლესი განათლება მისცენ თავიანთ შვილებს; ისინი თითქმის საფუძვლიანათ იტყვიან: რას გვიკეთებენ სხვები, რომელთაც უმაღლესი განათლება მიულიათ? რითი დაეხმარენ ისინი ჩვენი ქვეყნის წარმატებასო?

სხვა-და-სხვა დროს ყოველ საზოგადოებაში სხვა-და-სხვა მოთხოვნილება და საჭიროება არის; თუ, რომელსაც მე ერს გარეშე მტრები აწუხებენ, მაშინ საჭიროა მეომარი და მხნე კაცები; თუ ამ ერში სუფევს შინაგანი უთანხმოება და არეულობა, მაშინ ყველაზე უფრო საჭიროა მტკიცე და თადარიგიანი მმართველობა, რომელსაც შეუძლია დაამკვიდროს მშვიდობიანობა; თუ ერს არც გარედან და არც შიგნიდან არაფერი არ აწუხებს, მაგრამ, თავის უმეცრების წყალობით, ვერ სცხოვრობს მაინც კარგათ, ვერ გრძნობს კეთილდღეობას, მაშინ,

უეჭველია, კეთილ გონიერი კაცის ვალია, იზრუნოს თავის სამშობლოს განათლებისა და სწავლისათვის.

ვინ არ იცის, რა გვაწუხებდა და რის ნაკლებობას ვგრძნობდით ჩვენ ამ 10—15 წლის წინეთ, როდესაც ცოტ-ცოტათ ჩვენშიაც გაჩნდნენ განათლებულები! გარეშე მტრების, ღვთის მადლით, ჩვენ მაგდენათ არ გვეშინოდა; მაგრამ ჩვენ გვყავდნენ შინაგანი მტრები, რომელნიც ათასჯერ უფრო მავნებელნი და დამაზიანებელნი არიან, ვიდრე გარეშენი. ეს მტრები იყვნენ: ბატონყმობა და უმეცრება, რომლების წყალობით, ჩვენ თითქმის ისევ იმავე მდგომარეობაში გახლდით, როგორც ნეტარხსენებული რაინდობის დროსა. ჩვენ ბლომათ გვყავდა მუშა-კაცები, ბლომათ გვქონდა მშვენიერი, ნოყიერი მიწები, მაგრამ ამ ორი სენის წყალობით, მაინც უხეიროთ, დიდს სიღარიბეში და ერთმანერთის უკმაყოფილონი ვცხოვრობდით; ბატონსა და ყმებს შუა სუფევდა მუდამ განხეთქილება და უთანხმობა; ბატონი მუდამ იმას სცდილობდა — რაც შეიძლება მომეტებული დავაძრო გლეხსაო და გლეხიც, თუ შეიძლებდა რამე რიგათ, იგერავდა თავის თავსა. ჩვენი თვალ-უწვდენელი მინდვრები, ხელ-უხლებელი ტყეები და მდიდარი მდინარეები დაგდებულნი იყვნენ სრულებით უყურადღებოთ. არც შეძლება და არც ცოდნა არ გვაძლევდა ღონისძიებას, რომ ჩვენდა სასარგებლოთ მოგვეხმარა და გამოგვეყენებია ცხოვრებაში ეს ბუნებისაგან მონიჭებულნი სიმდიდრენი. ვისი ვალი იყო, რომ ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებისთვის აეხილა თვალი და ცოტათი მაინც დახმარებოდა იმის უთადარიგო ცხოვრების გაუმჯობესებას? უეჭველია, ჩვენს განათლებულებს,

ბევრის თუ არა, ცოტასაც გაკეთება მაინც შეეძლოთ ამ საქმეში.

წინანდელ სტატიაში მე ვთქვი, რომ ამ 10—15 წლის წინათ ჩვენი ქვეყნის უმთავრესნი სენნი და წარმატებისა-დამაბრკოლებელნი მიზეზნი იყვნენ ბატონ-ყმობა და უმეცრება. მე ვამბობდი, რომ, თუმცა ჩვენ გვქონდა მონიჭებული ბუნებისაგან ბევრი ხელ-უხლებელი საუნჯე, თუმცა ჩვენ, ღვთის მადლით, გვქონდა ნიჭი ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლისა და ცოდნის მიღებისა,—მაგრამ საუბედუროდ, ვერც ერთით ვერ ვსარგებლობდით, ვერც ერთი ამ ბუნების სიმდიდრეთაგანი ვერ მოვიხმარეთ რიგიანათ.—ამ სტატიაში ვეცდები, მოკლედ განვიხილო: რის გაკეთება შეეძლოთ ამ დროს ჩვენ განათლებულებსა, და ნამდვილ კი რა გააკეთეს.

ბატონ-ყმობისა და იმისაგან მომდინარე უბედურებათ მოსპობა, უეჭველია, ჩვენ განათლებულებს ვერ შეეძლოთ. მაგრამ, ჩემის აზრიდ, ემგათ შეეძლოთ, გაევრცელებინათ საზოგადოებაში კაცთმოყვარეობითი აზრი და მით შეემსუბუქებინათ ყმების უბედური მდგომარეობა; იმათ, თავის სიტყვიდ და მაგალითით, შეეძლოთ დაემტკიცებინათ საზოგადოებისათვის, რომ ვალდებულებითი და ძალდატანებითი შრომა, მონობა მავნებელია და დამღუპველი როგორც ბატონისათვის, ისე უმეტესათ გლეხებისათვისაც. ბატონს ძალიან კარგად ესმოდა, რომ იმის კეთილდღეობა გლეხ-კაცის კეთილდღეობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ისა ცერ მოიფიქრებდა

—თუ ყმობა-მავნებელი იყო ორიენტს, კეთილდღეობისათვის მართალია, ჩვენ არ გვქონდა ჟურნალისტიკა, რომლის შემწეობით შეიძლებოდა ყოველი გონიერი აზრის გავრცელება საზოგადოებაში; მართალია ისიც, რომ კიდევაც რომ გვქონოდა, ამნაირის ჟურნალისტკის დანიშნულებას და მიზანთულებას ბევრს დაუშლიდა იმისაგან დამოუკიდებელი მიზეზები და უმთავრესი იმათგანი ის, რომ რიგიანი მწერლები და საზოგადოების გზის მაჩვენებელნი არა გვყვანდნენ; მაგრამ ეგეთ-ათლებული კაცისათვის ჩვენში მარტო ეს ასპარეზი იყო იმ დროს? ვინ არ იცის, რომ ყველაზე უკეთესი ასპარეზი ყოველი კაცისათვის არის იმის კერძო ცხოვრება, იმის მაგალითები? საუბედუროთ უნდა ვსთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი მაშინდელი განათლებულებისა ბატონ-ყმობის საქმეში სრულებით ისე იქცეოდა, როგორც იმათი მამეები. მგონი, ვერავინ ვერ დაიკვეხოს ჩვენში, რომ ბატონ-ყმობის მოსპობამდის იმას ეჩვენებინოს საზოგადოებისათვის ახალი ცხოვრების გზა, ლონისძიება უყმოთ ცხოვრებისა. წინააღმდეგ ამისა, ზოგიერთნი იმათგანნ თავის ხელ-გაშლილი, უანგარიშო და უთადარიგო ცხოვრებითა და ყმების ოფლით მოპოებული ფულების ფანტვითა კიდევ უფრო უძნელებდენ და უვიწროვებდენ გლეხ-კაცს, უმისთაც შევიწროვებულს, ცხოვრებასა. ვის არ გაუგონია მაშინ ჩვენი მამების ყვედრება ახალ-განათლებულებზე? ვინ არ იცის, რა აზრი შეადგინეს მამებმა განათლებაზე და განათლებულებზე? განათლებულ-კაცს ისინი ისე ვერ წარმოიდგენენ თუ არა წვრილი ჯოხით ხელში, სათვალეებით ცხვირზე და შლაპით თავზე. ისინი ხედავდნენ, რომ ზოგიერთნი განათლებულთაგანი

ან ამაყათ ტკეპნიდნენ ტროტუარებსა, ან არა და ქალალდს თამაშობდნენ; ეს ორი თვისებაც განათლებას მიაწერეს. და მართლაც, რომ თქვას კაცმა, ზოგიერთს შემთხვევაში ჩვენი მამები არც სცდებოდნენ: ისინი წარმოსთქვამდენ იმას, რასაც თავის თვალით ხედავდენ.

იმ დროს, როდესაც ჩვენ შეუმუშავებელ მინდვრებს, ჩვენს ხელ-უხლებელ ტყეებს და ბევრ სხვა ბუნებით სიმდიდრეს სჭირდებოდა რიგიანი გამომყენებლები და შემმუშავებელნი, როდესაც ჩვენი მამა-პაპური მეურნეობისათვის აუცილებლათ საჭირო იყო განახლება, როდესაც ყოველი კეთილ-გონიერი კაცის ვალი იყო, ეზრუნა ხალხში განათლების გავრცელებისათვის, — იმ დროს, ვამბობ, ჩვენი განათლებულები ეტანებოდნენ იურიდიულისა, ფილოლოგიურისა და სხვა ფილოსოფიური საგნების შესწავლას, რომელნიც, რასაკვირველია, ყოველი კაცისთვის საჭირონი არიან, მაგრამ ჩვენთვის იმ დროს უფრო სხვა ცოდნა იყო აუცილებელათ საჭირო. ვინ იტყვის, რომ კარგი, პატიოსანი ჩინოვნიკები ჩვენთვის მაშინაც არ იყვნენ და ახლაც არ არიან საჭიროო, მაგრამ ვერც იმას იტყვის ვერავინ, რომ ჩვენს შეუმუშავებელ მინდვრებს შემუშავება და ხელ-უხლებელ ტყეებს გამოყენება არ უნდოდა. ყველა ამისათვის საჭირო იყო, უეჭველია, ბუნებითი საგნების და მეურნეობის ცოდნა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ განათლებულებში იშვიათათ იპოვიდით და იპოვით ამისთანა პრაქტიკული საქმეების მცოდნე კაცებს. იმათ, თითქმის ყველამ ძალიან ბეჯითათ და გარკვევით იცის — რომელი მუხლი კანონისა რას ამბობს და რომელი დანაშა-

ულობისთვის რა სასჯელი მიესაჯება კაცს, მაგრამ რა მიზეზით, რომ იმის ვენახი ყოველ წელიწადს ფუჭდება, რა ღონისძიებით შეიძლება იმის შველა, ან სხვა რისმე ამისთანას ცოდნაში კი უკაცრავათ გახლავს. ჩვენი განათლებულისთვის რომ გეთქვათ, ამ ჟამათ საქართველოს ყველაზე უფრო სახალხო შკოლები და მეურნეობის მცოდნე კაცები სჭირია თქო, ის, უეჭველად, დიდის თანაგრძნობით დაგეთანხმებოდათ და გულმხურვალეთ იტყოდა: „ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ კაცები არა გვყავსო, რიგიანი კაცები, რომელთაც ესმოდესთ საზოგადოების საჭიროება და შეეძლოსთ ამ საჭიროების დაკმაყოფილება!“ ის მოგიყვებოდათ სხვა და სხვა თეორიებს პოლიტიკური ეკონომიისას და სოციოლოლიისას, დაგილაგებდათ მშვენიერს აზრებს სახალხო განათლებაზე, გლეხკაცის გაჭირვებულ მდგომარეობაზე; თვითონ კი მეორე დღესვე სამსახურში შერგავდა თავსა და დარწმუნებული იყო, რომ რიგიანათ ასრულებდა კაცის უმაღლესს დანიშნულებას. ერთი სიტყვით, წინანდელი ჩვენი თაობა ძალიან ნაკლებათ გაირჩეოდა თავიანთ მამებისაგან: იმის ნაცვლათ, რომ თავის გავლენით და მოქმედებით წინ წაეწიათ და ცოტათი მაინც გაეუმჯობესებიათ უწინდელი, ნაკლულევანებით სავსე, ჩვენი ცხოვრება, ისინი თვითონ დაემორჩილენ ამ ცხოვრებას, გული აუვარდათ ყველა კეთილს, კაცობრიულს წადილზე და საფუძვლათ ჰქონდათ ძველი, უვარგისი არაკი: „მდინარემ შენ თუ არ ამოგყვეს, თვითონ დაჰყევიო“. სამწუხაროც ის არის, რომ ჩვენს განათლებულებში ძალიან მცირე ნაწილი სცდილობდა „მდინარის აყვანას“. უმეტესი ნაწილი იმათგანი, შევიდა თუ არა ცხოვ-

რებაში, იმ წამსვე თვითონ მიჰყვა ცხოვრების ტალღას, და ის მცირე ნაწილიც, რომელიც სცდილობდა, რიგიანს გზაზედ დაეყენებინა ჩვენი უხეირო ცხოვრების მიმართულება, ისიც მალე დაემორჩილა ამ ცხოვრებას და „თვითონ დაჰყვა მდინარეს“. რით ვერ გიგიგეთ, განათლებულებო, რომ ამ რიგათ საზოგადოების წარმატება შეუძლებელი საქმეა! რაგორ ვერ მიმხვდარხართ, რომ ჩვენს საზოგადოებაში განათლებულებს დიდი ვალი აწევსთ? სამწუხაროა ამისთანა ამბებზე ლაპარაკი, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს განათლებულებს არ ესმოდათ თავის დანიშნულება და მნიშვნელობა. იმედი მივსცეთ ჩვენ თავს, რომ ახლანდელი და განსაკუთრებით მომავალი თაობა უფრო კარგათ გაიგებს თავის დანიშნულებას და უფრო ენერგიულათ ეცდება ამ დანიშნულების აღსრულებასა. ღმერთმა ნუ მოგვაკლოს კარგი იმედი.

„დროების“ აღსარება.

ერთი რომელიმე „დროების“ ნომერი რომ აიღოს მკითხველმა ხელში და გადახედოს, რამდენსაც ვანყოფილებას ნახავს ამ გაზეთში; მაგალითად: მოწინავე სტატიები, საქართველო, რუსეთი, უცხო ქვეყნები, ომის ამბები (ამ ჟამად), ნარევი, განცხადებანი და სხვა. რომელიც გნებავთ. სხვა გაზეთი აიღეთ და დარწმუნდებით, რომ ყველა სხვა-და-სხვა განყოფილებად არის დანაწილებული. განათლებულ ქვეყნებში, საცა გაზე-

ფებს ათასობით და ათი-ათასობით ჰყავთ ხელის-მომწერ-ლები და საცა ისინი ყოველდღე გამოდიან, ფიფოეულ-ამნაირ განყოფილებას რედაქტორისაგან ცალკე პირი ჰყავს მიჩენილი, რომელიც მხოლოთ ამ თავის განყოფილებისთვის აგროვებს ცნობებს. რედაქტორი ვალდებულია, მარტო ყური უგდოს, რომ სხვა-და-სხვა განყოფილებებისთვის მოგროვილ ცნობებსა და ამბებსა ერთი სულიერ ედგას და ერთგვარი ზედმოქმედება ჰქონდეს მკითხველზე; ისევ ვალდებულია, რომ ერთს განყოფილებაში გამოთქმული აზრი, ან მოყვანილი ამბავი არ ეწინააღმდეგებოდეს მეორე განყოფილებაში გამოთქმულსა.

ეს პირები, რომელნიც ამ გვარად მუდამ შრომობენ გაზეთისთვის, არიან გაზეთის მუდამ თანამშრომლები, ისინი შეადგენენ რედაქციას.

კარგად გამართულს გაზეთებს, მუდამ თანამშრომლებს გარდა, ჰყავთ კიდევ გარეშე თანამშრომლები, ანუ კორესპონდენტები, რომელნიც სხვა-და-სხვა ადგილებიდამ სწერენ ხოლმე ამ გაზეთებში ყველაფერს, რისთვისაც კი დაუკვირვებიან თვალი და რაც ღირსია მკითხველი საზოგადოების ყურადღებისა. ზოგიერთი მდიდარ გაზეთები საკუთარ კორესპონდენტებს გზავნიან ხოლმე სხვა ქვეყნებში, ამბების მოსაწერად, თუ ამ ქვეყნებში შესანიშნავი რამე ამბავი ხდება; მაგალითად, ამერიკაში რომ ომიანობა იყო, 1864—66 წ., ინგლისურმა გაზეთმა „Times"-მა საკუთარი კორესპონდენტი გაგზავნა იქ; ახლანდელ ომშიაც ყველა ცოტა-ოდნათ შეძლებულ გაზეთს ჰყავს საფრანგეთში თავისი კორესპონდენტები, რომელნიც დაწვრილებით იწერებიან იქაურ ომიანობის ამ-

ბებს, და „Times“-ს კი, ერთის მაგივრათ, სამი თუ ოთხი კორესპონდენტი ჰყავს.

ამნაირათ განათლებული ქვეყნების გაზეთებს აქვთ საშუალება კარგათ წაიყვანონ თავიანთი საქმე და საინტერესო ცნობები აცნობონ და ამბები უამბონ თავის მკითხველებსა. ამ საშუალებას (ბევრი თანამშრომლების ყოლას) იმათ აძლევს თითონ საზოგადოება, რომელსაც ეხალისება ქვეყნის ამბების შეტყობა და იმიტომ იწერს გაზეთებს. განათლებულ ქვეყნებში ეს ორი საქმე: გაზეთის სიკეთე და იმის გავრცელება საზოგადოებაში, ე. ი. საშუალების მომატება—თითქმის ყოველთვის კუდი-კუდზე არიან ერთმანეთზე გადაბმულნი: ერთი მხრით, იმ ქვეყნებში, თუ გაზეთი კარგია, ბევრი საშუალებაც ექნება ბევრი ხელის მომწერლისაგან, და მეორე მხრით, თუ გაზეთს ბევრი ხელის მომწერელი ჰყავს ან სხვა საშუალება აქვს, იმჰს შეუძლია კარგათ წაიყვანოს თავისი საქმე.

ახლა ცოტა ჩვენკენაც მოვიხედოთ. ნება, რა გორ სურათი დაგვიხვდება ჩვენ თვალ წინა? თუ, როგორც ამბობენ, გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების სიმრავლე და სიკეთე რომელსამე საზოგადოებაში მოასწავებს ამ საზოგადოების ცნობისმოყვარეობას და განათლებას,—მაშინ, საუბედუროთ, ეს საამო სანახავი არ იქნება: ეს სურათი არც ჩვენი საზოგადოების ცნობისმოყვარეობას და არც განათლებას არ დაამტკიცებს.

ვილაპარაკოთ აქ მხოლოთ „დროებაზე“, რომელიც, როგორც უნდა იყოს, სხვა ქართულ გაზეთებზე და ჟურნალებზე უფრო გავრცელებულია ჩვენ მკითხველ საზოგადოებაში.

რამდენი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს „დროებას“? თუმცა გვრცხვენია ამ რიცხვის გამოთქმა, მაგრამ მაინც ვიტყვით: „დროებას“ ახლა ორი მუდამი თანამშრომელი ჰყავს, რომელნიც რედაქციას შეადგენენ. ორ კაცს, რა საკვირველია, ყოველთვის შეუძლია ისეთი პატარა გაზეთის გამოცემა, როგორიც „დროებაა“ ეს ისიც კვირაში ერთხელ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ გაზეთი ამ ორ კაცსაც ვერ აძლევს იმდენ ღონისძიებას, რომ იმის შემოსავალი გაზეთის ხარჯსაც აუვიდეს და იმათაც; ამის გამო ისინი იძულებულნი არიან სხვა პურის-მძლეველ საქმესაც მოჰკიდონ ხელი. ეს გახლავან „დროების“ მუდამ თანამშრომლები...

ახლა გარეშე თანამშრომლები, ანუ კორესპონდენტები. ჰყავს „დროებას“ კორესპონდენტები? ურიცხვი და უანგარიშო! რედაქციის ყუთში რო ჩაახედო კაცი, გაუკვირდება—ამდენი კორესპოდენციები და სტატიები საიდან მოგროვდაო. ეს გარემოება, რასაკვირველია, საოცარია; ეს ან იმას ნიშნავს, რომ მწერლობას პატივი ადევს ჩვენში და ამის გამო ყველას ჰსურს მწერალი გახდეს, ან იმას, რომ ჩვენ ყველაფერი გვსურს განუზიაროთ სხვებს და გულში ჩამარხვა რისამე არ გვიყვარს... მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ამდენი კორესპონდენცია და სტატია ტყუილათ, დაუბეჭდავათ აწყვია რედაქციის ყუთში: ყველა, ვისაც შეუძლია და არ შეუძლია წერა, აგზავნის გაზეთში დასაბეჭდათ თუ ღრმა აზროვან სტატიებს, თუ უკუდო კორესპონდენციებსა და თუ ფუტურო ლექსებს.

„დროებას“ რომ შეძლება ჰქონდეს, იმას ჩვენს ორიოდე ქალაქში თავის საკუთარი კორესპონდენტები

ეყოლებაო, თვითონ რედაქციას მისცემდა საშუალებას ახლანდელზე უკეთ წაეყვანა გაზეთის საქმე, ერთის მაგივრათ სამჯერ ან ყოველდღე გამოიცემოდა კვირაში და სხ. მაგრამ ლონისძიება თუ არ იქნა, არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო ამ ჟამათ*) „დროებას“ სამასამდე ხელის მომწერი ჰყავს და ამ რიცხვიდან თრეთქმის ასს ჯერ არ შემოუტანიათ გაზეთის ფული. გამოიანგარიშეთ—რა დარჩება ხა მერე თქვენ—აქვს საზოგადოებას უფლება ემდუროდეს „დროებას“, თუ არა?

—

მკითხველს ვთხოვთ, ყველა ეს ლაპარაკი რედაქციას სასოწარკვეთილებათ და თავის საქმეზე ენერგიის მოკლებათ არ ჩაუგდოს. ახლანდელ „დროების“ რედაქციას იმედი აქვს, რომ ჩვენი საზოგადოება, ადრე იქნება, თუ გვიანა, როგორც რიგია, გარგებს და დააფასებს მწიგნობრობის საჭიროებას; მანამდინ კი, რაც შეძლება და ლონე ექნება, ეცდება მოაახლოვოს ეს სანატრელი დრო...

---

*) 1870 წ. 30 დეკემბერს. გამ.



1871 წ.

ბიბლიოგრაფია

კრებული, მეორე წიგნი. ჯიბრი—კომედია ორს მოქმედებათ
გ. წერეთლისა.

კომედიას, როგორც საზოგადოთ ყოველ ლიტერატურულ ქმნილებას, უნდა ჰქონდეს სახეში, გამოხატოს კაცის ნამდვილი ცხოვრება, იმის ბუნებითი და გრძნობა; ყოველ ლიტერატურულ თხზულებაში უთუოთ უნდა იყოს გამოხატული ჭაკი თავის ღირსებით და ნაკლულევანებით, თავის საქები და გასაკიცხავი ხასიათით, თავის სასარგებლო, ან ბოროტი მოქმედებით. საზოგადოთ ლიტერატურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სარკესავით უჩვენოს ხალხს იმის ცხოვრების საქები ან გასაკიცხი მხარეები. რასაკვირველია, ამასთანავე ლიტერატურამ არ უნდა დაივიწყოს, რომ თუ კაცის ცხოვრებაში ცუდსა და გასაკიცხ მხარეებს შორახავს, იმის ვალი ისიც არის, რომ უჩვენოს ისეთი ახალი გზა, რომელზედაც ამ ხალხმა უნდა გაიაროს; უჩვენოს ისეთი საშუალება, რომელიმაც ეს თუ ის ჭირი, ან ნაკლულევანება საზოგადოებისა უნდა მოსპოს. თუ რომელიმე ლიტერატურა არც ერთ ამ დანიშნულებათაგანს არ ასა-

რულებს, თუ ის არ განიხილავს აწმყო ცხოვრებასა და არ უჩვენებს მომავალი, საუკეთესო ცხოვრების გზას, მაშინ შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, ამნაირ ლიტერატურას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, ის ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

*
* *

კომედიის განსაკუთრებული დანიშნულება ის არის, რომ ხალხის ცხოვრებიდამ გამოიღოს და მოქმედ პირებში გამოხატოს რომელიმე სასაცილო და გასაკიცხი თვისებები და ცხადათ, სცენაზე, დაანახოს საზოგადოებას, რომ აი, ეს მხარე თქვენი ხასიათის, ან ცხოვრების სასაცილო და დასაგმობია და უნდა მოიშალოთო.

კომედიას და საზოგადოთ ყოველ გვარ თეატრის წარმოდგენას დიდი პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს. წაკითხულს თავის დღეში არა აქვს კაცზე ისეთი მნიშვნელობა, როგორც თვალით ნახულს, როდესაც საზოგადოება ნათლათ, ცოცხლათ ჰხედავს მოქმედ პირებში იმ კაცის ხასიათის მხარეებს, რომელნიც დასაზრახნი არიან.

*
* *

მაგრამ იმისთვის, რომ კომედიას კეთილი ზედმოქმედება ჰქონდეს საზოგადოებაზე, პირველათ საჭიროა, რომ ამ საზოგადოებას ესმოდეს იმის მნიშვნელობა: თუ საზოგადოება კომედიას მარტო იმისთვის უყურებს, რომ იცინოს და არა ისწავლოს, მაშინ კომედიის წარმოდგენა ამისთანა საზოგადოებისთვის სრულებით უნაყოფო იქნება. მეორეთ—საჭიროა, რომ კომედიაც ისეთი იყოს, რომელშიაც მართლა ცხადათ იყოს გამოხატული საზოგადოების რომელიმე ნაკლულევანება. თუ კომედიის

დამწერს, ტალანტსიგალდაშ დწკვირვებისა და საზოგადო ნაკლულევანების მონახვის ნიჭი არა აქვს და არ შეუძ-ლია ეშის ცოცხლათ გამოხატვა,—მაშინ, დარწმუნებულ-ი ძალავით, ამისთანა მწერლის კომედიას არავითარ გზავ-ლენა და მნიშვნელობა არ ექნებაქ საზოგადოებისათვის. ჩვენ ახალ კომედიებს მწერლებში (ძველათ თეატ-რის უქონლობის გამოსა სულ არ წერიათ ჩვენში არც კომედიები და არც სხვა დრამატიულ თხზულებები) მხოლ-ოთ ორია ასეთ-ვორ-ა ესენი: შესანიშნავი ზ. ანტონოვი და გ. ერისთავი. ამ ორ მწერალს გა-უგია ნამდვილი მნიშვნელობა დრამატიული თხზულებ-ისა და ამათთვის ნაკლია ნება მეტია, რომ რამოდენიმე ხელოვანი კომედია დაეწერა. ჩვენ არ განვიხილავთ, ჩაოდარის ბრძენი, რომ ამოიცანი ოცდა ათი წლის წინეთ ორი დრამატიული მწერალი მაინც გვყავდა ჩვენ და ახლა ერთი ერ-თი გვყავს. ვინც ცოტას მოიფიქრებს ჩვენი თეატრის საქმის მაშინდელს ძალიან ლაღ-ლ-ელ-ელ-ელ მდგომარეობაზე, თვითონ-ც ადვილათ მიხვდება.

* * *

აწმაყოფილებს „ჯიბრი“ კომედიის ამ მოთხოვნ-ილებას, რომელზედაც იყო რამოდენიმე სიტყვა ნათქვა-მი,—თუ არა? სანამ ამაზე ვიტყოდეთ რასმე, მოკლეთ ვნამბეზთ-ამ ახალ კომედიის შინაარსს.

მოქმედება ხდება ბუმო იმერეთში, ამ დროს, რო-დესაც ნეტარ-ხსენებული ბატონ-ყმობა დაწბრკოლებ-ლივ სუფევდა ჩვენში. უმთავრეს მოქმედ პირებათ გამო-ხატული არიან: ერთი ჩვენებური მებატონე ბეკრჩა, იმის მოურავი—მგელია და გამდელი—ლილავარდისა. ამათ

გარდა, როგორც ტიპი, შესანიშნავია აგრეთვე შინაყმა ბიჭი — კიკოლა. კომედიის პირველი ფურცლიდამვე ჰხედავს მკითხველი, რომ ყველა ამ მოქმედ პირებ შუა და საზოგადოთ მთელ ბეკიჩას ოჯახში საშინელი უთანხმოება და განხეთქილება ჰსუფევს: ბატონი ებრძვის მოურავს, მოურავი გამდელს, გამდელი, თავის მხრით, უჩაჩქუნებს ბატარა ბიჭებს, პატარა ბიჭები გამდელს და სხვა დილიდამ საღამომდე და საღამოდამ დილამდი. დრო ამ ერთმანეთის ჩხუბში და დავიდარაბაში გადის. მიზეზი ამ გაუწყნარებელი ბრძოლისა, როგორც ყოველთვის, ლუკმა პურია: თვითონ მებატონეობუდამ გარეთ არის და ძალიან საეჭვო მოქმედებით საღღამაც შოულობს ცხენებს და სხვა ქონებას; იმას ჰსურს, მუქთათ ისარგებლოს თავის გლეხების შრომით. მოურავს უნდა თავის ბატონის ოჯახში ბატონი იყოს, რომ თავისუფლათ შეეძლოს იმის ქონების მოხმარება. გამდელსაც უნდა თავის მხრით, როგორმე ისარგებლოს ბატონის ოჯახიდან; ვიკოლა და სხვა ბიჭები ვითომ მოურავსაც და გამდელსაც ბანს ეუბნებიან, მაგრამ ნამდვილ კი იმათი სურვილი ის არის, „ორივეს თავი წაწყდეს“ და თვითონ დარჩეთ ხელში ბატონის ოჯახი, რომელიც იმათ ხელით არის აშენებული, და „ეხის პატრონს ეხის კუდი“ როგორ არ უნდა ერგოსო!

ამ გაუწყნარებელ ჩხუბზე და განხეთქილებაზეა დამყარებული თითქმის მთელი კომედია. ეხლოთ პირველ მოქმედებაშიც არ ვიცით — რისთვის, ერთი საზარელი სცენა ჩაკვეტებული: მოურავი როგორღაც მოიტყუებს ერთი გლეხი ბაცის ახალგაზდა ცოლს და ძალით შეათრევს სასტუმროში.

ბილოს, ერთხელ, როდესაც გამდელსა და მოუ-
რავს მოუვათ ჩხუბი ქათამზე, ამ დროს წაესწრება თავ-
ზე ბატონი, რომელსაც დაუწყებენ ერთმანეთის დაბეზ-
ღებას და ამნაირათ ბეკიჩა ტყობილობს, რომ იმის ოჯა-
ხი საცარცვავ ასპარეზათ გადაუქცევიათ. ის შეათოკი-
ნებს მოურავს და ქუთაისის „ნაობაღში" ჩასმას ემუქრე-
ბა; გამდელსაც გააგდებს თავის სახლიდამ.

* * *

ვინც ჩვენ წარსულ, ბატონ-ყმობის დროულ ცხოვ-
რებას კარგათ იცნობს, ის ცხადათ დაინახავს, რომ უფ.
გ. წერეთლის კომედიაზ ნამდვილი სურათია მაშინდე-
ლი ცხოვრებისა. მარტლაც, როგორი იყო ბატონ-
ყმობის დროს ჩვენი ცხოვრება? როგორ ატარებ-
დენ დროს ჩვენი მებატონეები? როგორ უყურებდენ მა-
შინდელ მებატონეებს ჩვენი გლეხ-კაცები, ან რაში მდგო-
მარეობდა იმათი ეკონომიური ცხოვრება და ამისათვის
რას მეცადინეობდენ ისინი?

* * *

ჩვენ ვიცით, რომ უმეტესი ნაწილი შაშინდელი მე-
ბატონეებისა ეროვნულ საქმეს არაფერს არ აკეთებდა: თუ შინ
ბრძანდებოდენ, წამოწვებოდენ დიდი მუხის ჩრდილში,
ყალიონს აბოლებდენ და ერთმანეთში მასლაათობდენ
ქვეყნის ამბებზე, ერიმერელ მებატონეებს და საზოგადოთ
იმერლებს ეს უპირატესობა აქვთ ქართლელ-კახელებზე,
რომ იმათ, (ეტყობოდა მაინც არის ესეიგი ეს ამბავი „ქვეყ-
ნის ამბების" შეტყობა). უმეტეს წაწილ დროს კი ჩვენი
მებატონეები გარეთ ატარებდენ, ან ნადირობაში, ან
სტუმრათ—ვისმეს ქორწილში, ნათვლაში ან დამარხვაში.
იშვიათი იმათგანი უგდებდა ყურს სახლ-კარს და ადგილ-

მამულს, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა მოურავს, ბატონის ოჯახის განუკითხავ გამგებელს ერთი სიტყვით, ის უზრუნველათ ატარებდა თავის წუთისოფელს; იმედი ჰქონდა თავის გლეხებისა და მოურავის, რომელიც, რაც კი შეიძლებოდა, არ ზოგავდა გლეხების ქონებას და ოფლს, ოღონდ თავის ბატონისთვის ესიამოვნებინა და აქედგან თვითონაც ესარგებლა ცოტა ფამე.

* * *

რომელლაც იუნაზე ერთი ანდაზაა, რომელსაც ეს აზრი აქვს: „გაქრისტიანებულ ურიისთანა თვი და ერთგულმ ქრისტიანი ქვეყანაზე არ მოინახებაო“. სწორეთ ასე იყო გაბატონებული გლეხკაცის ანუ მოურავის საქმეც: იმას აეკრძალებოდა თავის უწინდელი ბატონებული მდგომარეობა, და როდესაც ის თვითონ გამოურავდა, გაბატონდა, ნამდვილ ბატონზე უარესი შეიქნა: იმას არაფერათ არ მიაჩნია ყანასკენელი ძროხა წამართვას თავის ქვეშევრდომ გლეხ-კაცებისა და მიხლოთ ერთი სტუმრის პატივის საცემლათ დაუკლას ბატონსა; იმას არაფერნი არ მიაჩნია ყანასკენელი ქათამი წაართვას საწყალ ლეკა-კაცს, ცალკე თავის ბატონს სცარცვავს და ცალკე რმის გლეხ-კაცებს, ამ ბატონისაგან სახელით.

რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რაც ცუდი დაეფდომლუპველი მხარეები ექონდა ნგლეხ-კაცობას — ყველაფერ მოურავის ბრალით იყო. მეთქი. ამის თქმა არ შეიძლება, პირველად, იმიტომ, რომ ყველა მებატონეს არ ეყოლია მოურავები (წვრილ მებატონეებს), მაგრამ ამისთანა უმოურავო გლეხების მდგომარეობა ბევრი თუ ერი ყო, ეკეთესი არ ყოფილა. მე ვამბობ მხოლოთ, რომ სადაც კი იყო მოურავი, ისეთი ნასიათი ჰქონდა,

როგორც ზევით ავწერე. აი, ერთი ქამისთანა მოურავის ტიპი მშვენივრათ არის ფრმოხატული უფ. გ. წერეთლის ახალს კომედიაში.

* * *

თუ თავის თვალითა არ უნახავს მკითხველს, შეუძლია ადვილათ წარმოიდგინოს—რა ცხოვრება უნდა ყოფილიყო ჩვენში იმ დროს, როდესაც თითქმის ყოველი წევრი საზოგადოებისა მხოლოთ ემას ჰფიქრობდა, რომ როგორმე და რაიმე წაეგლიჯა მეორე წევრისათვის, როდესაც მებატონე სცდილობდა—რაც შეიძლება მომეტებულათ ესარგებლა გლეხის მუქთი შრომისაგან და გლეხკაცი, თავის მხრით, ეძებდა ღონისძიებას, რომ რამე ზიანი მიეცა თავის ბატონისათვის. აი ამნაირი განხეთქილება, ამნაირი „ჯიბრი“ დაბადა სხვათა შორის ჩვენში იმ სენმა, რომელსაც ჩვენ „ბატონ-ყმობას“ ვეძახოდით.

ჩვენ ვერ მოვთვლით—ამას გარდა, რამდენი სხვა უხეირო და მავნებელი თვისება დანერგა ბატონ-ყმობამ ჩვენს ხასიათში და ცხოვრებაში. ზოგიერთი ამ უხეირო თვისებათაგანი ისე ღრმათ იყვნენ ჩანერგულნი ჩვენს ცხოვრებაში და ჩვეულებაში, რომ ახლაც არსებობენ ჩვენში, თუმცა ბატონ-ყმობა კი გადავარდა, და იქნებ კაი ხანმა გაიაროს, სანამ ჩვენ ამ ბატონ-ყმობის კვალისა და იმის შედეგებისაგან განვათავისუფლებდეთ და სწორე გზაზე დავაყენებდეთ ჩვენს ცხოვრებას...

* * *

კარგია, ისეთი დრამატიული ფხზულებნ არ გამოსულა ჩვენში, რომელსაც კაცის ჩაფიქრება შეეძლოს და არა მარტო გაცინება. „ჯიბრის“ ლირსება, როგორც

ლიტერატურულ თხზულებისა, ის არის, რომ იმას შეუძლია, ჩვენ წარსულ და იქნება ახლანდელ ცხოვრებაზედაც დააფიქროს ყოველი კაცი, რომლის ტვინიც ნორმალურათ მუშაობს. როგორც სცენისთვის დაწერილ კომედიას, „ჯიბრს“, ჩვენი აზრით, მაგდენი გავლენა და მნიშვნელობა არ ექნება ჩვენი ახლანდელი საზოგადოებისთვის. ჩვენი საზოგადოება ისეთი კომედიების ყურებას არის ჩვეული, იმას ისეთი კომედიები მოსწონს, რომელშიაც ბლომათ არის სახარხარო ადგილები, მოულოდნელი და სასაცილო შემთხვევები და სცენიკური ეფექტი და მოძრაობა. „ჯიბრში“ ყველა ესენი ძალიან ნაკლებათ არიან და ამიტომ, არ გვგონია, ისე კარგათ წავიდეს სცენაზე იმის წარმოდგენა, როგორც, მაგ., „ბურა“, „შზის დაბნელება“, და თითქმის უფ. ***-ის „სცენები“. ჩვენი აზრით, „ჯიბრში“ მხოლოთ ერთი ნამდვილი კომიკური ადგილია: სადაც გადამდგარ და უფლება ჩამორთმეულ გამდელს ვერ წარმოუდგენია, როგორ ართმევენ იმას თახჩის გასაღებს და როგორ უნდა გამოეთხოვოს ის სამზარეულოში ბატონობას, რომელშიაც თავის სიცოცხლე გაუტარებია, და როდესაც ამის გამო გაანჩხლებულ გამდელს კიკოლა „ბრანწს“ დასძახებს. გწერეთელზე უფრო მომეტებული ტალანტის პატრონი მწერალი მოახერხებდა, ეს ორი მხარე კომედიისა, შინაარსი და იმის გარეგანი ფორმა, ისეთნაირათ შეეზავებინა, რომ „ჯიბრს“ თავის ახლანდელი აზრიც დარჩენოდა და მომეტებული სცენიკური მოძრაობაც ჰქონოდა. მაშინ, უეჭველია, „ჯიბრი“ საუცხოვო რამ იქნებოდა სცენისათვის. რა ვქნათ: ხშირათ მწერლობაში,

როგორც ცხოვრებაშიაც, სანამ სწორ გზაზე დადგებოდეს კაცი ვალდებულია, მიხვეულ-მოხვეულ გზებზე იაროს.

როგორც უნდა იყოს, ჩვენ ლარიბ დრამატიულ ლიტერატურაში „ჯაბრი" მაინც შესანიშნავი თხზულებაა.

რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?

(ვუძღვნი ჩვენ ახალგაზდა ქალებს).

„ამ სიტყვებს მივაქცევ ცოცხლებისაკენ და არა იმათკენ, რომელნიც ცოცხლებში ურევიან, ხოლო მკვდართათანა შეირაცხნეს".

ამბობენ, რომ ერთი დამნაშავე რალაც ავკაცობისთვის რამოდენიმე წლით საპყრობილეში იყო დამწყვდეულიო; გაუთავდა თუ არა ვადა, საპყრობილის ზედამხედველმა გაულო მას თურმე კარები და უთხრა: „ჩემო ძმაო, შენ გავიდა საპყრობილეში ჯდომისგან; ახლა თავისუფალი ხარ. შეჰკარი ბარგი, გამოდი ამ სულიშემხუთავი ოთახიდამ და ფეხ-წაუმტვრეველად იცხოვრე ქვეყანაზე". მაგრამ, წარმოიდგინეთ ზედამხედველის გაკვირვება, როდესაც დაინახა, რომ დამნაშავე ამ ამბავმა სრულიათაც არ გაახარა და გამოთხოვების დროს ტირილი დაიწყო.—ამბობენ აგრეთვე, ეს მეც ჩემი ყურებით გამიგონია, რომ, როცა ჩვენში გავარდა ხმა

გლეხებისა განთავისუფლებისა, ზოგიერთი გლეხი ამ-ბობდა: „ჩემ ბატონს თავის დღეში არ მოვშორდები, ჩემ მამა-პაპას ჰყოლია ბატონი და მეც უნდა მეყოლოსო“!.

სწორეთ აღნაირია ახლანდელი ქალების უმეტესი ნაწილის საქმეც: ისინი მამა-პაპიდგანვე შესჩვეოდნენ თავის მდგომარეობას, მამა-პაპიდგან კაცების ხელ-ქვეშ ყოფილან და თითქმის არავითარი სურვილი, თვით-მოქმედება და უფლება ეგმათ არა ჰქონიათ, და როდესაც ახლა ქალებს ეუბნებიან, დროა, განთავისუფლდეთ ამ მონობისაგან, თქვენც ისეთი სწავლა-განათლების, ჭკუა-გონების გამოჩენისა და მოქმედების უფლება უნდა გქონდესთ, როგორიც კაცებსა აქვთ და ამით თქვენც უნდა დაეხმაროთ კაცობრიობის წარმატებასაო,—ისინი გაკვირვებულნი არიან და ამბობენ: „ჩვენ ახლაც კარგ მდგომარეობაში ვართ, რის უფლებები, სადაური მოქმედება, რომელი სწავლა-განათლებაო! ასე უცხოვრია ჩვენ მამა-პაპას და ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთო!“

ძალიან ძნელია, რომელსამე კაცს მისი ცუდი მდგომარეობა აუხსნა, თუ კი ამნაირ მდგომარეობაში მყოფი თვითონ არ გრძნობს ამას: საპყრობილეში ჩამწყვდეული დამნაშავე ისე შესჩვეოდა თავის დამწყვდევას, თავის ოთახის დამჭალ ჭაერს, იმის ნოტიო ოთხ უედელსა და გახრეგილ დოშაკს, რომ იმათი მოშორება ეძნელება და ვერ გაუგია—რა სიტკბოება უნდა იყოს კაცისთვის თავისუფლება. აგრეთვე ქალიც: თავის სამოქმედო ასპარეზათ იმსა მხოლოთ სასტუმრო, საწოლი და სატანჯველ ოთახები მიაჩნია და ამის გამო ვერ გაუგია,—რათ უფლებიან, რომ ქალის დანიშნულება მარტო კეკლუ-

ლობაში და კაცების და თავისუფლებაში დაკმაყოფილებაში არ მდგომარეობსო; ვერ გაუგია, რათ აშორებენ მოარშიდან კავალერს, ტკბილი ხმების გამომძახ ფორტეპიანოს და რათ აჩეჩებენ ხელში რალაც „უფლებებს“ რომელნიც, არ იცის, სად ადგილი მოიხმაროს!

ყველგან და ყველა ქალი რომ ასე ჰფიქრობდეს და სჯიდეს თავის მდგომარეობაზე, მაშინ, უეჭველია, დღეს ამ საგანზე მკითხველთან ლაპარაკი არ მოგვიხდებოდა. მაგრამ, ლვოის მადლითა, უმრავლესი ნაწილი დასავლეთ ევროპის და რუსეთის განათლებული ქალებისა და ამერიკაში თითქმის ყველანი—სულ სხვანაირათ სჯიან ახლა ქალის დანიშნულებაზე და ისინი სხვაფრივაც მოქმედობენ იმისთვის, რომ ქალებმა შემდეგში მაინც, ამ თავის დანიშნულებისა დაგვარათ, ცხოვრებისა და მოქმედების უფლება შეიძინონ.

ჩვენი დედა-მიწის ზურგზედ ისეთი სულდგმულები არიან, რომელთაც ვერას გზით, ათასი საბუთით და არგუმენტითაც, ვერ დაუმტკიცებ რომელსამე ახალს აზრს და ვერ ჩააგონებ ამ აზრის ან სხვა რომელიმე საქმის სიკეთეს და სარგებლობას. ამისთანა სულდგმულებს გარდა, ახლა თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ქალების კაცებთან გათანასწორება, ე. ი. იმათთვის ყველა იმ უფლების მინიჭება, რაც კაცებსა აქვთ, შეუმსუბუქებს მამობრივ სქესს ცხოვრების მძიმე ტვირთს და საზოგადოთ გააერთიანებს მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას.

ამ საგნის თეორეტიკულ მხარეზე ბევრი რამ არის წათქვამი და დაწერილი უცხო ქვეყნების და თითქმის ჩვენს ლარიბ ლიტერატურაშიაც, და ყველასათვის, ვი-

საც კი გონება მამა-პაპური აზრებითა და ცრუ-მორწმუ-ნებით არა აქვს დახშული, ცხადად დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორათ არის გაჩენილი, რომ იმის დამონავება სხვა-და-სხვა უფლებების წართმევა, სიკეთის მაგივრათ ვნებს კაცობრიობას და აფუჭებს იმის ბუნებას და ხასიათს, როგორც საზოგადოთ გაფუჭებულია ყოველი „მონისა“ და „ბატონის“ ბუნება და ხასიათი, დამტკიცებულია, რომ ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობისთვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხშირათ ხელსაც ისეთნაირათვე შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთოთ მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას. ერთი სიტყვით, დამტკიცებულია, რომ ცხოვრებაში ქალს ყოველ-ა იმ მოვალეობის და საქმის ასრულება შეუძლია, რასაც ამ ჟამათ მხოლოთ კაცები ასრულებენ. მაშ, თუ ეს ასეა, რატომ ყოველგვარი უფლება, ყოველი საქმე მარტო კაცებსა აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები? ნუ თუ ჩვენ ცხოვრებაში ქალებისათვის საქმე აღარ არის? ნუ თუ, მართლა, თავის ცხოვრების გაუმჯობესობისთვის და ბუნების გამოსაყენებლათ კაცობრიობას იმდენი მამობრივი სქესის ტვინი და ხელი აქვს, რომ ქალების შრომა იმისთვის სრულიათ საჭირო აღარ არის?..

* * *

მაგრამ ყველა ამაზე და სხვა ამ საგნის თეორეტიკულ მხარეებზე ჩვენ არ მოველაპარაკებით დღეს მკითხველს. დღეს გვსურს, გავაცნოთ მკითხველს მხოლოდ ის სახსრები და ღონისძიება, რომლითაც კანათლებული

ქალები კაცების მონობისაგან დახსნას და საზოგადოთ თავის ცუდი მდგომარეობისაგან გამოსვლას აპირებენ. თავიდანვე ვიტყვით, რომ ეს ღონისძიება — ქალების საოჯახო უფლების შეძენა, მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჭკუა-გონების გახსნაა. სამივე ესენი ისეთნაირათ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, ისეთნაირათ კუდი-კუდზე არიან გადაბმული, რომ ერთის უმეოროთ შეძენა დამეძრეს უმესამოთ — შეუძლებელი საქმეა. მართლა, როგორ შეიძლებაროგორ ქალმა საოჯახო უფლების შეძენა, ვსთქვათ, სახელმწიფო სამსახურში შესვლისა, თუ ადამიანი გონება-გახსნილი არ არის? ღარიბს, რომელსაც ლუკმა-პური არა აქვს, როგორ შეუძლია ჭკუის გამდიდრებას მისდიოს და ან უჭკუო კაცს როგორ შეუძლია თავის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესოს?

ამიტომაც ქალებმა ამ სამთავე საშუალებას ერთნაირი ყურადღება მიაქციეს და ერთნაირათ სცდილობენ როგორც საოჯახო უფლებების შეძენას, აგრეთვე სწავლის მიღებას და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობას.

როცა ამ ოცი-ოცდა ორი წლის წინეთ ქალების მოძრაობა დაიწყო, იმათ კარგათ იცოდენ, რომ პირველი მტრები ქალებისთვის სხვა-და-სხვა უფლების მინიჭებისა კაცები იქნებოდენ; ისინი კარგათ გრძნობდენ და ხედავდენ კიდეც, რომ ცრუ-მორწმუნეებით სავსე და წარსული ცხოვრების მაგალითით შემცთარი კაცის გონება ვერ წარმოიდგენდა, რომ ქალიც კაცია და იმასაც „კაცური“ უფლება — ადამიანურათ, და არა პირუტყუულათ, არსებობისა უნდა ჰქონდეს. ამიტომაც თვითონ

ქალები, თავის საშუალებით და ჭკუით, შეუდგნენ საქმეს და დაიწყეს მეცადინეობა თავის გარკვეული მიზნის მისაღწევათ. პირველათ ეს მეცადინეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ქალები და ზოგი განათლებული კაციც სცემდენ ათასნაირ წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს, რომლებშიაც სწერდენ ქალების ცუდ მდგომარეობას და უჩვენებდენ საზოგადოებას დამმართებლობას იმ გზებსა და სახსრებს, რომლებითაც ამ ცუდი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იყო. ამ ნაირათ ისინი ქადაგობდენ და ავრცელებდენ საზოგადოებაში ქალების კაცებთან გათანასწორების აზრს.

ყველაზე უფრო გაცხარებული ეს სიტყვითი, ლიტერატურული მოძრაობა ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და ამ უკანასკნელ დროს რუსეთში იყო. ამნაირი ქადაგებით ქალებმა ამ ქვეყნებში ბევრი მომხრე შეიძინეს და თავის აზრები გაავრცელეს საზოგადოებაში: ახლა ყოველ განათლებულ კაცს რცხვენოდა, ეთქვა, რომ ქალი მარტო საარშიყოთ არის გაჩენილი და იმის საქმე მარტო შვილის შობა და სტუმრის შექცევა არისო. ამას მაშინ და ხშირათ ახლაც მხოლოთ ზოგიერთი ჯიუტი და გონება-დახშული პირი ამტკიცებდა.

მაგრამ მარტო ლიტერატურული მოძრაობით, მარტო ქალების სასარგებლო აზრების გავრცელებით, მაგდენი არაფერი არ გამოდიოდა: იმათი მდგომარეობა ისევ უწინდელურათ შევიწროებული რყო. მაშინ ქალებმა მიაქციეს ყურადღება ერთს საშუალებას, რომელსაც ყოველთვის და ყველგან მიმართავენ ხოლმე, როდესაც რომელიმე მძიმე საქმის ასრულება ჰსურთ: მე ვამბობ ასოციაციაზე. დარწმუნდენ თუ არა ქალები, რომ განცალ-

ვევებულიან მეცადინეობენ, ისინი ბევრს ვერას გააკეთებენ, იმათ ასობით და ათასობით დაიწყეს თავის შეყრა და ერთად, ნასოციაციით, შეუდგნენ თავის საქმეს. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან ყოველ წელიწადს ათასობით იკრიბებიან მიტინგებზე ქალები, ლაპარაკობენ თავის მდგომარეობაზე, ეძიებენ თავის მოუნობის მოსასპობელ საშუალებებს, მართავენ ქალების თვის სასწავლებლებს, ეხმარებიან ქრთმანეთს ისეთი მუშაობის მოპოვებაში, რომლითაც ქალს კაცისაგან დამოუკიდებლობა შეუძლია. ამ მიტინგებზე ათასობენ ესწრებიან კაცებიც და ამნაირათ, იმათი საშუალებით, ქალები უფრო მსწრაფლათ და უფრიდ ყარგათ ავრცელებენ თავის აზრებს, ვიდრე ბეჭდვით.

* * *

ახლა ვნახოთ, როგორ მოქმედებენ ზოგიერ გააკეთეს იმ განათლებულ ქვეყნების ქალებმა, რომელთაც თავის შეეიწროებული მდგომარეობა იგრძნეს.

არც ერთ ქვეყანაში ქალებსა ისეთი უფლება

მართლეებათ, პროფესორებათ, ექიმებათ, ფოსტაში და ტელეგრაფში მსახურობენ და სხ.

ნიუიორკში და ვაშინგტონში არის ამ ჟამათ მუდამი ქალების კონგრესი; ვაშინგტონისწ კონგრესს „ქალების პარლამენტი“ ჰქვია. უკანასკნელ დროს ამ პარლამენტმა წინადადება შეიტანა ამერიკის კონგრესში, რომელშიაც თხოულობდა, რომ ქალებსაც მიენიჭოს დეპუტატების ამორჩევისა და საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლებაო, რომ, ერთი სიტყვით, განსხვავება ვაცებსა და ქალებს შუა ამ მხრითაც მოისპოსო. ერთ შტატში ქალებს აქვთ ამ ჟამათ მინიჭებული ამორჩევითი უფლებანი. ყველა ამის მიღწევა და ამ თანამდებობის მოხმარება, უეჭველია, ქალებს არ შეეძლოთ, უმაღლესი განათლების მიღების (ე. ი. უნივერსიტეტში და კოლეგიებში შესვლის) ნება რომ არ ჰქონდეთ ამერიკაში.

ამერიკაში ძალიან ბევრია ისეთი საშუალო სასწავლებელი და შკოლაა, სადაც ყალები და ვაჟები ერთათ სწავლობენ; ხშირათ 15—16 წლის ახალგაზდა ქალი და 18—20 წლის ყმაწვილი ვაცი ერთათ სხედან, ერთს სკამზე. მაგრამ ეს არ უშლის ხმათ მასწავლებლის ყურის გდებას და ისიგეჯიფქს სწავლაში, და ამისგან ქალ-ვაჟი სასწავლებლებში არაფოდეს არც ზნეობის დამარღვეველი და არც საზოგადოთ გასაკიცხი რამ შემთხვევა არ მომხთარა.

ზემოხსენებული უფლებებიც ასე ვსთქვათ, საგმოქალაქო უფლებებია. ახლა ვნახოთ, როგორ მდგომარეობაშია ამერიკის ქალი შინაურობაში, ოჯახობაში.

* * *

საწაო საზოგადოებაი იმდენათ განათლებულია, როგორც ამერიკაში, სადაც ცოლ-ქმრობა მხოლოთ ერთმანეთის სიყვარულზე და ნდობაზე და არაფზითევზეა დამყარებული და კიდევ, საზოგადოთ ყოველ ქალს ისეთი შრომის ასპარეზი აქვს გახსნილი, რომ ყოველთვის შეუძლია თავის ჭკუით და ხელებით დაირჩინოს თავი, იქ, რასაკვირველია, ქალი, როგორც სხვა მხრივ, არც ოჯახობაში იქნება კაცისაგან დამოკიდებული. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ამერიკაში არც ქმრიანი და არც გასათხოვარი ქალი კაცს მონათ და ჭკუით ბავშვათ არ მიაჩნიათ, როგორც სხვაგან: ყოველ საზოგადო და კერძოობით საკუთარ საქმეებზე ცოლი და ქმარი ერთათ მოილაპარაკებენ, ერთათ აქვთ რჩევა და ერთათ გადაწყვეტენ, როგორც სჯობია

ამ ოჯახის რჩევაში ხშირათ გასათხოვარი ქალიც ილებს მონაწილეობას. მაგრამ ახალგაზდა ქალს თავის ნაცნობები და მეგობრები ჰყავს, თავის საქმე აქვს და საზოგადოთ, როგორც ჭკუა უჭრის, ისე სცხოვრობს თავის საკუთარ საქმეში თვითონ ისაა ბატონი და, იმიტომ უნებლიეთ, არავის არ შეუძლია ამ საქმეში გაერიოს ხშირათ ახალგაზდა ქალს ეწვევა სტუმრათ რომელიმე ყმაწვილი კაცი; ისინი მარტოთ-მარტოკა დასხდებიან ცალკე ოთახში და რაზედმე ლაპარაკობენ ერთ დედას არ მოუვა აზრში, და ვერც გაბედავს, რომ შეიჭვრიტოს ქალის ოთახში. თავის ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ, ყოველი დედა დარწმუნებულია, რომ იმის ახალგაზდა ქალი საზარახისს არაფერს არ იქს და არც ყმაწვილი კაცი იბედრებს და ვერ გაბედავს იმის ქალის გაუპატიურებას, რადგან ამის შემდეგ ამ ყმაწვილ კაცსა

არა თუ იმ ქალაქში, მთელ ამერიკაშიაც ალარ შეეძლებ ცხოვრება, ისე სდევნის და იმდენად ჰკიცხავს იმასაც ზოგადოება. ერთი-ორი ამისთანა მაგალითის შემდეგ ქალის გაუპატიურებათ არავის არ მოსვლია აზრში...

* * *

რას იტყვიან ჩვენში—მგონია ახალგაზდა ქალი და ვაჟიკაცი დაინახონ ერთათ, ცალკე ოთახში? ან რომ ეგორ შეხვედავს საზოგადოება, მაგალითათ, იმასაც, რომ ახალგაზდა ქალი და კაცი ხელი-ხელს გაყრილნ ერთათ დაიარებოდენ საღმე ქალაქს ბარეთ ან ქუჩაში? ეუჭვენლიკა, ყველა ძალიან იკვიანათ შეხვედავს ამ გარემოებასა, „ცოდვა არიგებენ, სიყვარულს უცხადებენ ერთმანეთსო“, იტყვიან. და ვინ დაამტკიცებს, რომ საზოგადოება შემცდარია, როცა ამისთანა აზრის არის. ჩვენი ცხოვრება ინნაირათ გამართული, ჩვენ ისეთს თვალით უყურებთ ქალებს, რომ მართლა ამათ ნახვის დროს ჰეტრუტყვული გრძნობის, დაკმაყოფილებისა და იარშიყობის მეტი აზრში არაფერი არ მოგვდის... საზარელია ამისთანა შეხედულება ქალის შესახებ, მაგრამ ამაში ერთი მხრით ჩვენი ქალებიც დამნაშავენი არიან.

ვინ იცის, იქნება ერთი მიზეზთაგანი ამ ბედნიერი ცხოვრებისა და ცეთილ-მდგომარეობისა, რომელშიაც ამ ყოფება ამ ჟამათ ამერიკა, ის გარემოებაც იყოს, რომ იქაური ქალები ყველაზე უფრო ნაკლებათ არიან კაცებისაგან დამოკიდებული, რადგან ყველაზე უფრო მომეტებული უფლებები აქვთ მინიჭებული. იქნება, ეს ამერიკელი ქალების დამოუკიდებლობა იყოს იმის მიზეზი, რომ ამ ქვეყნის ცხოვრებას, სიმდიდრეს დიდგანათლებას

ბრიტანეთის ყველა ევროპის ხალხი შენატრის. თუ ამაში ერთი იოტი ეჭვმარიტება მაინც არის, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, რამდენად წინ წაიწევს კაცობრიობის ცხოვრება, როდესაც ყველა ქვეყანაში ქალებს შრომის, განათლებისა და თავისუფლად მოქმედების სრული უფლება მიეცემათ.

* * *

ამერიკის შემდეგ ყველაზე უფრო გაცხარებული მოძრაობა ქალების სასარგებლოთ ინგლისში იყო. საზოგადოთ ინგლისელებს ისეთი ხასიათი აქვთ, რომ ყოველი ძველი, თუნდა ცუდი და მავნებელი ჩვეულების ფეხზედგება და რომლისამე ახალი აზრის შეთვისება და ახალი ნაბიჯის გადადგმა ცხოვრებაში ძალიან ეძნელებათ. მაგრამ, თუ კი ინგლისელმა ერთხელ რაიმე საფუძვლიანათ გარგო, თუ კი ერთხელვე მიხვთა, რომ ეს საქმე უარგის იქნებაო, ან მეორე ცუდიო, მაშინ იმას ვერაფერი ვერ დაიჭერს: ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ თავის გაგებისა დაგვარად, მოიყვანოს სისრულეში ეს საქმე. სწორედ ამნაირათ იყო ინგლისელი ქალების საქმეც: შვრნი, არც ერთ განათლებულ ქვეყანაში ქალი ისეთს ცუდს მდგომარეობაში და კაცისაგან ისე დამონებულები არ ყოფილა, როგორც ინგლისში. მაგრამ ინგლისის საზოგადოება ამ საუკუნის მეორე ნახევრამდი ამას სრულებით არ აქცევდა ყურადღებასა. „ჩვენ მამა-პაპების დროს ასე ყოფილა ქალები და ახლა ასე უნდა იყვნენო", ამბობდენ ინგლისელები: „ჩვენი დედები და ბებიებიც ამნაირადვე ყოფილან კაცებისაგან დამოკიდებულნი და უფლება ჩამორთმეულნი, და ჩვენ ცალგრეთვე უნდა ვი-

ყვნეთო“, ამბობდენ ინგლისელი ქალები. დიახ, საუბე-
დურეთ, ამნაირ სიტყვებს ხშირად მარტო ჩვენში კი
არა, განათლებულს ინგლისშიაც გაიგონებთ. მაგრამ გან-
სხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იქ, ადრე თუ გვიან,
გაარჩევენ მაინც კარგსა და ცუდს და, თუ კი ერთხელ-
ვე გაიგეს, ყოველ ღონეს ხმაროობენ, ცუდი მოსპონ და
კარგი შემოიღონ. ჩვენ... მაგრამ ჩვენ ცუდ მხარეებზე
თუ დავიწყე ლაპარაკი, ერთობ დიდხანს მოგვინდება გა-
ჩერება და საქმეც შორს წავა...

ამ ოცი-ოც-და ათი წლის წინეთ ჩამოვარდა პირვე-
ლათ ინგლისში ქალების მდგომარეობაზე ლაპარაკი. ყვე-
ლაზე უფრო ძლიერი დაჩაგრონებელი სიტყვა ქალების
საკარგებლოთ ჯონ-სტუარტ-მილმა და იმის ცოლმა სთქვეს.
მას შემდეგ ქალების მდგომარეობაზე და იმათ კაცთან
გათანასწორებაზე ლაპარაკი და მოძრაობა ინგლისში არ
გაწყნარებულა. ქალების ასოციაციები, საზოგადოებები
და კლუბები, რომლებიც ზევით მოვიხსენე, ყოველ წე-
ლიწადს იკრიბებიან ლონდონში, სცემენ საქალებო ჟურ-
ნალებს და გაზეთებს, კითხულობენ სახალხო ლექციებს
ქალების შესახებ, ეხმარებიან ღარიბ და უპატრონო ქა-
ლებს მუშაობის და საქმის მოპოვნაში და ხსნიან ისეთ
მაღაზიებს, სადაც მარტო ქალებს აძლევენ სამუშაოს და
მარტო იმათ ხელ-საქმეს ჰყიდიან; წელიწადი არ გავა,
რომ ამ ასოციაციებმა პარლამენტში ათასი ქალისაგან
ხელ-მოწერილი თხოვნა არ შეიტანონ, რომელშიაც ხსი-
ნენ ისეთივე უფლების ფინიჭებას თხოულობენ, რო-
გორიც კაცებს აქვთ. მარტო შარშან წინ, მაგალითად,
117 პეტიცია (თხოვნა), 42,954 ქალის ხელ-მოწერილი,
შეიტანეს იმათ პარლამენტში ამისაგამო, რომ ამ დროს

იქ იყო სულ ერთ ერთ, მიეცეს ქალებს ქონებითი უფლება თუ არაო (უნდა იცოდეთ, რომ 1869 წლამდე ინგლისელ ქალებს საკუთრების უფლება არ ჰქონდათ. ყველაფერი, რასაც ქალი თვითონ შეიძენდა, ან რაც დედ-მამისაგან მოჰყვებოდა, ყანონით ძალითა ქმრისაგან უკითხველ-მფლობელობა შეიბოყო. ამ წელს ეროვნულ-ეროვნული შეკრების ეს კანონი) ინდმეს გარდა ამ წელსავე 260 პეტიცია შეიტანეს ქალებმა, რომელშიაც თხოულობენ, რომ ჩვენც მოგვეცეს ძმორჩევნი უფლებები. ეს. მოგვეცეს კენჭი, რომ პარლამენტისთვის დეპუტატების ამორჩევაში მივიღოთ მონაწილეობა. ამ ორმა სამოკალთხოვნაზე 61,548 ქალს მოეწერა ხელი, ორმოცი ასეთი პეტიცია შეიტანეს, რომლებშიაც თხოულობდენ ქალაქის გამგეობაში (მუნიციპალიტეტში) მონაწილეობის მიღებასაც.

ეროვნულ სიტყვით ინგლისელ ქალი მოსვენებას აძ-ლევს ფიქრის მმართველობასაც. ეს საძსახურში შესვლის ნება მოგვეცეს, უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებელი გაგვიხსნეს, ან კაცების უნივერსიტეტში შეგვიშვი, ან სწავლოთ, და სხვა. ამათმა, მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. სხვა-და-სხვა, ეამოქალაქო უფლებას გარდა, ამათ ამ უკანასკნელ დროს შეიძინეს უნივერსიტეტში შესვლის უფლება: დღეს ქალები ედინბურგის, კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიარებიან და ბაყებთან ერთად ისმენენ ლექციებს.

*

***

ინგლისში ბევრ ეროვნულ ნაწილი ვერ უყურებს ისე ცოდათ ქალს, როგორც ფრანგები. ფრანგების აზრით,

ქალიშვილობა კაცის სათამაშოთ, დროს გასატარებლათ და სვარშიყოვნ აზრს გაჩენილიყ. დღემდი თვით უგანათლებულესნ და მოწინავე სწავლულებიც (მაგალ. პრუდონ), ამისთანა აზრის ბუნენ ქალებზე. მაგრამ ახლა, როგორც ყველგან საფრანგეთშიაც ისეთი პირები ნლმოჩნდენ, რომელთაც ნამდვილის ცოდნა პირუტყვული ფრძნობით დაბრმავებულნ, თვალით დაინახეს ქალების ბაბეემული მდგომარეობა, და ისცდილობენ იმათ ფეხზე დაყენებას. ამას წინეთ პარიკის ქალებმა გახსნეს საკუთარი კლუბი იმ განზრახვით, რომ ქალები, რომელნიც თავის ბუნებულ მდგომარეობას გრძნობენ, დაუახლოვდენ ერთმანეთს და ერთად იმოქმედონ. პარიკშივე გამოდის ორი ს ქალების გაზეთი, რომელნიც ავრცელებენ საზოგადოებაში ქალების განთლებისა და იმათი შრომის ფეროვანათ დასაჩუქრების აზრებს. ამ ხუთი, თუ ექვსი წლის წინეთ 20,000 ახალგაზდა ყველმა ერთმანეთს, სანამ ალმოჩრჩევითი უფლება ნრომგვეცემა, მანამ ნურც ერთი ჩვენთაგანნ ნუ ფათხოვდებაო. ეგონათ, ამით ძალა-უნებურათ მიიმხრობდენ თავისკენ იმ გაცებულ, რომელნიც ცოლების შერთვას ნპირებდენ, და ისინი ქალიშვილების უფლების მინიჭებაზედ კანონმდებელ კრებაში მეტადნ ეობნ ლაწყებდნ. მაგრამ შესცბენ და კიდეც რომ დაეწყოთ შეცალინეობა, ნაპოლეონს ხელიდან ამბა რა სიკეთე და რა უფლება უნდა ფამოეტანათ! ამას გარდა შარშან წინ პეტიცია შეიტანეს ქალებმა კანონმდებელ კრებაში აგრეთვე იმათი უფლების მინიჭებაზე, მაგრამ ისიც უნაყოფოთ დარჩა.

ბუკანეს ბელ ომიანობის დროს, საფრანგეთის ქალებმა თავის თავგანწირული მოქმედებითა ბ მამაცობით, დაამტკი-

ცეს. ოთხ ოსინი მარტოოცებმა ამამაშოთ, ორ ქრიან
გაჩენილნი, რამდენის მამულის-მოყვარეობა, რამდენნ გა-
საკვირველი თავ-დაუზოგავობა, რამდენი გულ-კეთილობა
და ჭეშმარიტ ქალებმა, ეს ეროვნულ, სამშობლოს
თისთვის საუბედურო და საშინელ-ღელეგ ბრძოლაში! მოვ-
დრო, როცა ომგვარი მაგალითებისა და თავისუფალ-ა-
ბრინ გავრცელებისა საშუალებით, ფრანგი ომესცვლის
ვისტპირუტყულ შეხედულობა ქალზე, ადამიანთ ჩან-
ოიცხულ ქალს ადამიანურ უფლებას ამიანიჭებს.

* * *

საფრანგეთზე უკეთ ქალებს, გერმანიაში მიეყვ-
ვიანი საქმე, ბევრ საზოგადოთ კაცების განათლ-
ბა, აგრეთვე ქალებისაც, გერმანიაში, ამერიკას, გარ-
სხვა ყველა ქვეყანაზე უკეთ. მიდის პრუსიაში, გენ-
კუთრებით, უთვალავ საქალებო შეოლა, თუ მართებ-
ლობისაგან და თუ თვით ქალებისა ასოციაციებისაგან
მართული. ამ დაბალ-ბ-ბ-ლებში ყველაზე მეტი ყურად-
ება ხვა-ადასხვა ხელ-საქმესა და ხელ-ოსნობას აქვს მი-
ცეულ. ბერლინში არის ერთი ლიცეია, საადაც ახალ-
გაზდა ქალები და ვაჟები ერთად დაიარებიან ლექციებს
მოსასმენად. ბერლინის საქალებო ლიცეიაში 110 ქა-
ლმ დაიარება და, სხვათა შორის, ანატომიასა, ფიზიო-
ლოგიას, ბავშვებზე მოვლას და სხვა საგნებს სწავლო-
ბენ. ლეიპციგის სკოლაში, რომელიც ქალებ ასოცია-
ციამ გახსნა, ვაჭრობას, მეურნეობას და ოჯახობას ეს-
წავლიან ქალები.

შარშან წინ, ნოემბერში, მრავალი ქალი და კაცი
შეიკრიბა ბერლინში და მოილაპარაკა იმაზე,— თუ რა

ლონისძიება უნდა რიხმარონ, რომ ქალების ახლანდელი მდგომარეობა გაუმჯობესონ. ამ კონგრესზე იყვნენ დეპუტატები (ქალები და კაცები) მრავალი ამგვარი საზოგადოებისა ამერიკიდან, ინგლისიდან და შვეიცარიიდან. კონგრესის პრეზიდენტათ ამორჩიეს პროფესორი გოლცენდორფი, ვიცე-პრეზიდენტათ ხდა სეკრეტრათ ქალები იყვნენ. სხვათა შორის, გამოჩენილმა მწავლულმა ბიუხნერმა, კონგრესზე თქვა: „ახლანდელი საქალებო სასწავლებლის პროგრამა აღრულია. უნდა შეიცვალოს, რადგან ამ სასწავლებლიდან გამოსული ქალი სრულიათ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას; ქალები არც მასწავლებლებათ ვარგან და რიგიანად ვერც თავიანთ შვილებს ზრდიან. ამ სასწავლებლიდან, ბიუხნერის სიტყვით, გამოდიან ისეთი მანდილოსნები, რომელთაც მხოლოთ სტუმრის ძღვნება და მამათთან ტრაკტიკი შეუძლიათ. „კარგათ“-ო დიდი ხნის მოლაპარაკებისა და ბჭობის შემდეგ, ბერლინის ქალთა კონგრესმა შემდეგი გადაწყვიტა: 1) „ბერლინის ქალთა საზოგადოებამ (ასოციაციამ) მუდამ კავშირი და პიწერა-მოწერა უნდა ექმნეს უცხო ქვეყნების ამგვარსავე ასოციაციებთან, რადგან ამ საქმეში მხოლოთ ერთათ და ერთნაირათ მოქმედება, საზოგადოთ, ქალების ცუდ მდგომარეობას შეამსუბუქებს; 2) უნდა დაეარსოთ საკუთარი ორგანო (გაზეთი ან ჟურნალი), რომელშიაც მხოლოთ ქალების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და განათლების საშუალებაზე იქნება საუბარი, და 3) უნდა კეთდეს თოთ ქალებისათვის უმაღლესი და აგრეთვე სახელოსნო სასწავლებლები“.

მას შემდეგ ეს კონგრესი მუდამ წელიწადს იკრიბება და ნელ-ნელა აკეთებს თავის საქმეს. ამნაირი, მაგრამ უფრო პატარა კონგრესი და ასოციაცია, მარტო ბერლინში კი არა, სხვა გერმანიის ქვეყნებსა და ქალაქებშიაც არის.

*
* *

ესპანიაში ქალები დაიარებიან მადრიდის უნივერსიტეტში; იმათთვის იქაური პროფესორები ცალკე ლექციებს კითხულობენ, შვეიცარიის მმართველობამ ამას წინეთ კოროლინის უნივერსიტეტში სიარულის ნება მისცა ქალებს, რომელნიც სტუდენტებთან ერთათ ისმენენ თითქმის ყოველგვარ ლექციას. აგრეთვე დანიაში ქალები დაიარებიან კოპენგაგენის უნივერსიტეტში და, როგორც ამბობენ, მშვენივრათ სწავლობენ და კარგათ ესმით ყველა ძნელი მეცნიერების საგნებიო. ნორვეგიაში ქალებს აძლევენ სასოფლო შკოლების მასწავლებლობის ალაგს.

ამას გარდა თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოში და აგრეთვე რუსეთშიაც ქალებს ამ ჟამათ ტელეგრაფის და ფოსტის სამსახურში იღებენ.

*
* *

რუსეთში ქალებზე ლაპარაკი პირველათ 1861 წელს დაიწყეს, როცა, მაშინ დიდი გავლენის მქონე ჟურნალში, — „თანამედროვეში, — დაიბეჭდა უფ. მ. მიხაილოვის საკუთარი და ნათარგმნი სტატიები ქალთა მდგომარეობაზე. მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებულათ რუსეთში ქალებზე და სხვა ბევრ რამეზედაც დაიწყეს ლაპარაკი მაშინ, როდესაც 1863 წელს დაიბეჭდა ამ საქ-

მის შესახებ რომანი... მას შემდეგ რუსულ საზოგადოებაში და ლიტერატურაში თითქმის არ გაწყვეტილა ამ საგანზე სჯა: ყოველი გაზეთი და ჟურნალი, ყოველი გაანათლებული და გაუნათლებელი საზოგადოების წევრი ვალდებულათ რაცხთა თავის თავს, რაიმე დაეწერა, ან ეთქვა რუსის და უცხო ქვეყნების ქალების მდგომარეობაზე. ზოგიერთი იმ ახალი აზრისა და საქმისა, რომელსაც რომანისტი ქადაგობდა, აღსრულებაშიაც მოიყვანეს, მაგ., დაარსეს ქალთა სახელოსნოები და სხვ.

ამ დროს პეტერბურგის ქალებს უნივერსიტეტში და მედიცინის აკადემიაში ლექციის მოსმენის უფლება ჰქონდათ შემდეგ მხოლოთ ერთი ქალი (კაშევაროვა) ლაბორატორიებში მედიცინის აკადემიაში და სხვა სტუდენტებთან ერთად ისმენდა ლექციებს. რუსეთში აგრეთვე ქალებს უფლება აქვთ საქალებო სასწავლებლებში მასწავლებლობისა და ბუღგალტრათ სამსახურისა.

1867 წ., როდესაც რუსეთის ნატურალისტების კრება იყო პეტერბურგში, იქაურმა ქალებმა შეიტანეს კრებაზე ქაღალდი, რომელშიაც სთხოვდენ პროფესორებს, გვიშუამდგომლეთ. რომ ჩვენ უნივერსიტეტში ბუნებითი საგნების სმენის ნება მოგვეცესო. მაგრამ პროფესორების რჩევამ გამოუცხადა იმათ, თქვენი თხოვნის ასრულება არ შეგვიძლიაო...

1868 წ. ოთხასზე მეტ ქალმა შეიტანა ქაღალდი უნივერსიტეტში და ქალებისთვის ლექციების სმენის ნებას თხოულობდენ. ეველა რუსეთის ქალაქიდან მოსულიყვნენ მაშინ პეტერბურგის ქალებს ადრესები, რომ ლებშიაც თანაგრძნობას და მადლობას უცხადებდენ

შათ ამ საქმეში შეცადინეობისათვის *). ოაგრამ სახალხო განათლების სამინისტრომ უპასუხა მათ, რომ ქალების-თვის-სხვა-საკუთარი-სასწავლებლები გახსნილიო, სადაც სწავლის მიღება შეგიძლიათო, და ქალების უნივერსიტეტში შესვლა კი ჯერ უდროოთ დაინახა და ამიტომ უარი უთხრა პეტერბურგის ქალებს.

*) მაშინ ამბობდენ, ოგორც ბოგორი ჩვენით ქალაქიდანაც გვეგზავნოთ, პეტერბურგში თანაგრძნობის ადრესები. ეს კი მეცოდინებოდა, რომ ამ დროს ქუთაისიდანაც უნდოდათ გაგზავნა თანაგრძნობის ადრესისა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ზოგ ამბობდა: ჩვენ ვინ გვკითხავს, რა ჩვენი საქმეაო! ზოგი: ჯერ თფილისის ქალებმა გაგზავნონ, მერე ჩვენც გავგზავნითო... მართლა ეს უბრალო გაბედვაც საკმარ-ეფექტიანი-ეფექტისთვისაც ჩვენს ქალებს ოგორ-ოგორის შედეგენ მოუნდებაო.



1872 წ.

ა რ ს ე ნ ა.

არსენას ლექსი (სახალხო პოემა) **და მენახირის ნაამბობი** (პოემიდან „კაკო“)—**გამოცემული 1872 წ. თფილისში ნიკ. ყიფიანისაგან. (ისყიდება სახალხო წიგნების გასამრავლებლათ).**

სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე,
არსენა, გაგიმარჯვდესა:
მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ,
დმერთი როდი წაგახდენსა!

ჯერ ორი კვირაც არ გასულა, რაც თფილისში დაიბეჭდა ის პატარა წიგნი, რომლის სახელი ჩვენ ზევით ამოვწერეთ. სულ ათას ორასი (1200) ეგზემპლიარი იყო დაბეჭდილი, მაგრამ ისე დაიტაცეს ამ ჩვენ ქალაქში ეს წიგნი, რომ ამ ჟამათ თითქმის სულ აღარ მოიპოვება გასასყიდათ და ამის გამო ბეჭმომცემელი მეორე 1200 ეგზემპლიარის დაბეჭდვას შეუდგა. ამ ორი კვირის განმავლობაში ბევრს თვალისს და გონებისათვის სასიამოვნო სურათს ნახავდა ქართული მწიგნობრობისა და ქართველი ხალხის მოყვარე კაცი: სადაც გაიხედავდი, დაიხახავდი თავ-მოყრილ პატარა ბიჭებს და ზოგან დიდებსაც, ერთ მათგანს უჭირავს ხელში პატარა, წითელ ყდიანი წიგნ-

და ხმა-მაღლა ჰკითხულობს; სხვებსაც იღლიაში ამოუდ-
ვიათ ამისთანა წიგნები, გაჩერებულან, დაყურსუგდებენ-
ორ კვირაში ერთმა ათას ორასი წიგნი გაყიდულიყოს, ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქუჩაში-ეკლესიასახლში-რომ ჰკითხულობდენ ქართველები ქართულ წიგ-
ნებს, მაშინაც ბედნიერათ ჩათვლიდენ თავიანთ თავს.

მგონი, ჩვენ ქვეყანაში ისეთი ქართველი არ მოიძებნებაო, რომელსაც ზეპირათ (ეთუ-არ უსწავლია) არსენას ლექსის უკანასკნელი ათჯერ მაინც (გაუგონია) ან მესტვირესაგან ან ყაზანდრისაგან ან სხვა ვისმესაგან. განსაკუთრებით ჩვენ-ოხოტელელ ხალხს ძალიან უყვარს არსენა; თითქმის ყოველ მხარეში (იმერეთში, კახეთში, რაჭაში, გურიაში) ყოველ სოფელში ახვა-დასხვა არსენას ლექსის ვარიანტს იმღერიან. ყველა შენატრის მის ბედს, ყველა ლოცავს მის მარჯვენას, ყველას უკვირს მისი მოქმედება და ყველა, განსაკუთრებითოლარიბები, თანაუგრძნობენ იმას ერთი ხმიტ ყვიტ, არსენა ჩვენი საბ ხალხი გმირია!

რა-არის ამის მიზეზი? რა ძალა-ყოფილ-ყო ისეთი-
არსენა, რომელსაც ყველანი თანაუგრძნობენ?

რომ ვსთქვათ, არსენა ერთი გავარდნილი ყაჩაღი
და მძარცველი იყო-თქო, ბევრს ეკუკვირდება ეს-ეკითხავს:
განა ამისთანა კაცს თანაუგრძნობს ხალხი? განა ამის-
თანა კაცს ხდის ის თავის გმირათ? ეს კითხვა და გა-
კვირვებულ სრულიად საფუძვლიანი ეჩვენება მხოლოთ იმის-
თვისა, ვინც არ იცის, რა გვარი ყაჩაღი იყო-არსენა. და
ვინც ამგვარი მოვლენების მიზეზებზე არასოდეს არ

დაფიქრებულა. მოკლეთ ვგიწერთ იმ დროს, რომელსაც
სცხოვრებდა არსენა და იმ საქმეებს, რომელნიც ამ გმირს
ჩაუდენია და მაშინ, იმედია, დამეთანხმებით, ეროვნული
უსაფუძვლოთ არ თანაუგრძნობს ბასა.

არსენ ბაბაყოფლისა ბატონ-ყმობის ეპოქა, ქართველი
თავადიშვილისა გლეხთა სცხოვრობდა ამ ეპოქამდე ათი
წლის წინათ, ე. ი. ისეთ დროს, როცა ბატონ-ყმობის
უფლებაბ სასტიკათ დაიგენუკითხავათ სუფევდა ჩვენში.
ვინ არ იცის, ვინ არ ახსოვს ის მონების დრო, როდესაც
ყოველ „ბატონს“ შეეძლო, როგორც უბრალო
ნივთს, გაეყიდნა, ან ეგირავებინა და გაესაჩუქრა თავისი
გლეხები! ბატონს ჰქონდა უფლება, გლეხის ოჯახიდან ამა
ერთისათვის მიეყიდნა, ან ეგირავებინა, ან ეჩუქებინა
მესამესთვის; ბატონს შეეძლო ეცემა და ხან ეწვალებინა
თავის გლეხი. იმას შეეძლო გლეხის ყველა ქონება
ან საკუთრებაც მიეთვისებინა კანონით, ოქნება ხანდის
ხან ყველაფრის ამბის ნება არ ჰქონდა, მაგრამ ეს „ან-
ლოკვილ დროში“ კანონს ძალიან ხშირათ ვეერდს უვ-
ლიდენ ბატონი იყო თითქმის განუკითხველი ბატონი
თავისი გლეხის სულისა, ხორცისა და ქონებისა. ხან-
ძლიერ სასტიკათ ეკრძალებოდა ისეთ ამ უფლებასაც ვინ
ექნება გაგონილი ზოგიერთი მებატონის ყოფა-ქცევა,
რომელნიც თითქმის სულს აძრობდენ, ტყავს ატყა-
ვებდენ თავიანთ გლეხებსა?

უმეტესი ნაწილი გლეხებისა შეჩვეული იყო ამის
თანა მდგომარეობას; თუმცა ისინი გრძნობდენ თავიანთ
უბედურ მდგომარეობას, მაგრამ ჰფიქრობ-
დენ, უთუოთ ეს ასე უნდა იყოსო, უთუოთ ღმერთს
ჩვენ მებატონეებისათვის გაუჩენია ამიტომ უმე-

ტესი ნაწილი გლეხებისა ხმას არ იღებდა და გასაკვირ-
ველის სულ-გრძელობით ითმენდა ყოველ მებატონესა-
გან მიყენებულ უბედურებას.

მაგრამ, როგორც ყოველთვის და ყველგან, ჩვენ-
შიაც ამ დროს ჩნდებოდა ითიოფორელა პირნი, რომ-
ელნიც სულდილობდენ, თავი დაეხსნათ ამ მწვალმარეო-
ბიდან და რომელნიც უწინ ააღმდგებოდენ ამგვარ მება-
ტონეთა ქცევას. ამ გლეხთა დამოუკიდებელი სულიერ და-
გრძნობა ვერ ეძლებოდა ასეთ უსამართლობას და თავის
მხრით სულ ილობდა, ან ვინ რომელიმ პირებისთვის,
რომელნიც იმასაც ჩაგრავდენ და ანგარიშულიათ მეშორეო-
ბოდა ამ ქვეყანაში ვის ცარ ეუგონიათ ველათ, ამ და ამ
გლეხმა თავის ბატონი მოკლა, ან ეს ბოლოს ეს-
წყვიტა, რამდენი ქართველი გლეხი დაკარგულა და
სხვა ქვეყანაში გაქცეულა? იმერეთში მგონი ერ-
თი მებატონე არ ყოფილა, რომ გლეხი არ გაქცეო-
დეს სადმე. ყველაზე უფრო ბევრი ამერლები, თფი-
ლისში, მოდიოდენ ქართველნი და ქუთაისი იმერეთში
ფარებოდა. მებატონე დასდევდა ამ გაქცეულ გლეხს,
ეშვგრამ ესში ერთს თუ მოიყვანდა შეთოკილს, დანარჩე-
ნი კი, ვინ იცის, საიდან იმალებოდა და სად იკარგებოდა!

დიახ, გახლდათ ისეთი დრო, რომელსაც ჩვენებური
გლეხი ბედნიერათ ცხოვლიდა ბატონის თავს, თუ თავის ქვე-
ყნიდან გაქცევას და თავის სამშობლო ადგილ-მამულისა
და ქალაქის მიტოვებას მოახერხებდა. ისეთი დრო, რო-
ცა ზოგიერთის კოლ-შვილნი ტოკვებდა და ტყეში გარბოდა
საცხოვრებლათ. ეს დრო კარგი დრო არ იყო.

ამისთანა დროში დაიბადა ერსენა, რომის ბატონისა
ბატიოსნებამ ... ღარიბთა

შემბრალებელმა გულმა ვერ გაუძლო, ვერ შეითმინა ამისთანა წყობილობა საზოგადოებისა, სრულიათ მოშორდა ამ საზოგადოებას, „გავარდა“ და დადიოდა მშიერ-ყველა“. კარგი რა უნდა ითქვასო? დროზეიდა იმ საზოგადოებაზე, ეროდესაც კაცი იძულებულია, მთელი სიცოცხლე ტყეში ბატარეის მხეცივით, ბალიშის ნაცვლათ ცინი ქვაოდაიდვას თავქვეშ, და ღეზ-ღამე თავსაწყენმდეს და ათოვდეს.

ამისთანა მდგომარეობაში იყო ბერსენა. მაგრამ მიხ-ლამი ხალხის სიყვარულსა და თანაგრძნობას სულ სხვა საფუძველი აქვს. ბერსენა ხედავდა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, ხედავდა, ვინ იყო ამის მიზეზი და ისე იქცეოდა, როგორც ეჭვა და ბონებაც უჭრიდა. ბერსენა იყო ლარიბების მეგობარი და მდიდარს, ფანსაკუთრებით სომხებსა და ურიებს ხარ სწყალობდა. ამართალია, კაცი ლარიბებისადმი სიყვარულსა და მდიდრებზე უკმაყოფილებას ისეთირებულათ ამტკიცებდა: სადაც კი დახვდებოდა მდიდრებსა და ვაჭრებს, ბრძოლა ერთმეოდა. მათ ყველაფერს ბ შემდეგ ლარიბებს ურიგებდა. მაგრამ არ უნდა ბრალი ვიწყოთ, ვინ იყო თვითონ ბერსენა და რა გზრემოებაში ცხოვრობდა ესა? უბრალო შარაბდელ ბლეხა ბმაზე მეტი რა მოეთხოვება?

ავაზაკობა და შარგ-გზაზე ვისიმე ფბეგარცვა, ეს-კვირველია, კეთილორამ ბრის ჯ. კაცი არ მოიწონებს. ამისთანა ყოფა-ქცევასა მაგრამ, თუ ადმ. უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება „შესაწყნარებელ ბიზეზებს“, ეეკვეწ-ლია, აქაც უნდა მიაქციოს. ერთი რომ დამჩაგვრელ მე-ბატონეზე ბერსენასავით გამარჯვებული ეაცი რა ა ერ იქს?! მეორეთ, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის მოტივები,

რომლებითაც ეს კაცი წელმძღვანელობდა. თავისთვის არ-
სენა მხოლოთ იმდენს იტოვებდა, რამდენიც საჭირო იყო,
რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, დანარჩენს ღარიბებს
ურიგებდა... არა თუ „მარადდელი არსენაზ, ჩვენ უფრო
განათლებული კაცების მაგალითი შეგვიძლია მოვიყვა-
ნოთ იმის დასამტკიცებლათ, თუ გაჭირვება და საზოგა-
დოების ცუდი მდგომარეობა რას აქნევინებს გამოჯავრე-
ბულს და მოთმინებისაგან დაშოსულს კაცსა.

თუმცა არც ინგლისში, არც საფრანგეთში და სხვა
ევროპიულ განათლებულ ქვეყნებში, ბატონ-ყმობა დიდი
ხანია აღარ არსებობს, მაგრამ ბარიბები და ლუკმა-პუ-
რონი იქაც მრავლის-ბრალეულნი მოიძებნება. ამ განათ-
ლებულ ქვეყნებშიაც არიან ერთის მხრით ესეთი პირე-
ბი, რომელნიც ფუფუნებითა და განცხრომით ატარებენ
დროს და მეორეს მხრივ ისეთები, რომელთაც არ იცხიან,
ქქნებაც დღე რამე საჭმელი და ღამე სადმე თავ-შესა-
ფარებელი, თუ არა. ამ ორ მხარეს შუა მუდამ გაუწყ-
ნარებელი მტრობა და სიძულვილი არსებობს: ბარიბი
და მდიდარი ძალიან იშვიათათ თავსდებიან ერთათ, რად-
გან მდიდარს უფრო ეშინოდ ჰსურს, ღარიბის შრომით
როგორმე ისარგებლოს, და ღარიბიც თავის მხრივ ცდი-
ლობს, თავის ოფლით მონაგები ლუკმა-პური მასვე
დარჩეს. ჩვენ არ მოვთვლით იმ არეულობებს, რევოლი-
უციებს და სისხლის ღვრას, რომელიც ამ ორი მხრის
მტრობისა და სიძულვილის გამო მომხდარა ევროპაში;
არაფერს არ ვიტყვით არც ზმ საშინელ სისხლის ღვრა-
ზე, რომელიც მოხდა შარშან, როცა კომუნა დაწესდა
პარიჟში და რომლის ნამდვილი მიზეზი იგივე მტრობა
და ლუკმა-პურის მოპოვების სურვილი იყო. გავახსენებთ

მხოლოთ მკითხველსა ამ სიტყვებს, რომელნიც ერთხელ „დროებაში“ იყო მოყვანილი და რომელთა კუბარიელიდან გაქცეული კომუნიზ მომხრეებმ სწერენ საფრანგეთის ბურჟუას (ჩდილრებს, კაპიტალისტებს):

„ცოდეთ ადრე თუ გვიან, ჩვენ თქვენზე ძლიერნი შეეიქმნებიო, და მაშინ საშინლათ ვადაგიხდით. მაშინ ჯერ დავზოგავთ იმათ, რომელთაც 1848—1871 წ.წ. დახოცეს ხალხი, თავებს ოგაგაყრევინებთ, თუნდ ქალთა-ვეები ფალწრაგეშმიტ ყქონდეთ შემოსილნი! თქვენ ცოლებსა და შვილებს სიკვდილი მოელოდეს, ვარ ერთს ან გვეუშვებთ ცოცხალს, იქნებაც, ღმერთმა ქნას, და თქვენი დაწყეველილი გვარი სამუდამოთ მოისპოს. ბურჟუაზიის წევრნო, ჩვენ მოგთხოვთ თქვენ ანგარიშსაც ამ, როგორი საჯარელი და საშინელი სიტყვებით შომართავენ ფრანგეთის ლარიბები საფრანგეთისავ ბედიერებს! დიახ, გამწარებული ბევრს უმსგავსოებს, ბევრს საშინელ საქმეს ჩაიდენს და ხანდისხანაც ეს საქმე იმათ მიეტევებაც.

—

ამის შემდეგ დიდათ გასაკვირი არ უნდა იყოს ეს, რომელიც ზანდახან გაჭირვების დროს სომხებსა და ურიებს დაუხვდებოდა, საღმეიდა ტუალს ან სხვა რასმე გამოართმევდა, ისიც იმისთვის, რომ მშიერ-მწყურვალისთვის და ლარიბ-ლატავისთვის მიეცა.

„ჩემი შვილი თუმანი კასპში ურიმ დიდ კლდეში დევნა, მონახე და მოახმარე ლარიბებსა და გლახაკებსაო“.

სთქვა ბარსენამ, ორომ ვიდებოდა ამ სიტყვებს მთქმელ არსენასთვის, როგორ ნარ უნდა თანაეგრძნო ლარიბ ხალხსა? ამ სიტყვებს გამგონეზალხს, როგორ არ

ბუნდა ეროვნებისთვის ერთი როდი წაგახდენსო“ და
როგორ არ ბუნდან გაეხადა ისთავის ოგმირათ?!

ხალხი აროსოდეს არ დაივიწყებს ასეთ კაცს, რომელმაც რაიმე სიკეთე მოუტანა იმას, რომელიც რითიმე დაეხმარა იმ ისტორიულ მდგომარეობას და თანაგრძნობას უცხადებს.

ამისთანა კაცი იყო არსენა. რასაკვირველია, ქართველი გლეხი თავის დღეში არ დაივიწყებს ამგვარ კაცს და იმის ხსენებაზე ყოველთვის იტყვის:

„აქაც კარგი ბიჭი იყავ, იქ ნარელტ დაგბადგესა“.

—

რაც შეეხება თვითონ ამ წიგნის გამოცემას, ჩვენ ცუდს ვერას ვიტყვით; შეიძლება უკეთესი ვარიანტი სადმე მოიძებნებოდეს, ოაგრამ რომელიც დაბეჭდილია, არც ის არის ურიგო. გამომცემელი ამბობს, რომ „ჩემდა სამწუხაროთ, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, იძულებული ვიყავი ზოგიერთი სიტყვა და ადგილი ვარიანტისა შემეცვალაო“. მართლაც ზოგან სრულიათ გამოცვლილია ლექსის აზრი. ოაგრამ ამით ბევრი არაფერი შავსტა. გარეგანი შეხედულობაც ამ პატარა წიგნისა გვარიანი ასახალხო წიგნის გამოცემის დროს კაცმა ოდენ ყურადღება გარეგან ფორმას იარ უნდა მეექციოს, რამდენიც სიიაფესა და ბეჭდვის გარეგულობაზე. ამ მხრით ეს წიგნი სრულიათ დაუმაყოფილებს მკითხველს. არსენას ლექსის შემდეგ დაბეჭდილია მშვენიერი ნაწყვეტი მოთხრობიდან „კაკო“, ოაგრამ ეს ჩვენს საუკეთესო მწერლის ცალამსრეკეთვნისა ოაზ-

რით, მთელი ეს პოემა რომ დაებეჭდა გამომცემელს ამ წიგნში, ურიგო არ იქნებოდა, რადგან „ეკოსა“ და არსენას ბევრი მსგავსება აქვთ ერთმანეთში.

ჩვენი მამები და შვილები.

თქვენ უსწავლელნო,
ცრუ-რუსთაველნო!
რათ წაგვიბილწეთ ენა მდიდარი?
მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის...
ჩირქი რათ მოსცხეთ ტაძარსა წმიდას?

„პ ა ს უ ხ ი“.

გვიან თუ მალე,
დღესა, თუ ხვალე
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება;
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ესევე მრუდეთ დარჩება!

ვერც ერთს ისეთს ხალხსა და საზოგადოებას ვერ მოსძებნით დედა-მიწაზე, რომ ყველა იმის შემადგენელი წევრი ერთნაირათ სჯიდეს და ერთგვარი აზრის იყვეს. თუ რომელიმე საზოგადოება პირუტყულათ არ ცხოვრობს და შეჩვეულია გონებითი სჯასა და მოფიქრებას, დარწმუნებული ყოვით, ამ საზოგადოების ერთი ნაწილი სხვანაირათ სჯის ყოველ საგანზე და მეორე ნაწილი კიდევ სხვანაირათ. ეს სჯისა და აზრების განსხვა-

ვება და შეტაკება რომ ჩარ იყოს, როგორც ამბობენ, არც წარმატება იქნებოდა. მართლაც, ხშირათ ჭეშმარიტება მხოლოთ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი, ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეებმიან და დაეტაკებიან ერთმანეთს.

ეს განსხვავება აზრისა და შეხედულობისა ყველაზე უფრო ცხადათ იხატება და მოჩანს ორ თაობას შუა: მოხუცებულებსა და ახალგაზდებს შუა. რომელი ქვეყანაც გნებავთ, აიღეთ, და დააკვირდით ამის შინაგან ცხოვრებას: უთუოთ შეამჩნევთ, რომ თითქმის ყოველ საგანზე მოხუცებული სხვა გვარათ სჯის და ახალგაზდა კი სულ სხვანაირათ. თითქმის ყოველ საზოგადო და შინაურულ საქმეზე მამას ერთი შეხედულობა აქვს და შვილს მეორე. ავიღოთ, მაგალითათ, საფრანგეთი: წარსული ცხოვრების მაგალითმა ძალიან ნაკლებათ ასწავლა ჭკუა იქაურ მოხუცებულებს; თუმცა ნაპოლეონის იმპერიამ და საზოგადოთ მონარხიამ უანგარიშო ზიანი მოუტანა საფრანგეთს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოხუცებულებისა ამ ჟამათ მაინც ძველი წესის დაბრუნებას ნატრობს. ახალგაზდები კი რესპუბლიკის მომხრენი არიან საზოგადოთ. აქაურ მოხუცებულებს, ჰსურთ დაიცვან მამა-პაპური წესი და ჩვეულობა, ახალგაზდები კი ახალ გზაზე დადგომას ცდილობენ. მოიგონეს, ვსთქვათ, სადმე რომელიმე ახალი მაშინა, ან რომელმამე სწავლულმა ახალი თეორია წარმოსთქვა, იმ წამსვე მოხუცებულები დაიწყებენ ყურილს, რომ ეს მაშინა არ ვარგა, ძველი ძველობიაო, ახალი თეორია შემცდარი და საეწმუნოების უარის-მყოფელი თეორია არისო. და სხვაო ეს განსხვავე-

ბა მოხუცებულებსა და ახალგაზდებს შუა ხშირათ სრულ უბრალოდ ლაპარაკი სიტყვებშიაც მოჩანს:

ვინ არ დასწრებია ამგვარ შემთხვევა, ჯაყისაჯ ლუდისა და ქალის ჩხუბს: ვაჟს უყიდნია ახალი მოლის პალტო. მამას ის არ მოსწონს: ან ცუდი ფერისაო, ამბობს, ან ცუდადაა, არის შეკერილიო. ქალს ზალიც თავ-საკრავი ან ფოსასხამი უნდა იყიდოს; ლუდას არცერთი არ მოსწონს, და ეარის ამის ირგვლივ ოჯახში ერთი გაუწყვეტელი ჩხუბი და ფეალ-მაყალი.

ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ამბებსაც შეიძლებსა ლაპარაკობენ, მოხუცებულებსა და ახალგაზდებს გაწყვეტილი შეხედულობა აქვთ ითქმის ყოველ საგნზე, ოგასაკვირველი არ არის და ალბილსთაც აიხსნება იმ ჭკვიანური ანდაზით, რომელიც ამბობს: „ჩვეულებაა სულზე უმტკიცესი“. ნამოცდილებით და დაკვირვებით ვიცით, რომ ყოველი კაცი თუ რასმეს იძენს ოონებულ გასამდიდრებელს, მხოლოდ ახალგაზდობაში ჩაუნსა ახალგაზდის ცოცხალი ფანტაზია ეკუთვნოდეს ჭკუაგონება ძალიან ადვილათ შთვისებს ყოველ ახალ აზრსა და სწავლასა. მოხუცებულობაში კაცი ამ ახალგაზდობის დროს მეთვისებული რწმენებითა და სწავლით ცხოვრობს. რამას ცოცხალ და სიცხოველათ გაბმულია დიდ ხნიდან შეთვისებული აზრები და რწმენები, ძნელათ გამოეთხოვება მათ. ერთი სიტყვით, მოხუცებული ჩაჭერებულია ერთ წერტილზე და თავის რწმენა და აზრი იმას სჯულათ მიაჩნია. სრულიათ ამის წინააღმდეგი უნდა ითქვას ახალგაზდობაზე: ახალგაზდა კაცის ჭკუას ჯერ ვერაფერი ვერ შეუთვისებია, იმას ჯერ ვერაფერი ვერ გაუხდია თავის სჯულათ. ამიტომ მას არ უძნელდება რომლისამე ახალი სწავლის ან რწმე-

ნის მიღება, რომის ჯერ ცხოვრებისადგან გაუფუჭებელი და დაღდაუსმელი გული და გონება ყოველ-თვის ისეთს ახალ სწავლასა მგელტვის, რომელიც საზოგადოების წარმატებასა და ცხოვრებისა გაუმჯობესობას გვპირდება.

დროა წინ მიდის, მას თან მოაქვს ახალი სწავლა, ახალი ჩვეულებანი, ახალგაზდები ითვისებენ ამ ცხალ სწავლას, ჩვეულებას და მოხუცებულები ძველს, მამაპაპურს ადათს კარ შორდებიან. ეს ორ-ქედანი წარმოსდგებაგის განსხვავება და ხშირათ, უთანხმოება, სიძულვილი, რომელიც მოხუცებულებსა და ახალგაზდებს შუა არსებობს.

ყველა ესეოსაზრება მართლდება ჩვენს პატარა საზოგადოებაშიაც, როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ისმის ხშირათ ჩივილი და უკმაყოფილება მოხუცებულებსა და ახალგაზდებს შუა. ამ უკმაყოფილებამ ბოლოს ერთ დროს იქამდი მიაღწია, რომ ეს ორი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ხშირათ ერთმანეთს სხვა-და-სხვა ლამაზ სიტყვებით ამკობს.

ჩვენი მამები ბრალობენ შვილებს, რომ თქვენ ურწმუნონი, უსაქმენი და ლიბერალები ხართო; ენა წაგვიბრალეთ, ... სხვა ამისთანაებს. შვილებიც თავის მხრივ სხვა-და-სხვა ... საზოგადო სიკეთეზე ... ბრალობენ ... ამას გარდა ... ეს ... ერთმანეთს ... ერთ-ერთ ... ...

რომ ჩვენი საზოგადოების ორს ნაწილს შორის, მოხუცებულებსა და ახალგაზდებს შორის უკმაყოფილება და დაუნდობლობა სუფევს და რომ ამ გარემოებას ხეირის დაყრა არ შეუძლია ჩვენთვის.

მართლა, დავანებოთ თავი იმის განხილვას, თუ რომელმა მხარემ უფრო მომეტებული სარგებლობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას? მოხუცებულებმა თუ ახალგაზდებმა უფრო ბევრი დაეხმარეს ჩვენ მხარეს საზოგადო საქმეებში და ხალხის კეთილ-დღეობის მისაღწევათ? კარგათ რომ დაფიქრდეთ და გულზე ხელი დავიდვათ, უნდა გავტყდეთ, რომ ჯერ-ჯერობით სიკეთე არც ერთ მხარეს არ მოუტანია თავის საზოგადოებისთვის.

ჩვენი ქვეყანა ეხლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იმისთვის აუცილებლათ საჭიროა, ყოველი ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეებსა და ეხმარებოდეს ამ საზოგადო საქმეების სწორე გზაზე დადგომას. ყოველი საზოგადოების წევრი, თავის შეძლების დაგვარათ, უნდა სცდილობდეს, რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოთ მაშინ იქნება შესამჩნეველი და საგრძნობელი, როდესაც ყველანი ერთათ, ძმურათ მოინდომებენ იმას და ერთათ იმოქმედებენ? მაშასადამე ამ ურთი-ერთობის განხეთქილებისაგან, ამ მამეებისა და შვილების, მოხუცებულებისა და ახალგაზდების უკმაყოფილებისა და დაუნდობლობისაგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ჩვენი საზოგადოება?! ჩვენი მტრები არის: უმეცრება, სილარიბე და სხვა ათასი და თუ ერთმანეთში შური და დაუნდობლობა აღმოვსპეთ, უეჭველია, ეს მტრები სრულიათ დაგვიშორჩილებენ და დაგვჩაგრავენ.

უკანასკნელ ორ ჭეშმარიტებას გამოვთქვამ, რომელიც, გთხოვთ, ყველამ კარგათ ჩაინერგოთ გულში:

1) საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა,

2) მომავალი ყოველთვის ახალგაზდებს ეკუთვნის.

სამი კვირა იმერეთში.

(მგზავრის დაკვირვებიდან).

გარეგნი შეხედულობა ქუთაისისა.—უწინდელი სიცხოველე და ახლანდელი მყუდროება ქუთაისის ცხოვრებისა.—იქაური ახალგაზდები და ძველი ჩინოვნიკები.—შედარება.—საზოგადო დროს გატარება.—წმინდა ნინოს სასწავლებლის ბიბლიოთეკა.—ფოთი.—ერთი თვალის გადავლება.—პორტი.—რკინის გზა.—ჭალადიდის ტყე.—საზოგადო სიტყვა იმერეთზე.—

სამი კვირის განმავლობაში არა თუ ისეთი მხარის საფუძვლიანათ გაცნობა, როგორიც იმერეთია, არამედ ორ-ეტაჟიანი სახლის მდგმურთა გაცნობაც ძნელია. მაშასადამე ამ პატარა მიმოხილვაში მკითხველი მხოლოთ იმერეთის ერთ თვალის გადავლებასა და ზოგიერთი ისეთი იქაური მოვლინების წერას უნდა მოელოდეს, რომელიც უბრალო დამკვირვებელსაც პირდაპირ და უნებლიერთ ეცემა თვალში. ამ საქმეში ცოტაოთი ადრინდელი ჩემი ცნობა იმერეთისა, ცოტა არ იყოს, ხელს შუამიწყობს.

მე გავედი ტფილისიდან აპრილის 9-ს და 29 თვისსვე 29-მდე იმერეთში, მომეტებული დრო ქუთაისში, დავყავი: ყვირილიდან ქუთაისის, ანუ უკეთ ვსთქვათ, გეგუთის სადგურამდე (24 ვერსი) რკინის გზით გავირ ე-

მაგრამ საზოგადოთ ჩვენს რკინის გზაზე შემდეგში ცალკე ვიტყვი რამდენსამე სიტყვას, როდესაც ჩემს ფოთში მოგზაურობას აღვიწერთ.

პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენ შევედით იმერეთის დედა-ქალაქში. ეს დრო ისეთი დროა, როდესაც უწინდელ დროში ქუთაისის ბულვარი სავსე იყო უსაქმო და საქმიანი ხალხით, რომელიც ხან ისხდა და ხან დასეირნობდა ზეების ჩრდილოქმნ ქვეშ და დროზე ჭორსა, დროზე მართალს ლაპარაკობდა და ამ გვარათ იმზადებდა სადილისთვის მადას. ამაში, რასაკვირველია, საქები არა არის-რა, მაგრამ ეს ბულვარში თავის მოყრა და მუსაიფი, რაც უნდა იყოს, ქუთათელთა სიცოცხლესა და სიცხოველეს მაინც ამტკიცებდა. ამისთანა სურათის დანახვას მოველოდი შე ახლაც, როდესაც სარბევში რკინის გზის ვაგონიდან გადმოვხტი და ეტლით წამოველ ქუთაისისაკენ. მაგრამ შევსცდი: ოუ ბულვარი, ქუთაისის ქუჩებიც ცალაც მივარდნილათ და მიყრუებულათ მეჩვენა; ხალხი თითქმის სულ არ ჩანს, ანა ჩანს ის მოძრაობა, ეს სიცხოველე, ურომლოდაც „იმერლის“ წარმოდგენა შეუძლებელი საქმეა. ბულვარში მყუდროება, ქუჩებზე მყუდროება, ბაზარში მყუდროება.

პირველათ ეს გარემოება მე ამას მივაწერე, რომ ისე დღე-მარხვის უკანასკნელი კვირის ორშაბათი იყო. ქუთაისელები ისვენებენ, რომ აღდგომის კვირაში უფრო მომეტებულათ იმხიარულონ მეორე, — ვსთქვი ჩემ გულში. მაგრამ ამაშიაც მოვსტყუვდი: თითქმის მთელი სამი კვირის განმავლობაში არც ერთხელ არ შემინიშნავს ქალაქში ამ დღევანდელზე მოძრაობა და

სიცხოველე. თვით ხალხზე, იმის ძგიმრტყველებაზე და სიტყვებში ეხატებათ იმ ფერლებს რაც... უკმაყოფილებათ ახლანდელ თავის ეკონომიურ ცხოვრებასა და მდგომარეობისაგან ყველა ემდურის ოლოგებს და... ძლიერ ცოტასაგან გაგონებთ ტკბილ სიტყვას, ნუგეშს და იმედს... ვაჭრები ჩივიან ვაჭრობა ალარ არისო, სახლის პატრონები უძეძენ მდგმურებსა და უფრხათ ეპატიებათ ახალ სახლს კაცი არ ეშენებს: ნეტავი ძველი გააქირავონ და ახალის აშენებაზ ვინ დასდევს ადგილის პატრონები თითქმის ნახევარ ფასად ჰყიდიან თავიანთ მამულებს ფასტუმროებში ნომრებინცარიელი ყრია, იმერელი გლეხი ხომ თავის სიღარიბეზე და საზოგადოთ ცუდ მდგომარეობაზე ახლა ადრინდელზე უმომეტებულად ჩივის, მაგრამ, რადგანაც მუდამ ჩივის, ამიტომ იმისგ ჩივილსა და ტირილს ჩვენ შეჩვეულნი ვართ და მაგდენათ ყურსაც არ ვათხოვებთ ხოლმე... ერთი სიტყვით ჩინოვნიკებსა და განსაკუთრებით ზოგიერთ ადვოკატებს გარდა, იმერეთში ამ ფამეთ ბევრს ეერ ეტყვი, რომ თავისი ახლანდელი მდგომარეობის კმაყოფილი იყოს...

ნუთუ მარტო რეინის გზის ქუთაისზე გაუყვანლობამ მოახდინა ასეთი გავლენა ქუთაისელთა მატერიალურ და ზნეობიან მხარეზე...

ნუ ფერ ერ ეარ შეაწუხებს ისე კაცსა, როგორც იმ დის მოტყუებაა. ასულ რომ არ ჰქონდეს კაცს ვისმე ერთ რისიმე იმედზ ათას წილ ათ ისეა ჯობიან ვიდრე ექონდეს იმედი და ბოლოს ეი ფრსტყუვდეს. ბევრჯელ გამხსენებია კაცის ტასოთის ეს თქმისა, ეა, ოდესაც ზოგიერთ ჩვენ ახალგაზდა განათლებულ ყმაწვილ კაცებს ცხრე-

რებასა და მოქმედებას წარმოვიდგენდი თვალწინ. მართლა, თუ არ იმათი, მაშ ვისი იმედი უნდა ჰქონოდა კაცს, რომ დაეხმარებოდენ თავის სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით ჩვენ მიყრუებულ საზოგადოებას? მაგრამ როგორ მოგვატყუილა ჩვენ ამ იმედმა! ახალი, საუკეთესო გზის ჩვენებისა და სამაგალითო, პატიოსნური ცხოვრების ნაცვლათ, ჩვენი ესრეთ წოდებული ახალგაზდობა დაადგა ისევ მამა-პაპურ გზასა, კიდემდი გავიდა ამ გზაზე და ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც გადააჭარბა იმათ, რომლების ცხოვრებასა და მოქმედებას თვითონ ერთ დროს ჰკიცხავდა და საზიზღრათ მიაჩნდა ყოველი პატიოსანი და ნამდვილი კაცური კაცისთვის...

ერთ დროს ზოგიერთი ქუთაისელი ახალგაზდები ძალიან საიმედო ყმაწვილ-კაცებათ მიმაჩნდა, მაგრამ ახლა... ახლა კი ზემოხსენებული სიტყვები, მგონი, შეიძლება განსაკუთრებით იმათ ვუძღვნათ.

—

ყოველთვის მაკვირვებდა ახალგაზდობაში ის გარეგნობა, რომ რომელიმე წვრილი, ხშირათ უმამულო და ცოლ-შვილიანი მოხელე, რომელსაც წელიწადში ბევრი-ბევრი ოთხასი მანეთი ეძლეოდა ჯამაგირიო, ისეთ ორ-ეტაჟიან სახლს წამოჰიმავდა ქალაქის საუკეთესო ადგილზე, რომ უკანასკნელი ათი ათასი მანეთი მაინც ეღირებოდა, არ მესმოდა, ოთხასი მანეთით როგორ შეეძლო ამ კაცს ერთის მხრიო თავის თავისა და ცოლ-შვილის ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვაც და მეორე მხრით ამისთანა სახლის აშენებაც. შემდეგში, როდესაც წამოვიზარდე და ცოტათი გონსიმოველი, ძერე კი მივწვდი, რომ ამ პატივცემულთ ორი ხელი აბბათ: მარჯვენა ხელ

ლით შეძენილი ფულით ისინი თავიანთ თავსა და ცოლ-შვილს არჩენენ და მარცხენა ხელით მოპოებული სა-შუალებით კი სახლებს აშენებენ... დიახ, სწორეთ ასე უნდა იყოს!

—

სხვა თვისებებთან ძველ ჩინოვნიკებისაგან ახლანდელ ახალგაზდებმა ეს თვისებაც მიიღეს. მართლაც, რომ იმერეთის ზოგიერთი ახალგაზდა ადვოკატები, რომელთაც ბედი ულიმის, ძალიან მტკიცეთ მოჰკიდებიან ამ ადგილ-მამულისა და სახლების შეძენას და იმათი შრომა უნაყოფოთაც არ დარჩენილა. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქმისათვის ეს უკანასკნელნი იმდენ შრომასაც არ ეწევიან, რამდენსაც ძველი ჩინოვნიკები ხმარობდენ. ამბობენ კიდევ, რომ ზოგიერთი ქუთაისელი ახალგაზდები იქაური ებრაელების ხელობასაც ითვისებენო და გაჭირვების დროს ხელს უწყობენ ფულის მსაჭიროებლებსაო...

როგორც შევნიშნე, ამ ჟამთ ქუთაისის საზოგადო ცხოვრება მოლუშულია. თუ ვინმე სადმე იკრიბება. დროს გასატარებლათ, ისევ თავის ნათესავებში და ახლობელ მეზობლებში. საზოგადო დროს გასატარებელი ადგილები თუმცა ბევრი აქა, მაგრამ ძლიერ იშვიათათ და ცოტანი იკრიბებიან და, როდესაც შეიყრებიან, მაშინაც არა სჩანან უდარდელი სახეები და სიამოვნებით დროს გატარების ნიშნები. ჩემს იქ ყოფნაში ერთ-ხელ „კეთილ-შობილთა კრებაში“ (Царскій домъ) როგორც აქ ეძახიან) იყო ბალი, და მეორეთ „ვაჭრების კლუბში“ ჯრც ერთში მე არ დავსწრებივარ, მაგრამ, როგორც ამბობდენ, „კრებაში“ ორჯერ ეაცი იყო,

ისევ იმიტომ, რომ იმ დღეს ამერიკელებთან უნდა ყოფილიყვნენ ხან, ვაჭრების კლუბში კი ძალიან ცოტა ხალხი ყოფილა. ცოტა ხალხი იყო აგრეთვე ორრუსულ წარმოდგენაზე, რომელიც წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოთ წარმოადგინეს კეთილ-შობილთა კლუბში. იმერლობა მაინც ბრიტანელს სრულიად არ დაეარებია ამისთანა საზოგადო საქმეებზე.

ახლა წარმოვიდგინოთ, თუ დიდმარხვის შემდეგ, ალდგომის კვირაში, ასე დიდ-მარხულათ მოწყენილ და უსიცოცხლოთ ატარებს დროებას ქუთაისის დანარჩენ დროს როგორ უნდა ატარებდეს? დიახ, ამ უკანასკნელ წლებში იმერეთს და რმის გულს, ქუთაისს, საუბედურათ, ბევრი სიცოცხლე მოაკლებია!

სადლაც წავიკითხე თუ გავიგონე ამაზე წინათ, რომ ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელთან საზოგადო ბიბლიოთეკა ერის გამართულიო... მაგრამ ნამდვილად შევიტყვე, რომ საზოგადო ბიბლიოთეკა ქუთაისში არსებობ არ ერის. წმ. ნინოს სასწავლებელთან მართალია, არის პატარა ბიბლიოთეკა, მაგრამ ისეთი, როგორიც ოთხ-ოქ მის ყოველ სასწავლებელთან მოიპოვება, მხოლოთ ის განსხვავებით, რომ ამ ბიბლიოთეკიდან ოთხ-წავლეულს გარდა, ზოგიერთ გარეშე ქალებსაც ეძლევენ წიგნებს შინ საკითხვაოდ და ამისთვის თვეში, მგონი, მანეთს ახდევინებენ.

—

ამნაირნათ მეჩვენა ქუთაისი ბითქმის ხუმი წლის უნაყ ხაობის შემდეგ: ცხოვრება და მცხოვრებლები მეყოფებულ ლი და მოლვრემილი არიან. . . . ქუთათელეულ ბის აზრით, შემდეგში ქუთაისის სოფლთ ოგადაიქცევა,

რადგან ხან-და-ხან უკან იწევსო და ვაჭრობა და მცხოვრებლები სხვა უფრო საიმედო ადგილებში გადადისო.

—

სრულებით სხვანაირი ხასიათის სურათი წარმომიდგა თვალწინ, როდესაც ფოთში შევედი; მართლაც და ცხოვრება დაულოცავრომ იტყვიან, ფოთზე შეიძლება ითქვას, აქ სჩანს მოძრაობა, ჰფეთქს სიცოცხლის ძარღვი. ეს ბაბატარა ქალაქი უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ისე გამოცვლილა, რომ იაკი ვერ იცნობს. რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ფოთი ქუთაისს ვერც სივრცითა და ვერც მცხოვრებლების სიმრავლეში ვერ შეედრება, მაგრამ, იმედია, მოკლე ხანში ორივეში გაასწრობს, რადგან ერთი — უკან თუ ვერ მიდგეს, ერთს წერტილზეა გაჩერებული, დამეორე კი — წინ წაიწევს, ფოთთან კეთდება და შენდება წარმოიდგინეთ, რა იყო ფოთი ამ 8—10 წლის წინაში: ერთი ბაობიანი, ბაყაყებით სავსე და ციებ-ბის ბუდე-ადგილი, სადაც მხოლოთ რამდენიმე ათი სახლი იყო აშენებული, ისიც ნახევარი საბელმწიფო უწყებისა. ახლა კი გიამებთ იმის დანახვა, თ. რასაკვირველია, ბაყაყებს არც ახლა ეპოვებიან ნაკლებათ, და განსაკუთრებით, საღამოობით ახლაც დაიტაბობენ ყურთა სმენას იმათი ბოკალურის კონცერტებით. სხვა მხრით ძალიან გაზდილა და გამშვენიერებულა ეს ქალაქი. ფართო და შედარებით სუფთა ქუჩები, ლამაზი ხის სახლები, ურიცხვი დუქანი და სასტუმრო, რომელნიც მუდამ სავსე არიან მდგმურებით. ყველა ეს ამტკიცებს ფოთის სიცხოველესა და წარმატებას.

—

ფოთელები ამბობენ, რომ ამ უკანასკნელ დროს აქ

ციებამ და ბაყაყებმაც იკლოო. ამისათვის ისინი უფ. სუინსონს ემადლიერებიან, რომელსაც უმთავრეს ქალაქის ქუჩებში თხრილები გაუყვანია და ამით, ცოტა არ ბყოს, დაუშვრია აქაური ჭაობები. საზოგადოთ შესანიშნავია ის თანაგრძნობა და მწუხარება, რომლითაც ფოთელები ამ მოკლულს ინგლისელს იგონებენ.

— ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, სულ გააკეთებდა ჩვენს ქალაქსო,—სთქვა ერთმა იქაურმა მცხოვრებმა. მეორემ დაწვრილებით მომიყვა იმის მოკვლის ამბავს: კარგა დალამებული იყო თურმე, როდესაც თავის შარაბანით მიდიოდა სახლში, რომელიც ზღვის ნაპირას დგას, თითქმის ქალაქს გარეთ. ძაღლი უკან მისდევდა. ქალაქს და მის სახლს შუა პატარა ბუჩქებიანი ტყე არის, სადაც ის მოუკლავთ. როდესაც ცარიელი შარაბანი და ძაღლი ყუფით მისულა შინ, ცოლი იმ წამსვე მიმხვდარა, რომ ჩემ ქმარს რაღაც დამართნიათ და წამოჰყოლია ძაღლს, რომელსაც პირდაპირ სუინსონის გვამთან მიუყვანია. პოლიციისთვის რომ შეუტყობინებიათ და ექიმი მოუყვანიათ, კიდევ თბილი ყოფილა გვამი და ექიმს უთქვამს, რომ სულ ნახევარი საათის მოკლული არისო. ამბობენ, რომ ღღეს საღამოს 17,000 მანეთი ხდა ავაზაკებს, ალბათ, იმედი ჰქონდათ, რომ ამ ფულს ჯიბეში უნახავდენ, მაგრამ მოსტყუვდენ.

—

ლაპარაკობდენ ბევრს ფოთის პორტზე,
მაგრამ პორტი იქ მე ვერა ვნახე...

თვითონ იმ ადგილას, სადაც უფ. შავროვი აშენებს ფოთის პორტს, მე არ ვყოფილვარ, რადგან დრო ნებას

არ მაძლევდა. მაგრამ კანდელიდან დამანახვეს ის ადგილი, სადაც შენდება პორტი, რომელმაც ჯერ-ჯერობით რამდენიმე ასი თასი მანეთი ჩაყლაპა. იმ ადგილის პირდაპირ დავინახე მხოლოთ რამდენიმე წყალში ჩაფლული სვეტი, რომელნიც, უეჭველია, მომავალი პორტის საფუძვლათ არიან იქ ჩაჭდობილნი... ღმერთმა ინებოს, რომ იმ სვეტებსაც ის დღე არ მოსვლოდეთ, რაც უწინდელ სვეტებს დაემართათ, ვინ იცის ზღვის ჭიებს არ შეეჭამოს.

—

ახირებული გრძნობა შეიპყრობს ადამიანს, როდესაც ფოთის კანდელიდან დასცქერის თვალ-გადუწვდენელ, ლურჯს და უფსკრულ ზღვის სივრცეს, რომელზედაც, თითქო ფრთაგაშლილი ბუზები, დაჰქიქინებენ ათასნაირი ზღვის დიდი და პატარა ხომალდები! მაგრამ ეს გრძნობა კიდევ უფრო ახირებული შეიქნება ვაშინ, როცა პატარა ნავზე ჯდები და სასეირნოთ შედიხარ ზღვაში. პატარა ზღვის ტალღები სკემენ ბვერდებში შენს ნავსა და ხან მაღლა აისვრიან ბურთივითა და ხან დაბლა ჩამოგდებენ; ძალა-უნებლიეთ მოგაგონდება ის ცხოვრების ტალღა, რომელიც, თითქო, რალაც მანქანების ძალიერ, ვარა თუ განკერძოებულ პირებსც ხანდახან მთელ ქალაქებსაც ხან მაღლა ასწევს და ხან დაბლა დასწევს. მაგრამ სჯობს ამ ფილოსოფიურ უნაყოფო ოცნებებს თავი დავანებოთ და ისევ ჩვენ მოგზაურობის აწერას შევუდგეთ.

—

სწორეთ თერთმეტი საათის ნახევარი იქნებოდა, როცა პატარა ცეცხლის გემმა წაგვრეკა ჩვენ

ქალაქიდან დაიძვრა სარკინიგზიან საადგურთან მიგვაყენა. იმ წამსვე ავიღეთ ბილეთი და შევედით ვაგონში. წასვლამდი ნახევარი საათი იყო კიდევ, გავალე ვაგონის ფანჯარა და ვუყურებდი, როგორ დაფაცურობდა და ბილეთების აღებას ეშურებოდა ხალხი. მარტალი უნდა ვსთქვა, რომ ვერც ბილეთების დარიგებაში და ვერც ბაგაჟის მიღებაში ვერაფერ თადარიგს და სისწრაფეს ვერ იჩენს ჩვენი რკინის გზის ადმინისტრაცია. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ მიცვივა კასასთან და სასწორთან და ზოგიერთელ საათს მოელის ბილეთის მიღებას, ან თავის ბარგის აწონას, და ზოგს კი იმ წამსვე ისტუმრებენ.

—

საზოგადოთ ჩვენს რკინის გზაზე უნდა ვსთქვა, რომ ყველაფრით კეთილ ყოფის გამართული, მგგრამ ერთიანა-ულლევანება აქვს ნელა დადის. ყვირილის საადგურიდან ქუთაისის საადგურამდე რკინის გზით 28 ვერსი ითვლება და ამ გზის გავლას ჩვენ ერთ საათსა და თხუთმეტ წუთს მოვუნდებით, აგეთივე ქუთაისიდან ფოთამდი 95 ვერსი ითვლება და ეს მანძილი რკინის გზით ოთხ საათნახევარს გავიარეთ. ამნაირათ, ჩვენ ეახლედავთ, რომ ჩვენ ახალი რკინის გზით საათში, საშუალო რიცხვით, 20—25 ვერსამდე გაკლა შეიძლება და ეს სრულებით ისეთი სიჩქარე არ არის, როგორიც საზოგადოთ, რკინის გზებს შეეფერის. ჩვენ არ მოვიყვანთ, მაგალითად ამერიკისა და ინგლისის რკინის გზებს, რომელნიც გასაოცარის სიჩქარით დადიან; საკმაოა ვსთქვათ, რომ რუსეთშიაც ვერ ნახავთ თითქმის ვერც ერთ რკინის გზას, რომელიც საათში, საშუალო რიცხვით, 35—45 ვერსს ვერ გადიოდეს.

ვითარცა უბრალო მოგზაურმა, მე მხოლოთ ეს ორი წაკლულევანება შევნიშნე ჩვენი რკინის გზის: სადგურებზე უთაობა და ნელა სიარული. რაიცა შეეხება ვაგონებს, მართლა რომ ძალიან კარგათ და მოხერხებულათ არიან მოწყობილნი, ასე, რომ ჩვენი მეორე კლასის ვაგონები თითქმის სჯობია რუსეთის გზების I-ლ კლასის ვაგონებს.

—

როდესაც ხალხს არ ესმის რომლისამე მოვლენისა და საგნის ნამდვილი ვითარება, მაშინ ის თავისებურათ სცდილობს იმათ ახსნას. ამ რკინის გზის თაობაზე ჩვენი უბრალო ხალხი, ვინ იცის, რას არ ლაპარაკობს. ზოგი ამბობს, რაღაც მავნე სული ზის ამ მაშინაში და ის ხელებით აგორებს გორგოლებსო, ზოგი ამბობს, ინგლისელებს გველეშაპი ჰყავთ დაჭერილი, დაუმწყვდევიათ წინა ოთახში და იმას მიჰყავსც; და როცა საქმე გაუჭირდება, წივილს და ყვირილს მოუხშირებსო; და ზოგი კიდევ, ვინ იცის, როგორ ხსნის რკინის გზის მოძრაობას!

—

პირველში რკინის გზისაგან ბევრი უბედურება ხდებოდა თურმე; იმის მუშაობის დროს ხუთიოდე მუშა მომკვდარა. განსაკუთრებით ბევრი ზიანი მიუცია პირუტყვებისთვის: ცხენები, დაინახავენ თუ არა ვაგონებს, აიწევენ კუდებს და რაც შეუძლიანთ გარბიან მინდვრებში. ხარებსა და კამეჩებს კი ახლა უსწავლიათ ჭკუა, თორემ ადრე გაჩერდებოდენ თურმე პირდაპირ რელსებზე და ცნობის-მოყვარეობის თვალებით შესცქეროდენ, ეს რა მოგორავს და მოწივისო. ეს ცნობის-მოყვარეობა, რა-საკვირველია, იმათ ძვირათ დაუჯდებოდა: დაეტაკებოდა ორთქლ-მავალი და შუაში-გაჰკვეთავდა. ახლა კი ხარ-

კამეჩი, ლორები და, განსაკუთრებით, ცხვრები, როგორც კი გაიგონებენ მაშინის გრიალს და წივილს, რაც ლონე აქვთ, უკან-მოუხედავათ მირბიან და მხოლოთ შორიდან შესცქერიან. უეჭველია, ამ დროს ჰფიქრობენ: ეს რა ახალი სულ-დგმული გაჩენილა ჩვენ დედა-მიწაზეო?..

ერთი ანექდოტური ამბავი მიამბეს ამ რკინის გზის თაობაზე. ერთხელ მაშინა წამოეწია თურმე ერთ გურულს, რომელიც ფოთში მიდიოდა; გურულმა შეჩერდა ზედ რელსების ნაპირასა და როცა მაშინამ ჩამოიარა, მაშინისტს დაუძახა:

— ეი, შენ, ძმობილო, წამიყვანე, თუ ღმერთი გწამს!

მაშინისტმა, რასაკვირველია, ხმა არ გასცა. გურულმა კიდევ მიაძახა:

— წამიყვანე, შე ყაზილარო, ფარებს მოგცემ!

მაშინამ გასწია თავისთვის. გურული გაჩერდა, უყურა, უყურა, ბოლოს გადისვა ულვაშებზე ხელი და მიაძახა:

— ეი კილავ, რა ყოფილა აგი! რაც შენ მაგითი რამე მოიგო, ეს ულვაშები მომპარცე, აი!

—

იმ მშვენიერ ტყეებს, რომელთაც იანეთისა და ქოჩაქიძეების ტყეებს ეძახიან და რომელთაც რკინის გზა ზედ შუაში სჭრის, ერთ დროს უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ეხლა კი, როგორც სხვა ბევრი ბუნებითი სიმდიდრე, ესეც გამოუსადეგარია ჯერ-ჯერობით. ერთს ალაგს რკინის გზისაგან შეგუბებულა წყალი ქოჩაქიძეების ტყეში და დიდი მანძილი ტყე სრულიათ გაუხმია.

—

ქუთაისიდან ბეგეუთის სადგურამდე რკინის გზის შტოს მუშაობა ჯერ არ დაწყებულა და ამ შტოზე რაღაც ამ უკანასკნელ დროს აღარაფერი ისმის, როგორც შევატყე, იმერლები დარწმუნებულნიარიან, რომ ეს შტო ვერ იზამს თვითონ უმთავრესის ლიანდაგის გაყვანის მაგიერობას და მაგდენათ ვერ დაეხმარება იმათ დედა-ქალაქის ამაღლებას.

სხვა იმედი—ნუგეში გასჩენიათ იმერლებს. თითქმის კაცს ვერ ნახავთ ახლა იმერეთში, რომ იმედი არა ჰქონდეს, ჩემს მამულში, დღეს თუ ხვალ, ოქრო თუ არა, სპილენძი ან სხვა რამე მადენი მაინც უთუოთ აღმოჩნდება და გავკეთდები კაციო! ჩემს იქ ყოფნაში რამდენიმე კაცი მოვიდა ჩემთან, რაღაც უბრალო მბრჭყვინავი ქვები მოიტანეს და მეუბნებოდენ: „დროება“-ში იყო, ბატონო, გამოცხადებული, ვილაც ახალი სიმონიჩი (სიმონოვიჩი) ჩამოსულა, ქვებს სინჯავსო და თუ შეიძლება, წაუღეთ და აჩვენეთო.

მართლაც გასაკვირველი და შესანიშნავია ეს „მადნის მანია“ იმერეთში: თითქო დედა-მიწის ზევით აღარა ჰქონდეთ რა ამათ თავის ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესობის იმედი, შიგ მიწაში მიძვრებიან და იქ ეძებენ საშუალებას! ... ექაურებს რომ დაუგდოთ ყური, იმერეთში რა მადანი და ძვირფასი ქვა გნებავთ, მოიპოვება: ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, შაბი, ათას-ფერი მარმარილო, ქვის ნახშირი და სხვა. ადვილათ შესაძლებელია, რომ ყველა ეს მადანი როდისმე მართლა მოიძებნოს იმერეთში, მაგრამ არა ამ-ბავია, რომ თვითონ იმერლებმა ამითი ისარგებლონ. ... ამბობენ ნამდვილათ, რომ ტყიბულაში მეორე ქვა-ნახშირის მადანი აღმოუჩენიათო, რომელიც საეკლესიო გლეხების ადგილში ყოფილა, და,

რადგანაც საეკლესიო მამულები სახაზინო უწყებაში შეირიცხა, ამის გამო ეს მადანიც სახაზინო იქნებაო. ზოგიერთი პირები ძალიან დაფაცურობენ, უნდათ ახლავე შეადგინონ კომპანია და ეს ახალი მადანი შეამუშაონ...

—

გავრთავე. მინდოდა კიდევ მეთქვა რამდენიმე სიტყვა იმერლების ნამდვილ ქართველობაზე, მათი ჩვენი ქართული წიგნიერების სიყვარულზე, მაგრამ ეს ისეთი საგანია, რომელზედაც ჯერ-ჯეროობით სჯობს, რომ სრულიათ არა ვთქვათ-რა. მინდოდა აგრეთვე მომეყვანა ზოგიერთი ამბები ჩვენს სახალხო შკოლების მდგომარეობაზე, რომელნიც ამტკიცებენ, თუ რა მდგომარეობაში არის სახალხო განათლება საზოგადოთ იმერეთში და განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში, მაგრამ ამის თაობაზე „დროება“ მოკლე დროში უფრო დაწვრილებით აღწერას მოელის ერთი თავის კორესპონდენტისაგან.

—

. . . . . .

—

ჩვენი განათლება.

ვინც კი ჩვენს ესრეთ წოდებულ ნასწავლ კაცებს დაჰკვირვებია და იცნობს, უეჭველია, შენიშნავდა, რომ იმათში ძლიერ იშვიათათ მოიპოება მართლა ნამდვილათ სწავლული და მეცნიერებაში განვითარებული პირები. მაგრამ რას ვამბობ? არა თუ მეცნიერებაში განვითარებულსა, ისეთ ქართველსაც შნელათ ნახავთ, რომელზედაც შეიძლებოდეს თქმა, რომ აი ეს კაცი სწავლისა-

გან ფონებითა და ზნეობით „გაკეთილშობილებულია“ და ისე არა ცხოვრებს და მოქმედებს, როგორც დანარჩენი, უმეცრებაში ჩავარდნილი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისაო. მართლა, ბევრს ჩვენგანს რუსეთის სხვა-დასხვა უმაღლესს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში და აკადემიებში მიუღია სწავლა; ბევრს საუკეთესო პროფესორების ლექციები მოუსმენია. ერთის შეხედვით, ბევრს ჩვენგანს ყველა გარემოება ხელს უწყობდა, რომ განათლებული, მეცნიერი, პატიოსანი და საზოგადოების გამოსადეგი და იმის წარმატებაში წინ-გამძღოლი წევრი შექნილიყო, მაგრამ ნამდვილათ კი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნასწავლთ რიცხვში თითქმის არც ერთი არ მოიპოება ისეთი, რომელიც რითიმე ამტკიცებდეს ჩვენი საზოგადოების წინამძღვრობისა და წარმატების სურვილს. წინააღმდეგ ამისა, ჩვენი ნასწავლი კაცები ჩადგენ გაუნათლებელი საზოგადოების წრეში და თავის სწავლას მხოლოთ იმაში ხმაროობენ, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული საკვები შესძინონ თავიანთ მუცელსა და ჯიბეს.

მეორეს მხრით ჩვენ ვხედავთ, რომ იმავე რუსეთის უნივერსიტეტებში გაზრდილი რუსები ერთი-ორათ სჯობიან ჩვენი მიწის შვილებსა; იმათში რამდენიმე ათი და ოცი მაინც მოიპოება ისეთი, რომელსაც შეიძლება კაცმა ნამდვილი სწავლული, განათლებული და საზოგადოების მარგებელი წევრი დაუძახოს.

ამნაირათვე მიდის საქმე ჩვენს გიმნაზიებშიაც. ვერც რუსეთისა და ვერც სხვა რომელიმე სახელმწიფოს გიმნაზიებში ვერ ნახავთ უმცროსს კლასებში იმდენ სრულ წლოვანებსა, გიმნაზიიდან გამოსულს და დათხოვნილ უმაწვილებს, რამდენსაც ჩვენში. თითქმის ყოველი ქარ-

თველი შეგირდი, რომელმაც სასწავლებელში შესვლის დროს რუსული არ იცის, სამი ოთხი და ხან ხუთი და ექვსი წელიწადი რჩება მოსამზადებელსა და პირველს კლასში. მერე მოსწყინდება ამგვარი წვალება და თითქმის ისევე უანბანოდ გამოდის გიმნაზიიდან, როგორც უანბანოც იქ შევიდა, ან ძალათ გამოაგდებენ ხოლმე. ამ გარემოებას თვითონ აქაური პედაგოგები გვიჩვენებენ; ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი, უფ. ლევანდა, ერთს თავის ანგარიშში (არ გვახსოვს, რომელი წლის) ამბობს, რომ რადგანაც გიმნაზიაში შემოსვლის მსურველნი ბევრნი იყვენ, მე იძულებული ვიყავი უმცროსის კლასებიდან ამ სამოცამდი დამეთხოვნა სრულ-წლოვანი შეგირდი, რომელნიც ორ და სამ წელიწადს დარჩენ ერთსა და იმავე კლასშია, და მათ ნაცვლათ ახლები მიმეღოო. კავკასიის სამოსწავლო მაზრის მზრუნველი, უფ. ნეველროვი, ამბობს ერთ ადგილას თავის ანგარიშში, რომ აქაურები (ქართველები და სომხები) ძალიან სცდილობენ სწავლასა, მაგრამ რუსები მაინც წინ ტესწრებენ იმავე სწავლაშია.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის, რომ ერთსა და იმავე სასწავლებელში გამოზრდილი პირები ერთ ქვეყნის საზოგადოების მარგებელი და, მართლაც ნამდვილი სწავლული გამოდის და მეორე კი ძლიერ იშვიათათ არგია ვისმე თავის სწავლითა?

მხოლოთ თვითონ უნიჭო და უმეცარი კაცი ახსნის ამ გარემოებას ჩვენის უნიჭობით, ან იმით, ვითომც ჩვენ სწავლის ხალისი არა გვქონდეს. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ჩვენ სხვა რომელსამე ხალხზე უნიჭონი ვიყვნედ; ვისაც უნდა დარწმუნდეს იმაში, თუ როგორი სურვილი

გვაქვს ჩვენ სწავლისა, შეიხედოს ჩვენს გიმნაზიებში და, სადაც მოიპოვება, სამაზრო და სასოფლო შკოლებში, და მაშინ ნამდვილათ დარწმუნდება, რაოდენი სურვილი გვაქვს ჩვენ სწავლისა...

მაშ ამ გარემოების მიზეზი სხვა რამე უნდა იყოს. უნდა იყვნენ ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელნიც ჩვენს ხალხს, დახმარების ნაცვლათ, უშლიან სწავლისა და განათლების მოღებას.

უეჭველია, რომ ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ დღეს ერთ უმთავრესს მიზეზზე ფვინდა ჩვენს მკითხველებს მოველაპარაკოთ.

ეს უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი სწავლისა და გაზრდის საქმე თავიდანვე ცუდათ მიდის. შვიდი-რვა წლამდი და ხანათამდინაც ჩვენებურ ყმაწვილს იშვიათათ თუ რასმე ასწავლიან. ეს კიდევ არაფერი. ცუდი ის არის, რომ ამ ხნის ყმაწვილი თითქმის ყოველთვის გაფუჭებულია ზნეობითა და ხასიათით, რადგან თავის გარშემო უზნეობისა, ცრუ მორწმუნეობისა და უმეცრების მეტს ვერას ჰხედავს. მაგრამ დიდი უბედურება არც ამაში მდგომარეობს: რვა-ათი წლისე ყმაწვილი ყოველთვის შეიძლება გასწორდეს, რაც უნდა გაფუჭებული იყოს, თუ კარგი გამზრდელისა და მასწავლებლის ხელში ჩავარდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ კარგის მასწავლებლის და გამზრდელის ხელში ჩვენებური ყმაწვილი იშვიათათ ჩავარდება ხოლმე.

ვსთქვათ, რვა წლის ქართველი ყმაწვილი შეიყვანეს გიმნაზიაში, ან სხვა რომელსამე სასწავლებელში. იმ წამსვე იმას აძლევენ ხელში ისეთ წიგნს, რომელიც სრულიათ არა გაეგება; აზეპირებენ ლოცვებს, ლექ-

სებს და სხვა რამეებს ისეთ ენაზე, რომლისაც იმას ინ-ჩიც არ ესმის; ყველა საგანს—წერა-კითხვას, სამღვთო-წერილს, არითმეტიკას და სხვას ამავე უცხო ენაზე ას-წავლიან. შემდეგ რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით ის გადადის მეორე, მესამე და მეოთხე კლასში. გაადვილე-ბის მაგივრათ, ყმაწვილს თანდათან უჭირს სწავლა, რად-გან საგნები ემატება და ის ენა, რომელზედაც ამ საგ-ნებს უხსნიან, ჯერ კიდევ არ ესმის რიგიანათ. ამნაირათ წვალობს საწყალი შეგირდი, ხანდახან დღე და ღამე აკვდება საზეპირო გაკვეთილის სწავლას, მაგრამ, ცხა-დია, მაინც ძლიერ იშვიათათ ისწავლის იმათსავით, რომლებიც ამ საგნებს თავის მშობლიურ ენაზე სწავ-ლობენ. ამგვარათ, სამი-ოთხი წლის შემდეგ ის და მისი დედ-მამა რწმუნდებიან, რომ უნიჭო ყმაწვილი არის და ან თავისის ნებით გამოდის, ან ძალით დაითხოვენ სასწავ-ლებლიდან უნიჭობისათვის. ამნაირი შემთხვევა ძლიერ ხში-რია ჩვენში; ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ას შე-გირდში ძლიერ იშვიათათ ათი თუ მიაწევს მეშვიდე კლა-სამდი და ასრულებს გიმნაზიის კურსს.

ეხლა ვნახოთ მეორე, უფრო ბედნიერი შემთხვევა: წარმოვიდგინოთ, რომ ბევრი წვალებისა და ტვინის ძალ-დატანების შემდეგ, ქართველმა მოწაფემ, როგორც იყო, დაასრულა გიმნაზია და შევიდა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. რაღა თქმა უნდა, რომ ბავშვობიდანვე დამახინჯებული და უხეირო, შეუსაბამო სწავლისაგან დაღალული ტვინი ყმაწვილი კაცისა ვერც ამ უმაღლესს სასწავლებელში შეიძენს იმდენს, რამდენიც რიგია და რამდენსაც ეს სასწავლებელი სხვას უფრო ტვინ-გაუფუ-ჭებელს მისცემს. მაგრამ, როგორც არის დიდის ჭაპან-

წყვეტით, ერთის ვაი-ვაგლახით ამ უმაღლესს სასწავ-ლებელშიაც ასრულებს სწავლას და აი, ჩამოდის ჩვენ-ში დიპლომით შეიარაღებული ახლათ გამომცხვარი გა-ნათლებული და ნასწავლი კაცი...

ამისთანა განათლებულ კაცებს ბევრი რა უნდა მოე-თხოვებოდეს? რათ უნდა უსაყვედურებდეთ იმათ, რომ წარმატების გზასა და საუკეთესო ცხოვრებისა და საქმე-ების მაგალითს ვერ უჩვენებენ თავის სამშობლო ქვეყანას?

დიახ, არის საფუძვლიანი მიზეზი, რომელიც ამარ-თლებს ჩვენი ნასწავლი კაცების უხეიროობას და გამოუ-დეგრობას. როგორც საზოგადოთ, ყოველს მიზეზს, უთუ-ოთ თავის შედეგი აქვს, ისე ამ უხეირო სწავლის მე-თოდსაც ის შედეგი აქვს, რომ უხეიროშთამომავლობას ზრდის...

და ვინც შედეგის მოსპობას მოინდომებს, ყველაზე პირველათ იმას უნდა ცდილობდეს, რომ როგორმე თვი-თონ მიზეზი მოსპოს...

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი.

ვორონცოვის შემდეგ ჩვენში, მგონი, ერთხელ არ ყოფილა რიგიანათ გამართული ქართული წარმოდგე-ნა. მაგრამ თუ კი ან დიდ თეატრში და ან კერძო სახლ-ში მოუხერხებიათ როგორმე ქართული თეატრის გამარ-თვა, ხალხი ყოველთვის ბლომათ დასწრებია. თუმცა ქართული რაპერტუარი ამ ჟამათ ძლიერ ღარიბია და ამის გამო თითქმის მუდამ ერთსა და იმავე კომედიებსა და ვოდევილებს ვთამაშობთ, თუმცა ხშირათ არც სა-

შუალება გვქონია, არც მუდმივი მოთამაშეები და არც იმათ-
თვის რიგიანი ტანისამოსი და მოწყობილობა, მაგრამ თფი-
ლისის საზოგადოება მაინც დიდის სიამოვნებით დაიარებოდა
და ამ წარმოდგენებზე, ასე, რომ წარმოდგენების მოთავეებს
თითქმის ყოველთვის რჩებოდათ ხარჯს გარდა რამდენიმე
თუმანი და ხან რამდენიმე ათი თუმანიც ნაღდი შემოსავა-
ლი. მაშასადამე ამ მხრით დიდი ეჭვი არ უნდა გვქონ-
დეს: მოგება თუ არა იქნა-რა, შემოსავალი, ფმედია,
მაინც იმდენი იქნება, რომ ხარჯს აუვა და პირველ შემ-
თხვევაში ამაზე მეტი ჩვენს თეატრს არც კი მოეთხოვე-
ბა; განსაკუთრებით იმედი უნდა გვქონდეს თითო აბა-
ზიანი და ორ მაურიანი ბილეთების მყიდველთაგან და
ამისთანა პირებით, უეჭველია, ქართულ-სომხური თეატ-
რი მუდამ სავსე იქნება *).

მაშ ეხლა ჩვენ უნდა დავანებოთ თავი ამ „ქართუ-
ლი სცენის მოყვარულების“ წარმოდგენებსა და მუდმი-
ვი ტრუპპის შედგენას უნდა შევუდგეთ. ამ „მოყვარულე-
ბის“ წარმოდგენას ბევრი დრო, ხარჯი და წვალება უნ-
დება და სარგებელი კი, ღმერთმანი, იმდენი არა არის
რა არც მატელიარული და არც ზნეობითი. მაშ ისევ
მუდამი ქართულ-სომხური ტრუპპა! თუ ქართულ თეატრს

---

*) არიან ჩვენში ისეთი ხელ-აღებული და მყვირალა პირები, რომელნიც ყოველ ამისთანა საქმის თაობაზე ამბობენ, რომ ამ საქმიდან ხეირი ვრა გამოვა-რაო, ვერ მოვახერხებთ ამის გამართვას, ქართულ თეატრს შემოსავალი არ ექნებაო და სხვ. მაგრამ ჩვენ რომ ამისთანა იმედ-დაკარგულ არსებებს ვუგდოთ ყური და დავუჯეროთ, უეჭველია, არც ერთ საზოგადო საქმეს ხელი არ უნდა მოვკიდოთ და უსათუოთ ან ყველა ჩინოვნიკათ უნდა შევიქნეთ, ან სხვაფრივ შევუდგეთ საკუთარი ჯიბეების გასქელების საქმეს.... ავტ

რაიმე სარგებლობის მოტანა კი შეუძლია ჩვენ ლიტერატურისა და საზოგადოებისათვის (იმედია, ამაში არავის არა აქვს ეჭვი) ისევ ამ მუდმივი ტრუპპისა და რიგიანათ თავ-თავის დროზე გამართულ წარმოდგენის საშუალებით და არა სხვა მხრივ.

საქმე ისაა, თუ საიდან უნდა ვიშოვნოთ ჩვენ ამ თავითვე იმდენი საშუალება, რომ ამ საქმის დაწყება, ე. ი. მუდმივი ქართულ-სომხური ტრუპპის შედგენა მოვახერხოთ. მართალია, ამ საქმესაც ბევრი კარ დასჭირდება, როგორც ერთი შეხედვით ეჩვენებაი კაცსა, მაგრამ თუ ჩვენს საზოგადოების სიღარიბესა და ამის ამგვარ საქმეებისთვის გულ-გრილობას წარმოვიდგენთ, უეჭველია, მაშინ გავიგებთ, რომ საშუალების შოვნა ადვილი საქმე არ იქნება. ჩვენი აზრით, ამ საქმეს მხოლოთ პირველ და მეორე წელიწადში დასჭირდება ხელის მომართვა, სანამ თვითონ წარმოდგენები ისეთ-ისეთ თავის გასავალს დაახლოებით რომ ვსთქვათ, ამ თავითვე ჩვენი მუდმივი ტრუპპის შედგენასა და თეატრის გამართვასათას თუმნამდი დასჭირდება. იმისთანა კაცი რომ გამოჩნდებოდეს ჩვენში, რომ ამ ფულს შესწირავდეს ან დიდ-ხნობით ასესხებდეს ქართული თეატრის მოთავეებს, მაშინ, რა სჯკვირველია, საქმისა დაწყება ძლიერ გაადვილდება. რადგანაც ამისთანა კაცი ჩვენში არ მოიძებნება და არც ზეციდან გადმოგვიცვივა ფულები, ისევ სხვა საშუალებას უნდა შეუდგეთ და ეს საშუალება აქციებით კომპანიის შედგენა უნდა იქმნეს. ნუ თუ მართლა ჩვენს საქართველოში ოცი და ორმოცი ისეთი საზოგადო საქმისათვის გულ-შემატკივარი კაცი არ მოიძებნებაა, რომ ამ საქმისათვის ოცი-ორმოცი თუმანი გადასდვას, სამუდამოთ თუ არა, დროებით მაინც?

თუ საშუალება იქმნა, მაშინ, უეჭველია, მოთავეც იმ წამსვე აღმოჩნდება და ქართული ტრუპის შედგენა არ გასჭირდება.

ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ აქაური სომხები დიდის სიამოვნებით მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას, დიდის სიამოვნებით შეგვიერთდებიან და თავის მხრით, თეატრის ხარჯშიაც შემოგვიდგებიან.

იმასაც დარწმუნებით ვიტყვით, რომ ამ საქმის მოთავე და გამმართველი საზოგადოებისაგან დიდს მადლობას მიიღებს და საშვილიშვილო სახელს დაიმსახურებს..,

---

ჩვენი ძალები და უმაღლესი განათლება.

ამბობენ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან განზე უყურებდა იმ თითო-ოროლა ყმაწვილ კაცს, რომელთაც ამ ოცი-ოცდა-ათი წლის წინათ განაცხადეს სურვილი უმაღლეს სწავლის მიღებისა და რუსეთის უნივერსიტეტებში წავიდენო. მაშინდელ ჩვენ მამებს არ მოსწონდათ, რომ მათი შვილები არ სჯერდებოდენ იმ სწავლას, რომლის მიღება აქაურს სასწავლებლებში შეეძლოთ „რა გამოვა, ბატონო, იმათი სწავლით? წავლენ, რაღაც აჭია-ბაჭიას ისწავლიან და ჩვენ ოჯახს კი ალარ გამოადგებიანო! ჩვენ თუ რაღაც ნივერსტეტში არ გვისწავლია, რა გვიშავსო!“ ასე ამბობდენ მაშინ ჩვენი მამები. მაგრამ შემდეგში, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამ „ნივერსტეტიდან“ გამოსული ზოგიერთი ყმაწვილი ცოტა არ იყოს გამოსადეგი შეიქნა ოჯახისთვის, ცოტ-ცოტათი შეიცვალეს თავის აზრი. დროებამ და გამოცთილებამ თავისი გავლენა იქონია ჩვენს საზოგადო-

ებაზე; და ახლა ძნელათ თუ ნახავთ ისეთს შამასა, რომელიც არ სცთილობდეს, თუ შეძლება კი აქვს, თავის შვილის უნივერსიტეტში გამოზრდას.

ამნაირათ მოსდის ახლა ჩვენი ახალგაზდა ქალების უმაღლესი განათლების საქმესაც: ამ ერთის წლის წინათ ჩვენს საზოგადოებაში დაიწყეს ლაპარაკი, რომ რამდენიმე ჩვენებური ახალგაზდა ქალი სამზღვარ-გარეთ აპირებს წასვლას უმაღლესი განათლების მისაღებათო. რადგანაც რუსეთში და ჩვენში საზოგადოთ ქალებს უმაღლესი განათლების გზა სულ არ აქთ, ამის გამო, რუსეთის და სხვა ქვეყნების ქალების მაგალითით, ციურიხში აპირებენ წასვლას, სადაც ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება აქვთო.

მის მაგივრათ, რომ ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობითა და სიხარულითა მიეღო ეს ამბავი და წაექეზებინა ჩვენი ახალგაზდა ქალები ამ საქმეში, ჩვენ ყოველი მხრით გვესმოდა და ახლაც გვესმის ხან დაცინვითი და ხან უკმაყოფილო ლაპარაკი და აზრი ამ საგანზე „თფილისის ნიგილისტკებიო! მოდას აჰყოლიანო!“ ამბობდენ ერთნი. „ეს რა ამბავი არის: ვინ ქალი და ვინ ექიმიო?! პანსიონი გაუთავებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო!“ ამბობდენ მეორენი.

როდესაც კაცი იმისთანა საზოგადოებაში სცხოვრებს, რომელიც სდევნის ყოველ ახალ ნაბიჯს, ახალ რომელსამე მოვლენასა და აზრს, თუ დიდი ზნეობითი ძალა არა აქვს, ძნელათ შეუძლია რომელისამე ახალი საქმის ხელის მოკიდება და დაწყება. ღვთის მადლით, ამისთანა პირი ჯერ-ჯერობით ერთი მაინც ალმოჩნდა ჩვენში, მკითხველმა იცის, რომ ამ ერ-

თი თვის წინათ თფილისადამ ნაცვალთვის ქალი წავიდა კიურიხში, უმაღლესი სწავლის მისაღებათ, და ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ამავე გზაზე დადგომას რამდენიმე სხვა ქართველი ქალიც აპირებს.

ამისთანა ამბავი ჩვენს დარბაისელ მამებსა და დედებს, უეჭველია, არ ეჭაშნიკებათ და ეუცხოებათ. იმათ არც კი გაუგონიათ, რომ ახალგაზდა გასათხოვარი ქალი თავის კერას სტოვებდეს და სადღაც უცხო ქვეყანაში უმაღლესი ჭანათლებისათვის მარტო-მარტო მიდიოდეს, და ახლა კი ამას თავის საკუთარი თვალებით ხედავენ. ისინი არ იფიქრებენ, რომ ეს მეორეთ-მოსვლისა და ქვეყნის უკულმა დაბრუნების ნიშანი არის?

მაგრამ ნუ შეშინდებიან ჩვენი დედ-მამები: დარწმუნებულნი იყვენ, რომ ეს მოვლენა მეორეთ-მოსვლისა და ქვეყნის უკულმა დაბრუნების ნიშანი კი არ არის, ეს არის სიკეთისა და ჩვენი ქვეყნის წარმატების ნიშანი. და ეს რომ ასე არის, — ამაში ჩვენ თვითონ ის ქალები დაგვარწმუნებენ, და თავის ცოდნითა და ფონიერი ცხოვრებით ალბა მცირედ სარგებლობას მოუტანენ ჩვენს წაზოგადოებას. ამ უკანასკნელი აზრის გამოთქმა ჩვენ არ გვაშინებს: დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ქალები, რომელნიც წინააღუდგენ საზოგადოების ბრმა აზრსა და მოახერხეს თავის ფონიერის გზაზე დადგომა, — ამისთანა ქალებს იმდენი ზნეობითი ძალა კიდევ უქნებათ, რომ თავიანთი გულითადი წადილი შეასრულონ და ნასწავლნი დაბრუნდენ უკან, თავიანთ ქვეყანაში.

ამასთანვე ჩვენს მშობლებს უნდა ჰქონდესთ მხედველობაში, რომ ეს ჩვენი ქალები საზოგადოთ გაუკვალავ გზაზე არ დგანან, ეს გზა დიდიხანია გაკვალული

და გათელილია. ჩვენ არაფერს ვიტყვით ამერიკაზე, სადაც ქალებისთვის ცალკე უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლებია გამართული და სადაც ისინი პროფესორებათ, ყოველ გვარი შკოლების მასწავლებლებათ და ჩინოვნიკებათ არიან. ჩვენ მოვიგონებთ მხოლოთ შვეიცარიას, ანუ უკეთ ვსთქვათ, ციურიხის უნივერსიტეტს, სადაც ეს რვა წელიწადია თავისუფლათ იღებენ ქალებსა და უმაღლესი სწავლის მილების ნებას აძლევენ. ციურიხის უნივერსიტეტში ამ ჟამათ, როგორც ამბობენ, 80 ქალია და ამათ რიცხვში 54 რუსის ქალი თუ პეტერბურგიდან და თუ სხვა რუსეთის ქალაქიდან მისული. სადაც ამდენი ქალი ერთათ არის და სასარგებლოთ ჰპოებს სწავლის მილებას, იქ, იმედია, არც ჩვენებურ ქალებს გაუჭირდებათ რამე და ტყუილ-უბრალოთ არც ისინი დაკარგავენ დროს.

თვით ჩვენმა მმართებლობამ დაინახა საჭიროთ და სასარგებლოთ, რომ ქალებს უმაღლესი სწავლის საშუალება მიეცეს. ამაში გვარწმუნებს ჩვენ ის გარემოება, რომ წელს სეკტემბრიდამ პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიასთან გაიმართება ქალებისთვის განსაკუთვრებული ურსი, სადაც „ნასწავლი ბებიები“ უნდა მოამზადონ და სადაც, ცოტაოდენ განსხვავებას გარდა, თითქმის ისეთ სწავლას აძლევენ, როგორც ყმაწვილ-კაცებს ამავე აკადემიაში. მაგრამ ამ კურსებზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ამნაირათ, ჩვენ დიდის სიამოვნებით ვხედავთ, რომ ჩვენ ქალებშიაც იწყება მოძრაობა და ლტოლვილება უმაღლესი განათლებისათვის; ვხედავთ, რომ ეს ლტოლვილება ზოგიერთებს, მარტო სიტყვით კი არა, თვით

საქმით მოჰყავთ სისრულეში. მაშ ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდეს, ვიდრემ საზოგადოთ ზოგიერთ ჩვენ კეთილ ლტოლვილებასა აქვს; ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას თან-დათან უფრო ნაკლები დამაბრკოლებელი მიზეზები შეხვთეს თავის გზაზე მსვლელობის დროსა, და ის სარგებლობა მოეტანოს ჩვენთვისაც, რაც ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს მოუტანა.

ბიბლიოგრაფია.

О существѣ національной индивидуальности и объ образовательномъ значеніи крупныхъ народныхъ единицъ. Тифлисъ, 1872 г. გაზ. „კავკაზ“-ის დამატება.

ხანდახან ძალიან ძნელი გასაგებია—ვისთვის, რისთვის და რა აზრით არის რომელიმე თხზულება დაწერილი. როგორც ძნელათ გასაგებია ის გარემოება, რომ ჩვენს დროში ზოგიერთი მდიდარი ახალგაზდა სამსახურში შედის და მსახურობს, ისე ზოგიერთი მწერლის საქმესა და აზრს ძნელათ მიხვდები ხოლმე. რასაკვირველია, ქალალდი, რასაც კი დასწერ, ყველაფერს „მოითმენს“, ყველაფერს გამოხატავს თავის თეთრ ფონზე; მაგრამ, თუ კაცს არავითარი ახალი და საზოგადოებისათვის სასარგებლო არ აქვს-რა თავში გამოსათქმელათ, ამისთანა კაცი რისთვის უნდა აწვალებდეს ტყუილ-უბრალოთ ქალალდსა და რისთვის უნდა ხარჯავდეს უნაყოფოთ მელანსა?

ვის არ გაუგონია, რომ ზოგიერთი მდიდარი ახალგაზდა მხოლოთ იმისთვის შედის ჩვენს დროში სამსახურში, რომ თავის საყვარელს მოეწონოს, ბრწყინვალე მუნდირი ჩაიცვას? იქნება ამგვარათეე ზოგიერთმ მწერლის კალმის აღმძვრელიც რომელიმე „საყვარელი“ იყოს? იქნება ბრწყინვალე მუნდირს წერაშიაც ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა? ბეჯითთ არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ ჩვენ დედა-მიწაზე „ყოველივე შესაძლებელ არს“.

ამგვარი აზრები აღიძრა ჩემში, როდესაც ის პატარა, უცნობი ავტორის ბროშიურა წავიკითხე, რომლის სახელი ზევით არის ამოწერილი. მართლა, რა აზრით და რისთვის არის ეს ბროშურა დაწერილი? რომელი ახალგ და რუსის საზოგადოებისათვის სასარგებლო აზრებია ამაში გამოთქმული? ნუ თუ ავტორს მხოლოთ ის უნდოდა, გვეთქვა, რომ იმის წიგნაკში თითქმის არც ერთი რიგიანი და დამტკიცებული ქეშმარიტება არ არის გამოთქმული? ნუ თუ იმას ჰსურდა, გაეხსენებინა ჩვენთვის მოხუცი ვრილოვის ქკვიანური არაკი, რომელიც ამბობს, რომ „ხარაზმა პურის ცხობას ვერ უნდა მოჰკიდოს ხელი და ხაბაზმა წაღებულ კერვასაო?“

მაგრამ მოკლეთ მაინც განვიხილოთ, რა ქეშმარიტებაა ამ პატარა წიგნში ნაამოთქმული და როგორი საბუთებით არის ეს ქეშმარიტება დამტკიცებული.

მოკლეთ რომ გამოვსთქვათ, ავტორის აზრი ეს არის, რომ კაკობრიობის ყოველ-მხრივი ბედნიერების და წარმატებისათვის აუცილებლათ საჭიროა, პატარა ერებმა დაჰკარგონ თავიანთი საკუთარი ხალხურობა

ბა, თავის ენა, ჩვეულება და განსაკუთრებული ცხოვრება და დიდს ერებს შეუერთდენო. კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, რომ პირველათ კაცები განცალკევებულნი სცხოვრებდენ, შემდეგ რამდენიმე ოჯახი შეუერთდა ერთმანეთს, რადგან ამაში საყოველთაო სარგებლობას ხედავდაო. ამ ერთ ალაგას შეერთებული მცხოვრებლებისაგან რამდენიმე წვრილი ერთი ტომის ხალხი შესდგაო. შემდეგ წვრილი ერები კიდევ ერთმანერთს უერთდებიან და ამნაირათ წვრილი და განცალკევებული ერებისაგან ოდესმე რამდენიმე დიდი ერი (სახელმწიფო) შესდგებაო, რადგან დროს განმავლობაში წვრილ ერთა ენა გაუქმდებაო.

ყოველი ერის განმაცალკევებელი არის ენაო და ამიტომ პირველათ წვრილ ერთა ენა უნდა „გაუქმდეს“ და მერე ისინიც შეუერთდებიან დიდ ერებსაო. ენა არის ორგანო, რომლის საშუალებითაც კაცობრიობა მიდის წარმატებაშიო. რაც უფრო მომეტებული მცხოვრებლებისაგან შესდგება რომელიმე ერი, მით უფრო განათლებულია ის, მით უფრო დაწინაურებულია იმის ცხოვრება და მით უფრო ადვილათ შეიძლება ამ მრავალ-რიცხოვანმა ერმა მთელი კაცობრიობის წინ წაწევას დაეხმაროსო. აქედან ავტორს გამოჰყავს, რომ, რადგან წვრილი ერების ენებს არ შეუძლიათ მთელი კაცობრიობის ორგანოთ შეიქმნენ, ამის გამო ისინი უნდა გაუქმდენ და თვითონ წვრილი ერები, თავის-თავისა და საზოგადოთ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის, უნდა საშუალმოთ გაქრენ და აღიხოცონ დედა-მიწიდანო.

ეს გახლავთ მოკლე სიტყვით გამოთქმული ავტორის აზრები...

* * *

მართლაც, თუ არ ამგვარი კაცი, სხვა ვინ დაივიწყებდა იმ ჭეშმარიტებებს, რომელნიც მეცნიერებას დიდი ხანია დამტკიცებულად და მკვიდრ საძირკველზე დამყარებულად მიაჩნია?

პატარა ერები უნდა „გაუქმდენო“, იმათი ენა უნდა მოისპოს და თვითონ იმათ დიდი ერების ენა უნდა შეითვისონო! ღმერთმანი, კაცი იფიქრებს, რომ უცნობ ავტორს ხალხი და მათი ენა რომლისამე დეპარტამენტის თანამდებობათ მიაჩნია! თითქო ხალხისა და ენის გაუქმება ისე ადვილი და შესაძლებელი იყოს, როგორც რომლისამე თანამდებობისა დეპარტამენტში!

უცნობ ავტორს გარდა, ვის არ ესმის ახლა ის მეცნიერებისაგან დამტკიცებული ჭეშმარიტება, რომ ყოველი ერის ენა, ჩვეულება, ხასიათი და მთელი ცხოვრება იმ ბუნებაზედ არის დამოკიდებული, რომელშიაც ეს ხალხი ცხოვრობს?? რომ ამ ბუნების დაგვარათ, როგორც ცალკე კაცს, ისე მთელ ხალხსაც უჩნდება განსხვავებული ენა, ხასიათი და სხვა? ვის არ ესმის, რომ ორი ხალხი, რომელთაგან ერთი მთაში სცხოვრობს და მეორე ვაკე ადგილას, სულ ყველაფრით განსხვავებულნი არიან ერთმანეთში? ჩვენი ავტორი კი ამ გარემოებას, ამ ბუნების გავლენას ხალხზე არავითარ ყურადღებაც არ აქცევს. იმას ერთი კალმის მოსმით სურს, შესცვალოს ხალხის ხასიათი, ჩვეულება, ცხოვრება; სურს წაართვას მას შშობლიური ენა, რომელიც ყველაზე ძვირფასია კაცისათვის და რომლის წართმევა თითქმის სიცოცხლის წართმევას უდრის! იმას ვერ მოუფიქრნია, რომ მშობლიურ

ენას მოკლებული ხალხი ისეთ კაცს ჰგავს, რომელსაც წაართვეს ყველაფერი, რაც ძვირფასათ და სანუგეშოთ მიაჩნდა, და რომელსაც ამის გამო სიცოცხლეში თითქმის არავითარი შესანიშნავი საქმის გაკეთება არ შეუძლია!

ვინ არ იცის ახლა ყველა ეს? ვის არ მიაჩნია ახლა ამისთანა აზრები გაცვეთილ ჭეშმარიტებათ!

თვითონ ხალხის ინსტინქტი, განსაკუთრებით გონიერი ნაწილი ყოველი ხალხისა, მუდამ სცთილობს დიდ ხალხებს შეუერთდესო, ამბობს უცნობი ავტორი. ეს სიტყვები ნათლათ რომ ავხსნათ, იმას ნიშნავს, რომ ყოველი ხალხი სცთილობს თავს ენა, ხასიათი, თავისუფლება და ყველაფერი საკუთარი დაჰკარგოს? როგორ მოგწონთ ამგვარი აზრი?

ერთ ალაგას ბროშურის ავტორი ამბობს, რომ ოდესმე ყველა წვრილი ხალხები და მათი ენები მოისპობა და დედა-მიწაზე მხოლოთ რამდენიმე დიდი ხალხი დარჩებაო. თუ ავტორს ისტორიის კანონათ მიაჩნია წვრილი ერების გაქარწყლება, და მხოლოთ რამდენიმე ენისა და დიდი ხალხის დარჩენა,—ერთი მითხარით,—განა რატომ არ შეიძლება, რომ ეს დიდი ხალხებიც შეერთდენ ოდესმე, და დედა-მიწაზე მხოლოთ ერთი ხალხი და ერთი საყოველთაო ენა დარჩეს? განა ავტორის ლოლიკა ამას არ მოითხოვს? მაგრამ განა ეს შესაძლებელია?

ამგვართა ლოგიკა ბრეიბის ისტორიაში ჩვენ ხშირად ვხედავთ. ოდეს წვრილი, სუსტი ერები დიდ და ძლიერ ერს დაუპყრია, და ხანდახან სრულიათაც მოუსპია. მაგრამ ამ შემთხვევაში ძლიერ ერებს განა კაცობრიობის სარგებლობა ჰქონიათ მხედველობაში? ამ საქმეში ფიზი-

ჯურ ძალას და ერთი მხრის მატერიალურ სარგებლობას ჰქონია ადგილი და არა ზნეობითს მხარესა და კაცობრიობის წარმატების აზრს.

რაც უფრო მრავალ-რიცხოვანია რომელიმე ერი, ისე უფრო განათლებული და წარმატებულიაო! აბსურდი არ არის ეს აზრი? ჩამოთვალეთ, უფ. ავტორო, ახლანდელი ევროპისა და აზიის ერები და გაიგებთ, რომ ამ აზრში ჭეშმარიტების ნატამალიც არ არის. შევადაროთ, მაგალითად: ინდოეთი და ინგლისი, ჩინეთი და შვეიცარია, იაპონია და ბელგია, ოსმალეთი და იმის პატარა ქვეშევრდომი ერები და სხვა: ამ მაგალითებში დიდი, მრავალ-რიცხოვანი ერები პატარა ერებზე უფრო დაწინაურებულნი არიან განა? იმათი ენა უფრო მდიდარია განა? უეჭველია, რომ მრავალ რიცხვში, შეიძლება, უფრო მომეტებული სწავლულები და მეცნიერები გამოვიდენ; მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ერის წარმატება სრულებით რიცხვზედ არ არის დამოკიდებული.

თქვენვე ამბობთ (ფურცელი 41), რომ „თუ ორი ერი (ერთი დიდი და მეორე პატარა) სრულებით არ დაემსგავსენ ერთმანეთს, მაშინ ძმადი შეერთება და ერთ ერად გადაქცევა სრულებით შეუძლებელი საქმე არისო, ამათ კავშირს მხოლოთ გარეგანი, მეხანიკური მნიშვნელობა ექნებაო და ნამდვილ კი ეს შეერთებული ერები ისევ ორ ერათ დარჩებაო.

ზემოთ ვსთქვით, რომ გარემო ბუნება თავის ბეჭედს ადებს ყოველი ერის ენას, ხასიათს, ჩვეულებას და საზოგადო ცხოვრებას. აქედამ წამომდინარეობს სხვა-და-

სხვა ეროვნობა და ამ ბეჭედის აღმოხოცვა შეუძლებელია: მაშ აგრეთვე შეუძლებელი უნდა იყოს ერთი ერისაგან მეორესი გადაკეთება. ინგლისელებს, რასაკვირველია, შეუძლიათ თავისი საკუთარი სახელმწიფო წყობილობა და იქნება, რამდენიმე საუკუნოების შემდეგ, თავის ენაც დაამყარონ ინდოეთში. მაგრამ ამით თქვენ გგონიათ, ინდოელები და ინგლისელები ერთ ერათ, ერთი სხეულის ნაწილებათ შეიქნებიან? ძლიერ შემცთარი ბრძანდებით, თუ ამას ჰფიქრობთ.

ძალ-დატანებით გაკეთებულ საქმეს არასოდეს მკვიდრი საძირკველი და დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. თუ არ ძალ-დატანებით, თუ არ გასაკიცხავი საშუალების შემწეობით, ხალხი არაოდეს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამგვარათაც დაკარგულის აღდგენას ყოველთვის ეცთება. მაშასადამე რა მნიშვნელობა აქვს იმ რჩევას, რომელსაც უფ. ავტორი იძლევა, რომ დიდი ხალხი წვრილების გაუქმებას უნდა ცდილობდესო? რა მნიშვნელობა აქვს იმ რეცეპტს, რომლითაც იმას ჰსურს ამ საქმის სისრულეში მოყვანა?..

ამ წიგნის თაობაზე სხვა ბევრის თქმაც შეიძლებოდა, შეიძლებოდა, ასე აბსტროქტულათ არ გველაპარაკნა; მაგრამ ახლა არც დრო და არც გარემოება ამის ნებას არ გვაძლევს.

როგორიც აზრებია და საზოგადოთ შინაარსი, ისეთია ენაც ამ წიგნისა: ორივენი ერმთანეთში შეზავებულნი და ერთ-მანეთის ღირსნი არიან.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკი.

მოაწია დრომ, რომელსაც ჩვენი თავად-აზნურობის ბანკის თაობაზე დაულეველ ბაასსა და ლაპარაკს ბოლო უნდა მოეღოს: ამ თვის *) დამლევს იქნება საზოგადო კრება თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებისა, რომელზედაც უნდა გადაწყდეს ჩვენი ბანკის საქმე. მადლობა ღმერთს, როგორც იქნება, მოუღება ბოლო ამ დაუბოლოებელ და ყველასი აღმაშფოთებელ საქმეს!

მაგრამ, როგორ გათავდება ეს საქმე? რომელ პროექტს მიიღებს საზოგადო კრება? ნუ თუ დაამტკიცებს იმ პროექტს, რომელიც უკანასკნელმა კომისიამ წარუდგინა მას და რომლითაც, ერთი საზოგადო ბანკის მაგივრათ, რამდენიმე „ურთი-ერთის სესხის ამხანაგობა“ ანუ ბანკი უნდა გაიხსნას თითეულს უეზდში.

აი კითხვები, რომელნიც ყოველ ქართველს ადგია ეხლა ენაზე და რომლის პასუხს მოუმავალის კრებისაგან ყველა მოუთმენელათ მოელის.

სხვაგან, ჩვენზე უფრო განათლებულ ქვეყანაში, ამისთანა კითხვებს, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა. სხვაგან, უეჭველია, ყველა სასაცილოთ აიგდებდა ისეთ კაცს, რომელიც მემამულეებს სავაჭრო და მცირე ვადიანი სესხის ბანკის გამართვას ურჩევდა. სასაცილოთ აიგდებდა აგრეთვე იმას, ვინც ვაჭრებსა და ჩინოვნიკებს ისეთი ბანკის გამართვას ურჩევდა, რომელიც მხოლოდ მემამულეთათვის არის გამოსადეგი და სასარგებლო. ერთი მითხარით, როგორ გასაკიცხი და სასაცილოთ ასა-

*) ოქტომბრის.

გდები არ ვარ ის კაცი, რომელიც მთიულს „ლაკიროვანი“ წაღების ჩაცმას ურჩევს და ევროპიულ პარკეტის პოლზე მოსიარულეს ანუ მოტანცავეს წრიაპების ჩაცმას?! სხვა ქვეყანაში, ვამბობთ, ასე მოეპყრობოდენ ამისთანა რჩევისათვის და ჩვენ ჯი ვეჭვობთ — და არ ვიცით, როგორ გადავსწყვიტოთ: საადგილ-მამულო ბანკი (поземельный банкъ) გავმართოთ, თუ სავაჭრო, თუ ერთი-ერთის სესხის ამხანაგობა? ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია—მთიულს „ლაკიროვანი“ წაღები სჭირია, თუ წრიაპები! მართლაც რომ შავ დღეს დაბადებულნი ვართ.

მაგრამ სასოწარკვეთილებასა და უიმედობას ნუ მივეცემით, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ბანკის საქმის ჰორიზონტზე ზოგიერთი საიმედო და საანუგეშო კეთილი ნიშანი მოსჩანს. ერთს ამისთანა ნიშანს თელავის მაზრის თავად-აზნაურობის კრება წარმოგვიდგენს, რომელმაც, როგორც დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენცია აცნობებს მკითხველს, უარჰყო კომისიისაგან შედგენილი სამაზრო ბანკების პროექტი და გადასწყვიტა, რომ ვეცადოთ ისეთი ბანკის გამართვას, რომელიც ჩვენს მდგომარეობას უფრო შეეფერებაო: ამგვარ ბანკათ მათ, როგორც მემამულეებს, საადგილ-მამულო ბანკი დაუნახავთ და ამისთანა ბანკის გამართვაზე დათანხმებულან. ამბობენ, სიღნაღის მაზრაშიაც ამისთანა კეთილი მიმართულება მიეცა ბანკის საქმესაო. მაშ ჯერ-ჯერობით იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი ბანკი ორიგიანს საფუძველზე დაარსდება და არ მიეცემა ურიგო და ჩვენთვის გამოუსადეგარ მიმართულებას.

ამას წინათაც ვსთქვით, რომ ჩვენი ბანკების საქმე

თანდათან უარეს მდგომარეობაში ვარდება. მართლა, ერთი უმთავრესი წინადადება უკანასკნელი პროექტისა ის არის, რომ მაზრებში უნდა გავმართოთ პატარ-პატარა ურთი-ერთის სეხის ბანკებიო. როდესაც პირველათ დაიწყეს ჩვენში ბანკის თაობაზე ლაპარაკი, ჩვენ გვახსოვს, ამბობდენ, კარგი იქნება ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებისთვის საერთო ბანკი დაწესდესო. შემდეგ ამ ძლიერ კარგს აზრზე აღარაფერი აღარ ისმოდა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ტფილისის გუბერნიისათვის ცალკე ბანკი გაიხსნებოდა და ქუთაისის გუბერნიისთვის კიდევ ცალკე. ეხლა უკანასკნელმა კომისიამ აღარც ამას დასჯერდა და კიდევ განაწილება მოინდომა. ცალკე მაზრებში ამხანაგობების გამართვა (товарищества или банки взаимнаго кредита) მოინდომა! უკან დაწევა არ არის ეს, მაშ რა არის?

ამას გარდა პირველი (უფ. დ. ი. ყიფიანის) პროექტის საფუძველიც ათას წილად სჯობდა ეხლანდელისას; იმ პროექტის საფუძველში ის ჭეშმარიტება მაინც იყო, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურებს, როგორც ადგილ-მამულით მცხოვრებ პირებს, საადგილ-მამულო ბანკი და ხანგრძლივი სესხი უნდაო და არა ურთი-ერთი სესხის ამხანაგობები და ექვსი თვის სესხი, როგორც ახალი პროექტი გვირჩევს. უკან დაწევა არ არის ეს ბანკის საქმისა, მაშ რა არის?

უფ. დ. ი. ყიფიანის პროექტით, ისეთი ბანკი უნდა დაფუძნებულიყო, რომელიც თითქმის ყველა მცირე-მამულიან თავად-აზნაურს გამოადგებოდა, რადგან სესხის ღება და გადახდა უფრო გაადვილებულიყო და მით შეუმსუბუქებდა იმათ გაჭირვებულ მდგომარეობას.

ახლანდელი კომისიის პროექტით კი, თელავის მაზრაში, მაგალითათ, ბანკიდგან მხოლოდ ორი თუ სამი დიდი მამულის მეპატრონე ისარგებლებს, დანარჩენისთვის, წვრილი მემამულეებისათვის, რომელთაც ყველაზე უფრო ეჭირვებათ ფულები, ეს ბანკი სრულებით გამოუსადეგარი და მავნებელიც იქნება. ესეც ხომ ბანკის საქმის წარმატება და უკეთესს მდგომარეობაში ყოფნას არ ამტკიცებს!?

ერთი სიტყვით, ეხლანდელი პროექტი, რომელზედაც მომავალმა კრებამ უნდა მოილაპარაკოს, ყველა ძველ პროექტზე უარესი და უფრო და უფრო გამოუსადეგარია და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგადო კრება უარყოფს იმას და, რიგიანათ დაფიქრების შემდეგ, მიიღებს ისეთს ბანკის პროექტს, რომელიც ჩვენი თავად-აზნაურობის მდგომარეობას საზოგადოთ უფრო შეეფერება და უფრო გამოადგება. ეს ბანკი, ჩვენის აზრით, სასოფლო-მამულო ბანკი (поземельный банкъ) იქნება, რომელიც ყველა განათლებულ ქვეყანაში დიდი ხანია გამოცდილია და განსაკუთრებით ჩვენ-გვარი მემამულეებისათვის არის გამოგონილი.

ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა.

რა მიმართულება ჰქონდათ ამ ათი წლის წინათ ჩვენს ახალგაზდებს? რას სწავლობდენ ისინი რუსეთის სხვა-და-სხვა უმაღლესს სასწავლებლებში? რითი შველოდენ შემდეგ თავიანთ გამზდელ-სამშობლოს? რა სარგებლობა მოჰქონდათ „განათებულ ახალგაზდებს“ ჩვენი

ქვეყნისათვის?—ეს და ამგვარი კითხვები იმდენჯერ აღ-
ძრულა ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში და
იმათი პასუხი იმდენჯერ გარკვევით თქმულა, რომ ეხლა
ხელ-ახლათ ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი, უეჭველია,
მკითხველს თავს მოაბეზრებს. ვიტყვით მხოლოთ იმას,
რომ ჩვენი ათი და ოცი წლის წინათ გამოზდილი ყმა-
წვილ-კაცები მხოლოთ ჩინოვნიკობისთვის იყვნენ მომზა-
დებულნი. თავიდანვე იმათ ისეთი მიმართულება ჰქონ-
დათ მიცემული და შემდეგ სწავლასაც ისეთს იღებდენ,
რომ ან ჩანოვნიკათ უნდა წასულიყვნენ და ან სულ
ტყუილ-უბრალოთ, უსაქმოთ და უმიზნოთ მოეკლათ
დრო. ერთს ხეირიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნესა,
ერთს რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენ
შორის. იშვიათათ ნახავთ ისეთს ახალგაზდა ნასწავლს,
რომელსაც თავის სწავლა რომლისამე კერძო საქმის
დაწყებაში გამოეყენებინოს.

მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვით, ეს აზრები ძვე-
ლი და გაცვეთილი აზრებია და ამის გამო ჩვენ ძველ
ახალ-თაობის მიმართულებაზე ბევრს ნუ ვილაპარაკებთ.

დღეს გვინდა, ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ერთს მო-
ვლინებაზე, რომელიც, უეჭველია, ყველასთვის ძლიერ
სასიამოვნო ამბავს უნდა შეადგენდეს: ჩვენ გვინდა
ვსთქვათ იმ ლტოლვილებაზე, რომელიც უკანასკნელ
თაობის ახალგაზდებმა გამოიჩინეს.

ჩვენი უკანასკნელი თაობა ათასის მაგალითით
დარწმუნდა, რომ ჩინოვნიკობა არც საკუთრივ იმათ და
არც, საზოგადოთ, იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენ
სარგებლობას არ აძლევს და კეთილს არას ჰმატებს. ეს
მოსაზრება დიდი ხანრა ცხადი და ადვილათ შესამჩნევი

უნდა ყოფილიყო იმათთვის, რომელნიც გონებით დაბრმავებულნი არ იყვნენ და ჩვენ ნასწავლ ჩინოვნიკების ცხოვრებასა და ყოფა-ქცევას ხედავდენ, მაგრამ ნათქვამია: ჭეშმარიტება სწორი გზით არასოდეს არ მოინახებაო. რაკი ჩვენი ახალ-თაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მონახვას და, ამ ახალი თაობის საქებრათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ ძალე მონახეს. ეს გზა—დასავლეთი ევროპის გზა არის.

სიკვდილის შემდეგ რომ სინანულს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ჩვენ ვიტირებდით იმ დაკარგულს დროსა და ახალგაზდებს, რომელნიც ტყუილ-უბრალოთ ჩაიღუპენ, სანამ ეს სწორი გზა მოინახებოდა. მაგრამ, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სინანული არაფერში გამოგვადგება, ამიტომ უბრალო ცრემლებს თავი დავანებოთ და გვიხაროდეს, რომ ჩვენი უკანასკნელი თაობა სწორე გზას დაადგა.

ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯეროობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოთ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ და ჭეშმარიტათ გაუცვნია. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოთ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპიულ სწავლა-მეცნიერება-

ში განვითარებულია და თავის თვალიერ უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილ-დღეობის მომნიჭებელი საცხრები. სხვა არა იყოს-რა, უბრალო დანახვაც განათლებული ერთა ცხოვრებისა და მეცნიერების ნაყოფისა—არა მცირედ სარგებლობას მოუტანს ისეთის ქვეყნის შვილს, როგორიც ჩვენია. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენშიც, ოდესაც რომელიმე კაცის ღირსებაზე იტყვიან: „ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაციაო!“ ამ აზრს თავის საფუძველი აქვს.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალი თაობა მარტო „ქვეყნის სანახავათ“ არ მიდის ევროპაში. ამ შემთხვევაში ისინი უფრო გონიერი აზრით ხელმძღვანელობენ: ისინი მიდიან ევროპიული სწავლა-მეცნიერებისა და ცხოვრების გასაცნობათ და შემდეგ ამაების თავის ქვეყანაში დასამკვიდრებლათ. ვინ გაამტყუნებს იმათ ამგვარი განზრახვისათვის? ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდან პირდაპირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან? განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს და განა არ იცით, რომ წყაროდან მოშორებული წყალი ხანდახან ისეთს რამეებს შეითვისებს გზაში, რომ შემდეგ იმის გამოყენება თითქმის შეუძლებელია?

მაშ მივესალმოთ ამ ახალ მოვლინებას და გზა დაულოცოთ იმ ახალგაზდებს, რომელნიც ძიერტვიან ევროპისაკენ წმინდა წყაროს დასაწაფებლათ. ჩვენ ტკბილი გვაქვს, რომ ერთი დასავლეთ ევროპაში გაზდილი ქართველი თავის სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით

უფრო მომეტებულ სარგებლობას შესძენს ჩვენს, ლონის ძიებით საწყალს, მაგრამ ბუნებით მდიდარ საქართველოს, ვიდრე ხუთი და ათი სხვა ქვეყანაში გამოზრდილი. ამ საგანს შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით.

რუსული გაზეთის აზრი ფვრილ ხალხებსა და საშუალო ენაზედ.

რუსული გაზეთის „ხმის“ (Голосъ) მე 170 ნომერში დაბეჭდილია მოწინავე სტატია, რომელიც პირ-და-პირ ჩვენ, კავკასიის მცხოვრებლებს, შეგვეხება. თუმც ეს სტატია ისეთის ბანაკიდამ არის, რომლის გასწორება და დაჩუმება თვით საუკეთესო რუსის მწერლებსა და მეცნიერებსაც ვერ მოუხერხებიათ, თუმცა ავტორს ელემენტალური ცოდნაც არა აქვს იმ საგნისა, რომელზედაც სწერს, მაგრამ ჩვენ საჭიროთ ვსთვლით ორიოდე სიტყვა მაინც ვსთქვათ ამ სტატიაზე, რადგან ის ისეთს საგანს შეეხება, რომელიც ყოველი კაცისა და ერისათვის ძვირფასსა და უებარ საუნჯეს შეადგენს.

პირველათ ამ სტატიაში მოყვანილია ის გადაწყვეტილება შარშანდელი კავკასიის დირექტორების კრებისა ადგილობრივი ენების შესახებ, რომელიც, თუ ახსოვს მკითხველს, იმაში მდგომარეობს, რომ, რადგანაც ადგილობრივი ენების (ქართულის, სომხურის და სხვ.) რიგიანი მასწავლებლები არ მოიპოვებიან კავკასიაში, ამის გამო ამ ენების სწავლა კავკასიის სასწავლებლებში უნდა შემცირდეს და თითონ მასწავლებლებს, სხვა ხარჯიდან რაც ფული გადარჩება, ის უნდა მიეცესთ ჯამა-

გირათაო. მაგრამ გაზეთს („ხმას“) ეს ამბავი სრულიად სხვანაირათ მოჰყავს: ის ამბობს, ვითომც ზემოხსენებული მასწავლებლების სიძვირის გამო კავკასიის დირექტორების კრებას გადაეწყვიტოს: ადგილობრივი ენები კავკასიის სასწავლებლებში სრულებით უნდა მოისპოსო.

აი, ამ გარემოებაზეა დამყარებული „ხმის“ მოწინავე სტატია. ავტორი ამბობს, რომ მარტო ამ მიზეზით ადგილბრივი ენების მოსპობა გასაკვირველი საქმე არისო: დღეს არ მოიძებნებიან ადგილობრივი ენების რიგიანი მასწავლებლები, ხვალ გამოჩნდებიანო.

მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, განაგრძობს უფ. ავტორი, რომ ადგილობრივი ენების სწავლება კავკასიის სასწავლებლებში საჭირო არ არისო. ეს აზრია თითქმის მთელს სტატიაში გაყვანილი და ამ აზრის დასამტკიცებლათ არის დაწერილი.

ამავე აზრის დასამტკიცებლათ, ავტორს მოჰყავს მოწმედ უცნობი ავტორის (?) ბროშურა, რომელიც ამას წინათ გამოვიდა ქალაქში და რომელიც წვრილი და დიდი ხალხების ერთმანეთზე დამოკიდებულებას შეეხება.

სწორეთ სასაცილოა ზოგიერთი საბუთები გაზეთის „ხმის“ პუბლიცისტისა, მაგალითათ, ერთ ალაგას ის ამბობს: ადგილობრივი ენების მხარე მხოლოთ სომხურ გაზეთს „მშაკს“ და „ახალგაზდა სომხების პარტიას“ (?) უჭირავსო, მხოლოთ ისინი ცდილობენ, რომ კავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენები არ მოისპოსო. მეორე ალაგას ამტკიცებს, რომ ქართველს, იმერელს და მეგრელს ერთმანეთის ლაპარაკი სრულიად არ

ესმისთ და ამის გამო, თუ ყველა კავკასიის წვრილი ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოვინდომეთ, მაშინ იქაურ სასწავლებლებში, ვინ მოსთვლის, რამდენი ენის სწავლება დაგვჭირდებაო. შემდეგ, თავის აზრის დასამტკიცებლათ, ავტორს მოჰყავს ის გარემოება, რომ ახალგაზდა სომხები დიდი სიამოვნებით სწავლობენ რუსულს ენას.

ყველა ამ საბუთით აღჭურვილი და შეიარაღებული „ხმის“ მწერალი ამბობს, რომ კავკასიის წვრილი ერებისათვის აუცილებლათ საჭიროა, თავი დაანებონ მშობლიურს ენებს და, თუ წარმატება და ყოვლის მხრით რუსეთთან გათანასწორება ჰსურთ, რუსული ენა და ცივილიზაცია შეითვისონ.

ეს გახლავთ აზრი და საბუთები „ხმის“ სტატიისა.

ზოგიერთ ამ აზრსა და საბუთზე ლაპარაკი სრულიათ არა ღირს, ისეთი ხეპრული და „უაზრონი“ არიან ისინი, და ზოგიერთზე კი ჩვენს მდგომარეობაში არც მოხერხთება. მაგალითათ, რა უნდა ვსთქვათ იმაზე, ვითომც ქართველს იმერული ენა არ ესმოდეს? ან როგორ უნდა დაუმტკიცოთ ავტორს ყველასთვის ცხადი საქმე, რომ კავკასიის ერებს არც სურსთ და არც შეუძლიათ თავის მშობლიური ენის დავიწყება და მიტოვება?..

მაგრამ სტატიაში მოყვანილია ერთი გარემოება, რომელზედაც, ვალდებულნი ვართ, პასუხი ვაკეთოთ.

ავტორი ამბობს, ადგილობრივ ენებს ხელოთ გაზეთის „მშაკის“ ახალგაზდა პარტია და საზოგადოთ ახალგაზდები იცავენ. ეს ენა წინააღუდგენ პირველათ

კავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენების მოსპობას, თორემ ერი არას დასდევსო. ეს ახალგეზდები თავიანთ ხალხოსნობის აღდგინებაზე ოცნებობენო.

არც ერთი პატიოსანი გაზეთი და ჟურნალი ამგვარი აზრების გამოთქმას არასოდეს არ იკადრებს, თუნდაც ნამდვილი საბუთები ჰქონდეს ამისა...

რომელი პატიოსანი მწერალი იკადრებს, რომ წმინდა პედაგოგიური ბაასი პოლიტიკაში გადაიტანოს? მე რომ გამოვსთქვა, მაგალითათ, ასეთი აზრი: ყმაწვილს პირველ დაწყებითი სწავლა ყოველთვის მშობლიურს ენაზე უნდა გადასცეს მასწავლებელმა-მეთქი, ნუთუ ამ აზრის გამოთქმისთვის, მე საქართველოს დამოუკიდებლობისა და აღდგინების სურვილი და განზრახვა უნდა შემწამონ? სწორეთ ამნაირათ იყო ეს საქმეც: სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ და ქართულმა—„დროებამ“ რამდენჯერმე გამოთქვეს თავის აზრი ადგილობრივი ენების შესახებ; ისინი ამტკიცებდენ, რომ ყმაწვილს უცხო ენაზე სწავლა ათასწილათ უფრო უჭირს, ვიდრემ მშობლიურზე; ისინი ამტკიცებდენ, რომ ადგილობრივი ენების (განსაკუთრებით ქართულის, სომხურის და ზოგან თათრულის) მოსპობა სასწავლებლებში შეუძლებელი საქმეა, რადგან უიმათოთ ერებს, რომელთაც რუსული სრულიათ არ ესმისთ, ვერაფერს გაგაგებინებთო და სხვა. ნუ უთ ამ წმინდა პედაგოგიური და საზოგადო აზრების გამოთქმისათვის რაღაც პოლიტიკური განზრახვა უნდა დაგვბრალდეს? განა მარტო ჩვენ გამოვსთქვით ეს აზრი? თქვენს გარშემო, რუსულს ლიტერატურაში მიიხედ-მოიხედეთ, უფ. „ხმის“ პუბლიცისტო, და დაინახავთ, რომ საუკეთესო რუსის მწერლები და პედაგოგები ამგვარი-აზრისანი არიან. მაგრამ თქვენ, რო-

გორც გეტყობათ, დაბრმავებული ხართ სულ სხვა აზრით და განზრახვითა, და იმიტომ ისეთს რამეებს სწერთ, რომელზედაც არც ნამდვილი მეცნიერება გეთანხმებათ, არც პედაგოგია და არც ადამიანის ბუნება....

„ჩვენ არ ვამტკიცებთო, ამბობს ერთს ალაგას ავტორი, რომ ამ შემთხვევაში ხელოვნური და ძალადობითი სახსრებში აუცილებლათ საჭირო იყოს (ე. ი. ძალათ მოსპობა ადგილობრივი ენებისა და უცხო ენის შემოღება), ამ გვარი სახსრებით ვერ შევასრულებთ ჩვენს წადილს. შეერთება ისტორიული კანონით უნდა მოხდეს, იმ კანონით, რომელიც ამბობს, რომ ერთს სახელმწიფო ორგანიზმში ორი ერის არსებობა შეუძლებელი საქმეაო. უფლების მქონე და ძლავრი ერის მეცადინოება მხოლოთ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ თავის ენა გაავრცელოს იმ წვრილ ერებში, რომელნიც იმის ხელქვეით არიან. კავკასიის ადგილობრივი ენები უნდა იყვნენ მხოლოთ იარაღი ანუ სახსარი, რომლის შემწეობითაც იქაურმა წვრილმა ერებმა უნდა შეითვისონ სრული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებაო.“

ჩვენ რაღას ვამბობთ, უფ, „ხმის“ მწერალო? განა ჩვენც იმას არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი მშობლიური ენა, როგორც საზოგადოთ ყოველი ერის ენა, სახსარია და არა მიზანი, განათლების მიღებისათვის? განა ამისთვის არ ვამბობთ ჩვენც, რომ მშობლიურს ენაზე უფრო ადვილია სწავლის მიღება?

ყოველ მმართველობას, რომელიც თავის ფრის ბედნიერებისა და განათლებისათვის ზრუნავს, უნდა სურდეს

ლიზდეს, ერს განათლების გზა და საშუალობა გაუადვილოს და მისცეს...

ეს ჩვენი აზრი ამ საყურადღებო საგნის შესახებ იმედი გვაქვს, არც ერთი გონება-დაუხშობელი კაცი ამგვარი აზრების გამოთქმისათვის არ შეგვწამებს გაზეთს „ხმასავით“ პოლიტიკურ ტენდენციებსა და არ გამოიყვანს ამ აზრებიდამ რომლისამე „პარტიის“ განზრახვასა და ოცნებებს...

თფილისის გუბერნიის აზნაურობის ბანკი.

ამ ჟამათ ჩვენს ქალაქში თავ-მოყრილნი არიან თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურები, რომელთაც ბანკის საქმე დაბოლოვებით უნდა გადასწყვიტონ. პირველი საზოგადო კრება თავად-აზნაურობისა ზეგ, ე. ი. შაბათს იქნება. მაშასადამე, ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, ეს გაუთავებელი და თითქმის ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი საზრუნველი ბანკის საქმე, კარგათ იქნება თუ ავათ, ბევრ-ბევრი ამ ერთ კვირაში გადაწყდება.

საწყალი ჩვენი ბანკის საქმე! რამდენი წვალება, რამდენი ვაი-ვაგლახი და ტანჯვა გამოიარა მას აქეთ, რაც 1867 წელს 6 მაისს აზნაურობამ გადაწყვიტა, რომ საზოგადო ბანკი გავმართოთო! რამდენ კაცს ჩაუვარდა ხელში საწვალებლათ, საჯიჯგნათ და საბამაშოთ! რამდენჯერ მოელოდა ამ საწყალ ბანკს დაბადებამდი სიკვდილი და დედა-მიწასთან გასწორება!

მაგრამ, როგორც იყო, გადურჩა ყველა ამ „დროთა ვითარებას“ და კაცთა უგუნურებასა, და ეხლა ჩვენ ვხედავთ იმას ისეთს მდგომარეობაში, რომელშიაც სიკვდილის ნიშნები აღარ მოჩანან.

როგორ მდგომარეობაშია ეხლა ჩვენი ბანკი? თითქმის იმგვარსავე მდგომარეობაში, როგორც 1867 წელს იყო, როდესაც თფილისის გუბერნიის აზნაურობამ თავისათვის საზოგადო ბანკის გამართვის სურვილი გამოაცხადა! მაშ რას ვაკეთებდით ჩვენა ამ ექვსის წლის განმავლობაში? რას აკეთებდენ ის კომისიები და კომიტეტები, რომელნიც თავად-აზნაურობამ ბანკის გასამართავათ ამოირჩია? ამის პასუხი თვითონ იმ კომისიებსა და კომიტეტებს უნდა ვკითხოთ; მაგრამ არა გვგონია, რომ რიგიანი პასუხი მოგვცენ...

—

ზევით ვსთქვით, რომ ეხლა ჩვენი ბანკის მდგომარეობა „თითქმის“ იმგვარივეა მეთქი, როგორიც ამ ექვსის წლის წინათ იყო; ჩვენ ვამბობთ „თითქმის“ და არა „სრულიათ“.

მართალია, ჩვენ ეხლაც არა თუ ბანკი, არც იმის წესდებულების პროექტი არა გვაქვს ჯერ, მაგრამ ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ ვიცით—როგორი ბანკის გამართვა ჰსურს ჩვენს თავად-აზნაურობას და მაშასადამე, როგორს წესდებულებაზე იქნება ის დაფუძნებული. სწორეთ რომ ვსთქვათ, არც ეს გარემოება არის ახალი, რადგანაც 1867 წლის 6 მაისის პროტოკოლში პირ-და-პირ იყო გამოცხადებული რომ „გავმართოთ სააზნაურო საზოგადო ბანკი.“ მაგრამ მას შემდგომ სხვა-და-სხვა ოვისებისა

და ხასიათის ბანკის შემადგენელთა იმდენჯერ განიზრახეს ამ საფუძვლის დარღვევა და სრულიათ გამოცვლა, რომ ეხლა ღმერთს მადლობას უნდა ვსწირავდეთ, თუ ეს საფუძველი ისევ აღდგინებული და მკვიდრათ დამყარებული შეიქნა,

—

იმას გარდა, რომ თვითონ 1867 წლის აზნაურობის კრების პროტოკოლშია გამოცხადებული, რომ ჩვენ საზოგადო და საადგილ-მამულო და, მაშასადამე, ხან-გრძლივი ბანკი გვეჭირვებაო, ეს აზრი ერთხელ კიდევ გამოსთქვა თფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ: თითქმის ყველა უეზდის აზნაურობის კრებამა ცხადათ გამოსთქვა წელს, რომ ჩვენ მემამულეები, მიწის პატრონები ვართო და მაშასადამე ისეთი ბანკი უნდა გავმართოთ, რომელიც ჩვენს მდგომარეობასა და ჩვენს ცხოვრებას უფრო შეეფერებაო.

ამის შემდგომ სხვა-და-სხვა „მოკლე ხნის კრედიტებზე“, ცალკე უეზდებში „ურთიერთის ნდობის საზოგადოების“ გამართვაზე და სხვა ამ გვარ ბანკებზე ლაპარაკი სამუდამოთ უნდა მოისპოს ჩვენში. ჩვენ უნდა დავდგეთ იმ გზაზე და ისეთი ბანკი უნდა გავმართოთ, როგორიც მთელმა აზნაურობამ ორჯელ ისურვა. მაშასადამე ეს კითხვა ეხლა გადაწყვეტილ საქმეთ უნდა მიგვაჩნდეს; გადაწყვეტილათ უნდა მიგვაჩნდეს, რომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ გამოაცხადა საადგილ-მამულო და მაშასადამე ხანგრძლივ ბანკის გამართვის სურვილი.

მართალია, თითო ოროლა პირი ეხლაც მოიძებნება ჩვენში, რომელნიც არ ეთანხმებიან ამ აზრს, რომელ-

ნიც ამტკიცებენ, რომ ხან-მოკლე სესხის ბანკი სჯობდა; მაგრამ უეჭველია, ესენიც ძალე ჩაჩუმდებიან, ან იძულებულნი იქნებიან ჩაჩუმდენ, რადგან თითქმის მთელს თავად-აზნაურობას ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას იმ კეთილს და გონიერს გინზრახვაში, რომლის შესრულება იმას მოუნდომებია.

—

ბანკის ხასიათის შემდეგ, პირველი კითხვა, რომელიც აღიძრება მომავალ საზოგადო კრებებზე, უეჭველია, ის იქნება, თუ როგორ გაუადვილონ მონაწილეობის მიღებაზე იმ პირთა, რომელთაც ჯერაც არ შეუტანიათ ფულები ბანკის დაარსებისათვის (ფონდისათვის.) მკითხველმა იცის, რომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან ბანკის დასაარსებელად სულ 73 ათასი მანეთია შემოტანილი, რომელიც ეხლა თავის ხუთი წლის სარგებელით 87 ათას მანეთს შეადგენს. მაშასადამე თითქმის აზნაურობის მეოთხედ ნაწილსაც არ შემოუტანია თავის ხვედრი ფული. ხელმწიფის ნაბოძები თექვსმეტი ათასი თუმანია, და აზნაურობის შემოტანილი ფულებით, ბანკის ფონდი უნდა შემდგარიყო სულ ნახევარი მილიონი (500,000 მან.); მაგრამ ეხლა კი მარტო ეს 87 ათასი მანეთია და ამას გარდა კიდევ ის 160,000 მანეთი, რომელიც ადგილობრივად, მემამულეების (მაშასადამე გლეხებისაც) სასარგებლოთ უბოძა თფილისის გუბერნიის აზნაურობას ხელმწიფე იმპერატორმა. ამ ფულებით, როგორც მკითხველი ხედავს, ნახევარი მილიონი მანეთი, რომელიც 1867 წლის პროტოკოლის გადაწყვეტილებით დანიშნა აზნაურობის კრებამ, არ შესდგება. ეს ფულები, ან თითქმის ამდენ-

მხოლოთ მაშინ მოგროვდებოდა, რომ ყველა თავად-აზნაურს შემოუტანა თავიდამვე. მაგრამ როგორც ვსთქვიდ, თითქმის სამ მეოთხედსაც არ შემოუტანია.

მაშასადამე, საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იმ პირებმაც შემოიტანონ ბანკს დასაფუძნებლათ ფულნ, რომელთაც გლეხ-კაცების ფულების აღების დროს არაფერი არ დაუტოვებიათ.

ეს გარემოება კარგათ უნდა ასწონოს კრებამ და, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ამ პირებსაც გაუადვილოს საზოგადო ბანკში მონაწილეობის მიღება. ამ პირებისათვის ბანკში მონაწილეობის მიღების გაადვილება მით უფრო საჭიროა, რომ უიმათოთ თვით ბანკის დაფუძნებაც საეჭვოა, რადგან ხელმწიფე იმპერატორმა ის თექვსმეტი ათასი თუმანი თფილისის გუბერნიის ყველა მამულის პატრონს უბოძა და არა რამდენსამე პირს; და, მაშასადამე, თუ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას, არა-საზოგადო ბანკს ამ ფულებს არ დაასაკუთრებინებენ და არც მისცემენ.

თფილისის გუბერნიაშიაც რომ იმნაირათ მოეგროვებინათ ფულები, როგორც ქუთაისის გუბერნიაში მოგროვეს, ე. ი. ხაზინიდამ მიღებისათანავე გამოერთმიათ ყოველი მებატონესაგან ბანკისათვის ხვედრი ფული, მაშინ ამ საგანზედ ჩვენ ლაპარაკი აღარ დაგვჭირდებოდა; მაგრამ, რადგანაც ასე ვერ მოხერხთა, ამის გამო ეხლა უნდა გაასწოროს აქაურმა თავად-აზნაურობამ თავის შეცთომა, თორემ უამისოთ საზოგადო საქმე არ გაკეთდება.

პირველი გამაადვილებელი საშუალება, რომელსაც საზოგადო კრებამ ყურადღება უნდა მიაქციოს, იქნება

ის, რომ იმ პირთ, რომელთაც ბანკის ფულები არ შემოუტანიათ, შეუმცირონ შემოსატანი ფულები და ნაწილ-ნაწილათ გადაახდევინონ, რამდენისამე წლის განმავლობაში; შეიძლება აგრეთვე ბანკმა ფულების გატანის დროს გამოურიცხოს განსაზღვრული ნაწილი ბანკის ფონდისათვის; ისიც შესაძლებელია, რომ ვისაც ფულები არ შემოუტანია, იმას მომეტებული სარგებელი გადაახდევინონ, რომ ეს გადამეტებული სარგებელი ბანკის ფონდში ჩაირიცხოს. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში შეიძლება ბევრი სხვა და სხვა ფულის შემოტანის გამაადვილებელი სახსარი მოინახოს, კაცმა თუ მოიფიქრა და მოინდომა.

—

მართალია, ვინც თავიდანვე შემოიტანა ფული, ანგარიშით იმათ უფრო მომეტებული ერგოთ ბანკის დასაფუძნებლათ, იმათი უფრო მეტი წილი იქნება ბანკის ფონდში; მაგრამ მეორეს მხრით ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ იმათთვის მაშინ ფულების შემოტანა ისე ძნელი არ იყო, როგორც ეხლა იქნება იმ პირებისთვის, რომელთაც მაშინ არ დასტოვეს.

ამას გარდა ბანკის დაარსება ისეთი საზოგადო საქმეა, რომელშიაც ჯიბრს, ერთმანეთში უთანხმოებას და ხარბობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. კმარა, ღმერთმანი, რაც ამგვარმა ქცევამ ვნება მოგვიტანა ჩვენ და ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს! იქნება ზოგიერთმა პირმა სთქვას: „ჩემი ფული ეს ექვსი წელიწადია უნაყოფოთ აგდია და ეხლა, ბანკი რომ გაიხსნება, მე უპირატესობა უნდა მექნეს იმ პირთან, რომელსაც ეხლა შემოაქვს ფულები და ისიც არა სრულათო“. ძლიერ სამწუხარო იქ-

ნება, თუ მომავალს კრებებზე ამისთანა სიტყვები და აზრები გავიგონეთ. უბედურება ისაა, რომ ყველანი პირადს სარგებლობას მივსდევთ; არა გვაქვს სურვილი და ხალისი, რომ მოძმეს ხელი მოვუმართოთ გაჭირვებაში; არ გვესმის, რომ ჩვენი მოძმის ბედნიერება და კეთილ-დღეობა ჩვენივე პირადი კეთილ-დღეობა და ბედნიერებაა...

თუ მომავალი თავად-აზნაურობის კრება ამ ყველასთვის ჭეშმარიტი აზრებით იხელმძღვანელებს და ის პირები, რომელთაც თავიდანვე შეიტანეს ბანკში ფულები, თავიანთთვის რომელსამე უპირატესობას და განსაკუთრებულ სარგებლობას არ მოითხოვენ, მაშინ, დიახ, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბანკის საქმე კარგათ წავა და ის მართლა ნამდვილ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას, მაშინ აასრულებს იმ დანიშნულებას, რომელიც 1867 წლის კრებას ჰქონდა მხედველობაში, როდესაც პროტოკოლი შეადგინა, რომ გავმართოთ ტფილისის გუბერნიის აზნაურობის საზოგადო ბანკიო.

კ ი დ ე ვ ბ ა ნ კ ზ ე.

ჩვენ ქალაქში თავ-მოყრილ თავად-აზნაურებს ორჯელ ჰქონდათ კრება ბანკის თაობაზე: პირველი შაბათსა და მეორეც ორშაბათს; მესამე კრება დღეს უნდა იქნეს. ამ ორი კრებიდან ნათლათ გამოირკვა ჩვენი თავად-აზნაურობის სურვილი: ყველა იქ დამსწრე, ჯერ კენჭის ყრამდინაც დარწმუნდებოდა, რომ თავად-აზნაურობის მომეტებული ნაწილის სურვილი იყო, რომ საად-

გილ-მამულო ანუ ხანგრძლივი სესხის ბანკი გაემართათ. მართლაც, კენჭის ყრიდან ეს ცხადათ გამოჩნდა: თავად-აზნაურობამ ორი მესამედი ხმის უმეტესობით უარყო უკანასკნელი კომისიისაგან შედგენილი პროექტი სამაზრო ბანკებისა და ერთხელ კიდევ გამოაცხადა, რომ ჩვენ საადგილ-მამულო ბანკი და ხანგრძლივი სესხი გვეჭირვებოდა.

მაშასადამე, ეხლა დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ისეთი ბანკი ექნება, რომელიც ყველაზე უფრო ესაჭიროება და რომელიც მის ეკონომიურ მდგომარეობას ყველაზე უფრო შეეფერება.

ამ ბანკის ხასიათის განსაზღვრის შემდეგ, შორშაბათის კრებაზე, როგორც გავიგეთ, იმაზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი, თუ როგორ გავუადვილოთ საზოგადო ბანკში მონაწილეობის მიღება იმ თავად-აზნაურებს, რომელთაც თავიდანვე ბანკის თავნის შესადგენათ ფულები არ შემოუტანიათო. ჩვენ გავიგეთ, რომ პირველი კომიტეტი, რომელიც ბანკის პროექტის შესადგენათ იყო ამორჩეული 1867 წელს და რომლის თავმჯდომარეთ უფ. დ. ი. ყიფიანი არის და აგრეთვე თავად-აზნაურობის მომეტებული ნაწილი ამ საქმის თაობაზე იმ აზრისაა, რომ ბანკის გასახსნელათ, ანუ მის მოქმედების დასაწყებათ ის ფულებიც საკმათა, რაც ამ ჟამათ არის. მაკრებილიო, რაც შეეხება იმ თავად-აზნაურებს, რომელთაც ბანკის თავნისთვის ფული ჯერაც არ შეუტანიათ, იმათთვის შემდეგი ღონის-ძიება უნდა მივიღოთო: თითოეულ ამისთანა პირს უნდა ვკითხოთ: ჰსურს მას საზოგადო ბანკში მონაწილეობის მიღება, თუ არა; თუ ჰსურს, როგორ

ურჩევნია ფულების შემოტანა ერთათ, ნაწილ-ნაწილათ რამდენიმე წლის განმავლობაში, თუ ეს მისი ხვედრი ფული ბანკის ვალათ ჩაეთვალოს და მერე ისე ხანგრძლივი ვადით გადაიხადოს, როგორც საზოგადოთ ყველა ბანკის სესხისთვის იქნება დაწესებული? ვინც არც ერთს ამ ამ სამ სიხსარზე არ დათანხმდება, ან არ შეასრულებს, იმას თავად-აზნაურობა ძალას ვერ დაატანს, ის ბანკის მონაწილე არ იქნებაო.

ჩვენის აზრით, ეს ღონისძიება სრულიათ საკმაოა და ძლიერ უადვილებს ბანკში მონაწილეობის მიღებას ამ პირებს, რომელთაც ჯერაც არ შემოუტანიათ ფული. მაგრამ ამ ღონისძიებაზე უფრო დაწვრილებით მოსალაპარაკებლათ, როგორც ამბობენ, თავად-აზნაურებს ორ-შაბათს ცალკე კომისია ამოურჩევიათ, რომელმაც თავის გადაწყვეტილება დღეს, ოთხშაბათს, უნდა წარუდგინოს კრებას.

ამ ორი უმთავრესი საგნის გადაწყვეტის შემდეგ, მხოლოდ ბანკის პროექტის შედგენა დარჩება. იმედია, როდესაც ამ ორ სადავო საგანზე დათანხმდებიან, მერე ბანკის პროექტის შედგენა ძლიერ ადვილი საქმეც იქნება. მართალი რომ ვსთქვათ, ამ პროექტს შედგენა არც კი დასჭირდება, რადგან ამგვარი საადგილ-მამულო ბანკი რუსეთში ბევრია და იმათთვის ერთი საზოგადო ნორმალური პროექტი დიდი ხნით დამტკიცებულია. საჭირო იქნება მხოლოდ პოლტავის, ანუ ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკის წესდება აიღოს კაცმა და ზოგიერთი მუხლი შესცვალოს და ჩვენი თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის პროექტი მზათ იქნება მთავრობასთან წარსადგენათ და დასამტკიცებლათ.

ვისურვებთ, ეს მეხანიკური მუშაობა, რაც შეიძლება, მალე გათავებულიყოს. ბანკის მალე გახსნა ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა, სხვა არა იყოს რა იმისთვის, რომ საზოგადოებაში დადის ხმა და ეს, მგონი, კიდეც მართლდება, რომ რუსეთის კაპიტალისტები აპირებენ კავკასიაში საადგილ-მამულო ბანკის გამართვასო. გაზ. „კავკაზ"-ის მე-137 ნომერში ვკითხულობთ:

„ამბობენ, რომ კავკასიის აქეთი და იქითა მხრის მეურნეობის წარმატებისათვის პეტერბურგში აქციონერების ორი დიდი ამხანაგობა შესდგა, 3 მილიონი (3.000,000) კაპიტალით. როგორც ამბობენ, ამ ამხანაგობებს კავკასიის აქეთა მხრის თავად-აზნაურებისათვის წინადადება მიუცია: თქვენ მომავალ ბანკში მონაწილეობა მოგვეცითო".

შემდეგ „კავკაზი"-სვე მე-39 ნომერში სწერია:

„ჩვენ გავიგეთ, რომ ექვსს ადგილობრივ კაპიტალისტს, კავკასიაში საადგილ-მამულო ბანკის გასამართავად, ამხანაგობა შეუდგენიათ და თავის ბანკის წესდებულების პროექტი უკვე წარუდგენიათ დასამტკიცებლათ".

თუ ეს ხმები გამართლდა, თფილისში ან საზოგადოთ სადმე კავკასიაში სხვა საადგილ-მამულო ბანკი გაიმართა, ჩვენი ბანკის დაარსებამდე, ისიც კაპიტალისტებისა,—დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი ბანკისა და ამასთანავე ჩვენი თავად-აზნაურების საქმე ძალიან ცუდათ წავა: წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ სთქვას—ამგვარი კაპიტალისტების ბანკი, ადრე იქნება თუ გვიან, მთელ ჩვენს მამულებს ჩაიგდებს ხელში, რადგან იმის განზრახვა მხოლოთ ის იქნება, რომ ისარგებლოს ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობით და, რაც შეიძ-

ლება, მომეტებული გამოუსყიდველი მამული დაისაკუთროს. თითონ ჩვენმა მემამულეების ოცნებამ წაუმოიდგინოს, რა ბედი და მომავალი მოელის მაშინ ჩვენ თავად-აზნაურებს, რომელნიც უადგილ-მამულოთ და, იქნება, უსახლ-კაროდაც დარჩებიან...

ამიტომაც დღეს ჩვენი უკანასკნელი სიტყვა და სურვილი ის იქნება, რომ, რაც შეიძლება, დაუჩქაროს თავად-აზნაურობამ თავის ბანკის გამართვას. ეხლა, როდესაც ორი უმთავრესი კითხვა ბანკის თაობაზე გადაწყვეტილია, უბრალო ბაასზე დროს დაკარგვა, ზიანს თუ არა, სიკეთეს არ მოგვიტანს.

ჩვენი ბანკების საქმე.

დღეს შეგვიძლია ერთი დიდათ სასიამოვნო ამბავი ვაცნობოთ ჩვენ მკითხველებს: გუშინ, დეკემბრის ხუთს, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ გადაწყვიტა საქმე, რომელიც დიდი ხანია სულს უწუხებდა ჩვენს მემამულეებს და რომლის დაბოლოებას ამდენი ხანია, მოელოდა ჩვენში ყველა, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის ნივთიერი და ზნეობითი წარმატება სურდა: ჩვენ ვამბობთ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკზე. ოთხშაბათს თავად-აზნაურობის საზოგადო კრებამ თითქმის ერთხმათ მიიღო ისეთი ბანკის წესდებულების პროექტი, რომელსაც „საადგილ-მამულო“ (поземельный) ბანკს ეძახიან.

არც საზოგადოთ ამ წესდებულებზე და არც კერძოდ იმის ცალკე მუხლებზე ჩვენ აქ არას ვიტყვით

ვიტყვით მხოლოთ, რომ ამ წესდებულების ძალით, თფილისის თავად-აზნაურობის საზოგადო ბანკიდან ყოველ მონაწილეს ორ-გვარი სესხის ალება შეუძლია: ხანგრძლივისა (ზოგ გირაოზე 18 წლამდე და ზოგზედაც 53-მდე) და ხან-მოკლესი (1—3 წლამდე). პატარა-პატარა ბანკები ხან-მოკლე სესხისა მაზრებში გაიხსნება. მაშასადამე ეს პროექტი ორივე მხარეს დააკმაყოფილებს: იმასაც, რომელიც „საუეზდო კრედიტის საზოგადოებებს ანუ ამხანაგობებს“ თხოულობდა და იმასაც, ვინც ერთს საზოგადო ცენტრალურ ბანკს თხოულობდა.

ეხლა ეს თავად-აზნაურობისაგან მიღებული წესდებულების პროექტი მმართებლობას უნდა წარედგინოს და იმისაგან უნდა დამტკიცდეს. ამ საქმის მალე შესრულება და მაშასადამე თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საზოგადო ბანკის გახსნა და იმის მალე მოქმედების დაწყება იმ პირებზე იქნება დამოკიდებული, რომლებმაც ამ წესდებულების დამტკიცებისათვის მთავრობასთან უნდა იშუამდგომლონ.

ვინატროთ ყველამ, რომ ეს საქმე მალე გათავებულიყოს და თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკს მალე დაეწყოს მოქმედება ჩვენს, ყოველ მხრით შევიწროებულ მემამულეთა სასიკეთოთ და ჩვენის ლარიბი ქვეყნის საკეთილ-დღეოთ.

ეხლა ქუთაისის ბანკზედაც გვინდა, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თარგმანზე უკანასკნელ დროს თითქმის სრულიად არაფერი არ ისმის; მაგრამ რას ვამბობ „ამ უკანასკნელ დროს“? ამ ექვსი

წლის განმავლობაში მხოლოდ ის ვიცით, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობის კრებამ ბანკის პროექტის დასაწერათ 24 კაცი ამოირჩია; მაგრამ აკეთებდნენ ისინი ამ საქმისათვის რასმე, თუ არა, არაფერი სჩანს. მხოლოდ ერთმა კომიტეტის წევრმა, ისიც ძალა-უნებურათ, გამოაცხადა ამას წინათ: „ჩვენ ბარა ნაკლებ სხვებთა ვსცდილობთ და ვმეცადინეობთ ამ საზოგადო საქმისათვისა“, მაგრამ ეს მეცადინეობა კი არსაიდან არა სჩანს და!

ამბობენ, ქუთაისის თავად-აზნაურობა პეტერბურგის ბანკის საქმის გადაწყვეტას უცდიდა.. თუ ეს მართალია, აჰა, ამასაც მოესწრენ. მაშ ხმედია, რომ ეხლა მოსპობენ იმ ოლიმპიურ უმოძრაობას, რომელშიაც დღემდე იმყოფებოდენ და ალარ დაუწყებენ ცდას, რომ იმათმა კომიტეტმა ეს საქმე სისრულეში მოიყვანოს. ლმერთმანი, ამ კომიტეტმა ექვსი წლის უმოქმედობით ნამოლათ დაგვიმტკიცა, რომ იმას ამ საქმის სისრულეში მოყვანა სრულებით არ შეუძლია. ცმარა იმის ყურება, ემბარა ამდენი ლოდინი და მოთმინება!..

ჩვენის აზრით, ქუთაისის თავად-აზნაურობა წინამძღოლმა უნდა მოიწვიოს რმერეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურები და არა ჩვეულებრივი კრება უნდა შეადგინოს ბანკის თაობაზე მოსალაპარაკებლათ. რაც უფრო მალე მოახდენს ამ გაწკარგულებას ქუთაისის გუბერნიის მარშალი, უმჯობესი იქნება. საზოგადო კრებამ აირჩევს ეხლის კომიტეტს (რადგან ძველი კომიტეტს ექვსი წლის შრომის შემდეგ ბრსვენება დასჭირდება), რომელიც ბევრი-ბევრი ერთი კვირის განმავლობაში შეადგენს ახალს პროექტს იმ საფუძველზე, რომელსაც საზოგადო კრება ეჩვენება. პროექტის შედგენა ძნელი

საქმე არ არის, რადგან მთავრობისაგან ყოველ ნაირის ბანკების ნორმალური პროექტები დამტკიცებულია და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, უეჭველია, ერთ-ერთს ამ ბანკების წესდებულებას მიიღებს თავის ბანკისათვის საფუძვლათ.

მაგრამ იმერლებს ამ პროექტების ძებნა არც კი დასჭირდებათ: თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ბევრი პროექტის გასინჯვის შემდეგ, გაჩერდა ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკის წესდებაზე და თავის ბანკისათვისაც ის მიიღო სახელმძღვანელოთ.

მაშასადამე ამ მხრით არავითარი დაბრკოლება არ იქნება; საზოგადოთ, არც ერთი მხრიდან არ იქნება ამ საქმეში დაბრკოლება. მხოლოდ თავად-აზნაურობამ კარგათ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და თავის მხრით მიღებული პროექტის დამტკიცება სანდო კაცს მიანდოს და, დარწმუნებული იყავით, რომ იმერლებს ერთი წლის განმავლობაში თავისი ბანკი ექნებათ.

არ შეგვიძლია, დიდის სიამოვნებით არ შევნიშნოთ, რომ ქუთაისის ბანკს ძლიერ კარგი მომავალი ელის, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ პატიოსანი და მცოდნე კაცები იქნებიან ამ ბანკის გამგეებათ.

თფილისის ბანკთან შედარებით, იმერეთისა და საშეგრელოს შეერთებული ბანკი ბევრად უკეთესს მდგომარეობაში იქნება, ეს იმიტომ, რომ ამ ბანკს უფრო მომეტებული თავნი ფული აქვს, თფილისის ბანკის ფონდათ, ამ ჟამათ მხოლოდ ოთხმოცდა-თერთმეტი ათასი მანეთია; ხელმწიფისაგან თექვსმეტი ათასი თუმანი ტფილისის ბანკს მხოლოდ მაშინ მიეცემა, როდესაც ეს ბანკი გაიხსნება. მაშასადამე, ამ ბანკს თავიდანვე მხოლოდ

ოცდა-ხუთი ათას ასი თუმანი ექნებოდა. ამას გარდა იმ თავად-აზნაურებმა, რომელთაც ოდესღაც არ შემოუტანიათ ბანკის თავნისთვის, ამი წლის განმავლობაში თავ ვის ხვედრის მეოთხედი — ოცი % (მაგრამ ათ %) უნდა შემოიტანონ. ასე რომ თავნი ფული (ფონდი) თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკისა იქნება ოცდა-თერთმეტ, ან ბევრი-ბევრი ოცდა-ხუთმეტ ათას თუმნამდი (311,000—315,000). იმერეთში და სამეგრელოში ერთი თავად-აზნაურიც არ დარჩენილა, რომელმაც კი გლეხ-კაცების ფული მიიღო, რომ ამ ფულიდამ ბანკის თავნისათვის თავის ხვედრი არ დაეტოვებინოს და ამის გამო ქუთაისს ბანკს თავნი ეხლავე თითქმის ორი იმდენია, რამდენიც თფილისისა.

მეორეს მხრივ ის ბედნიერი გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თუმცა იმერეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობა საზოგადოთ ღარიბია, მაგრამ იმას ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობასავით, მამულები დაგირავებული და გადაგირავებული მაინც არ აქვს, აქედამ ცხადია, რომ, თუ ქართლ-კახეთის მემამულეებს იმედი, და სრულიად საფუძვლიანი იმედი, აქვსთ რომ ბანკი იმათ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელს მოუმართავს, იმერეთ-სამეგრელოს მემამულეებს კიდევ უფრო მომეტებული იმედი უნდა ჰქონდესთ.

მაგრამ, როგორც ერთი მხარისათვის, ისე მეორესთვისაც აუცილებლათ საჭიროა, რომ ბანკის შემწეობა მხოლოდ იმ საქმისთვის გამოიყენონ მემამულებმა, რომლისთვისაც ის დანიშნულია, ე. ი. ჩვენი დაცემული მეურნეობის აყენებისათვის და დახშული გონების განათლებისათვის.

დღესვე გვინდოდა, გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ჩვენ საზოგადოებას თფილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთება, მაგრამ ეს სტატია უიმისოთაც საკმაოდ გრძელი გამოვიდა და ამის გამო ამ ფრიად დიდი ყურადღების ღირსს საგანზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

თფილისის და ქუთაისის საზოგადო ბანკების შეერთებაზე.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ერთობ ხშირად ვლაპარაკობთ ბანკების თაობაზე; მაგრამ, იმედი გვაქვს, ჩვენი მკითხველები ამისთვის არ დაგვემდურებიან. თუ მართალია, რომ საზოგადოთ ლიტერატურა, და განსაკუთრებით დრო-გამოშვებითი ლიტერატურა, ყოველთვის ისეთს საგნებს უნდა შეეხებოდეს, რომელთაც საყოველთაო და საზოგადო ინტერესი აქვს, რომელნიც, თუ შეიძლება ვსთქვათ, აღნიშნულ დროს საზოგადოებას აწუხებენ,—თუ მართალია, ვამბობთ ეს აზრი, მაშინ ჩვენს ბანკზე გახშირებულ ლაპარაკს სრული საფუძველი და შესაწყნარებელი საბუთები აქვს. მართლაც, რაზედ ლაპარაკობენ ამ ჟამათ ჩვენს საზოგადოებაში, თუ არ ბანკის თაობაზე? რა აწუხებს ახლა ჩვენ საზოგადოებას, თუ არ ის აზრი, რომ, რაც შეიძლება მალე, გავმართოთ ჩვენი საზოგადო ბანკი? თუ ეს ასეა, მაშ „დროებას", როგორც ერთს ჩვენის ლიტერატურის ორ-

ბანოს, მიეტევება ამ საგანზე ხშირი ლაპარაკი და საუბარი თავის მკითხველებთან.

—

დღეს ჩვენ გვინდა ისეთს საგანზე ვილაპარაკოთ, რომელზედაც ჩვენს ლიტერატურაში, თუ არ ვსცდებით, ჯერ არა თქმულა რა; მხოლოდ საზოგადოებაში კი იყო ამ საგანზე ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ლაპარაკი, ისიც გაკვრით.

ჩვენ ვამბობთ—თფილისისა და ქუთაისის აზნაურობის საზოგადო ბანკების შეერთებაზე. არც დრო და არც გარემოება დღეს ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით ჩამოვთვალოთ, თუ რა მატერიალურ სარგებლობას მოუტანს ორსავე ბანკს და თან მთელ ჩვენ მხარეს თფილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთება. მაგრამ ეს მაინცა და მაინც საჭიროც არ არის, რადგან ჩვენდა უწვენებლათ და დაუმტკიცებლათაც, ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ბევრი ფულით და მომეტებული თავნით უფრო უკეთ გაკეთდება საზოგადოთ ყოველი საქმე, ვიდრე ცოტა ფულითა. განსაკუთრებით ახლა, როდესაც ყოველი მხრიდამ გვემუქრება ჩვენ კაპიტალისტების შემოსევა,—ისეთი კაპიტალისტებისა, რომელთაც ჩვენი ბუნების გაკარცვა და ჩვენი უკანასკნელი წვენის წამოწოვა ექნებათ თავის მოქმედების მიზნათ,—ამისთანა დროს, ვამბობთ, აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენც, შეძლებისა და გვარათ, შევაერთოთ ჩვენი კაპიტალი და ზნეობითი ძალა, და ამნაირათ შეერთებულათ გაუწიოთ იმათ წინააღმდეგობა და დავიცვათ ჩვენი არსება, თორემ როგორც ერთმა პატივცემულმა პირმა წარმოსთქვა ამას წინათ თავად-აზნაურო-

ბის კრებაზე ჩვენ მოგველოდა ისეთი ფავსდაცემა და შემოსევა (უცხო ქვეყნის კაპიტალისტებისა), რომელიც ბარ-ბაროსების შემოსევაზე უარესი და უმავნებელესი იქნებაც ჩვენი საწყალი ქვეყნისათვის!...

ეს ბანკის შეერდება ხრულებით არ გაუძნელებს იმის მონაწილეებს ფულებს აღებას და საზოგადოდ ბანკით სარგებლობასა. მართალია, შეერთებული ბანკების უმთავრესი გამგეობა და მმართებლობა თფილისში იქნებაა, მაგრამ იმერლებს, რომელნაც ბანკთან საქმე ექნებათ, ამით სრულებით არ დააკლდებათ რა, რადგან ქუთაისში, უეჭველია, ბანკის განყოფილება (კანტორა) იქნება, რომელიც ისე აწარმოებს ყველა ბანკის საქმეს, როგორც ნამდვილი ბანკი. ამას გარდა ბანკების შეერთებამ თითქმის ერთი-ორად შეამცირებს იმ გასავალს, რომელიც ჯერ ცალ-ცალკე გახსნილ ბანკს უნდა ექნეს თავის გამგეობისათვის (დირექტორებისათვის, გამგებლისათვის და სხვა)

ამ მატერიალურ მხარეებს გარდა, თფილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთებას მეორე არა, ნაკლები ყურადღების ღირსი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქვეყნისათვის. ჩვენ ვამბობთ ზნეობით მხარეზე. არა გვსურს ერთხელ კიდევ გავიმეოროთ აქ გაცვეთილი სიტყვები ქართლ-კახეთისა და იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს განცალკევებაზე და ერთმანეთის უცნობობაზე. ეს განცალკევება და ერთი—მეორის ინტერესის გაუგებლობა იქამდი მივიდა, რომ გარეშე კაცები ჩვენ სულ სხვა და სხვა ხალხებათ გვთვლიან: დიდი ხანი არ ყრის, რაც ერთმა რუსულმა გაზეთმა გამოსთქვა, რომ ქართლელს იმი-

ოლის ლაპარაკი პრ ესშისო? იმერელს მეგრელისაო და გურულისაო. ამისთანა უგუნურის აზრები რამდენჯერ გვმრთქმულა ჩვენზე! მაგრამ ვინა ბრალია ეს? ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია, ვსთქვათ, ოდესმე ერთის მხრით თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავენი: ჩვენი ერთმანეთის განზე ზადგომა, განცალკევება და ერთმანეთის ცხოვრებისა და ინტერესების გაუგებლობა ყველა გარეშე ეაცს აფიქრებინებს, რომ ეს სულ სხვა და სხვა ხალხები არიანო, რომ ამათში არავითარი შთამომავლობითი ერთობა და კავშირი არ უნდა იყოსო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თფილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთება ამ ორსავე მხრისთვის მავნებელ განცალკევებას მოსპობს. იმედი გვაქვს, რომ ბანკების შეერთება უფრო მომეტებულ ზნეობით კავშირს და ერთობას ჩამოაგდებს ჩვენში, ვიდრე ადრემდი იყო. ეს შეერთება გაგვაცნობს ჩვენ ერთმანეთს, გაგვაგებინებს ერთმანეთის სარგებლობას ტ ზიანს, ტ უფრო მომეტებულ საშუალებას მოგვცემს, რომ ყოველი სასარგებლო საზოგადო საქმე შევასრულოთ და დამაზიანებელი თავიდამ ავიშოროთ.

თუ ეს ასეა, მაშ ჩვენ წინათვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა, ვისაც კი ჩვენი საზოგადოებისთვის სიკეთის მოტანა ჰსურს, თანაუგრძნობს ამ ჩვენგან გამოთქმულ აზრს თფილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთებაზე. და მართლაც, ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ თფილისის თავად-აზნაურობა დიდის სიამოვნებით დათანხმდება ბანკების შეერთებაზე. ჩვენ ისიც გავიგონეთ, რომ არც იმერეთის თავათ-აზნაურობის მომეტებული ნაწილი ეწინააღმდეგება ამ საქმესა; ეწინააღმდეგებიან, როგორც ისმის, მხოლოთ რამდენიმე პირი, რომელნიც, უეჭვე-

ლია, სრულებით სხვა რამეთი უნდა ხელმძღვანელობდენ და არა საზოგადო საქმის სარგებლობითა..

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ გვარი პირების შთაგონებას არავითარი გავლენა არ ექნება იმერეთის საზოგადოებაზე და ჩვენ მალე მოვესწრობით „თფილისი-ქუთაისის აზნაურობის საზოგადო საადგილ-მამულო ბანკის“ გამართვას.



1873 წ.

ბუშინ და ხვალ.

ყოველი გონიერი მეოჯახე, ყოველი ვაჭარი და საზოგადოთ ყოველი მოხელე და მოსაქმე კაცი წლის დამლევს გაწმენდს ხოლმე თავის ანგარიშს; ის მოიყვანს ცნობაში, თუ რა საქმეები ჰქონდა იმას წასული წლის განმავლობაში, რამდენი შემოსავალი ჰქონდა ამ საქმეებიდამ და რამდენი გასავალი. ამ ანგარიშის მიხედვის დაგვარად, იმას ადვილად შეუძლია, მომავალი წლის შემოსავალ-გასავალი შეიტყოს და შემდეგ ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც უფრო სასარგებლოთ დაურჩა.

ეს კარგი და სასარგებლო ჩვეულება, არა თუ კერძო პირებისთვის, მთელი საზოგადოებისა და ხალხისთვისაც ძლიერ გამოსადეგია. ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების ცხოვრების მეჩვენებელნი, ანუ უკეთ ვსთქვათ, პერიოდული გამოცემები (გაზეთები და ჟურნალები) ყოველ ახალ წლის დამდეგს წარუდგენენ საზოგადოებას ანგარიშს, თუ რომელი ყურადღების ღირსი საქმე გაუკეთებია იმას წასული წლის განმავლობაში, რა ახალი მოვლენა შეუნიშნავთ იმათ საზოგადო ცხოვრებაში და რა გავლენა და შედეგი ჰქონია ამ ახალ მოვლენას.

„დროებამაც“ რომ ეს კითხვები მისცეს თავის თავს და მოიფიქროს აღნიშვნა იმ მოვლენათა, რომელთაზედაც შარშან ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო, უნდა გავტყდეთ, რომ ეს საქმე მას ძალიან გაუჭირდება.

მართლა, რა მოხდა შარშან ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში ისეთი, რომ იმაზე საყოველთაო ყურადღება ყოფილიყოს მიქცეული და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონოდეს? რა მოხდა ისეთი, რომ ოდესმე ჩვენს ისტორიაში ჩაწერისა და თაობიდან თაობამდე ლირსი შეიქნეს? ბევრიც რომ იტეხოთ თავი, ბევრიც რომ ფიქრობთ თითოეულზე და მოიფიქროთ ამ ფარული მოვლენის ეფოფიქრება, მაინც ვერ მოიფიქრებთ, ჩვენი საზოგადო ცხოვრება ისე დუნეთ, წყნარათ და შეუშფოთებლათ მიდის, რომ იმის თქმაც ძნელია: მართლა წინ, თუ უკან მიდის ეს ცხოვრება, თუ ერთსა ადგილზე ადგილზე დგას? თითქოს უსულოს ზღვაა, მშვიდობიანი ტაროსის დროსაც, იმას ალაფერი ერ აწუხებს...

იქნება თქვენ იფიქრეთ, რომ შარშანდელ გაბაასებას ახალსა და ძველს თაობას შუა საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდაო? მართალია, ამ გაბაასებას საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს გაბაასება და ეს განხეთქილება ახალსა და ძველს თაობას შუა სრულიბით ახალი მოვლენა არ არის. თვიდ ცხოვრებაში ეს განხეთქილება დიდი ხანია ნათლათ ჩანს. თვიდ ლიტერატურაშიაც არაერთხელ გამოაშკარავებულა. იქნება მიგიხვიეთ, რომ შარშან თფილისის ბანკის საქმე გადაწყდა და ამ მოვლენებას, უეჭველია, საზოგადო მნიშვნელობა აქვსო? ამაზე ჯერ ერთი ის შემიძლია გიპასუხოთ, რომ

თფილისის ბანკის საქმე ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, რადგან პროპოზიციონალური ჯერ არც კიდევ მტკიცებულა, და მეორეთ ის, რომ ამ ბანკ-თფილისის გუბერნიის საერ-ნაურო ბანკად ჩქვია ხახელდ. ნამდვილად საზოგადო მნიშვნელობა ბანკს მხოლოთ მაშინ ექნება, როდესაც ჩვენი ორი მომავალი ბანკი — თფილისისა და ქუთაისის შეერთდებიან ერთათ, დაიწყებენ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის ასარგებლო მოქმედებას.

თქვენ მეგიძლიან თქვა ბევრი ამ გვარი საქმე და მგონია, ამამისახელოთ და მიუთითოთ, რომ აი, ესენი საზოგადო მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ჩვენ წინ-თვე გიპასუხებთ, რომ იმათ ისეთი საზოგადო მნიშვნელობა არა აქვთ, რომ — დღეს, საახალწლოთ, იმათზე ლაპარაკი არა ღირს. თვით უწვრიმალეს და უკერძოეს საქმესაც, რასაკვირველია, მათემატიკურათ რომ განვსაჯოთ, ყოველთვის ზაზიმე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, რადგან ყოველი გადაკერძოებული და წვრიმალი საქმე, უეჭველია, როგორმე გადაბმული და გადახლართულია საზოგადო ცხოვრებაზე; მაგრამ დღეს ჩვენ იმისთანა საქმისა, ისეთი მოვლენის აღნიშვნა გვინდა, რომელსაც პირდაპირ დამოკიდებულება და კავშირი აქვს ჩვენს საზოგადო ცხოვრებასთან და რომელიც ყოველი ქართველისათვის ყურადღების ღირსი იყოს.

ამისთანა საზოგადო მნიშვნელობის მოვლენა, ჩვენის აზრით, არის ჩვენს საზოგადოებაში სამშობლო ლიტერატურისა და თავის რავისადმი უფრო მომეტებული სიყვარულისა და ზრუნვის გამოჩენა, ვიდრე დღემდე იყო.

ეს ახალი, ყოვლად სასიამოვნო და სანუგეშო მო-

ვლენა მარტო შარშან კი არ გამოჩენილა: ამ უკანასკნელ-წლებში საზოგადოთ შეატყობდა კაცი, რომ ჩვენ თითქო გავიღვიძეთ იმ ტრამა ძილისაგან, რომელშიაც დიდი ხანია ჩავარდნილი ვართ, აქეთ იქით ვიხედებით და ცოტ-ცოტათ ჩვენს ცხოვრებასა და იმის გარემოებებს ვადევნებთ თვალ-ყურსა. შარშან კი ეს თვალების გამოხელა უფრო ცხადად დასანახავი შეიქნა, როდესაც ერთმა, მანამდი უცნობმა, მწერალმა გამოსცა ერთი პატარა წიგნი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ პატარა ხალხები, ადრე იქნება თუ გვიან, უნდა გაჰქრენ დედამიწის ზურგიდანაო. ამ წიგნის გამოცემამ, რომელიც გადაკვრით ჩვენ-ც შეგვეხებოდა, ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზე,—და ეს უკანასკნელი გარემოება გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ერი ეჩვევა ფიქრს თავის საზოგადო საქმეებსა და თავის არსებობაზე.

ჩვენი ლიტერატურა რომ ამ უკანასკნელ წლებში თანდათან ცხოველდება, ამას ყველა, ვისაც კი იმისთვის თვალ-ყური უდევნებია, ადვილათ შენიშნავდა, და რომ ამ ლიტერატურის განცხოველებაში უმთავრესი მონაწილეობა თვით ჩვენს საზოგადოებას უნდა მიეწეროს, ესეც ყველასთვის ცხადია.

„დროებას“, რომელსაც საზოგადოებასთან დაახლოებული კავშირი აქვს, შეუძლია სთქვას და დაამტკიცოს კიდეცა, რომ შარშან ჩვენმა საზოგადოებამ განსაკუთრებული სიცხოველე და მონაწილეობა გამოიჩინა სამშობლო ლიტერატურის საქმეში.

ახალი წლის მოლოცვით ვათავებთ ამ სტატიასა და ვინატრით, რომ სანუგეშო მოვლენა, რომელზედაც დღეს ვილაპარაკეთ, თან და თან გაძლიერებულიყოს და თან და თან გავრცელებულიყოს ჩვენს საზოგადოებაში.

კავკასიის მეურნეობის საზოგადოება და სასოფლო გაზეთი

ოც წელიწადზე მეტია, რაც დაარსდა ფოფილისში კავკასიის მეურნეობის საზოგადოება, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ევროპიული მეურნეობის ცოდნა და საუკეთესო მაშინების ხმარება და სარგებლობა გაავრცელოს ჩვენს ხალხში. ამ დროის განმავლობაში „საზოგადოებას“ ყოველ წლობით სამი ათასიდამ ოთხი ათასთუმნამდი დახმარება ეძლეოდა მთავრობისაგან.

ყოველი კაცი, რასაკვირველია, იკითხავს: რას აკეთებს ეს „საზოგადოება“ იმ შემწეობით, რომელსაც მთავრობა აძლევს? ასრულებს თავის დანიშნულებას, თუ არა? დაეხმარა ის ჩვენი მეურნეობის და სახლოსნობის წინ წაწევას და ევროპიულ გზაზედ დადგომას, თუ არა?

ამ კითხვებზე პირ-და-პირ პასუხის გების მაგივრათ, ჩვენ ვეცთებით, რამდენათაც შესაძლოა, მოკლეთ განვიხილოთ ჩვენი „მეურნეობის საზოგადოების“ მოქმედება.

პრაქტიკული მოქმედება „საზოგადოებისა“ დღემდი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთ მემამულეს აძლევდა ფულიფ შემწეობას, თუ შეიტყობდა, რომ ეს მემამულე რიგიანი მეურნეობის გამართვას ან ახალი რომლისამე სამეურნეო მაშინის ყიდვას აპირებდა; მაგრამ თითქმის ყოველთვის ამ გვარი შემწეობა შემძლე მემამულეებს ეძლეოდაფ და არც იმათთვის იყო მაგდენათ სასარგებლო,—მთელი მხრისთვის ხომ სრულიად შეუნიშნავი რჩებოდა. ამას გარდა „საზოგადოება“ თესლებსა და ნერგებს ურიგებდა მემამულეებს; მაგრამ ესეც

უნაყოფრნი რჩებოდა, რაც ჩვენებმა იმათი შოვლა არ იცოდენ.

დარჩა ერთი-ღა პრაქტიკული საქმე, რომელიც მართლა რომ ყურადღებას ღირსია; ეს არის ლოჭინის სამეურნეო შკოლა, რომელსაც, ეხლა თუ არა, შემდეგში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ „საზოგადოებამ“ უფრო გულშრდგინეთ მოჰკიდა იმას ხელი.

მგონი თვით ლაბარსებიდგანვე „საზოგადოებასცემს თავსი „წერილებს“ (Записки Кавказскаго общества сельскаго хозяйства) — ჟურნალს, რუსულს ენაზე, რომელშიაც იბეჭდება სხვა და სხვა სამეურნეო და სამეცნიერო სტატია ზოგი თვით საზოგადოების წევრებისა და ზოგი გარეშე პირებისა. ჩვენ არ შევუდგებით ამ ჟურნალის განხილვას; იქნება ამ ჟურნალში შევრი კარგი და სასარგებლო სტატია იბეჭდებოდეს, — მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ჟურნალი გამოდის ისეთ ენაზე, რომელიც ჩვენის მშემამულეების მომეტებულს ნაწილს სრულებით არ ესმის. ჟურნალი რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, იმას რომ ჩვენი მემამულეებისთვის სარგებლობა არ მოაქვს, — ამაში ის გარემოება გვარწმუნებს, რომ ის ჩვენში სრულიათ არ არის გავრცელებული, იმა'ს კაცი არ ჰკითხულობს.

ეს გარემოება, როგორც სჩანს, თვით „საზოგადოებამაც“ იგრძნო, და ნმის გამო შეეკრა პიროობით უფ. კერესელიძეს, რომელსაც „საზოგადოებისაგან“ მიცემული ფულით, უნდა გამოეცა სამეურნეო გაზეთი („გუთნის დედა“), რომლისათვის დაინიშნა მეურნეობის მცოდნე პირი, უფ. ი. სერებრიაკოვი, მაგრამ სერებრიაკ-

კოვი მალე მოკვდა. დაიმის შემდეგ „გუთნის“ დედასაც თან-და-თან აკლდებოდა სიცოცხლის ნიშანი.

ამ დროს დაარსდა „სასოფლო გაზეთი“. ამ ახალ-ახალ გაზეთის redakcia-ამ „საზოგადოებას“ წინადადება მისცა, რომ თუ შემწეობას მომცემთ, „სასოფლო გაზეთში“ მეურნეობის და სოფლის საჭიროებებს ნაწილს შემოვიღებ და ეს გაზეთი თქვენ გავავრცელებ ხალხში. საზოგადოება დათანხმდა და ამნაირად redakcia ყოველ წელიწადს ეძლეოდა ოთხმოცდა-ათი თუმანი, რომ-ლისთვისაც თავის მხრით ვალდებული იყო ოთხას ორ-მოცდა-ათი ეგზემპლიარი „სასოფლო გაზეთისა“ წარედგინა „საზოგადოებაში“. ეს მოხდა 1871 წელს და წლეულამდელი წლის ივნვრამდი საქმე ამ მდგომარეობაში იყო.

აი თვის 13-ს „საზოგადოების“ კრებამ გადაწყვიტა, რომ „სასოფლო გაზეთი“ რიგიანათ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებასაო და ამის გამო დაიწყო იმაზე მოლაპარაკება, რომ დაწესებულ ასოვ-ებს გამოცემა, რომელსაც უფრო რიგიანათ შეეძლოს საზოგადოების პროგრამის შესრულება. ამ სხდომაზეევე უფ. არწრუნიმ წარმოსთქვა აზრი, კარგი იქნებაო, რომ „საზოგადოებამ“ სომხურ ენაზედაც გამოსცეს სამეურნეო გაზეთი, რადგან სომხებით დასახლებულს სოფლებში ამ გვარი გაზეთის საჭიროებას გრძნობენო.

ამ უკანაკნელი ამბის თაობაზე, არ შეგვიძლია, არა ვსთქვათ, რომ მართლაც ძლიერ კარგი იქნება, ქართულსა და სომხურს ენაზე ერთათ, რომ გამოდიოდეს სამეურნეო გაზეთი.

რაიცა შეეხება „სასოფლო გაზეთს“, უნდა ვსთქვათ,

რომ თუ ეს გაზეთი ხანდახან ვერ აკმაყოფილებდა „მეურნეობის საზოგადოების“ მოთხოვნილებას, ამაში, ჩვენის აზრით, თვით „საზოგადოებაა“ დამნაშავე და არა რედაქცია: „მეურნეობის საზოგადოებას“ ძალიან კარგათ შეეძლო, მომეტებული შემწეობის მიცემით ისეთს გზაზე დაეყენებინა გაზეთი, რომ უფრო გამოსადეგი შექნილიყო ჩვენი სოფლის ხალხისათვის. თორემ „საზოგადოება“ 450 უგზემპლიარში მხოლოდ 900 მანეთს ხმლევდა და ამ ფულებით ჰსურდა, რომ იდეალური გაზეთი ჰქონოდა!

უკანასკნელათ ვიტყვით, რომ ძალიან ცოგეწონს ის გზა, რომელზედაც დგას ეხლა ჩვენი „მეურნეობის საზოგადოება“: ჩვენის აზრით ქართულისა და სომხურის ლიტერატურის შემწეობით ის ბევრს სიკეთეს მოუტანს ჩვენს ჯერ კიდევ ადამის ხნის მეურნეობას, მაგრამ ამ საქმეში სიძუნწე სრულიად არ გამოდგება...

ჩვენი სოფლის ხალხი და სასოფლო ბანკები.

დღევანდელ „დროების“ „წვრილ-წვრილ ამბებში“ ერთი პატარა ცნობაა დაბეჭდილი, რომელიც, ჩვენის აზრით, ლიტერატურამ შეუნიშნავათა და უყურადღებოთ არ უნდა დაადგოს. ეს ამბავი მდგომარეობს შემდეგში: თელავის მაზრის სამმა სოფლის საზოგადოებამ „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორს, უფ. გ. წერეთელს, გამოუგზავნა ოფიციალური წერილი, რომელშიაც იწერებიან, რომ „ჩვენ წავიკითხეთ თქვენს გაზეთში სტატია სასოფლო ბანკის თაობაზედა, და ჭკუაში დაგვიჯდაო; და

ამის გამო ჩვენი საზოგადოება შეეკრებეთ და გადავწყვიტეთ, რომ უეჭველათ გავმართოთ ჩვენთვის პატარა სასოფლო ბანკიო, მაგრამ, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, ამ საქმეს როგორ უნდა მოვკიდოთ ხელი და როგორ უნდა გაიმართოს ბანკიო, ამის გამო უმორჩილესათ გთხოვთ, ამ საქმის თაობაზე უფრო დაწვრილებითი ცნობები შეგვატყობინოთო“.

ამ ამბავში სიკუთრივ ჩვენთვის, ე. ი. ქართული გაზეთებისა და ჟურნალების გამომცემლეპისათვის, სასიამოვნო ის არის, რომ ჩვენი ხალხი ჩვენს ნაწერებს ხანდისხან მაინც აქცევს ჯეროვან ყურადღებას და სცთილობს იმ აზრის პრაქტიკულათ შესრულებას, რომლის სარგებლობასაც ჩვენ ლიტერატურაში ვქადაგობთ. ავტორის თავმოყვარეობისთვის ეს, რასაკვირველია, სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ დღეს ჩვენ ამაზე როდი გვინდა მკითხველს ველაპარაკოთ; ჩვენ გვინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ ამ სასიამოვნო ამბის მეორე მხარეზედ

რას მოასწავებს ის გარემოება, რომ თვითონ სოფლები აცხადებენ სასოფლო ბანკების გამართვის სურვილს? ჩვენის აზრით, ეს გარემოება უეჭველათ იმას მოასწავებს, რომ ჩვენი სოფლის ხალხი გაჭირებულ მდგომარეობაშია და უგრძვნია, რომ ამ მდგომარეობიდამ გამოსასვლელად იმას ცოტათ თუ ბევრათ სასოფლო ბანკი დაეხმარება. ეს ძლიერ ყურადღების ღირსი მოვლენაა.—რომელიმე ახალი საქმის დაწყება და სისრულეში მოყვანა მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც თვითონ ხალხი გრძნობს ამ საქმის საჭიროებას და აუცილებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ხალხს არ ესმის რომლისამე საქმის

სარგებლობა, ათასიც რომ ეცადოთ იმის შემოღება, და სისრულეში მოყვანა, დარწმუნებულიც იყავით, ვერას გაარიგებთ.

მაგრამ იმგვარ საქმეში, როგორიც ბანკი (და საზოგადოთ ყოველს საქმეში) ხალხისაგან მარტო სურვილის განცხადება — რომ ეს საქმე უნდა შევასრულოთო, არ კმარა. მართლა, ხალხმა ათასიც რომ იყვიროს, ბანკი ჩვენ დაო, თუ ფული არ შეკოლა, თუ მოთავე არ გაუჩნდა, მარტო ყვირილით, რასაკვირველია, ბანკი არ გაკეთდება.

საქმე იმაშია, რომ საზოგადოების მოთავე პირებმა უნდა ისარგებლონ ამ ხალხის სურვილის გამოცხადებით, და ყოველს ღონისძიებით უნდა ეცადონ, რომ მალე მოახერხონ ამ სურვილის აღსრულება.

მარტო წერით, დარიგებით და რჩევით — იშვიათთა თუ რომელიმე პრაქტიკული საქმე გაკეთდება. ამის თქმა ნამეტურ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენი სოფლის ხალხი გვეყოლება მხედველობაში. ავიღოთ მაგალითათ, ზემოდ მოყვანილი შემთხვევა: ათასიც რომ გარკვევით და დალაგებით მისწეროს ბ-ნმა გ. წერეთელმა თელავის საზოგადოებებს დარიგება, თუ როგორ უნდა გამართონ იმათ თავიანთს სოფლებში ბანკები, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ხეირიანს ვერას გამართავენ, ან თუ რამე გამართეს, მალე ჩაეფუშებათ. აუცილებლათ საჭიროა, რომ ყოველ ამისთანა შემთხვევაში მცოდნე კაცი წავიდეს იქ, სადაც ბანკის გამართვა ჰსურთ, და ალაგობრივ, თვით საქმით უჩვენოს და ასწავლოს სოფლებს, თუ როგორ უნდა შესდგეს ბანკი, როგორ უნდა აწარმოებდეს ის თავის საქმეებს და სხვ. და სხვ.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ამისთანა მცოდნე კაცები ჩვენ, საუბედუროთ, ძალიან ნაკლებათ გვყვანან. რასაკვირველია, სასოფლო ბანკების წარმოების შესწავლას ბევრი არა უნდა-რა, მაგრამ, თუ გამოჩნდებიან ამისთანა პირები, თითქო ჭანგნებ, იმათ საშუალება არა აქვთ, რომ თავის ცოდნა თვით საქმეში გამოიყენონ და ამით ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის წარმატებას დაეხმაროონ.

მეორეს მხრით ესეც უნდა ვსთქვათ, რომ შეიძლება რომელსამე სოფლის საზოგადოებას კიდეც უნდოდეს თავისთვის ბანკის გამართვა; შეიძლება მოთავე კაციც გამოჩნდეს, მაგრამ ბანკის გასამართავად არც მარტო ეს კმარა; ვინ არ იცის, რომ ჩვენ ღარიბ სოფლელებს იმდენი თავისუფალი ფული თითქმის არასოდეს არ მოეძებნებათ, რომ თავნის აუცილებელ საჭიროებას გაწდაანარჩუნონ და ბანკის თავნის შესადგენათ შეიტანონ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში სოფლელებისათვის ხელისმომართვა, უეჭველია, მხოლოთ მთავრობას შეუძლია, რომელსაც არ გაუჭირდება, ყველა სასოფლო ბანკს, თუ სამუდამოთ არა, სესხით მაინც მისცეს რამოდენიმე ასი მანეთი.

იმედს ვიქონიოთ, რომ, რა გვარათაც იქნება, ზემოხსენებულ თელავის მაზრის სოფლებს შეუსრულდებათ თავიანთი წადილი, რომ იმათი სურვილის განხორციელებას არავითარი გარეშე დაბრკოლება არ მიეცემა; ეს მით უფრო საჭიროა, რომ თუ ისინი გამართვენ ბანკს, შემდეგში იმათი მიბაძვით სხვა სოფლებიც შეუდგებიან ამ საქმესა და თუ იმათ რაიმე დაბრკოლება მიეცათ, მაშინ, უეჭველია, სხვებსაც გაუგრილდებათ გული, და ამგვა-

რათ ჩვენ სოფლის ხალხს ერთი თავის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი სახსარი მოაკლდება.

ჩვენი თავმოყვარეობა.

მგონი „დროების“ რედაქციას ვერავინ ვერ შესწამებს, რომ ჩვენს ცხოვრებაში და ხალხში ის მუდამ ცუდ მოვლინებებს ეძებდეს და ამჟღავნებდეს,—ვერავინ ვერ შესწამებს, რომ ის მაინცა და მაინც მხოლოთ ამ ცუდის მხარეების ჩვენებას შესდგომოდეს და რომელსამე კარგსა და სასიამოვნო მოვლენას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდეს. რომ საჭირო იყოს, ჩვენ შეგვეძლო ბევრი მაგალითის მოყვანა იმის დასამტკიცებლათ, რომ „დროება“ დიდის სიამოვნებით და თითქმის აღტაცებით აღნიშნავს ჩვენს ცხოვრებაში ისეთს მოვლინებებს, რომელნიც მართლა რომლისამე მხრით ყურადღების ღირსნი და სასიამოვნონი არიან. შეიძლება ვსთქვათ, რომ ხანდახან ეს აღტაცება ერთობ მომეტებული და აჩქარებულიც ყოფილა: ხანდახან იქნება ისეთს მოვლენაზე გაგვეცხადებინოს აღტაცება და ისეთი რამ ჩაგვეთვალოს ჩვენ საზოგადო მნიშვნელობის მქონეთ, რომელიც მაგდენათ ღირსიც არ ყოფილა საზოგადო ყურადღებისა და თანაგრძნობის. მაგრამ რედაქციას ამ შემთხვევაში, თავის აზრით, საფუძვლიანი მიზეზები ჰქონია.

მაშასადამე მკითხველს არავითარი უფლება არა აქვს, სთქვას რომ „დროება“ ჩვენს ცხოვრებაში მხოლოთ ცუდ მხარეებსა სჩხრეკსო და საქვეყნოთ ამჟღავნებსო. ესეც რომ იყოს, მაგდენათ გასამტყუნებელი არც მაშინ იქნება.

აი, დღესაც, ჩვენ ეკუსურს ერთს ისეთს ჩვენი ხალხის სამწუხარო მხარეზედ მოვილაპარაკოთ, რომელიც ღირსია საზოგადო გაკიცხვისა და რომლისთვისაც, იმედია, მკითხველი არ დაგვემდურება: ჩვენ გვინდა, ესთქვათ რამოდენიმე სიტყვა ჩვენს თავმოყვარეობაზედ და ზოგიერთ ისეთს ქცევაზედ, რომელსაც ქვეყანა თავის დამცირებასა და ხან უპატიოსნებას ეძახის.

ამბობენ, რომ ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში ერთი დრო ყოფილა, როდესაც ჩვენს ხალხს ნამდვილი თავმოყვარეობა ჰქონია და თუ საჭირო ყოფილა, თავის ღირსების დაცვაც სცოდნია. ამბობენ, რომ ძველად რომელიმე უბრალო ჯილდოსათვის, ამაყი ქართველი არასოდეს არ დაიმცირებდა თავს და თავის სამშობლო ქვეყნისა და რჯულის დასაცველათ კი მუდამ მზად იყო, თავის სიცოცხლე შეეწირაო. ერთი სიტყვით, ძველად ქართველ ხალხს ისეთი ზნეობითი თვისებები და ხასიათი ჰქონია, რომელსაც ჩვენ „კეთილ შობილურს“ ეძახით და რომლის შემწეობითაც ის ათასჯერ გადარჩენია უანგარიშო მტრისაგან დამცირებასაც და შეურაცხყოფას.

როგორ გგონიათ, ეს თვისებები ეხლაც აქვს ჩვენს ხალხს, თუ არა? ეხლაც აქვს ქართველს ისეთი პატიოსნური თავმოყვარეობა და კეთილ-შობილური სიამაყე, თუ აღარ?

დიდის მწუხარებით უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ძლიერ ნაკლებათ ვხედავთ ამ დროინდელ ქართველებში ამისთანა ხასიათს. რაც დრო და ჟამი მიდის, თან და თან ეტყობა, რომ ჩვენ ხალხს აკლდება თავმოყვარეობა, აკლდება კეთილშობილური მიდრეკილება ხასიათისა და ემატება სულის სიმდაბლე და მხოლოთ საკუთარი

თავისა (ანუ უკეთ ვსთქვათ, კუჭის) მოყვარეობა... მიჩვენეთ, ვის ესმის ეხლა რიგიანათ თავმოყვარეობა? დაბმისახელეთ, ვის არ მიაჩნია თავმოყვვარეობა თავის საკუთარი კუჭის გაძღომათ?..

არა მგონია, რომ ვისმე შეეძლოს ამ ჟამათ რამდენიმე ამისთანა კაცის ჩვენება. თითქმის ყველას თავმოყვარეობა თავის კუჭის გაძღომათ მიაჩნია და სიამაყე ხომ აღარც კი ესმით—რა არის (სიამაყე ჩვენ მხოლოდ ჩვენი შეთამომავლობით ტრაბაზობათ მიგვაჩნია). ყველა მზათ არის, თავის მოძმეს სამარე გაუთხაროს, თუ კი იცის, რომ ამით თვითონ იმას რაიმე შეემატება.

სამწუხარო მოვლინება არ არის ამისთანა ცვლილება ჩვენს ხალხში?

ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა ზნეობისა და ხასიათის კაცები ისე მალე გაქრობილიყვნენ ჩვენში, რომ ამ საზიზღარ საგანზე მკითხველთან მეორეთ აღარ დაგვჭირებოდეს ლაპარაკი...

ჩვენი ხალხი და ჩვენებური ვაჭრები

ამ სტატიაში ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მოკლეთ, გამოვსთქვათ ჩვენი აზრი იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც საქართველოს უბრალო ხალხსა და ვაჭრებს შუა არსებობს. ეხლა, როდესაც ერთი ჩვენი ქვეყნის ნაწილი შეწუხებულია შიმშილითა, ამ საგანზე ლაპარაკი, მგონია, უადგილოთ და უდროოთ არავის არ მოეჩვენება. ამასთანავე ვაცხადებთ იმედს, რომ არც ერთი კეთილ-გონიერი ვაჭარი არ დაგვემდურება, თუ ამ სტა-

ტიაში ზოგიერთ იმათ თანამოძმეზე მკვახე და ჭირ-უთნელი აზრები გამოვსთქვათ.

თითქმის ვერც ერთს ისეთს ბედნიერს ქვეყანას ვერ მონახავთ ჩვენს დედა-მიწაზე, რომ ამ ქვეყნის ყველა მცხოვრებლები ყველგფერში კმაყოფილნი იყვნენ ერთმანეთისა. კაცობრიობის ცხოვრება, საუბედუროდ, იმნაირად არის გამართული, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა თითქმის ყველგან უკმაყოფილოთ ჰრის და ემდურის იმავე საზოგადოების მეორე ნაწილსა. მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკმაყოფილებასა და სამდურავს თითქმის ყოველთვის და ყოველგან თავის მესაწყნარებელი საფუძველი და მიზეზი აქვს.

ასეა ევროპაში. თუმცა უფრო ნაკლებათ, მაგრამ ეს ჩვენშიაც არსებობს. ჩვენში ჯერ არ არის, ერთს-ორს გარდა, არც ფაბრიკები, არც ქარხნები და არც მსხვილი კაპიტალის მქონე მექარხნეები და ფაბრიკების პატრონები, ღვთის წყალობით, ჩვენში ჯერ უმიწა-წყლო ხალხიც ძლიერ იშვიათათ მოიპოვება. მაშასადამე ზემოხსენებულ უკმაყოფილებასა განსხვავებული მიმართულება უნდა ჰქონდეს.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში უკმაყოფილება უფრო ქალაქის ხალხსა და სოფლის ხალხს შუა არის, უფრო წვრილ ვაჭრებსა და სოფლის წვრილ მწარმოებელს შუა.

უეჭველია, ყველას გაუგონია ჩვენის ხალხისაგან სამდურავი და უკმაყოფილება ჩვენებურს ვაჭრებზე.

თითქმის ყველა კავკასიის ქალაქში ვაჭრები მეფობენ. ყოველის უძრავი და მოძრავი ქონების პატრონები ისინი არიან. ქალაქები რა! აიღეთ რომელიმე პატარა სოფელი: თქვენ დარწმუნდებით, რომ თითქმის ყველა ამ

სოფლის მცხოვრებლების სული და ქონება ერთის ან ორის წვრილი ვაჭრისა ანუ ფულის მსესხებელის ხელშია, რომელიც აქ ჩასახლებულა, ან რომელსაც ახლო ქალაქიდამ გადმოუწვდია ხელი და მუხრუჭივით წაუჭირებია სოფლელების ყელში. ჩვენი გლეხის მამულები, განსაკუთრებით კახეთში და ქართლში, სანახევროთ იმათ აქვთ დაგირავებულები და, უეჭველია, თუ რამე საშუალება არ მოინახა, ერთ დროს, იქნება მალეც, სრულებით იმათ ხელში გადავა. გლეხი-კაცი ამ ვაჭრის ვალით ყელამდი სავსეა, ეს ვალი წლობით კი არა, სდათობით მატულობს. ქიზიყელები, როგორც ამბობენ, ეხლა ამ მდგომარეობაში არ იქნებოდენ ჩავარდილნი *), იმათ რომ ვაჭრების ვალი არ ემართოთ და თავიანთი მამულების დაგირავება მაინც შეეძლოსთ. მაგრამ ეხლა რას დააგირავებენ, როდესაც ერთ თუმანში ათი თუმნის მამულები უკვე აქვთ დაგირავებული? ყოველ შემოდგომას ჩამოივლიან თურმე მოვალე ვაჭრები და კალოზედვე ართმევენ გლეხ-კაცს თავიანთი ნასესხები ფულის სარგებელს. არა გვგონია, ისეთს გლეხს და საზოგადოთ ისეთს ქართველს შეხვდეთ ჩვენში, რომელიც ჩვენებური ვაჭრის მადლიერი იყოს.

უეჭველია, რომ ამ ჩვენი ცუდი ეკონომიური მდგომარეობის მიზეზი მარტო ჩვენებური ვაჭრები არ არიან. მაგრამ არ შეგვიძლია, არა ვსთქვათ, რომ ჩვენებურს ვაჭრებს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის დამცირებასა და დაცემაზე არა მცირედი გავლენა ჰქონდათ და აქვთ.

---

*) სიმშილისა ჟამოს გამ.

ჩვენი ამგვარი მდგომარეობის გაუმჯობესობას, რომ გორც ყოველი სხვა ხალხისა, დაეხმარება განათლება, უფრო გონიერს გზაზე დაყენება ჩვენის ხალხის შრომისა და ზოგი სხვა წამალიც, რომელზედაც ლაპარაკის დრო ეხლა არ არის.

კენჭის ურაზე.

მოაწია კენჭის ყრის დრომაც; ჯერ აპრილი არ გათავებულა, ჯერ თავად-აზნაურობა არც კი შეკრებულა ქალაქებში კენჭის საყრელათ, მაგრამ ზოგან წყნარი და ჩუმ-ჩუმი ჩურჩული და ზოგან გაცხარებული ბაასი კი ეხლავე ისმის იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ამოვირჩიოთ უეზდებისა და გუბერნიის წინამძღოლებათო. განსაკუთრებით იმერეთი განთქმულია ამორჩევების აგიტაციითა და თეთრი და შავი კენჭების თამაშითა: არა მგონია, ნაპოლეონის უკანისკნელ დროს ყოფილიყოს საფრანგეთში ისეთი გაცხარებული მოძრაობა და თავის-ტეხა კანონმდებელი კორპუსისათვის დეპუტატების ამორჩევის დროს, როგორც იმერეთში არის ხოლმე უეზდებისა და განსაკუთრებით გუბერნიის წინამძღოლის ამორჩევის დროს!

რას მიეწერება ჩვენი საზოგადოებისაგან ამგვარი გაცხარებული მონაწილეობის მიღება მარშლების ამორჩევაში? ნუ თუ მართლა, თავად-აზნაურობის წინამძღოლებს ისეთი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისათვის, რომ ღირსია იმათი ამორჩევის დროს, კაცმა თავი შეიწუხოს და ხან-და-ხან გვერდებიც დაიზილოს? შეუძლიათ იმათ რომლისამე საზოგადო საქმის წინ წაწევა და გაკეთება.

ამ კითხვებზე თვით კანონი გვიპასუხებს „დიახ“?

კანონით წინამძღოლები შუა-კაცები არიან მმართველობასა და თავად-აზნაურობას შუა. იმათ შეუძლიათ და უფლებაცა აქვთ, რომ თავის ამომრჩეველის თავად-აზნაურობის ყოველივე საჭიროება და მოთხოვნილება აცნობონ და შეასმინონ მმართებლობას; იმათ შეუძლიათ, რომელიმე საზოგადო კეთილი საქმე ათავებინონ და აკისრვინონ თავად-აზნაურობას; შეუძლიათ, ისეთს საქმეზე ჩამოაგდონ ლაპარაკი, ისეთი რამე განიზრახონ, რომელიც მთელი თავად-აზნაურობისათვის და მთელი ჩვენი ქვეყნისათვისაც გამოსადეგი და ფრიად სასარგებლო იქნება.

ერთის სიტყვით, თავად-აზნაურობის წინამძღოლებს ბევრი რისამე გაკეთება, ბევრი რისიმე თაობა და შესრულება შეუძლიათ.

ყოველივე ესე შეუძლია კარგს, რიგიან წინამძღოლს,ისეთს, რომელსაც თავის მოვალეობა და უფლება კარგათ ესმის და რომელიც ამ მოვალეობას პატიოსნათ აასრულებს.

ჩვენდა საუბედუროთ, ამისთანა წინამძღოლები ჩვენ ჯერ ძლიერ იშვიათათ გვყოლია: მომეტებული ნაწილი ჩვენი წინამძღოლებისა მხოლოთ იმისთვის ცთილობდენ, წინამძღოლებათ ამოერჩია თავად-აზნაურობას, რომ თავის თავისათვის მოეტანათ რაიმე სარგებლობა და საზოგადო ინტერესი კი სრულიათ არ ჰქონდათ მხედველობაში. ამის დასამტკიცებლათ შეგვიძლია, ის მაგალითი მოვიყვანოთ, რომ ყველაზე უფრო გაცხარებული საარჩევნო ბრძოლა და კენჭის ყრა ჩვენში მაშინ არის, როდესაც ან ომს მოელიან, ან სხვა რომელსამე ისეთს შემთხვევას, როდესაც თავად-აზნაურობის წინმძღოლებს მართლაც დიდი მნიშვნელობა მიეცემათ და როდესაც

იმედი აქვთ, რომ შეუნიშნავნი და დაუჯილდოებელნი არ დარჩებიან...

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირველი და შესანიშ-ნავი ის არის, რომ თვითონ ამომრჩეველი თავად-აზნაურობაც თითქო მარტო იმისთვის ირჩევს რომელსა-მე პირს, რომ ამით ამ კერძო პირს, პატივის ცემა, სა-ხელი და სხვა რაიმე ღირსება შემატოს და არა იმისთვის, რომ ამ ამორჩევით თავის თავს შეეწიოს როგორმე!

ამ ორივე (ამორჩეული პირისა და ამომრჩეველების) გაუგებლობისაგან წარმოსდგება ის ყოვლათ საძაგელი და სათაკილო საქმეები, რომელნიც კენჭის ყრის დროს ხთება ხოლმე ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთში: ამომ-რჩეველი ამოსარჩევ პირს ეუბნება: „მე შენ თეთრ კენჭს ჩაგიგდებ, წინამძღოლათ ამოგარჩევ; შენ, ვისგანაც რი-გია, პატივის-ცემა მოგემატება, დიდ ხარისხამდი აიწევ; მაგრამ მეც ნუ დამივიწყებ, მეც რამე წყალობა მიყა-ვიო“. წინამძღოლიც ეთანხმება ამ ლოლიკას, და ჯმნ-ირათ კენჭის ყრის წინა დღეებში შეიქნება საჩუქრების: ცხენების, მაუდის ჩოხების, ფულის და სხვა ყოველ გვა-რი ქრთამის ერთი გაცხარებული გაგზავნ-გამოგზავნა და დაპირება! ტყუილათ კი არ ამბობენ იმერეთში, რომ ეს და ეს მარშალი ან კანდიდატი კენჭის ყრის შემდეგ გა-ღარიბდაო; ამა და ამ კაცმა ამდენი და ამდენი ჩოხა, ნაბადი და ცხენი გასცაო და სხვ. ვის არ გააღარიბებს, ერთი მითხარით, რამდენიმე ასი ამომრჩევლის დასაჩუქ-რება? ჩვენ ვიცით ერთი, ერთობ მომეტებული მშვიდო-ბის მოყვარე, იმერელი, რომელსაც თუმცა კენჭი აქვს, მაგრამ არასოდეს არ სარგებლობს ამ კენჭითა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, არავისი მომდურება და აყალ-

მაყალში გარევა არ ჰსურს. ერთხელ ამ იმერელთან მეორე იმერელი მისულა და უთქვამს: „ბატონო, შენს ღმერთს დაამადლე, მომეცი მაგ კენჭიო. შე დალოცვილო, არც შენ სარგებლობ და არც სხვას აძლევ, შენ არ მომიკვდე, არაფერია! ბარე ორი ჩოხის ფასს გამოვრჩები და ქე გამომადგება ამ სიღარიბეშიო“.

როგორ სამწუხარო არ არის ამისთანა ამბები? რაგორ სამწუხარო არ არის, რომ იმერეთის თავად-აზნაურობას ამგვარათ ესმის თავის წინამძღოლების დანიშნულება და ყოველს საზოგადო საქმეში მხოლოთ თავის განკერძოებულ ინტერესს დაეძებს? ქართლ-კახეთში, როგორც გაგვიგონია, ღვთის მადლით, ამისთანა შემთხვევა იშვიათი არისო.

შესანიშნავია, რომ გუბერნიის მარშლათ ჩვენში თითქმის მუდამ ისეთს პირს ირჩევენ ხოლმე, რომელიც ან თავის გვარიშვილობითა, ან ჩინით, ან სიმსხვილითა, ან სიმაღლით და საზოგადოთ წარმოსადეგობით არის გამოჩენილი; კენჭის ყრის დროს, კაცის ღირსებას და ჭკუა-მიმართულებას კი არ უყურებენ! მხოლოთ იმას აქცევენ ყურადღებას, რომ შეძლებული, კარგი გვარიშვილისა და წარმოსადეგი კაცი იყოს; თითქო არ შეიძლება, რომ რომელიმე კაცი არც თავადიშვილი იყოს, არც ღენერალი და არც წარმოსადეგი და თავად-აზნაურობის წინამძღოლობა კი ძალიან კარგათ მოახერხოს! თითქო გვარიშვილობა, სიმდიდრე და ჩინი აძლევს ადამიანს პატიოსნებას, ჭკუას და საზოგადო საქმეების სურვილსა!

უკანასკნელათ ვგავიმეორებთ ერთხელ გამოთქმულ აზრსა, რომ ძალიან კარგი იქნება თავად-აზნაურობამ

თავის გუბერნიის წინამძღოლს ჯამაგირი დაუნიშნოს, და ვინატრით, რომ წელს ქართლ-კახეთში და იმერეთში თავად-აზნაურობას ნამდვილი, საზოგადო საქმეებისათვის გულ-შემატკივარი პირები ამოერჩიოს თავის წარმომადგენელებათ. და არა ისეთები, რომელთაც საზოგადო ინტერესი და თავის საკუთარი სიკეთე ვერ გაურჩევიათ ერთმანეთში...

თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ს.

წარსულ ნომერში ჩვენ ვსთქვით რამდენიმე სიტყვა მომავალ კენჭის ყრაზე, იმ კენჭის ყრაზე, რომელზედაც მომავალი სამი წლისთვის თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში უეზდისა და გუბერნიის წინამძღოლები უნდა იქნენ ამორჩეულნი ჩვენ ვამბობდით, რომ პატიოსანსა და თავის მოვალეობის კარგა მცოდნე წინამძღოლს ბევრი ისეთი საქმის თაობა და შესრულებაც შეუძლია, რომელიც, არა თუ მარტო თავად-აზნაურობას, მთელს ჩვენს ქვეყანას ბევრს სიკეთესა და სარგებლობას მოუტანს. ვამბობდით, რომ დღემდი ჩვენი თავად-აზნაურობა, თავის წინამძღოლების ამორჩევის დროს, ხშირათ ისეთს თვისებებს იღებდა მხედველობაში, რომელნიც სრულიათ საჭირონი არ არიან საზოგადოების სამსახურისათვის. და სხ. მაგრამ, რასაც ამ ერთი კვირის წინ ვამბობდით, ის უეჭველია, ჩვენ ჩვეულებრივ მკითხველებს წაკითხული ექნება და კიდეც ეხსომებათ და ამის გამო იმას აღარ დავუბრუნდებით.

თავად-აზნაურობის კრებას, მარშლების ამორჩევის

გარდა, კიდევ სხვა უფლებაც აქვს შინიჭებული კანონით: იმას აქვს უფლება ისეთს რასმეზე მოილაპარაკოს, რომელიც მთელს ამ წოდებას შეეხება, ისეთი რამე სთხოვოს უმთავრეს მმართველობას, რომელიც მთელი წოდების საქმეს, საჭიროებასა და სარგებლობას შეადგენს. თავად-აზნაურობის საზოგადოებას, კანონის ძალით, შეუძლია განაცხადოს მმართველობასთან თავის რომელიმე თხოვნა. შემდგომ მართებლობაზეა დამოკიდებული: თუ კანონიერათ და ყურადღების ღირსათ დაინახავს ამ თხოვნას, — აასრულებს; თუ უდროოთ და უკანონოთ დაინახა, არ მიიღებს მხედველობაში.

ეს უფლება, უეჭველია, დიდი და ყურადღების ღირსი უფლებაა; მაგრამ უნდა გავტყდეთ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ძლიერ იშვიათათ სარგებლობს ამ კანონით მინიჭებულის უფლებითა.

საზოგადოებაში სხვა და სხვა ყრუ ხმები დადის იმის თაობაზე — თუ, მარშლების ამორჩევის გარდა, რა და რა თხოვნის გაცხადებასა და საჭიროების წარდგენას აპირებს ეს კრება; ჩვენ არ ვიცით, რომელს იმათგანს მისცემს ამ ჟამათ ჩვენი თავად-აზნაურობა უპირატესობას და რომელს საჭიროებაზე დაიწყებს მოლაპარაკებას.

მაგრამ ჩვენ ეს ვიცით, რომ, ვინც ჩვენი ახლანდელი საზოგადოების მდგომარეობას ერთს თვალს გადაავლებს, ვინც იმის უმოქმედობასა და უთაოსნობას მიიღებს მხედველობაში, ვინც, ცოტათი მაინც არის, დაფიქრდება იმაზე, რომ ჩვენ საზოგადოებას ამ უკანასკნელ დროს თითქმის სრულიათ დაეკარგა თავის საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღების ხალისი და ინტერესი და ყვე-

ლაფრის გაკეთებას სხვისაგან მოელოდ; — ვინც ამ საგნებზე დაფიქრდება, ის, დარწმუნებული ვართ, იმ წამსვე იტყვის, რომ ჩვენს საზოგადოებას ყველაზე უფრო ამ ჟამათ იმ წესის მინიჭება ეჭირვება, რომელიც მომეტებულ ნაწილ რუსეთის გუბერნიებისას კარგა ხანია მინიჭებული აქვს; ჩვენ ვამბობთ — ერობასა და ნაფიცთ სასამართლოებზე.

რასაკვირველია, ამ მოკლე საგაზეთო სტატიაში არ შეუდგებით იმის განხილვას თუ ამ ორ ცვლილებას — ერობისა და ნაფიცთ სასამართლოების წესდებულების შემოღებას — რამდენი სიკეთისა და სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ჟამათ ჩვენთვის; არ შეუდგებით არც იმის განხილვას, თუ ამ წესებმა სხვა სახელმწიფოებსა და იმათ შორის რუსეთს, რამდენი სარგებლობა და გაუმჯობესობა მოიტანა. მოკლე სტატიაში ამაების ჩამოთვლა შეუძლებელი საქმეა. მხოლოთ ვიტყვით, რომ ზემოხსენებულ ცვლილებებს ჩვენს ზნეობით და მატერიალურ მხარეებზე უანგარიშო ზედმოქმედება ექნება. სხვა ჟრა იყოს რა, ის ცოტათი მაინც გამოგვაფხიზლებს, გამოგვაჭყეტინებს თვალებს და ჩვენს მდგომარეობაზე დაგვაფიქრებს; ის აღძრავს ჩვენში საკუთარ თავზე ზრუნვას, მოსპობს იმ დაუდევრობას, რომლის წყალობით მუდამ სხვებს შევჩერებივართ და სხვებისაგან მოველით ჩვენის საკუთარი საზოგადო საქმეების შესრულებას; ის გააღვიძებს ჩვენში ამ საზოგადო საქმეების ინტერესსა; ის მოგვაკიდებინებს ჩვენ ხელს ისეთის საქმეებისათვის, რომლის საჭიროება და აუცილებლობა ჩვენ სხვებზე, გარეშე პირებზე, უკეთ გვესმის, რადგან ეს საქმეები ჩვენი საკუთარი საქმეებია; ის და-

გვაფიქრებს ჩვენი-უმეცარი ხალხის განათლებაზე, ჩვენი საწყალი ხალხის ეკონომიურათ გაუმჯობესობაზე, ჩვენი გაცალკევებული ქილაქებისა და სოფლების ერთმანეთთან შეერთებაზე გზების საშუალობით და ათასს სხვა ისეთს რამეებზე, რომლებისთვისაც ფიქრი და ხელის განძრევა, დიდიხანია, დრო არის.

ვისაც ეხლა-დელი რუსეთის სახელმწიფო წყობილობის მსვლელობა ესმის, იმისთვის ცხადია, რომ ერობა და ნაფიცთ სასამართლოების წესი ჩვენშიაც, უეჭველია, ადრე იქნება, თუ გვიან, თვით მმართებლობისგან შემოღებული იქნება. მაგრამ, რაც უფრო მალე მოხდება ამგვარი ცვლილება ჩვენში, ისა სჯობია და ყველასთვის ძლიერ სასიამოვნო უნდა იყოს, თუ ამ ცვლილების დაჩქარებას ვინმე რომლისამე, რასაკვირველია, კანონიერის საშუალების შემწეობით მოახერხეს.

ეს არის ჩვენი უკანასკნელი სიტყვა, კენჭის ყრის წინ, სიტყვა საქართველოს თავად-აზნაურობისადმი მიმართული, და იშედი გვაქვს, რომ ის კითხვები, რომელნიც აქ მხოლოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, თუ კრებებზე ჩამოვარდა იმათზე ლაპარაკი, უფრო ვრცლათ და დალაგებით იქნებიან განმარტებულნი. *)

---

*) ვისიც ერობის წესდებულობის უფრო დაწვრილებით გაცნობა ჰსურს, ჩვენ შეგვიძლია უჩვენოთ, ქართულს ენაზე, უფ. ნ. სკანდელის სტატია—„ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“, რომელიც „კრებულის“ მეხუთე წიგნშია დაბეჭდილი.

კიდევ ჭუთაისის ბანკზე.

ამ ჟამათ ქუთაისში იმერეთის თავად-აზნაურობაა შეკრებილი კენჭის საყრელათ და, თავის პირ-და-პირ მოვალეობის ასრულების გარდა, როგორც ამბობენ, კრებაზე დაუბოლოვებულ ბანკის საქმეზედაც იქნება მოლაპარაკება. ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ, ორიოდე სიტყვა კიდევ ვსთქვათ ამ ბანკის საქმეზე. მართალია, იქნება ახალი არაფერი არა ვსთქვათ ამ სტატიაში, მაგრამ დროზე ძველის გამეორებასაც ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ „სმენა და გაგონება“ იქნება.

იმერეთის ბანკის საქმე სწორეთ „უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული არისო,“ რომ იტყვიან, ისე შეიქნა. თავიდამვე ეს საქმე ისეთნაირათ მიდის, ყველა გარემოება ისეთ რიგათ შამოეხვია გარშემო, რომ თითქო ბანკის მოთავეებსა და ამ გარემოებათ ერთი განზრახვა აქვთო: გული გაუგრილონ იმერეთის თავად-აზნაურობას და გამოატანინონ ის ფული, რომელიც მას ბანკის დასაარსებელათ დაუტოვებია. ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ის კომიტეტი, რომელიც ამ ბანკის პროექტის შესადგენათ იყო დანიშნული, თითქმის არაფერს არ აკეთებდა და თუ რამე გააკეთა, ისეც ისეთი, რომ აცრ კაცს გამოადგება და არც ღმერთს და ბანკისათვის უფრო მავნებელი იყო და არა სასარგებლო. თვით ბანკის თავნს ფულები თან-და-თან აკლდება და ხანდახან ისეთს რასმეზე იხარჯება, რომლისთვისაც ის სრულიათ არ უნდა დახარჯულიყო; სამეგრელოს თავადაზნაურობის ფულები დღემდი არ შეერთებია იმერეთის ფულებსა და სხ.

ყველა ამგვარი გარეშეობა, უეჭველია, ბანკის დაარსების იმედს არ აღუძრავდა ჩვენს თავად-აზნაურობას და ფასაკვირველი არ არის, თუ ამ თავად-აზნაურობაში ისეთები აღმოჩნდენ, რომელთაც სრულიათ დაჰკარგეს ქუთაისში ბანკის დაარსების იმედი და ფულების დაბრუნებას თხოულობენ, ან ამ ფულების სხვა რომელსამე ბანკში შეტანას და ან კიდევ სხვა იმ გვარ რასმე, რომელშიაც სასოწარკვეთილება სჩანდა და ეხლაც სჩანს.

ამგვარ ცუდს მდგომარეობაშია ეხლა იმერეთის ბანკის საქმე და თითქმის ჰმავე მდგომარეობაში დახვეთებოდა ის თავად-აზნაურობას, რომელიც ჩერჩელათ ჩაბარა იმ განთქმულ კომიტეტს.

თუმცა თავიდამვე ასე ცუდათ მიდიოდა იმერეთის ბანკის საქმე, თუმცა ყველა თითქმის შეთქმული იყო, რომ ამ საზოგადო საქმეს კეთილი დასასრული არ ეირსებოდა, მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბოლოს ეს საქმე მაინც ისე კეთილათ და კარგათ გათავდება, როგორც ბევრისათვის სანატრელია: იმედი გვაქვს, რომ ეხლანდელი თავად-აზნაურობის კრება არ დაეთანხმება არც იმ მცირედ ნაწილს რომელიც გამოტანასა და დარიგებას თხოულობს. და არც იმათ, რომელნიც ამ ფულების სხვა ბანკში შეტანას თხოულობენ. ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი ბანკი და იმერეთის თავად-აზნაურობა არ ისურვებს, რომ, როდესაც თავის საკუთარი ბანკის გამართვა შეუძლია, რომელსამე რუსეთის ბანკში აქციონერათ ჩაერიცხოს. თუ ამდენი ხანი ცუდათ მიდიოდა ბანკის საქმე, თუ ამდენი ხანი უთავო კაცების ხელში ვერ დაარსდა ის, ეს იმას კი არ მოისწავებს

რომ შემდეგშიაც არა ეშველება-რა, რომ მართლა იმერეთის ბანკის დაარსება ძნელი და მოუხერხებელი საქმე იყოს, სრულიათაც არა. საჭიროა მხოლოთ, რომ თავად-აზნაურობამ მხურვალეთ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და ისეთ კაცებს მიანდოს ის, რომელნიც ცოტათი მაინც უფრო მცოდნენი და გულსმოდგინენი იქნებიან, ვიდრემ პირველი კომიტეტის წევრნი.

ამნაირათ, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ იმქდს, რომ იმერეთის ბანკის საქმეს კეთილი დასასრული მიეცემა, რომ ის დაარსდება იმ საფუძველზე, რომელიც არა ერთხელ გამოგვიცხადებია ჩვენს გაზეთში, ე. ი. რომ იმერეთის ბანკი იქნება „საზოგადო საადგილ-მამულო ბანკი,“ რომელიც ეხლანდელ და მომავალ თავად-აზნაურობას, და მთელს იმერეთის საზოგადოებასაც უანგარიშო სარგებლობასა და წინ წაწევის საშუალებას მისცემს. თუ თფილისში დაარსდება ამგვარი ბანკი, სადაც ეს საქმე ბევრათ უფრო დახლართული იყო, ძნელათ წარმოსადგენია, რომელი ისეთი დაბრკოლება ექნება, რომ იმერეთში არ დაარსდეს?

უკანასკნელათ ვიტყვით: სრული იმედი გვაქვს, რომ ამ მოკლე ხანში „დროების“ რედაქციას მოუვა სასიამოვნო ამბავი, რომ თავად-აზნაურობის კრებამ გადაწყვიტა ისეთი ბანკის დაარსება, რომელიც თვით პირვანდელმა კრებამ გამოაცხადაო და რომელიც თქვენს გაზეთს არა ერთხელ უნატრიაო.

ჩვენი სასოფლო ბანკების მომავალი

ჩვენებურ სოფლის ხალხს რომ ფული სჭირდათ უჭირს, რომ ხანდახან მანეთში მანეთს და მეტსაც აძლევს სარგებელს და ამგვარათ ფანდათან დაუსრულებელ ვალში ვარდება, — ეს ისეთი ნამდვილი საქმეა და ისე კარგად ვიცით ყველამ, რომ ამაზე ლაპარაკი არც-კი ღირს. ისიც დიდი ხანია დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, რომ, როგორც საზოგადოთ ყველა ხალხსა, აგრეთვე ჩვენ ხალხსაც, ამ გაჭირვებაში თითქმის ყველა სხვა საშუალებაზე მომეტებულ სარგებლობას მოუტანს სასოფლო ბანკების გამართვა.

მაშასადამე საკითხარაკო მხოლოდ ის არის, თუ სად უნდა იშოვოს სოფელმა ბანკის გასამართავათ ფულები და როგორ უნდა გამართოს, როგორ უნდა მოაწყოს ეს იმისთვის აუცილებელათ საჭირო საქმე?

ჩვენს გაზეთში რავდენჯერმე გამოთქმულა აზრი, რომ ბანკის სათავენო ფულების შედგენას თვითონ სოფლები მოახერხებენ, მოთავე და მცოდნე კაცები რომ ჰყავდეთ. მართლაც, რიგიანი გლეხის გულ-შემატკივარი კაცები რომ იყვნენ ჩვენში, სასოფლო ბანკების გამართვა ასე საღაღადებელ და ძნელ საქმედ არ გახთებოდა: ყოველი სოფლის საზოგადოების მცხოვრებლებს კაპეიკობით და შაურობით რომ გამოეღოთ თვეში ბანკის დასაარსებლათ, ორი-სამი წლის განმავლობაში ჩინებული ბანკი გაიმართებოდა. მაგრამ ჩვენი საზოგადო ჭირიც ის არის, რომ კაცები არა გვყვანან, რომელთაც შეეძლოსთ ამ საქმის თავის კისერზე აღება და შესრულება. უკაცრავათ... კაცები კი გვყვანან, ისეთები, რომელთაც ძალიან კარ-

გათ შეუძლიათ ყოველი ამგვარი საქმის წაყვანა, მაგრამ ეს კაცები ამგვარ საზოგადო საქმეების ხელის მოკიდებას თითქო თაკილობენო., საზოგადო საჭიროების სამსახურის მაგივრად, ისინი სულ სხვა ღმერთს ემსახურებიან.

ეხლა, როდესაც ჩვენ თფილისისა და ქუთაისის საზოგადო ბანკების გამართვას მოველით, ამ საქმეს, უეჭველია, რამე გზა, რამე შველა მიეცემა.

თფილისის ბანკის წესდებულების პროექტში გამოცხადებულია, რომ საშუალების მომატების დაგვარათ, მაზრებში უმთავრესი თფილისის ბანკის განყოფილებანი, ანუ კანტორები უნდა გაიხსნასო, რომლიდანაც ფულების სესხება მოკლე ვადით შეიძლებაო. თუმცა ეს სასოფლო ბანკები არ იქნება, მაგრამ თფილისის ყველა მაზრაში თუ გაიმართა კანტორები, უეჭველია, ამით გლეხებიც ისარგებლებენ.

ქუთაისის ბანკის წესდებულების პროექტში, რომელიც უფ. ბ. ღოლობერიძესაგან წარდგენილია ეხლა აზნაურობის კრებაზე, კი პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ბანკის შემოსავლიდან რამდენიმე ნაწილი სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლათ და განსაკუთრებით სასოფლო ბანკების (сельскія ссудо-сберегательныя кассы) გასახსნელათ უნდა იყვეს დანიშნულიო.

თუმცა მართალია, რომ ჯერ არც ერთი ეს პროექტი არ დამტკიცებულა, მაგრამ, უეჭველია, ამ ზემოხსენებულ მუხლს, რომელიც სასოფლო ბანკებს შეეხება, არც ბანკების დამაარსებლებისაგან და არც მთავრობისაგან არავითარი დაბრკოლება არ ექნება, და მაშასადამე,

ადრე იქნება, თუ გვიან, ეს წყარო სასოფლო ბანკებისა ჩვენ ხელში გვექნება.

ეს გარემოება მით უფრო სასიამოვნოა, რომ თფილისის და ქუთაისის ბანკებში, უეჭველია, ისეთი პირები იქნებიან, რომელთაც ბანკის საქმე კარგათ ეცოდინებათ და, მაშასადამე, მაშინ ჩვენი სასოფლო ბანკების გამართვას ორი უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი აღარ ექნება: უფულობა და უკაცობა.

აი, ჩვენის აზრით, ამისთანა კეთილი მომავალი მოელის ჩვენი სასოფლო ბანკების საქმეს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ თფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობის საზოგადო ბანკებს გაემტყუნებინოს ჩვენი იმედი...



1874 წ.

ხვამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები.

I

წინასიტყვაობის მაგიერი.

მას აქეთ, რაც პირველათ ჯდამიანისა და ქვეყნიერობის საქმეებსა და ცხოვრებას თვალ-ყურის დევნა დავუწყე, ჩემი მუდმივი სურვილი, დაუწყნარებელი ნატვრა და გულითადი განზრახვა ის იყო, რომ ევროპა და განსაკუთრებით საფრანგეთი მენახა. მინდოდა მენახა ის ევროპა, რომლის ცხოვრება, ნამდვილათ რომ განსჯოს კაცმა, მთელი ქვეყნიერების ცხოვრებას შეადგენს, და ის საფრანგეთი, რომელიც, თავის მხრით, საუკეთესო წარმომადგენელია ევროპის ცხოვრებისა. მინდოდა, ცოტათი-გაკვრით მაინც, გამეცნო და დამენახა იმ ხალხების ცხოვრება, რომელთაც ბევრნი შენატრიან, რომელთ სხვა-და-სხვა დაწყობილობასა და წესებს სხვები ჰბაძავენ. ყველა ამაებს სად ვნახავდი, თუ არ დასავლეთ ევროპაში და იმის საუკეთესო კუნჭულში—საფრანგეთში!

ამას გარდა ჩემთვის, რომელსაც ბედნიერი გარემო-

ება ნებავს მაძლევს, რომ კვირაში ერთხელ რამდენსამე ათასს თუ არა, რამდენსამე ასს კაცს მაინც ერთათ ველაპარაკო, ჩემთვის, ვამბობ, ევროპის ხალხების ნახვა და იმათი ცხოვრების გაცნობა მაინც განსაკუთრებით საჭიროებას შეადგენდა.

„შენ საუკეთესო ცხოვრების გამართვას, ხანგრძლივის ძილიდამ გამოღვიძებას და ტვინისა და ხელების განძრევას უქადაგებ შენს ხალხს, ვფიქრობდი მე ჩემს თავზე: ძალიან კარგი; მაგრამ უნდა იცოდე, რომ ყოველ ახალს სწავლის მქადაგებელის სიტყვას, ყოველ ახალი გზის მაჩვენებელს მხოლოთ მაშინ ექნება დამარწმუნებელი ძალა და ნამდვილი გავლენა, როდესაც თვითონ მქადაგებელი დარწმუნებულია და შეურყეველია თავის სწავლასა და თავის აზრების უმჯობესობაში; და ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იმას თავისი ახალი გზა, ქადაგების საგანი კარგად გამორკვეული და გაცნობილი აქვს! რუსეთის ბრრიოდე ქალაქისა და თფილისს—ქუთაისის ცხობის მეტი შენ არაფერი არ მიგიძღვის წინ, გამომწყვდეულხარ სოლოლაკში და მანდედამ უქადაგებ ქართველებს, რომ ძილს თავი დაანებონ, მიჰყონ ხელში ახალ საქმეებს და ცხოვრებას და წაბაძონ ევროპის ცხოვრებას, იმ ცხოვრებას, რომელიც შენ თითონ არ გინახავს და არ გიგიცვნია! აბა რა ძალა, რა გავლენა უნდა ექნეს შენს სიტყვას, შენს ლაღადებას?!..

ამის შემდგომ თქვენ კარგათ შეიგებთ ჩემს ალტკაცუბას და მომეტებულის სიხარულისაგან ხტუნვის სურვილს, როდესაც, ზოგიერთი წვრილმან და სხვერლმან დაბრკოლებათა შემდგომ, პირველათ გადაწყდა, რომ

ჩემს სამზღვარ გარეთ გამგზავრებას არავითარი დიმაბრ-
კოლებელი მიზეზი აღარა აქვს რა.

ერთი პატარა შენიშვნაც, სანამ ჩემ მოგზაურობას
შეგუდგებოდე.

მე მხოლოთ სამი თვის ვადით შემეძლო წავსულ-
ვიყავ სამზღვარ გარეთ. აქედან ცხადათ დაინახავთ, რომ
ამ მოკლე ხნის განმავლობაში მართლა და ნამდვილ ევ-
როპის გაცნობას მე ვერ მოვახერხებდი. მაშასადამე, ამ
ჩემი მოგზაურობის აწერილობიდან ჩემი მკითხველი და-
წვრილებით ამბებს და დალაგებით ევროპის ცხოვრების
აწერას არ უნდა მოელოდეს. ეს არის მხოლოთ მგზავ-
რის შენიშვნები და ხამი თვალის გადავლება უფრო მო-
მეტებულათ პარიჟის ცხოვრებაზე.

წ ა მ ო ს ვ ლ ა.

ივლისის 6 იყო და საღამოს ცხრის ნახევარი, რო-
დესაც ჩვენის სახელ-განთქმულის ფოთი-თფილისის რკი-
ნის გზით გაშოვემგზავრე თფილ-სიდან სურამის ქედს
რომ გადმოვცილდი და ვიგრძენი, რომ თავი ისევ კი-
სერზე მაბია, ღმერთს მადლობა შევსწირე და გადავ-
სწყვიტე, რომ ამ მოგზაურობაში ღმერთს სასიკვდილოთ
არ ვყოლივარ გამომეტებული მეთქი.

ქუთაისში ერთი დღით შევიარე. კენჭის ყრა და ბან-
კის საქმეზე მოლაპარაკება ის იყო წინა დღეებში გაე-
თავებინათ. ნაბრძოლარი ველი სასაფლაოსავით მყუდრო
და უსიცოცხლო იყო: რაინდები, გაცხარებული ბრძო-
ლისა და თეთრი და შავი ყუმბარების სროლის შემდეგ,
თითქმის ყველანი თავ-თავიანთსა წასულიყვენ. მაგრამ

ვისაც წასვლა ვერ მოესწრო და ვნახე, იმ წამსვე შეატყობდა კაცი: ვინ იყო იმათში გამარჯვებული და ვინ —დამარცხებული. მხნეთ მოსიარულე, ყურებ-გაცქვეტილი და მოქიცინე ძაღლი, უნდა იცოდეთ, ყოველთვის კმაყოფილია თავის ბედისა, და თუ ძაღლს ყურები აწეული აქვს, კუდი ამოძუებული და ნელ-ნელა, ზოზმანით დაიარება, უეჭველია, იმას რაიმე უბედურება შემთხვევია!..

მეორე დღეს მე ჩავჯექი ფოთში ცეცხლის გემში და გამოვემშვიდობე, დროებით, ჩემს ქვეყანას. რამდენნაირი გრძნობა, როგორი ფიქრები-აღელვებს კაცს, როდესაც თავის სამშობლო მიწას სტოვებს! სიყმაწვილე, მეგობრები, ტანჯვა, სიხარული—ყველაფერი, რაც გამოგიცდია, რაც გინახავს და რასაც შენ კაცათ შეუქნიხარ, ყველა ერთნაირათ გამოგეხატება და წარმოგიდგება გონების თვალის წინ, ყველას ეთხოვები. თვალი და გონება უკან გრჩება, სანამ გემი უკანასკნელათ არ დასტვენს და არ მოგაშორებს ამ სამშობლო მიწას და არ გაგიფანტავს იმის გამოთხოვებისაგან დაბადებულ აზრებს...

—

მშვიდობით, ჩემო კარგო, ლამაზო სამშობლოვ! მშვიდობით... შენზე უდიდესს, უმდიდრესს, უჭკვიანესს და უმძლავრესს ქვეყანას, უეჭველია, ბევრს ვნახავ. მაგრამ შენზე უშვენიერესს, შენზე უსაყვარლესს და ძვირფას ქვეყანას ჩემთვის, მე ვერსად ვნახავ! მშვიდობით... ხორცით გშორდები, სულით, გონებით შენთან ვარ!

II

შავი ზღვა ოდესსა.

მე მრავიბრუნტ პირი, ჩემს წინ ფუთფუთებს და ზოზმანობს შავი ზღვა, თვალუწვდენელი, ლურჯათ გარდაშლილი, მშვენიერი..

ახირებული ზედმოქმედება აქვს ზღვას ადამიანზე: კაცს ჰგონია, რომ მთელი ქვეყნიერობა იმისთვის არის გაჩენილი, რომ ის ბატონია დედა-ბიწისა და ყველაფერი იმას უნდა ემორჩილებოდეს.

ზღვის დანახვა ჯერწმუნებს კაცს, რომ ის შემცთარია ამ აზრში, რომ იმას ერთობ მაღლა მოაქვს თავი. როგორც ჭინჭველა სპილოსთან, ისე კაცია ზღვასთან. როგორც სპილო ერთი ფეხის განძრევით ათასს ჭინჭველას გასრესს, ისე ზღვა ერთის აღელვებით, ერთის დანძრევით ათას კაცს შთანთქავს და ათი-ათასის ნაშრომს გაანადგურებს.

დიახ, ზღვას გონზე მოჰყავს კაცი, ზღვა აგონებს იმას, რომ, თუმცა შენ უჭკუიანესი ცხოველი ხარ, მაგრამ მაინც ცხოველი ხარ და ერთი უბრალო ქმნილებათაგანი დიდებული ბუნებისაო!

ყველა იმ ხალხებისათვის, რომელნიც ზღვის ნაპირაზ დგანან, ზღვა დაუფასებელ საუნჯეთ ყოფილა. ადამიანის შექმნიდამვე შენიშნულია, რომ ყველაზე ადრე ის კაცი და ის ხალხი განათლებულა და გამდიდრებულა, რომელიც ზღვის ნაპირას ცხოვრობდა. სხვათა-შორის, ზღვას მიუცია იმათთვის სხვა ხალხებთან მისვლა-მოსვლისა და ვაჭრობის გამართვის საბსარი, — და ეს პირ-

ველი საშუალებაა ხალხის წინ მსვლელობისა და განათლებისა.

რაში გამოვიყენეთ, როგორ ვისარგებლეთ ჩვენ შავი ზღვით? დავუახლოვდით ჩვენ განათლებულ ხალხებს? ჩვენს მოძმე ხალხებთან, ამ ზღვის ნაპირას მცხოვრებლებთან, მაინც თუ გვქონდა მისვლა-მოსვლა და ცნობა? იქნება ის სიმდიდრე მიანც გამოვიყენეთ, რომელიც ზღვაშია? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. ჩვენს ქვეყანას გარდა, თუ სხვა ხალხი და სხვა საუკეთესო ცხოვრება იყო, ჩვენ ხეირიანად არც კი ვიცოდით; ჩვენი მეზობლები თუ ჩვენი ძმები იყვნენ და ისინი გამოგვადგებოდენ გვჭირვების ჟამს, ამაზე ვინ ჰფიქრობდა! შავ-ზღვაში თევზის დაჭერა და სხვა ათასი ზღვაში მყოფი ნივთების და ცხოველების გამოყენება ვის მოსდიოდა თავში!

მაგრამ რას ვამბობ? სხვა რა გამოვიყენეთ ჩვენ? შავ ზღვას გარდა, განა ბუნებას ჩვენთვის სხვა ათასი სიმდიდრისა და კეთილ-დღეობის მომპოებელი საშუალება არ მოუცია? მაგრამ რომელი ერთით ვისარგებლეთ? უბედური ხალხი ვართ!..

ფოთიდამ დაწყებული თრიქმის ქვრჩამდი ჩვენი გემი ზღვის ნაპირებს არ შორდება. მოგზაური ვარ თუ დურბინდით, უბრალო, ღვთისაგან გაჩენილი რომ თვალითაც კარგათ ჰხედავს ყველაფერს მარჯვენა მხრიდან შავ ზღვის ნაპირებზე. თქვენ ხედავთ შაქრის ნაკვებსავით ჩამწკრივებული პატარა-პატარა და დიდრონ მთა-გორაკებს, რომელნიც ზღვას ჩამოსწოლიან; ხედავთ ფართოთ გარდაშლილ, ხე-ტყიან ადგილებსა და მინდვრებს; ალაგ-ალაგ დამტვრეულ და მიყრუებულ ქოხებს. თქვენ გაივ-

ლრთ სოხუმს, ბიჭვინტას, გაგრას, ტუაპსეს, სოჭას, მიხაილოვკას (!) და სხვა სოფლებს, რომლებშიაც თუ „ერთ დროს სიცოცხლე არა დუღდა,“ როგორიც არის, სიცოცხლე იყო მაინც...

თითქმის ყველა ეს ზღვის ნაპირა ალაგი, ეს ჩერქეზების ნამოსახლი მიწები ეხლა დაუმუშავებელნი არიან და ზოგი გაყიდული. მომეტებული ნაწილი ამ მიწებისა ეკუთვნის ვაჭრებს, რომელთაც აქ კალონიები უნდა გამართონ და ცივილიზაცია დააფუძნონ. მიხაილოვკის პირდაპირ მე მიჩვენეს ერთი მთა, რომელიც, როგორც მითხრეს, კატკოვსა და ლეონტიევს ეკუთვნისთ. ერთმა ვილამაც ჩემ გვერდით იმახვილა, რომ „ტმერთმანი, „მოსკოვის უწყებებში“ სტატიების წერა და რუსეთის პატარა ხალხების გინება—სასარგებლო საქმე ყოფილაო!“

ზღვა მშვიდობიანი, წყნარი, იყო. მხოლოთ სევასტოპოლთან რომ მოვაწიეთ, ცოტათი შეგვანძრია და ზოგიერთი მოგზაური, განსაკუთრებით დედობრივი სქესისა, ცოტა არ იყოს, შეგვიწუხა.

მოგზაურები სულ წყნარი, მშვიდობიანი ხალხი იყო. მხოლოთ ერთი ოსმალეთის შთამომავლობის ღენერალი შეადგენდა ჩვენში ლისგარმანიას; დანარჩენი სულ წვრილი ხალხი ვიყავით. ეს ოსმალეთის შთამომავლობის ღენერალი ყარაბალელი პატრიოტი გამოდგა და მთელი გზა გვარწმუნებდა, რომ ტაშტამური და სხვა ავაზაკები აეაზაკებათ ძალათ ყახდეს, თორემ ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ, მე იმათ ყველას ვიცნობდიო. ეს აზრი, ღენერალისაგან წარმოთქმული, ძალიან მოეწონა ერთ ქუთაისელ ბურისტს და დაუწყო მის ბრწყინვალებას განმარტება იმ სწავლისა, რომ კაცი თავის მოქმედების ბატო-

ნი არ არისო, ეს სეჩენოვმა დაამტკიცა ფიზიოლოგიურათაო და სხვა და სხვა. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც პატარა ხანს შემდეგ მე მომესმა მისი ბრწყინვალების მრისხანე სიტყვები, რომ „ვიღაც სეჩენოვი ყოფილა, იმას კარგი „სეჩენია“ მოუხთებაო.

ამათ გარდა ჩვენ გემზე მოდიოდნენ ხუთი თუ ექვსი ახლად კურს-დასრულებული გიმნაზიელი, რომელნიც მთელი გზა, ფოთიდან ოდესამდი, თითქმის გაუწყნარებლივ ქალალდს თამაშობდენ. სამგზავრო ფულები ერთი ჯიბიდან მეორეში გადადიოდა, სხვათა შორის, ამათ ზოგიერთი ისეთი რამე ილაპარაკეს, რომელიც სწორეთ რომ ძნელათ დასაჯერებელია. მაგალითათ, ერთმა სთქვა, რომ ერთმა ჩემმა ამხანაგმა ცხრა ცხვარი მიართვა უფროსსაო და მხოლოთ იმიტომ მიიღო ატესტატიო; მეორე ხუთ-ხუთ მანეთს აძლევდა მასწავლებელს თითო გაკვეთილშიო; მესამემ მასწავლებელს სამზღვარგარეთ თავის ხარჯით წაყვანა დაჰპირდაო, მეოთხემ კიდეც წაიყვანა ერთი მასწავლებელი ვენის გამოფენაზეო და სხვა ამგვარები.

ეს ამბები მე ყველა ჭორებათ მიმაჩნია. ვერ წარმოიდგენია, კავკასიის რომელ გიმნაზიაში უნდა სუფევდეს ამისთანა წესები და წყობილებანი...

ამნაირათ მშვიდობით გავიარეთ ჩვენ ექვსი დღის განმავლობაში, ეს თავ-მომაბეზრებელი, მომაწყინარი გზა, რომელსაც სხვაგან ერთ დღეს ან ბევრი დღე-ნახევარში გადიან, და ბოლოს, როგორც იქნა, ოდესაში მივედით.

ყველა რუსეთის ქალაქში, პეტერბურლს გარდა, ოდესა უფრო შნოიანი და სუფთაა და ყველაზე უფრო ჰგავს ევროპიულ ქალაქს. თავის მშვენიერი მდებარეო-

ბის წყალობით, ოდესას სამხრეთ რუსეთისათვის, უეჭველია, ისეთი მნიშვნელობა მიეცემა, როგორიც ჩრდილოეთ რუსეთისათვის პეტერბურღსა აქვს.

III

ვენა—ვენის გამოფენა.

ოდესიდამ პირდაპირ ვენაში გავსწიე.

ვენა იყო პირველი ევროპიული ქალაქი, რომელიც ცოტათი დაახლოებით ვნახე. დავიჭირე ერთს მიყრუებულ ქუჩაზე პატარა ოთახი, სამ გულდენათ დღეში, ცოტათი მივალაგ-მოვალაგე და იმ წამსვე აბანოში წავედი, რადგან ვოლოჩისკიდამ ვენამდი ქვა-ნახშირის კომლმა სწორეთ ბუხრის მწმენდელსავით შემმურა. ვისაც ჩვენი დალოცვილი თფილისის აბანოები უნახავს, იმას ეს ჩემი აბანო სწორეთ არაფრათ მოეწონებოდა. შემაგდეს ერთ პატარა ოთახში, სადაც აუზი იდგა, ჩამოუშვეს ამ აუზში ცივი და თფილი წყალი და დამტოვეს. არც ჩვენებური მადნის წყალი, არც ქისა, არც დაზელა, არც ერთი, არც მეორე. „მადლობა ღმერთს, ვიფიქრე მე ჩემ გუნებაში: სხვაშრ თუ არაფერში, იმაშიმაინც ვჯობნებულვართ ჩვენ ამ განათლებულ ევროპიელებს!“ ამისთანა აბანოში დიდხანს დარჩენა, რასაკვირველია, არას მიშველიდა. მივედი კანტორაში, სადაც ერთი მოხუცებული, სათვალებიანი ქალი იჯდა და ისე ჩასცქეროდა თავის დავთარს, თითქო, ეს არის, უნდა ალმოეჩინა, რომ კუდიანი ვარსკვლავი დაეტაკება დედა-მიწას და ქვეყნიერება დაილუპებაო. მივეცი, რაც ერგებოდა, გამოვედი, ავალირე კისერი და დავიწყე უგზო-უკვლოთ ქუჩებზე ხეტიალი.

სამი დღის განმავლობაში მე თითქმის მოუსვენრათ დავხეტიალობდი ვენახში: ისეთ ქუჩები, ისეთი ალაგები ვენახე, რომელიც, მგონი, ნამდვილი ვენის მცხოვრებელსაც თავის დღეში არ ენახოს. შუადღემდი ქუჩებში, ნაშუადღევიდამ საღამომდი გამოფენაზე და შემდეგ სხვა გასართობ და დროს გასატარებელ ალაგებში, მაგრამ არავითარი განსაკუთრებული და საკიამოვნოთ მოსაგონებელი შთაბეჭდილება არ დამრჩენია მე ვენაზე, იმის მიტოვების შემდეგ.

ერთი შეხედვით ვენა კარგი ლამაზი ქალაქია: ხუთ-ექვს ეტაჟიანი ლამაზი სახლები, გასაკვირველათ სუფთა და ფართო ქუჩები, რომლებზედაც აუარებელი ხალხი, ფაეტონებიდა სეტხენო რკინის გზების ომნიბუსები მოუსვენრათ დატრიალობენ, მდიდრულათ გამართული მაღაზიები—ქალიან აშნოიანებენ ქალაქს და სიცხოვლეს აძლევენ, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც გამოფენა არის აქ და თითქმის ყველა ქვეყანას გამოუგზავნია აქ თავისი წევრები, ამ სიცხოველეს სხვა და სხვა ფერობაც ზედ ემატება: რა ქვეყნის ხალხიც გინდათ, იმას შეხვთებით. ყველა ხალხს თავის ჭკუის და ხელობის ნაწარმოები მოუტანია აქ ქვეყნის საჩვენებლათ. ბევრიც მხოლოთ იმისთვის მოსულა, რადგან იციან, რომ აქ ეხლა თითო ნაგლეჯი მაინც იქნება თითქმის ყველა ხალხისა და უნდათ, ესენი ყველანი ერთათ დაინახონ, მაინც არის...

ზემო მოყვანილი სიტყვები, რომ აქედამ „არავითარი განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მიმყვება“ მეთქი, განსაკუთრებით ვენის გამოფენას ეკუთვნის. ყოველი გამოფენა იმ ნაირათ უნდა იყოს გამართული, რომ გამოფენილი საგნების დათვალიერება და გაცნობა არა

თუ მარტო მცოდნე კაცებისათვის და სპეციალისტებისათვის, ყველასთვის შესაძლებელი და გაადვილებული უნდა იყოს. ყველას ადვილათ უნდა შეეძლოს დანახვა, თუ რომელი ხელობა რომელს ქვეყანაში უფრო წინ წაწეულია და რომელი ხალხი უფრო გავარჯიშებულია რომელსამე ხელობაში. ეს არის პირველი და აუცილებელი პირობა ყოველი გამოფენისა და თუ ეს შესრულებული ვერ არის, ამისთანა გამოფენა, იცოდეთ, მაგდენ სარგებლობას ვერ მოუტანს ადამიანის ხელოვნებას.

ამ მხრით არც ერთი გამოფენა არ ყოფილა ისე კარგათ გაწყობილი, როგორც უკანასკნელი პარიჟის გამოფენა (1867). ერთი დიდი უშველებელი რგვალი შენობა იყო ფამართული; ამ რგვალ შენობაში ირგვლივ რამდენიმე წყობა გალერეიები მიდიოდენ, რომლებშიაც თითოში მხოლოთ თითო რომელიმე ხელოვნების ან მეცნიერების საგნები იყო გამოფენილი, ასე რომ აქ ყველა ხალხის ნახელავ საგნებს ნახავდით, მაგრამ მხოლოთ ერთი რომელიმე ხელოვნებისას, მაგ. მეურნეობისას. სიგრძით, ერთი კუთხიდამ მეორე კუთხემდი, იყო სხვა გალერეიები, რომელნიც ამ რგვალ გალერეიებს სჭრიდენ და რომლებშიაც თითოში მხოლოთ ერთი რომელიმე ხალხის ყოველ მვარ ხელობას ნახავდით, ამ ნაირათ თქვენ შეგეძლოთ გადაგევლოთ თვალი ან ერთი რომელიმე ხელობის ნაწარმოებისათვის და ან ერთი რომელიმე ხალხის სხვადასხვა ხელოვნებისათვის.

ვენის გამოფენა კი თითქმის სრულიათ უსისტემოდ, უთავბოლოთ არის ფამართული: გამოფენას ძალიან დიდი ალაგი უჭირავს, მაგრამ ამ ალაგში ხშირათ ერთ გვარი საგნები სხვადასხვა სახლებშია გამოფენილი. ერთი

ნაწილი მაშინების, ან მეურნეობის საგნებისა რომ ერთ შენობაშია, მეორე ნაწილი სულ სხვაგან არის; ერთი ხალხის ხელობა ზოგიერთ ალაგას არის გამოფენილი და ზოგი კი სულ სხვაგან. ასე რომ კაცს ჭკუა გებნევა, კატალოგი სრულით ვერ გშველის, მთელი დღე დაიარები, ათვალიერებ და ალაგებით ვერაფერს ვერ ტყობილობ და ვერ ხედავ.

მიველი თუ არა გამოფენაზე, რასაკვირველია, იმ წამსვე ჩვენი კავკასიის განყოფილების ძებნას შევუდექი. მაგრამ არ დამიჯერებთ: ორი დღე ვეძიე, სანამ, როგორც იყო, მივაგენი. მივაგენი, მაგრამ არც კი ღირდა, ღმერთმანი, იმ ძებნათ: მე არაფერის თქმა არ შემიძლია ამ ჩვენი განყოფილების გამოფენაზე, რადგან აქ ისევ საგნებია, რაც შარშან წინ მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენაზე იყო და იმის თქმა, რაც „დროების“ ერთს კორრესპონდენციაში იყო ნათქვამი, მართლა რომ ძნელია.

საზოგადოთ გამოფენაზე ორ სიტყვას ვიტყვი და ეს ორი სიტყვაც, საუბედურეოთ, დაგვიანებული იქნება.

გერმანელებს გამოფენაზე, რასაკვირველია, პირველი ადგა უდიდესი ალაგი უჭირავთ, ლომის ლუკმა აულიათ. მაგრამ შესანიშნავია, რომ ეს უშველებელი ალაგი, ათას—გვარი საგნებით გატენილი, იმის მეოთხედ მაყურებლებსაც არ იზიდავს, რამდენსაც, ვსთქვათ, საფრანგეთის და იტალიის პატარა ალაგები იზიდავენ. არაფერზე არ გაგიჩერდება ჯაცს თვალი, არაფერი არ მიიპყრობს შენს ყურადღებას, არაფერი შთაბეჭდილება არ გრჩება, თითქმის ყველა ამ გერმანიის განყოფილებაში გამოფენილი საგანი შენ ადიდი ხანია გინახავს და გულგრილათ მიდიხარ იქითა.

ყოველი ხალხის ხელოვნებას თავისი კანსაკუთრებული ბეჭედი ასვია, თითქოს ხალხს თავის ხასიათი ყოველ საგანზე გამოუხატავსო. აიღეთ, მაგალითათ, გერმანელის ნახელავი რამე საგანი: რაც უნდა უბრალო საგანი იყოს, შეიტყობთ, რომ იმას დღე და ღამე უფიქრია, უწვალებია და, როგორც არის, გაუკეთებია.

მის მაგიერათ დახედეთ საფრანგეთის, იტალიის, პატარა შვეიცარიის და თითქმის ჩინეთისა და იაპონიის განყოფილებებს,—რამდენი ხალხი ასევია, როგორ აღტაცებით უყურებენ წამოწითლებული ინგლისელები საფრანგეთის ბრინჯაოს საგნებს და იტალიის პატარ-პატარა ძეგლებს!

რაც შეეხება მათს სილაზათეს, გუმოს—ამაში, რასაკვირველია, ფრანგის მოხელეს ვერც ერთი ქვეყნის მოხელე ვერ შეედრება. მართლა, სულ უბრალო რამე ბრინჯაოს, თუჯის ან ნიკელის საგნებში შნო, სიცოცხლე, ხელოვნებაა! სჩანს, რომ არტისტს უმუშავნია დიმდენი დრო არ მოუნდომებია, რამდენიც ნიჭი და ხელოვნება. შეხედეთ იტალიის განყოფილების ძეგლებს და სურათებს! რამდენი სიცოცხლე, რამდენი ბუნებითი სიმხურვალე, გრძნობა და ვნება იხატება ყველა ძეგლის და სურათის არა თუ პირის სახეზე, სხეულში და დაყენებაში! იმ ხალხს, რომელსაც ამისთანა ხელოვნების ნიჭი აქვს, თფილი სისხლი, გრძნობა და გული უნდა ჰქონდეს!

რუსეთის განყოფილებაში ყველანი განსაკუთრებით ყურადღებას თოკებსა და ტყავებს აქცევენ და მართლაც მშვენიერი ნახელავი თოკები და ტყავებია.

მაგრამ დავანებოთ თავი ამ უსულო საგნებს და

ორიოდე სიტყვა სულიან ქმნილებაზედაც ვსთქვათ — ვენის მცხოვრებლებზე.

ეხლა ვენა, ამ გამოფენის გამოისობით, როგორც ზევით ვსთქვით, სხვა-და-სხვა ათასგვარი ხალხით არის გავსებული. ქუჩებში და განსაკუთრებით გამოფენაზე თქვენ ყოველ ნაბიჯზე შეხვთებით ოთხ-კუთხ პირის-სახიან ჩინელებს, თვალებ-მილეულ, გაყვითლებულ იაპონელებს, მხრებ-აწეულ, მხნეთ გამომხედვარე რუსის ვენერალს, რომელიც სტატსკურ ტანისამოსში როგორღაც ვერ გრძნობს თავის თავს კარგათ, პირზე წამოწითლებულ, გრძელ ფეხებიან ინგლისელებს, რომელთაც თითქოს ჯოხი გადაუყლაპავსთო, ისე დაიარებიან, ცოცხალ, ფაცურა ფრანგებს; შავგრემან, კონსპირატორის თვალებით მცქერალს ესპანიელებს და სხვა ათასს, რომლის აწერა შეუძლებელია.

მაგრამ ამ ხალხში თქვენ სტუმარსა და მასპინძელს იმ წამსვე გამოიცნობთ. ვენელი მცხოვრები იგივე გაუთლელი, ფილოსოფური პირის-სახის, ლუდით გაბერილი და არა სიმპატიური მიხვრა-მოხვრის გერმანელია. მაგრამ ყველა ეს გერმანელის გამარჩეველი თვისებები ვენელს უფრო დარბილებული და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, უფრო გატკბილებული აქვს, ვიდრე, მაგ. ბერლინელ ან მიუნხენელ გერმანელს; ერთი სიტყვით, ბერლინელ და ვენელ გერმანელს შუა ისვე განსხვავება არის როგორიც ჩვენებურ სემინარიელსა და გიმნაზიელს შუა: თუ შეიძლება, რომ ჩვენებური სემინარიელი თავის ფილოსოფური გამოხედულობით, წყნარი, ბრძნული მიხვრა-მოხვრით და საზოგადოთ ხასიათის სიმძიმით ბერლინის გერმანელს შეადაროს კაცმა, მაშინ ვენელი გერმანელი

თავის ცოტათი უფრო მომეტებულის სიცოცხლით, უფრო მსუბუქი ხასიათით უთუოთ ჩვენებურ გიმნაზიელს შეედარება.

ვენელი ქალების სილამაზე მთელს ქვეყანაში განთქმულია; თუ სწორი პირის-სახის დაწყობილობას, ნაზ, თეთრ-ყირმიზ ცხვირ-პირს, კარგათ მოყვანილ თვალებს, ლერწამ-ტანობას, თუ ყველა ამას სილამაზე დაერქმევა, მაშინ უეჭველია, ვენელი ქალები ლამაზები ყოფილან. ამბობენ, რომ პარიეიდამ და სხვა საფრანგეთის ქალაქებიდამ ვენის გამოფენაზე ათი-ათასი ქალი (კოკოტკა) მეტი წამოვიდაო, რადგან უცხო ქვეყნელებისაგან იქ კარგ შემოსავალს მოელიანო. მართლაც, ხშირათ შეხვდებით აქ იმათ. მაგრამ ვენის ქალს და პარიეელს ერთი შეხედვით გამოიცნობთ: ხშირათ ვენელი ქალი უფრო ლამაზია, უკეთესი ტანადია, მაგრამ იმას არასოდეს არა აქვს ის ლაზათი, ის შნო, ის, „რალაც მიმზიდველს“ რომ ეძახიან, რომელიც ასე უხვათ მიუნიჭებია ბუნებას ფრანგის ქალისათვის. ვენელი ქალი და საზოგადოთ გერმანელი ქალი ხშირათ ნახატსავით ლამაზიაო, რომ იტყვიან, სწორეთ ისეთია, მაგრამ ნახატსავითაც სიცოცხლეს მოკლებულია.

რაიცა შეეხება ვენელი ქალების ზნეობას, ამბობენ, რომ ძნელათ იპოვება ვენაში ერთი ქმრიანი ქალი, რომელსაც ერთი „შინაური მეგობარი“ მაინც არა ჰყავდესო; ძვირათ იპოვება ისეთი ქალიო, რომლის გული მარჯვე დონ-ჟუანს არ დაემორჩილოს და რომელსაც თავის კანონიერი ქმრის შუბლი უკანონო რქებით არ დაემშვენებინოსო...

ესეც თქვენი გერმანული ქალების „იდეალური“ სიყვარული და „იდეალური“ ზნეობაა!

IV

მ ი უ ნ ხ ე ნ ი.

—მეოთხე დღეს, შუადღეზე, მე გულ-დაუწყვეტლათ გამოვეთხოვე ვენას და იმის გამოფენას. წავედი რკინის გზის სადგურზე და ავიღე ბილეთი მიუნხენამდი, რადგან ამ ლუდის სატახტო ქალაქშიც მინდოდა ერთი დღე დავრჩენილიყავ. მეორეთ რომ დაჰკრა ზარამ, მე ერთი უფრო ცარიელი, ვაგონი ამოვირჩიე, დავჯექი, მივალაგ-მოვალაგე და დავიწყე აქეთ-იქით თვალების ფეცება. სულ იქით, ვაგონის მეორე კუთხეში, ვიღაც ორი გერმანელი ზიან და, თითქო ნამძინარევნი იყვენო, წელმოწყვეტილათ ლაპარაკობენ. ცოტა ხანს შემდეგ კარები ვაიღო და ერთი ჩვენებური სიბერისაგან კბილებ-ჩავარდნილი, ულვაშებ-შეკრეჭილი და წელში მოკაკული სომეხი შემოვიდა, თავის მაუდის კაბაში და შავი ატლასის ახალუხში გამოწყობილი. კიდევ, ცოტა ხანს შემდეგ, გაიღო კარები და ერთმა ახალგაზდა, ვაშლსავით ლოყებ წამოწითლებულმა, გაფუნთულებულმა გერმანელმა ქალმა შემოჰყო თავი და ზედ ჩემ პირდაპირ დაჯდა.

პირდაპირ რომ შევხედე ამ ქალს, იმის თვალებში ამოვიკითხე: როგორი ახალგაზდა ხარ, არა გრცხვენია, რატომ არ დამელაპარაკებიო!

— ქალო, თქვენ, მგონი, მანდ ზზე გაწუხებთ; თუ გნებავთ, აქეთ გადმოჯექით, აღგილი არის, ვუთხარი ჩემი დამტვრეული გერმანულის ენით და მივუთითე ჩემ გვერდით.

— მართალიაო, სთქვა და ბევრი არ უფიქრნია, ადგა და ჩემ გვერდით დაჯდა.

— თქვენ სად მიდიხართ?

— მიუნხენშიო, თამამათ და ლიმილით მიპასუხა.

— მეც იქ მივდივარ.

— ყოფილხართ თქვენ მიუნხენში? ქალაქს იცნობთ?

— ჩემ დღეში არა, მაგრამ არა უშავს-რა, არ დავიკარგები.

— მე კი პირველათ მივდივარ იქ და ძალიან მეშინია: მარტო ვარ...

— რის გეშინიათ, აქ არა ვარ, თუ ნებას მომცემთ, მე ვიქნები თქვენი რაინდი.

— მადლობელი ვარ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მეშინია...

— რისი გეშინიათ? და იმის დასამტკიცებელათ, რომ მე მგელი არ ვიყავი და იმის შეჭმა არ შემეძლო, მივიწიე ახლოს იმასთან და სრულებით უნებურათ ჩემი მარჯვენა ხელი იმის მარცხენა ხელს დაედვა. ანტონინა ცოტათი შეჰკრთა, მაგრამ ხელი მაინც არ გასწია.

— ზოგიერთი კაცი მგელზე უარესიაო, თვალებში გამოესახა ანტონინას.

მთელი გზა ვუმტკიცებდი, რომ ის შემცთარია. მაგრამ რადგან გერმანული ენის დიქსიონერი მალე გამოშელია, მე იმ ენით დავუწყე იმას საუბარი, რომელიც მთელი ქვეყნისათვის ერთია.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენ მივაწიეთ მიუნხენში, მოვკიდე ხელი ჩემ დამას, ჩამოვიყვანე ვაგონიდამ, ჩავჯექი Hôtel national-ის ომნიბუსში და გავსწიეთ. ცოტა

ხანს შემდეგ ჩვენ ორი ოთახი დაჭერილი გვქონდა და ოტელიდან გამოვედით: ანტონინა ვიღაც თავის ნაცნობ ქალთან წავიდა და მე ქალაქში დავიწყე ჩემებურათ ხეტიალი და თვალების ფეცება. დავიარე აქაური-პოლიტეხნიკური შკოლა და სურათების გალერეია და ორივესაგან სრულიათ კმაყოფილი დავრჩი. ქალაქიც, როგორც გერმანელის სიფაქიზეს ეკადრება, სუფთაა. სწორი ქუჩები, მაღალი, ძველი სახლები, პირზე წამოწითლებული და ლუდით გაბერილი ბავარიელები,— ერთი სიტყვით ყველაფერი ისეა, როგორც გერმანელის ქალაქს შეეფერება.

საღამოს, თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მე ჩემ ოტელში დავბრუნდი. დაღალული, მოქანცული ვიყავი და ის იყო ტანისამოსის გახთას შევუდექი და-დაწოლას ვემზადებოდი, როდესაც ანტონინას ოთახიდან რაღაც ხმაურობა მომესმა.

— ანტონინამ თავის თავი მე ჩამაბარა, მე ვიკისრე იმის მოვლა და უსვინიდისობა და გაუზრდელობა იქნება ჩემის მხრით, რომ არ შევიდე და არ დავხედო, თუ რა მე სჭირია, ან თუ მშვიდობიდ არის, მეთქი. ვიფიქრე და დავურაკუნე კარებზე.

ჯერ ხმა არ ამოიღო. მე ვიფიქრე, სწორეთ დაწოლილა მეთქი, და ის იყო უკან დაბრუნებას ვაპირებდი, როდესაც წყნარის ხმით მომესმა:

— Hezein! (შემოდითო)

შევაღე ნელა კარები და შევედი. გავიხედ-გამოვიხედე, ანტონინა არსათ არ სჩანს. იმ მხრიდან, სადაც საწოლი იდგა, მომესმა:

— მე ლოგინში ვარ, ძალიან დავიღალე; თუ მგელი არა ხართ, ეხლა გამოგაჩნდებათ, აქ ნუ ამომეკარე-

ბით, დაჯექით მანდ და ისე ვილაპარაკოთ. სად იყავით, რა ნახეთ, სთქვით!

ყურ-მოჭრილ მონასავით დავემორჩილე იმის ბრძანებას; ჩამოვჯექი სტოლთან და ყველაზე პირველათ ვკითხე, ხომ კარგათ არის, ხომ არავის გაუბედნია იმის წყენინება, ან თავის საქმე როგორ გაარიგა. იმან მითხრა, რომ ძალიან კმაყოფილია ამ ოტელისა, კარგათ მემსახურენო, ვახშამიც კარგი მაჭამესო და, რაც შეეხება ჩემ საქმეს, ისე კარგათ გაუარიგე, რომ მეც არ მოველოდი.

იმან რომ გაათავა, მერე მე მოვუყევი ჩემი იმ დღევანდელი ალიან-ჩალიანი, ვუთხარი ყველაფერი, სადაც ვიყავი, რაც ვნახე, როგორ კმაყოფილი დავრჩი, რომ პოლიტეხნიკური შკოლა და საზოგადოთ აქაური შკოლები ასე კარგათ არის გამართული, როგორ გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ბავარიის მეფის სასახლე ამ სასწავლებელთან შედარებით უბრალო ქოხს ჰგავს-მეთქი; მერე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზედ და ბუნებაზე დავიწყე ლაპარაკი და სხვ. და სხვ. და სხვ. ერთი ნახევარი საათი ვიყბედე ანტონინასთან და მერმე გამოვემშვიდობე და ჩემს ოთახში წავედი.

V

ნ ო უ რ ი ხ ი.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა შევკარი ბარგი, გავისტუმრე ოტელის პატრონი და გამოვსწიე რკინის გზის სადგურზე. ათ საათზე ჩვენი მაშინა გაქანებით მიდიოდა შვეიცარიისაკენ. ჩვენებურ ნასადილევს ჩვენ გადავედით ბოდენის ტბაზე.

დაიწყო შვეიცარია. მოწმენდილი, ლაჟვარდი ცა, პატარა გორაკები, ბუჩქ ებითადა ხეებით ამწვანებულნი, პატარა ღელეები და საზოგადოთ ერთი თვალის გადავლება ამ პატარა და თან დიდებული შვეიცარიისა, მე ჩემ პატარა სამშობლოს კუთხეს—იმერეთს—მომაგონებს...

ბოდენის ტბიდან ციურიხამდი თითქმის ორი საათის სავალია, რასაკვირველია, რკინის გზითა.

აი გამოჩდა ციურიხიცა, ეს შვეიცარიის განათლების კუჭი, ეს ზოგიერთისათვის საფრთხო ქალაქი, რომლის სახელსაც ზოგიერთები თითქმის გულ-გრილათ ვერცკი გამოსთქვამენ, რომელშიაც მიღებული სწავლა და განათლება ქვეყნის დამღუპველ და დამაქცეველ და კაცობრიობის გამრყვნელ სწავლათ და განათლებათ მიაჩნიათ! ერთი სიტყვით, ეს არის ციურიხი თავის პოლიტეხნიკური შკოლით, რომელიც პარიჟის პოლიტეხნიკურ შკოლის შემდეგ თითქმის პირველია ევროპაში, თავის რუსის ახალგაზდებით გატენილის უნივერსიტეტით, თავის სახელ-განთქმული ფლიუნტერნით, თავის მშვენიერი ტბით, თავის ამაყი და კმაყოფილ მცხოვრებლებით...

ეხლა რომ წარმომიდგება თვალ წინ ციურიხი და მისი არე-მარე, ახირებული შედარება კია, მაგრამ იმ წამსვე ქუთაისი და იმის არე-მარე მომაგონდება ხოლმე. შეხედეთ, ციურიხი ორ ნაწილათ არის გაყოფილი, მარჯვენა მხარე მთაზეა გაშენებული, მარცხენა უფრო სწორ ალაგას; შუაში ციურიხს ტბა და ლიმატი ჩაუდის, მარცხენა მხრით ხედავთ გამოჩენილ უტლის მთასა და ალბისს; უკან გაიხედავთ და ალპის მთების შტოებს შეხედავთ. მაგრამ ეს შედარება მხოლოდ ამ გარეგანი მხრით თავდება. როგორც ჩვენს გორაზე წამოჭიმული მაქსიმე

გაბაშვილის სახლი ციურიხის ფლიუნტერნზე წამომდგარ პოლიტეხნიკურ შკოლას არ ჰგავს, ისე სხვა მხრით ეს შესადარებელი საგნები—ციურიხი და ქუთაისი—არ გვანან ერთმანეთს.

ციურიხი გერმანული შვეიცარიის უდიდესი ქალაქია. მაგრამ განათლების მისაღები საშუალებებით და სწავლულებისა და მეცნიერების სიმრავლით ის მთელს შვეიცარიაში პირველ ქალაქათ ითვლება. მართლაც, აქ არის გამოჩენილი პოლიტეხნიკური შკოლა, რომელშიაც ყველა ქვეყნიდან მოდიან განათლების მისაღებათ, აქ არის მშვენიერათ გამართული უნივერსიტეტი, გიმნაზია, უანგარიშო პირველ დასაწყისი შკოლა, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვა, რაც კი განათლების მისაღებ საშუალებათ ითვლება. ამასთან თვითონ ქალაქის მყუდროება, ცხოვრების სიიაფე და ყოველმხრივი თავისუფლება, რასაკვირველია, ბევრ ახალგაზდობას მიიზიდავდა ციურიხში; და მართლაც ასეც არის. ჩემის იქ ყოფნის დროს, როგორც მითხრეს, ნახევარზე მეტი სტუდენტი პოლიტეხნიკურს შკოლაში და უნივერსიტეტში სულ უცხო ქვეყნელები იყვნენ; ამათში ასზე მეტი რუსის ქალი და ვაჟი ერია და თხუთმეტამდი ჩვენებურებიც იყვენ, რომელნიც ზოგნი ემზადებოდენ უნივერსიტეტში შესვლას და ზოგნი კიდეც დაიარებოდენ. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გამოცემულის მმართებლობის ბრძანების გამო ზოგიერთები შინ დაბრუნდენ და ზოგნი კი სხვა ქალაქებში გადავიდენ სწავლის გასაგრძელებლათ.

ჩემს აქ ყოფნაში რუსის ახალგაზდობას გაცხარებული ყრილობები და მოლაპარაკება ჰქონდათ იმაზე, მივდივართ და რა ვუყოთ ჩვენს ბიბლიოთეკასო. რამ-

დენსამე იმათს ყრილობას და ბაასს დავესწარი და დავრწმუნდი, რომ ესენი, ღმერთმანი, ისე საშიშნი და ყურადღების ღირსნი არ არიან, როგორც ჰგონიათ და როგორც შორიდან მოეჩვენება კაცს. თვითონ იმათი წითელ წვერა წინამძღოლი ხომ არასოდეს არ ყოფილა საფრთხილო კაცი და ეხლა ხომ სულ გამოფუტურებულა.

თვითონ ციურიხელი შვეიცარიელები რომ მოუთმენარი, შეუგუებელი და ახირებული ხალხი არ იყოს, ეს რუსები მშვიდობით იცხოვრებდენ ციურიხში და ისწავლიდენ. მაგრამ ამ დალოცვილებს შეუდგენიათ თავისთვის მტკიცე კანონები ცხოვრებისა, ყოფა-ქცევისა, ტანსაცმელისა, და ნურავინ ნუ გაბედავს ამ კანონებზე გადასვლასო; ყველამ ისე იცხოვროს, ყველამ ისე ჩაიცვას, ყველამ ისე იმოქმედოს, როგორც მეო; ერთი სიტყვით, ჩემგან განსხვავებულს, ჩემს კანონებზე გადასულს მე არაფერს არ მოვითმენო. რუსები კი თავის ხასიათით, თავის ჩვეულებებით, თავის კომბოსტოთი, ერთი სიტყვით, თავის რუსობით მოდიან აქ აი, ეს არის იმ გარემოების მიზეზი, რომ ციურიხში რუსები როგორღაც ვერ მოთავსდენ.

დიდის კმაყოფილებით ვამბობ, რომ ჩვენებურები ამ მხრით ძალიან კარგათ იქცევიან აქ. ისინი, რაც შეიძლება, ცთილობენ, რომ არც თავისი ყოფაქცევით და არც გარეგანი შეხედულობით არ ეცნენ თვალებში მცხოვრებლებს, და ამის გამო ციურიხელებსაც ძალიან უყვართ და პატივსაც სცემენ ყველა კავკასიელს. ისინი როგორც თავის მოძმეს, თავის მეგობარს, როგორც კარგ კაცს, ისე უყურებენ და სიამოვნებით უმეგობრდებიან, თუ კი თვითონ კავკასიელმა მრიხლმა

იმათთან დაახლოვება. მაგრამ, საუბედურობ, ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა: ჩვენები ციურიხში ერთობ განცალკევებულნი არიან, ერთობ განზე დგანან და, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ერთობ თფილისურათ ცხოვრებენ.

მაგრამ ყველაზედ უფრო სასიამოვნო ის სწავლაში გულს-მოდგინება და სიბეჯითე იყო, რომელიც მე ჩვენებურ ორივე სქესის ახალგაზდობას შევამჩნიე. ერთი წლის განმავლობაში აქ იმათ იმდენი შეემატებიათ გონების გახსნაში, რამდენსაც ჩვენში, მგონი, ხუთი წლის განმავლობაშიაც ვერ შეიძენდენ.

ორი კვირა დავრჩი მე შვეიცარიაში და ამ ორი კვირის განმავლობაში იმდენი ვიხეტიალე, რომ ერთს ჩქმს მეგობარს ეგონა, რომ მუდამ მოგზაურ და დაუღალავათ ყოველ კლდეზე მპორტყავს, ინგლისელათ ვაპირებდი გადაქცევას.

ვიყავი შავხაუზენში; ვნახე გამოჩენილი დიდებული რეინის ჩანჩქერი...

ვნახე ლიუცერნი და იმის ერთ კლდეში გამოკვრილი, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს დაღუპულ შვეიცარიელების სამახსოვროთ, უშველებელი ლომი.

ვნახე შვეიცარიის სატახტო ქალაქი ბერნი... უკაცრავათ: შვეიცარიაში ტახტი არ არის... ბერნი ის ქალაქია, რომელშიაც იმყოფება მთელი შვეიცარიის კავშირის უმთავრესი მმართველობა.

ვნახე მშვენიერი ოთხი—კანტონის (ურის, უნტერვალდენის, შვიცის და ლიუცერნის)—ტბა, თავის ანკარა წლითა, თავისს ნაპირზე ჩამოწოლილი კლდეებითა და თავის კიდებზე მერცხლის ბუდესავით მისკუპული სოფლებითა.

ვნახე გრიუტლი და საზოგადოთ ის ადგილები, სადაც 1307 წელს სამმა კანტონის უბრალო მცხოვრებლებმა: ვალტერ ფიუსტმა, შერნერ შტაუფახერმა და არნოლდდე მელხტალმა თავის დაჩაგრული მამულის, თავის მშვენიერი მთების უცხო ტომის ხალხისაგან განთავისუფლებაზე შეჰფიცეს ერთმანეთს და კიდეც შეასრულეს ეს კაცის საუკეთესო მოვალეობა; ვნახე ის ადგილები, რომელიც უკვდავი პოეტის (შილლერის) კალამმა ასე ცხადათ, ასე ცხოვლათ გამოხატა თავის „ვილჰელმ ტელში!“

ვნახე შესანიშნავი კულმის რკინის გზა და არა თუ ვნახე, ავედი კიდეც ამ გზით კულმისის მთაზე და იქიდამ, როგორც ხელის გულზე, ისე დავინახე თითქმის მთაც, ეს მშვენიერი ტბა, ცუგის ტბა, ლიუცერნი, შვიცი, პილატის მთა და ძირს ბევრი მშვენიერათ შემუშავებული და ამწვანებული სოფელი და ადგილი.

ვნახე... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მკითხველისათვის იმის უბრალო ჩამოთვლას, თუ მე რაც ვნახე შვეიცარიაში და რაც ღირსია ნახვისა! არავითარი. ღმერთს რომ ჩემთვის უფრო ხელოვნური კალამი და აწერის ნიჭი მოეცა, მაშინაც უბრალო აწერით ვერ გამოვუსახავდი მკითხველს ამ პატარა ქვეყნის მშვენიერებას; და განსაკუთრებით ჩემს მკითხველს, იქნება, ვერც მაშინ გავაკვირვებდი.

შვეიცარიაში რომ დავიარებოდი და იქაურ ბუნებას ვხედავდი, მუდამ ერთი შედარება მიდგა თვალწინ: კავკასიისა და შვეიცარიისა. ბუნებით, ადგილის მდებარეობით, თითქმის ჰავითა და ცხოველ-მცენარეობით კავკა-

სიბსა და შვეიცარიას შუა დიდი მსგავსებაა. ჩვენს ქვეყანას მხოლოთ ერთი აკლია: შვეიცარიის ტბები. გაუჩინეთ თფილისს გვერდით ყენევის ტბა, ქუთაისს—ციურიხის ტბა, სადმე ზემ-იმერეთში ოთხი-კანტონის ტბა წარმოიდგინეთ, და თუ საქართველო შვეიცარიას არ ემგავნება სრულებით თავის ბუნებით, მაშინ რაც გინდათ, ის მითხარით.

მაგრამ ბუნების მსგავსებასთან—რა განსხვავებაა ერთისა და მეორე ქვეყნის განათლებაში, ეკონომიურ მდგომარეობაში! ერთი ყოვლათ აყვავებული, განათლებული, მდიდარი, მხნე,—მეორე ღარიბ-ღატაკი, უმეცარი! ერთი ნამდვილი სამოთხე დედა-მიწისა,—მეორე ისეთი კუთხე, რომელსაც მხოლოთ შეეძლო სამოთხეთ ყოფილიყო!

ყოველი შვეიცარიელი ყველაზე პირველათ თავის მამულის მოყვარულია. მგონი, არც ერთი მეორე ხალხი არ მოიძებნება დედამიწაზე, რომელსაც ისე უყვარდეს თავის პატარა, მაგრამ მშვენიერი სამშობლო, როგორც შვეიცარიელს. ის გრძნობს, რომ თავის ქვეყნის ბედნიერება იმის საკუთარი ბედნიერებაა, და სამშობლოს დამცირება იმის დამცირებაა. ამის გამო ის მართლაც ისე, უვლის, ისე უყურებს თავის სამშობლოს, როგორც შვილი თავის მშობელს. შვეიცარიელი გრძნობს, რომ თავისუფალი წევრია თავის ხალხისა და არა ვისიმე ქვეშევრდომი. ის ამაყობს თავის სამშობლოთი; არავის არ მისცემს იმის დამცირების და შეურაცხყოფის უფლებას; გაჭირების დროს, როდესაც შვეიცარიას რამე შიში მიადგება, მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ისე ადგება ხოლმე და გადის ბრძოლის ველზე მტრის წინააღმდეგ;

ყველა ისე იცავს, ისე უყურებს საზოგადო მამულს, როგორც თავისს უძვირფასესს საკუთარ საქმეს; ყველა მზათ არის, მამულს თუ დაჭირდება, არა თუ თავის შეძლება და ქონება, თავის თავიც შესწიროს. შვეიცარიის ყველა სახალხო სახლზე ორი სიტყვა აწერია დევიზათ: Liberté et patrie — „მამული და თავისუფლება“ და ამ ორი, ერთმანეთში განუყოფელი საგნისათვის, ისინი არაფერს არ ზოგავენ; ციურიხელს ან სხვა რომელიმე გერმანულ კანტონის შვეიცარიელს რომ ჰკითხოთ: „გერმანელი ხომ არა ხართ თქვენო?“ ის წყრომით შემოგიბღვერთ და ამაყათ გეტყვისთ: „უკაცრავათ ბ-ნო, მე შვეიცარიელი გახლავარ!“ აგრეთვე ჟენეველ შვეიცარიელს რომ ფრანგობა შესწამოთ, თუმცა ძალიან უყვარს ფრანგები, მაგრამ მაინც იმავე სიამაყით გიპასუხებს, რომ „მე ფრანგი კი არა, შვეიცარიელი ვარო!“

აი ამისთანა ხალხი ცხოვრებს იმ მთა-კლდიან და ტბა-მდინარეებიან ჰატარა შვეიცარიაში, რომელსაც ბევრის მხრით ევროპის საუკეთესო კუნჭულს ეძახიან. ხალხი ცოცხალი, მხნე, მშრომელი, თავისუფლებისა დასამშობლოს მოყვარე!

გულდაწყვეტილი გამოვეთხოვე ორი კვირის შემდეგ ციურიხს და იქ მყოფ ჩემ თანამემამულეებს და გამოვემგზავრე ჟენევით პარიჟისაკენ.

VI

ჟ ე ნ ე ვ ა.

ჟენევას პარიჟის ნამტვრევს ეძახიან, „მაშასადამე, ვფიქრობდი მე, ურიგო არ იქნება, სანამ მთელს პარიჟს

ერთათ ვნახავდე, ჯერ იმის ერთი ნაწილი, ერთი ნამ-ტვრევი ვნახო.“

ორ დღეში ამისთანა ქალაქის გაცნობა და ყველა აქაური შესანიშნავი რამეს ნახვა, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ რამდენათაც გავიცანი, ეხლა, როდესაც პარიჟი და იმისი ცხოვრება ნახული მაქვს, ვრწმუნდები, რომ ზუმო მოყვანილს შედარებას, ზოგიერთი მხრით, საფუძველი აქვს: მართლა, გარეგანი ცხოვრების მხრით ჟენევა ძალიან მოჰგავს რომელსამე პარიჟის უბანს. ისევე ხალხით გატენილი ქუჩები, ისევე მცხოვრებლების სიცხოველე და სიმკვირცხლე, ერთი სიტყვით, ისევ „ქუჩის ცხოვრება“, რომელიც პარიჟში ასე ეცემა კაცს თვალში.

ჩემს იქ ყოფნაში ჟენევაში ბრუსვიკის ღერცოგი მოკვდა და რადგანაც ეს ქალაქი ძალიან შეჰყვარებოდა, თავის მდიდარ შეძლებიდამ, სხვათა შორის, 25 მილიონი ფრანკი ამ ქალაქს უანდერძა. უნდა გენახათ, რა ამბავში იყვნენ ჟენეველები! ყველა ამ 25 მილიონზე ლაპარაკობდა, ყველა ჰყვიროდა; გარეშე კაცს ეგონებოდა, რომ ეს ფულები, მთელ ჟენევას კი არა, განსაკუთრებით თითოეულ ჟენეველს უანდერძა იმ ცხონებულმა ბრუსვიკის ღერცოგმაო, ისეთს გაცხარებულ ბაასში, ყვირილში და მოლაპარაკებაში იყვნენ. ყველგან ჰკითხულობდენ და ჩხუბობდენ, თუ როგორ, რაში უნდა მოვიხმაროთ ეს ფულებიო? ზოგი ამტკიცებდა, ფედერალურ უნივერსიტეტისთვის უნდა დაიხარჯოსო, ზოგი ახალი თეატრის ასაშენებლათ ნიშნავდა და ზოგი, ვინ იცის, რისთვის. საუბედუროთ, ახლა ამ ფულებს ბევრი მემკვიდრე და მოდავე გამოუჩნდა, თორემ ეს

25 მილიონი ფრანკი, რომელიც თითქმის ჟენევის წლიურ შემოსავალს უდრის, უეჭველია, ბევრ კეთილ საქმეში გამოადგებოდა ჟენეველებს.

ზედვე ეტყობა ჟენევას, რომ ევროპის დედა-მიწაზე ყველაზე უთავისუფლესი ქალაქია: რაც ევროპის სხვა და სხვა მხარეში აღკრძალული და დევნული ან წიგნები ან კაცებია, ყველას აქ შეუფარებია თავი. სხვათა შორის, ეხლა ჟენევა კომუნარებითაა სავსე, რომელთაც მომეტებული ნაწილი ძალიან საწყალ მდგომარეობაში არის. რომელთაც რაიმე ხელობა იცოდენ, კიდევ როგორც არის, მოუწყვიათ ცხოვრება. ზოგიერთები რაღაც ბროშურებს სწერენ, თვითონვე დააქვთ და გამვლელ-გამომვლელს აჩეჩებენ ხელში—იყიდეო, და ამით ძლივს ლუკმა პურს პოულობენ. იმათ აქ სხვა და სხვა საზოგადოებები გაუმართავთ, საზოგადო სადილები დაუწყვიათ (la marmite sociale) და ამგვარი საშუალებებით დიდის გაჭირვებით გამოდიან.

—

მონ-ბლანის მშვენიერს ხიდზე ამართულია მშვენიერი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ორ ქალს, ერთმანეთზე გადახვეულს. ეს ძეგლი აშენებულია იმის სახსოვრათ, რომ 1814 წელს ჟენევა და იმის კანტონი შვეიცარიის კავშირის შეუერთდა. ერთ ქალს (შვეიცარიის კავშირს) ჩაუხუტებია გულში მეორე (ჟენევა) იმის ნიშნათ, რომ შენ ჩემთან არა გიშავს რაო.

მაგრამ ჟენევის შესანიშნავ რამეებში ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება ჟან ჟაკ-რუსოს ძეგლმა მიიქცია, ეს ძეგლი დგას პატარა კუნძულზე, რომელსაც აგრეთვე ჟან-ჟაკ-რუსოს კუნძული ჰქვია და რომელზედაც ბერგის

ხიდიდამ პატარა, დაკიდული ხის ხიდი არის გაშენებული. მეთვრამეტე საუკუნის უკვდავი მწერალი დამჯდარია, ხელში უჭირავს კალამი და ქაღალდი და თითქო ერთ იმ თავის შესანიშნავ წიგნთაგას სწერსო, რომელთაც ასე წინ წასწიეს ევროპის ჭკუა-გონება. ყენევაშივე მოგზაურებს უჩვენებენ ერთს საუკეთესო სასტუმროსთან (Hôtel de ville) იმ ადგილს, სადაც 1762 წელს, მაშინდელი ყენევის მმართველობის გადაწყვეტილებით, დასწვეს ჟან-ჟაკ-რუსოს საუკეთესო თხზულება „ემილი“, რომელშიაც ის სწერდა, თუ როგორ რყვნის ადამიანის ბუნებას ეხლანდელი ყმაწვილის აღზრდა და როგორი უნდა იყოს ნამდვილი აღზრდა...

ამით ვათავებ მე პარიჟამდი ჩემი ერთი თვალის გადავლებითს მოგზაურობის აწერას და პირ და პირ პარიჟისაკენ მივეშურები.

VII

პ ა რ ი ჟ ი.

პარიჟის პირველ დანახვას, იმის ნიადაგზე პირველი ფეხის დადგმას გამაშტერებელი და ჩამაფიქრებელი ზედმოქმედება აქვს. კაცის გონებაზე. თვალი ხედავს ზღაპრის ქალაქივით თვალ-უწვდენელ ქალაქს, დაუბოლოვებელ, სწორე ქუჩებს, კოშკებივით ამაღლებულ ექვს და შვიდ ეტაჟიან სახლებს და ამ სახლებზე კიდევ უმაღლესს ეკკლესიებს, კოშკებს და ძეგლებს. გული გრძნობს, რომ შენი ფეხი დგას ისეთს ნიადაგზე, რომელზედაც რამდენსამე ასს შთამომავლობას უცხოვრია, უმოქმედნია, რომელზედაც რამდენიმე რევოლიუცია მო-

მხთარა; გრძნობ, რომ ყოველი ნაბიჯი ამ ქალაქის მიწისა საფრანგეთის თავისუფლებისათვის დაღვრილ სისხლით არის მორწყული; გრძნობ, რომ შენ ხარ იმ ნიადაგზე, იმ ქალაქში, რომელიც არის ერთსა და იმავე დროს თავი და გული მთელი საფრანგეთისა, სადაც ცემს მაჯა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა, უნებურათ წარმოგიდგება თვალ წინ პარიჟის წასრული ცხოვრება, იმის ხალხის ბრძოლა, იმის მუშის თავშეწირულება, იმის მოწინავე კაცებისა და მეცნიერების ფავლენა მთელი ქვეყნის გონებით ცხოვრებაზე,—და ყველა ეს აზრი ისეთ ნაირათ გაგიტაცებს, ისეთ ნაირათ შეგიპყრობს, რომ შტერდები და ძარღვების უნებური ცახცახი მოგდის.

მე არ ვიცი, რა ემართებათ და როგორი გრძნობით შედიან მაჰმადის თაყვანის-მცემლები თავის წმინდა ქალაქს. —ქაბაში, მაგრამ მგონია, რომ იმათი გრძნობა ძალიან უნდა გვანდეს ალმოსავლეთიდამ პარიჟში პირველათ შემომავალი კაცის გრძნობასა!

ახირებული აზრი გვაქვს შედგენილი ჩვენ ყველას, ვინც ჩვენებური წიგნებით გამოვზდილვართ, „ეხლანდელ“ პარიჟზე და იმის ცხოვრებაზე. ყოველის მხრით გვესმის მანდ, რომ პარიჟი ისეთი ქალაქიაო, ისეთი გაგიჟებული ცხოვრება არის იქაო, იმდენ ნაირი გასართობი, დროს დასაკარგავი და მიმზიდველი რამე იპოვებაო, რომ არა თუ სწავლა, მოსვენებით ცხოვრება და საზოგადოთ გულ-დამჯდარი შრომა იქ შეუძლებელი საქმეაო.

ეს თავიდამ ბოლომდი შემცთარი და ცრუ აზრია. რასაკვირველია, დროს დასაკარგავი და გასართობი რა-

მე, როგორც საზოგადოთ სხვა ქალაქებში, პარიჟშიაც ბლომათ მოიპოება. მაგრამ ვისაც შრომა უნდა, ვინც სწავლის შესაძენათ მოსულა, ვისაც მოსვენებული ცხოვრება სჭირია, დარწმუნებული იყოს, რომ, თუ საღმე სხვა ალაგას მონახავს ყველა ამას, პარიჟში მომეტებულს თუ არა, ნაკლებათ ვერ ნახავს.

ამ მხრით ერთი გარამოებაა პარიჟში შესანიშნავი: ყველა დროს გასატარებელი ადგილი და სხვა რამე, როგორც, მაგალითათ, თეატრები, ათასნაირი ბალები, საღამოები, კანცერტები და სხვა ამგვარი პარიჟში ისე ძვირად ღირს, რომ თუ კაცს კარგი საშუალება არა აქვს, მათით სიამოვნებას და იმათში გართვას ძალიან იშვიათათ შეიძლებს. წინააღმდეგ ამისა, თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი, ყველა ლექცია, ბიბლიოტეკა, წიგნი, გაზეთი და სხვა გონების შემამუშავებელი და გამსხნელი საშუალება ან სულ მუქთია, და ან ძალიან იაფი, ასე, რომ ძალიან ღარიბ კაცსაც შეუძლიან იმითი სარგებლობა, თუ კი, რასაკვირველია, სურვილი ექნება. ვისაც ცუღლუტობა, დროს დაკარგვა და ფულების ფლანგვა უნდა, იმას ეს ყველგან შეუძლია და პარიჟში კი, მართლა, ყველაზე უკეთესათ და უფრო მალეც.

მე კი ყველაზე უფრო პარიჟში პოლიტიკური ცხოვრება მიმიზიდავს... ჩახედეთ, რა ქვეყნის გაზეთშიაც გნებავთ: რომელი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების აწერას უჭირავს შომეტებული ალაგი? რასაკვირველია, საფრანგეთისას და არა გერმანიისას, რომელიც უკანასკნელი ომის შემდეგ შუდამ ტრაბახობს, რომ ევროპაში პირველი ალაგი მე მიჭირავსო.

ეს გარემოებაც გასაკვირველიც არ არის, თქვენ იცით, რომ ეხლა პარიჟში, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვერსალში, წყდება ისეთი კითხვა, რომელსაც, საფრანგეთის მომავალზე, მის პოლიტიკურ ცხოვრებაზედ დიდი გავლენა ექნება.

საზოგადო ისტორიაში და განსაკუთრებით საფრანგეთის ისტორიაში ერთი ყურადღების ღირსი მოვლენაა შენიშნული: ყოველთვის, რევოლიუციის შემდეგ, როდესაც მოქანცული, დალალული ხალხი რომელსამე ერთ პარტიას მიენდობა და იმას ჩააბარებს თავის ბედის გამგეობას და თავისს ქვეყნის მმართველობას, ეს პარტია, ცოტა ხნის შემდეგ, თითქმის იმნაირათვე იწყებს მოქმედებას, იმნაირათვე ართმევს ხალხს თავისუფლებას, რომლისათვისაც იმან იმდენი სისხლი დალვარა, როგორც წინანდელი, გარდაგდებული მმართებლობა. ერთი სიტყვით, რევოლიუციის შემდეგ, ჯერ-ჯერობით, თითქმის მუდამ რეაქცია, უკან დაბრუნება, ძველი წესების განახლება და ისევ ხალხის შევიწროება იწყება.

რასაკვირველია, ეს კანონი არ არის. იმ დღეს, როდესაც ხალხი თავის ნამდვილ მომხრეებს გაარჩევს პირველთნე და მოღალატე პირებში, იმ დღეს, როდესაც ხალხი, რევოლიუციის მოხთენის შემდეგ, თვითონვე დაესაკუთრება თავის საქმეებს,—იმ დღეს ეს ვითომდა-კანონი მოისპობა და ხალხი იგრძნობს თავის სიხლის ღვრის ნამდვილს სარგებლობას და შედეგს.

მაგრამ ეხლა კი, ჯერ-ჯერობით, ასეა: რევოლიუციის შემდეგ, ხალხის ბედი ისევ ხალხის მტრებს, მხოლოთ თავის პირადვნულ სარგებლობაზე მზრუნველებს უვარდებათ ხელში და იწყება რეაქცია. ასე მოხდა 1793

წლის დიდი რევოლიუციის შემდეგ, ასე მოხდა 1830 წლის (ივლისის) რევოლიუციის შემდეგ, ასე მოხდა 1848 წლის (თებერვლის) რევოლიუციის შემდეგ და ასე ხდება ეხლაც, გერმანიასთან ომის, ნაპოლეონის გადაგდებისა და კომმუნის არეულობის შემდეგ.

ვის ხელშია ეხლა საფრანგეთის ბედი?

იმავე პირების ხელში, რომელთაგან განთავისუფლებას, რომლის გავლენის მოსპობას ასე ცთილობდა საფრანგეთის ხალხი.

რას შვრებიან, როგორ იქცევიან ეს პირები?

ეხლანდელი კონსერვატორული უმეტესობა ვერსალის ნაციონალური კრებისა სწორეთ ისე იქცევა, სწორეთ იმ გზაზე დგას, სწორეთ ისე ავიწროებს ხალხისა თავისუფლებას, როგორც ადრინდელი, გადაგდებული ნაპოლეონის მმართებლობა, ასე, რომ მონარხიული გაზეთები და განსაკუთრებით ბონაპარტიული, ტაშს უკრავს და აღტაცებით შეჰყურებს ყოველ იმის მოქმედებას.

ჯერ ერთობ ბევრი მოინდომეს: ისეთი წესების, ისეთის მეფობის (შამბორის) განახლება, რომელიც წარსულ საუკუნეში, 1789 წლამდი, არსებობდა საფრანგეთში; მერე, რადგანაც რესპუბლიკური პარტიის წყალობით, ეს ვერ მოახერხეს, ისეთი უმნიშვნელო, უნიჭო და პოლიტიკურ საქმეებში უმეცარი კაცი (მაკ-მაჰონი) დასვეს რესპუბლიკის პრეზიდენტათ, რომლის ხელშიაც რაც უნდათ, იმას იზმენ, როგორც უნდათ, ისე იმოქმედებენ და ატრიალებენ საფრანგეთის საქმეებს.

ამაში განზრახვის კვალი ახლავე სჩანს:

თუმცა ამ ორი წლისა და ნახევრის განმავლობაში

საფრანგეთი წყნარათ და მშვიდობიანათ ცხოვრებს, მაგრამ მაინც უმეტესი ნაწილი ამ მშვენიერი ქვეყნისა სამხედრო მდგომარეობაში ჰყავთ და თუ სადმე ფაჩუნი გაიგონეს, ჰყვირიან: არიქა, რევოლიუციაა! და ყველა კანონის მიუხედავათ ატუსაღებენ მოქალაქეებს და სპობენ გაზეთებს.

ეხლა ამზადებენ ისეთ კანონს, რომლის ძალით ქალაქების და სოფლების მერები (გამგეობის უფროსები) ხალხისაგან ამორჩეულნი კი არა, მთავრობისაგან დაყენებულნი უნდა იქნენო.

ამზადებენ ბეჭდვის შემავიწროებელ კანონებს.

უნდათ ერთ ნაწილს ამომრჩევლებს ყოველი მოქალაქის უძვირფასესი უფლება—დეპუტატის ამორჩევის უფლება—წაართვან და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ყოველ მათ მოქმედებაში, ყოველ განკარგულებაში ის განზრახვა სჩანს, რომ მათ ჰსურთ, ხალხს ხელები და ჰირი შეუკრან და სრულ ბატონათ გახდენ.

VIII

წარმოიდგინეთ ანჩხლი დედამთილის პატრონი პატარძალი, რომელიც დროებით მოშორდა იმის განუწყვეტელ თვალ-ყურის დევნას, იმის სისასტიკესა და ბრძანებლობას და წავიდა სადმე სტუმრათ, რომ იქ რამდენიმე დრო მაინც უფრო თავისუფლათ, დამოუკიდებელათ და კვალში ჩაუდგომელათ გაეტარებია. წარმოიდგინეთ ის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც აღიძვრება ამ საცოდავი პატარაძლის გულში, როდესაც ჰხედავს, რომ დედამთილიც უკან გამოსდევნებია და თავის ერთის შე-

ხედვით და ყოფაქცევით აგონებს იმ უსიამოვნებას და სატანჯველს, რომელიც სულს უწუხებდა იმას შინ და რომელსაც გამოექცა.

სწორეთ ამგვარს უსიამოვნო მდგომარეობაშიოვგრძნობ მეც ჩემ თავს.. აქეთ რომ მოვდიოდი, სხვათა შორის, მე ის ნუგეშიც მქონდა, რომ „აჰა, მადლობა ღმერთს, რამდენი თვით მაინც მოვშორდი იმ პირებს, იმ საქმეებს და ინტერესებს, რომენლიც მუდამ გულს მიწყლულებენ, რომელნიც მუდამ ჩემ სიმცირეს და „ჩვენ“ გაჭირვებულ მდგომარეობას მაგონებს მეთქი.“ ვფიქრობდი „იმ უცხო, შშვენიერ ქვეყანაში დროებით მაინც შეეისვენებ და აღარ დავინახავ სხვა და სხვა ისეთს პირებს და მოვლენებს, რომელთაც მომაკვდინებელი ზედმოქმედება აქვთ ჩემზე მეთქი.“

საუბედუროთ ეს ჩემი ნატვრა არ შემისრულდა.

ჩავჯექი თუ არა ფოთს ხომალდში, გვიხედე და ერთი პ.. ი მომადგა, რომელსაც თფილისში ვიცნობდი და აქ სრულიათაც არ მინდოდა გამოვცნაურებულვიყავ. ჩვეულებრივი „გამარჯობა“-„გაგიმარჯოს“ შემდეგ, ის მომიჯდა გვერდით და მკითხა:

— თქვენ საითკენ?

— ვენაში.

— გამოფენაზე?

— გამოფენაზე.

— ძალიან კარგი, მეც იქ მივდივარ. მერე იქიდან აპირებთ სადმე?

— პარიჟში.

— კიდევ უკეთესი: მეც პარიჟში. მაშ ჩვენ თანამოგზაურები ვყოფილვართ. ძალიან კარგად გზაში თანამო-

გზაურის ყოლაო!... დაიწყო და როგორც მოგეხსენებათ ზოგიერთი ლაპარაკის მოყვარული თანამოგზაურის ამბავი, მოჰყვა წილადობილასა და უკანასკნელი ერთი საათი გაუწყვეტლივ იჭიკჭიკა.

— წავხდი კაკალი კაცი, ვიფიქრე ჩემს გულში. თუ ეს კაცი ვერ მოვიშორე თავიდამ, სულ მამიწამლავს მეთქი ჩემი სამზღვარ გარეთის მოგზაურობისა სიამოვნებას.

ამოვიღე პატარა საკიდამ რაღაც წიგნი, რომელიც გზაში საკითხავათ მქონდა წამოღებული, და თან იმას ნელ-ნელა დავუწყე შლა და თან ჩემ მესაუბრეს შევცქეროდი თვალებში იმნაირი შეხედულობით, რომ იმან ბოლოს, როგორც იყო, გაიგო, რომ მე იმის ლაპარაკის არა მესმოდა რა და მსურდა თავიდამ მომეშორებინა. იმ წამსვე ადგა და ვიღაც მეორე ნაცნობს მიუჯდა ტვერდით.

მას აქეთ ოდესამდი, თუმცა ერთ ხომალდზე ვმოგზაურობდით, მაგრამ ორიოდ—სამიოდ „სახაზინო“ სიტყვას თუ ვესროდით ერთმანეთს, მაგალითათ: „როგორ ხართ? ხომალდის რყევამ ხომ არ შეგაწუხათო?“ თორემ სულ ცალ-ცალკე ვიყავით.

ოდესაში, როგორც იყო, დავახწიე იმას თავი: მე გავიპარე ხომალდიდამ ჩუმათ, მარტო დავიჭირე სასტუმროში ნომერი (პირობა მომცა, რომ ოდესაში ერთად დავიჭიროთ ნომერიო და იქიდამაც ერთათ ვიმოგზაუროთო) და იქიდამაც უიმისოთ გამოვსწიე ვენისაკენ და ვენიდამ პარიჟში. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ კაცის ხილვის ბედნიერება მე ისევ თფილისში მეღირსებოდა და არა სამზღვარ გარეთ.

მაგრამ აკი გაუწყრა ღმერთი, და პარიეშიაც არ მომნახა! ერთ საღამოს მე და ერთი ფრანგის სტუდენტი Boulevard de Italiens-ზე დავეხეტებოდით და სხვა და სხვა მაღაზიებში მშვენიერი ხელობის გამოფენილ ნივთებს ვათვალიერებდით. უეცრათ უკანიდამ ნაცნობი ხმა მომესმა:

— Сергѣй Семенычъ! Здравствуйте! это вы?

მივიხედე, ჩემი ნაცნობი პ... ი დგას, გამოჭიმული ევროპიულ ტანისამოსში და დიდის აღტაცებით შემომჰერებია, ჩვენ მხურვალეთ (!)ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, ერთი ნახევარი საათი ვილაპარაკეთ ჩვენს მოგზაურობაზე, მერე ჩავბარეთ ერთმანეთს ჩვენი კარტოჩკები და დავშორდით... ჩემ ბედს დავემორჩილე...

ერთხელ მე და ის ერთს სასტუმროში შევედით სადილის საჭმელათ. თუმცა ძალიან კი არ მინდოდა, რომ ამასთან მევლო, რადგან ამის მოძმეებს აქ, პარიეში და საზოგადოთ სამზღვარს გარეთ სრულებით სხვანიარი სახელი აქვთ დავარდნილი, მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა მეჭამა იმასთან ერთათ სადილი. ეს სასტუმრო ერთი საუკეთესო სასტუმროთაგანია აქ და ამიტომ ჩვენ მაგდენათ მოწიწებით არ გვაქცევდენ ყურადღებას. ეს გარემოება ჩემს პ... ს ძალიან აწუხებდა; არ მოეწონა, რომ მოსამსახურე ბიჭები სხვებზე მომეტებულ ყურადღებას არ აქცევდენ და ისე ემსახურებოდენ, როგორც იმის გვერდით მჯდომარე ვილაც უბრალო ვაჭარს და, ვინც იცის, იქნება, დახლიდარსაც. მაგრამ ხილის მოტანამდი საქმე მშვიდობიანათ მიდიოდა, მხოლოთ ხანდისხან მრისხანეთ გადახედავდა garçon'-ს, თითქოს თვალების ბრიალით უნდოდა შიში და კრძალვა ჩაერგო იმის

გულში. ბოლოს დესერტი მოგვიტაენეს. ის იყო პ.. მა გასწია ხელი მტევნის ასაღებათ, ამდროს მოვარდა მეორე ბიჭი, აგვაცალა ხონჩა და ვიღაცა სხვას მიართვა მეორე სტოლზე. პოლკოვნიკი სრულიათ გაფითრთა; ამისთანა უზრდელობისაგან გაანჩხლებულმა წამოიწია სკამიდან და გაგიჟებით დაიყვირა: garçon, qu'est que tu fais! და ის იყო მივარდნას უპირებდა, ჩავაფრინდი კალთაში და გავაჩერე.

— აბა, მოდი, და მაგათთანა ხალხს კაცურათ მოექეც! სთქვა გულ-ამომჯდარმა პ... მა: ერთი მითხარითო, თქვენი ჭირიმე! ეს სადაური განათლებაა? არაფერი არ მინდა, ნეტავი მაგის თავი ჩვენში მომცა. რათ მინდა სიცოცხლე, ამისთანა საქმე რომ ჩვენში შემახვედროს! ჩავავლებდი ქრჩორში ხელს და—ერთი თუ ორი, ღვთის წყალობა გაქვს, მე მაგას ლაზათიანათ შევზელავდი, ხმასაც ვერ ამოიღებდა. და თუ ბუტბუტს დაიწყებდა, ერთს მანეთს კბილებში ვახლიდი და გაჩუმდებოდა. აქ კი რა უნდა ჰქნა კაცმა! აქ égalité გახლავთ! სადაც ფეხს არ წაჰკრავ, ყველას სახეზე liberté, égalité, fraternité აწერია! აი ეს არის მაგათი თავისუფლება, ერთობა და ძმობა, რომ უფროსების პატივისცემა არ იციან და გაზდილობაც არა აქვთ!

— ეს კიდევ არაფერერი, განაგძნო პ... მა. გუშინ ერთს სერჟანტს ვკითხე: ესა და ეს ქუჩა სად არის მეთქი. იმან გადმოგხედა თავის თვალებით და დამიწყო ახსნა, რომ ჯერ ასე სწორათ უნდა წახვიდეო, მერე მარცხნით მოუხვიე, ოქიდამ მარჯვნივ გაივლი და ის ჰქნეუბეო. როდესაც ამას მიხსნიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, აილო თავის მურიანი ხელები და ითქო იმის სწორრ

ვიყავი, მხარზე დამადო! არაჯ წარმოიდგინეთ, პირდაპირ აიღო, ბატონო, ხელები და ზეთ მხარზე შემაწყო! გაგონილა, თქვენი ჭირიმე!

— კიდევ უკეთესი გითხრათ: იქ, სადაც მუდამ საღილებს ვჭამ, ორი მოსამსახურე ბიჭია; ესენი ჯერ ჩვენ გვემსახურებიან, მერე, ყველა თავ საჭმელს რომ მოგვიტანებენ, ჩვენსავე სტოლზე გაშლიან სუფრას, ამოგვიჯდებიან გვერდით და დაიწყებენ ყადილის მირთმევას! რასაკვირველია, მე იმათ მოსვენებას არ ვაძლევ, მუდამ ვყვირი: garçon! მომიტანე მარილი, ღვინო, და სხვა და სხვა, ყოველ წამ ვაგდებ სტოლიდამ, მაგრამ მომიტანენ თუ არა, რასაც ვთხოულობ, ისევ თავის ალაგზე დაბრუნდებიან, თითქო არაფერ შუაში არ იყვნენ!... მოდი და მოითმინე ამისთანა ცხოვრება! არაჯ, ჩემო ძმაო, მე ამისთანა ცხოვრება არ შემიძლია: მე მალე წავალ აქედამ; მაგრამ დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, თუ ამ ფრანგებს სიკეთე დაეყაროსთ!

მართლაც, რომ ამის შემდგომ პ..ს დიდიხანს არ დაუყვია პარიეში. სამი დღით ლონდონში წავიდა და როცა დაბრუნდა, გამოსათხოვრათ შემოვიდა ჩემთან და უკანასკნელი იმის სიტყვები ის იყო, რომ „გირჩევ, ისევ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში დაბრუნდი, თორემ აქ, დამიჯერე, ეერგს ვერაფერს დაისწავლიო“!

ამნაირათ ამან სამი დღე ვენაში დაჰყო, ერთი კვირა პარიეში, სამი დღეც ლონდონში და ეხლა, შინ რომ დაბრუნდა, ეეჰველია, იტყვის, ევროპა დამივლიაო, საფრანგეთის ხალხი ძალიან დაკემულია, გერმანია ყველაფერში ათასწილათ უფრო დაწინაურებულია საფრანგეთზეო, ინგლისი მდიდარი ქვეყანააო და სხვა და სხვ.

პარიჟელი ქალები.

ღმერთო მომეც ნ. ბარათაშვილის გრძნობა, ვოლტერის სიმახვილე და შოთა რუსთველის ენის სიმსუბუქე! სამუდამოთ ვერ გავბედავ და ერთი საათის ვადით მაინც რომ მომანიჭებდე ამ სამი კაცის სამს თვისებას, სწორეთ დიდ მადლობას შემოვწირავ, უფალო!

არასოდეს არ დამჭივრებია ისე ეს თვისება, როგორც ეხლა, როდესაც პარიჟელ ქალზე უნდა ვილაპარაკო.

გრძნობა, სიმახვილე და სიმსუბუქე — სამივე აუცილებელათ საჭიროა იმისთვის, ვინც პარიჟელ ქალზე იტყვის რასმე, ვინც ამ გრძნობიარე, მახვილ და მსუბუქს ქმნილებას შეეხება.

ეხლა მოისმინეთ „მოთხრობა" ჩემი და თუ არ მოგეწონოსთ, ნუ დამემდურებით.

ერთმა სიფაქიზის მოყვარულმა მეცნიერმა სთქვა, „რამ, რამდენათაც რომელსამე ქვეყანაში უფრო მომეტებული საპონი იხარჯება, იმდენათ ეს ქვეყანა უფრო განათლებული და წარმატებული არისო." მეორე ქალების განთავისუფლების მომხრე მეცნიერმა, ზემოხსენებულის წახედვით, სთქვა: რამდენათაც რომელსამე ქვეყანაში ქალი უფრო თავისუფალია, უფრო დამოუკიდებელია კაცისაგან, იმდენათ ეს ქვეყანა უფრო წარმატებულია და განთელებული არისო.

ჩვენ რომ ამ საზომით მოვინდომოთ ხალხების განათლებისა და წარმატების აწონა, გამოვა, რომ ზოგიერთი ბარბაროსული ქვეყნები, სადაც ქალებისა და კაცების მოვალეობასა და უფლებებს შუა თითქმის არავი-

თარი განსხვავება არ არის, ბევრათ უფრო დაწინაურებულნი ყოფილან, ვიდრემ საფრანგეთი.

ევროპაში არსათ არ ფიქრობენ, არსათ არ წერენ ისეთ ცოტას ესრეთ-წოდებულს ქალების ემანსიპაციაზე, როგორც საფრანგეთში. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში, თითქმის რუსეთშიაც, უფრო მომეტებულს ლაპარაკობენ, უფრო ბევრს სწერენ და მოქმედებენ ამ საგნის თაობაზე, ვიდრე აქ.

ამ ორი წლის წინათ აქ ერთი „საქალებო გაზეთი“ გამოდიოდა, რომელსაც განსაკუთრებული განზრახვა ჰქონდა, რომ საზოგადოებაში გაევრცელებინა და ალეძრა ქალებისათვის სხვა და სხვა უფლების მინიჭების სურვილი. მგონი, ერთ წელიწადს არ უცხოვრია ამ გაზეთს: თანამგრძნობლები ვერ მოიპოვა და მიიცვალა. „ქალების ლიტერატურა“ აქაც მდიდარია, იმათი სასარგებლო წიგნები აქაც იწერება და ითარგმნება; მაგრამ იმ აზრების განცხოველებას, სისრულეში მოყვანას, აქ ჯერ-ჯეროობით თითქმის არავინ არ ფიქრობს. ქალების საზოგადოებები, წრე აქ თითქმის სულ არ არის. ამას წინათ ერთ გაზეთში იყო გამოცხადებული სურვილი, რომ ურიგო არ იქნებაო, მუშა-ქალებმაც ისეთი საზოგადოებები შეადგინონ, როგორც მუშა-კაცებს აქვთო; ეს სურვილი ჯერ-ჯეროობით მხოლოთ სურვილათ დარჩა.

პოლიტიკურ უფლების მინიჭებაზე ხმის ამოღებასაც ვერავინ ვერ ბედავს. საფრანგეთის პარლამენტებში, მგონი, ამ საგანზე არასოდეს არ ყოფილა ლაპარაკი. გუშინ ვერსალის ნაციონალურ კრებაში ხმის უფლებაზე იყო ლაპარაკი და როდესაც ერთმა დეპუტატმა თქვა, რომ „ქნება შემდეგში მარცხენა მხარის დეპუტატებმა

კრებაში წინადადება შეიტანონ, რომ ქალებსაც მიეცესთ კენჭის უფლებაო,“ — შეეელმა პალატამ სიცილ-ხარხარი შექნა. არა თუ უკბილო ბებრებისაგან შემდგარი ეხლანდელი ვერსალის კრება, თვით დაწინაურებული, უკიდურესი რესპუბლიკელები ამნაირი აზრისა არიან ქალებზე „რაპპელმა“ ამასწინათ ლექსით გამოთქვა თავის აზრი ქალებზე, საუბიდურთ, ალარ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ აზრი კი ის იყო, რომ „ბუნებას ქალებისთვის ჩვენი (ეიკაცების) დაბრმავებისა და ალტაცების ნიჭი მიუციაო, მეტი რა უნდათო!.“

ვერც ერთი ქალი ვერ დამართლებს ამ უკანასკნელი სიტყვების სინამდვილეს, ისე როგორც პარიჟელი; და მეორე მხრით, არც ერთ ქალს არა აქვს დედა-მიწაზე იმდენი, მართლა, „კაცების წარმტაცი და დაბრმავებული“ თვისება, როგორც პარიჟელს.

ის არც ამერიკელსავით ჭვიანია, არც იტალიელსავით ან ესპანიელსავით გრძნობით აღელვებული, არც ქართველსავით ლამაზი. ამის ნაცვლათ პარიჟელ ქალს აქვს ისეთი თვისება, რომელიც ყველა სულდგმულის დამამშვენებელია საზოგადოთ და განსაკუთრებით ქალებისა, და რომელიც, როგორც ამბობენ, ქალს დედამიწის მარილათ, უზენაეს და დამაშვენებელ არსებათ ხდის: პარიჟელ ქალს აქვს შნო, ლაზათი, სანდომიანობა, ჩვენში რომ იტყვიან.

ბუნებასა და ისტორიულ ცხოვრებას ის ცოცხალ, მახვილ, გამჭრიახ არსებათ შეუქნია. ღრმა ჭკუის მაგივრათ, იმას აქვს გამჭრიახე, მსწრაფლათ შიმხთომი გონება; ღრმა გრძნობის მაგივრათ — სიყვარულის ალცხოვლე; სიმშვენიერის ნაცვლათ — გრაცია, ლაზათი. პარიჟელი

ქალის ერთი სიმახვილე ინგლისელის ათს ჭვიანურს აზრს მირჩევნია; იმის ერთი წლის სიყვარული გერმანელი ქალის ოცი წლის ღრმა გრძნობასა და არშიყულ ოხვრას სჯობია; იმის გრაციული, ლაზათიანი შიხვრა-მოხრა—ორმოცჯერ უფრო მალე მოიყვანს კაცს აღტაცებაში, ვიდრე ქართველი ქალის მხატვრული სილამაზე. იმის წაბლის-ფერ მხტუნავ თვალებში სიცოცხლეა გამოხატული; იმის მოძრავ პატარა ტუჩებში გამბედავობა, ხანდისხან მომეტებული გამბედავობა და სიმახვილე; მთელი მისი პირის სახე გამომეტყველება არის.

თუმცა ეს ასეა, თუმცა საზოგადო თვისება საფრანგეთის და პარიჟული ქალისა სიმსუბუქეა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აქ სხვა ქვეყნებზე უფრო ნაკლები გამოჩენილი ქალები იყვნენ ან ლიტერატურაში, ან პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან სხვა რომელსამე წრეში. შორს რომ არ წავიდეთ, გაიხსენეთ: მადამ სევინნი, როლანი, სტალი, ჟორჟ-ზანდი და სხვა, თუ ლიტერატურაში და თუ საზოგადო ცხოვრებაში გამოჩენილი ქალები. გაიხსენეთ ჩინებული ტიპი ამ ულის მოყვარული ქალისა—ჟანნა დ' არკი. მოიგონეთ ის უანგარო კეთილშობილური გრძნობითა და სიყვარულით ანთებული ქალები, რომელთაც ასეთი მონაწილეობა მიიღეს უკანასკნელ გერმანიასთან ბრძოლისა და კომმუნის დროს.

დიახ, ამ ერთის შეხედვით მსუბუქ, თავ-ქარიან და მჩალტე ყოფაქცევის პარიჟელ ქალში, როცა გარემოება მოითხოვს, როცა საჭიროა, ოცჯერ უფრო მომეტებული თავგანწირულება, მაღალი გრძნობა, კეთილშობილური განზრახვები და ღრმა სიყვარული იხატება და

ჩნდება, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის ქალში, რომელიც დილიდამ საღამომდინ მუდამ ღრმა გრძნობაზე, სიკვდილამდე სიყვარულზე, ქალის მოვალეობაზე და სხვა და სხვა ამგვარ საგნებზე ლამაზათ ჭიკჭიკობს და გულის გასახეთქავათ ოხრავს.

ეხლახან მიცვალებულ სტატისტიკოსმა კეტლემ შეადგინა ფიზიკური ტიპი „საშუალო კაცისა.“ ამგვარათვე მორალური, ზნეობით ადამიანის ტიპის შედგენა რომ შეიძლებოდეს, მე ვიტყოდი, რომ პარიჟელი ქალი ზნეობითი ტიპია მეთქი, იმ ქალისა, რომელსაც „საშუალო ქალი“ უნდა ეწოდებოდეს, რადგანაც ყველა ქალის ნაკლულევანება და ღირსება ამაშია თითქო მოგროვებული, ის ტიპია იმ განყენებითი წარმოდგინების—ქალისა—, რომელიც ჩვენ მიმზიდველ, მსუბუქ, შნოიან, საყვარელ და ნაზ არსებათ წარმოგვიდგება ხოლმე გონებაში.

ს ა ლ ა ვ ი.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც სამზღვარ გარეთ წაველი. წელიწადზე მეტია, რაც მივატოვე ქართველი ხალხი, ქართველების ქვეყანა, ჩემი „დროება,“ და უკეთესის ხალხებისა და ცხოვრების სანახავათ გავემგზავრე. წელიწადზე მეტია, რაც ყველაფერი, რაც აქ ჩემ გულს პასუხს—ხშირათ „გულ-საკლავ პასუხს“—ეუბნებოდა, მივატოვე და მოვშორდი აქაურობას.

მომეტებული ნაწილი ამ ერთი წლისა ორ ხალხს შუა გავატარე: ფრანგებსა და შვეიცარიელებს შუა.

ორივე უსაყვარლესი და უბედნიერესი ხალხია ამ ჟამათ მთელს ევროპაში ორთავესი ცხოვრება და საზოგადოებრივი განწყობილება სამაგალითოა და თვალის ამხილველია, განსაკუთრებით იმისთანა ქვეყნიდამ მოსული კაცისათვის, როგორც მე.

ყოველი ნაბიჯი საფრანგეთის ნიადაგისა ამ ეთილშობილური ხალხის თავ-განწირულობას, თავისუფლებისადმი სიყვარულს, ნამდვილ კაცობრიულ გრძნობას მიმტკიცებდა; მიჩვენებდა ბუნებისაგან მდიდრათ შემკულ, მაგრამ გარემოებისაგან, დროებით, უბედურ მდგომარეობაში ჩავარდნილს ხალხსა და ქვეყანას. მიჩვენებდა იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ცთილობდეს, რამდენ მსხვერპლსა უნდა სწირავდეს ყოველი კერძო პირი და მთელი ხალხი, თუ კი ჰსურს, რომ უბედურის, საზოგადოების დამამცირებელის მდგომარეობიდამ თავი დაიხსნას და უკეთესს, წარმატების გზას დაადგეს.

საფრანგეთის ხალხი — ცხოველი, მოძრავი, წარმატების მოსურნე და მუდამ კაცობრიობის სიკეთისათვის მებრძოლი ხალხის მაგალითს წარმომიდგენდა.

შვეიცარიის დანახვა მეორე მხრით იყო ჩემთვის თვალის ამხილველი.

ეს პატარა, ალპების მთა-კლდეებზე და ტბებისნაპირებზე მიჭუჭყული ხალხი ევროპის ყველა ხალხზე უფრო თავისუფალია და ამასთანავე ყველაზედაც უფრო მომეტებულის კეთილმდგომარეობით სარგებლობს. ბედნიერი გარემოებას ისეთი დედაშიწის ნაწილი მიუნიჭებია იმისთვის, რომ თავისუფლათ, დაურიდებელათ და უშიშრათ ცხოვრება შეეძლოთ. არც მომეტებული პოლიტიკური ლელვა, არც მთავრობისაგან შევიწროება, არც

ეხლანდელი სოციალური მდგომარეობის მომეტებული უსამართლობა იმას ძალიან არ აწუხებს.

სამშობლოს თავგადადებით სიყვარულმა, თავისუფლებამ და გაუწყვეტელმა, მოუსვენარმა შრომამ—შედარებით ბედნიერი და კეთილი ცხოვრება მიანიჭა იმას....

ღღეს მე ისევ ჩემს ქვეყანაში, ჩემს ხალხში, ჩემს „დროებასთან“ ვბრუნდები.

რა ცვლილებას ან წარმატებას ვხედავ აქ? — არავითარს!

ისევ ის მიძინებული საზოგადო ცხოვრება, ისევ ძველებური წვრილმანი, კერძო სარგებლობისათვის და ინტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლა. ისევ ძველებური უთანხმოება, შფოთი და განხეთქილება თანამოძმეებსა, თანამემამულეებს შუა.

საზოგადო სამშობლოსა და საზოგადო საქმეების ზრუნვის მაგიერ—პიროვნებითი სარგებლობის სამსახური, სიყვარულის მაგიერ -სიძულვილი, შრომის მაგიერ —უზრუნველობა, იმედის მაგიერ—სასოწარკვეთილება!

ეს ჩვეულებრივი სიუხვე საზოგადო ნაკლულევანებისა და სიძუნწე წარმატებაში მე არ მაკვირებს: ერთ წელიწადში, არა თუ ხალხი და საზოგადოება, ვერც კერძო პირი გამოიცვლის იმ ხასიათს, რომელიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში შეუთვისებია. სამწუხარო მხოლოთ ის არის, თუ ამის ლტოლვილებაც არა ჩანს... მაგრამ ამის თქმას ჩვენს ხალხზე არ გავბედავ...

რაც უნდა იყოს, ღღეს მე სიხარულით და სიამოვნებით ვბრუნდები ჩემს სამშობლო ქვეყანაში, და ვიჭერ იმავე ალაგს, რომელიც ერთი წლის წინათ მეჭირა.

უცხო ქვეყნებისა და ხალხების დანახვამ ჩემი ქვე-

ყანა და ხალხი უფრო მომეტებულათ შემაყვარა. იმათ ცხოვრების გაცნობამ საუკეთესო მომავალის იმედი და მომეტებული ენერგია აღძრა ჩემში...

ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღოლი და ენერგია ჩემი საქმის წინ წამწევი...

სალამი მკითხველს!

საზოგადო მიმართულება.

არც შორს-გამჭვრეტი გონება და მაინცა და მაინც არც დამკვირვებელი თვალია საჭირო იმისთვის, რომ კაცმა ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ერთი ახალი და საზოგადო მიმართულება და ლტოლვილება შეამჩნიოს. ეს საზოგადო მიმართულება, ლტოლვილება ორი სიტყვით გამოითქმის: საქმის ძებნა, ანუ კიდევ უკეთა ვსთქვათ, ფულების ძებნა.

სანამ ჩვენში ბატონ-ყმობა არსებობდა, ყველას გლეხებისა, მუქთი შრომისა და უზრუნველათ ცხოვრების იმედი ჰქონდა. მებატონე ამაყათ ამბობდა: — საქმე რათ მინდა, ფული რათ მინდა? — ჩემი გლეხების შრომა ჩემი ფულია!

ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი გარემოება შეიცვალა: უწინდელ მებატონეს წაერთვა მუქთი შრომა და მასთან უზრუნველ შემოსავლისა და უზრუნველათ ცხოვრების სახსარი; განსაკუთრებით წვრილ მებატონეებმა კარგათ იგრძნეს, თავის საკუთარს კანზე, რომ სამუდამოთ წავიდა ის დრო, როდესაც ისინი „საქმეს“ ნადირობასა და წვეულებას ეძახოდენ და „ფულები“ მხო-

ლოთ გარდამეტებული, ფანტაზიური საჭიროების დასაკმაყოფილებელათ ეჭირვებოდათ. ყველამ იგრძნო, რომ, თუ სრულებით არ წასულა — მიდის ის დროა, როდესაც უდარდელათ, უსაქმოთ სხვის იმედით შეიძლებოდა ცხოვრება.

უწინდელი მებატონე ეხლა აღარ ეუბნება თავის თავს: — ფული რათ მინდა, საქმე რათ მინდაო? უწინდელი გლეხების შრომის მოიმედე მამა აღარ ეუბნება თავის შვილს: — სწავლა რათ გინდა, შრომა რათ გინდაო?

დროება გამოიცვალა.

ყველამ ფულის ძებნას, საქმის ძებნას მიჰყო ხელი. შეიქნა ფაცა-ფუცი, მოძრაობა. ყველა პროექტებზე ლაპარაკობდა, ყველას ისეთი განზრახვა და პლანი ჰქონდა, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში ნიჩბებით მოელოდა-ოს-ას მანეთიან ქალალდებისა და ოქროსების მობოვვას.

ერთმა ღვინის სარდაფები გაბსნა ქალაქში, — მეორემ ფურის ძუძუებიდამ მოინდომა ოქროების გამოდენა, — მესამემ კაკლის კუნძს მიმართა, — მეოთხემ დედა-მიწაში ჩახედა და მადნებისაგან განიზრახა თავის-თავის გამდიდრება, — და ყველამ ბანკისკენ მიაქცია შემბრალებელი თვალი.

ერთი სიტყვით, შეიქნა საზოგადო ძებნა საქმისა და ფულებისა, და რადგან უსწავლელი და შრომას შეუჩვეველი თავადიზნაურობა ასე მალე სწორ გზასა და გულმოდგინე შრომას ვერ-ადაადგა, ამის გამო, გასაკვირველი არ ეჩვენა, თუ ის იხშირათ მრუდე გზებისაკენ უხვევს და ისეთს საქმეს უფრო დაეწაფა, რომელიც შრომას კოტეს თხოულობს და შემოსავლის ფულებისა-თვის ოდესმე ოცნებათ, ოცნებად-ოცნებად-ოს აძლევს.

ეს გაცხარებული ფაცა-ფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულების მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა; ეხლაც არიან ისეთნი ფირნი, რომელსაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვა და სხვა უსახელო კამპანიებს ადგენენ და სხვ. და ჩვენ სრულიათაც ვერა გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. ჩვენი აზრით, ამგვარ ფაცა-ფუცს, ამნაირ უსწორ-მასწორო და ბნელ გზაზე ხეტიალს იმ კეთილი ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავადგებით; ბევრი ზარემოება გამოგვაფხიზლებს და გვიჩვენებს, რომ შეუსრულებელი პროექტების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უეცრად, მანქანების ძალით გამდიდრების მაგიერ, ჩვენ ბეჯით სწავლას, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქმეებს უნდა შეუდგეთ.

სიარულის შოსწავლე ყმაწვილი, სანამ სწორ და მარჯვე სიარულს დაისწავლიდეს, რამდენჯერმე ქვაზე წაიმტვრევს ფეხსა. ეს ფეხის წამტვრევა, თუ არ მოუხთებია, არ ავნებს. პირველათვე სწორათ არავის არ გაუვლია.

ჩვენი ბანკების დანიშნულება.

არც ერთ საგანზე არ ყოფილა ჩვენში იმდენი ლაპარაკი, როგორც თფილისის და ქუთაისის გუბერნიების

ბანკებს თაობაზე. კაცი ვერ ჩამოთვლის – რამდენი ერთმანეთის მზგავსი და მოწინააღმდეგე აზრი გამოითქვა თუ ამ ბანკების დაარსებაზე და თუ იმათ დანიშნულებაზე. ზოგიერთები იქამდინ მივიდენ, რომ ბრძნულათ და თითქოს მეცნიერულის საბუთებით ამტკიცებდენ, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურობას ბანკი და კრედიტი არ გამოადგებაო, რადგან ეკონომიურათ ცხოვრება, მამულის მართვა, ერთი სიტყვით, ფულების მოხმარება არ იცისო და სხვ. და სხვ.

ადრე ჩვენ მუდამ სხვისი იმედი გვქონდა, თითქო ზეციდამ მოველოდით გაკეთებას. ეს პირველი მაგალითია, რომ ჩვენი საზოგადოება თავის საზოგადო საქმეზე თვითონვე სჯის, თვითონვე შრომობს, თვითონვე აპირობს ამ საქმის გაკეთებას; სხვას აღარ შესჩერებია.

თუმცა, როგორც ზევით ვთქვით, ამ საგანზე ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ეს ისეთი საგანია, რომელზედაც კიდევ ბევრი ითქმის. სხვა და სხვა გარემოებისაგან ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ ჩავადნილი, რომ ჩვენს ახლო მომავალში ამ ბანკების გამართვას უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება.

რა დანიშნულება აქვს ჩვენ ბანკებს? რას უნდა მოველოდეთ ბანკებისაგან?

ერთი საზოგადო ნაკლულევანება გვაქს:

ხშირათ რომელსამე ახალს, სასარგებლო საქმეს გამოვიწყებთ ხოლმე,—და მთელი ქვეყანა იმას მივაწყდებით, ყველას იმისი იმედი გვაქს, გვეჩვენება, რომ მივაგენით იმ ჯადოს, რომელმაც ჩვენი ცხოვრება სრულებით და ეთიანათ უნდა გადააბრუნოს, რომელმაც უნდა აგვაშენოს, უნდა დაგვაშვენოს, ორიოდე შკოლა გავ-

მართეთ, ორიოდე სასოფლო ბანკი გაგვინჩდა, მეყველეების საზოგადოებას მივაგენით,— და აი რიგ-რიგათ შევქენით ყვირილი და ყველასი დარწმუნება, პირველათ, რომ მხოლოთ შკოლაა ჩვენი დამხსნელი, მერე—ამნაირადვე სასოფლო ბანკებზე გარდავედით და შემდეგ ყველაფერზე!

იცით, რა მოსდევს ამნაირათ წინათ—შედგენილ ცრუ აზრსა და იმედს? ის, რომ, როცა ხალხი ხედავს, რომ შკოლამ, ყველმა, სასოფლო ბანკმა, ან სხვა ამისთანა საქმემ ვერ გააკეთა, ვერ გადააბრუნა ერთიანათ იმის ცხოვრება,—თითქო რწმუნდება, რომ ეს მაშ გამოსადეგი არ ყოფილაო, აუვარდება გული, არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს და ამნაირათ ბევრში სასარგებლო და ხშირათ გამოსადეგი საქმე ერთი - ორი წლის შემდეგ სრულიათ ილუპება, დავიწყებას მიეცემა.

უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაგვიგია, რომ ხალხის ცხოვრება ერთობ რთულია, რომ ასე მალე გადაბრუნება იმისა, რაც საუკუნოების განმავლობაში შემდგარა, ისე ადვილი არ არის, რომ შკოლა, სასოფლო ბანკი, მეყველეების საზოგადოება და სხვა ყველა ამგვარი საშუალებაა, სახსარია და არა მიზანი, და რომ მხოლოთ ერთს ამგვარს, თუმცა ბევრის მხრით ძლიერ სასარგებლო საქმეს ხალხის ცხოვრების გადაბრუნება არ შეუძლია.

სწორეთ ასე მოგვდის ჩვენ დღეს იმ საზოგადო ბანკებზედაც, რომელთ გახსნას ჩვენ დღეს-ხვალ მოველით.

ჩემზე ადრე უთქვამთ, რომ „ფულს წამწყმედელიც არის კაცისთვის და მაცხონებელიცაო.“ ვინც გონივრულათ მოხმარება იცის, იმას აცხონებს, ვინც არა—წაწყმენდს.

სრული იმედი რომ არ გვქონოდა, რომ ბანკის ფულები გამოადგებოდა ჩვენს საზოგადოებას, დარწმუნებული იყავით, ასე გულმოდგინეთ არ დავიქერდით იმის მხარეს, ამდენს არ ვილაპარაკებდით იმის სასარგებლოთ.

მაგრამ, მეორეს მხრით, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბანკი და ფულები მხოლოთ საშუალებაა, რომ— ბანკს გავმართავთო და გულ-ხელი დავიკრიფოთ, გავკეთ-დებითო—ამნაირი აზრი არ გამოგვადგება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ისტორიულათ მიწის მომუშავე, მეურნეობის მიმდევარი ხალხი ვართ, და ბანკი და იმის ფულები უმთავრესათ ამისთვის, ჩვენი მიწის შემუშავებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

რაც უნდათ სთქვან იმათ, ვინც, თითქო სხვა-და-სხვა პირადი სარგებლობით, განზე უყურებენ ჩვენი ბანკების დაარსებას! როგორც უნდათ, მოიქცენ ისინი, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ბანკის გამართვა მათ ლუკმას გამოაცლის პირიდან!

ის საზოგადო მიმართულება, რომელიც ერთ წინანდელ „დროების“ ნომერში შევნიშნეთ და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი საზოგადოება ხელების ნძრევას და გამოფხიზლებას იწყებს, ეს მიმართულება, ვამბობთ, გვარწმუნებს, რომ პრიკაზისა და ბანკის ფულების მოხმარებას შუა დიდი განსხვავება იქნება, რომ საზოგადოება მოახერხებს რიგიანათ ისარგებლოს იმ საშუალებით, რომელსაც ბანკი მისცემს.

ამის მეტი ჩვენც არა გვსურს რა.

იმერეთის ბანკზედ.

რვა წელიწადი, რაც იმერეთის თავად-აზნაურობამ პირველად ბანკის დაარსება განიზრახა და ამისთვის განსაკუთრებული კომისია დანიშნა. ამ ხნის განმავლობაში იმერეთის ბანკმა და იმის პროექტმა ბევრი რამ გამოსცადა: ხან ვის მიანდვეს ეს საქმე და ხან ვის; ზოგმა პეტერბურღში გადატანა მოუნდომა, ზოგი თვითბანკის დაარსებასაც ეწინააღმდეგებოდა და ფულების უკანვე წაღებას ქადაგობდა; ბარე ორჯერ საბანკო ფულებს გვერდით ჩაუქროლეს და რამდენიმე ათი ათასი მანეთი წააგლიჯეს.

საზოგადოება თითქმის დარწმუნდა „ჰგავს ჩვენ უხეიროები ვყოფილვართ! ეტყობა, იმერეთი ბანკს ისე ვერ ნახავს, როგორც საკუთარ ყურებსაო!“

მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, საზოგადოებამ ბ-ნ ბესარიონ ღოლობერიძისაგან შედგენილი პროექტი მიიღო. არ შევალთ იმის განხილვაში — კარგია ეს პროექტი, თუ ცუდი; თავის ნებით, საქმის ნადვილი განსჯით და ცოდნით, თუ მოტყუებით დათანხდა იმერეთი ამ პროექტის მიღებაზე; ამგვარათ დადგენილი ბანკი იმდენ სარგებლობას მოუტანს იმერეთის საზოგადოებას, რამდენსაც მოელის, თუ არა? ერთი სიტყვით, როგორც ჩვენმა მახვილმა თანამშრომელმა აკაკიმ სთქვა: კარგათ ფამოცხობილი, თუ ცოტათი უმი პური მიართვეს საზოგადოებას? ყველაზემაზე ლაპარაკი ეხლა უდროოა.

მიღებული პროექტი კავკასიის მთავარ-სამმართველოში გამოიგზავნა. აქედან, როგორც ისმის, განუხილვე-

ლათ გაიგზავნა პეტერბურგს და იქ ჩვეულებრივის წესით წავა.

იმერეთის ბანკის პროექტის ხელმძღვანელნი ძალიან სცდებიან, თუ ჰფიქრობენ, რომ მათი მოვალეობა გათავდა, რომ იმათ ეხლა გულ-ხელ დაკრეფილი უნდა უცადონ, სანამ ეს პროექტი დამზადებული და დამტკიცებული არ დაუბრუნდებათ უკან.

ჩვენში ასე მარტივათ არასოდეს არ მიდის საქმე: ყველაფერს უკან დევნა უნდა. კაცი დამჩქარებელი, ყურის-მგდებელი სჭირია, და თუ ამისთანა ყურის-მგდებელი არ გაადევნა იმერეთმა თავის ბანკის პროექტს უკან, ვინ იცის, იქნება ორ-სამ წელიწადს კიდევ დასჭირდეს მოთმინების გამოცდა.

ეხლა ხომ გზა გაკვალულია: ყველას გვახსოვს, როგორ დამტკიცდა თფილისის საზოგადო ბანკი იმერეთსაც იმ გზაზე სვლა მართებს ..

ამას გარდა, ვთქვათ, როგორც იქნა პროექტი დამტკიცდა იმერეთში ეხლა, ჩვენის აზრით, ერთი კაცი არ მოიპოება ისეთი, რომელმაც ბანკის საქმეების რიგიანათ წაყვანა და მართვა იცოდეს და შეიძლოს ბანკის კარგათ წასაყვანათ ხომ აუცილებელათ საჭიროა, რომ იმის საქმეებს ჩვენებურივე კაცები, ჩვენი წყობილებისა და ცხოვრების მცოდნე კაცები განაგებდენ? სადა გვყავს ეხლა იმერეთში ამისთანა კაცები?

ამ საგანზედაც რომ ეხლავ მოიფიქრებდეს ჩვენი იმერეთის თავად-აზნაურობა, ურიგო არ იქნება. თუ იმერეთს სურს, რომ იმის ბანკის პროექტი მალე დამტკიცდეს და შემდეგ კარგათ წაიყვანოს საქმეებიც ისე უნდა მო-

იქცეს, როგორც თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მოიქცა.

ორი საიმედო კაცი გაგზავნოს პეტერბურგს. ესენი ერთის მხრით თვითონ ბანკის პროექტის მალე დამტკიცებასაც ადევნებენ თვალ-ყურს და მეორეს მხრით იქ ამგვარი ბანკების ოპერაციებსაც შეისწავლიან. ამ კაცებზე დახარჯული ფული, ნუ გეშინიათ, დაკარგული ფული არ იქნება. შემდეგაც გამოდგებიან...

ამ აზრებს იმერეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ვუძღვნით.

ჩვენებური ვაჭრები და ვაჭრობა.

ამ კვირის ორშაბათს თფილისის ოლქის სასამართლოში ერთი ძლიერ საინტერესო და საზოგადო ყურადღების ღირსი საქმე დაიწყო. ჩვენ ვამბობთ იმ საქმეზე, რომელიც თამამშოვის ქარვასლისა და თეატრის დაწვას შეეხება. წინასწარმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ხსენებულს ქარვასლაში ცეცხლი შემთხვევით და გაუფრთხილებლობით არ გაჩენილა, განზრახვით წაუკიდეს მას ცეცხლი.

გამოძიებამ დამნაშავეც აღმოაჩინა: ვაჭარი ლაზარევი, რომლის დუქანშიაც პირველათ გაჩენილა ცეცხლი.

ამ საქმის თაობაზე სამოც-და-თორმეტი მოწმეა გამოწვეული. ორშაბათს, პროცესის დაწყებაზე, ოლქის სასამართლოს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ სხდომის გახსნამდი ერთის საათის წინათ სივიწროვისაგან კაცს სული ეხდებოდა.

ვერძოთ აღებული ეს ფაქტი მაგდენათ ყურადღების ღირსი არ არის. ვსთქვათ, წინასწარი გამოძიებისა და ბრალმდებელი აქტის აზრი გამართლდა; ვსთქვათ, დარწმუნდენ რომ ბ-ნმა ლაზარევმა, თხუთმეტი ათასი მანეთის ასაღებათ, ოთხი ათასი მანეთის საქონელს ცეცხლი წაუკიდა. ვიმეორებთ, ამ ფაქტს თუ განკერძოებულათ ავიღებთ მაგდენი მნიშვნელობა არ ექნება.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს შემთხვევა კარგათ გვიჩვენებს იმ საზოგადო მდგომარეობას და ვაჭრობის მიმართულებას, რომელიც ამ ჟამათ ჩვენში ჰყვავის.

არსათ არ მიდის ვაჭრობის საქმე ისე უნორმალოთ, ისე უწესოთ, როგორც ჩვენში. არავინ არ ვაჭრობს და აღებ-მიცემობს იმნაირის უზნეოდ და ცუდის საშუალებით, როგორც ჩვენებური ვაჭარი.

მეცნიერები ამბობენ, რომ ვაჭრობას ყველგან ერთი და იგივე ხასიათი აქვსო; რომ ვაჭრობა თითქმის ყველგან და მუდამ მომეტებულ ნაწილათ მოტყუება არისო. „რაც შეგიძლია იაფათ შოვნე და რაც შეგიძლია ძვირათ გაასაღე“,—ეს არის ვაჭრების სწავლა ტეშმარიტებარ.

ევროპიელ, განათლებულ ქვეყნების ვაჭრებზე ამის თქმა ისე თამამათ არ შეიძლება, როგორც ჩვენებურებზე.

განათლებული ქვეყნების ვაჭარი თავის იდეაში არ მიმართავს ისეთს საშუალებას, როგორსაც მუდამ დღე ვხედავთ ხოლმე ჩვენში. იმას უფრო სწავლისა, მეცნიერებისა, ჭკუისა და მოხერხების შემწეობით მიჰყავს თავისი ვაჭრული საქმე და ანგარიში. რასაკვირველია, იმის მეზანიც გამდიდრებაა, მაგრამ ამისათვის ყველა სახსარი გამოსადეგათ და სუფთათ არ მიაჩნია. წვრილმანი, საძა-

ბელი მოტყუილება ხამი მუშტრისა და გაბრიყვება იმას ჩვეულებათ არა აქვს.

ეს არ ითქმის საზოგადოთ ჩვენებურ ვაჭრებზე.

თავის გამდიდრებისათვის ჩვენებური ვაჭარი არაფერს არ დაზოგავს, ყველა სახსარი კარგია; ყველა გამოსადეგათ მიაჩნია. ნათესავის, ტოლ-ამხანაგის, ნაცნობისა და უცნობის მოტყუება — ყველა გამოდგება. მაგარი მაუდის მაგივრათ — დამპალის შეტყუილება, კარგი ფქვილის მაგივრათ — გაფუჭებულის გასაღება, მანეთში მანეთის სარგებლის აღება, — ყველა ვაჭრობათ კარგ, მოხერხებულ ვაჭრობათ მიაჩნია!

რამდენი მაგალითია ჩვენში, რომ რომელსამე ვაჭარს სადმე მიყრუებულს სოფელში გაჭირვებული გლეხი ჩაეგდოს ხელში, თუმანი ესესხებინოს და მეორე წელს ორი და სამი თუმნის რამე წაერთმიოს და გაეყიდოს? რამდენი მაგალითია იმის მზგავსი, რომელიც ამ სამოოთხი წლის წინათ მოხდა ქალაქში, როდესაც ერთ ვიღაცა მოხერხებულ კაცს მოერესათვის ათას რვაასი მეცადა სამ წელიწადში ეს ფულები ისე გაიზარდა, რომ 17,000 მანეთამდი შეიქნა. ამბობენ ამ ორ წელიწადში, ეს მესამე თუ მეოთხე მაგალითია, რომ ვაჭრებს თავიანთი მაღაზიებისა და სახლების ცეცხლის წაკიდებას აბრალებენ!

ძალიანი კარგათ ვიცი, რომ „მგლის თავზე ასახარებას ვკითხულობ“: ვიცი, რომ ჩემი სიტყვა უდაბნოში მღაღადებელის სიტყვაა. მაგრამ ერთს ვიწინასწარმეტყველებ:

ამისთანა ვაჭრობას მეტი საფუძველი პრა აქვს ვინც პირველი გამოჩნდება ახლანდელ ჩვენს ვაჭრებზე

უფრო გონიერი, მოხერხებული და ცოტათი მაინც უპატიოსნესი — ჩვენი წარმოება და ვაჭრობაც, უეჭველია, იმის ხელში ჩავარდება.

„მოტყუებით სოფელი არავის მოუჭამია“.

ქალაქის ახალი გამგეობა.

რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს (თუ კი სადმე მოიპოვება ამ ჟამათ ჩვენში „ნამდვილი ქართველი!“), — რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი — თფილისი — დღეს სომხების საკუთრებათ შექნილა. ახლანდელის თფილისის ნახევარ მცხოვრებლებს სომხები შეადგენენ; ვაჭრობა, აღება-მიცემა მათ ხელშია; ქალაქის მიწა იმათია; ამ მიწაზე აგებული შენობებიც თითქმის სულ სომხებისაა.

თითო-ოროლა იმერელს, ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წვრილ ვაჭართა და მეპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა-დიდება ჩვენი ქალაქისა სულ სომხების ხელშია.

ერთი სიტყვით, სომხები კარგა მაგარი ბრჭყალებით ჩაჰფრენიან ქალაქსა, და ჯერ-ჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეს ..

თუ ამ გარემოებას მიიღებთ მხედველობაში, მაშინ, ქვემო-მოყვანილი სიის წაუკითხავათაც, კარგათ მიხვდებით — თუ ვინ უნდა ამოერჩია ქალაქს თავის საქმეების წარმომადგენელათ და განსაგებათ.

სამოც-დათორმეტ ქალაქის დეპუტატში მხოლოთ სამი თუ ოთხი ქართველია, მგონი, ერთი თუ ორი რუსი და ერთიც გერმანელი. დანარჩენი სულ სომხები არიან! ეს გარემოება ძალიან ადვილათ გასაგებია: წვრილი და დიდი ვაჭრები, ცოტა და ბევრი ხარჯის გადამხდელნი სულ სომხები არიან, და იმათაც თავის ნაცნობი ძმაკაცები, თავის რჯულისა და ხელობის კაცები ამოირჩიეს ქალაქის გამგეობაში თავიანთი ინტერესების დასაცველათ...

ამაში გასაკვირველი არა არის რა. მაგრამ ამ ამორჩევების შედეგი, მგონი, იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი, ცოტას მაინც არის, დაფიქრდეს...

ჩვენ არა გვაქს ცნობა ახლათ არჩეული პირებისა...

არ ვიცით ახალი გამგეობა როგორ იმოქმედებს შემდეგში, ვის ინტერესს და როგორ დაიცავს. მაგრამ ეხლანდელ გამგეობას, სხვა მოვალეობათა შორის, ერთი მოვალეობა აქვს, რომელსაც, რაც უნდა ჰსურდეს, თავიდამ ვერ აიცილებს; ეს მოვალეობა ის არის, რომ ქალაქი რიგიანათ გაანათოს და მცხოვრებლებს წყალი აღირსოს.

გუშინდელი თამამშევის ქარვასლის დაწვა, ყოველდღიური ცარცვა და ავაზაკობა ქალალაქში კარგათ გვარწმუნებს, რომ ეს ორი საგანი: წყალი და სინათლე მთელი ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

---

*) საქალაქო თვითმმართველობა შემოიღეს ტფილისში 1874 წელს. გამ.



1875 წ.

ებრაელების შესახებ

ერთს რუსულ გაზეთში ამას წინათ გამოცხადებული იყო, რომ ჩვენს მმართველობას განზრახვა აქვს, ისეთი ახალი კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც ებრაელებს რუსეთის ყველა გუბერნიაში დასახლებისა და ცხოვრების უფლება მიეცემათო.

ყველა, ვინც ახლანდელ ებრაელების მდგომარეობა იცის, ვისაც ესმის—თუ რა ცუდი შედეგები და ზემოქმედება აქვს თვით ქრისტიანებისთვისაც იმ შევიწროებასა და დევნას, რომელსაც ურიები ითმენენ, ვინც ხედავს, რა მოსდევს ჩვენგან ურიების თითქმის კაცად ჩაუთვლელობას, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამგვარი კანონი კეთილ ნაყოფს მოიტანს.

ეს ხომ ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო რომელიმე კაცი შევიწროებულია, რაც უფრო მოკლებულია ყველგვარ კანონიერ უფლებას, ისე უფრო ურიგოთ და საზოგადოების მავნებელად არის იმის ცხოვრება და მოქმედება წამართული.

თუ ურიას ყველა მოქალაქის უფლება ექნება მინიჭებული, თუ კანონი და ხალხი ისე შეხედავს, როგორც ადამიანს, დარწმუნებული იყავით, რომ დროს განმავ-

ლობით, ისიც კანონიერს და კაცურს გზაზე დაადგება. დაანებებს თავს იმ საძაგელ გზებსა, იმ იდუმალთ ქრისტიანების მოტყუებასა და დაჩაგვრის სურვილს, რომელიც ახლა მიყენებული შევიწროების შურის საძიებლათ გადაქცევია.

საფრანგეთი კარგს მაგალითს წარმოგვიდგენს ამის დასამტკიცებლათ:

იქაურ ურიებს თითქმის ყველა ის პოლიტიკური, სოციალური და სხვა უფლება აქვსთ კანონით მინიჭებული, რაც ნამდვილ ფრანგებსა, და ამის გამო იქაური ურიები ნამდვილ ფრანგებისაგან არც ხასიათით, არც პატიოსნებით და თითქმის არც გარეგანი შეხედულობით არ განირჩევიან. ფრანგის ურიას სრულებით არ მოუვა თავში სურვილი, თუ როდესმე შემთხვევა აქვს, შეავიწროვოს, დაჩაგროს ან გაიძვერულათ მოატყუოს რომელიმე ფრანგი, მხოლოთ იმისთვის, რომ ის ფრანგია და ეს ებრაელი. არ მოუვა თავში იმიტომ, რომ თვითონ ის არ არის ფრანგების სახელმწიფოსაგან შევიწროებული და დაჩაგრული.

ჩვენშიაც ასე მოხდება.

ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილის-შვილები მაინც მოესწრებინ იმ დროს, როდესაც ურიები ისეთივე თანა-მოქალაქენი და თანა-მოძმენი შეიქნებიან ქრისტიანებისა, როგორც ჩვენ ერთმანეთში ვართ. და ეს მოხდება, უეჭველია, მხოლოთ მაშინ, როცა კანონი და ხალხი ნამდვილ ადამიანათ იცნობს ებრაელს, როცა არავინ მოსთხოვს, რომ მაინცა და მაინც თავისი ხალხოსნობა და სარწმუნოება დაავდოს და სხვა რომელიმე მიიღოს,

ერთი სიტყვით, როცა ებრაელებსაც ყველა ის უფლება მიენიჭებათ, რაც სხვა მოქალაქეებს აქვსთ.

მაშინ „ურია“ საგინებელ სიტყვათ აღარ იქნება.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება.

საზოგადოება, რომლის სახელი ზევით არის მოხსენებული, დაუარსებიათ 1850 წელს და ამ მოკლე ხანში ოცდახუთი წლის იუბილეის იდღესასწაულებს. მიზანი საზოგადოებისა, როგორც წესდებაში არის: დაეხმაროს ადგილობრივ კავკასიის მეურნეობის წარმატებას, მემამულეებს, დაეხმაროს როგორც ფულითა აგრეთვე მაგალითით, ისეთი სამეურნეო წარმატებაში, რომელიც ქვეყანას რაიმე სარგებლობას მოუტანს.

ამ მიზნის მისაღწევნელათ, იმავე წესდებულების ძალით, საზოგადოებისთვის ყოველ წლობით დანიშნულია ოცდახუთმეტი ათასი მანეთი.

ამნაირათ საზოგადოებას რომ ყოველ წელიწადს ესარგებლა მთავრობისაგან იმისთვის დანიშნულის ფულებითა და ეს 35,000 მანეთი აელო ხაზინიდამ, იმას კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის 875,000 მანეთის დახარჯვა შეეძლო.

ნამდვილი ციფრი საზოგადოებისაგან მიღებულის ფულისა ჩვენ არ ვიცით; ვერ ვიტყვით, რამდენს იღებდა ყოველ წელიწადს საზოგადოება თავის მიზნის აღსასრულებლათ, მაგრამ სულ ცოტა რომ ვსთქვათ და წელიწადში, 35,000 მანეთის მაგივრათ, მხოლოთ ათი ათასი მანეთი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ საზოგადოებას, ორას

ორმოცდათი ათასი მანეთი მაინც უნდა დაუხარჯა კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის!

ახლა ვიკითხოთ: მოუტანია საზოგადოებამ ამ ფულის შესაფერი სარგებლობა? ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩვენ მამა-პაპურ მეურნეობის რამე წარმატება დაეტყო? რომელი ახალი სამეურნეო წარმოება შემოვიდა საზოგადოების შემწეობით ჩვენს კავკასიაში? ერთი სიტყვით, მოუტანა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მხარეს სახელმწიფო ფულებითა და თავის მოქმედებით ის სარგებლობა, რომელიც მოეთხოვება, თუ არა?

სამწუხაროთ, უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოებას სანახევროთაც არ გაუმართლებია ის იმედი, რომელიც ყოველ კაცს შეეძლო ჰქონოდა ყველაზე უფრო მომეტებულ ფულს საზოგადოება იმ კერძო პირების შესაწევნელათ ხარჯავდა, რომელთაც ცოტაოდნათ რიგიანი ოჯახობა ჰქონდათ გამართული, ანუ რომელნიც რომლისამე ახალი და ქვეყნის სასარგებლო წარმოების დაწყებას ჰპირდებოდენ. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ბ-ნ კუჩენბახს თავის ყველის ქარხნისთვის საზოგადოების ფულებიდან 50,000 მანეთამდი აქვს მიღებული. რა სარგებლობა მოუტანა მხარეს ამ კერძო პირების შეწევნამ? ვისთვის არის სასარგებლო ის „წერილები", რომელსაც საზოგადოების სეკრეტარი, ბ-ნი სიტრავსკი, სცემს და რომლისთვისაც წელიწადში 1,600 მანეთს იღებს? კუჩენბახისთვის მიცემული 50,000 მანეთი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წარმატებას გამოადგა?

ერთათ-ერთი საქმე გამოუწყია საზოგადოებას, რომელიც მართლა და ნამდვილ სარგებლობის მოტანას გვიქადის; ეს არის ლოჯინის სამეურნეო შკოლა. მაგრამ,

ჯერ-ჯეროობით, საუბედუროთ, ეს შკოლაც ისე უხეიროთ, ოფიციალურის, კანცელარიული წესით მიდის, როგორც ყველა საქმე ზემოხსენებული საზოგადოებისა.

თვით მთავრობა მიხვთა, რომ ამგვარათ საქმეების წაყვანას, ამგვარს კერძო პირების შემწეობას ქვეყნისათვის თითქმის არავითარი შემწეობა და წარმატება არ მოაქვს და ამიტომ უკანასკნელ დროს ისე უხვათ აღარ აძლევს ფულს, როგორც ადრე აძლევდა.

ჩვენ რომ გვკითხოს კაცმა: რის გაკეთება შეუძლია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასაო? როგორ მოახერხებს ჩვენებური მეურნეობის წარმატებასაო?—აი, რას ვეტყოდით:

უნდა დაანებოს თავი კერძო პირების შეწევნას.

რაც შეიძლება მომეტებული სამეურნეო შკოლები უნდა გამართოს ჩვენში.

რაც შეიძლება მომეტებული სამეურნეო პრაქტიკული ბაღები (ფერმები) უნდა დაარსდეს, თუ მოხერხდება, ყოველს მაზრაში.

ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის გასაგონს ენაზე ხეირიანი გაზეთები (და არა ისეთი, როგორც „გუთნის დედა") უნდა გამოდიოდეს.

„წერილების" გამოცემა მხოლოთ საზოგადოებისთვის უნდა იყოს სასიამოვნო; ჩვენს მეურნეობას, ჩვენს მეოჯახეებს იმისაგან არავითარი სარგებლობა არ უნახავს (ეს თვით საზოგადოების უკანასკნელს 15 იანვრის სხდომაზედაც დაამტკიცეს).

რაც შეიძლება ნაკლები ოფიციალური, განცელარიული ხასიათი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას.

თუ ამ გაკვრით აღნიშნულ პირობებს შეასრულე-

ბენ, დარწმუნებული იყავით, რომ ეს საზოგადოება, რომელიც ეხლა ამდენს ფულს ასე უნაყოფოთ ხარჯავს, ქვეყანას სარგებლობას მოუტანს და ნამდვილათ შეასრულებს იმ მიზანს, რომლისთვისაც მზრუნველ მმართებლობას დაუწესებია...

ჩვენი ნაბატონრები და გლეხები.

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმ კორესპონდენციაზე, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერშია დაბეჭდილი. კორესპონდენტი ისეთს სურათს გვიხატავს ზოგიერთი ქართველი ნაბატონრებისა და იმათ ნაყმევების ახლანდელს დამოკიდებულებისას, და საზოგადოთ ისეთს საგანს შეეხება, რომელიც მართლა ღირსია ჯეროვანი ყურადღებისა, და არა მარტო საზოგადოების მხრით...

თუმცა კორესპონდენტი მარტო ქართლზე ლაპარაკობს, მაგრამ ყოველივე ეს შეიძლება იმერეთზე, კახეთზე და საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ნაწილზედაც ითქვას.

იმგვარი ნაბატონარი, რომელზედაც კორესპონდენტი ლაპარაკობს, არსათ არ იჩენს გულ-ჩჩვილობას; თუ კი მოახერხა, თავის ნაყმევს არასოდეს არ ზოგავს, იმიტომ-ცა ყოველგან ისეთივე საძაგელი დამოკიდებულებაა, როგორც ჩვენი ქართველი კორესპონდენტი ქართლის შესახებ აგვიწერს.

ერთი სიტყვით, ახლანდელი ჩვენებური გლეხის უმეცრებას, სილარიბესა და დაცემას, სხვათა შორის, ორი

ეკონომიური ძალა უწყობს ხელს: სოფლის ვაჭრები, ანუ უკეთ ვთქვათ, ფულის გამსესხებელნი და ნაბატონარები.

ძალიან კარგათ ვიცით, რომ მარტო ჩვენი სიტყვითა და რჩევით არც ის ჩვენებური ნაბატონარი, რომელზედაც ვამბობთ, შეიქნება თავის მოძმის შემბრალებელი და არც ვაჭარი—გულ-ლმობიერი. ბევრიც რომ ვიყვიროთ, თუ იმ ნაბატონარმა თავის მიწაზე ნახევარი შემოსავლის გამოართმევა მოუხერხა გლეხს, გამოართმევს; რამდენიც, გინდა, ურჩიოთ ფულის გამსესხებელს, თუ კი შეიძლო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ერთს თუმანში სარგებლათ ორ, სამ, ოთხ თუმანს ან ამის ღირებულ ნამუშავარს გადაახთევინებს წლის დამლევს გაჭირვებულ გლეხს.

სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი, დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქნება, მანამ ნაბატონარებსა და იმის ნაყმევებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა.

სანამ ჩვენებური გლეხის მდგომარეობა ცოტათი მაინც არ გაუმჯობესდება ეკონომიურათ, სანამ სწავლის ლამპარი მჭრალ სხივს, მაინც არის, არ მოჰფენს იმის უმეცრებასა ბნელ ცხოვრებას, ერთი სიტყვით, სანამ თავს საცხოვრებელათ და ყოველგვარი ხარჯის გადასახდელათ იმას ფულის მოპოების შეძლება არ ექნება, მანამ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გლეხი ვაჭრებისა და ფულების გამსესხებელის კლანჭებიდან ვერ განთავისუფლდება.

ამ უნორმალო, შეუსაბამო დამოკიდებულებას გლეხსა და ბატონს შუა, ანუ გლეხსა და ვაჭარს შუა, რასაკვირველია, ყოველგვარი შკოლები, პურის მაღაზიები, გამსეხებელ-შემნახველი სოფლის ბანკები და სხვა ამის-

თანები, ძალიან დაეხმარება; მაგრამ ჭირიანთ ვერ მოსპობს...

გლეხების ცუდი მდგომარეობიდან გამოხსნაში ყველაზე მომეტებული გავლენა და ძალა, უეჭველია, მთავრობასა აქვს, მაგრამ თვით საზოგადოებას, განსაკუთრებით იმის დაწინაურებულ და განათლებულ წევრთაც დიდი შემწეობისა და დახმარების მოტანა შეუძლიათ, თუ კი ის ჭეშმარიტება, რომ გლეხების, მუშა ხალხის მდგომარეობაზე მთელი ხალხის კეთილდღეობაა დამოკიდებული, ცოტა ოდნათ მაინც არის, ესმისთ.

რისთვის გვიწყრებიან?

ჭორი მთიდგან დაგორებულს თოვლის გუნდსა ჰგავს: ჯერ ეს გუნდი მუშტის ოდენაა; მაგრამ რაც ქვევით მოდის, თანდათან თოვლი გარს ეკვრება, იზრდება და მთის ძირში ზვინის ოდენა ხთება, ასე რომ აქ თქვენგან მთის წვერზე დაგორებულს გუნდს ველარ ცნობილობთ.

ჭორის ბედიც აგრეთია: ერთი პირისაგან გაძრსული პატარა რამ ამბავი თანდათან იზრდება, მატულობს, ყველა თითო რამ მოგონებულს მხარეს უმატებს და ბოლოს ისეთნაირად გაზვიადდება, რომ პირველი მოამბე თავის ნათქვამ ამბავს ვეღარ ცნობილობს.

ესე მოუვიდა „დროებასაც“.

მეშვიდე ნომერში დაბეჭდილი იყო სტატია, რომელშიაც ქალაქის გამგეობას და მანეთიანი გადასახადის მეიჯარადრეს ვკიცხავდით. თუმცა ყველასთვის ცხადი იყო (განსაკუთრებით მეცხრე №-ის სტატიის შემდეგ),

რომ ჩვენ მთელ სომხის ხალხს არ კეხებოდით, რადგან ქალაქის სომხები, გამგეობა და ვილაც მეიჯარადრე, უეჭველია, ნაციას ვერ შეადგენენ; მაგრამ, როგორც ჭორს შეჰფერის, ამ სტატიების აზრი გაზარდეს, გადაასხვაფერეს და ქალაქში გავარდა ხმა, რომ „დროება“ მთელს სომხობას ლანძღავსო, უკმაყოფილება უნდა ჩამოაგდოს ჩვენს შორისო და სხვა ამგვარები და ამაზე უარესებიც.

ეს გარემოება გვაიძულებს, უფრო კატეგორიულათ გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ საგანზე.

ყველასთვის, ვისაც ყურთა-სმენა აქვს გასაგონებლათ და ტვინი გასაგებათ, ვაცხადებთ:

ჩვენ არც ერთი ხალხის მტერი არა ვართ და მით უმეტეს სომხებისა, რადგან კარგათ გვესმის, რომ ხალხი ყოველთვის უბრალოა იმ, ხშირათ საძაგელ, საქმეში, რომელსაც ზოგიერთი იმის წარმომადგენელნი ჩადიან;

კარგათ ვიცით, რომ ჩვენ, კავკასიაში, ყველას საზოგადო სასიხარულო ან სადარდებელი ბედი გვაქვს;

გვესმის, რომ ჩვენ, ერთათ მცხოვრებთა, ერთი ჭაპანი უნდა ვწიოთ.

მაგრამ ჩვენ ვართ მტერი ყველასი:

ვინც თავის კუჭის გაძღომისა და ჯიბის გასქელებისათვის არაფერს არ ზოგავს;

ვინც შემთხვევას დაეძებს, რომ გაჭირვების დროს ღარიბ-ღატაკს წელიწადში თუმანზე თუმანი სარგებელი გადაახთევინოს ან ამაზე მომეტებულიც;

ვინც უკანასკნელ მიწა-წყალს, საქონელს, ოჯახის ავეჯეულობას უყიდის ვალში გლეხსა;

ვინც კერძო, პიროვნული სარგებლობისათვის ხალხს ავიწროებს,—

ერთი სიტყვით—ვართ მტერი ყველასი, ვინც ხალხს სჩაგრავს, ვინც ადამიანის კაცურ ღირსებას ამცირებს.

ჩვენ გვეგონა და გვგონია, კიდეცა, რომ ყველა ამაში სომხური გაზეთები და ყველა ნამდვილი სომხები თანაგვიგრძნობენ, რომ იმათაც ის სძულთ, რაც ჩვენ გვძულს და ის უყვართ, რაც ჩვენ გვიყვარს.

მაშასადამე სომხური გაზეთები რათ გვებაასებიან? რათ შემოგვწყრენ სომხები?

სომხური გაზეთებისა და ნამდვილი სომხებისაგან დახმარებას და თანაგრძნობას მოველით, როდესაც ჩვენ ხალხის დამჩაგვრელებს ვკიცხავთ.

ეს სადაური ტაქტიკაა, რომ ისინი ამისთანა დროს ჩვენ გვეწინააღმდეგებიან? იმათი ამგვარი გამოსარჩლება ხომ ხალხის მყვლეფელების გამოსარჩლებასა ჰგავს?!

თფილისის საზოგადოება ურთი-ერთის ნდობისა.

თფილისში ყველამ იცის, რომ ამ ურთი-ერთის ნდობის საზოგადოებასა და კომმერციულ ბანკს კასტური ხასიათი აქვთ, რომ, თუ ვაჭარი სომეხი არ არის, ამ ბანკებიდამ სარგებლობას მაგრე ადვილათ არ უნდა მოელოდეს.

ამისთვის ამ ორი ბანკის გამგებელნი მაგდენათ გასაკიცხავნიც არ არიან: სჩანს, თავისთვის გაუმართავთ ბანკები და უფლება აქვთ მხოლოთ თვითონ ისარგებლონ ..

დამტკიცებული წესდებულების § 4 მუხლის ძა-

ლით, უმცირესი კრედიტი ზემოხსენებული საზოგადოებისა არის 300 მანეთისა ე. ი. თუ 30 მანეთი არ შეიტანე თავიდამვე და ამნაირათ 300 მანეთის კრედიტი ვერ გაიკეთე, ისე წევრათ არ მიგიღებენ. ცხადია, რომ ამ მუხლით საზოგადოების დამაარსებლებს მხოლოთ ის სურდათ, რომ წვრილმანი ხალხი, რომელთაც, ვსთქვათ ხუთი მანეთის ან თუმნის, ორი თუმნის მეტის შეტანა არ შეუძლიანთ, თავის წევრებათ არ მიეღოთ. უდიდესი კრედიტის მიცემა კი არ არის განსაზღვრული, ეს საზოგადოების რჩევაზეა დამოკიდებული,—ეს კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ბანკი მხოლოთ მდიდარ-შეძლებულისთვის არის გამართული და არა ღარიბების ხელის მოსამართავათ.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, დამტკიცებულ წესდებულებაზე ლაპარაკით ახლა არა გამოვა რა. უფრო დაახლოვებითი მოვალეობა ამ საქმეში იმ საზოგადოკრების საქმეა, რომელიც, როგორც ისმის, ამ თებერვალში იქნება.

მაგრამ ჩვენ ყურამდი მოაწია ერთმა ამბავმა, რომელიც ღირსია, აღნიშვნისა, რომელიც ამ ურთიერთ ნდობის საზოგადოების წესდებულებას პირ-და-პირ ეწინააღმდეგება:

ერთ წევრს თავის სპეკუბარი სახლი წარუდგენია საზოგადოებაში გირაოთ და ფულები უთხოვნია. რამდენიმე თვის წვალებისა და თრევის შემდეგ, საზოგადოების დამფასებლებს, როგორც იყო, დაუფასებიათ ეს სახლი, მაგრამ ურთიერთ ნდობის საზოგადოების რჩევას უთქვამს ამ კაცისათვის, რომ რადგან თქვენი სახლი ხუთასს თუმანზე ნაკლებათ დავაფასეთ, აშის გამო საზოგა-

დოებიდამ თქვენ კრედიტი ვერ გექნებათ, ამ სახლის გირაოთ ფულს ვერ მოგცემთო...

რა კანონის, რომელი წესდებულების ძალით მოქცეულან ამგვარათ — ეგბა, ამის კითხვას ბანკის პატრონებს ვინ გაუბედავდა: ფულის აღების მსურველი დალონებული, კუდ-ამოძუებული დაბრუნებულა შინისაკენ...

ბევრი ამგვარი შემთხვევა გაგვიგია; ბევრისთვის არ მიუციათ კრედიტი, ზოგი სულაც არ მიუღია საზოგადოებაში მხოლოთ იმისთვის, რომ ქართველები არიანო...

ურთიერთ ნდობის საზოგადოების წესდებულებაში (მუხლის 12) პირ-და-პირ ასე სწერია:

„თფილისში და თფილისის გუბერნიაში მყოფი უძრავი ქონები მიიღება გირაოთ და მიეცემა საზოგადოებიდამ დაფასებულის ჯამის ნახევარი.“

ამავე მუხლის შენიშვნაში მოხსენებულია:

„პატარა ჯამის ვექსილებს დიდი ჯამის ვექსილებზე უპირატესობა აქვს და მოკლე ვადიანს დიდს ვადიანზე.“

მაშ რისთვის არ მიეცა კრედიტი ამ სახლის პატრონს, რომლის დანაშაული მხოლოთ ის არის, რომ მეზ. რიმანოვის სახლისთანა სახლი არა აქვს? რისთვის არ მოუმართა ხელი საზოგადოებამ ამ წვრილ მემამულეს, თუ კი მართალია, რომ პატარა ჯამის ვექსილებს დიდ ჯამის ვექსილებზე უპირატესობა აქვთ? იქნება იმიტომ, რომ ეს კაცი ქართველი იყო?

ათასი ამგვარი მაგალითების შემდეგ სომხური გაზეთები კიდევ ჩვენ გვესაყვედურებიან, რომ ჩვენსა და თქვენს შუა უკმაყოფილებას სთესავთო, ჩვენთან კავშირი და ერთობა არ გინდათო!..

ქართულს წარმოდგენაზე

მადლობა ღმერთს! დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იყო, წელს ერთი ქართული წარმოდგენა გვეღირსა. ქართული სცენის მოყვარენი ერთს თვეზე მეტი ემზადებოდენ „გაყრის“ წარმოდგენას და ბოლოს, წასულ ორშაბათს, 3 თებერვალს, კიდეც წარმოადგინეს თფილისის საზაფხულო თეატრში.

საზოგადოება ბლომათ იყო, ბილეთი, როგორც ისმის, თითქმის ყველა გაყიდულა, ქველი საქმისთვის განზრახვამ მუქთათ არ ჩაუარა მოყვარეთა: თელავის წმ. ნინოს სასწავლებლისათვის ფულს აიღებდენ და თამაშობისთვის თითო ოროლა და ზოგს მეტი ტაშიც ერგო.

მაშ ეხლა თავისუფლათ შეგვიძლია ამ წარმოდგენაზე ლაპარაკი და იმედი გვაქვს, რომ ეს რამდენიმე სიტყვა ზნეობით და მატერიალურათ არაფერს და არავის ავნებს.

რამდენჯერმე გვინახავს სცენაზე „გაყრის“ წარმოდგენა, მაგრამ (სცენის მოყვარეებთან ნურას უკაცრავათ) და უნდა გავტყდეთ, რომ ამისთანა უფერულათ, ამისთანა ულაზათოთ და მოწყენილათ ეს პიესა სცენაზე არასოდეს არ გვინახავს.

ვერ ვიტყვით, რომ ყველა მოთამაშეს მაინცა და მაინც სუსტათ აესრულებინოს როლები.

მაგრამ ამ წარმოდგენით ცხადათ დამტკიცდა, რომ თუ მართლა ნამდვილი ნიჭიერი აქტიორები და აქტრისები არ თამაშობენ ამგვარი კომედიების როლებს და თვითონვე არ ამშვენიერებენ, ისე იმათ ერთი-უმთავრესი თვისება სასცენოთ დანიშნულის დრამატიული თხზულე-

ბისა—სცენური ღირსება—აკლიათ. აუცილებლათ ან მანჭია იმერელი უნდა იყოს და ან სამასხაროთ აღებული სომეხი, თორემ ისე ვერ ხერხდება რიგიანი წარმოდგენა ამგვარი თხზულებებისა.

თუმცა, როგორც ზევით ვსთქვით, საზოგადოებას მოთამაშეებისათვის ტაში არ დაუკლია, მაგრამ ეს არც იმათ როლების კარგათ შესრულებას უნდა მიეწეროს და არც თხზულების ღირსებას: ტაშს უკრავდენ მხოლოთ იმიტომ, რომ ქართული წარმოდგენა იყო, თორემ ყოველი მოქმედება ისე უკუდოთ, ისე უხეიროთ, ისე უეფექტოთ თავდებოდა, რომ, მართალი უნდა ვსთქვათ, ტაშის ღირსი სრულებით არ იყო.

ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ ცხადათ დაგვანახა ჩვენი რეპერტუარის სიღარიბე; დაგვანახა, რომ ძველი პიესები ახლანდელი ქართველი საზოგადოების მოთხოვნილებასა და გემოს ვეღარ აკმაყოფილებენ; რომ უფრო ახალი, უფრო თანამედროული ცხოვრების გამოხატვას ეძებს მაყურებელი სცენაზე.

თუ სცენის მოყვარეთ ეს გარემოება არ მიიღეს მხედველობაში მთელი საზოგადოებასაც ისე მოსწყინდება, ისე მოაბეზრებს თავს ეს ძველი კომედიები, როგორც იმ განცალკევებულ პირებს, რომელთაც უანგარიშოთ ერთგვარმა შთაბეჭდილებამ, ერთმა და იმავე პიესებმა ნერვები დაუბლაგვეს და რომელთაზედაც სცენას არავითარი გავლენა აღარა აქვს.

შთაბეჭდილება.

ოც-და-რვა იანვრიდან ვიდრე თებერვლის სამამდი ქართლ-კახეთის ორასიოდე თავადი და აზნაური მუდამ დღე იკრიბებოდა ქალაქში ბანკის ზოგიერთს კითხვებზე მოსალაპარაკებლათ.

ყოველ დღე ვხედავდით ჩვენ ამ თავად-აზნაურობას ისეთ საქმეში, რომელშიაც, ცოტაც არის, მაინც გამოიხატებოდა იმათი გულითადი აზრი, ხასიათი და საზოგადოთ გარეგანი შეხედულება (ფიზიონომია).

დიდის სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ საზოგადო შეხედულობა, ფიზიონომია სხდომებისა ბევრათ უფრო ცოცხალი, ბევრათ უფრო სანუგეშო იყო, ვიდრე ჩვენ მოველოდით ქართ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან.

ისეთს გაცხარებულ ბაასს, ერთმანეთზე გადამტერებულს პარტიებს და ქვეშ-ქვეშობას, როგორიც იმერეთის კრებებს სჩვევია, აქ ვერ ნახავდით. მოლაპარაკენი დინჯნი და ზრდილობიანი, მიხვრა-მოხვრა დარბაისლური, წყნარი, შეუშფოთებული მოლაპარაკება, მოძმის აზრის შეწყნარება,—აი ღირსებანი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა, რომელთაც მოკლებულია იმერეთის თავად-აზნაურობა.

ყვირილი, ორატორებს შუა გადაკვრ-გადმოკვრით ბაასი და ხანდისხან კარგი, ლაზათიანი მკვახე სიტყვა აქაც იყო და—მართალი უნდა ვსთქვათ, უფრო ხშირათ ეს აცხოველებდა კრებებს; მაგრამ იმერეთის კრებებთან რომ შევადაროთ, ყველა ეს არაფრათ არ გამოჩნდება.

ზოგიერთებმა ნამდვილი ორატორული ხელოვნების ცოდნა გამოიჩინეს: დროზე სიჩუმე, დროზე ლაპარაკი, დროზე გაცხარება, დროზე დალაგებით ლაპარაკი; დროზე ადამიანის გრძნობაზე და კეთილშობილურს მხარეზე ზედმოქმედება და დროზე თავმოყვარეობაზე.

ამ სხდომებმა ცხადათ დაგვარწმუნა, რომ პარლამენტალურის წესით საქმეების გადაწვეტა ქართველებისათვის სწორეთ ზედ-გამოჭრილი საქმე ყოფილა: არც ერთი უწესოება, არავითარი უკმაყოფილება წევრებს შუა, დალაგებით მოლაპარაკება ყველა იმ საგანზე, რომლებზედაც სჯა იყო, ერთმანეთის აზრის ყურადღებით მოსმენა,— და ერთი სიტყვით, ყველა ის თვისება, რომელნიც პარლამენტალური წესით საქმის წაყვანის დროს ასე აუცილებელათ საჭირონი არიან.

ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი სხდომების ამგვარის წყობილებისა და თადარიგიანობისა, თვით კრების ხასიათისა და თავსმჯდომარის კეთილ გონიერების გარდა, ჩვენის აზრით ის გარემოებაც იყო, რომ კრებაზე, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ბაასი და მოლაპარაკება სულ ქართულ ენაზე იყო. ყველას ესმოდა, რასაც ამბობდენ, ახსნა და გარკვევა თითქმის არავის ეჭირვებოდა, უცხო ენაზე ცუდათ აზრის გამოთქმას არავის არ აძალებდენ, ერთმანეთის გაუგებლობა არ ყოფილა.

უკანასკნელი სიტყვა ქართ-კახეთის თავად-აზნაურობის გაცნობამ და იმათის კრებაზე დასწრებამ დაგვარწმუნა, რომ ეს თავად-აზნაურობა იმედ-დაკარგული, ყველა საზოგადო საქმეზე ხელ-აღებული არ არის; დაგვარწმუნა, რომ თუ ამათ გზის მაჩვენებელნი, საქმის ამხსნელნი და მოწინავენი ამოუჩნდენ, ძველ ქართველებს

განთქმულ სახელსა და საქებ ხასიათებს ხელახლავ მალე და ადვილათ დაიმსახურებენ...

ქართული რეპერტუარი.

ოც-და-ათ წელიწადზე მეტია, რაც პირველათ ითამაშეს თფილისში ქართული კომედია. რაც მის შემდეგ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ქართულს დრამმატიულ ლიტერატურას შეეძინა, იმდენი დანარჩენს 25 წელს არ შესძენია.

გ. ერისთვის დროს თამაშობდენ: „გაყრას," „მზის დაბნელებას," „ტივით მოგზაურობას," „ძალათ ექიმს" და იქნება ორ-სამს სხვას.

ოც და-ათმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, მაგრამ ახლაც მუდამ ისევ ამ „გაყრას," „მზის დაბნელებასა," „ძალათ ექიმს" და სხვებს ვთამაშობთ! ერთს წერტილზე დადგა ქართული რეპერტუარი და ფეხს აღარ იცვლის, წინ ნაბიჯის წადგმას თითქო აღარა ჰფიქრობს.

მართალია, ამ ხნის განმავლობაში ლიტერატურას რამდენიმე ახალი დრამატიული თხზულება შეეძინა, მაგრამ ამათ რეპერტუარში ჩარიცხვა არ ეღირსათ: სცენაზე ათში ერთხელ თ. რაფიელ ერისთვის რომელიმე ვოდევილი თუ წარმოუდგენიათ, სხვა არა. სცენის მოყვარენი, განსაკუთრებით თფილისში ტრადიციის ძალით ვერ მოშორებიან თ. გ. ერითვისა და ანტონოვის კომედიებს, თითქო ამათი თხზულებანი მართლა მოლიერის და შექსპირის თხზულებებსავით კლასიკურნი იყვნენ.

თუ ჩვენი რეპერტუარის ამგვარმა მდგომარეობამ

კიდევ რამდენსაც ერთ წელიწადს გასძლო, თუ ეს მოუშორებელი „გაყრა,“ „მზის დაბნელება“ და სხვა არ შევასვენეთ ცოტა ხანს და მათ ნაცვლათ სხვა უფრო ახალი, უფრო ცხოველი კომედიები არ ვითამაშეთ ქართულს სცენაზე, დარწმუნებული იყავით, მოთამაშეებს მოჰბეზრდებათ ეს ქართული სცენა მით უმეტეს მაყურებელ საზოგადოებასა.

ეს გარემოება კარგათ იგრძნო პატარა წრემ, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინათ შეიკრიბა ერთს სახლში. კარგათ გვახსოვს, რომ იმ წრემ მაშინ კამისია ამოირჩია ოთხი თუ ხუთი კაცისაგან, რომელსაც ქართული წარმოდგენების გამართვის გარდა, სხვათა შორის, იმაზედაც უნდა ეზრუნა, რომ ჩვენი ღარიბი რეპერტუარისთვის რამე შეემატნა.

მაგრამ, როგორც ხშირათ სჩვევია ხოლმე ამგვარ კამისიებს, ერთხელ რაჯელ შეკრებილან, ულაპარაკნიათ, უბაასნიათ და...

საქმე ამით გაუთავებიათ. მას შემდეგ ამ კამისიის არსებობა არავის გაუგონია, და ჩვენ დავრჩით ისევ ჩვენის „გაყრით“, ჩვენის „მზის დაბნელებით“ და სხვ; და წარმოდგენებს ჰმართავს ყველა, ვისაც ჰსურს, ვინც კაი ფეხზე ადგება... მოთავენი აფიშებზე დიდის ასოებით აცხადებენ: წარმოდგენა ამა და ამ შკოლის, პირის ანუ საგნის სასარგებლოთ იქნებაო, მაგრამ საზოგადოება კი ვერას ტყობილობს: შემოვიდა რამე თუ არა, თუ შემოვიდა, რამდენი, ვისთვის და რაზე დაიხარჯა?

ამ უხეირო მდგომარეობაში ჩვენს სცენას მხოლოთ ერთი რამ უშველის: თფილისში საკუთარი თეატრი. ერთი ან რამდენიმე ისეთი მოთავე კაცი რომ გა-

მოჩნდებოდეს, რომელნიც იკისრებდენ ქართულ-სომხური თეატრის გამართვას, მაშინ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ლარიბი რეპერტუარის გამდიდრება, ახალი დრამები და კომედიებიც გამოჩნდება, მოთამაშენიც იქნებიან და მაყურებელნიცა. და ქართულ-სომხური თეატრის გამართვა თფილისში რომ ყოველის მხრით—სხვათაშორის, ვაჭრულის მხრითაც—სასარგებლო იქნება, აშას დამტკიცება არ სჭირიან.

მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ სად არის ჩვენში ამისთანა კაცი, რომელმაც ეს საქმე იკისროს! დიდის ხნით შენიშნული ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ ამგვარი საქმის შესრულებას ნატრულობს ის, ვისაც არ შეუძლია და ვისაც შეუძლია, ის კი არ კისრულობს...

რა მოსპობს ქურდობას?

გახშირებული ქურდობა ჩვეეში ყოველთვის ზამთარში იწყება, შობა-ახალი წლის დღესასწაულებიდგან, და დიდმარხვის შემდეგ, თითქმის გაზაფხულზე თავდება.

გადახედეთ ამხნის განმავლობაში გამოსულს გაზეთის კორესპონდენციებს და ამ სიტყვის სიმართლეში დარწმუნდებით. იმერეთიდამ, სამეგრელოდამ, ქართლიდამ და კახეთიდამ ერთნაირათ იწერებიან, რომ ამა და ამ მოსახლეს, ამა და ამ სოფელს ავაზაკები დაეცენ, გაცარცვეს და გაქურდესო; იქ ცხენი მოიპარეს, აქ ცხვრებიო; ამას ყელი გამოსჭრეს, იმასაც, რაც სახლში ავეჯოულობა ჰქონდა, წაართვესო და სხვ. და სხვ.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამგვარი ქურდობა და ავაზაკობა უფრო ხშირათ ზამთარში ხდება ხოლმე, ეს. ისეთს დროს, როდესაც ღარიბი ხალხი ყველაზე უფრო გრძნობს შიმშილს, სიცივეს და საზოგადოთ ყველაფერს, რაც ადამიანის სიცხოვრებელათ აუცილებელათ საჭიროა.

და არა თუ მარტო ჩვენში, ეს საზოგადოთ ყოველგან და ყოველთვის ასეა: ღარიბი, უსახლ-კარო, ულუკმა-პურო ხალხი, რომელსაც ძალზოგადოება საზრდოსა და თავსშესაფარებელს არ აძლევს, ქურდობას, ავაზაკობას და ცუდს საქმეს იწყებს.

არსად არ არის ისე იშვიათი ქურდობა და ცუდ-კაცობა, როგოც შვეიცარიაში, ბელგიაში და ამერიკაში; მაგრამ ამასთანავე არსად არ არის ხალხი ისეთი შეძლებული და კმაყოფილი, როგორც ამ ქვეყნებში.

გაუჩინეთ ხალხს საქმე; თავის ოფლით ნაშოვნ ლუკმას ნუ წაართმევთ, გაანათლეთ, და თუ ამ ხალხში ქურდები და ავაზაკები გამრავლდენ, მაშინ შეგიძლიათ სთქვათ, ადამიანი ბუნებით ბოროტი ქმნილება ყოფილა, რომ განათლებასა და კარგს ეკონომიურ მდგომარეობას არავითარი გავლენა არ ჰქონია ხალხის ზნეობაზე და კეთილ-მდგომარეობაზედა-თქო.

ზოგიერთები ჩვენში ამ უკანასკნელ წელიწადებში ქურდებისა და ავაზაკების გახშირებას იმ კანონის მუხლს აბრალებენ, რომლის ძალითაც მსაჯული ვალდებულია, ჯერ ცხადათ დაამტკიცოს, რომ ბრალდებულმა ნამდვილათ მოახთინა ესა და ეს ცუდ-კაცობაო და მერე სასჯელი გადუწყვიტოს.

ჩვენში ამბობენ: როგორ შეიძლება, ბატონო, ცხა-

დათ დამტკიცება! ავაზაკი ხომ მოწმეებს არ წამოიყვანს-თან, რომ მოდი, ცარცვა-ქურდობაზე დამესწარიო?

ეს აზრი უსაფუძვლოა, იმიტომ, რომ მოწმეებს გარ-და, მსაჯულს და გამომძიებელს ათასი ისეთი გარემოე-ბის მონახვა შეუძლიან, რომლითაც მართლა და ცხადათ შეუძლიან, ქურდობა და ავაზაკობა დაამტკიცოს; კიდევ ამიტომ არის, რომ კანონს მარტო ეჰვის აღებით არავის დასჯა არ შეუძლია.

ამას გარდა, ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თვით ლიკურგის კანონები რომ გამოსცეს რომე-ლიმე მთავრობამ ქურდობის მოსასპობლათ, ეს კა-ნონები იმის მეათედი სარგებლობასაც ვერ მოიტანს ამ საქმეში, რამდენსაც ერთი სოფლის შკოლა და ხალხის განთავისუფლება იმ შემავიწროებელი მიზეზებისაგან, რომელნიც იმას დღეს ლატაკათ და საზოგადოების ზომ-დურავათ ხდიან.

ჯერ ეს მოსპეთ, განათავისუფლეთ ხალხი ყოველ-გვარ დამჩაგრავი ძალისაგან, ეცადეთ, რომ იმას შრომით ლუკმა-პურის პოვნა შეეძლოს, რომ იმის ნაღვაწს სხვე-ბი არ ართმევდენ, და დამერწმუნეთ, რომ ქურდობა, ავაზაკობა და ყოველგვარი ცუდ-საქმობა მაშინ ჩვენში ერთი-ათათ შემცირდება...

ისტორიული მასალები.

რა ხალხსაც თავის წარსულს, ისტორიულ ცხოვრე-ბასთან, ესე იგი იმასთან, რაც რომ ლირს-შესანიშნავია

ამ ცხოვრებაში, კავშირი გაუწყვეტია, იმ ხალხი მომავალში წარმატებას არ უნდა მოელოდეს.

ყოველი ხალხის აწმყო და მომავალი ცხოვრება იმის წარსულს, ისტორიულს ცხოვრებაზე უნდა იყოს დამყარებული.

აი, აზრი, რომელიც საუკეთესო ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა სწავლით ჩვენს დროში ჭეშმარიტებათ შექნილა.

რაღა ბქმა უნდა, რომ ეს აზრი დაფუძნებულია იმ დაკვირვებასა და გამოკვლევაზე, რომელიც სხვა და სხვა ხალხების ცხოვრებაზე მოუხთენიათ.

არა ერთხელ შეუნიშნავთ, რომ მხოლოთ იმ ხალხის ცხოვრება მიდის ნორმალურს, რიგიან გზაზედ, რომელსაც თავისი წარსული ცხოვრების უკეთეს თვისებებთან ყოველი კავშირი არ მოუსპია. მეორეს მხრით, შენიშვულია, რომ ხალხი, რომელსაც სრულებით ახალს გზაზე დადგომა განუზრახავს, რომელსაც თითქო მოუნდომებია თავის წარსულის ცხოვრებასთან ყოველი დამოკიდებულობის მოსპობა,—ეს ხალხი ზნეობით და მატერიალურათ დავარდნილა და შემდეგ საუკუნოთ მიძინებულა.

ერთს გასაშტერებელ მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც ჩვენი თვალის წინ მოხდა:

ერთს დროს დიდებული და სწავლულებით და ძალადაგებლებით განთქმული ბოჰემია, სხვა და სხვა ისტორიული შემთხვევების წყალობით, მეთექვსმეტე საუკუნეში დაეცა.

1526 წლიდამ ის ავსტრიამ დაიმორჩილა. მას აქეთ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდი ბოჰემია თან და თან ეცე-

მოდა: დაცემულმა ხალხმა თითქო დაივიწყა თავის ბრწყინვალე წარსული; ზნეობით დაეცა, ძველი ენერგია, ძველი მოღვაწეობა, საზოგადო სამშობლოს სამსახურისათვის ალარ სჩანდა

მაგრამ ამ საუკუნიდამ დიწყებული თითქო სრულებით შეიცვალა ეს ხალხი; ბოჰემიაში სწავლულებიცა და მეცნიერნიც გამოჩნდნენ, ხალხმა თვალები გამოაჭყიტა, შეიქნა მოძრაობა და მეცადინეობა საზოგადო სამშობლოს სიკეთისათვის; ერთის სიტყვით ეხლა ყველა ისეთს ნიშნებს ჰპოულობდა ბოჰემიაში (ჩეხებში), რომელნიც ხალხის სიცოცხლეს, წარმატებას და სწორ გზაზე დადგომას უჩვენებდა.

რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზი ის უბრალო გარემოება იყო, რომ ამ საუკუნის დასაწყისში ბოჰემიას ორი გამოჩენილი შვილი დაეხადა: რიგერი და პალაცკი, რომელთაც თავიანთი ისტორიული და ფილოლოგიური თხზულებებით ამ თითქოს მიძინებულს ხალხს მოაგონეს თავისი, ერთ დროს ბრწყინვალე წარსული ცხოვრება, ისტორიული მაგალითებით გააღვიძეს მათ გულში საზოგადო მამულის კეთილდღეობის სიყვარული, ცოდნის შეძენისა და საკუთარი ისტორიის შესწავლის სურვილი.

და მარტო ამ მოგონებამ, ამ წარსული ცხოვრების გახსენებამ ხალხი თითქო ხელ-ახლად გააცოცხლა, ფეხზე წამოაყენა და თავის აწმყოზე და უკეთესს მომავალზე დააფიქრა...

არც ერთს ხალხს არა აქვს, მგონია, ამ ჟამად ჩვენ ნაკლებათ მიქცეული ყურადღება თავის წარსულს ცხოვრებაზე, როგორც ჩვენ.

კეთილად მოსაგონებელი მოვლენა ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში საკმაოდ ყოფილა; საკმაოდ არიან ისეთი პირნი, რომელთა თავგანწირული მოქმედება სამაგალითოდ უნდა დარჩენილიყო შთამომავლობისათვის; საკმაოდ არიან ისეთი საქმენი, რომელთაც გახსენება თანამედროვე საქართველოს შვილს უნაყოფოდ არ ჩაუვლიდა.

მაგრამ ვის ახსოვს ან -ეს პირები, ან ეს საქმენი, ან ეს სამშობლოსათვის მოღვაწეობა ისტორიის თუ ცხოვრების სფერაში?

ხალხი მაგალითით ვერ მხნევდება, ახალგაზდობას არ ებადება გულში სურვილი იმათ ქველმოქმედების მიბაძვისა, საზოგადოებას თავის კერძო, ეგოისტური ინტერესების მეტი არაფრის დარდი არა აქვს.

კიდევ უარესი:

ისე ვიქცევით, თითქო გვსურს, რომ არც შემდეგს ჩვენს შთამომავლობას დარჩეს ღონის-ძიება ჩვენი წარსული ცხოვრების მაგალითებით გამხნევებისა და გაცოცხლებისა:

თითქო განგებ ვსპობთ, ვანადგურებთ ყველა იმ ისტორიულ მასალას, რომელიც ჩვენი წარსული ცხოვრების გამოსაკვლეველათ ძვირფასს საუნჯეს შეადგენს. სადაც ძველი ეკლესია დარჩენილა, ვანგრევთ; სადაც ძველი სიგელი ან რამე წიგნი მოიპოვება, თაგვებს ვაჭმევთ; ჩვენი ძველი მეფეების ძვირფასი ნივთები, ვინ იცის, ვის ჩაუგდია ხელში და რაზედ მოუხმარია!..

და ყველა ამას ჩავდივართ მაშინ, როდესაც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თითქმის ყოველ ძველებურ უბრალო ხელნაწერს, ყოველ ნივთს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული ცხოვრების გასაცნობად, როდე-

საც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს ჩვენი ისტორიული ცხოვრების მოგონება ახლანდელს ქართველებს გაგვამხნევებს, გაგვაკეთილ-შობილებს, სწორ გზაზე დადგომისათვის მოგვეხმარება!..

„დროების“ მკითხველები.

ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომ ერთმა გაზეთმა მთელი საზოგადოება, ყველა მკითხველები დააკმაყოფილოს.

ყოველ საზოგადოებაში, და მაშასადამე ჩვენშიაც, იმდენნაირი ხალხია, თვითეულ ნაწილს ისეთი განსხვავებული მოთხოვნილება აქვს, რომ ერთი ლიტერატურული ორგანოსათვის ყველა ამ სხვა და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია,

სხვაგან საქმე სულ სხვანაირად არის; საზოგადოების ყოველს ნაწილს თავიანთი გაზეთი, განსაკუთრებული ლიტერატურა აქვთ და ეს გაზეთები, ეს ლიტერატურა ცოტათ თუ ბევრათ იმათ ტვინის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ჩვენში-კი ჯერ-ჯერობით, საუბედუროდ, მხოლოდ ერთათ ერთი გაზეთია და როგორ გნებავთ, რომ ამ ერთმა გაზეთმა ყველას სურვილი შეასრულოს, ყველას გონებითი მოთხოვნილება და იდეალი დააკმაყოფილოს?..

განათლებულ კაცს სხვანაირი გაზეთი უნდა, თავადს სხვა და ვაჭარს კიდევ სულ სხვანაირი; მოხუცებულს ერთნაირი, ახალგაზდას მეორე გვარი.

ჩვენ ისეთი მკითხველებიც გვყავს, რომელნიც გაზეთში თითქმის მარტო მოწინავე წერილებსა ჰკითხუ

ლობენ; ზოგნი არც მოწინავე სტატიებს, არც კორესპონდენციებს და არც უცხო ქვეყნების განყოფილებას თავის დღეში თვალსაც არ გადაავლებენ; მაგრამ, მრავა თუ ერა გაზეთი, ყველაზე პირველათ ნარევს მივარდებიან; სხვები მხოლოდ პოლიტიკას ადევნებენ თვალყურს; ისეთებიც არიან, რომელნიც თავის სპეციალურ საკითხავად გაზეთში „დროების“ ფოჩტა გაუხდიათ!

ამნაირი მკითხველი—სპეციალისტები ყველანი თავიანთი შეყვარებული განყოფილების გავრცელებასა და გადიდებას თხოულობენ გაზეთში: მოწინავე სტატიების მოყვარე იწერება, რომ ერთობ პატარა სტატიებს სწერთო, ესა და ეს მოწინავე სტატია კარგია და ესა და ეს კი სრულებით არ მომეწონაო; ნარევის თაყვანის-მცემელი თავს იკლავს, თუ რომელსამე ნომერში ნარევი არ არის დაბეჭდილი. ამას წინათ ერთმა ნარევის მკითხველმა ჯერგა ბლომათ სანარევო ამბები გამოგვიგზავნა, როგორც ეტყობოდა იმისთვის, რომ რადგან რედაქცია ხანდახან (უადგილობის გამო,) ნარევს ვერ ბეჭდავს, თავის დაწერილი ამბების კითხვით მაინც უნდოდა, ესიამოვნებინა თავის თავი. აგრეთვე უცხო ქვეყნების მკითხველები გვწერენ, რომ ეს განყოფილება ჯეროვანათ ვერ მიგყავთ გაზეთშიო, ესა და ეს ამბავი ვერ გავიგეთ და შემდეგ ნომერში მაინც აგვიხსნეთო; აგრეთვე ვაჭრები ხომ თავიანთი მაზანდებითა და საიჯარო განცხადებებით მოსვენებას არ გვაძლევენ.

კახელები გვემდურიან, რომ თელავზედ არაფერს იწერებითო, ეს „დროება“ იმერლების გაზეთი არისო; თუ ორსა და სამს ნომერში იმერეთიდამ ან იმერეთზე

არაფერი არ ჯრის გაზეთში დაბეჭდილი, იმ წამსვე საყვედურს გავიგონებთ, რომ ჩვენ სულ დაგვივიწყესო, „დროება“ გაქართლელდაო და სხვა და სხვა.

მოდით და დააკმაყოფილეთ ამდენ-ნაირი უანგარიშო მოთხოვნილება ერთი მუშა მკითხველებისა!

ყველა ასე სჯის: „რვა მანეთს იმიტომ ვაძლევ გაზეთში, რომ რაც მინდა და რაც მესიამოვნება, ის წავიკითხოო“.

იმას კი აღარ ჰფიქრობს მკითხველი, რომ იქნება იმის სასიამოვნო სხვისას არ შეეფერება, რომ სხვასაც თავის შეყვარებული ნაწილები და აზრები სურს, ნახოს მუდამ გაზეთში.

მაგრამ ყველაზე უფრო ის უნდა მიიღოთ ყურადღებაში, რომ რედაქციასაც თავისი შეყვარებული განყოფილებანი და აზრები აქვს, რომ რედაქციას უფლება და მოვალეობა აქვს, მხოლოთ ის აზრები გაავრცელოს საზოგადოებაში, მხოლოთ იმ განყოფილებაზე მიაქციოს თავისი მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც აღნიშნულ დროს სასარგებლოთ, მისწრებულთ და გამოსადეგათ მიაჩნია.

როდესაც რედაქცია ნომერს ადგენს, როდესაც ის რომელსამე სტატიას ჰბეჭდავს, მაშინ არც თავადი ჰყავს მხედველობაში და არც აზნაური, არც გლეხი და არც ჩინოვნიკი, არც ვაჭარი და ოჯახის კაცი,—იმას ჰყავს მხედველობაში, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, საშუალო მკითხველი—ქართველი, რომლისთვისაც, იმის აზრით, მოწინავე სტატიებიც გამოსადეგია, ფელეტონიც კარგია, რომელიც ნარევსაც წაიკითხავს და საბაასოსაც,—ჰყავს სახეში ისეთი საშუალო ქართველი, რომ

ლისთვისაც ყოველი ახალი აზრი, ყოველი ახალი ცნობა იმის სამშობლო საქართველოზე და განათლებულ ხალხების ცხოვრებაზე საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს.

იქნება ხანდახან რედაქცია ამ თავის მოვალეობას, მკითხველების წინ, ჯეროვანათ ვერ ასრულებდეს, იქნება ისე ვერ მიჰყავს ხანდახან საქმე, როგორც თვით იმასა ჰსურს; მაგრამ, როცა ამგვარ რასმე გაივლებთ თავში, გთხოვთ, ისიც გაიხსენოთ, რომ უფრო მომეტებულათ თვითონ საზოგადოება ვერ ასრულებს თავის მოვალეობას რედაქციისა და საზოგადოთ ლიტერატურის წინაშე. გთხოვთ, გაიხსენოთ ახლანდელი ჩვენი ლიტერატურის საშუალება და ღონის-ძიება, გაიხსენოთ აგრეთვე ის გარემოებანი, რომლებშიაც ის ამ ჟამად იმყოფება.

მაშინ, უეჭველია, ისეთნი სასტიკნი და მომთხოვნელნი ალარ იქნებით...

პოლემიკის მნიშვნელობა.

— რა არის, ბატონო, ამ „დროებაში“ ჩვენი ლანძღვის მეტი კი არა არის რა და! მუდამ კერძო პირებს ეხებიან, მუდამ კერძო ცხოვრებაზე სწერენ!

ამისთანა სიტყვებს, ამისთანა სჯას ხშირათ გაიგონებთ „დროებაზე“ ჩვენს საზოგადოებაში.

მაგრამ რომ ჰკითხოთ: აბა, მიჩვენეთ „დროებაში“ ერთი სტატია, ერთი სიტყვა, რომელიც კერძო პიროვ-

ნებასა და რძრს ცხოვრებას შეეხებოდესო, მერწმუნეთ, ბევრიც რომ ეძიონ, ვერ ნახვენ და ვერ გვიჩვენებენ.

ერთმა დაიყვირა: გაზეთი ამა და ამ კერძო პირს შეეხო. მეორემ ამას ცოტა დაუმატა და სთქვა: გაზეთი კერძო პირებს შეეხო; მესამემ კი საზოგადოთ და გადაწყვეტით გამოსთქვა, რომ „დროება“ მუდამ კერძო პირების ცხოვრებას ეხებაო,—და ამნაირად ზოგიერთებმა, რომელნიც გაზეთს არ აღევნებენ ფვალ-ყურს და ყოველ აზრს სხვისი სიტყვებით ადგენენ, შეიდგინეს საზოგადო აზრი გაზეთის ხასიათზედ.

გაზეთს ყოველთვის აქვს უფლება, და არა თუ უფლება, მოვალეობაც, შეეხოს კერძო ცხოვრებას იმ პირისას, რომელიც საზოგადო ასპარეზზე გამოდის, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობის მქონებელი თანამდებობა ან საქმე უკისრნია, ან ჰსურს იკისროს.

ვინც „დროებას“ კერძო პიროვნების შეხებას აბრალებს, ნეტავი ასვა-დასვა და ერთი კვირიდ დასვა ამორჩევების ანუ კენჭის ყრის დროს, სხვაგან სადმე ისეთს ქვეყანაში, სადაც სხვა და სხვა საზოგადო თანამდებობის პირებს საზოგადოება ირჩევს.

საფუძველი აქვს ამ ქვეყნების ხალხს, როდესაც ამბობენ, რომ ყოველი კაცი, ვისაც სურს რომელსაც მე საზოგადო ასპარეზზე გამოვიდეს, კერძო ცხოვრებაშიაც უბიწო და წმიდა უნდა იყოსო; თუ კაცი თავისი კერძო ცხოვრებაში ჩირქიანია, უპატიოსნოა და დაუნდობელი, საზოგადო ასპარეზზე რა სიკეთეს უნდა მოვულოდეთ იმისაგანაო? თუ კაცს თავის კერძო ცხოვრება ვერ მოუთავსებია რიგიანად, თუ ის კერძო ცხოვრებაში ცუდი ქმარია, ცუდი მამა, საზოგადოდ ცუდი ყოფა-ქცევა

ვის კაცია, განა საზოგადო საქმეში, საქვეყნო ასპარეზზედაც ვერ დააჩნდება ეს ცუდ-კაცობაო?

და ამ აზრის და-გვარათაც იქცევიან: როდესაც ვინმე საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის სურვილს აცხადებს, გაზეთებში იმ წამსვე დაწვრილებითი ბიოგრაფია ანუ ცხოვრების აღწერა იბეჭდება ამ კაცისა; საქვეყნოდ აცხადებენ: ამ კაცს ესა და ეს მშობლები ყავდაო, თვითონ იმან ამა და ამ დროს ესა და ეს ცუდი ან კარგი საქმეები ჩაიდინაო, ეს მეგობრები და ნაცნობები ყავს, ამა და ამ დროს ეს სთქვა და ეს დასწერაო და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, სულ უბრალო, წვრილმან გარემოებასაც არ გაუშვებენ იმის ცხოვრებიდამ, საქვეყნოდ რომ არ გამოაცხადონ.

ამნაირად ხალხი ტყობილობს: ვინ უნდა აირჩიოს ვსთქვათ, თავის წარმომადგენელად, ვინ უნდა გააშავოს და ვინ გაათეთროს.

მართალია, ჩვენ ამისთანა პირი ბევრი არა გვყავს ამოსარჩევად. მაგრამ, თუ ოდესმე გაზეთი ვისმეს შეხებია, მერწმუნეთ, რომ იმ კაცს, უეჭველია, რაიმე საზოგადო მნიშვნელობა ჰქონია. „დროებას“ არასოდეს არ ამოუღია ხმა ისეთს კაცზე, რომლის მოქმედებას რაიმე საზოგადო მნიშვნელობა არ ჰქონია, რომლის საქმეს ან სიტყვას სრულებით კერძო ხასიათი ჰქონია.

ღმერთო ჩემო, თუ ახლავე ასე ჰყვირიან, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ერობას შემოიღებენ ჩვენში, და ჩვენი გაზეთი ვალდებული იქნება, რომ ყველა იმ პირზე, რომელიც ხალხის საქმეების წაყვანას იკისრებს, თავის აზრი გამოსთქვას?

ერთი შენიშვნაც: ვინც ოჯავის კერძო ცხოვრებას

ერთრობ ხელს აფარებს და მალავს, ჰგავს ეს თავის კერძო ცხოვრება იმას, ნათელათ, უმინწოდ და საქებარად არ მიაჩნია!.. თორემ თუ სამაგალითოა, თუ უბიწოა, რა ენაღვლებაჲ ქვეყანამ ვაიცნოს!..

ჩვენს სამღვდელოებაზედ.

დიდი მარხვაა ეხლა; ცოტა სასულიერო საგნებზედაც უნდა ვილაპარაკოთ.

არ იფიქროთ კია, რომ ისეთს სასულიერო რამეებზედ დაგიწყოთ სჯა, რომელსაც ან ღვთაებრივ არსებასთან, ან სული-წმიდასთან და ან სხვა ამგვარ სამღვთო კითხვებთან რამე კავშირი ჰქონდეს.

წინათვე ვიცით ძალიან კარგათ, რომ რაც უნდა სასოებითა და გულ-წრფელად ვილაპარაკოთ ამგვარ საგნებზე, ქართველი მკითხველი მაინც იჭვნეულათ შემოგვხედავს... ამას გარდა ამგვარ საგნებზე სჯა გაზეთის საქმეც არ არის, თუნდა დიდ-მარხვაც რომ იყოს.

არა, ჩვენ გვინდა ისეთს რასმეზე ლაპარაკი, რაც ჩვენ საზოგადო ცხოვრებას შეეხება და რაზედაც გაზეთში სჯას, იმედია, სათაკილოდ არავინ არ ჩასთვლის.

ჩვენ სამღვდელოებაზედ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ჩვენებურ მღვდლებზე უნდა ვილაპარაკოთ.

ყველა ხალხის ცხოვრებაში სამღვდლოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ჩვენი ხალხის საერო ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია საეკლესიო ისტორიასთან. სამღვდელო პირნი იყვნენ ჩვენში ძველად უბედურების დროს ხალხის მანუგეშებელნი, ლიტერატურის გამამდიდრებელნი და ხშირად ომში წინამძღოლნი. ამათი წყა-

ლობით დაცულია ჯერ ჩვენში დიდებული სარწმუნოება ქრისტესი და ამ სარწმუნოების დასაცველად ხალხი თავის სამშობლოსაკ იცავდა.

მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვა დროა; მაშინ სხვა მოთხოვნილება იყო, ახლა სხვა მოთხოვნილებაა.

იმ სამღვთო, სულიერ მოთხოვნილებას გარდა, რომელიც ყოველი სამღვდელოების მიზანს შეადგენს, ჩვენ სამღვდელოებას შეორე მოვალეობაც აწევს, რომელსაც ზემოხსენებულ სულიერ მოვალეობასთან დაახლოვებული კავშირი აქვს. ჩვენ ვამბობთ ხალხში სწავლისა და განათლების გავრცელებაზე.

არც ერთს წოდებას, არც ერთს ეუწყებას არ შეუძლია ამ საქმეში იმდენი სარგებლობის მოტანა, რამდენიც სამღვდელოებას.

საქართველოს ყოველს სოფელში თითო მღვდელია. წარმოიდგინეთ, როგორ გავრცელდებოდა ჩვენს ხალხში, სხვა არა იყოს რა, წერა-კითხვის ცოდნა მაინც, ყველა სოფლის მღვდელს რომ პატარა სამრევლო სკოლა ჰქონდეს გამართული? წელიწადში რომ თითოეულმა მღვდელმა, უკანასკნელ, ოც ყმაწვილს ასწავლოს წერა-კითხვა, უეჭველია, ათი ხუთმეტი წლის განმავლობაში ერთი ისეთი კაცი აღარ იქნებოდა ჩვენში, რომ წერა-კითხვა მაინც არ სცოდნოდა,—და ამაზე უმაღლესს, ამაზე უკეთესს მოვალეობას რას აასრულებდა ჩვენი სამღვდელოება?

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ ჟამად თვითონ ჩვენს სამღვდელოებაზე ვერ იტყვის კაცი, რომ განათლებული და გონება-გახსნილი სამღვდელოება არისო.

მომეტებულ ნაწილს — განსაკუთრებით სოფლის მღვდლებს—სასულიერო სემინარიაშიაც არ გაუთავებია

სწავლა. ორი-სამი კლასი დაუსრულებია სადმე (ზოგს არც ეს) და მღვდლებათ კურთხებულან; რა საკვირველია, რომ ამისთანა მღვდლებს ბევრი არა მოეთხოვებათ რა; იმათ ვერ დააყვედრის კაცი, რატომ ხალხის განათლებას, ზნეობით ამაღლებას და საზოგადო საქმეებს აღ თანა-უგრძნობთო.

ამ მხრით რომ შევხედოთ საქმეს, მაშინ დავინახავთ, თუ რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმერეთისა-თვის ქუთაისის მომავალი სასულიერო სემინარია და რამ-დენ სარგებლობას უნდა მოველოდეთ ამ სასწავლებლიდამ.

ამნაირათ, სანამ ყველა ჩვენ სოფლებში სკოლები არ გამართულა (და ამას ჯერ დიდხანს ვერ მოვესწრებით), სამღვდელოებამ უნდა იკისროს, რომ ხალხის განათლების საქმეს ყოველის ღონის-ძიებით ხელი მოუმართოს.

ჩვენი სამღვდელოება, ღვთის მადლით, ისეთი თვი-სებისა და მიმართულებისა არ არის, რომ სკოლას კლერი-კალური ხასიათი მისცეს და მით მრუდე, მავნებელს გზა-ზედ დააყენოს ხალხის გონება და ცხოვრების მსვლელო-ბა. ამ კლერიკალურ ხასიათს, ჩვენდა ბედათ, ჩვენი სა-მღვდელოება ყოველთვის მოკლებული იყო და ეს იყო და არის იმის პირველი და საუკეთესო ღირსება.

ჩვენებური ცოლ-ქმრობა.

დღესაც ამაზედ*) ლაპარაკობენ, კიდევ დიდხანს ილა-პარაკებენ. ჩვენს, საზოგადო ინტერესებითა და შესანიშ-

*) თ. ნ. ჩოლოყაშვილის საქმეზე, რომელსაც ბრალდებოდა, რომ თავის ცოლს თავისუფლება წაართვა—ოთახში დაამწყვდია, დასტანჯა, სცემა, რის გამო ორსულს ქალს მუცელი გაუფუჭდა.

ნავი მოვლენებით ღარიბს, ცხოვრებაში ეს ისეთი ამბავია, რომელზედაც ბაასი ასე მალე არ შესწყდება.

ახირებული თვისებისაა ჩვენი საზოგადოება. გარეშე კაცს, რომელსაც ჩვენი ცოლ-ქმრობითი ცხოვრების ცნობა არა აქვს, მართლა ეგონება, რომ ეს ერთად-ერთი, განმარტოებული მოვლენა მოხდა ჩვენშიო; ეგონება, რომ ამის მსგავსი საქართველოში არა მომხდარა-რაო,—და ამით აიხსნება საზოგადოების ჯმაყოფილებაც, რომ ცოლის დამჩაგვრელს ქმარს კანონი სჯისო.

ამის თქმა მხოლოდ გარეშე კაცს შეუძლია და არა იმას, ვინც ჩვენს ცხოვრებას იცნობს. მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო და დარწმუნდებით, რომ...

ასში ერთი არ ეპყრობა თავის ცოლს რიგიანად, კაცურად, ათასში ერთს არ ესმის, თუ რა არის ნამდვილი ცოლ-ქმრობა, როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს ცოლ-ქმარ შუა.

აბა, მიჩვენეთ ისეთი ქმარი, რომელმანც სთქვას, რომ ცოლი ჩემი მეგობარია, ჩემი ტოლიაო? რომელიც არ ამბობდეს, რომ „დედა-კაცს თმაში აქვს ჭკუაო!“ და თუ ამისთანა ქმარს მიჩვენებთ, იმაშიაც დამარწმუნეთ, რომ ეს კაცი თავის სიტყვის დაგვარად იქცეოდეს.

ნ. ჩოლოყაშვილის საქმე მხოლოდ ერთი საქმეა, რომელმაც სასამართლოსა და ქვეყნის ყურამდინ მოაწია, რომელმანც, შემთხვევით, საქვეყნოდ თავი ამოჰყო

რამდენი სხვა თითქმის ამგვარი მაგალითი შეიძლება მოსთვალოს კაცმა? რამდენი ქმარი, ცემითა და შიმშილით თუ არა, ზნეობით სტანჯავს თავის ცოლშვილს? ამის გამკითხავი ვინ არის?

საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ეს ასე უნდა

იყოს, რომ ქმარმ თავის ცოლ-შვილის განუკითხავმ მბრძანებელი და ბატონი უნდა იყოსო.

ზოგიერთი გულ-კეთილი კაცები ამბობენ, რომ ერთი ათიოდე კიდევ ამისთანა მაგალითი და მაშინ, უეჭველია, ჩვენებურ ცოლ-ქმარს შუა კაცური დამოკიდებულება ჩამოვარდებაო.

სკოთებიან! სანამ ჩვენში, ცოტაოდნათ მაინც არის, განათლების სხივი არ მოეფინება, სანამ ბევრ უაზრო ცრუ-მორწმუნეობას ფრთები არ მოეკვეთება და ქალის ეკონომიური მდგომარეობა არ გამოიცვლება, მანამ გულ-კეთილი კაცების აზრი და ნატვრა ფუჭია.

თვით კანონმა და საზოგადოებამ იმისთანა ხარისხზე უნდა დააყენოს ქალი, რომ ის თავის არარაობას, თავის სისუსტეს არა გრძნობდეს. მიეცით ქალს განათლება, რომ ნამდვილი ადამიანის ღირსება ესმოდეს: მიეცით იმას საშუალება, რომ ლუკმა პურის მოპოება თავითონვე შეეძლოს და მუდამ სხვისაგან არ იყოს დამოკიდებული,— და მაშინ ნახავთ, დარჩება ის ყურ-მოჭრილ დაჩაგრულ მონათ, თუ არა.

სამღვდელოების მდგომარეობა.

ხშირად გაიგონებთ, რომ ჩვენებური სამღვდელოება ცუდს მდგომარეობაში არისო, ღარიბიაო და ამასთანავე ხალხიც ისეთს პატივს არა სცემსო, როგორც სულიერ მამებს ეკადრებაო.

ჩვენებური სამღვდელოება რომ მდიდარი იყოს, გასაკვირველი იქნება. ამ შემთხვევაში ქართული ანდაზა

შეიძლება გავიხსენოთ და ასე ვსთქვათ: „როგორც ერი, ისეთი მღვდელი.“ ერი ღარიბია, სამღვდელოებაც ვერ იქნება მდიდარი.

შაგრამ ხალხთან შედარებით რომ ვსთქვათ, საზოგადოდ ჩვენი სამღვდელოება სრულებით ღარიბი არ არის. ისეთს მღვდელს ვერ ნახავთ ჩვენში, რომ, რაც უნდა დიდი ოჯახი ჰყავდეს, რჩენა უჭირდეს; ხშირად უბრალო სოფლის მღვდელი ორს, სამ შვილს სასწავლებელშიაც ზრდის მაშინ, როდესაც იმის გამომკვებს გლეხს უკიდურს სიღარიბისაგან ლუკმა პურის შოვნაც უძნელდება.

შემცდარი აზრია, რომ გლეხებს იმიტომ არა აქვთ მღვდლების რიგიანი პატივისცემაო, რომ ეს მღვდლებნი ღარიბად ცხოვრებენო, თვითონაც ისე მუშაობენ, როგორც უბრალო გლეხებიო.

ჩვენი გლეხის თვალში სასულიერო წოდების სიღარიბე სრულებით ისეთი ნაკლულევანება არ არის, რომ იმის გამო სამღვდელოებას პატივისცემა მოაკლოს. იმდენად ბრმა არ არის ხალხი, რომ ადამიანის ღირსება, და განსაკუთრებით სამღვდელო პირისა, სიმდიდრის მეტნაკლებობით დააფასოს.

თუ კი მართალია ეს ამბავი, რომ ზოგან ჩვენს სამღვდელო პირებს ღირსეული პატივი არა აქვთ მრევლისაგან, ამის მიზეზი, სიღარიბე კი არა, უეჭველია, ამ მღვდლების უმეცრებაა და ის გარემოება, რომ თავიანთი ცხოვრებითა და კეთილ მოქმედებით ხალხისთვის თავი ვერ შეუყვარებიათ.

ამასთანავე მუდამ ორივე მხრით ჩივილია ჩვენში: მღვდლები ჩივიან, რომ გლეხები დაწესებულ დრამას არ გვაძლევენო; გლეხები კი იმისთვის ესაყვედურებიან ზო-

გიერთ მღვდლებს, რომ, თუ ნათხოვნი ფული არ მივეცით, ხშირად ქორწილში, ნათვლაში და სხვ. მღვდლები არ გვეკარებიანო.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრით ორივე მართალნი არიან: გლეხები სიღარიბის გამო, ხშირად ვერ იხდიან მღვდლებისათვის დაწესებულს ხარჯს; მღვდლებიც ხშირად დიდხანს ჯვარის დაუწერლათ, მოუნათლავათ და სხვ. სტოვებენ გლეხებს.

ამნაირი ერთმანეთში დამოკიდებულება, რასაკვირველია, სამწუხაროა; რასაკვირველია, ერთმანეთში სიყვარულსა და პატივის-ცემას არ ჩამოაგდებს.

ამის მოსასპობლათ ჩვენის აზრით საჭიროა, ჩვენშიაც ისე მოიქცენ, როგორც რუსეთის ზოგიერთ სოფლებში იქცევიან ხოლმე და როგორც ეველა განათლებულ სახელმწიფოებშია.

საჭიროა, რომ მრევლმა თავის მხრით დაუნიშნოს მღვდელს ხარჯი და ეს ხარჯი ყოველთვის თავის დროზე აძლიოს. ამას გარდა, თუ სოფელი ღარიბია, მაშინ საზოგადო საეკლესიო შემოსავლიდამ უნდა მისცენ მღვდელს ჯამაგირი.

როდესაც მღვდელს თავის შემოსავალი განსაზღვრული ექნება, მაშინ გლეხი ვალდებული არ იქნება, დამარხვის, მონათვლისა და ჯვარის წერის დროს რამე აძლიოს.

მაშინ, მერწმუნეთ, მოისპობა ჩვენში ის უკმაყოფილება, რომელიც ზოგან ჩვენს ხალხსა და სამღვდელოებას შუა არის.

რედაქცია და თანამშრომელი.

იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი კითხვას არის შეჩვეული, სადაც გაზეთი ისეთსავე საჭიროებას შეადგენს, როგორც ლუკმა-პური, და სადაც მაშასადამე, გაზეთებს ბევრი მკითხველიც ჰყავს და კარგი საშუალებაც აქვსთ, იქ რედაქციები და საზოგადოთ გაზეთის საქმე სულ სხვანაირათ მიდის, ვიდრემ ჩვენში.

ყოველ გაზეთს, მთავარ რედაქტორს გარდა, რამდენიმე სხვა უბრალო რედაქტორები, ანუ როგორც ჩვენში ვეძახით, მუდმივი თანამშრომლები ჰყავს.

მთავარი რედაქტორის მოვალეობა მხოლოთ ის ნრის, რომ თვალ-ყურს აღუდგენს საზოგადოთ გაზეთის მიმართულებას: რედაქციის რჩევაზე ეუბნება უბრალო რედაქტორებს, თუ ხვალინდელ ნომერში რა და რა სტატიები უნდა დაიბეჭდოს, რა აზრით და რა მიმართულებით დაწერილი უნდა იყოს ეს სტატიები. შემდეგ, როდესაც ნომერი დამზადებულიბ, გადაავლებს თვალს იმის შესატყობათ, რომ გაზეთის მიმართულების წინააღმდეგი არა შეპარვოდეს რა წერაში რედაქტორებს.

ყოველ უბრალო რედაქტორს თავის განყოფილება აქვს გაზეთში მინდობილი. საზოგადოთ დიდ გაზეთებში ასეა, რომ რამდენი განყოფილებაც აქვს გაზეთს, იმდენი ცალკე რედაქტორი ჰყავს. აიღეთ, მაგალითად, დღევანდელი ნომერი ჩვენი გაზეთისა: ამ ნომერში შემდეგი განყოფილებანი არის: „საქართველო,“ „დღიური,“ „კორესპონდენცია,“ „უცხო ქვეყნები,“ „ქრონიკა,“ „გაანცხადებანი“ და სხვა. ყველა ამ გაზეთის განყოფილებას თავის საკუთარი რედაქტორი ჰყავს, რომელთაც

თვითეულს სახელათ ჰქვიან: მოწინავე სტატიების რედაქტორი, პოლიტიკური რედაქტორი, შინაგანი საქმეების რედაქტორი და სხვა.

სადაც გაზეთს იმდენი შეძლება აქვს, რომ ამდენი თანამშრომელი ჰყავდეს, იქ გაზეთი, რასაკვირველია, კარგათ გამოიცემა, იქ ყველა რედაქტორი გაფრთხილებულია, რომ თავის განყოფილებაში ისეთი რამე არ გაეპაროს, რაც გაზეთის საზოგადო მიმართულებას ეწინააღმდეგება, და თავის სტატიებსაც უფრო მოფიქრებით და გულ-დამჯდარათ სწერს.

მაგრამ სადაც გაზეთს იმდენი საშუალება არა აქვს, რომ ამდენი მუდმივი თანამშრომელი ჰყავდეს, სადაც ყველა განყოფილების გამგებელათ ანუ რედაქტორათ მხოლოთ ერთი ან ორი კაცია, გასაკვირველი არ იქნება, რომ ამგვარს გაზეთში ხან-და-ხან ისეთი რამ დაიბეჭდოს, რომელიც სხვა სტატიებთან ვერ თავსდება, რომელიც იქნება სრულებით ღირსეც არ იყო დაბეჭდვისა, ან ისეთ საგანზე არა ითქვას რა, რომელსაც დღიური მნიშვნელობა ჰქონდა და რომელზედაც გაზეთს აუცილებელათ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა.

როდესაც ასეთი აჩქარებული მუშაობაა, როგორიც გაზეთს სჭირდება, და რედაქცია, ულონის-ძიებლობის გამო, იძულებულია, რამდენიმე კაცის შრომა ერთს ან ორს კაცს აკისრვინოს, მაშინ ამგვარი ნაკლულევანება ხან-და-ხან მიეტევება გაზეთის გამგებლებს...

ერთს რედაქტორს დასცინოდენ ამასწინათ, იმისთვის, რომ ვითომც იმას ეთქვას, რედაქტორი თანამშრომელებს უნდა აჩენდესო, უნდა აკეთებდესო. დაეჭვატათ სტოლი, რომელზედაც მიმდგარიყო რედაქტორი,

ჩაქუჩს სცემდა სტოლზე და რამდენსაც დაარტყამდა, იმ-
დენი პატარ-პატარა კაცი ამოდიოდა სტოლიდამ. ქვე-
ვითან ამ სურათზე მოწერილი იყო: „თანამშრომელებს ვა-
ჩენო!“

შეიძლება ეს კარგი ხუმრობა იყოს, მაგრამ ის აზ-
რი, რომ ჩვენში რედაქციამ გაზეთის თანამშრომელები
უნდა გააჩინოს, სრულებით უსაფუძვლო არ არის და
არც მასე რიგათ დასაცინარია. შეძლება რომ იყოს, თა-
ნამშრომელები და მწერლები თვითონ გამოჩნდებიან,
ბევრი ძებნა არ დასჭირდებათ. მაგრამ, ახლა, როდესაც
ყველა სალუკმა-პურო საქმეს დასდევს, როცა ჟურნალ-
ისტიკა ფიზიკქმის ორ კაცსაც ვერ არჩენს, თანამგრძნო-
ბელს და ამასთან რსეთებს, რომელთაც წერა შეუძლიათ,
რასაკვირველია გაჩენა, მოძებნა უნდა, უამისოთ ვაზე-
თის წაყვანა ჩვენში შეუძლებელია.

მაგრამ უბედურებაც ეს არის, რომ ამ ძებნას და
გაჩენასაც თავისუფალი დრო ეჭირვება. უნდა გაამხნე-
ოთ ახალგაზდა მწერალი, უნდა დაარიგოთ, აჩვენოთ
თუ, თქვენის აზრით, როგორ გზაზე უნდა დადგეს,
რაგვარი თხუზულებანი უფრო შეეფერებიან იმ ნიჭსა
და მიმართულებას, — ერთი სიტყვით საჭიროა, რომ
თქვენ შემთხვევით თანამშრომელებთან მუდამი და გაუწ-
ყვეტელი, პირადი ლაპარაკი თუ არა, წერითი კავშირი
მაინც გქონდესთ.

და ყველა ამისთვის, როგორც ზევით ვთქვით, ღა-
რიბსა და შრომით გაჯერებულს რედაქციაც, ხშირათ
თავისუფალი დრო არა რჩება...

შემდეგ სტატიას განსაკუთრებით თანამშრომელებს
ვუძღვნით.

გაზეთის თანამშრომელები.

ჯერ-ჯეროობით ქართული ლიტერატურა ისეთს მდგომარეობაში არ არის, რომ ყველა, ვინც კი სწერს, ლირსეულათ დააჯილდოვოს. ეს გარემოება სრულიათ განსხვავებულ მდგომარეობაში აგდებს ჩვენში მწერლების საქმეს.

რადგან ლიტერატურული შრომისათვის მწერალი დაჯილდოებას არ მოელის, ამის გამო უფრო ხშირათ ის სწერს მხოლოთ იმისთვის, რომ ხალისი აქვს წერისა და საზოგადოებაში თავის აზრებისა და კალმის ნაწარმოების გავრცელებისა; ზოგიერთებს კი ამ შემთხვევაში უფრო პიროვნული მიზანი აქვთ: ამათ ჰსურთ, რომელსამე კეთილ საქმეს ან პიროვნებას სარგებლობა მოუტანონ, ანუ მავნებელი მოვლინება, ან კერძო ვინმე პირი გაჰკიცხონ.

მგონი,—არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მოიპოვება იმდენი მწერალი ამ უკანასკნელს კატეგორიისა, როგორც ჩვენში. „დროების“ რედაქციაში ძალიან ხშირად მოდის ისეთი სტატიები და კორესპონდენციები, რომელთაც სრულიათ პიროვნული, კერძო მნიშვნელობა აქვთ და ამგვარ მწერლებს უკვირთ: რატომ ჩვენი სტატიები არ იბეჭდება გაზეთშიო?

ერთს ახირებულ წიგნს წავაკითხებთ მკითხველს; რომელიც ცუდი ადრესის წყალობით, ჩვენ რედაქციაში მოვიდა. ამ წიგნის კანვერტზე ეწერა რუსულათ: „გაზეთის დროების ცენზურაში“ და რადგან ამნაირი დაწესებულება არ არსებობს დედა-მიწაზე, ფოშტას უფიქრია, რომ ეს უეჭველად „დროების“ რედაქციისა არისო და

ჩვენ მოგვიტანა. აი სიტყვა სიტყვით გადმოწერილი შინაარსი ამ წიგნისა:

ბ-ნ „დროების“ ცენზურს.

მოწყალეო ხელმწიფევ!

„დროების“ რედაქტორს მე წარვუდგინე 1874 და 1875 ამა მდგომარე წელს სულ 11 სტატიები „დროების“ კორესპონდენცია თუ სხვა რამეები, მათგანი თითოეულნი პისმოთი და ვსთხოვე მათ-თვის მიეცა ადგილი „დროების“ ნომრებში, მაგრამ მან ესრეთი ჩემს უმორჩილეს თხოვნას სრულებით ყურადღება არ მიაქცია, ჩემ მიერ გაგზავნილი წერილები ისრე სუსტი წერილნი არ იყვნენ, რომ სისუსტით არ მისცემოდათ ადგილი, მიგრამ მე როგორც ნამდვილად ვიცი თქვენს განხილვაში იგინი არც ერთი არ მოუშვია ბ-ნ რედაქტორს, თორემ თქვენ მიერ განხილულს და თქვენდგანვე დაყენებულთ სტატიებზედ. არც მე შემიძლიან რაიმე მიზეზი ვსთქვა: ჩემ მიერ გაგზავნილი სტატიები. ანუ წერილები, არიან რედაქტორის მიერ დაფარულნი სხვისი მეგობრობისა და კერძოებისა გამო, რომელიცა არ შვენის „დროების“ რედაქტორს ამგვარი მიდგომილებით მოქმედება: „დროებაში“ ზოგიერთნი განმეორებით იბეჭდება ერთი და იგივე საგანი და რამდენიმე ჩემ მიერ გაგზავნილ სტატიებზედ უფრო უსაფუძვლო; და ჩემმა რა დააშავა და სხვისმა რა ძვირფასი შესძინა. „მლიქნელობაა“ სხვა არა!

ბ-ნ „დროების“ ცენზურს! უმორჩილესად გთხოვთ და მოვმართავ პირველად თქვენს წინაშე, როგორც „დროების“ ზედამხედველს და უპირატესთან უ—უმორჩილესად გთხოვთ მოსთხოვოთ „დროების“ რედაქციას ე. ი. მ—ის ა—საგან გაგზავნილნი დასაბეჭდი სტატიები და განიხილოთ და უკეთუ არ იქნებიან ღირსნი თქვენის შეხედულებით დაბეჭდვისა, იმ შემთხვევაში შემცთარი ვიქნები და მომიტევეთ ჩემი სიტყვების უკანვე მიღებით და უკეთუ თქვენს ყურადღებას არ მიაქცევთ უ—უმორჩილესს ჩემს თხოვნას, შემდეგ კი უმაღლესს მთავრობასთან უნდა განვაცხადო საჩივარი „დროების“ რედაქტორზედ: რადგან იგი ჩემ მიერ გაგზავნილებ სტატი-

ებთ ფარავს, ჩემთან ვინმე მოინტერესის შეგონებით და მეგობრობით.

მორჩილი მონა და სხვ...“

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ ძლიერ მადლიერნი ვართ ჩვენი გაზეთის კორესპოდენტებისა და შემთხვევითნი თანამშრომლებისა, როომელნიც ასე გულს-მოდგინეთ და უსასყიდლოდ გვეხმარებიან იმ საზოგადო საქმეში, რომელიც ჩვენ გვიკისრნია; მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ ზოგიერთ იმგვარ კორესპონდენტთან, რომლის ნიმუში ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, ძალიან ძნელია საქმის დაჭერა. რით ვერ გაუგია გაჯავრებულ კორესპონდენტს, რომ არა თუ ცენზურას, არავის არ შეუძლია, რომ რომელიმე სტატია ძალად დაგვაბეჭდვინოს? რით ვერ გაუგია, რომ ჩვენ ბატონი ვართ ჩვენს საქმეში და ცენზურას კანონით, მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ ჩვენგან წარდგენილი სტატია ან გაზეთის ნომერი სრულებით აკრძალოს და ან რომელიმე შეუსაბამო ალაგი წაშალოს.

ჩვენს რედაქციას უფლება არა აქვს, რომ კორესპონდენტების ნაკლებობას უჩივლოს: „დროების“ რედაქციის პორტფელში ამ ჟამათ და მუდამ იმდენი საინტერესო სტატია და კორესპონდენციაა, რომ ყოველ დღე გამოდიოდეს გაზეთი, სამყოფი შაინც იქნება. განსაკუთრებით იმერლები იჩენენ ამ საქმეში საქებარ გულმხურვალებას; ამისვე თქმა რომ კახელებზედაც შეგვეძლოს, ამ მხრით გაზეთს სრულებით არა რა ექნებოდა საჩივარი.

ლიტერატურული პატიოსნებაზე

არსად არ არის ისე ძნელი პატიოსნების სახელის დაცვა, როგორც ჩვენში.

სანამ არავის პერსონებასა და ძის საზოგადო მოქმედების რომელსამე ცუდ მხარეებზე არა გიფიქვამს-რა, სანამ თავ-მოყვარე კაცებს აქებ და არავის არ ამხილებ ნაკლულევანებასა და შეცდომას, მანამ პატიოსანი და ყოვლად საქები, ღირსეული კაცი ხარ.

მაგრამ ერთი გაბედე და ცოტა რამ ლაქა მონახე ვისმეს საზოგადო ცხოვრებაში და მოქმედებაში, გაბედე და საქვეყნოდ გამოააშკარავე ისეთი ნაკლულევანება და მოქმედება, ფრომლისამე პირისა, რომელსაც რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, და იმაშინ ნახავ, თუ როგორ შემოგიკურთხებენ, რა ეპიტეტებითა და სახელებით შეგამკობენ!

— ეს კაცი მთელს ქვეყანას ჰკიცხავს! ყოვლად საპატიო პირები და საქმეები ჩვარათუცოარ მიაჩნიათ! ერი-დე მაგას! ცუდი ენისა და უპატიოსნო კალმის პატრონი კაცი არისო!

ამგვარი საქმეები „დროებასაც“ დამგრეთია ხოლმე.

სანამ რომელსამე საზოგადო მნიშვნელობის მქონე-ბელ საქმესა ან პირს აქებდა, მანამ ამ საქმის გამკეთებელთა და პირთ სახეში „დროება“ მშვენიერი, პატიოსანი, ჭკვიანი, სარწმუნო გაზეთი იყო.

მაგრამ მოხდა უბედური შემთხვევა, და გაზეთმა ერთი ნაკლულევანება შენიშნა იმათში, და — ... ! — არა თუ შენიშნა, გაბედა კიდეც, (თუმცა ძალიან მკრთალად და მოწიწებით), რომ იმაზე საზოგადოების

ყურადღება მიექცია. ეს გარემოება საკმაოა, რომ სრულებით შეიცვალონ აზრი გაზეთის ხასიათსა და ღირსებაზე.

გუშინ „დროება“ სარწმუნო გაზეთი იყო; დღეს იმან ამა და ამ საქმეში, რომელსაც მე თანავუგრძნობ, ნაკლულევანების მონახვა და გამოაშკარავება გაბედა?— არა დაუჯეროთ-რა „დროებას“, სულ ტყუილებს ლაპარაკობს!

გუშინ „დროება“ პატიოსანი გაზეთი იყო; მაგრამ დღეს იმან ისეთს საგნებზე დაიწყო სჯა და ისეთნაირი სჯა, რომ იმაში არ ჭკუა სჩანს და საზოგადოდ არც არაფერი საინტერესო იბეჭდება!

გუშინ „დროება“ პატიოსანი გაზეთი იყო; მაგრამ დღეს იმან ჩემი შეხება გაბედა?—უპატიოსნო გაზეთი ყოფილა!

ამგვარს სჯაზე უარესი კიდევ ის არის, რომ ხანდისხან ზოგიერთი პირი ისეთის ხერხით, ისეთის საშუალებით ავრცელებს გაზეთზე ცუდს ხმებს, რომ პასუხის გაცემაც შეუძლებელი და მოუხერხებელია.

ესეც კიდევ არაფერი: ზოგჯერ ისეთს შემთხვევაში გამოიღაშქრებენ „დროებაზე“, როდესაც იციან, რომ გაზეთი, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ხმას ვერ ამოიღებს. ისეთს საგანზედ დაუწყებენ გაზეთს ლაპარაკს, რომელზედაც ის გაჩუმებული უნდა იყვეს.

მკითხველმა გაარჩიოს: რომელია ამ ორში უფრო მართალი და პატიოსანი: გაზეთი, რომელიც მუდამ პირდაპირ ლაპარაკობს და გადაკვრით თუ იტყვის სიტყვას, მხოლოდ იმიტომ რომ, პირ-და-პირ ვერ უთქვამს; თუ ისინი, ვინც ჩუმად ცდილობენ გაზეთს ორმო გაუთხა-

რონ, და აშკარად თუ გამოდიან, მხოლოდ იმისთანა შემთხვევაში, როდესაც გაზეთის მხრით სრულებით საქმის გამოაშკარავება და იმის შეხება შეუძლებელია?..

ვის ხელშია ქალაქის ვაჭრობა?

ჰკითხეთ რომელსამე თქვენს ნაცნობ ქალაქელ ვაჭარსა—და ამ კითხვის პასუხს მიიღებთ.

ის გეტყვისთ, რომ ჩვენი ქალაქის ვაჭრობა სამი თუ ოთხი კაცის ხელშია. ის აგიხსნისთ, როგორ არიან ყველა ვაჭრები დამოკიდებულნი ამ სამი-ოთხი კაცისაგან როგორ მახეში არის იმათგან ქალაქის ვაჭრობა გაბმული და გახლართული. ის დაგარწმუნებსთ, რომ უამათოთ ქალაქის ვაჭრობას ამ ჟამათ ფეხის გადადგმაც არ შეუძლია.

თუ ისინი შემოსწყრებიან და კრედიტს მოუსპობენ, წვრილი ვაჭრების მომეტებული ნაწილი ერთს წელიწადსაც ვერ გასძლებს.

რას მიქვიან ბანკები! ნამდვილი ბანკები ესენი არიან. და ეს ჩვენი „სავაჭრო და ურთიერთ კრედიტის ბანკები“ ხომ იმათვე ხელშია და, როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ.

ყველა საქონლის ფასების აწევ-დაწევა, ჩვენი ბირჟის მდგომარეობა თითქმის მხოლოდ ამათზედაა დამოკიდებული.

აბა ერთიც ვნახოთ და მაკარიობის დროს ჩ—მა მაგრად მოუჭიროს ხელი თავის ჯიბეებს, ნურავის მისცემს ფულებს; აბა ერთი მ—მა მოინდომოს დაკარიე-

ლება თავის უანგარიშო მალაზიებისა და შილებთ ყველა გასესხებული ფულებისა; აბა ო—მა გამოიტანოს თავის ფულები აქაურ ბანკებიდამ და კიდევ ორმა სამმა ჩასულებულმა ვაჭარმა შეჰკრან პირი და ერთად იმოქმედონ, —და მაშინ ნახავთ, რა მდგომარეობაშიაც იქნებიან ყველა ჩვენი წვრილი ვაჭრები, ნახავთ, როგორ გაანძრევს ფეხს ქალაქის ვაჭრობა, როგორ აიწევ-დაიწევს სავაჭრო საქონელი!

და არა თუ მარტო ვაჭრები და ვაჭრობა, თითქმის ქალაქის გარეგნობაზედაც გავლენა აქვთ: ვინც სურთ, იმას ამოირჩევენ ხოლმე ქალაქის წარმომადგენლებად, რადგან ამომრჩევლები ისეთის ჯაჭვით არიან დაკავშირებულნი, რომ იმათ ბრძანებას ვერ გადავლენ...

ეს დროა—ზაფხულის დასასრული სწორედ ისეთი დროა ქალაქის უფულო წვრილი ვაჭრებისათვის, როგორც ჩვენებური სოფლის უმიწა-წყალო გლეხებისათვის ზაფხულის დასაწყისია: როგორც გლეხს ეჭირვება ამ დროს მიწა, რომ მოხნას, დათესოს და შემდეგ თავისი საჭირო მომკას, და ხან ერთ მემამულესთან მივარდება მიწის ასაღებად და ხან მეორესთან, სწორედ ისეთივეა ახლა ვაჭრის მდგომარეობა: ახლა ეჭირვება იმას ფული სავაჭროდ, მაკარიაში წასასვლელად, ახალი საქონლის მოსატანად, რომ შემდეგ კარგად მომკას, და ესეც ისე გამწარებული დარბის ფულის საშოვნელად, ხან ერთს მიმართავს, ხან მეორეს; მაგრამ ბოლოს კი, უეჭველად, ერთათ ერთ ზემოხსენებულ ჩვენი ვაჭრობის ბობოლას მიადგება, რომელიც სხვა-და-სხვა პირობით აძლევს ან ფულებსა და ან თავის სახელს, და ნდობას.

მთელი ამოდენა ქალაქის ვაჭრობა და გამგებლობა

რომ რამდენიმე კაცის ნება-ყოფლობაზე და რჩევაზე იყოს დამოკიდებული,—ეს ხომ ნორმალური მდგომარეობა არ არის! ამას ხომ, უეჭველია, მთელი ქალაქის ცხოვრებაზე და მცხოვრებლებზე უნდა ჰქონდეს გავლენა!

ყველა კარგათ ხედავს, ყველა გრძნობს ამ გავლენას.

ამგვარი უნორმალო მდგომარეობის მოსპობა, რომელიც შედეგია წარსულისა და აწმყო ჩვენი საზოგადო წყობილობისა, რასაკვირველია ადვილი საქმე არ არის და არც ერთი თვალის დახამხამების დროს განმავლობაში მოხერხდება.

მაგრამ არის ერთი საშუალება, ერთი სახსარი, რომელიც ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ამ მხრით შევიწროებულ ქალაქის ცხოვრებასა. ამ სახსარზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

ქალაქის წვრილი ვაჭრებისათვის.

საშუალება რომელიც წვრილ ვაჭრებს იხსნის იმ რამდენიმე კაცის დამოკიდებულებისაგან, რომელზედაც ჩვენ წასულ ნომერში ვილაპარაკეთ, თვითონ ამათ, ამ წვრილი ვაჭრების ხელშია.

მიეცით პირი ერთმანეთს, მომეტებული თანხმობა, უფრო განიერული გაგება გქონდესთ თქვენი საზოგადო სარგებლობისა,—და დამერწმუნეთ, რომ რამდენიმე ფულიანი კაცი თქვენ ბრძანებლებათ ალარ იქნებიან.

გაიგეთ, რომ თქვენ ძალა ხართ, იმიტომ რომ ბევრი ხართ.

მაგრამ ეს ძალა მხოლოთ მაშინ განხორციელდება, იმას მხოლოთ მაშინ ექმნება რაიმე მნიშვნელობა თქვენი დამოკიდებულებისაგან დასახსნელათ, როდესაც განცალკევებულნი შეერთდებით, როდესაც ურთი-ერთ შორის თანხმობითა და ხელის მომართვით წაიყვანთ საქმეს.

შეძლებულებიც, სხვათა შორის, იმიტომ არიან შეძლებულნი და ძლიერნი, რომ იმათ ერთმანეთში პირნ აქვთ, ერთმანეთს არ ღალატობენ და ყოველთვის თანხმობით მოქმედებენ.

თქვენ უფრო არ გეჭირვებათ ამგვარი ერთობა?!..

ერთი საქმე იწყება ახლა, რომელიც ამ ერთმანეთთან დაახლოვებაში და ურთი-ერთის სარგებლობის დაცვაში ძალიან მოგეხმარებათ.

ჩვენ ვამბობთ იმ „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაზე,“ ანუ ბანკზე, რომელიც ახლა ხანათ დამტკიცდა და მალე გაიხსნება თფილისში.

ამ ბანკის წესდება ისეთია, რომ ყველა წვრილ ვაჭარს, ყველა მოხელე ხალხს შეუძლია იმაში მონაწილეობის მიღება და წევრათ გახთომა.

და თუ ეს ბანკი რიგიანათ წავიდა, თუ იმას საკმაოთ ეყოლება თანამგრძნობელნი და წევრები, მაშასადამე შეძლება, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ დიდ სარგებლობას მოუტანს ქალაქის ღარიბ ხალხს.

უკანასკნელს წვრილი კრედიტი ეჭირვება, თუმნობით უნდა და არა ათასობით.

გაჭირვების დროს ეს ბანკი მოუმარტავს ხელს ღარიბ მოხელეებსა და ვაჭრებს. ისინიც იძულებულნი აღარ იქნებიან ფულიან კაცს მიმართონ და მანეთში ხშირათ

წელიწადში ნახევარი მანეთი სარგებელი აძლიონ; განთავისუფლდებიან სხვა მხრითაც იმათის დამოკიდებულებისაგან: იძულებულნი აღარ იქნებიან, იმათ ნებაზე იარონ ყოველთვის და განსაკუთრებით ისეთს შემთხვევებში, როდესაც ქალაქის საზოგადო ინტერესებზეა სჯა; იძულებულნი აღარ იქნებიან, ვსთქვათ, ქალაქის ამორჩევების დროს, იმათი ბრძანება აასრულონ და ისეთი კაცები აირჩიონ, რომელნიც ღარიბებისა და ქალაქის სიკეთისათვის თითქმის სრულებით არ ზრუნავენ.

ყველა ეს აქ ჩამოთვლილი სარგებლობა იმ ახალი ბანკისა, რომელიც ამ ჟამათ უფ. ანდრია კაპანაძის თაოსნობით იხსნება, რომ მომეტებული ეჩვენოს ვისმე, და მარტო ამის ნახევარი სარგებლობა მოიტანოს, ერთ მეათედ ნაწილს რომ ხანდახან მაინც მოუმართოს ხელი, გაჭირვების დროს, მაინც დიდი საქმეა, მაინც თანაგრძნობის ღირსია ეს ბანკი და ჩვენ წმინდის გულით ვისურვებთ იმის დღეგრძელობასა და კარგათ წაყვანასა.

ბავი ზღვის ნაპირების დასახლება.

მდიდარი, მშვენიერი ადგილები.

სოხუმიდამ მოყოლებული თითქმის ნოვოროსიისკამდი ბუნებას უხვად გაუფანტავს თავისი სიმდიდრე: გამოულეველი საბალახოები, ფვალ-უწვდენელი, გაუვალი ტყეები, რომლებშიაც ოპოვება ყველა ხეების თვალი-ბზა, საბნავ-სათესი ადგილები, სავენახეები; შეიძლება მოიყვანოს კაცმა დიდძალი სიმინდი, აბრეშუმი და სხვა

ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებისათვის საჭიროებას შეადგენს.

ეს ადგილები ახლა გავერანებულ ადგილებად გადაქცეულან. ერთ დროს კი აქ ცხოვრება ჰყვაოდა.

ჩერქეზეთის დაპყრობის შემდეგ, უმაღლესმა მთავრობამ, სტრატეგიული და სხვა მოსაზრების გამო, სასარგებლოდ დაინახა, რომ ეს ადგილები დაეცალიერებინა. სოხუმის, ბიჭინთვის, გაგრის და სხვა ხეობებში, იქ, სადაც ადრე „სიცოცხლე ჰდუღდა“, ახლა თითქმის კაცის ფეხის კვალსაც იშვიათად დაინახავთ. მხოლოდ აქა-იქ გიჩვენებენ თითო-ოროლა სოფელს, რომელშიაც დაყვითლებული და გაღარიბებული ჩერქეზები დგანან და ახლად გადმოსახლებულ რუსების კოლონიებია; გეტყვიან, რომ ეს კატკოვისა და ლეონტიევის მამულიაო, ეს სევერცოვის, ეს მამონტოვის, კრავჩენკოს და სხვა ამნაირ გვარებისა.

მას აქეთ, რაც ეს შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები დაპყრობილია, რამდენჯერმე ყოფილა სჯა, რომ აქ რუსები დაესახლებინათ.

აი, ახლაც ერთს რუსულს გაზეთში („გოლოს“) სწერენ, რომ რადგან იქაურ მემამულეებს მუშების შოვნა უჭირთ და მამულები ვერ შეუმუშავებიათ, ამის გამო განზრახვა აქვთ, შეიკრიბნენ, ერთათ გადასწყვიტონ — თუ რაგვარი საშუალებით შეიძლება აქ ხალხის გადმოსახლება და ამნაირათ მუშების გაიაფებაო, შემდეგ ეს გადაწყვეტილება მთავრობას უნდა წარუდგინონ.

ჩვენ არ ვიცით, ეს ხმა რამდენად საფუძვლიანია და მართალი.

მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ თუმცა ხსე-

ნებული ქვეყანა მშვენიერი და ბუნებით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ აქ რუსები და საზოგადოთ ბარიდამ გადმოსახლებული ხალხი ვერ გასძლებს. ბარის ხალხს სულ სხვა აგებულობა აქვს; მთაში ის ვერ იხეირებს, აგრეთვე როგორც მთის ხალხი ბარში. ჰავა, მიწა, წყალი ვერაფერი ვერ მიითვისებს.

ეს თვით ბუნების კანონია, რომელიც ჩვენშიაც ბევრჯერ გამართლებულა. ამბობენ, ნეტარ-ხსენებულ ვორონცოვმა სამოცი მოსახლე რუსი გარდაასახლა 1852 წელს ყირიმიდამ სადღაც ახალციხის მაზრაშიო და ამ სამოცი მოსახლიდამ ახლა, ოცდა რვა წლის შემდეგ, მხოლოდ ხუთმეტი თუ ოცი მოსახლე დარჩაო; დანარჩენი სულ ამოწყდაო.

რასაკვირველია, კაცი მუდამ ბუნებას ებრძვის და ცდილობს, რომ როგორმე დაიმორჩილოს. მაგრამ რაც ეს ბრძოლა უფრო გაადვილებული იქნება, რაც ბრძოლის დროს უფრო ნაკლები მსხვერპლი დასჭირდება, ისა სჯობიან. გაანაყოფიერონ ჩერქეზეთის უდაბნოთ გადაქცეული ადგილები, ისარგებლონ ისე, რომ რამდენიმე ათის სარგებლობას რამდენიმე ათასის ზარალი არ ამსხვერპლონ.

ვინც ამ გარემოებას მიიღებს მხედველობაში, ის ადვილად დაგვეთანხმება, რომ წინდახედულება, კეთილ-გონიერება და ანგარიში მოითხოვს, რომ თუ ჭსურთ ჩერქეზეთის ხელ-ახლად დასახლება, ისეთი ხალხი უნდა დაასახლონ იქ, რომლის აგებულება უფრო ადვილად აიტანს იქაურ ბუნებას, რომელიც იქ უფრო ადვილად იკხოვრებს და უფრო ნაყოფიერად იმუშავებს.

ამისთანა ხალხი თვითონ ჩერქეზეთის მოსამზღვრე ხალხია.

ქართული სამუდამო სცენა.

უკანასკნელი წარმოდგენები, და არა თუ მარტო უკანასკნელი—ყველა წარმოდგენები, რომელნიც ყოფილა აქ, გვიმტკიცებს, რომ ქალაქში სამუდამო ტრუპპის გამართვა შესაძლები საქმეა.

ხშირად ისეთს დროს ყოფილა ქართული წარმოდგენა დანიშნული, როდესაც, ერთის შეხედვით, ხარჯის აყენებაც გასაჭირი უნდა ყოფილიყო: ხან ავდარი ყოფილა, ხან აფიშა თვითონ წარმოდგენის დღეს გაუკრავთ, ხან ამავე დღეს ბევრი სხვა და სხვა თავ-შესაქცევი და გასართობი საღამოები, ბალები თუ სხვა რამ ყოფილა დანიშნული.

მაგრამ არც ერთს ქართულს წარმოდგენაზე არ ყოფილაოსე ცოტა ხალხი, რომ შემოსავალი გასავალს არ ასვლოდეს.

თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ ყოველ ქართულ წარმოდგენას უკანასკნელი 150 მანეთი და ხშირად მეტი გასავალი აქვს, რომ საზაფხულო თეატრში 250—350 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ქართული წარმოდგენის დროს თითქმის არასოდეს არ არის, მაშინ ადვილად დაგვეთანხმებით, რომ ქართული სცენა ისეთ საქმეთ შეიქნა, რომელსაც ანტრეპრენიორისთვის კარგი მოგების მიცემა შეუძლია.

შემდეგში, უეჭველია, დღითი—დღეზე, ეს შეგ-

ყავალი თან-და-თან იმატებს, რადგან ქართველ საზოგადოებას თან-და-თან გაეხსნება გემო და ის შეეჩვევა ამ გვარ სიამოვნებას.

ამის გამო ჩვენ მივმართავთ არა იმათ, ვისაც რაიმე ქართულისათვის გული შესტკივათ (ამისთანაებისადმი მიმართვით, როგორც სჩანს, არაფერი გამოდის), არამედ იმათ, ვისაც მხოლოდ თავის ჯიბისთვის შესტკივათ გული, ვისაც მხოლოდ თავის კერძო სარგებლობა აქვს მხედველობაში.

სულ უბრალო ვაჭრული ანგარიში დაიჭიროს; ამ მხრით შეხედოს საქმეს და, დარწმუნებული ვართ, იმ წამსვე დაინახავს, რომ სამუდამო სცენის გამართვა თფილისში ადვილად მოსახერხებელი და კარგი სარგებლობის მომცემი საქმეა.

ამ თავითვე საჭირო იქნება მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთის დახარჯვა ზალისა და სცენის გასამართავად. ტრუპპის შედგენა ხომ ისეთი ადვილი საქმეა, რომელზედაც ბევრი ლაპარაკიც არ ღირს: იმ ქვეყანაში, სადაც შექსპირის ტრაგედიებს ისეთი პირები არდგენენ და არდგენენ ჩინებულათ, რომელთაც თავის დღეში სცენაც არ უნახავთ, იმედია, აქტი რებისა და აქტრისების შოვნა არ გაჭირდება.

აქ ალაგი არ არის, რომ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ საგანზე (მით უფრო რომ ჩვენს გაზეთში ამაზე სხვა დროსაც ხშირად ბევრი რამ თქმულა), ოღონდ ჩვენ შეგვეძლო ნათლად გვეჩვენებინა მომავალი ჩვენი სცენის ანტრეპრენიორისთვის, რომ ამ საქმეს არც სხვა მხრით არავითარი დაბრკოლება, შიში და სამიზეზო რამ არ მოელის. სწორი საქმეაო — რომ ოტყვიან — ის არის.

ეგრე, იქონიეთ მხოლოდ ოტარდენი გამბედაობა-ნუ დაზოგავთ ოტარდენ ფულებსა და, დამიჯერეთ, რომ ამ საქმის ხელის მოკიდებას არ ინანებთ.

მეურნეობა და ვაჭრობა.

ყველასაგან ამ აზრს გაიგონებთ, რომ ჩვენ, ქართველები, მეურნეობის, მხვნელ-მთესველი ხალხი ვართ; თვით ბუნებას დაუნიშნავს ჩვენთვის სოფლის მეურნეობა და მემამულეობა. ვაჭრობა და ალებ-მიცემობა ჩ ქართველის საქმე არ არ.ს. ეს ხელობა სომხისა და ურიისთვის მიუნდვია ღმერთსაო.

ეს აზრი ისე გავრცელებულია ჩვენში, რომ თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან იმის ჭეშმარიტებაში და ამის გამო ათასში ერთ ქართველსაც ვერ ნახავთ, მგონია, რომ ამ ცრუ ჭეშმარიტების წინააღმდეგობა და ვაჭრობისათვის ხელის მოკიდება გაბედოს.

არავის გამოვედავებით: ძველ დროიდგანვე ქართველის ისტორიული ცხოვრება ისე იყო წამართული, რომ ხრმლისა და თავის ტყე-მინდვრის მეტი არა ახსოვდა რა. ის იყო მხედარი და მეურნე.

მაგრამ მას შემდეგ დროება შეიცვალა.

მხედრობაში ისე ხშირად აღარ ვარჯიშობს ქართველი, როგორც ადრე მკლავი დაუმოკლდა. იმის მხნეობა თან-და-თან შველებურ, მოსაგონებელ ამბათ ხდება. დარჩა მხოლოდ მეურნეობა.

კეთილ-შობილური, კარგი საქმეა ეს მეურნეობა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მარტო წარმოება ქვეყანას

ვერას უშველის: საჭიროა გასაღებაც; და ამ მხრით კი ჩვენ ერთობ ვსუსტობთ.

მშვენიერი, მოსაგლიანი, ბლომათ ჭირნახულის მომცემი ადგილები გვაქვს, ბევრი ტყე, წყალი და სხვა ყველაფერი, რაც მეურნეობის მიმდევარი ხალხისათვის საჭიროა. ხშირად ზოგიერთი რამ ნაწარმოები იმდენი მოგვყავს, რომ ბლომად გაყიდვა შეგვიძლია, გასაღება რომ ვიცოდეთ.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ქართველს თითქმ. რცხვენიან ვაჭრობა. იმერელ აზნაურსა და განსაკუთრებით თავადიშვილს როგორ გაუბედავ თქმას, რომ ვაჭრობა და აღებ-მიცემა დაიწყოს! „მამიჩემის შვილს რავა ეკადრება მაგი ხელობა! ურიები რაღას გვიკეთებენო?“—გეტყვისთ. და როცა ერთი-ორი თუმანი დასჭირდება, მაშინ კი ამავე ურიას მიმართავს, დაეღრიჯება, თეთქმის ფეხქვეშ ჩაუვარდება და წელიწადში ნასესხებ თუმანზე თუმანს სარგებელს აძლევს!

ტფილისში ბევრს სარდაფს ჰხედავთ, რომელზედაც აწერია, რომ ეს ამა და ამ კახელი თავადიშვილის ღვინის სარდაფიაო, მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ამ სარდაფებში ერთიც არ არის ჩვენებური თავადებისა: ყველა სომხებს აქვთ აღებული. ისინი ვაჭრობენ, ისინი იგებენ.

ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო ცოტაა შუამავალი მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა, ისა სჯობია. რაც უფრო ცოტაა საკუთრივ ვაჭრები, მით უფრო ბედნიერია ქვეყანა. ვაჭარს ამ შემთხვევაში მე იმას ვეძახი, ვინც წარმოებაში არ ურევია, ვინც მწარმოებლისაგან იაფად ყიდვით და მომხმარებელზე ძვირად გა-

ყიდვით თვითონ სარგებლობს, მხოლოდ თვითონ ისქელებს ჯიბესა.

რიგიანი, ნორმალური ვაჭრობა და ალებ-მიცემა ის არის, როდესაც სოფლის ანუ ქალაქის მწარმოებელი თვითონ პირ-და-პირ ჰყიდის თავის ნაწარმოებს მომხმარებელზე და მწარმოებლის შუამავალი ვაჭარი არ არის.

სანამ ამ დროს არ მოვესწრებით, სანამ ჩვენი სოფლის მეურნეობის მიმდევარი ხალხი თვითონვე პირ-და-პირ არ გაასალებს თავის ნაწარმოებს, მანამ საქართველო სიღარიბისა და უფულობისაგან თავს ვერ დაახწევს.

ხალხის გაცნობა.

ამ ორი-სამი წლის წინად, ერთი განათლებული ფრანგი გავიცანი ქალაქში. ფრანგს თითქმის ფეხით დაევლო მთელი იმერეთი, გურია, სამეგრელო და ახლა ამგვარათვე ქართლისა და კახეთის დავლას აპირებდა.

ისეთი ამბები მელაპარაკა თავის ახლად გაცნობილ მხარეებზე, ისე დაწვრილებითა და დალაგებით მიამბო იქაური ხალხის ცხოვრებაზე, ბუნებაზე, ადგილების მდებარეობაზე და სხვა, რომ მე იმის ნახევარსაც ვერ ვიტყოდი.

მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, შემრცხვა, რომ ამ უცხო ვილაც კაცმა, რომელიც მხოლოდ ცნობიერ-მოყვარეობისაგან აღძრული დაბარებოდა ჩვენში, უფრო მომეტებული იცოდა ჩვენს ქვეყანაზე, ვიდრემ მე.

— თქვენი უბედურება ის არისო, მითხრა იმან ბო-

ლოს, რომ თქვენს ქვეყანასა და თქვენს ხალხს ვერ იცნობთო. როგორ გნებავთ, ქვეყანას სარგებლობა მოუტანოთ, საზოგადო საქმეებისთვის როგორ ჰზრუნავთ, როდესაც თქვენ ამ ქვეყანას არ იცნობთ, ამ ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილება არ იცითო?!

უნდა გავმტყუდარიყავ, რომ ამ სიტყვებში ჩემთვის, და არა თუ მარტო ჩემთვის—ყველა ქართველებისათვის მწარე ჭეშმარიტება იყო.

სამზღვარგარეთ ყოფნის დროს, მე მაკვირვებდა ის გარემოება, რომ სადაც არ უნდა წავსულიყავ საფრანგეთში და შვეიცარიაში, ჯგუფ-ჯგუფად ვხედავდი ხოლმე ფრანგებსა და შვეიცარიელებს, რომელთაც ზურგზე პატარა ფუთა აეკიდნათ, ხელში დიდი ჯოხი დაეჭირათ და ამნაირათ ქვევითად დაიარებოდენ თავიანთ ქვეყანაში; ათვალიერებდენ ყველაფერს, რაც ყურადღების ღირსიც იყო, ცნობილობდენ ბუნებას, ხალხის ცხოვრებას, საჭიროებას, მოთხოვნილებას და სხვ.

ჩემს დღეში არ გამიგონ ა, რომ ქართველს ამისთანა საქმე ჩაედინოს

არა თუ მთელი საქართველოსა და იმის ხალხის გაცნობა, თითოეული ჩვენგანი იმ სოფელსაც, იმ ქალაქის ცხოვრებასაც კარგათ ვერ ვიცნობთ, სადაც დავბადებულვართ და გავზდილვართ. თითქო ჩვენი ღირსების დამამცირებელ და უსარგებლო საქმედ მიგვაჩნია ჩვენი მდაბიო ხალხში ცხოვრება, იმის საჭიროების გაგება, იმის მოთხოვნილების შეტყობა. ჩვენი საქმე ქალაქში ცხოვრებაა, ქალაქური დროს გატარებით დატკბობა, ნასწავლ (?) მეგობრებთან და ამხანაგებთან სვხა და

სხვა თეორეტიულ საგნებზედ ფილოსოფიურათ სჯა და ბაასი!..

რა ძალა და გავლენა უნდა ექნეს იმ კაცის სიტყვასა და საზოგადო მოქმედებას, იმ კაცის ქადაგებას, რომელიც თითქმის სრულებით ვერ იცნობს ხალხს, რომელსაც უქადაგებს, ქვეყანას, რომელსაც ეხმარება, და საჭიროებას, რომლის დაკმაყოფილება განუზრახავს?

აი, ამ ერთმანეთის უცნობლობისაგან, ამ ხალხთან დაშორებისაგან წარმოსდგება ის საძაგელი გაუგებლობა და უთანხმობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ნაწილებს შუა არსებობს; წარმოსდგება ის დაუნდობლობა, რომელიც ჩანერგულია ხალხში ჩვენი განათლებულებისა და ეხალგაზდობისადმი.

ნურავინ დაივიწყებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ვისაც საზოგადოებაში მოქმედება და ხალხის ნდობის მოპოება ჰსურს, ის ყველაზე პირველათ ამ საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებასა, საჭიროებასა და ვითარებას უნდა იცნობდეს.

უამისოთ ყველა იმის მოქმედება, ყველა იმის სიტყვა და ქადაგება დარჩება ეხმათ მღალადებელათ უდაბნოსა შინა".

ოსმალოს საქართველო.

რამდენიმე მაზრა,—როგორც ამბობენ, თითქმის ორასი ათასი შთამომავლობით ქართველი—დღეს თავის დედა-ქვეყანას მოწყვეტილია და ოსმალოს ექვემდებარება.

აჭარა, შავშეთი, ლაზისტანი ერთ დროს საქართველოს ნაწილები ყოფილან. დღეს, სხვა და სხვა ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ოსმალოს პროვინციებად შექმნილან.

საუკუნოებს გაუვლია, რაც ეს ქვეყნები ოსმალოს დაუპყრია, რაც ოსმალო ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა.

მაგრამ, დახეთ ქართველი ტომის სიმტკიცეს,—რჯულის მეტი, იმათ არა შეუცვლიათ რა, და ისიც ეხოლოთ ძალ-დატანებითა და სხვა-და-სხვა ოსმალური ოქნებით შეაცვლევინეს.

სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუ-მორწმუნეობაც და ცხოვრება ისევ ძველი ქართველური აქვთ.

ავტორი ბროშურისა „Три мѣсяца въ Турецкой Грузіи,“ რომელმანც 1874 წ. რამდენიმე ნაწილი ოსმალოს საქართველოსი მოიარა და ბევრი საინტერესო ცნობა გადმოგვცა იქაურს ქართველებზე, თავის აღწერაში ერთს ალაგას ამბობს:

„... აჭარლებმა იციან თამარ დედოფლის სახელი. ყველგან გაიგონებთ აქ, რომ ჩვენ ერთ დროს ქრისტიანები ვიყავითო; რომ მთებს იქით ცხოვრებს ჩვენი მოძმე და ნათესავი ხალხი—ქართველებიო. იმათს ნაამბობში ისმის სინანული, რომ ერთ დროს ძლიერნი, ახლა ასე დაცემულნი ვართო... მომავალში რაღასაც იმედი აქვთ.“

შავშეთის მცხოვრებლებზე ესევე ავტორი ამბობს:

„შავშეთში დიდმა და პატარამ იცის, რომ იმათი-

ქვეყანა ძალიან მოგლეჯილია საქართველოზე, რომ იმათი წინაპარნი ქრისტიანნი იყვნენ.“

ამასვე ამბობს ლაზისტანის ქართველობაზედაც.

ერთი სიტყვით, მთელი ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვს, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი; ხალხი თუმცა დიდიხანია გამაჰმადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებიან თურმე იქაურს ქართველ ეკკლესიების ნანგრევებში და შესაწირავი მიაქვთ. იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრნია, ერთ ბედისა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ; ერთი მეფეები გვყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება.

ეს ყველა იმათ ახსოვთ, იმათ იციან.

მაგრამ ჩვენ?

ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე, მთებს გადაღმა ორას ათასამდი ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ, რომ ჩვენ შორის, განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ იმათ ძალ-დატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა საჯელმწიფოს ექვემდებარებიან?

ან თუ ახსოვს ვისმეს, ვინ ცდილობს, რომ ჩვენ შორის ისტორიულ ვითარებათა წყალობით გაწყვეტილი კავშირი და იმათი მდგომარეობა გაეცნო, და აგრეთვე ჩვენი თავიც გაეცნო ჩვენი მოძმეებისათვის.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან. ახალს ქართ-

ულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იმათ-ზედ!

ისინი ჩვენ ძმებად გვთვლიან და ჩვენ კი იმათ ოსმალოებათ ვრაცხავთ. არ ვიცნობთ, არ გვინდა გავიცნოთ!

ზნეობითი და სხვა ყოველგვარი მოვალეობა ანგარიში მოითხოვს, რომ ჩვენც ისე ძმურათ უყურებდეთ იმათ, როგორც ისინი ჩვენ გვიყურებენ.

იმედია, არავინ არ ჩამოგვართმევს ურიგოთ და უადგილოთ „დროების“ რედაქციის ნატვრასა, რომ ბრისპოს ეს განკერძოება ჩვენსა და ოსმალოს ქართველებს შუა, რომ ძმებმა ერთმანეთი დაახლოვებით გავიცნოთ...

ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს, მცირეც არის, ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში.“ გაზეთს ჯერ-ჯერობით მხოლოთ ამ საშუალებით შეუძლიან დაეხმაროს ამ საქმეს...

ისეთმა ფურმა დაგწიხლოს...

(ვუძღვნი „ბაზ. ფავკაზს“)

სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ დაბეჭდა ამას წინათ ერთი სტატია, რომელშიაც მოყვანილი იყო ის აზრი, რომ, თუმცა „კავკასია“ მჭიდროთ არის რუსეთთან პოლიტიკურად, ეკონომიურად და ზნეობრივათ დაკავშირებულია, მაგრამ რუსეთის ნეურნალისტები ჩვენს მხარეს ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევსო; არც ადგილობრივი

და არც სატახტო გაზეთები თითქმის სრულიად არ ეხებიან კავკასიასა, არ ცდილობენ სომხური და ქართული გაზეთებიდამ მაინც გამოკრიბონ საინტერესო ცნობები ჩვენს მხარეზეო და ამნაირად გააცნონ კავკასია რუსეთის ხალხსაო.

ამის წინააღმდეგის თქმა არ შეიძლება.

მაგრამ რაც შეეხება ამის ახსნას, ამის მიზეზის განმარტებას, ვერ ვიტყვით, რომ სატახტო გაზეთების მხრით ამ შემთხვევაში მარტო დაუდევრობა და უყურადღებობა იყოს მიზეზი.

უფრო მოგვწონს ის ახსნა ამ გარემოებისა, რომელიც „თფილისის მოამბეს“ მოჰყავს. ის ამბობს, რომ პროვინციალურ გაზეთებს ამ ჟამად ძალიან ხშირად არ შეუძლიათ ადგილობრივი ცხოვრების ისეთს მხარეებს შეეხონ, რომელნიც უფრო საინტეროსონი არიანო, სხვა და სხვა გარემოება ნებას არ აძლევსო იმათ, რომ პროვინციის ცხოვრების სარკეთ იყვნენ, რომელშიაც ნათლად გამოჩნდებოდეს ყოველივე, რაც ყურადღებისა და ხილვის ღირსიაო.

ჩვენმა პროვინციალურმა გაზეთმა „კავკაზმა“ კი სულ სხვა მხრივ შეხედა ამ საქმეს. იმის აზრით, უმთავრესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ სატახტო და ადგილობრივი რუსული გაზეთები სომხური და ქართულ გაზეთებს ყურადღებას არ აქცევენ ის არის, რომ იმათში ისეთი რამეები იბეჭდება, რასაც კაცი ვერ დაენდობაო და რაც სრულებით საინტერესო არ არისო. „მშაკის“ რედაქტორი გაზეთის დაარსებიდამვე ყველაზე უფრო მოშეტებულს თავის თავზე, თავის „მე.“—ზე სწერსო და საე-

კკლესიო საქმეებისა და შკოლების თაობაზე ეკინწლავე-ბა მეორე სომხურ გაზეთს „მეღუ ჰაიასტანსო“.

ჩვენი „დროება“-კი პატივცემული „კავკაზის“ აზრით-წმინდა იმერული გაზეთია და ისეთს ამბებს ბეჭდავს, რომლების დაჯერება შეუძლებელია, ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობას ამ გაზეთში ვერ დაინახავთო, სულ მოგონილი ამბები სწერიაო, როგორც მაგალითად ამას წინად მცხეთაში ერთი მღვდლის თავის-მოკვლა და ეკკლესიის გაქურდვა გვაცნობაო და სხვა და სხვა.

ბოლოს „კავკაზი“ მოგვმართავს ჩვენ, ადგილობრივ გაზეთებს, და გვეუბნება: სანამ თქვენი რედაქციებიდამ არ განდევნით ისეთს თანამშრომლებს, რომელნიც ტყუილ ამბებსა და შეუსაბამო სტატიებს იწერებიან, მანამ ნუ მოელითო, რომ „კავკაზმა“ თქვენს ნაწერებს ყურადღება მიაქციოსო(?)

მოდით და ნუ გაგეცინებათ ამისთანა სიტყვებზე! კაცს ეგონება, მართლა რომ ჩვენ მუხლ-მოდრეკით ვეევედრებით გაზეთს „კავკაზს“, (რომელიც თვითონ მხოლოდ თავის ოფიციალური მხრით არის ყურადღების ღირსი), რომ ჩვენ ყურადღება მოგვაქციოს!

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზე მეტს იწველიდესო“, ისეთმა გაზეთმა მოგვცეს შენიშვნები და დარიგება, რომელსაც ჩვენზე უკეთ ესმოდეს და მიჰყავდეს გაზეთისა და საზოგადოდ ჟურნალისტიკის საქმე!

თორემ „კავკაზის“ შენიშვნებს, იმ „კავკაზის“, რომლის ფურცლები უაზრო მიდებ-მოდებითა, ფუტურო სტატიებითა და ფელეტონებით არის სავსე, რომელიც წელიწადებს ისე ატარებს რომ აქაურს მხარეზე, აქაურ ხალხის მდგომარეობაზეოდ საჭიროებაზე ორ სიტყვასაც

არ ამბობს, რომელიც, როგორც ამას წინად ვსთქვით, ყველაზე უფრო საშუალო აზიის საქმეებს ეტანება, რომელიც მთელ სტატიებს სხვა გაზეთებიდამ ჰკრეფავს, რომელმაც თვითონ ამას წინად გამოაცხადა ბელიაევის ცოლის სიკვდილზე ისეთი ამბავი, რომელიც მხოლოდ რედაქციის ფანტაზიის ნაწარმოებია,—ვამბობთ, ამისთანა გაზეთის შენიშვნებსა და დარიგებას რა მნიშვნელობა, რა ძალა უნდა ჰქონდეს?

უმორჩილესად ვსთხოვ ბ-ნ „კავკაზის“ რედაქტორს, გაიხსენოს ის დრო, როდესაც იმას გაზეთის გამოცემა მიანდვეს და ორს „დროების“ თანამშრომელს (რომელთაც, თუ საჭიროებაა მოითხოვს, დავასახელებთ) სთხოვდა, რომ იმის გაზეთში ეწერათ, რისთვისაც წელიწადში ასორმოცდა-ათ თუმანს პირდებოდა!

თუ ამისთანები არიან „დროების“ თანამშრომელნი, თუ იმათ ერთი სიტყვაც არ დაეჯერებათ, მაშ რად გინდოდათ ისინი თქვენს გაზეთში? რად სთხოვდით თანამშრომლობას? რად სთხოვდით, რომ რაც „დროებაში“ იბეჭდება, ის მაინც ეცნობებინათ თქვენთვის?

მაგრამ მაშინ თქვენ გამოუცდელი იყავით(?), მაშინ არ იცოდით, რომ ხშირად ხსენება თქვენს გაზეთში ადგილობრივი გაზეთების სახელისა შეიძლებოდა, თქვენთვის მავნებელი შექნილიყო, რადგან ოფიციალურად მკითხველები ამ გაზეთებს დაიბარებდენ და თქვენსას ეი მიატოვებდენ.

ახლა კი უფრო გამოცდილი რედაქტორი(?) ბრძანდებით: ახლა კარგად გესმისთ პრაქტიკული მხარე გაზეთის გამოცემისა, გინდათ, რომ თქვენმა მკითხველებმა სხვა გაზეთების არსებობა

იცოდენ

ეს ვაჭრული ანგარიში გახლავთ ნამდვილი მიზეზი, რომ თქვენ არაფერს ჯერ გადაბეჭდავთ ხოლმე ადგილობრივი ქართული და სომხური გაზეთებიდამ, თუშცა რა საკვირველია, ამაშიაც, როგორც საზოგადოდ ხშირად შემცდარნ ბრძანდებით...

ამას გარდა, თავ-მოყვარეობა ნებას არ გაძლევთ, იმ გაზეთების მასალებით ისარგებლოთ, რომელნიც თქვენს რედაქტორობას ლიმილით შესცქერიან და თქვენნი მოწინავე სტატიებისა და ბოდვის მსგავსი ფელეტონების კითხვის დროს მწუხარებით ფიქრობენ იმ მკითხველების მდგომარეობაზე, რომელნიც, იქნება, ამ თქვენს ბოდვას ძალა-უნებურად ჰკითხულობენ.

კიდევ ქართულ თეატრზე.

ამ გაზეთში ბევრი რამ თქმულა ამის დასამტკიცებლათ, რომ ქართული სცენის გამართვა თფილისში ყოვლის მხრით სასარგებლო საქმე არისო, რომ იმ ზნეობით სარგებლობას გარდა, რომელსაც ქართული სცენა უეჭველათ მოუტანს ჩვენს საზოგადოებასა და ლიტერატურას, პირ-და-პირი ვაჭრული ანგარიშის მხრითაც სასარგებლო იქნება ამ საქმის ხელის მოკიდებაო.

ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ერთსაც კიდევ ვიტყვით, და ეს, იმედია, ურწმუნოებსაც დაარწმუნებს იმაში, რაშიაც დიდი ხანი უნდა დაჯერებულიყვნენ:

აქაურის თეატრის კასირს, რომელიც ეს ათი წუთმეტი წელიწადია, ძალა-უნებურათ ადევნებს თვალ-ყურს ქალაქის თეატრის მდგომარეობას, რომელმაც ყველა

ქართული წარმოდგენებისა და საზოგადოთ თეატრის საქმე კარგათ იცის, ეჯერთის ვისმეისთვის წინადადება მიუცია, ქართული ტრუპპა შევადგინოთ და რიგიანი წარმოდგენები გავმართოთო.

ჩვენ არ ვიცით, მოიყვანს უფ. პეტროვსკი ამ აზრს სისრულეში, თუ არა; ჩვენთვის ყურადღების ღირსი მხოლოთ ის არის, რომ ეს აზრი—ქართული ტრუპპის შედგენა—ისეთის კაცის თავში დაიბადა, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის ერთის მხრით თეატრის საქმე და მეორეს მხრით ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილება.

უეჭველია, რომ ამ საქმეში ბ-ნ პეტროვსკის მხოლოთ ვაჭრული ანგარიში აქვს მხედველობაში; იმას კარგათ აწონილი და გამოანგარიშებული ექნება, რომ ქართული თეატრის გამართვა სასარგებლო იქნება ყველაზედ უპირველესათ იმის-საკუთარი ჯიბისათვის: გარეშე კაცი მხოლოთ ამ პირობით იფიქრებდა ამგვარი საქმის ხელის მოკიდებასა. ეს ცხადია...

აი, ნახავთ, თუ აქაც ისევ არ დაგვემართოს ჩვენ, როგორც ჩვენს ზოგიერთ მადნისა და მამულის პატრონებს ემართებათ: მოუხერხებლობისა და უთავბოლობის გამო თვითონ ვერ ვკიდებთ ხელს, ვერ გვისარგებლია და პირ-ღია ვუცდით, სანამ უცხო ვინმე, უფრო გამჭრიახე კაცი არ გაჩნდება, არ დააფასებს ჩვენს სიმდიდრეს და ხელიდამ არ გამოგვაცლის, და როცა ეს უცხო კაცი გასაოცრათ იგებს, რამდენიმე წლის განმავლობაში მდიდრდება, რატომ თვითონ ჩვენ არ ვიგებთ, არ ვსარგებლობთო?!

თეატრის თაობაზედაც ამგვარივე მომავალი მოგველის: უფ. პეტროვსკი თუ არა, სხვა ვინმე უცხო ქვეყ-

ნელი გვაჩნდება, ნათლად უდასინახავს, რომ ქართული სცენის გამართვა სასარგებლო საქმეა, შეადგენს ტრუპპას და მთელ მოგებას ჯიბეში ჩაილაგებს.

მაგრამ ფულის მოგება იმდენი დასახარბებელი არ არის, როგორც ის, რომ ამგვარი კაცი თვითონ სცენისა და საზოგადოებისათვის არაფერს ეცდება; იმას მხოლოდ იმაზე იქნება ყურადღება მიქცეული,—რომ როგორმე მომეტებული ფული მოიგოს და ოღონდ საზოგადოება ბლომად დაიარებოდეს, და პიესების ღირსებას, საზოგადოების გემოსა და გონებრის გახსნას ის არ დაგიდევს.

ჩვენის აზრით, ეს ისეთი გარემოებაა, რომელზედაც ურიგო არ იქნება, რომ ჩვენი მოწინავე კაცები, ჩვენი საზოგადოება დაფიქრდეს.

რა მოეთხოვება გაზეთს?

I

ამ სამი-ოთხი თვის წინად, ლონდონში იყო კრება ერთი საზოგადოებისა, რომლის მიზანია, ღარიბ მწერლებსა და განსაკუთრებით ჟურნალისტებს დაეხმაროს. კრებაზე ბევრი გამოჩენილი მწერლები, მინისტრები და დეპუტატები დაესწრენ. როგორც ყოველ კრებას შეფერის ინგლისში, აქაც რამდენთამე პირთა სიტყვა წარმოსთქვეს; ორატორებმა განმარტეს ერთის მხრით კერძოთ ამ საზოგადოების მოვალეობა და სარგებლობა და მეორეს მხრით პერიოდული ლიტერატურის (გაზეთ-ჟურნალების) მნიშვნელობა.

ამ სიტყვებში ფანსაკუთრებით ერთი ორატორის სიტყვამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, ავსტრიის ელჩმა ინგლისში, გრაფ ბეისტმა, სხვათა შორის, შემდეგი წარმოსთქვა:

„ტყუილად კი არ ამბობენ, რომ პერიოდული ლიტერატურა მეექვსე ნაწილი არის დედა-მიწისაო, ახლანდელს დროში გაზეთი ისეთი ძალაა, რომელსაც ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, მუდამ დაეკითხოს, რომლის აზრი და ქადაგება მუდამ მხედველობაში უნდა ქონდეს; ერთი სიტყვით, გაზეთი ახლა სახელმწიფოში სახელმწიფოს შეადგენს“.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ევროპისა და ამერიკის განათლებული ქვეყნების დროგამოშვებითს ლიტერატურას, ის, უეჭველია, ადვილად დაეთანხმება გრ. ბეისტის სიტყვებს

და თუ მართალია ის, რომ გაზეთი არის გამომთქმელი საზოგადოების აზრებისა და ლტოლვილებისა, რად უნდა გაგიკვირდეთ, რომ ის ნამდვილ „ძალას შეადგენს“, რომ თვით „მმართებლობა უნდა დაეკითხოს“ და ყური უგდოს იმას.

სხვა არა იყოს რა, ამაში ის უბრალო გარემოებაც გვარწმუნებს, რომ ევროპაში ყველა მმართელობა ცდილობს, რაც შეიძლება, მომეტებული მოგბრე ყავდეს ლიტერატურაში, ცდილობს, რაც შეიძლება, კარგად მოიხსენიებდენ გაზეთები ყოველ იმის მოქმედებასა და განკარგულებას. ნეტარ ხსენებული ნაპალეონ მესამე ყოველ წელიწადს რამდენსამე მილიონს ხარჯავდა მხოლოდ ყულმდაბალი გაზეთების მოსასყიდველად, რომელთა მოვალეობა იყო, რომ იმის მმართველობა ექოთ.

მარტო თეორეტიული აზრების გავრცელებასა და სიტყვითს ქადაგებაში-კი არა აქვთ ევროპისა და ამერი-

�ცვალებულებს მნიშვნელობაზე. ეარა, იმათი მნიშვნელობა თვით საქმეშია, თვით პრაქტიკულ ცხოვრებაში და მთელი ხალხის ბედზე გავლენაში. გაზეთებისა და ლიტერატურის საშუალებით, ეს თითქმის ყოველ გვარ პრაქტიკული საქმე ორიგდება.

იმათი გამოწვევა და თანაგრძნობა საკმარია, რომ მთელი კამპანიები შესდგეს და რომელსამე საქმეს მიეცეს ხელი.

იმათი განწირულება საკმაოდ, რომ ბერძნ ბირმა ანუ დაწესებულებამ ხელი აიღოს იმ საქმეზე ან ფანზრახვაზე, რომელიც გაზეთების აზრით, საზოგადოებისათვის მავნებელია.

ამა, თუ ეს რომელიმე მმართველობა გაბედავს ისეთი რომელიმე სახელმწიფოს ცვლილების, მოხდენას ანუ უბრალო კანონის გამოცემას, რომლის წინააღმდეგი გაზეთები არიან, რომელსაც ყველა გაზეთები აძაგებენ და ჰკიცხვენ?

თითქმის ყოველი კეთილი საქმე, ყოველი რეფორმა მმართებლობისა, წარმატება საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლების გზაზე წინ-წასვლა და სხვა ყველაფერი, გაზეთებისა და ლიტერატურის შემწეობით, რჩევითა და ან მოთხოვნილებით ხდება და სრულდება ხოლმე.

აბ, ამისთანა ძალა ექვს ნაბეჭდ სიტყვას! და ეს ძალა ამიტომ აქვს სიტყვას, რომ ის არის საქმის წინამორბედი: ჯერ ითქმება რამე, გავრცელდება ხალხში და მერე საქმითაც შესრულდება.

პირველად სიტყვა იყო ქრისტესი—და მერე ეს სიტყვა განხორციელდა: დაფუძნდა დედა-მიწაზე იმის სწავლა,

ჯერ სიტყვით ქადაგობდენ მწერალნი საფრანგეთის დიდ პრინციპებს; მერე სიტყვა საქმეთ გადაიქცა და ეხლაც იქცევა.

პირველად სიტყვითა ამბობდენ, რომ ყველა კაცები —ძმები და თანასწორნი ვართო; მერე საქმეთ იქცა: ბატონ-ყმობა ჩვენშიაც კი მოისპო, და ახლა დედა-მიწაზე უფრო თანასწორობა ფუძნდება.

ჯერ სიტყით ამბობდენ და ამტკიცებდენ, რომ ქალიც ადამიანი არისო, რომ იმასაც ყველა ის უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რაც კაცებსა აქვსო; ახლა ეს სწავლა ზოგან შესრულდა და ზოგან მომავალში შესრულდება.

აი, ამიტომ აქვს სიტყვას ასეთი საშინელი ძალა; აი, ამიტომ აქვს გაზეთებსა და ლიტერატურას ასეთი მნიშვნელობა განათლებულს ქვეყნებში!

II

რა მოეთხოვება ჩვენს, ქართულს გაზეთსა და საზოგადოდ დრო-გამოშვებითს ლიტერატურას?

ეს ისეთი კითხვაა, რომელზედაც გულ-წრფელი და ჭეშმარიტი პასუხის მიცემა ახლა ცოტა არ იყოს გაგვიჭირდება.

ამას კი ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ჟამათ ჩვენს პერიოდულ ლიტერატურას ყველა ის არ მოეთხოვება, რაც მოეთხოვება სხვა ქვეყნების პერიოდულ ლიტერატურასა. ეს ცხადია ყველასთვის, ვინც ჩვენსა და იმათ მდგომარეობას და სხვა-და-სხვა გარემოებებს შეადარებს ერთმანეთში.

მაგრამ ისეთი პირები არიან ჩვენში, რომელნიც ამ მდგომარეობასა და გარემოებებს თითქო სრულიათ არ აქცევენ ყურადღებას და, ყოვლის მიუხედავათ, ესაყვედურებიან ჩვენს პერიოდულ ლიტერატურაშ, რომ იმის ვალდებულება ესა და ეს იყო და არისო და სანახევროთაც ვერ შეასრულა და ვერ ასრულებსო.

„კრებულს," როგორც ჟურნალს, ესა და ეს უნდა მოეხდინაო, ესა და ეს უნდა გაეკეთებინა, ესა და ეს აზრები უნდა დაემკვიდრებინა საზოგადოებაშიო.

„დროება" მოვალე იყო, ამა და ამ საგნებზე მოელაპარაკნა, ამა და ამ კრიზისვაში ასე უნდა მოქცეულიყო, ამა და ამ დროს ასე უნდა სჯიდეს, ასე უნდა იქცეოდესო!

პროგრამის დაწერაშ, დარიგებაშ და ცარიელი სიტყვიერ თქმა—ძალიან ადვილია... ძალიან ადვილია ვისიმე გამტყუნება და განკიცხვა—რატომ ასე მოიქცა და არა ისეო: მაგრამ ერთი თქვენც სცადეთ, ჩადექით იმ კანში, რომელშიაც პერიოდულ ლიტერატურის მოთავენი ყრიან, და მაშინ ვნახავთ—ადვილია რაშ იტყვით; მხოლოთ მაშინ შეგიძლიათ, გადაწყვიტოთ: რამდენათაც შესაძლებელი და ადვილია ბ ქვენი თეორეტიულ ბ პროგრამითა და რჩევით მოქმედება და საქმის წაყვანა.

როცა ამ საგანზე დავიწყებთ სჯას, არასოდეს აარ გვავიწყდება, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენს პერიოდულ ლიტერატურას და საზოგადოთ მთელ მწიგნობრობას თითქმის სრულიათ არ მიუწვენია პირ-და-პირ ნამდვილ ხალხამდინ; ხალხმა, ქართველმა სოფლის გლეხმა ჯერ კითხვაც არ იცის; ის არ იცნობს ჩვენს ლიტერატურას;

ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ იმას არც ეწიგნება და არც ეგაზეთება.

ყველაფერი, რაც დღემდი ქართულს ენაზედ გამოსულა და გამოდის, ეზეკდება ერთ მუჭა თავადაზნაურობისათვის, რომელიც ჩვენს მკითხველს საზოგადოებას შეადგენს.

თუმცა, „კისკარს“ გარდა, ვერც ერთ ქართულს ჟურნალსა და გაზეთს ვერ შესწამებენ, რომ ამ მიზეზის გამო, ჟურნალ-გაზეთებს ოდესმე ჩვენ, თავადაზნაურობისთვის საკმეველი ეკმიოსთ; მაგრამ უეჭველია, რომ ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულს ლიტერატურის მიმართულებაზე.

როგორც ეს თავად-აზნაურობა, ეს ესრეთ-წოდებული მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა, აგრეთვე მთელი ქართველობა ამ ჟამათ ისეთს მდგომარეობაშია, რომ თითქო ავიწყდება ყოველივე მშობლიური; ავიწყდება სამშობლო ისტორია, ძველი ქართველების მნე და ხან-და-ხან დიდებული ცხოვრებაც, ავიწყდება სამშობლო ენა, ყოველივე ნაციონალური თვისება და ხასიათები; ავიწყდება და თითქო გულ-ხელ დაკრეფილი ღვთის განგებას და თავის ბედის-წერას მიენდო, უძნელდება აწმყო ცხოვრება, ეზარება წარმოდგენა მომავალი ბედისა და ცხოვრებისა.

ისტორიული ცხოვრებისა თითქმის სრულიათ განცალკევებულ ხალხათ გაუხდია ქართველი ხალხი: რუსეთს გარდა, არც ერთის განათლებული ხალხის წარმატებასა, წინამსვლელობას არა ჰხედავს, რომ იმათ მაგალითს მიბაძოს, რომ იმათი მაგალითებითა და შეძინებით

ისარგებლოს. თითქო მიძენებულ ჩინეთსავით ერთ წერტილზე გაყინვას აპირებსო.

ამისთანა დროში, ამისთანა გარემოებაში ქართულს ლიტერატურას ერთი მოვალეობა აქვს: თვალი გამოაჭყეტინოს ხალხს; წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და ეკანათლებული ხალხების გაცნობით გამოალვიძოს, გააგებინოს, რომ ერთს წერტილზე გაჩერება დამღუპველია ხალხისთვის, რომ ვისაც სიცოცხლე, კაცური სიცოცხლე სურს ამ დედა-მიწაზე, ის ყველაზე პირველათ ხელს უნდა ანძრევდეს, თავისი თავს უნდა იცნობდეს, თავის სამშობლო ენას არ უნდა ივიწყებდეს.

ყველაზე უფრო საშიში ის არის, რომ ხალხი თავის ქვეყნის საქმეებს და სამშობლო ენას გულ-გრილათ დაუწყებს ცქერას. და ეს ზედი მოელის ქართველ ხალხს...

თუ ამ დროის ქართულმა ლიტერატურამ იმდენი ძალა და გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ ამ გზას ააცილა ქართველობა, თუ ცოტათი მაინც შეაყვარა ქართველს ენა, ქართველების სამშობლო და რამდენიმე ასეთი აზრი დასთესა საზოგადოებაში, რომელიც ქართველს თვალებს გამოაჭყეტინებს და წარმატებასა და უკეთესი მომავალის სურვილს აღუძრავს,—ამის მეტს, ახლანდელ მდგომარეობაში, ქართულ ლიტერატურას ნურასა მოსთხოვთ: ესეც დიდი დამსახურება იქნება.

ჩვენი მოვალეობა.

ქვემოთ, „დღიურში“, წაიკითხავთ ოსმალოს საქართველოდამ მოსულს ამბებს, რომლიდამაც დაინახავთ, რომ ოსმალოს სასტიკი მმართველობისაგან დაწიოკებული და შევიწროებული ქართველები სრულიათაც არ ფიქრობენ დამშვიდებასა და დამორჩილებას.

მოძრაობა ქობულეთიდამ ლაზისტანში და აჭარაშიც ვრცელდებაო, — გვატყობინებენ.

ვინც გაზეთებს მაინც თვალყურს უდევნებს, იმანიცის, თუ როგორ ეპყრობა ოსმალეთი ფავის ქვეშევრდომ ქრისტიანებსა.

ჯერ მშვიდობიანობის დროსაც ოსმალთა მმართებლობის მოხელეები: ფაშები, მუდირები და უბრალო წვრილი ჩინოვნიკებიც კი ყოველ ხარჯს ერთიორათ ახდევინებენ, ადამიანათ არ სთვლიან, ყოველს შემთხვევაში ავიწროებენ ქრისტიანებს; მაჰმადიანებთან მუდამ ისინი არიან დამნაშავე. ვაი იმ ქრისტიანს, ვინც მდიდარია ვაი და უი ამას, ვინც მაჰმადიანის შეგინებასაც შეურაცხყოფას გაბედავს!

ეს მშვიდობიანობის დროს, ახლა აჯანყების დროს რალა უნდა იყოს!

ნახეთ ჰერცოგოვინის და ბოსნიის მდგომარეობა და მაშინ გაიგებთ. სარწმუნო პირები იწერებიან ამ ქვეყნებიდამ, რომ საცა კი აჯანყებული ქრისტიანი ჩაუვარდა ხელში ჯარს, შებრალებას ადგილი არ ქონდაო; ტყვეები იმათ არ იციანო: დატუსაღებულებს განუკითხავათ თავს კვეთენო; დამორჩილებულ სოფლებში და ქალაქებში დავარდნილ მოხუცებულებსა და ძუძუ-მწოვარ ბავ-

შვებს, რომელთაც გაქცევა ვერ შეეძლოთ, ბევრს არ ალაპარაკებენ, შეუბრალებელათ, თითქო წიწილები იყვნენ, მიჟლეტ-მოჟლეტენ, დასჩეხენ ხრმლითა და დაჰყრიანო მთელ სოფლებს ცეცხლს უკიდებენო!

მარტო ბოსნიიდამ 30,000 კაცი და ქალი გაქცევეა ამ საშინელ მომავალს.

„დროების“ მე-101 ნომერში დაბეჭდილი კორეს-პოდენციიდამ შეიტყობდით, რომ ოსმალოს მოხელეები ჩვენ მეზობლათაც ამავე სისტემით მოქმედებენ:

„როცა ფაშას მოახსენეს, რომ ქობულეთლები ჰერცოგოვინაში სალაშქროთ წასვლას არ აპირებენო, გახელებულმა ფიცხელი ბრძანება მისწერა კაიმაკებს და მუდირებს (უეზდის უფროსებს), რომ ძალით გამოიყვანეთ ხალხიო და ვინც წინაამდეგობა იხმაროსო, ოჯახი და სახლ-კარი დაუწვით და მათი ცოლშვილი დაატუსაღეთო“.

რა არის ჩვენი მოვალეობა ამ შემთხვევაში? რას უნდა ვშვრებოდეთ ჩვენ, როცა ჩვენ მოძმეებს სწვენ, დაგვენ, როცა იმათ შვილებს აუპატიურებენ?

იმას უნდა ვშვრებოდეთ, ოისეც უნდა ვიქცეოდეთ, როგორც ადამიანური, კაცთ-მოყვარული გრძნობა მოითხოვს, როგორც იქცევიან ახლა ჰერცოგოვინელებისა და ბოსნიელებისათვის იმათი თანამოძმე სლავიანები და არა თუ მარტო სლავიანებიც, ყველა უცხო ხალხებიცა, ვისაც-კი კაცური გრძნობა, სიყვარული და გული უჩუჩუნებს სხეულში!

თუ უსამართლობისაგან დაჩაგრულ და მოთმინებიდამ გამოსულ ოსმალოს ქართველებმა წინაამდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია, ზნეობით დავეხმაროთ. დავეხმაროთ

ისე მაინც, როგორც ევროპიელები, რაგორც საზოგადოდ სლავიანები და განსაკუთრებით ტუსები, ეხმარებიან აკანკუბული ჭერაგოგინელებს.

ამ უთანასწორო, თავ-გადადებულ ბრძოლაში ყოველი ჩვენგან გაგზავნილი ლოკმა ბუერი, ყოველი უბრალოც არის, ნაჭერი ტანთ-საცსელისა, ყოველი ყურეში ძვირფასი იქნება არა თუ თავის თავად, არამედ რაგორც ზნეობითი ნიშანი ჩვენი თანაგრძნობისა...

და ეს დახმარება პრეფის საწინააღმდეგო არ იქნებ, რადგან ვერავინ ვერაფერთარ პოლიტიკურ მნიშვნელობას ვერ მიაწერს. ეს იქნება მხოლოდ ნერსრულება ქრისტეს მცნებისა, ეს იქნება მხოლოდ მცირედი დაკმაყოფილება კაცობ-მოყვარეობის გრძნობის მოთხოვნილებისა...

ყურადღების ღირსი აზრი.

ქვემოთ დაბეჭდილია წერილი კახის შკოლის მასწავლებლების უფროსი ივანე როსტომაშვილისა.

მიაქციეთ ამ წერილის შინაარსს ყურადღება ავტორი ისეთს საგანს შეეხება, ისეთს წინადადებას გვაძლევს, რომელიც სრულის ყურადღებისაღირსია.

წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სოფლებში ჩვენებური ვაჭრებისაგან ხალხ წართმეულ და გაცარცულ ხალხისათვის გავმართოთ იწეთი დუქნები, სადაც სიფლელს ყველაფრის ყიდვა შეეძლოს, რაც იმას ცხოვრებისთვის ეჭირვება, და სადაც აგრეთვე შეეძლოს ყველა თავის ნაწარმოების გასაღება.

დუქანი იქნება სოფლის-საკუთრება, მაშასადმე სოფელი თავის თავს არ მოატყუებს: უფრო კეთილ-სინდისიანი ვაჭრობა შეიძლება ამ დუქანშიც, და, რაც წმინდა შემოსავალი დარჩება, ისევ სოფლის ხალხს—მეპატრონეებს შუა გაიყოფა.

ერთი სიტყვით, ავტორი გვირჩევს, ისეთი „მომხმარებელთა საზოგადოებანი“ დავაარსოთ, როგორიც სხვაგანაც ბევრია ამ ჟამად და როგორიც არის, სხვათა შორის, გამოჩენილი როდჩელის ამხანაგობა ინგლისის მუშებისა.

რალა თქმა უნდა, რომ ეს აზრი მშვენიერი და მოსწრებული აზრია. ყოველი საქმე, ყოველი წინადადება, რომელიც ჩვენი ხალხის განთავისუფლებას გვიქადის იმ სოფლის წურბელებისაგან, რომელთაც ვაჭარს, ჩარჩს ეძახიან, და რომელნიც უკანასკნელ სისხლსა სწოვენ, ტყავს აძრობენ ხალხსა, ამისთანა საქმე, რასაკვირველია, ყველასაგან, ვისაც ხალხის ბედისთვის გული შესტკივა, თანაგრძნობას და დახმარებას უნდა მოელოდეს. უეჭველია, რომ ზემოხსენებული წინადადება სწორედ ამისთანა საქმეა.

მაგრამ ყველა ამისთანა მრჩეველთა და წინადადების მომცემთ ერთი ჩვეულება სჭირთ: ისინი დარწმუნებულნი არიან ბ სხვებსაც არწმუნებენ, რომ ეს იმათი საშუალება ყოველგვარ უბედურებისა და გაჭირვებისაგან გამოიხსნის ხალხს. ერთი გვირჩევს, ვსთქვათ, პურის მაღაზიებსა და გვარწმუნებს, რომ თუ ხვალ ყოველ სოფელში მაღაზიები იქნება, ხვალ-ზეგ ხალხი არავითარ ნაკლულევანებას აღარ იგრძნობსო; მეორე შკოლების გამართვას გვიქადაგებს და გვეუბნება: ოღონდ ჩვენში შკოლები გაიმართოს

და ნახევარ—ორ კეთილ-დღეობაში ჩავარდება ხალხიო, მესამე სასოფლო ბანკისაგან მოელის ჩვენში ამ ქვეყნიურ ნეტარების აღაარსებას; მეოთხე კარგ სამღვდელოების წყალობით, მეხუთე მკითხავების მოსპობით და სხვ. და სხვ.

ამ პირველ ერთი რამ ავიწყდებათ: რომ ხალხი მარტო ერთის მხრით და ერთის, რომელისამე მოვლენისაგან არ არის შეკავშროებული, დაჩაგრული და დალარიბებულიო ავიწყდებათ, რომ ხალხის ცხოვრება ერთობ მთელია; რომ იმას სხვა და სხვა მხრით და სხვა და სხვა გვარი დახმარება და საშუალება ეჭირვება, რომ ერთის გაჭირვებისაგან ერთი სახსარი იხსნის, მეორესაგან—მეორე და ასრე ამგვარად; რომ დედა-მიწაზე ისეთი ერთი ჯადო არ მოიპოვება, რომელმანც ესა თუ ის ხალხი უეცრად და ერთბაშათ ყველა გაჭირვებისაგან და ყველა უბედურებისაგან დაიხსნას. მკოლას თავისი დანიშნულება აქვს, საზოგადო პურის მაღაზიას თავისი, კარგ, პატიოსან მღვდლებსა კიდევ თავისი და სხვა.

მაგრამ თქმა: რომ ეს ჩემი სასოფლო ბანკი ერთბაშად განკურნებს ხალხის ყველა წყლულებსაო,—ამის თქმა შეცთომაა, და არა თუ შეცთომა, მავნებელიცაა, რადგან ეს საქმით არ ასრულდება და ამის გამო ხალხს ერთს სასარგებლო საქმეზე გული აუცრუვდება.

აი, ახლაც: ბ-ნი როსტომაშვილი ამბობს, რომ ათასი ბანკიც რომ ექნეს ჩვენებურ გლეხებს, ვერას უშველისო. „გონებამ ჩვენი ხალხის ახლანდელი მდგომარეობიდამ დასახსნელად მირჩიაო, გაუმართოთ ისეთი საზოგადო მაღაზია, სადაც ის ყიდულობდეს ყველაფერს რაც

მისთვის შეადგენს უსაჭირველესს საგანსა და რასაც თვითონ არ აკეთებს.

უეჭველია, რომ ეს საზოგადო მალაზიებმ ხალხს დიდ სარგებლობას მოუტანს, ბევრ გაჭირვებაში დაეხმარება. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს საყოველთაო მკურნავი საშუალება არ არის.

თუ ზოგიერთს სოფლის საზოგადოებას ამგვარმა მალაზიებმა ის სარგებლობა მოუტანა, რომ ცოტათი მაინც გაანთავისუფლა სოფლის წურბელებისაგან, რომელნიც ჩვენში თან-და-თან ასე მრავლდებიან,—ესეც დიდი დახმარება იქნება. და რომ ამის შესრულება შეუძლია ამგვარ მალაზიებს, ამაში ეჭვი არ არის. მაგრამ ამ მალაზიებს თავიდამვე ზოგიერთი დაბრკოლება მოელის*).

ვისი ბრალია?

ამ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში, ბევრი მჭევრ-მეტყველური სიტყვა დახარჯა აქაურ სამეურნეო საზოგადოების ყრილობებზე. გასულ ოთხშაბათს ჩვენ დავესწარით აგრეთვე საბებიო ინსტიტუტის გახსნაზე, სადაც ბ-ნ რემერტმა წარმოსთქვა სიტყვა.

ორატორებმა რამდენჯერმე წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ჩვენ აქ ისეთს ხალხში ვმოქმედობთო, რომლის

---

*) როგორც სხვა წერილიდან სჩანს, ავტორს ასეთ დაბრკოლებათ მიაჩნია ნისიობა და კერძო ვაჭრების კონკურენცია.

გამომც.

წინ-წაწევა, რომელზედაც კეთილი ზედმოქმედება ძალიან ძნელი არისო; კავკასიის ხალხი უმეცარი ცრუ-მორწმუნე ხალხია, განათლებას ძნელად ითვისებსო; მეცნიერების ყოველ რჩევასა და ქადაგებას იჭვნეულებით უყურებს და არ ენდობაო.

მეცნიერი მეურნეები, პედაგოგები და ექიმები ერთხმათ ამტკიცებდენ, რომ ამ ხალხის უმეცრებისაგან ჩვენს მეცადინეობასა და შრომას ყოველს ახალ საქმეში უანგარიშო და ძნელად დასამორჩილებელი დაბრკოლება უხვდება წინაო.

ამ სიტყვებს ხსენებულნი მეცნიერნი ყოველთვის შემდეგ წინადადებას დასძენდენ: „თუმცა ჩვენ ამისთანა ძნელად შესამუშავებელ ნიადაგზე, ამისთანა უმეცარ ხალხში ვმოქმედებთ, მაგრამ მაინც ბევრი რამ გავაკეთეთო“.

იმდენად დაბრმავებული არავინ არ არის ჩვენში, რომ სთქვას, ჩვენი ხალხი ყოვლად განათლებული, ცრუ-მორწმუნეობას მოკლებული და გონება-გახსნილი არისო. მაშასადამე ეს პირველი წინადადება ორატორების სიტყვებისა სრულიად საფუძვლიანია.

საფუძვლიანია აგრეთვე მეორე აზრიც: რომ ხალხი განზე, იჭვნეულად და დაუნდობელად უყურებს თითქმის ყველაფერს, რასაც ჩვენებური მეცნიერი ექიმები, პედაგოგები და მეურნეები უქადაგებენ და ურჩევენ იმას.

მაგრამ რისგან წარმოსდგება ეს? რა არის მიზეზი, რომ ჩვენი ხალხი დაუნდობელად უყურებს, ასე არ ერწმუნება იმ მეცნიერთა ქადაგებასა და მოქმედებას? რატომ იმ წამსვე არ ითვისებს ხოლმე ხალხი, ვსთქვათ, იმ

კეთილ რჩევებსა და ყოველ გვარ რეფორმებს, რომელნ თაც ჩვენი მეურნეები და პედაგოგები ურჩევენ?

ორი უმთავრესი მიზეზით აიხსენება ყველა ეს კითხვები; ორი უმთავრესი გარემოება აბრკოლებს ჩვენო მეცნიერნო, თქვენი სამეცნიერო ღვაწლის ნაყოფიერად შესრულებას:

პირველად ის, რომ თქვენი კეთილი რჩევანი, თქვენ ნი მეჟევრმეტყველური ქადაგება ჩვენში კაცს არ ესმის. თქვენ ჰქადაგებთ უცხო, ხალხისთვის გაუგებარ ენაზედ. თქვენი, იქნება, ქვეყნისათვის სასარგებლო და მშვენიერი, რჩევანი დაკარგება ჰაერში, ვითარცა ხმა უდაბნოში მღაღადებელისა.

მართალია, ათასში ერთი მრიპოება, რომელსაც ეს თქვენი ბრძნული ქადაგება ესმის, რომელიც თქვენ მაგალითებს ხედავს,—და ეს ერთი ხან-და-ხან სარგებლობს თქვენით და თუ უფრო ხშირათ ვერ სარგებლობს; ამასაც სხვა, შესაწყნარებელი მიზეზები აქვს.

მეორე, უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ხალხი თქვენს ქადაგებასა და საქმეებს არ ერწმუნება კი ის არის,—ნება მომეცით მოგახსენოთ,—რომ თვითონ თქვენ არ იცით: როგორ უნდა ხალხში ქადაგება, როგორ უნდა რომელიმე ცვლილების მოხდენა, ცრუ-მორწმუნოების მოსპობა, არ იცით ახალი რასმესი შემოღება, უხეირო ძველის ამოფხვრა და საზოგადო ზნეობითი გავლენა იქონიოთ ხალხზე.

თუ გნებავთ, რომ ხალხი დაგენდოსთ, თუ გინდათ, რომ ყოველ თქვენ სიტყვას იჯერებდეს და ყოველ თქვენს საქმეში კეთილს, თავისთვის სასარგებლოს რასმე ხედავდეს, ისე უნდა გეჭიროსთ თავი, რომ ნამდვილათ

დაანახოთ, რომ თქვენ მხოლოთ იმის ხარგებლობა გსურთ; ისეთი საქმეები უნდა დაიწყოთ და ისე უნდა დაიწყოთ, ისე უნდა წაიყვანოთ ეს საქმეები, რომ ეს, თქვენის აზრით, უმეცარი და ცრუ-მორწმუნე ხალხი გადრკეს, დარწმუნდეს, რომ თქვენს ქადაგებაში და მოქმედებაში არავათარი პირადი და მიდგომითი მხარე არ არის; ისეთი ცხადი, თვალით დასანახავი და მისი გონების გასაგები მაგალითები უნდა უჩვენოთ რომელთაც დააჯეროს თქვენი საზოგადო წარმატებისთვის მზრუნველობა.

დამეთანხმეთ, რომ თქვენ ხშირათ ასე არ იქცევით...

მიჰქარავს, ვინც ამბობს, რომ ხალხი ჯიუტი, დაუნდობელი და ერთს წერტილზე გაყინული არისო, ხელებისა და ტვინის განძრევა ეზარებაო; არაფრის ახლის მიღება არ შეუძლიანო.

სულ ტყუილია: ჩვენი ხალხი გაუნათლებელი, უმეცარი, ცრუ-მორწმუნე ხალხიაო. დაანახვეთ იმას ისეთი რამე ახალი, რომლის გაგება და შემოღება შეეძლოს, და დარწმუნებული იყავით, შეითვისებს; უჩვენეთ რომელიმე ახალი საქმე, დაუმტკიცეთ, რომ ეს საქმე იმას ცოტათი მაინც გამოიხსნის გაჭირვებული მდგომარეობიდამ, და იმწამსვე მოეკიდება.

მაგრამ ყველა ამას ცოდნა უნდა? ვისაც ხალხთან საქმის დაჭერა, ვისაც იმის სამსახური ჰსურს, უნდა იცოდეს, როგორ ენაზე ელაპარაკოს, უნდა იცოდეს, რომელი მხრით ეკოუარაოს, ჯერ-იდამ დაიწყოს; რა ოდენ, როგორ გაანკეთოს.

ისინი-კი თავს ნაკლულევანებას ხალხის უმეცრებითა და ცრუ-მორწმუნეობით ამართლებენ!..

წ ი ნ ა დ ე ბ ა.

I

ვისაც არ შეხვდებით ჩვენში, ვისიც არ დაუწყებთ საუბარს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასა და საჭიროებაზე, ყველა გვეუბნება, რომ მიწა-წყალი კარგი გვაქვს, ბუნებითი სიმდიდრე არ აკლია ამ ჩვენს საქართველოსო, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ კაცები არა გვყვანან; რომ იმუშაონ, კაცებიკარ არიან, მუშაობა რომ იცოდენო.

ყველგან გესმისთ, რომ ჩვენ ნასწავლ ახალ გაზდობას ცუდი მიმართულება აქვსო, რომ იმათი ცოდნა და უმაღლესი სწავლის მიღება თითქმის სრულიათ არ გამოადგა ჩვენს ქვეყანასაო.

უფრო პრაქტიკული დრო დადგა. ვერავის ვერ გააკვირვებთ და ვერავის ვერ დააკმაყოფილებთ ახლა იმით, რომ უნივერსიტეტის დიპლომი აიღოთ, ჩამოხვიდეთ ჩვენშიც და რომელსმე სასამართლოში ანუ საამმართველოში შეჰყოთ თავი.

საზოგადოება სხვა-საქმეს თხოულობს, სხვა საამსახურო-საამოელის იმ ახალგაზდებისაგანნ, რომელთაც სწავლა მიუღიათ, რომელნიც თავის თავს განათლებულებათ სთვლიან.

ყველა ასე ჰსჯის:

თქვენ უმაღლესი სწავლა მიგიღიათ? განათლებული კაცი ბრძანდებით? მაშასადამე თქვენი, პირადა-პირი მოვალეობაა, რომ ეგ განათლება ცოტა ჩვენც მოგვაცხოთ: ზნეობით ვალდებულნი ხართ, გადაუხადოთ ქვეყანასა და საზოგადოებას ის ხარჯი, რომელიც თქვენი სწავლის მიღებისთვის გაუწევია; ცოტათი მაინც უნდა შეეტყოს ჩვენს ხალხს, რომ იმას მცოდნე და განათლებული შვილები ჰყავს.

მაგრამ, საზოგადოება თხოულობს ამას. ყველა ეთანხმება იმათ, ყველა ამბობს, რომ ისინი მართალნი არიან, რომ იმათი აზრი საფუძვლიანი აზრია. მაგრამ რა გამოდის? ჯერ ჩვენ ვერა ვხედავთ, რომ ეს საფუძვლიანი მოთხოვნილება ასრულებულიყოს; ვერა ვხედავთ, რომ განათლებულებს ის სარგებლობა მოეტანოს ქვეყნისთვის, რომელსაც იმათგან მოელოდენ და თხოულობენ.

„განათლებული ა—ი რომ სამსახურში შეეიდეს და ერთდგული სამსახურისთვის მესამე ხარისხის ანნას ჯვარი მიიღოს,—ეს ხომ მაინცა-და მაინც ქვეყნის სამსახური არ არის!

უნივერსიტეტის დიპლომიანმა ბ—მა ადვოკატობა რომ დაიწყოს, თავისი კლიენტები სცარცვოს და ფულები ბლომათ მოაგროვოს,—ამით ხომ ხალხს, თუ ჭრა დააკლდება, არაფერი მოემატება!

მცოდნე კაცი რომ გაბერილ მინაჩრანუ ჭვან მინაჩის ქარხნებისა ან მამულების გამგებელათ დაუდგეს და მათსავით მოეპყრას იმ მუშებს, რომელნიც იმათ ნელ-

ქვეით იქნებიან,—ეს ხომ ქვეყნის სარგებლობა და ქა-
ზოგადოების სამსახური არ იქნება!

და მომეტებული ნაწილი ჩვენი განათლებულების
კი ამისთანაა.

ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ახლანდელმა გა-
ნათლებულ-დიპლომაინებმა ვერ შეასრულეს ქვეყნის მო-
ლოდინი და იმედი.

ჩვენ გვინდა ერთს ისეთს წინადადებაზე მოვილა-
პარაკოთ, რომელიც, თუმცა ახალი არ არის, მაგრამ
ამჟამად ერთად-ერთი საშუალებაა, რომელიც ამ მდგო-
მარეობიდან, მცოდნე და ნამდვილ—სასარგებლო კაცე-
ბის ნაკლებობისგან იხსნის ქვეყანას. ამის შესრულება
ძნელი არ ჯერის.

II

პირველ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი გა-
ნათლებული ახალგაზდობა ვერ აკმაყოფილებს საზოგა-
დოების მოთხოვნილებას, რომ ეს ახალგაზდობა ამჟამათ
მხოლოთ ჩინოვნიკობას ეტანება და ამნაირათ ივიწყებს
და უყურადღებოთ სტოვებს ჩვენი ცხოვრების იმ მხა-
რეებს, რომელთაც ყველაზე უფრო ეპირვება მცოდნე
კაცების დახმარება და ხელის შემაერთვა.

ერთად-ერთი დასკვნა შეიძლება გამოიტანის აქედან
კაცმა: საზოგადოება უნდა ცდილობდეს, ისეთი შვილე-
ბი გამოზარდოს, რომ პირ-და-პირ ხალხსა და ქვეყანას
გამოადგენ თავის კეთილ მიმართულებით და ცოდნით.

წარსული მაგალითები მომავლის გზას უნდა გვი-
ჩვენებდეს: დავრწმუნდით, რომ მცოდნე ტურისტებმა და

ჩინოვნიკებმა მაგდენი სარგებლობა ვერ მოუტანეს ჩვენს ქვეყანას;—მაშასადამე ახლა სხვა გზას უნდა შეუდგეთ.

ბევრჯერ გვითქვამს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ახალი გზა, თუ რა გვარი მცოდნე-კაცები და განათლებულნი ეჭირვება ამჟამათ ჩვენს ქვეყანას; ბევრჯერ გვითქვამს, რომ ბუნებით მდიდარსა და უხვათ შემკობილ საქართველოს ყველაზე უფრო ისეთი კაცები ეჭირვება, რომელთაც იცოდენ ამ ბუნებითი სიმდიდრის გამოყენება რომელთაც, თავის ცოდნითა და წინდახედულობით, დაგვიხსნან იმ უცხო-ქვეყნელებისაგან, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში შემოსევასა და ჩვენი ადგილ-მამულებისა, წარმოებისა, მადნებისა და სხ. დაჭერას გვემუქრებიან.

როგორ შეიძლება, მკითხავთ, ამ მიზნის მიღწევა?

ყველაფერი ადვილათ შეიძლება, თუ კაცს ესმის და გულით უნდა, რამე შეასრულოს.

წარმოიდგინეთ დიდი მეოჯახე, რომელსაც ჰსურს, მაგალითათ, რომ მცოდნე მებაღე ჰყავდეს, ან ღვინის დამყენებელი, ან აბრეშუმის, თამბაქოს და სხვ. ამგვარი მცოდნე კაცი... თუ ის კეთილ-გონიერი კაცია და თავის სარგებლობა კარგათ ესმის, უცხო ქვეყნიდამ არასოდეს არ მოიწვევს თავის მამულის გამგებლებს. ის ამჯობინებს, რომ თავის ნაცნობ ახალგაზდებში ერთი რომელიმე ამოირჩიოს და გაგზავნოს სადმე იმ მეურნეობის ნაწილის შესასწავლებლათ, რომელიც იმას ეჭირვება; და გაგზავნოს იმ პირობით, რომ როცა კარგათ შეისწავლის და დაბრუნდება, უეჭველად იმის მამულს მოჰკიდოს ხელი.

ესევე შეუძლია მთელს საზოგადოებასაც. თუ ის

ჰხედავს, რომ ახლანდელ ახალგაზდებში ისეთი მცოდნე არავინაა, რომელიც იმისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ადვილათ შეუძლია, ამისთანა ახალგაზდები, რა საშუალობითაც იქნება, გააჩინოს.

და ჯერ-ჯეროობით, სანამ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებს იმდენი ფულები მორჩებოდეს თავის ოპერაციებიდამ, რომ ჩვენი საზოგადოების დახმარება შეეძლოს ამ მხრით (როგორც წესდებებშია გამოცხადებული), მანამ სხვა რამ სახსარი არ გამოგვიჩენია, მხოლოთ ერთათ-ერთი ის საშუალება გვრჩება, რომელსაც „თფილისის მოამბე“ გვირჩევდა ამასწინათ: ე. ი. რომ ჩვენში შესდგეს საზოგადოება წრე ან სხვა რამ, რომელმაც ამ საგანზე იზრუნოს, რომელმაც მოაგროვოს ფულები იმისთვის, რომ ჩვენ ახალგაზდებს უმაღლესი სწავლის შესრულების ღონის-ძიება აღმოუჩინოს.

ამგვარ საზოგადოებას ზნეობითი და სხვა ყოველგვარი უფლება ექნება, რომ თავის ხარჯით გაგზავნილ ახალგაზდებს ისეთი საგნების შესწავლა მოსთხოვოს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გამოსაყენებელი იქნება, და შემდეგ ისევ ჩვენში დაბრუნდნენ და იმუშაონ.

თუ მთელს დედა-მიწაზე, თუ რუსეთის პატარა ქალაქშიაც კი ერის ამგვარი მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება, უეჭველია, ჩვენშიაც, მოხერხდება და ჩვენშიაც ჯეროვან სარგებლობას მოიტანს.

ჩვენი მეცნიერები.

ოდესიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ერთი ჩვენებური ახალგაზდა მეცნიერი — უფ. ვასილ პეტრიაშვილი უნივერსიტეტის დოცენტათ (პროფესორის თანაშემწეთ) ამოურჩევიათ.

ეს მეორე ქართველია, რომელიც წმინდა მეცნიერებას შესდგომია და პროფესორის კათედრას ეძიებს; პირველი უფ. ი. თარხნიშვილია, რომელიც, თუ არა ვცთებით, ფიზიოლოგიის პროფესორის თანაშემწეა პეტერბურგის საექიმო აკადემიაში. ერთიც ქართველი პროფესორი არის უფ. ა. ცაგარელი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის ლექციებს ჰკითხულობს.

ამათ გარდა, ჩვენ ვიცით სხვა ახალგაზდებიც, რომელნიც მეცნიერებას გაუტაცებია; ისინი სხვა-და სხვა ისეთს სპეციალურ საგნებს სწავლობენ, რომელთაც პირ-და პირ ჩვენი ქვეყნისთვის თითქმის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა ამ ჟამათ არა აქვს.

ჩვენის აზრით, ისეთი დროა ახლა ჩვენში და ისეთს მდგომარეობაში ვართ, როდესაც წმინდა მეცნიერების შესწავლას თითქმის სრულიათ არ უნდა ჰქონდეს ალაგი; ყოველი ნასწავლი ქართველი ზნეობითათ და სხვა ყოველის მხრით ვალდებულია, ხალხის ოფლისა და მეოხებით შეძენილი სწავლა და განათლება ისევ ხალხს მოახმაროს.

რასაკვირველია, ყოველ კაცს შეუძლია იმ საქმეს მოჰკიდოს ხელი და ისეთი მიზანი აირჩიოს თავის ცხოვრებისათვის, რომელიც იმის ხასიათს უფრო შეეფერება, რო-

მელიც იმისთვის უფრო სასიამოვნოა და ჭნ ჭგონია, რომ მომეტებულ სარგებლობას მოიტანს იმის შემწეობით.

მაგრამ ამ მოსაზრების წინააღმდეგ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზე პირველათ თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომათ მხოლოთ ის უნდა მიაჩნდეს, რაც ამ მამულისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. კერძოობითი მიდრეკილებაჲ საკუთარი, პიროვნული სიამოვნება ხშირათ უნდა დაივიწყოს, თუ ეს საზოგადო, სამშობლოს სარგებლობის ჯერ ეთანხმება.

უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ თუ კაცი გრძნობს, მეცნიერების საშუალებით მთელი კაცობრიობისთვის შეუძლია სარგებლობის მოტანა, მაშინ ვერავინ გაამტყუნებს, რომ იმან თავის თავი ამ შრომა ამ მეცნიერებას შესწირა.

მაგრამ წინათვე ამის თქმა ვის შეუძლია? და კიდეც რომ შეეძლოს, ამისთანა გენიოსები ხომ სოკოებივით ჯერ იბადებიან, არამედ საუკუნოების განმავლობაში თითოოროლა ელირსებიან ხოლმე კაცობრიობას!

დანარჩენ, უბრალო მომაკვდავებისათვის შეურყეველათ რჩება ის კანონი, რომ ყოველი ადამიანი და განსაკუთრებით გონება გახსნილი, განათლებული კაცი თავის საკუთარ სამშობლოში, თავის ხალხში უნდა მოქმედებდეს.

თუ ყველა, ვინც-კი ცოტათი წრიდამ გამოვა, ვინც თავს თავს ვსთქვათ, პეტერბურგში ან პარიზში გამოსულ კაცათ იცნობს, თუ ყველა ამისთანა განზე გადგა და უიმათოთაც ნამდვილ ვაკეებით მდიდარს ქალაქებ-

ში გარდაიხვეწა,—ვინღა უნდა დარჩეს მაშ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც კაცური, თავიანი და საზოგადო საქმეების თანამგრძნობი კაცები ასე ეჭირვება?!

ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველი კაცი იქ უნდა ცხოვრებდეს, იქ უნდა მოქმედებდეს და მუშაობდეს, სადაც იმის მუშაობა უფრო სასარგებლო, უფრო ნაყოფიერი იქნება, და რადგანაც ყოველი კაცის მუშაობა იქ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლოა, სადაც ის დაბადებულა, სადაც ის ყველა გარემოებას იცნობს, ამის გამო ყველა თავის სამშობლოში უნდა მუშაობდეს.

ღმერთო ჩემო! ჩვენ ასე გვეჭირვება ახალ-კაცები, ამდენი საზოგადო და კერძო საქმეები გვაქვს, ასეთი ჩივილი ისმის ყოველი მხრიდამ, რომ კაცები არა გვყავსო, რასმე ხელი მოჰკიდონ,—და ჩვენი ახალგაზდები-კი სხვა-და-სხვა მეცნიერებას აკვდებოდენ მხოლოთ იმისთვის, რომ ერთი ბეწვის ოდენა რამ გააკეთონ ამ მეცნიერებაში,—ეს უბედურება არ არის?!

გლეხებისაგან მიწის შეძენა.

ერთი საზოგადო და ყურადღების ღირსი მოვლენა შენიშნეს უკანასკნელ დროს იმათ, ვინც ჩვენს სოფლის ცხოვრებას აკვირდება:

სადაც-კი თავისუფალი და გასასყიდი მიწები ჩნდება სოფელში, გლეხები ხელიდამ არ უშვებენო, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, ვალში ვარდებიან და ჰყიდულობენო! ბევრი თავად-აზნაურის, ასე გასინჯეთ—სომხის მამულიც-კი შეიძინეს გლეხებმაო.

ეს ამბავი, უეჭველია, სანუგეშო ამბავია. ჩვენს გლეხს უცვნია თავის თავი და თავის გარემოება: ის მიმხვდარა, რომ უმიწოთ გროშათ არა ღირს, რომ მიწა იმის მრჩენელი, იმის გამომკვები და არსებობის მომცემია. ჩვენს გლეხს შეუტყვია ის, რაც, საუბედუროთ, თავად-აზნაურებმა ვერ შეიტყვეს: რომ ქართველი ხალხი თვით ისტორიული ვითარებით ყველაზე უპირველესად მიწის მუშა ხალხია, რომ მიწაზედ არის დამოკიდებული იმის სიცოცხლე, იმისი ისტორია.

მაგრამ... (უმაგრამოთ ხომ არც ერთი კეთილი რამ არ იქნება ჩვენში), მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს მიწების შეძენა თავიდამვე ისე ცუდათ მიყავთ გლეხებს, რომ სარგებლობის მაგიერ, უარესს დაღუპვას ემუქრება.

„დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“ და „თფილისის მოამბეში“ დაიბეჭდა ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე შენიშვნა, რომლიდამაც მკითხველნი შეიტყობდენ, თუ როგორ უთავბოლოდ მიდის მიწების შეძენა გლეხებისაგან და როგორ, მომეტებულ ნაწილათ, მოტყუებულნი რჩებიან ისინი.

მიწის ყიდვასა და დამტკიცებას ბევრი წვალება და დავიდარაბა უნდა; რთულს ფორმალურ წესების შესრულებასა და კანონის ცოდნას მოითხოვს.

ჩვენმა გლეხმა არც ერთი იცის, არც მეორე; თავისებურათ ჰყიდულობენ ისინი მიწებს, უბრალო ბარათებითა, და თუ გამომყიდველმა ნასყიდობის ბარათზე ხელი მოაწერა, ასე ჰგონიათ, რომ ვერა ზეციური და ვერა ქვეყნიური ძალა იმათ ნასყიდ მამულს ვერ ჩამოართმევს. იმათ არ იციან, რომ ამისთვის კანონით სხვა წესებია დადგენილი...

მართალია, „კანონის უცოდნელობით კერავინ ვერ ‍ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ თავსაო“, მაგრამ ამისთვის, რომ ვისმეს სჯიდენ, ხომ ბევრი ისეთნაირებიც დაისჯებოდენ, რომ მელთაც პირდაპირი მოვალეობა ისაა, რომ კანონები სისრულეში მოიყვანონ.

გლეხები კი ნამდვილად დასჯილნი და დაჩაგრულნი შექმნილან კანონის უცოდნელობისაგან.

აფერუმ ოთათაც, რომელნიც ამ გლეხის უმეცრებით სარგებლობენ, უკანონო საბუთით გადასცემენ ხოლმე გლეხს მამულსა და მერე, ორი-სამი წლის შემდეგ, ისევ ჩამოართმევენ! მკითხველისთვის მიგვინდია, ამგვარ ხალხს შესაფერი სახელი უწოდოსო.

ქართული ენის დევნა.

უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, ქართულს ენას საქართველოს ყველა სასწავლებლებში ასწავლიან, და არა თუ უნდა ასწავლიდენ, როგორც საგანს, შეიძლებაც რომ ამ ენაზე სხვა საგნებიც ასწავლონ.

ნამდვილი პედაგოგია, ანუ სწავლა-აღზრდის მეცნიერება მოითხოვს, რომ ყმაწვილმა, პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც, თავის მშობლიურ ენაზედ მიიღოს.

ვერავინ ვერ გაბედავს, არა თუ დარღვევა, გამოდავება მოუნდომოს იმ ჭეშმარიტებასა, რომელიც ამბობს, რომ ყოველს სწავლასა და მეცნიერებასა-მაშინ უკეთ შეეფერებს მოსწავლე, როდესაც ადვილათ გასაგებს და ცნობილს ენაზე უხსნიან.

თუ ეს ასეა, მაშ რისგან არის, რომ ზოგიერთ

ჩვენ ეგზეკუტორს სასწავლებლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიან? და სდევნიან ისეთი პირები, რომ მეწერეთაც, როგორც პედაგოგებს, უეჭველია, კარგათ უნდა ესმოდესთ ზემოხსენებული ჭეშმარიტების ძალა!

ჩვენ გავიგეთ, რომ თფილისის ორს სასწავლებელში ქართველ შაგირდებს აკრძალული აქვთ თავიანთი უფროსებისაგან ქართული გაზეთების, ჟურნალების და საზოგადოთ ქართული წიგნის კითხვა.

ამბობენ, ერთ ამ სასწავლებელიდამ აგდებენ ამ ჟამათ შეგირდს მხოლოდ ამისთვის, რომ „დროების“ კითხვაზე წაესწრენო.

ნამდვილათ რომ არ ვიცოდეთ ეს ამბები, არ დავიჯერებდით იმიტომ, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას უშლიან და „დროების“ კითხვისთვის აგდებენ ისეთი სასწავლებიდამ, რომლის შაგირდებს ყველაზე უფრო დასჭირდებათ შემდგომ ქართული ენისა, ლეტერატურისა და ხალხის ცოდნა.

ერთი გვითხრან, რომელი მხრით არის მავნებელი შაგირდებისათვის თავიანთი ენის ცოდნა?

ერთი აგვიხსნან, რატომაა სამშობლო ენაზე დაწერილის წიგნებისა და პერიოდული ლიტერატურის გაცნობა ისეთი მამაკვდინებელი ცოდვა, რომლისთვისაც ყმაწვილ კაცსასწავლის საშუალობა უნდა მოესპოს?

ვისთვის და რატომ უნდა იყოს აკრძალული იმ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რომელთაც ისეთი ხელ-მოჭერილი ცენზურა და ზედამხედველები ჰყავს? რომელსაც მთელი საქართველო ჰკითხულობს და, თუ ნაოსარგებლობა, ზენება არავისთვის არ მოუტანია? უბედურებაა, როცა ოანონს ისეთი ალმსრულებლები ეყოლება, რომელთაც თვითონაც არ ესმით რი-

გიანათ კანონი და იმის მოთხოვნილება. მაგრამ კიდევ მომეტებული უბედურება ის არის, როდესაც ზოგიერთები, თითქო ერთგულებისა და კარგი ქვეშევრდომობის გამოსაჩენათ, ხელს უწყობენ ისეთს რასმეს, რომელიც არავისთვის სასარგებლო არ არის და სდევნიან ისეთს რასმეს, რომლიც სრულებით სადევნელი და მავნებელი არ არის...

კიდევ ქართული ენის დევნაზედ

ორი სასწავლებელი, რომელიც ჩვენ წასულ ნომერში მოვიხსენიეთ, და რომლებშიაც სდევნიან ქართულ ენას, არის: ერთი ჩვენი თფილისის სასულიერო სემინარია და მეორე ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტი

თფილისის სასულიერო სემინარიაში მომეტებული ნაწილი შაგირდებისა ქართველები არიან.

როგორც მოგეხსენებათ, ეს სასწავლებელი მომავალ მღვდლებს აზადებს ჩვენი ქვეყნისთვის, ე. ი. ისეთს სულიერს მამებს, რომელთაც ქრისტეს ღვთაებრივი სწავლა უნდა მოჰფინონ ჩვენს სოფლის ხალხს, რომელთაც თავიანთი სიტყვითა და მოქმედებით ზნეობითი კეთილ გავლენი უნდა იქონიონ ამ ხალხზე, რომელნიც, ერთის სიტყვით, მთელ თავის ცხოვრებას ამ ხალხში გატარებენ.

ესევე თქვენს სამასწავლო ინსტიტუტის შაგირდებზედაც. ჩვენ ამ ინსტიტუტიდან სოფლის მასწავლებელნი, რომელთა მოვალეობა მარტო ის ვინაა უნდა იყოს, რომ შაგირდებს

წერა-კითხვა ასწავლონ და ოცამდი ანგარიში. ამათ პირ-და-პირი ვალი აწევთ, რომ სოფელში სამაგალითო კა-ცებათ იყვნენ, უმეცარი გლეხისთვის სწორი გზის მაჩ-ვენებელნი, ხალხის დამრიგებელნი.

აი, ამათ უშლიან ქართული ენის შესწავლას, ქარ-თული ხალხის გაცნობას! აი ამათ ჰყრიან სასწავლებ-ლიდამ, თუ ქართული გაზეთი ან რამე წიგნი დაუნახეს ხელში!

როგორ მოგწონთ ამგვარი პედაგოგიური წესები ჩვენი სასულიერო სემინარიისა და სამასწავლებლო ინს-ტიტუტისა?

ერთს შემთხვევას მოგახსენებთ, რომელიც ყველაზე უფრო დაამტკიცებს ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებას:

ამ ორი კვირის წინათ, ბერძნული ენის გაკვეთი-ლის დროს მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ერთი შაგირ-დი ახლათ გამოსულს „დროების“ ნომერს ჰკითხულობ-და. მასწავლებელმა, რასაკვირველია, იმწამსვე გაზეთი გამოთხლიშა შაგირდს ხელიდამ და სემინარიის გამგეო-ბას წარუდგინა.

შეიქნა ფილოსოფოსთა თათბირი. პატივცემულნი წევრნი გამგეობისა შეძრწუნებულნი იყვნენ: „როგორ თუ ბერძნული ენის გაკვეთილის დროს ქართულ გაზეთს ჰკითხულობდაო!“ გაცხარებული ბაასისა და განკითხვის შემდეგ, გადაწყვიტეს: თუმცა ღირსი არ არის შებრა-ლებისა, მაგრამ რა გაეწყობაე მოწყალება ვუყოთ და ვუბრძანოთ, თვითონვე შემოიტანოს თხოვნა, გამოაცხა-დოს, რომ ალარ ჰსურს სემინარიაში სწავლა და წავი-დეს. თუ თვითონვე არ შემოიტანა თხოვნა, მაშინ ჩვენ

ისეთი მოწმეებით გავაგდოთ, რომ შემდეგ არცერთ სხვა სასწავლებელში აღარ მიიღონო!

ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს, უფრ. ზახაროვს ჟამიერთ სძულს ის შაგირდები, რომელნიც ქართულს გაზეთებსა და წიგნებს ჰკითხულობენ, და ყოველის ღონის-ძიებით ცდილობს, რომ რამე მიზეზი მოუნახოს და გამოყაროს ისინი ინსტიტუტიდამ. ეს შაგირდები უფ. ზახაროვს სხვების ფონების გამრყვნელათ და სასწავლებელში მავნებელი თესლის დამნერგველ შაგირდებათ მიაჩნია!

რას იტყვიან ნამდვილი პედაგოგები, ყველა ეს ამბები რომ დაწვრილებით იცოდნენ?!

რას იტვით ამაზე თქვენ, ჩვენო მამებო, რომელნიც მუდამ გვესაყვედურებით, ქართული ენა აღარ იცითო, გაგვიფუჭეთ ჩვენი საუნჯე—სამშობლო ენაო?!

პლატონ იოსელიანი.

ამ თვის 15-ს ფოთლისში გარდაიცვალა პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი. მესამე დღეს, ე. ი. 18-ს მიცვალებული დაასაფლავეს მისგანვე აშენებულს ამაღლების ეკკლესიაში.

რასაკვირველია, არავის არ გაუკვირდება, რომ ვთქვა, ამ კავკასიის თითქმის უძველესს მწიგნობარს ბევრი პატივის მცემელი ამოუჩნდა, ბევრმა გააცილა ის თავის უკანასკნელ სადგომამდე.

არავის არ გაუკვირდა, როცა გამყოლთ რიცხვში

მიცვალებულის თანამყდროვე და თანამრაზრე მოხუცებულები დაინახეს. ეს სრულებით ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენათ.

მაგრამ ზოგიერთებს გაუკვირდათ, ზოგიერთებმა თითქო ვერ გაიგეს, რომ გამყოლთ რიცხვში ერივნენ თითქმის ყველა წარმომადგენელნი ჩვენის ახალის თაობისა.

„დროების“ რედაქციამ თავის გაზეთის მკითხველები დაპატიჟა, რომ დასწრებოდენ მიცვალებულის გამოსვენებაზე და ამნაირათ უკანასკნელი პატივი ეცათ იმის ხსენებისათვის.

ეს გარემოება კიდევ უფრო გაუგებარი შეიქნა ზოგიერთებისათვის.

ამბობდენ;—„რა იყო საერთო მიცვალებულ პლატონ იოსელიანსა და ახალგაზდობას შუა? რათ უცხადებენ ახლა იმას ასეთს თანაგრძნობას, როდესაც იმათი მიზნები და რწმუნებანი ისე განსხვავდებოდენ? მამა და შვილი ვერ მოთავსებულა ახლა რიგიანათ ჩვენში, და მიცვალებული ხომ ახალ თაობის პაპათ ჩაითვლებოდაო!“

გასაკვირველი და გაუგებარი ამაში სრულებით არა არის რა. ორიოდე სიტყვით აგიხსნით:

მართალია ახალ თაობისა და პლატონ იოსელიანის რწმუნებათა და აზრებს შუა დიდი სამზღვარია, დიდი განსხვავებაა. ამაზე ლაპარაკის დრო რომ იყოს ახლა, როდესაც მიცვალებულის საფლავი ჯერ კიდევ თითქმის არ გაშშრალა, ჩვენ ვიტყოდით: იქნება მიცვალებულის ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამ იყო, რასაც ახალგაზდობა კეთილათ ვერ მოიხსენიებს; იქნება, ახალგაზდობის აზრით, მიცვალებულს ბევრი ისეთი რამ ჩაუ-

დენია თავის სიცოცხლეში, რასაც ის ვერ თანაუგრძნობს; იქნება, ახალგაზდობის აზრით მიცვალებულმა იმის მეათედიც ვერ შეასრულა, რაც შეეძლო, რის ლონის-ძიებასაც ბედნიერი გარემოება აძლევდა.

მაგრამ ყველა ამას, ახალგაზდების თვალში, ერთი ღირსება გამოისყიდის მიცვალებულ პლატონ იოსელიანისა.

ერთ დროს ის იყო მოღვაწე ქართული ლიტერატურისა.

ახალგაზდობამ დაივიწყა ყველაფერი, რაც მიცვალებულში არ მოსწონდა, და გაიხსენა მხოლოთ ეს ერთი დამსახურება, რომ ის ქართული მწერლობის შესამატებელ ბელათ და გასამდიდრებლათ ზრუნავდა; დაივიწყა ყველაფერი, რაც არ გაუკეთებია და გაიხსენა იმის წარსული შრომა, ის, რაც გააკეთა, და მხოლოთ ამითვის სცა იმას უკანასკნელი პატივი.

ქართული ლიტერატურის სიყვარულმა ორი თაობა შეაერთა მიცვალებულის საფლავზე.

ამ ლიტერატურისა და ხალხის სახელით, ახალი თაობა ყოველთვის მზათაა, ბევრი ნაკლულევანება, ბევრი შეცთომა მიუტევოს ყველას, ვინც უნდა იყოს. ოღონდ ჩვენი დაცემული ლიტერატურისა და ხალხის აღსადგინებელათა და განსაღვიძებლათ ეზრუნეთ და ახალგაზდობა მუდამ თქვენთან იქნება; ესაა ის საგანი, რომელიც უნდა გვაერთებდეს, რომელიც უნდა გვავიწყებინებდეს ყველა წვრილმალ ანგარიშებს, უთანხმოებას, განხეთქილებას.

ამ აზრს ვაცხადებთ ჩვენ მიცვალებულის პლატონ იოსელიანის საფლავზე იმ ჩვენი მამებისათვის, რომელნიც, საუბედურეთ, ჩვენ, ფავორიტ შვილებს, როგორღაც განზე გვიყურებენ.

კომედია „პეპო“ ქართულს სცენაზედ.

წარსულ ხუთშაბათს 27 გიორგობისთვეს, ქართული სცენის მოყვარეთა თფილისის საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს უფ. გ. ბ. სუნდუკიანცის სამ მოქმედებიანი კომედია — „პეპო“, ‹ათარგმნი ავტორისაგანვე თ. ერისთავის შეწევნთ.

თავიდამვე ვიტყვით, რომ ამისთანა აზრიანი სცენის დამაკმაყოფილებელი და დამფიქრებელი კომედია ჩვენს საზოგადოებას ქართულს ენაზე და სცენაზე ჯერ არ უნახავს.

კომედიის ღირსებას თითქმის შეეფერებოდა მოთამაშეთა აღსრულება და წარმოდგენაც.

წარმოდგენის დროს, ერთმა ქართულის სცენის მოყვარემ და იმისთანა პირმა, რომელსაც ამ საქმის გაგება აქვს, სთქვა:

— სად იმალებოდენ დღემდი ეს მოთამაშენი? სად იყო ეს კომედია?!

პიესაში გამოყვანილი პირები ჩვენი კარგი ნაცნობები არიან; იმათ ყოველ დღე, ყოველ ნაბიჯზედ ვხედავთ.

ავიღოთ თითეული პირი და ოქროდდე სიტყვით გავმარტოთ იმათი ხასიათი.

პეპო — კინტოა, მეთევზე. მაგრამ უბრალო კინტოკი არა: ეს ისეთი კაცია, რომლის ტვინი მუშაობს, რომელიც კარგათ აკვირდება ქვეყნის ბრუნვას, რომელსაც ესმის საზოგადოების წესები და დაწყობილებანი, კინტოდა პრინციპები რომ მოთავსდებოდენ ერთათ, მე ვიტყოდი, რომ პეპო პრინციპებიანი კაცია-მეთქი.

პეპოში გამოხატულია, ანხორციელებულია ის ეკონომიური უთანხმოება, რომელიც მთელი ქვეყნისათვის საგრძნობელი და დამაფიქრებელი შეიქმნა..

ის დულს, იმას ვერ აუტანია, ვერ მოუთმენია ეს უსამართლო ძალისაგან პატიოსანის, მაგრამ სუსტის დაჩაგვრა. ნაღველი მოსდის; მზათაა, შეახეთქოს თავის ტვინი ყოვლის დამჩაგვრელს უსამართლო ძალასა. მაგრამ თავის ულონობას ხედავს და თითქო დასცინის თავის წადილს.

ის განათლებული კაცი არ ირის, იმას თეორიებიც არ შეუსწავლია, ძმობასა, ერთობასა და თანასწორობაზე თავის დღეში სიტყვაც არ გაუგონია, მაგრამ მის მაგივრათ იმას უცხოვრია, ის დაკვირვებია ჩვენს ცხოვრებას და რასაც ამბობს, თავის თავზე, თავის ტანის კანზე უგრძვნია; უსამართლოებასა და გამწარებას გაუხდია ყველა იმ სენისა მჭევრ-მეტყველ გამომთქმელათ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ქვეყანაზე.

სრულებითაც არ მიკვირს, რომ პეპომ არ გაუგონა ვედრება და რჩევა თავის დედას, დას, გიქოს, როდესაც ისენი ეუბნებოდენ, არუთინას ბარათი მიეცი და ამით ერთის მხრით „აბანოში" ჩაჯდომისაგან განთავისუფლდი და მეორეს მხრით დროზე და მოგმეტებული ფულებიც მიიღეო. ვიცი, აქ სჩანს რომ პეპო პრინციპიანი კაცია; იმან დაივიწყა ამ შემთხვევაში თავისი პიროვნული სარგებლობა, და უნდა, რომ ერთი უსინდისოთ გამდიდრებული გამოაშკარავოს საქვეყნოთ, დაანახოს ყველას, თუ როგორნი არიან ეს პირები, თუ როგორის საშუალებით მდიდრდებიან, უნდა იმისთვის, რომ შემდეგში ამისთანა გზა მოსპოს და მსგავსები დაიხსნას იმათის უსამართლობისაგან.

ჩემის აზრით, გასაკვირველი არ არის, რომ პეპეს ამისთანა უანგარობა და თავის სარგებლობის დავიწყება გამოიჩინა.

მეორე ტიპი კინტოსი — კაკული — ბევრით განსხვავდება პეპოსაგან. ეს არის ის — უდარდელი, ქეიფის მოყვარე, დარდიმანდი და ჩიტივით უზრუნველი კინტო, რომელსაც ხშირათ შეხვდებით ჩვენს ქალაქში.

ქეიფი უყვარს: პური და ღვინო თუ გააჩნია, ბედნიერია, და თუ ზედ ცოტა მოთალიცა და კიტრი აქვს, მაშინ ხომ ცა ქუდათ და დედა მიწა ქალამნათაც არ მიაჩნია! ორთა-ჭალის ბალი იმის ასპარეზია! ოღონდ დღეს ჰქონდეს ლუკმა-პური და ხვალ — ღმერთი მოწყალეა!

ტოლ-ამხანაგისთვის, თავის ძმა-ბიჭისთვის თავის მოკვლა გროშათაც არ მიაჩნია. უსამართლობა ნახა სადმე — იყვირებს, ქველი საქმისთვის გადაგეხვევა, ვინც უნდა იყო, და გადაგკოცნის, ახირებულათ ნუ მოეჩვენები, თორემ ისეთნაირათ დაგცინებს, რომ გულს მოგიკლავს. შეურაცყოფა მიაყენე ვაშმე — ცხრა ლიტრიანი მუშტი მზათა აქვს. პრიციპეტის არა იცის, რა: მუდამ პირველ გრძნობით, პირველ შთაბეჭდილებით ცხოვრობს და მოქმედობს.

რამდენათაც პეპოს ხასიათი ტვინს აკმაყოფილებს, იმდენათ კაკული გულისთვის საამო სანახავია, სიმპატიურია..

არუთინ ზიმზიმოვი... ყველა იცნობთ არუთინ ზიმზიმოვს! წარმოიდგინეთ კაცი (მადლობა ღმერთს, ამის წარმოდგენა ქართველ კაცს ჩვენს დროში არ გაუძნელდება!), წაუმოიდგინეთ, ვამბობ, კაცი, რომელსაც თავის

სიკოცხლის მიზნათ ფული, ფული და ფული გაუხდია, რომელიც არავითარ საშუალებას არ ზოგავს, რომ ამ მიზანს მიაღწიოს, რომლისთვისაც სიტყვები: „სინიდისი,“ „პატიოსნებაᲗ,“ „კაცთ მოყვარეობა“ და სხვა ამ გვარები გაუგებარი და ფუტურო რამ ხმებია; წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც გულ-გრილათ შეუძლია ლატაკს უკანასკნელი გროში წაართვას, ჩამოწონწილს—დაფრეწილი ჩოხა გააძროს, მშიერს ლუკმა გამოგლიჯოს პირიდამ,—და ყველა ეს მხოლოთ იმისთვის, რომ ამათგან მოტაცული გროშები ოქროებათ აქციოს და ზედ დასცქეროდეს, წარმოიდგინეთ ეს და თქვენს თვალწინ იქნება სურათი არუთინასი!

ესრეთია არუთინ ზიმზიმოვი. ამისთანა პირები ისეთს მოვლენას შეადგენენ ჩვენს დროში, რომ იმათი ნახვა აღარავის აღარ უკვირს; შეეჩვიეთ; მუდამ ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებით...

გიქო ტიპია, განხორციელებული წარმომადგენელი იმ დინჯი, დარბაისელი და „გადამდნარი“ მოხუცებულისა, რომლის მსგავსსაც ყველგან ბლომათ ნახავთ; ბევრი რამ გამოუცთია თავის ცხოვრებაში, ბევრი რამ უნახავს დედა-მიწაზე. ერთ დროს იქნება, ესეც პეპოსავით ღელავდა, ჰქუხდა და დუღდა; მაგრამ ახლა ნერვები დაებლაგვა, მაგდენათ აღარაფერი აღარ ააჩქარებს, აღარ ააღელვებს: ყოველივე ამა საწუთროსი წარმავალიაო...

ეს ოთხი პირია კამედიის უმთავრესი პირები, იმის ხასიათის გამომსახველნი.

დანარჩენებში: შუშანა, პეპოს დედა,—ერთი ქვრივი, თავის შვილების უბედურებით გულდამწვარი, მუდამ მტირალი დედაკაცია, რომლის ნატვრა ხოლოთ ის

არის, რომ თავის ქალ-ვაჟი ცოცხალი და ბედნიერი ჰყავდეს.

კეკე—უბრალო ღარიბი ოჯახის გასათხოვარი ქალია. ეს იმ ქალებს ეკუთვნის, რომელთაც ყველა უბედურებისა და დაბრკოლების თავიდამ ასაცდენელათ მხოლოთ ერთათ-ერთი საშუალება აქვთ: ცრემლები. მამას ან ძმას რამე უბედურება შეემთხვა—სტირის, ქმარი ვერ იშოვნა დროზედ—სტირის, ახალი კაბა ვერ შეიკერა—ცრემლები მზათაა!...

ეფემია—არუთინას ცოლი, ჩინებული ტიპია იმ ღარიბი ოჯახიდამ მდიდარ ოჯახში ჩავარდნილ ქალებისა, რომელთაც სხვების წაბაძვით, გარეგნობით და ყალბი ამპარტავნობით ჰსურსთ, თავის შთამამავლობა დაივიწყონ და ამაღლდენ. ოგული მოუკვდება, თუ ისე მდიდრულათ არ მორთო სახლი, როგორც იმის მეზობელსა აქვს; ერთ კვირას სადილს არა სჭამს, თუ იმანაც ორმოცდა-ათ თუმნიანი წყვილი სარკე არ იყიდა; რა გული მოუთმენს, რომ კარაპეტას მარუამ პოდესუას კაბა, ან ხავედრის მოსასხამი შეიკეროს და იმანკი არა!

დანარჩენი მოქმედი პირები „პეპოში“ მხოლოდ იმისთვის არიან გამოყვანილნი, რომ უმათოთ მოქმედეარ შეიძლებოდა, და არა ტიპებათ.

ორიოდე სიტყვა წარმოდგენაზედაც ვთქვათ.

უფ ჩიმშკიანი ნამდვილი არტისტია, დახელოვნებული, გამოცთილი არტისტი, რომელმაც თითქო ცხოველი ასული ჩაუდგა პეპოს როლს. იმის მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა სცენაზე და ყველაფერი ნამდვილს თფი-

ლისის კინტოს მოაგონებდა და თავალწინ წარმოუდგენ-
და მაყურებელსა.

საუბედუროთ, უფ. ჩიმშკიანს ერთი ნაკლულევანე-
ბა ჰქონდა, რომელიც ყველამ შენიშნა: ქართული ენის
უცოდნელობა ხშირათ ეტყობოდა; უჭირდა ზოგიერთი
სიტყვების გამოთქმა, და ამის გამო ზოგმა მშვენიერმა
ალაგმა პეპოს როლისამ თითქმის შეუნიშნავათ და ჯე-
როვანი შთაბეჭდილების მოუხთენელათ ჩაიარა.

უფ. ნათაძემ მეორე მოქმედებაში ჩინებულათ ითა-
მაშა; მესამეში-კი ცოტა არ იყოს მომეტებულს ღელავ-
და და ცახცახებდა, თუმცა იმ საშინელი სიტყვების
დროს, რომელნიც პეპოსაგან ესმოდა, და იმ ტრა-
ღიკულ მდგომარეობაში, მართალი რომ თქვას კაცმა,
ამ მუნჯური ღელვისა და შფოთვის მეტი, არა დარჩე-
ნოდა რა.

სხვათა შორის, იმას ისეთი ტანისამოსი ეცვა და
სახეც ისეთნაირათ ჰქონდა გაკეთებული, რომ რომელ-
სამე პატარა ჩინოვნიკს უფრო გვანდა, ვიდრემ ქალაქის
მდიდარს ვაჭარს. რაც უნდა ევროპიულათ და უკანასკნელს
მოდაზედ ჩაიცვას სომხის ვაჭარმა, სომხობა მაინც დაე-
ტყობა.

კაკულიდ (უფ. ი. ბაქრაძეს) ხმა არ აკლდა, მაგრამ
ცოტა მომეტებული მოძრაობა მოუხთებოდა.

გიქოს, შუშანისა და ეფემიას თამაშში სცენის სას-
ტიკი კრიტიკოსიც ძნელათ მონახავდა შესამჩნევს ნაკ-
ლულევანებას

საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიხმა ავტორი—
უფ. სუნდუკიანცი და ყველა მოთამაშეები და უხვი ტა-
შის კვრით დაასაჩუქრა. ორთავეთ სამართლიანათ დაი-

მსახურეს საზოგადოების თანაგრძნობა და მადლობა: ავტორმა მშვენიერი კომედიისათვის და მოთამაშეთ გულსმოდგინებითა და ნიჭიერათ წარმოდგენისათვის.

უკანასკნელი ჩვენი სიტყვა და ნაღტვრა ის იქნება, რომ ამისთანა გონივრული და ესტეტიკური დატკბობა, რაც შეიძლება, უფრო ხშირათ ღირსებოდეს ჩვენს საზოგადოებას...

გლეხს კრედიტი უნდა.

დიახ, მოვიდა ისეთი დრო, როდესაც ქართველი კაცი მუდამ ფულზედა ჰფიქრობს; როდესაც და რაზედაც უნდა დაიწყოს ლაპარაკი, გინდ მარშლების ამორჩევაზე, გინდ რკინის გზაზე, გინდ წლევანდელ მოსავალზე ანუ შარშანდელს თოვლზე, - მაინც ყოველთვის ბოლოს-დაბოლოს ფულზე და ისევ ფულზე ჩამოგიარაკებს.

ქართველი კაცი ამაზედ ლაპარაკობს, და ქართული გაზეთი, როშელიც, თუ არ არის, უნდა იყოს იმის გონებითი მიმართულებისა და აზრის გამომხატველი, იძულებულია აგრეთვე ამაზედვე ილაპარაკოს... „დრონი მეფობენ“ ხომ გაგიგონიათ!

ყველას გვეჭირვება ფული. ნაბატონარსა და ნაყმევს, ვაჭარსა და მღვდელს, ჩინოვნიკსა და უჩინოს, ერთი-სიტყვით, დიდსა და პატარას, ყველას თითქმის ერთნაირი ლტოლვილება, ერთნაირი სურვილი აქვს, რომ სადმე, როგორმე ფული შეიძინოს; ყველას გვესმის, რომ უფულოთ ახლანდელ დროში ცხოვრება გასაჭირია.

ყველას გვეჭირვება; მაგრამ ისე კი არავის, რო-გორც ამდროინდელ ჩვენს გლეხსა.

ვაჭარმა რომ ფული ვერ იშოვნოს, ამით ქვეყანას, არა თუ არა მოაკლდება რა, იქნება კიდეც შეემატოს; ნაბატონარს რომ ფული შემოაკლდეს, მართალია, ცუ-დია, მაგრამ მაინც არა უშავს რა: თუ ბანკისა და თუ სხვა ლონის ძიებით გამოსძებნის.

მაგრამ გლეხი კი სულ სხვაა: იმის უფულობა ახლა მთელს ქვეყანას დაეტყობა, მთელ საქართველოსთვის საგრძნობელი იქნება.

მოკლეთ ავხსნათ გარემოება:

ნურას ვიტყვით იმ გაჭირვებაზე, რომელშიაც ახ-ლანდელი საქართველოს გლეხი არის ჩავარდნილი ყ�ველ გვარი სოფლის წურბელებისაგან; ნურას ვიტყით იმაზე, თუ რა დღე ადგებათ იმათ, როდესაც მოვალე მიადგება კარზე და ხშირათ წლიურს მოსავალს წააგლეჯს ხოლმე.

ამ გაჭირვებიდამ, სულ თუ არა, სანახევროთ მა-ინცა, ადრე თუ არა—გვიან, ის გამსესხებელ—შემნახვე-ლი ამხანაგობანი და ბანკები გამოიხსნის გლეხს, რომე-ლნიც ზოგან გამართულა, ზოგან იმართება ახლა ჩვენში.

მაგრამ ახლანდელ ქართველ გლეხს მეორე და უფ-რო მძიმე განსაკთელი ადგია კარს, მეორე გაჭირვება აქვს, რომლის დაკმაყოფილებაზე იმისა და იმასთან საქარ-თველოს ბედიკაა დაკავშირებული და დამოკიდებული. „სანადელო“ მიწის შესყიდვაზე ვამბობთ.

მოაწია დრომ, როდესაც ამ საგანზე უნდა მოფ-ფიქროს ყველამ, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყ-ნის მომავალ ბედისათვის.

ქართველ გლეხს მიწა უნდა ჰქონდეს; უმიწოთ იმის ცხოვრება შეუძლებელია. იმ დღეს, როდესაც ჩვენებურ გლეხს მიწა ჩამოერთმევა, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბედს საუკუნოთ უნდა გამოვეთხოვოთ.

მართალია, „ყმობითი დამოკიდებულებისაგან გამოსულ გლეხების წესდებულებაში“ მოხსენებულია,—თუ როგორ და რა ღონის-ძიებით შეუძლია გლეხს, იშოვნოს ფული სანადელო მიწის შესაძენათ; მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ღონის-ძიება ერთობ ძნელია, ერთობ დახლართულია.

შეიძლება, მეორე ღონის-ძიება, მეორე სახსარი იხმაროს ჩვენში კაცმა, რომ ამ მხრით დაეხმაროს გლეხს.

ეს სახსარი არის ისეთი ბანკისა ანუ საკრედიტო დაწესეაულების გამართვა, რომლის განსაკუთრებული, სპეციალური დანიშნულება გლეხებისათვის მიწის გამოსყიდვა იქნება.

ამისთანა ბანკს შეუძლია, ხელი მოუმართოს ფულით ყოველ გლეხს, რომელსაც სანადელო მიწის საკუთრებათ შეძენა ჰსურს. ის ასესხებს და ასესხებს მხოლოთ იმისთვის რომ მიწა შეიძინოს ნაბატონრებისაგან და გიერაოთ შეუძლია ესვე მიწა მიიღოს.

ამისთანა ბანკს ჩვენს დროში ყველა სხვა გვარ ბანკებზე უფრო უაღრესი მნიშვნელობა აქვს, და, როგორც ზევით მოგახსენეთ, ამაზედ იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი

ჩვენის აზრით თფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებს ამგვარი საგლეხო ბანკის ანუ ბანკების გამართვით უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუ-

ტანენ ჩვენს ქვეყანას, ვიდრე თითქმის თავის პირ-და-პირი მოვალეობისა და დანიშნულების აღსრულებით.

როგორც გაზეთის სტატიას შეეფერება, ჩვენ აქ მხოლოთ გაკვრით ვილაპარაკეთ ამ საგანზედ; უფრო გარკვევით და დალაგებით განხილვა ამ მძიმე საქმისა ჩვენ მიგვინდვია იმ დაწესებულებათათვის, რომელთაც თითქმის პირ-და-პირ მართებთ ამაზედ ფიქრი და რომელთაც ამის სისრულეში მოყვანა შეუძლიათ: მიგვინდვია თფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების გამგეობათათვის.

ზოგიერთი კითხვები

„თფილისის მოამბის“ მე-25 და მე-27 ნომერში დაბეჭდილია ამ გაზეთის პეტერბულელი კორესპონდენტის წერილი, რომელიც ისეთს საგანს შეეხება, რომ შეუძლებელია, კავკასიაში იმას ყურადღება არ მიექციოს.

მართალია, საგანი ერთობ მძიმეა და იმისთანა თვისებისა, რომელზედაც ყოველ-მხრივი ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ, უეჭველია რამე მაინც უნდა ვსთქვათ.

ბევრის გადახვევ-გადმოხვეული ლაპარაკის შემდეგ, წერილის ავტორი შემდეგ კითხვას აძლევს თავის მკითხველებსა, რომლის პასუხშიაშ ავტორის აზრი და წინადადება გამოიხატება.

„რა უფრო სასურველი დასასარგებლო იქნება კავკასიის ხალხებისათვის: ცალკე, განსხვავებულ გვარტომობათ და ხალხებათ დარჩენა, თუ ერთის რომ-

ლისამე დაახლოვება, ყველასი ერთად, ერთ ხალხად შეერთება?

ამ კითხვაზე ავტორი შემდეგს პასუხს გვაძლევს:

რადგან კავკასიის ხალხების ენები შემუშავებულნი არ არიან, რადგან იმათ იმ ხარისხამდინ ვერ მიუღწევიათ, რომ მეცნიერებისა და საზოგადოთ ცივილიზაციის ნაყოფი შეითვისონ, რადგან ცალკე ენების შემუშავება უფრო ძნელია და დიდს დროს მოითხოვს, ამის გამო უმჯობესი იქნებოდაო, რომ კავკასიის ყველა ხალხებმა ერთი ენა რუსული ენა შეითვისონო, როშლის საშუალებითაც ისინი უფრო ადვილად და ჩქარაც მიაღწევენო თავიანთ კეთილდღეობასაო. რაც უფრო მომეტებული განსხვავებაა ენებსა, ხალხს და ლიტერატურას შუა, მით უფრო ძნელიაო ამ განსხვავებულ ხალხებს შუა ერთობა, კავშირი და გონებითი დაახლოვებაო; და ერთი ენა და ლიტერატურა კი სრულებით განსხვავებულ გვარტომის ხალხებსაც დააკავშირებს და ცივილიზაციაში წინ წასწევსო.

ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ „თფილისის მოამბის“ რედაქციამ საჭიროდ დაინახა, რომ მეორე სტატია დაებეჭდა და თავის საკუთარი აზრი გამოეთქვა ამავე საგანზე.

საზოგადო აზრი ამ სტატიისა ის არის, რომ, როგორც ტელეგრაფისა და დამოფნის გაერთგვარებას უნდა მოველოდეთო, აგრეთვე უნდა მოველოდეთო, რომ წრეთ დროს მთელს დედა-მიწაზე შეიქმნა ერთი ენა და ერთი ლიტერატურა იქნებაო. მაგრამ, სანამ ამ სანატრელ და აუცილებელ დროს მოვესწრებოდეთო, მანამ

სხვა და სხვა ადგილობრივი და კერძოობითი გარემოება არ უნდა დავივიწყოთო. და ეს ადგილობრივი გარემოება თხოულობსო, რომ ყოველ ხალხს თავის საკუთარ სამშობლო ენაზე მიეცეს სწავლა-განათლებაო, რადგან ამ ენის საშუალებით ყოველ კაცს უფრო ადვილათ, უფრო მალე შეუძლია განათლებისა და ცივილიზაციის შეთვისება, ვინმე რომელსამე უცხო ენაზეო; ადგილობრივი ენები და ლიტერატურა იარაღათ უნდა ვიხმაროთო, რომ რიგიანათ წავიყვანოთ აქ საზოგადოსაქმეები და ეს ხალხები უმაღლესი ცივილიზაციისთვის მოვამზადოთო.

ეს გახლავთ „თფილისის მოამბის“ საუკეთესო ოანამშრომელისა და თვითონ ამ გაზეთის რედაქციის აზრი ამ საგანზე.

სანამ თვით საგანზედ დავიწყებდეთ ლაპარაკს, ერთი პატარა შენიშვნა გვაქვს: დიდი და პატარა ხალხებისა, დაწინაურებული და მდიდარი, ღარიბი ენებისა და ლიტერატურის მნიშვნელობასა და როლზე ძალიან ბევრი თქმულა, ბევრი ულაპარაკნიათ მეცნიერთა და უმეცართაც.

მაგრამ შესანიშნავია, თუ მოლაპარაკე მწერალი ან მეცნიერი რომელსამე დიდი და ძლიერი ხალხის ტომს ეკუთვნის, თქვენ მუდამ იმ აზრის არის, რომ მდიდარმა და დაწინაურებულმა ენამ და ლიტერატურამ ღარიბი ენის ადგილი უნდა დაიჭიროსო.

წინააღმდეგ ამისა, პატარა ხალხის მეცნიერნი, იმას ამტკიცებენ, რომ ენისა და ლიტერატურის შეცვლა და ხალხის სიკვდილი, მოსპობა ერთი და იგივეაო, და სხვა.

რომელია ამ ორში მართალი და რომელი მტყუანი?—ეს თვენ განიხილეთ და ჩვენ-კი ისევ ჩვენს პირ-და-პირ საგანს შევუდგებით.

პირველი საფუძველი რომელიც ზემოხსენებული სტატიების თაობაზე უნდა მოვიყვანოთ, არის შემდეგი: ყოველი ხალხის ენა, ლიტერატურა, ეკონომია, არის ჩვეულება და სხვა ყველა ნაციონალობისა და გვარტომობის შემადგენელი, თვისება იმ ქვეყნის ბუნებისა და გარშემოზღუდულ ოგარემოებისაგან წარმოსდგება, რომელშიაც ეს ხალხი დაბადებულა, უცხოვრია და ისტორიულათ აღზრდილა. ერთი ხალხი თუ ამაო-მორწმუნეა და მეორე ორა, ერთს თუ მდიდარი ლიტერატურა აქვს და მეორეს ღარიბი, ერთი თუ მხნეა და მეორე მხთალი, ერთი თუ ცოცხალი ხასიათისაა და მეორე-კი მძინარე, ერთი თუ გამჭრიახე, ნიჭიერი და მეორეს ტვინის განძრევა ეზარება,—დარწმუნებულნ იყავით, რომ ეს გარშემომეცული ბუნების საქმეა; სხვა-და-სხვა ნაირათ შეზავებულმა ბუნებამ და გარემოებამ განსხვავებული ხასიათისა და თავისების ხალხები შეჰქმნა.

თუ ეს ასეა, თუ რომელისამე ხალხის ენა და ლიტერატურა შედეგია იმ ბუნებისა და გარემოების, რომელიც ამ ხალხს რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში გარს ეხვია და ზედმოქმედება ჰქონდა იმაზე, თუ ეს ასეა,—განა შეიძლება რჩევით გამოუცვალოთ ხალხს ენა და ხასიათი? ვინიერმა კაცმა როგორ უნდა-იუთხრას მთელ ხალხს, ან რამდენსამე ხალხს, რომ ეხლეს თქვენთვის ფრანგული ან გერმანული ენა არის საჭირო, დაივიწყეთ თქვენი საკუთარი ლიტერატურა და ენა და ის შეისწავლელო? განა ამგვარად შეიძლება იმის თავიდამ

მოშორება, იმის დავიწყება, რაც ხალხს ძვალსა და რბილ-
შეთვალულია, რაც იმას გაჩენიდამ, ესრე ვსთქვათ, დე-
დის ძუძუდამ თან შეზრდია?

როგორც ფოსტის ერთგვარი ფასი (ტაქსა) მიიღო
ევროპამ, ისე შეიძლება ერთი ენაც შეითვისოს და მი-
ღოსო! რასაკვირველია, ეს სასიამოვნოდ და კარგად იქნე-
ბოდა მაგრამ რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რა გამო-
ვა იმის ნატვრით, რაც შეუძლებელია, რაც ბუნების
წინააღმდეგია, რაც არღვევს ყოველ ბუნების კანონსა
ყოველ ადამიანის თვისებასა?

ენა, ხასიათი, ლიტერატურა თითქო რომელიმე გა-
მონაცვალი ახალუხი ან წაღა იყოს, რომ იმის გადაგდე-
ბა და ახლის მიღება შეიძლებოდეს!

როგორც ყოველი კერძო კაცი, რომელიც ხე-
დავს, რომ ცხოვრებაში ან მეცნიერებაში უცხო ენის
შეთვისება ეჭირვება და ითვისებს ამ ენას, ისე ხალხმაც,
შეიძლება, რომელიმე უცხო ენა შეისწავლოს. მაგრამ ეს
რჩევით და რეცეპტით არ შეიძლება: თვითონ ხალხი უნ-
და ხედავდეს, უნდა გრძნობდეს ამ საჭიროებას.

და განა ეს დაუშლის იმას, რომ ამასთანავე მუდამ
თავის საკუთარი ენის შემუშავებასა და წინ წაწევას
ცდილობდეს, ცდილობდეს, იმდენათ მოამზადოს სამშობ-
ლო ენა, რომ იმაზე მეცნიერებისა და ცივილიზაციის
შეთვისება შეიძლებოდეს?

ერთი დრო იყო ბედა-მიწაზე, როდესაც განათლე-
ბულ ენად მხოლოთ ლათინური ენა იხმარებოდა. ყველა
სამეცნიერო საგანს ამ ენაზე სწავლიდენ და სწერდენ; მეც-
ნიერნი ამ ენაზე ვიდეც ლაპარაკობდენ.

წარმოიდგინეთ, რა გამოვიდოდა, რომ იმ დროსვ, თვი-

ლისის „მოამბეში“ ეროფილიუო ცოცხალი? იმვე ლოლიკით, რომლითაც ახლა კავკასიელებს ერთის უფრო შემუშავებულის ენის შეთვისებას გვირჩევს და ჩვენი საკუთარი ლიტერატურის დავიწყებას, — ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და სხვა ყველა ხალხებს ეს გაზეთი მაშინ ურჩევდა, რა საჭიროა თქვენ ბუნისა და ლიტერატურის შემუშავებაო, შეითვისეთ ლათინური ენა, ამ ენის ქმესწავლა უფრო ადვილათ და მალე შეგიძლიათ. ვინემ საკუთარის შემუშავებაო; ამ ენის შემწეობით თქვენ უფრო მალე მიაღწევთ თქვენს სანატრელ კეთილდღეობასაო და სხვა და-სხვა.

დაჯ ამ ხალხთ ოომ ხსენებული გაზეთის სიტყვა დაეჯერებინათ (თუ შეიძლებოდა დაჯერება), მაშინ არც ფრანგული, არც გერმანული, არც ინგლისური ენა და ლიტერატურაშ ალარ გვექნებოდა!

რასაკვირველია, ჩვენ, კავკასიის ხალხებში ზემო მოყვანილ ხალხთა ვერ შეეედრებიდ. მაგრამ, ორივე შემთხვევაში ლოლიკა კი ერთია.

საუკეთესო მეცნიერნი, გამოჩენილნი ფილოსოფოსნი ერთხმათ გვიმტკიცებენ, რომ იმ ხალხისაგან, რომელმაც თავის სამშობლო ენა, განსაკუთრებული ხასიათი და გვარტომობა დაივიწყა, იმ ხალხისაგან ნურა სიკეთეს ნუ მოელოდ; ამისთანა ხალხის გონება მუდამ ფრთანშეკვეცილიარ, იმის ტვინი თავის დღეში ისეთს ვერაფერს ვერ შექმნის, რასაც ამთელი კაცობრიობისთვის მნიშვნელობა ჰქონდესო, იმის უცხო ენაზე შექმნილი ლიტერატურა მუდამ უფერული, უორიგინალო და სუსტი იქნებაო.

სხვა არა იყოს რა, ეს ზემოთქმული ჰეშმარიტება

მაინც უნდა ჰქონდეთ მხედველობაში იმ პირთა, რომელნიც, თითქო კაცობრიობის წარმატებისა და ბედნიერებისათვის პატარა ხალხთ ურჩევენ, თქვენი გვარტომობა დაივიწყეთ და მდიდარი ენა და ლიტერატურა შეითვისეთო...

რას ამბობენ ის პირნი, რომელნიც ახლა და მუდამ ჩვენი გვარტომობისა და ენის შეცვლას გვირჩევენ, როდესაც მაგალითათ, ინდოეთის გაინგლისელებაზე, ალჟირის გაფრანგებაზე ან კიდევ უმეტეს, როცა ავსტრიის ან გერმანიის სლავიანების გაგერმანელებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი?

თუ არა გაბრაზებით და დორბლით ტუჩებზე, ისე ხმის ამოღება არ შეუძლიათ... როცა უცხო ქვეყნებს შეეხება საქმე, რადიკალებიც არიან და ნაციონალისტებიცა და როცა შინაურ, თავის ქვეყნის ხალხებზე ლაპარაკობენ, მაშინ კი ლოღიკა იცვლება...

ერთი პატარა და უკანასკნელი შენიშვნაც:

იმ ხალხს, რომელსაც ისტორიულათ უცხრავრია, რომელსაც თავისი საკუთარი ლიტერატურა და, ცოტაც არის, შემუშავებული ენა აქვს,—ამგვარ ხალხს, თუნდა ერთ მუჭა ხალხიც რომ იყვეს, ვერც ძალით და ვერც ნუბა-ყოფლობით ვერ გამოაცვლევინებთ, ვერ მოასპობინებთ თავის თან-შეზრდილს, თან-შესისხლხორცებულ ენასა და ლიტერატურას; ვერ მოასპობინებთ იმიტომ, რომ ეს ენა და გვარ-ტომობა იმას თავის არსებობის საფუძვლათ მიაჩნია.

ახალციხის ქართველები.

„დროების“ მე-17 ნომერში დაბეჭდილი იყო ახალციხიდამ გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომლიდამაც მკითხველი შეიტყობდა, რომ ერთი იქაური ტერ-ტერა ყოველ ლონის-ძიებას ხმარობს, ქართველი კათოლიკენი დაარწმუნოს, რომ ისინი ნამდვილი სომხები არიან და აღარა ქართველები; მეცადინეობსო, რომ სომხური ენა გავავრცელოს ისეთს ქართველებში, რომელნიც თავის დღეში სომხები არა ყოფილან და ეროვნულად თავის თავი ნამდვილ ქართველებათ მიაჩნიათო.

გასაკვირველი არევ-დარევაა ჩვენში სარწმუნოებასა და ხალხს, წაკრას შუა; სარწმუნოება და ნაცია ერთმანეთში ვერ გაგვირჩევია:

თუ ქართველს, რომელისაც გარემოებამ წალობით, ვსთქვათ, კათოლიკე სარწმუნოება მიუღია, ის თავის თავს ქართულათ კი ეწარა სთვლის, „ფრანგათ“ სთვლის, ბოლოს სარწმუნოების გამოცვლამ რამეს ქართველობა (ნაციონალობა) შესცვალა.

ისტორია გვეუბნება, რომ ძველათ რომის პატრიკები ყოფილან ჩვენში და ბევრი ქართველი გაუკათოლიკებიათ.

მაგრამ ამ სარწმუნოების შეცვლამ განა იმათი ხალხობა, იმათი ქართველობა შესცვალა?

ამ გარემოებით, ამ სარწმუნოებისა და ნაციის გაურჩევლობით, სტოგბლობს ახლა ეეპველია, ხსენებული ტერ-ტერა და აწარმუნებს ახალციხის ქართველ-კათოლიკეებს, რომ ისინი სომხები არიან და ყველაფერი სომხური უნდა შეითვისონ.

ძალიან საქებია, რასაკვირველია, როცა კაცი თავის ხალხის ერთგულია; როცა ვინმე ცდილობს, რომ თავის თანამემამულეთა რიცხვი გაამრავლოს, მაგრამ ამისთანა კაცმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს თავის ხალხის გაძლიერება და გამრავლება რომელიმე სხვა ხალხის ხარჯით არ მოხერხდება...

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ახალციხის კათოლიკეებში ზოგი სომხები ურევიან, მაგრამ ბევრი ქართველიცაა...

ძვირად ვაფასებთ ჩვენ კათოლიკე ქართველებს, რადგანაც ამ ჟამათ იმათში უფრო მომეტებულს ქართველობას, ქართულს გრძნობასა და თავის სამშობლო ქვეყნის სიყვარულს ვხედავთ, ვიდრე ბევრს მართლ-მადიდებელ ქართველებში...

ბევრჯელ გვითქვამს, რომ ჩვენ სომხებთან თანხმობა და ძმური დამოკიდებულება გვინდა, გვქონდეს გვინდა და უარზე არც ისინი დგანან.

მაგრამ ყოველი იმგვარი შემთხვევა და მოქმედება, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, კეთილ განწყობილებასა და ძმურ კავშირს ასუსტებს.

„დ რ ო ე ბ ა“ 1866—1876 წ.

4 მარტს, 1866 წ., დაიბადა გაზეთი.

გასულ ხუთშაბათს, ე. ი. ამ 1876 წლის 4 მარტს ათი წელიწადი შესრულდა იმის არსებობისა, როცა რომელიმე გაზეთი, და ისიც ჩვენში, ათს წელიწადს ცხოვრობს, უეჭველია, ამ გაზეთის სახელი და გავლენა ხალხის ცხოვრებაში და ისტორიაში ჩასანიშნავი იქნება.

ამიტომაც საჭიროთ ვთვლით, „დროების“ ათ წლის ცხოვრებაზე ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

„დროებამ“ ისეთს დროს დაიწყო გამოსვლა, როდესაც, ხანგრძლივის ძილისა და მყუდროების შემდეგ, საქართველომ თითქო გამოღვიძება დააპირა.

ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტათი დაიწყო თავის ძველი ცხოვრების წესისა და ხასიათის მიტოვება, და ახალს, თანამედროე ცხოვრებას შეუდგა.

ეს იყო ის დრო, როდესაც განათლებულნი ახალგაზდა ქართველები გაჩნდენ ჩვენში, რომელთაც, ცოტა არ იყოს, შეანძრიეს თითქო გაქვავებული და დამყავებული ჩვენი ცხოვრება.

ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრების მოახლოვებას. თვალები და გონება რომ არ ჰქონოდა მაშინდელ ქართველს, მარტო ყნოსვითაც კი შეატყობდა, რომ რაღაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდაო.

აი, ამისთანა დროს დაიბადა გაზეთი „დროება“.

ჩვენი საქმეა არ არის, ავსწონოთ და დავაფასოთ თუ რამდენათ შეასრულა გაზეთმა ის ზნეობითი მოვალეობა, რომელსაც იმისაგან მაშინდელი დრო და საზოგადოება მოიოხოვდა.

მხოლოდ ერთს ვიტყვით:

რაც რამე ნიჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერმა და ყველამ თავის ვალი დაჩნია ამ გაზეთში. ეს იყო თითქმის ძველი ჩვენი ლიტერატურის ერთად-ერთი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებასთან

ბაასი; ეს იყო ერთად-ერთი ორგანო, რომლის საშუალობითაც მხოლოდ შეეძლო, ეთქვა რამე ყველას, ვისაც ქვეყნისათვის რაიმე ჰქონდა საფქმელი, ვისაც თავის აზრებისა და რწმუნების გავრცელება და გაზიარება უნდოდა ჩვენში.

გაზეთს უყურადღებოთ არ დაუტოვებია თითქმის არც ერთი ისეთი საგანი, რომელიც კი ამ დროის განმავლობაში აწუხებდა, ან უ ინტერესებდა ჩვენს საზოგადოებას.

ერთის სიტყვით, თვით ამ გაზეთის მოსისხლე „ტეტრიც ვერ იტყვის, ოდეს „დროების“ ათი წლის სიცოცხლეს უნაყოფოთ და უკვლოთ ჩაეარეს.

რასაკვირველია, შესაძლებელი იყო, რომ ეს ნაყოფი უფრო მწიფე ყოფილიყო და ეს კვალი უფრო ღრმა; შესაძლებელი იყო, რომ გაზეთს უფრო მომეტებული სარგებლობა მოეტანა ქვეყნისთვის; მაგრამ ნუ დაივწყებთ ნურც იმ გარემოებათ, რომელნიც გაზეთს გარს ეხვია და ახლაც ახვევია.

ნუ დაივიწყებთ, რომ გაზეთის საქმეს ვარდით მოფენილი გზა არა ჰქონია, რომ იმის წესიერს მსვლელობას ხშირად და ბევრი ისეთი მოულოდნელი დაბრკოლება უხვდებოდა გზაზე, რომლისგანაც მოშორება იმის ხელთ არ იყო, იმის ნებაზედ არ იყო დამოკიდებული.

მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც გაზეთი დღიდ-ღეზე, ყოველ წელიწადს უკეთესდება და წარმატებაში შედის.

ვისაც თავიდამვე, პირველი ნომრიდამვე, თვალ-ყური უდევნებია ჩვენის გაზეთისათვის, ის დაგვეთანხმება, რომ პირველი და მეორე წლის გაზეთი, ყველაფერში, ბევრად უკან ჩამოუდგება უკანასკნელის წლის გაზეთსა, როცა აპრილში 1869 წელს „დროების“ ახლან-

დელმა რედაქტორმა პირველად იკისრა ამ გაზეთის პატრონობა, გაზეთს მხოლოთ 240 ხელის მომწერი ჰყვანდა.

კვირა ისე მოვიდოდა ხოლმე, რომ რედაქციას ერთიან-ორი წერილიც ძალიან ცოდავდ, კორესპონდენცია ან სტატია რამ თუ მოუვიდოდა.

შარშან დეკემბერში „ეკრონების“ ხელის-მომწერთ რიცხვი 650-მდის ავიდა. წელს ამაზე მომეტებულის იმედი გვაქვს. ეგეთ ხვეულთ-რიცხვი ხომ ერთი-ხუთად უნდა ჩაითვალოს.

დღე არ გავა ახლა, რომ რედაქციას ხუთ-ექვსი, ხან ათი და მეტიც თუ წიგნი, თუ რამ შენიშვნა, სტატია, ანუ კორესპონდენციაც არ მოუვიდეს.

ისე არაფერი დაიბეჭდება ახლა გაზეთში, რომ სადმე რაიმე ლაპარაკი, ბაასი და ხან ყაყანი და შფოთი არ ასტეხოს.

ყველა ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში თან-და-თან იზრდება ხალისი კითხვისა; გვიმტკიცებს, რომ გაზეთს თან-და-თან ემატება ინტერესი, უმატებს ძალა და წაელენა; ესეც გვიმტკიცებს, რომ გაზეთი საჭიროა, რომ ნთი წლის არსებობით იმასი საზოგადოებაში საგანელი და აუცილებელი საჭიროება დაუმსახურებია; ეს გვიმტკიცებს, რომ იმასი „შავ-ბედიფეოიკორნის“ არ უნდა ეშინოდეს, რომელის მკვიდრ საფუძველზე დგას და ხანგრძლივს სიცოცხლეს მოელეს...

ეს შენიშვნა ისე ადვილად გასავებია, რომ ჩვენ არ მოვიხსენიოთ ერთი-ორი, რომელსაც გაზეთის ბედში არა მცირედი მონაწილეობა მიუძღვის, რომელსაც ჩვენი „დროებისათვის“ ცოტა ოფლი არ დაუღვრია: ეს

პირი არის „დროების“ პირველი რედაქტორი—გიორგი წერეთელი.

გიორგი წერეთლის მეცადინეობასა, ნიჭსა და სამშობლო საქმის სიყვარულს უნდა ვუმადლოდეთ, თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგში იმას დღეგრძელობა მოელის...

თავის ათი წლის სიცოცხლეში „დროებას“ ერთი საზოგადო სახელმძღვანელო აზრი ჰქონდა; ეს აზრი იმას არასოდეს არ დაუტოვებია და იმედია, არც შემდეგში დასტოვებს:

იმას ესმოდა და ესმის სამშობლო ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ყოველის ხალხისათვის; იმას ესმოდა და ესმის, რომ ლიტერატურა საზოგადოთ და პერიოდული განსაკუთრებით ძალაა, რომ ყოველმა პატიოსანმა კაცმა ეს ძალა თავის ქვეყნის სასარგებლოთ უნდა მოიხმაროს.

იმას ესმოდა და ესმის, რომ კაცობრიობა ერთს წუთილზე ვერ გაჩერდება, რომ დროთა ვითარება თავისას თხოულობს, რომ ერთს ალაგას გაჩერება რომლისამე ხალხისა პირველი და აუცილებელი ნიშანია ამ ხალხის სიკვდილისა და ისტორიიდამ გაქრობისა.

ამ რწმუნების და გვარათ „დროებას,“ თავის წრეშიც შრომა და ერთგულება არ დაუკლია.

და შემდეგშიაც იშრომებს, იშრომებს მით უმეტესის კმაყოფილებითა და ენერგიით, რომ იცის, ეს შრომა, რაც უნდა მცირე იყოს, ცოტა სარგებლობას მაინც მოუტანს იმ ყველასთვის, ვინც საგანს, რომლის სიკეთისა და წარმატებისთვის ადამიანს ვთაესებით

და მილიონობით შეუწირავს თავი და რომელსაც საზოგადო სამშობლოდ ჰქვიან...

„დროების“ ათი წლის დღესასწაულზე წარმოთქმული სიტყვა. *)

„იმ გაზეთის სამსახური, რომლის დაბადებასა და ათი წლის სიცოცხლეს ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს, ცოტაოდენ უფლებას მაძლევს ქადილისას. მაგრამ ეს ჩემი ქადილი იქამდის არ მიაღწევს, რომ ის თქვენი მხურვალე თანაგრძნობა, რომელსაც თქვენ დღეს აქ აცხადებთ, მე დავისაკუთრო.

„ძალიან კარგათ მესმის, რომ კერძოთ მე-კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ.

„ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას-კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა,—ეს რის დროშა ქართულის ლიტერატურისა.

„შესაძლებელია,—და არა თუ შესაძლებელი—უეჭველიცაა, რომ ზოგს თქვენგანს არ აკმაყოფილებს „დროება“ და იმის მიმართულება! ზოგი თქვენგანი ახალს მოდგმას, ახალს თაობას ეკუთვნისდა ზოგი ძველსა.

„მაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულს

---

*) ეს დღესასწაული გადახდილი იქნა 1876 წ. 4 მარტს. დღესასწაულს დაესწრენ: ილია ჭავჭავაძე, ს. მესხი, სტ. მელიქიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ლოლობერიძე, გრ. ორბელიანი, ალბერ იოანესიანი, არტ. ჩიმიშკიანი და სხ. 70-მდე კაცი. გამ.

პირი არის „დროების“ პირველი რედაქტორი—გიორგი წერეთელი.

გიორგი წერეთლის მეცადინეობასა, ნიჭსა და სამშობლო საქმის სიყვარულს უნდა ვუმადლოდეთ, თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგში იმას დღეგრძელობა მოელის...

თავის ათი წლის სიცოცხლეში „დროებას“ ერთი საზოგადო სახელმძღვანელო აზრი ჰქონდა; ეს აზრი იმას არასოდეს არ დაუტოვებია და იმედია, არც შემდეგში დასტოვებს:

იმას ესმოდა და ესმის სამშობლო ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ყოველის ხალხისათვის; იმას ესმოდა და ესმის, რომ ლიტერატურა საზოგადოთ და პერიოდული განსაკუთრებით ძალაა, რომ ყოველმა პატიოსანმა კაცმა ეს ძალა თავის ქვეყნის სასარგებლოთ უნდა მოიხმაროს.

იმას ესმოდა და ესმის, რომ კაცობრიობა ერთს წერტილზე ვერ გაჩერდება, რომ დროთა ვითარება თავისას თხოულობს, რომ ერთს ალაგას გაჩერება რომლისამე ხალხისა პირველი და აუცილებელი ნიშანია ამ ხალხის სიკვდილისა და ისტორიიდამ გაქრობისა.

ამ ერწმუნების და გვარათ „დროებას,“ თავის წრეშიგ შრომა დაერთგულება არ დაუკლია.

და შემდეგშიაც იშრომებს; იშრომებს მით უმეტესის კმაყოფილებითა და ენერგიით, რომ ხიკის, ეს შრომა, რაც უნდა მცირე იყოს, ცოტა, სარგებლობას მაინც მოუტანს იმ ყველასთვის ძვირფასს, საგანსგ, რომლის სიკეთისა და წარმატებისათვის ადამიანს ათასობით

და მილიონობით შეუწირავს ათავი და რომელსაც საზოგადო საქმეზელ ჰქვიან...

„დროების“ ათი წლის დღესასწაულზე წარმოთქმული სიტყვა. *)

„იმ გაზეთის სამსახური, რომლის დაბადებასა და ათი წლის სიცოცხლეს ჩვენ „ვდღესასწაულობთ დღეს, ცოტაოდენ უფლებას მაძლევს ქადილისას. მაგრამ ეს ჩემი ქადილი იქამდის არ მიაღწევს, რომ ის თქვენი მხურვალე თანაგრძნობა, რომელსაც „ქვენ დღეს აქ აცხადებთ, მე დავისაკუთრო.

„ძალიან კარგათ მესმის, რომ „ერძოთ მე-კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ „ცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს „ველანი შეკრებილნი „ვართ აქ.

„ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას-კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ „წერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა,—ეს რის დროშა ქართულის ლიტერატურისა.

„შესაძლებელია,—დაგარა თუ შესაძლებელი—„ეჭველიკაა, რომ ზოგს თქვენგანს არ „აკმაყოფილებს „დროება“ დარომის მიმართულება! ზოგი თქვენგანი ახალს მოდგმას, ახალს თაობას ეკუთვნის და ზოგი ძველსა.

„ბმაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულს

---

*) ეს დღესასწაული გაბადხილი იქნა 1876 წ. 4 მარტს. დღესასწაულს დაესწრენ: ილია ჭავჭავაძე, ს. მესხი, სტ. მელიქიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ლოლოებერიძე, გრ. არწრუნი, აბგარ ჩოტნესიანი, ართ. ჩიმიშკიანი და სხ. 70-მდე კაცი. გამ.

ლიტერატურაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამგვარი გარჩევა აღარ უნდა იყოს, მაშინ ჩვენ ერთის მიწის შვილნი, ერთის ენისა და ლიტერატურის მოყვარენი ვართ!

„ვსვამ ქართული ლიტერატურის სადღეგრძელოს!“

ქუთაისის ბანკის გამგეობა

ამ განცხადების ძალით, რომელიც ჩვენს ფაზეთში იყო ამაქს წინათ დაბეჭდილი, მომავალი აპრილის 14-ს დანიშნულია ქუთაისში თავად-აზნაურთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა ამოირჩიოს საადგილმამულო ბანკისა მოთავე კაცები ანუ გამგეობა. კრებამ უნდა აირჩიოს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ექვსი წევრი და საკუთრივ გამგეობა, ესე. ერთი გამგეველი ბანკისა, ორი დირექტორი და სამი ამათის კანდიდატი.

გვეუბნებიან და გვწერენ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა დიდს მზადებაში და ფაცა-ფუცში არისო; პარტიებს ადგენენ, ენებს ილესენ, ბიბეებზე ხელს ისობენ, ყოველი ადგილისთვის რამდენიმე კანდიდატი ემზადებაო; ზოგს მარტო საბელისთვის უნდა რამე, თანამდებობა მიილოს ფანკში და ზოგს საერთოდ არ ავიწყდებაო; ზოგი კი ამ ბანკის არჩევნებით აპირებს საგვეგლობლის მბრძ, რომ მაისში მარშლების ყენჭისყრის დროს გაიტანოს რამეო, ერთმანეთს უცვლიან ადგილსაო: — „შენ დირექტორათ ამომარჩიე, მე ჩემი პარტიით თეთრს ჩაგიგდებ, როცა მარშლობაზე ყარი ყენჭსაო!

ამ გაცხარებულ ძიძრაკებასა და ღელვაში ბევრი სანუგეშო მხარეა; ეს გვიმტკიცებს, რომ ხალხს არ სძინავს, რომ ის მხურვალე მონიწილეობას იღებს ყველა საქმეში, რომელსაც საზოგადო, საქვეყნო მნიშვნელობა აქვს; და ამგვარი თვისება ხალხისა ზემავლისათვის ბევრს სანუგეშო მოვლენას გვიქადის.

უბედურება ეს ჯერს მხოლოდ, რომ ფაცაფუცში ძალიან ხშირად, უფრო კერძო ინტერესები, უფრო საკუთარი სარგებლობა მოჩანს და არა საზოგადო სიკეთე. ხშირად ეშიტომ-კი არ ირჩევენ რომელსაც პირს, რომ ის ამოლაგზე საზოგადოებისათვის გამოსადეგი იქნებოდეს, არამედ ეშიტომ, რომ ის „ჩვენი კაციაო, ლარიბი ოჯახი აქვსო, ცოტა შემწეობა მივსცეთო“, ან კიდევ ნათესაობით, მოყვრობით და სხვა ამგვარი მოსაზრებისა გამო.

ყველა ამისთანა საფუძველი ჩვენმა თავად-აზნაურობამ უნდა დაივიწყოს ახლა, როცა ბანკის მოხელეკაცებს ირჩევს; უნდა დაივიწყოს, თუ სურს, რომ ეს ნორჩი ბანკი თავიდამვე ვერ დაღლუპოს, თავდადმარგეში არ დაეშვას და დაშვების დროს ისიც თან არ გადატანოს.

უეზდისა და თუნდაც გუბერნიის მარშლები, ვინც გნებავდათ, დღემდი იმის ამორჩევა შეგეძლოთ.

ვახუშტი იქნებოდა, თუ პეტრე—ამით მაინც-და-მაინც ბევრი არ ეზიანებოდა ქვეყანას.

მაგრამ დღეს კი სხვაა: ერთს უხეირო არჩევანს, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგში ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის ბედისათვის და ამასთან ჩვენი მემამულეებისთვისაც.

ერიდეთ ისეთს კაცებს, რომელნიც გეწვეწებიან, ოქროს მთებსა და გაკეთებას გპირდებიან.

ერიდეთ იმისთანებს, რომელნიც პარტიებს ადგენენ, რომლებშიაც ადრეც შეგიმჩნევიათ მიდგომილება, დევნა, კერძო ინტერესებისა და უადგილო თავმოყვარეობა.

ამგვარი კაცები კეთილს არ დააყრიან თქვენს ბანკს, კეთილს არ დაგაყრიან არც თვითონ თქვენ, რადგან ისინი ყველაფერს თავის ვიწრო სარგებლობის ყალიბზე სჭრიან.

ამოირჩიეთ თავიანი, ენერგიული, პატიოსანი კაცები.

ამორჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც ან შეუსწავლიათ ეს ბანკის საქმე, ან შეუძლიანთ შეისწავლონ.

ამოირჩიეთ ისეთი პირნი, რომელნიც არ გთხოვენ ამორჩევასა.

ბანკის საქმე ახალი საქმეა ჩვენში, იმას ახალი კაცები ეპირვება.

ჩვენის აზრით, ამ ბანკის საქმეს ვერავინ ვერ წაიყვანს ამ ჟამათ ისე რიგიანად, ვერავინ ვერ შეასრულებს ამ მძიმე მოვალეობას ისე კარგად, როგორც ის პირნი, რომელნიც დღევანდელი ჩვენი გაზეთის სათაურში არიან დასახელებულნი*).

---

*) თავმჯდომარეთ—ბეს. ლ. ლოლობერიძე, დირექტორებათ: ანტ. ლორთქფანიძე და ბესარ. ჯაფარიძე, ამათ კანდიტატებათ: პეტრე ნაკაშიძე, დიმიტრი დადიანი და დავით ლორთქფანიძე.

ქუთაისი 18 აპრილს.

კარგი დასანახავია ამ ჟამად ჩვენი ბულვარი!

სოფლებიდამ ჩამოსული თავად-აზნაურობა ჯგუფ-ჯგუფად დგას დილიდამ საღამომდის და ხმა მაღლა მასლაათობენ ბანკის სხვა-და-სხვა საქმეებზე; საღამოს კი, ხმა მაღლივ ლაპარაკი ჩურჩულზე და ბუტბუტზე იცვლება; ამ დროს „შოულობენ კენჭებს“ ყველანი, ვისაც კენჭი ეჭირვება; ამ დროს „ამ ბნელ ღამეში“ აწყობენ სხვა-და-სხვა პლანებს და კომბინაციებს, რომელთაც თვით ბისმარკიც შურით შეხედავდა, რომ იცოდეს.

პირველი საზოგადო სხდომა, როგორც მოგეხსენებათ, გუშინ 14 აპრილს უნდა ყოფილიყო; მაგრამ, რადგანაც თავად-აზნაურობის მომეტებული ნაწილი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა, ამის გამო კომისიას სხდომა არ გაუხსნია. ამბობენ, პირველი სხდომა მომავალს ორშაბათს, აპრილის 19-ს იქნებაო.

ახლა-კი კომისია არჩევს დამფუძნებელთა უფლებას და იმ პირთა რწმუნებით წერილებს, რომელთაც სრული ცენზი ოცი თუმანი არა აქვთ და რამდენიმე ერთად შეერთებულან, რომ კენჭი იქონიონ.

ამბობენ, რომ ამ საგნის თაობაზე ზოგი უწესრიგობა მომხდარა, ბევრი რწმუნების წერილი გაუქმდაო, ბევრს სრულებითაც უწყება არ მიულიაო და სხვა ასე. რომ ბევრი თავად-აზნაური, რომელთაც ხმა ჰქონდათ ან შეეძლოთ ჰქონოდათ, წრეს გარეთ დარჩენ და ამ საქმეში მონაწილეობას ვერ იღებენო. უეჭველია, ამ საგანზე პირველს სხდომაზედვე ჩამოვარდება ლაპარაკი.

ჩვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი აყალმაყალი

ლაპარაკი და შეიტყვა ეს „დროების“ კანდიდატურამ. თქვენ გაკვირვებით მკითხავთ:

— რა იყო იმ კანდიდატურაში საეჭვო-მეყალო და ალსაშფოთებელი? საზოგადოებისათვის კეთილის მოსურნე გაზეთმა ურჩია ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთ, რომ ამ ჟამათ თქვენი ბანკის გამგეობა, ჩვენი აზრით, ესა-და-ეს კაცები გამოდგებიან და ურიგი არ იქნებაო, ისინი ამოირჩიონთო! თქვენ მეტყვით, რა არის ამაში გასაკვირველი, და ასეთ ულვებელი?—მომისმინეთ:

ეს „დროებისაგან“ კანდიდატების გამოცხადება ეს სულ სხვა-და-სხვა ნაირათ გაიგეს. ზოგი ამგვარათ სჯის მაგალითად:

— გაზეთს გამოუცხადებია და კიდევაც დაუნიშნავს, ბატონო, ჩვენი ბანკის გამგეობა, და ჩვენ რალა ვყოფილვართ? ჩვენ ალარაკი გვკითხავენ!

— „ბიდა“ გვაჭამეს, თქვენმა მზემ, ამბობს მეორე: იმე, ვაჟო, ჩვენ ალარაფერი ალარ ვყოფილვართ, ვინც ნდომებიათ, ქე დაუნიშნავთ და ჩვენ რალაზე მოგვიწვიეს!

ზოგიერთი ხალხთან გამჭრიახე პოლიტიკოსებიც ამოჩნდნენ, რომ ყველას არწმუნებენ, „დროებამ“ ვანგებ, იმ პირების მტრობით გამოაცხადა ზოგიერი კანდიდატები, რომელთაც ირჩევას ჩვენ გვეუბნებაო.

ერთი ხმა გაუგდიათ საზოგადოებაში, რომ გაზეთმა „ბიდა“ გვაჭამაო“, ჩვენ არათ ჩაგვაგდოო, ქუთაისის ბანკერნის „გაცხრილა“ და ამ ექვსი კაცის მეტი ლირსეულათ ვერ დაინახაო,—გაუგდიათ ეს ხმა და გათავდა. ვინც ამაში დარწმუნებულია, ყერაფერი ლოლიკით და საბუთებით ვერ დააჯერებთ, რომ გაზეთი ამ შეეთხვევა-

ში, მხოლოდ საზოგადო სიკეთითხელმძღვანელობდეს, რომ ის ურჩევს საზოგადოებას და არ უბრძანებს, რომ მხოლოთ თავის აზრს აცხადებს, რომ ყველა მეკენჭეს აქვს სრული უფლება, თუ ნებავს, დაუჯეროს გაზეთის რჩევას და თუ არა—ნუ, რომ თუ ყოველ დამფუძნებელ თავადსა და აზნაურს აქვს სრული უფლება თავის საკუთარი კანდიდატი წარმოადგინოს, მით უფრო მომეტებული უფლება აქვს გაზეთს და სხ. არა, ამათ ამგვარი ლოგიკითა და არგუმენტებით ვერ დააჯერებთ: „როგორ გვაჭამა ამისთანა შეურაცხყოფა! გაგვცხრილაო!“

ღვთის მადლით, ბევრნი არ არიან ამისთანები, ბევრნი არ სჯიან ასე სულ-მოკლეთ; და ვინც არიან, ისინიც, როგორც ეტყობა, უფრო იმიტომ, რომ გაზეთმა იმათი საკუთარი და იმათი მომხრეების კანდიდატურა არ გამოაცხადა თავის სიაში...

მეორე საგანი აღშფოთებს კიდევ ახლაოდ საზოგადო კრებას: ვინ იქნება, ანუ ვინ უნდა იქნეს თავმჯდომარეთ ამ კრებაზეო.— კომისიის თავმჯდომარე, თუ თავადაზნაურობის წინამძღოლიო?

კომისია და მასთან იმერეთის თავადაზნაურობა სრულის საფუძვლით ამტკიცებენ, რომ, რადგანაც კომისიას აქვს მინდობილი ყველა საქმე ბანკის გახსნისათვის მოსამზადებელმ, რადგან კომისიას ამ ჯერობით ზედამხედველი კომიტეტისა და საკუთრივ გამგეობის ალაგი უჭირავს, რადგან ამას გარდა, ბანკის საქმეები კომისიამ უკეთ იცის, ვინემ სხვამაო, ამის გამო თავმჯდომარეთ ამ საზოგადო კრების დროს კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოსო, ამბობენ, რომ მეგრელები ამაზე თანახმა არ არიან; ჩვენ მაგ კომისიის არჩევაში

მონაწილეობა არ მიგვიღია, მერე შემოვუერთდით თქვენს ბანკს, მაგ კომისიას ვერ ვიცნობთ და ამის გამო თავადაზნაურობის წინამძღოლი უნდა იქნეს თავმჯდომარეთა. თუ მოთავე და გავლენის მექონე ეაცებმა კრების გახსნამდე არ მოათავსეს როგორმე ეს საქმე, უეჭველია, ერთის მხრით იმერლებსა და მეორეს მხრივ მეგრელებსა და ლეჩხუმელებს შეაპირველი ხდომილამვე შეტაკება და გმნხეთქილება მოხდება.

შესანიშნავია, რომ ვისაც არ ჰკითხავთ, ყველა იმას გეტყვით! „ბატონო, ბანკის საქმე მარშლების ამორჩევის საქმე როდიაო; აქ პარტიობა არ უნდა იყოსო, საზოგადო საქმეა დათ ყველნ ერთნაირათ უნდა ვცდილობდეთ, რომ მაგარი ადგილი ვესვეები მიეცეს ამ ახალ საქმესო და სხ.“

სიტყვით-კი გეუბნებათ ამას, მაგრამ საქმითა-კი ამბობენ, რომ სხვა-და-სხვა კანდიდატების მომხრეები ყოველ ღამე თუ ერთთან, თუ მეორესთან ოკრიბებიან და ჩუმ-ჩუმათ არიგებენ საქმესაო; ამბობენ, მეგრელებსა და ლეჩხუმელებს პირი მიუტოვათ ერთმანეთისთვის, რომ ამ საქმეში მუდამ ურთათ, თანხმათ იმოქმედონ; ამბობენ, ერთი აქაური ადვოკატი დიდი ხანია შესდგომია ოინებს, რომ მეკენჭეების გული მოიგოს და თუ თავმჯდომარეთ არა, დირექტორათ მაინც ამოარჩევანოს თავი; ამბობენ, მეორე კანდიდატი განსაკუთრებულის სიბოროტით ლანძღავს „ლროებისა“ კანდიდატებს და ვისაც მეკენჭეს შეხვდება, ტყბილათ გაუკრეჭს მგრძნობიარეთ, მაგრამ ხელს ჩამოართმევსოთ კიდევ. ბევრ სხვას ამბობენ, ბევრს სხვას სჩადიან, რაც სრულებით არ ეამტკიცებს თავნებობასა და ერთგულ ძმურათ საქმის წაყვანის სურვილს.

თავად-აზნაურთა საზოგადო კრება ქუთაისში ბანკის საქმის თაობაზედ.

პირველი სხდომა, 26 აპრილს.

ერთი უბრალო მეკენჭე გახლავარ.

თუმცა ძნელათ დასაჯერებელია, რომ ქუთაისში ამ დროს ვინმე მეკენჭე იყოს და რომელსამე პარტიას არ ეკუთვნოდეს; მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ასეა, მე არც ერთს პარტიას არ ვეკუთვნი, არც ერთი მხრისთვის არ მომიღესია და არ მიმიქნევია არც ჩემი ხანჯალი და არც ჩემი ენა...

რასაც გეტყვით, პირუთვნელათ გეტყვით, დაუფარავათ, მიუდგომელათ, რაც ჩემის საკუთარის თვალით ვნახე და ყურებით გავიგონე,—იმას, მხოლოთ იმას აგიწერთ.

პირველი საზოგადო კრება, როგორც იქნა, ამ აპრილის 22-ს გაიხსნა სააზნაურო სახლში.

დანიშნულს დროზე, დილის 9 საათზე, ხითქმის მთელი საზოგადოება თავ-მოყრილი იყო. ბევრი ქალი, ბევრი მაყურებელი. ზალა გატენილია ხალხით; იმერლობა ცალკე დგას, რაჭველები და ლეჩხუმელები ცალკე, გურულები ცალკე და მეგრელები კიდევ სულ ცალკე. ერთი ჩოჩქოლი და ხმაურობაა. რაც ყარგათ დაიარალებული და მარჯვე, მყვირალა ბიჭები არიან, ირგვლივ დგანან, იმ სტოლთან, სადაც კომისია უნდა დაჯდეს.

ერთი გადახედვა ამ საზოგადოებისა სასიამოვნოა: თვალს აამებს და გულს ახარებს ამ მხნე შეხედულობის

ლეჩხუმლების დანახვა, რომელთ შორის ექვსი ძმა ახ-ვლედიანები—ერთნაირათ ჩაცმულები და დაიარაღებულები და მშვენიერათ მოყვანილი ვაჟკაცები საყოველთა-ვო ყურადღებას იქცევენ. აჰა, ტან-მორჩილი, მაგრამ ალვის ხესავით მოყვანილი მეგრელები; დღეს ამათ ამა-ყობა აწერიათ სახეზე; ესეც მძიმე, დარბაისელი რაჭველები, რომელთაც თითქოს სახეზე აწერიათ, რომ ერთხელ გაკვლეული გზიდამ იმათ ვერც სამოთხის დაპი-რება შეარყევს და ვერც ჯოჯოხეთის შიში შეაშინებს. ესეც იმერლობა! მუდამ მოძრავი, მუდამ დაუღალავი, ლაპარაკისა და სხვა-და-სხვა მიუწდომელი პლანების მო-ყვარე, ამპარტავანი, თავ-მოყვარე.

მეგრელებს გარდა, ყველაკ ესენი დღეს თითქოს წინათვე გრძნობენ, რაც შემდეგში მოელით იმ საქმე-ში, რისთვისაც დღეს შეკრებილან.

ერთი პირი, რომელსაც არც კომისიაში არა აქვს არა-ვითარი მონაწილეობა, არც რომლისამე უეზდის აზნაუ-რობის წინამძღოლია, ყველაზე უფრო მომეტებულს ფა-ცურობს, თითქო სკამებს ალაგებს, მირბის-მორბის, ჭყა-ვის, ცხაროობს, ერთის სიტყვით თითქო წესიერების დაც-ვას ცდილობს: მაგრამ წესიერათ ამ ზალაში, არც სა-ზოგადოთ კრებებაზე არაფერი ხდება და შესანიშ-ნავია, რომ მომეტებულ ნაწილ უწესობას ყველა ამ ცმაცურა კაცს აბრალებს.

თერთმეტ საათამდი საზოგადოებას არ ეღირსა კომი-სიის გამოსვლა ზალაში. ამის თავმჯდომარემ თ. გ. აბა-შიძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოების წინაშე, რომელსაც მოულოცა ბანკის დამტკიცება, მოიხსენია ხელმწიფის მოწყალება, ღმერთს შეევედრა ბანკის დღე-

ფრძელობისათვის და სხ., როგორც შეეფერება ამგვარ შემთხვევას. როგორც ისმის, უთანხმოება არისო, სთქვა გ. აბაშიძემ, იმის შესახებ თუ ვინ უნდა იყვეს ამ შეკრებილების თავმჯდომარეთო: კომისიის თავმჯდომარე თუ გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლიო, და ამის გამო საზოგადოებას ვსთხოვ ამ საგანზე თავის აზრი გამოაცხადოსო.

— აბაშია! აბაშიაო! შეიქნა ზალაში ერთი საშინელი ყვირილი.

ცმაცურას ასპარეზი ახლა იწყება: იმის შლაპას თითქო მანქანების კვერთხის ძალა აქვს. რამდენჯერაც ზევით ასწევს, იმდენჯერ ყვირილი შეიქნება: აბაშია! აბაშიაო! და რამდენჯერაც ძირს ჩამოსწევს, იმდენჯერ ხალხი ჩუმდება.

ბევრი ყვირილის შემდეგ მეგრელები დაწყნარდენ.

უ. ნიკოლაძემ სიტყვა სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს; თავმჯდომარემაც ცმაცურა კაცს შეხედა, თითქო „შენ რას მირჩევ ამაზედაო“—უნდა ეკითხა: მაგრამ ამ დროს ეს ცმაცურა გაცხარებულის ხელების ქნევით მივარდა უფ. ნიკოლაძეს და მიაყვირა: „მოგვშორდი აქედამ, თქვენ ხმა არ მოგეცემათ, დაგვანებეთ თავი!“ ახლოს მდგომმა ერთმა თვალებ-ქაჩი ასაშიშარმა კაცმა ეს ცმაცურას გაწყრომა თავისიანებს გადასცა და კიდევ შეიქნა ყვირილი: „არ გვინდა, ნიკოლაძის სიტყვა გავიგონოთ! არა, არა! აბაშია!“

თ. გ. აბაშიძემ დაუმადლა საზოგადოებას ამ ლირსების მინიჭებისთვის და განკარგულება მოახდინა, რომ მეკენჭეების სია წაეკითხათ. რისთვის და ვისთვის იყო საჭირო ამ დაუბოლოებელი სიის წაკითხვა, ჩვენ არ ვი-

ციდ. მაგრამ, ხმას არავის აღებინებდენ, ყველა გაჩუმდა და ბრძნულის მოთმინებით ისმენდა ამ დაუბოლოებელ სიჯს, რომლიდამაც ჩვენ შევიტყვეთ, რომ მეკენჭეების რეცხვი ყოფილა ამ კრებაში:

ქუთაისის უეზდში	243 თავ.	აზნაურნ.
შორაპნის		128
ზუგდიდის		320
სენაკის		250
ოზურგეთის . . .		73
ლეჩხუმის . . .		60 (?)
და რაჭის . . .		85 (?)
	სულ თითქმის	1200 კაცი.

ქუთაისის, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის უეზდის სიები წყნარათ მოისმინეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, არავის არ მოუსმენია. ლეჩხუმსა და რაჭის სია კომისიის წევრს უფ. დ. ბაქრაძეს უნდა წაეკითხა. მაგრამ წაკითხვამდი იმან სთხოვა საზოგადოებას, რომ ორიოდე სიტყვის ნება მიეცათ. ცმაცურამ შლაპა გაიქნია და დაიყვირა: „სია, სია!“ იმას მისძახა თვალ-ქაჩია ვაცმა; თვალ-ქაჩია კაცს მრყვნენ მეგრელები და ერთი საშინელი ყვირილი შეიქნა: „არ გვინდა სიტყვა! სია, სია!“ უფ. ბაქრაძე ჯერ სკამზე ადის და იქიდამ სთხოვს საზოგადოებას, რომ მხოლოთ ორი სიტყვის თქმის ნება მისცენ; საზარელს ხმაურობაში იმის თხოვნა კაცს არ ესმის. ცმაცურა თან-და-თან უფრო მომეტებულის სიცხარით აბაკუნებს ფეხებს, ცხარობს და აქნევს შლიაპას; უფ. ბაქრაძე სტოლზედ ადის და იქიდამ გვანიშნებს, რალაცას. უკანასკნელ ნახევარი საათი გასძელდება ეს ყვირილი. ბოლოს თვალ-ქაჩია საშინელი კაცი

ახტება სტოლზე და ბაქრაძეს მოხვევს ხელს; ზალაში შეიქნება წარმოუდგენელი ფრეულობა, ყვირილი, მოძრაობა,— ერთი მეორეს ველარ ცნობელობს; კომისიის წევრები გარეთ გადიან. ცოტა ხანს შემდეგ, თვალ-ქაჩია კაცს ძირს ჩამოაგდებენ, იმას უფ. ბაქრაძესაც ჩამოაყოლებენ და ხალხი გრიალით გარეთ გამოდის..

ნასადილევის ორ საათამდი სხდომა დახურულია; ყველა ამ საზარელ შემთხვევაზე ჰფიქრობს, ყველას აწუხებს ეს ამბავი, გარდა ცმაცურა კაცისა, ყველა გრძნობს რომ ერთს,—რიცხვით უმრავლეს პარტიას, უეჭველია, წინათვე გარდაწყვეტილი აქვს, თავის მოწინააღმდეგეებს კრებაში ხმა არ ამოაღებინოს.

ორ საათზე სხდომა ისევ გაიხსნება, თითქმის დაცარიელებულს ზალაში თავმჯდომარე აცხადებს, რომ მეორე სხდომა ხვალ დილის ცხრა საათზედ იქნებაო.

დ. მიქელაძემ განუმარტა შეკრებილებას თავმჯდომარის მოვალეობა და უფლება, რომელიც ყველას მოეწონა, მაგრამ რომლის სისრულეში მოყვანას, საუბედურეთ, არავინ ცდილობდა.

ამით გათავდა პირველი დღე კრებისა.

მეორე სხდომა აპრილის 23 ს.

ღელვის შემდეგ ზღვაში ყოველთვის მშვიდობიანობა, სიწყნარე ჩამოვარდება. წინა დღის აღშფოთებისა ად შეჯახების შემდეგ ქუთაისის კრებაში მეორე დღეს მყუდროება სუფევდა.

პარტიების მოთავეებმა თითქო იგრძნეს, რომ თუ

ასე წავიდა საქმე, ბანკი საშიშ მდგომარეობაში იქნებაო და თავის „ქვეშევრდომებს წესიერების დაცვა უბრძანეს.

საზოგადოება დანიშნულს დროს (9 საათზე) შეიკრიბა საზნაურო სახლში, მაგრამ კომისია და იმის თავმჯდომარე თითქმის 11 საათის შესრულებამდი არ გამოჩენილან. „წინა სხდომის პროტოკოლი არ არის ჯერ მზათო, იძახოდენ, და იმიტომ ვერ იხსნება სხდომაო!“ როგორ მოგწონთ ეს ერთგულება და შრომის-მოყვარეობა კომისიისა, რომელიც ათასს კაცს ორი საათის განმავლობაში აცდევინებს მხოლოდ იმისთვის, რომ ნახევარი საათის შრომა—პროტოკოლის დაწერა—დროზე ვერ მოიფიქრა?

ბოლოს გამოჩნდა ჩვენი თავს-მჯდომარეც და წინწამოიწია სალაპარაკოთ. სიჩუმეა.

— ვალათ ვრაცხ გამოვაცხადო, სთქვა უფ. თავმჯდომარემ, რომ ყოველთვის, როცა უწესოება რამ მოხდება და ხმაურობა, მე იძულებული ვიქნები, ან სულ დავხურო სხდომა და ან დროებით შევაჩერო. ერთმანეთს ლაპარაკი უნდა ეცალოთ, ყველას თავისი აზრი გამოვათქმევინოთ.

— მართალი ბრძანებაა! მართალი ბრძანებაა! დაიძახეს.

კომისიის წევრმა უფ. დ. ჩხეიძემ წაიკითხა რუსულათ წინა დღის სხდომის პროტოკოლი. საზოგადოება თხოულობს, რომ პროტოკოლი ქართულათ წაიკითხონ, რადგან უკანასკნელ სამ მეოთხედს რუსული არ გვესმისო.

მეორე წევრმა კომისიისამ უფ. ნიკ. ღოლობერიძემ დაიჭირა ხელში რუსულათ დაწერილი პროტოკოლი და ქართულად თარგმნა დაიწყო ენის წაბორწიკებით.

ჩემს გვერდით ამ დროს წამკითხველის ძმა იდგა— ცმაცურა კაცი—და ხმა მაღლა ამბობდა: „ქართულათ დაწერილი პროტოკოლი არ უჭირავს ხელშიო და პირ დაპირ რუსულიდამ თარგმნის ასე დალაგებითო!“ პროპაგანდაა მა რაა!

თავმჯდომარის ამორჩევის თაობაზე, პროტოკოლში მოხსენებული იყო, რომ „უმრავლესობამ „თ. გ. იაბაშიძე ამოირჩია ამ კრების თავ მჯდომარეთაო.

როცა პროტოკოლის კითხვა გაათავეს და თავმჯდომარემ იკითხა:—„იქნება ვისმე ნებავს პროტოკოლზე რისმე თქმა?“ წამოდგაო კათედრაზე უფ. ნ. ნიკოლაძე და სიტყვა ითხოვა. სიჩუმე ჩამოვარდა.

უფ. ნ. ნიკოლაძემ შემდეგი სთქვა პროტოკოლის იმ ადგილის შესახებ, სადაც მოხსენებული იყო, რომ უმრავლესობამ თ. გ. აბაშიძე ამოირჩია თავმჯდომარეთაო, (მოგვყავს დაახლოვებით იმის სიტყვები):

„თუ გვინდა, რომ ეს ჩვენი ბანკი მკვიდრ საფუძველზე იქმნეს დამყარებული; თუ გვინდა, რომ შემდეგ ჩვენს გადაწყვეტილებებს კანონიერი ნიადაგი ჰქონდეს, უნდა ვცდილობდეთ, რომ უწესოთ, ურიგოთ, უკანონოთ ამ კრებაში არა მოხდეს რა. ერთის უკანონო მოქმედების წყალობით, შეიძლება მთელი კრება, ყველა არჩევნები და ყველა გადაწყვეტილება ამ კრებისა უკანონოთ ჩაითვალოს და მოისპოს.

„ამის გამო მე გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ დღევანდელ პროტოკოლს. იქ, სხვათა შორის მოხსენებულია, რომ კრების უმრავლესობამ თავმჯდომარეთ თ. გ. აბაშიძე ამოარჩიაო.

„ამორჩევას თავის განსაზღვრული კანონიერი წესი

და რიგი აქვს: ან კენჭის ყრით უნდა მოხდეს, ან ადგომ-დაჯდომით, ან წერილების დაწერით, ან ხელის აწევით, და სხვა ამგვარათ. უმრავლესობამ ამოარჩიაო! როგორ ასწონეთ, საიდამ შეიტყეთ თქვენ ეს უმრავლესობა? რა საფუძვლით ამბობს პროტოკოლის შემდგენი, რომ უმრავლესობამ აირჩია თავმჯდომარეო? ყვირილით ხომ არ შეიძლება ამის გამოცნობა!

„ვიმეორებ, თუ რომ გინდათ, თქვენი შემდეგი გადაწყვეტილებანი კანონიერი იქნეს; თუ გინდათ, რომ ფინანსთა მინისტრმა არ გააუქმოს ამ კრების ყველა განჩინება, იმ წესით უნდა აირჩიოთ თავმჯდომარე, რომელსაც კანონი თხოულობს, ე. ი. ან კენჭით, ან ადგომ-დაჯდომით ან სხვა ამგვარის საშუალებით.

„აქვე ერთი მოსაზრების მოხსენება მინდა ამ საგანზედვე...“

ამ დროს უფ. გ. ლოლობერიძემ დაიყვირა: —მაშ კარგი: კენჭი ვყაროთ, კენჭიო! მეგრელებმა ერთ ხმით მისძახეს ბანი: „კენჭი! კენჭიო!“ კრებაში შეიქნა საშინელი ხმაურობა. უფ. ნიკოლაძე თხოულობდა, კიდევ მაქვს ორიოდე სიტყვა სათქმელი, ნება მომეცით ჩემი აზრის გამოთქმა დავასრულოო.—„არ შეიძლება!“ „კენჭი გადასწყვიტეს, ვინ უნდა იქნეს თავ-მჯდომარეთო!“

თავ-მჯდომარე თითქო ცდილობს, რომ უფ. ნიკოლაძეს სიტყვა მისცეს. მაგრამ ამ დროს უფ. ნ. ლოლობერიძემ რალაც ჩასჩურჩულა ყურში და ამნაირათ მოულაპარაკებლათ, უპრენიოთ გადასწყვიტეს, თავმჯდომარის არჩევისათვის კენჭი იყაროსო.

კომისიის წევრნი თავის ალაგას დაჯდენ. უფ. დ. ბაქრაძე იმათ რიცხვში არ ერია.

— სად არის კომისიის წევრი ბაქრაძე? ერთმა ვილამაც დაიყვირა.—სად არის ბაქრაძე? რატომ კომისიაში არ არის ბაქრაძე? მოვიდეს ბაქრაძე!

დიდ ხნის ხმაურობის შემდეგ, უფ. ბაქრაძე სადღაც მონახეს, მოიყვანეს და კომისიის წევრებ შუა დასვეს. უფ. ნ. ღოლობერიძის მწარეო ეიმილის დანახვა მაშინ ერთ რამეთ ღირდა.

ყენჭის ყრის შედეგი ყველასთვის ცხადი იყო.

თ. გ. ი. აბაშიძე აირჩიეს თავმჯდომარეთ: 731 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 101 შავი.

ეს იყო პირველი შეტაკება პარტიებისა.

მეოთხე სხდომა აპრილის 24

დღევანდელი სხდომა მოგვაგონებს პოლონელების სეიმისა ანუ ფრანგების პარლამენტის აშფოთებულ სხდომებს.

ყველანი მღელვარებენ. ყველა ცხარობს, ყველას რაღაც მოუთმენლობა აწერია სახეზე.

უიმისოთაც თავიანთი რიცხვით გაამაყებული მეგრელები—დღეს უფრო დიდგულათ, უფრო ამაყათ დაიარებიან. ეტყობათ, რომ იმათ რაღაც გადაწყვეტილება მოუტანიათ თან სხდომაზედ და მტკიცეთ დაადგებიან ამ წინათვე განზრახულის აზრის შესრულებას.

პარტიები ერთმანეთს ათვალიერებენ. თავიდამ ფეხამდი ზომვენ ერთმანეთს მრისხანე თვალით; თითქო

უნდათ, შეიტყონ, ვინიცობაა ჩხუბი რომ მოხდეს, ადვილათ მოსარევი იქნება ჩემი მოწინააღმდეგე, თუ არაო.

მეგრელები ცალკე შეჯგუფულან სახლის ეზოში, ნაწილ-ნაწილათ გაყოფილი იმერლები ცალკე, რაჭველები და ლეჩხუმლები კიდევ ცალკე.

თითოეულ წრეში ორატორი დგას და რაღაცას უხსნის, ელაპარაკება და უქადაგებს თავის მომხრეებსა.

ამ დროსვე არის ერთი გაცხარებული გახმობ-გამოხმობა და ჩურჩული კერძო, გავლენიან პირებისა.

ორაკულები ღოლობერიძეების და მეგრელების პარტიისა კომისიის ოთახში არიან შეკრებილნი და ყოველი ახალი განკარგულება, ახალი კომბინაცია, ბრძანება და პაროლი იქიდამ გამოდის. ეს ოთახი უმთავრესი შტაბია: ბრძოლის პლანები, ახალ-ახალი ტაქტიკა აქ იბადება და წყდება...

თავმჯდომარენი და ინტრიგის გამომკვანძავნი ამ ორაკულთ დასისა არიან: გ. და ნ. ღოლობერიძენი; კვერის დამკრავები—ბ. და ს. ღოლობერიძენი და პ. და კ. დადიანი, მყვირალნი და ხალხში გამტანნი—მ. დარახველიძე, ბ. დგებულაძე და ტ. დადიანი. ან. ლორთქიფანიძე სამსავე როლს ერთნაირის ხელოვნებითა და მოხერხებით თამაშობს...

მაგრამ ამ პირებზე შემდეგ...

10 საათზე შემოდიან თავმჯდომარე და კომისიის წევრნი. კაცი იმათ არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

„კენჭი! კენჭი! კენჭი! მოგვეცითო!“ ყვირის სცენასთან მიჯგუფებული ხალხი. ამ ხმაურობაში ჩვენ გამოვიცანით მყვირალი ხალხის სურვილი, რომ ბანკის თავმჯდომარეს (გამგებელს) კენჭი უყაროთო.

კომისიის წევრი უფ. ნ. ღოლობერიძე წამოდგება წინ სცენაზე, ხელში წინანდელი სხდომის პროტოკოლი უჭირავს და ანიშნებს ხალხს, რომ ამის წაკითხვა მაცალეთო. არც იმის თხოვნა და არც თავმჯდომარის ზარის რაწკუნი, რასაკვირველია, კაცს არ ესმის. მარჯვენა მხრით ისევ—„კენჭი, კენჭიო!“ ყვირიან და მარცხენა მხრიდამ-კი—„ჯერ ანგარიში წაგვიკითხოს კომისიამო!“

ბოლოს, თითქო ბევრის ხმაურობისაგან დაღალული ხალხი დაწყნარდა! ამ შემთხვევით უეცრათ ისარგებლა ნ. ღოლობერიძემ და საჩქაროთ, თითქო ვინმე უკან მოსდევსო, წაიკითხა პროტოკოლი, თუმცა იმის კითხვა ათასს კაცში, მგონი, ათსაც არ გაუგონია რიგიანათ.

უფ. ნ. ნიკოლაძემ გამოაცხადა სურვილი, ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ პროტოკოლზე, რომელშიაც „ჩემი აზრი, წარსულ სხდომაში გამოთქმული, სწორეთ არ არის მოყვანილიო.“

ეს სურვილის გამოცხადება სურვილის გამოცხადებათ დარჩა: ის ხმაურობა და ყვირილი რომ გაგეგონათ, რომელიც ნიკოლაძისა სურვილმა ასტეხა, გეგონებოდათ, რომ ამ კაცმა რაღაც შხამი წამოისროლა პირიდამ და უეცრათ მოწამლა მთელი საზოგადოებაო. უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში კრებაში ისეთი ხმაურობა შეიქნა, რომ კაცი ვერ გამოიცნობდა —ვინ და რას თხოულობდა და რას ყვიროდენ. ბოლოს დაწყნარდენ ცოტაც არის, და მხოლოთ მაშინ თითო-ოროლა კაცის წამოყვირებით, გავიგეთ, რომ ერთი ნაწილი კრებისა, უფ. გ. ღოლობერიძისა და ბ. დგებუაძის ნიშნებით, ყვიროდა და თხოულობდა, რომ ნიკოლაძეს სიტყვა არ მიეცეს, პირ-და-პირ ბანკის თავმჯდო-

მარისთვის კენჭის რასშეუდგენთო; მეორე-კი—ჯერ ნიკოლაძეს ვაკალორსიტყვაო და მერე ანგარიში უნდა წარმოგვიდგინოს ეომისიამ თავის მოქმედებისაო..

ძალიან კარგი, პატიოსანი თავ მჯდომარე ჰყავდა ქუთაისის კრებას. მაგრამ ერთი ნაკლულევანება ჰქონდა, რომლის გამოც ის რიგიანათ ვერ იცავდა ჩვენს სხდომებში წესიერებას:

ყოველ ამგვარ მრავალ-რიცხოვან კრებას, და განსაკუთრებით ისეთს ცხარე და მღელვარე ხალხის კრებასა, როგორც იმერლები, გურულები და მეგრელები არიან, თავმჯდომარეთ ისეთი კაცი ეჭირვება, რომელსაც შეხედულებაც ზორბა ჰქონდეს, ხმაც შესაფერი და თავიდაჭერაც რიგიანი; იმას უნდა ჰქონდეს ისეთი ზნეობითი ძალა, რომ კრება დაიმორჩილოს, ყველას პატივისცემა ჰქონდეს იმისსიტყვისა და რჩევის, უნდა ჰქონდეს ორეოლი, „აბაიანიეო“, რუსები რომ ამბობენ. ჩვენს თავსმჯდომარეს, საუბედუროთ, ეს თვისება აკლდა, და ამის გამო იმის თხოვნა და ბრძანება არ გადიოდა.

ამ ხმაურობისა და ყალ-მაყალის დროს კომისიაც და თავმჯდომარე ისე წახდა, ისე დაიბნა, რომ იმათი დანახვა შეგებრალებოდათ: ხან დაჯდებოდენ, ხან ადგებოდენ, ხან თითქო სალაპარაკოთ წამოიწევდენ და ხან სრულებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი თავიანთ ადგილზე ჯდებოდენ. ნ. ღოღობერიძე თითქო მიტყუპული იყო თავმჯდომარესთან: ერთ მინუტსაც არ შორდებოდა და მუდამ რაღაცას წასჩურჩულებდა ხოლმე ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ყურში.

სამჯერ შეაჩერეს სხდომა. სამივეჯერ აღელვებული ხალხი შეევარდებოდა უმთავრესს შტაბში, გამოჰყავდათ

იქიდამ თავმჯდომარეო ბომბისიის წევრნი და დასვამდენ სცენაზე.

სამჯერ დაუძახეს უფ. ნიკოლაძეს, სამჯერ წამოაყენეს ის კათედრაზე სიტყვის სათქმელათ და სამივეჯერ ისეთი ხმაურობა ატყდა მოწინააღმდეგე პარტიაში, რომ სიტყვის თქმა არ შეიძლებოდა.

სამჯერ შევიდენ თუ ერთი და თუ მეორე პარტიის კაცნი სცენაზე და სამჯერვე მოწინაამდეგებისაგან ჩამოგდებულ და განდევნილ იქმნენ. არავითარ გამაგრებულ პოზიციისთვის არ მომხდარა ისეთი გაცხარებული შეტაკება, ომის დროს, როგორც ამ სცენის დაჭერისათვის. ლეჩხუმელებმა და რაჭველებმა დაიჭირეს ბოლოს ბრძოლის ასპარეზი—სცენა. მეგრელები ყველა ერთიანათ გავიდენ გარეთ და ხის ძირში მოჯგუფდენ, შეიქნა გაცხარებული ბაასი, გაცხარებული გაგზავნ-გამოგზავნა მოციქულებისა ამ კრებასა და უმთავრეს შტაბს-შუა.

პირველი საათის ნახევარი იყო, როცა მოლაპარაკების შემდეგ, მეგრელები ყვირილით შემოვარდნენ ყველანი ერთათ ზალაში, ავარდენ სცენაზე და მოინდომეს იქიდამ რაჭა-ლეჩხუმის ჩამობრძანება.

ამ დროს წარმოითქვა პირველათ სიტყვა, რომელიც ასე ხშირათ ისმოდა მას აქეთ კრებაში, რომელსაც ისეთივე მოქალაქეობა მიეცა, როგორც ფრანგულს à bas! აქვს ანუ რუსულს „долой“. ეს სიტყვა იყო; „ძირს!“

— ძირს! ძირს! ძირს!..

ნამდვილი შეხეთქება ეხლა შეიქნა. შესანიშნავია, რომ მოლაპარაკე და მყვირალა ხალხი სადღაც გაქრა: ასპარეზი სხვებს დარჩა. ექვსი ძმა ახვლედიანები, და მათში ყველაზე უფრო გამოჩენილი ვაჟკაცი—თეიმურაზ

ახვლედიანი, ლომებივით იყურებოდენ. თვითონ ჩამოვიდენ ძირს სცენიდამ, მაგრამ არც მეგრელები დასტოვეს. ყვირილით გავარდა კარში ეს ურდო, გროვა ხალხისა. ბალკონზე დიდხანს არ დარჩენილან: ყველა კიბისაკენ მიაწვა; დამპალმა კიბემ ვერ გაუძლო ამდენ ხალხს, ჩატყდა და ეს ორას-სამასი კაცი „ვაი-უის“ ყვირილით გადაცვინდენ სააზნაურო სახლის ეზოში.

ფართო სვბრძოლველ ასპარეზმა ტროგორლაც დაამშვიდა ეს აღელვებული ხალხი. როცა მინდორში გამოვიდენ და ასპარეზი თავისუფალი და საკმაო მოეცათ, მაშინ-კი დამშვიდდენ.. და მოშორდენ ერთმანეთს... ასეა ხშირათ ცხოვრებაში!...

დალალული, დაქანცული ხალხი დამშვიდდა.

მეორე საათის ნახევარზე დაიწყეს კენჭის ყრა ბანკის თავმჯდომარის ამოსარჩევათ. კანდიდატებათ ჩაწერილნი იყვნენ: უუ. ბესარიონ ლოლობერიძე, ლუარსაბ ლოლუა და დავით ბაქრაძე. ჯერ უფ. ბეს. ლოლობერიძეს უყარეს კენჭი, რომლის შედეგი ნასადილევის ხუთ საათზე შევიტყვეთ, თუმცა ადრეც ადვილათ შეიძლებოდა ეწინასწარმეტყველებინა კაცს: ბეს. ლოლობერიძეს ამოუვიდა—731 თეთრი და 201 შავი.

ახლათ ამორჩეულმა წარმოსთქვა შემთხვევის შესაფერი, ოფიციალური სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ, რაც ლონე და შეძლება მექნება, ყველაფერით ვეცდები, საზოგადოების მოლოდინი გავამართლო. ამასთანავე ითხოვა, რომ კარგი, სანდო კაცები ამირჩიონ ამხანაგებათო.

დანარჩენ ორ კანდიდატმა: უუ. დ. ბაქრაძემ და ლ. ლოლუამ უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე.

თფილისის საადგილ-მამულო ბანკი.

ქალაქში შეკრებილია ამ ჟამად ჩვენი გუბერნიის თავად-აზნაურურობა. რომელმაც ჯერ თავიანთი წინამძღოლნი უნდა ამოარჩიოს და შემდეგ საზოგადო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.

პირველ საქმეს, ე. ი. წინამძღოლთა ამორჩევას, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა, უეჭველია, წყნარათ, მშვიდობიანათ გაათავებს: იმის მეათედი ყვირილი და მოძრაობა არ იქნება, რაც იმერეთში არის ხოლმე ამ გვარ შემთხვევის დროს.

მაგრამ მეორე საგანი—ბანკის გამგეობის ამორჩევა, როგორც ეტყობა, უფრო საინტერესო და გაცხოველებული იქნება.

და გაცხარებული იქნება, სხვათა-შორის, იმიტომ რომ ბანკის ახლანდელ გამგეობას ზოგი ისეთი მტერი და უკმაყოფილო აღმოუჩნდა, რომელნიც, ვინ იცის, როგორ ხმებს ავრცელებენ ამ გამგეობაზე.

ბანკის დაარსებიდამვე ადვილათ დასანახავი იყო ეს; ადვილად შეიძლებოდა, გამოეცნო კაცს, რომ პირველი გამგეობა ჩვენი ბანკისა, რაც უნდა გენიალური და ბანკის ოპერაციებში განვითარებული ყოფილიყო, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენს საზოგადოებას.

რატომ?—იმიტომ, რომ თავად-აზნაურობა ერთობ ბევრს მოელოდა ამ ბანკისაგან; იმიტომ რომ ყველა ჰფიქრობდა: ოღონდ მამული მქონდეს და ფულებს ამ ბანკიდამ საჩქაროთ და ყოვლის დაუბრკოლებლივ გამოვიტანო; იმიტომ, რომ ყველა, ვისაც-კი, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, და უმთავრესათ დოკუმენტების უქო-

ნელობისა გამო, ამ ბანკიდამფული დაუბრკოლებლივ ვერ გამოქონდა, ყველა გამგეობას აბრალებდა და აბრალებს ამასაკმაოა, ორიასამი კაცი დარჩეს ბანკზე უკმაყოფილნი; საკმაოა, ორმა-სამმა ან სულ ვერ მიიღოს ბანკიდამფული და ან იმდენი ვერ მიიღოს, რამდენიც უნდოდა,— იმ წამსვე გამგეობაზე დაიწყებს საყვედურს; მიზეზს ვინ დასდევს? „ბანკი ფულის გამოსატანათ დაგვაფუძნეთო, ფული ვერ გამოგვაქვსო; მაშასადამე ცუდი ბანკია, ცუდი გამგეობაა,— უნდა გამოვცვალოთ გამგეობაო!“

ვიმეორებთ, რომ ამგვარი უკმაყოფილება წინათვე ადვილათ მოსალოდნელი და წარმოსადგენი იყო, რადგან ჩვენი თავად-აზნაურობისათვის ეს ბანკი ახალი საქმე იყო და იმით სარგებლობა არ შეიძლება, თუ ნამდვილი და გარკვეული დოკუმენტები და საბუთები არ ექნებოდათ. თუმცა გაშგუობა აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ყველა უბედურება და საყვედური მაინც იმას დაატყდებოდა თავზე.

სწორეთ ასე დაემართა თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას.

როგორც გამოცხადებულის წლიურის ანგარიშიდამ სჩანს, ამ ბანკს 1875 წლის 13 თებერვლიდამ დაუწყია თავის მოქმედება. ამ დღიდამ დაწყებული წლევანდელი წლის 30 იანვრამდი (თითქმის ერთი წლის განმავლობაში) ბანკს გაუსესხებია სულ 513,415 მანეთი. ამ სესხიდამ გრძელი ვადით ერის გაცემული—465, 500 მანეთი და მოკლე ვადით—47, 915 მანეთი.

გრძელ ვადიანი სესხი ბანკს გაუცია—54; აქედამ მხოლოთ 13 სოფლის მამულების გირაოთ (124,000

მანეთისა) და დანარჩენი — 41 ქალაქის მამულის გირაოთი (431,500 მანეთი).

მოკლე-ვადიანი სესხი ბანკს გაუცია სულ — 38, რომლიდამაც 18 სესხი სოფლის მამულებზედაა (28, 975 მანეთი) და დანარჩენი 20 სესხი-კი ქალაქის მამულების გირაოთი (18, 940 მანეთი).

ამ ანგარიშიდამ ადვილათ შეიტყობთ, თუ როგორ სუსტათ ასრულებს თფილისის საადგილ-მამულო ბანკი თავის უპირველეს დანიშნულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მამულის მეპატრონეებს იაფის კრედიტით (სესხით) ხელი მოუმართოს.

მაგრამ, ჩვენის აზრით, ბანკის ეხლანდელი გამგეობა ამაში ყველაზე უფრო ნაკლებათ არის დამნაშავე. ეს ბანკიდამ სესხის აღების სიძნელე წარმოსდგება უმთავრესათ იმისაგან, რომ ჩვენი მამულები ჯერ გამიჯნული და გაყოფილი არ არის და ჩვენ ჩვენს საკუთრებაზე ნამდვილი, უდავო საბუთები და დოკუმენტები არა გვაქვს.

ქუთაისის საზოგადო კრება

მეოთხე სხდომა აპრილის 25.

— კენჭი, კენჭი, მოგვეცით! ძირს, ძირს სცენიდამ! ყვირის საზოგადოება, როგორც კი ამ დღეს დილის 9 საათზე შეიკრიბა. ძლივს მოასწრეს წასრული სხდომის პროტოკოლის წაკითხვა.

თავმჯდომარემ სთხოვა საზოგადოებას, დაასახელეთ კანდიდატები დირექტორის თანამდებობისათვისო.

საზოგადოების მოთხოვნილებით ჩაწერილ იქმნენ: დიმ. ელიზ. დადიანი, ნიკ. ტარ. დადიანი, ბეს. ჯაფარიძე, დავით გრ. ერისთავი, კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძე, პეტ. ნაკაშიძე და ნესტორ ერისთავი. ამათ გარდა თვითონ ჩააწერინეს თავის თავი: თომა ერისთავმა, მამია გურიელმა, თად. ბებურიშვილმა და პლატონ ჩხეიძემ.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა დავ. ალექს. მიქელაძეს სთხოვა ამ კანდიდატთა სიაში ჩაეწერა თავი და კენჭი ეყარა დირექტორობაზე, მაგრამ ამან გამოაცხადა რომ:

„თუმცა იმდენად არ დავიმდაბლებ თავს, რომ ზოგიერთ ჩაწერილ პირებზე რასშიმე უარესათ და ნაკლებათ მიმაჩნდეს ჩემი თავი, მაგრამ უნდა გავტყდე, რომ ბანკისთვის მომზადებული არა ვარ და სხვებსავით თამამათ ვერ გავბედავ, ვიკისრო ეს მძიმე თანამდებობა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, კენჭის-ყრისაგან განმათავისუფლოთო“.

საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ეს სიტყვები; კანდიდატებს კი ცოტა არ იყოს არ იამათ.

ამნაირად შესდგა 13 კაცის სია, რომელთაც ყველას გულითა და სულით სურდა დირექტორობა, კირილე ლორთქიფანიძის გარდა, რომელმაც თავიდამვე გამოაცხადა, არა მსურს კენჭის-ყრა და გთხოვთ განმათავისუფლოთო.

ყველასათვის კენჭის ყრა უღმერთობა იქნებოდა; თითო კაცის კენჭის ყრას კრება თითო დღეს უნდებოდა და ორი დირექტორის ამოსარჩევად მაშასადამე 13 დღე მოუნდებოდა. ამის გამო კეთილ-გონიერად მოიქცენ: თადეოზ ბებურიშვილი, თომა ერისთავი და პლატონ

ჩხეიძე, რომელთაც თავიდამვე უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. დარჩა შვიდი კანდიდატი.

პირველათ დიმ. დადიანისთვის, ან ნიკ. დადიანისთვის უნდა ეყარათ კენჭი.

ამ ორი კანდიდატის თაობაზე მეგრულებში თავიდამვე უთანხმოება მოხდა: ერთ ნაწილს ერთი უნდოდა, მეორეს მეორე. ყოველი მხრით ჩანდა, რომ დ. დადიანს უფრო მომეტებული მომხრეები ჰყავდა, არა თუ მარტო მეგრელებში, იმერეთშიაც. დიდხანს ჰქონდათ ეზოში ამაზე მოლაპარაკება და ბაასი. ლ. ლოლუა და სხვები სრულის სიმართლით ურჩევდენ თავიანთებს, რომ თუ ამ ორი კაცის არჩევის თაობაზე ჩვენ შორის უთანხმოების ატეხა მოგველისო, ისა სჯობიან, არც ერთი არ ამოვირჩიოთ და გავათეთროთ ის კაცი, რომელსაც იმერლები წარმოგვიდგენენო. დიმ. დადიანის მომხრენი დათანხმდენ ამ აზრზე. მაგრამ ნიკ. დადიანი არაფრის გზით არ დაჰყვა თხოვნას, რომ არც იმას ეყარა კენჭი. თავის უარის საფუძვლათ მოსაზრება მოჰყავდა, რომ ჩემი უარის თქმით მეგრელებში განხეთქილება მაინც არ მოისპობაო.

ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ნიკ. დადიანი ლოლობერიძეებისაგან „იყო დარიგებული“, რომ არამცადა-არამც უარი არ სთქვა კენჭის ყრაზედაო, ჩვენ ისე მოუახერხებთ, რომ კონკურენტი არავინ გვყავდეს მეგრელებშიო.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ლოლობერიძეებმა დაარწმუნეს დ. დადიანის ძმა და გამოაცხადებიეს: ჩემი ძმისაგან ამბავი მომივიდა, რომ ემას სრულიათ არ ჰსურს კენჭის-ყრა დირექტო-

რობაზეთ. ამის შემდეგ მეგრელებს მხოლოთ ერთი-ლა კანდიდატი დარჩათ, რადგან ლოლუამ, რომელ-საც ერთ ხმათ სთხოვეს კენჭის-ყრა, თავიდამვე უარი სთქვა.

ამნაირათ ნიკ. დადიანს პირველათ უყარეს კენჭი. ყველა მეგრელებმა და ბევრ იმერლებმაც ამას თეთრი ჩაუგდეს, რადგან წინათვე გადაწყვეტილი იყო, რომ მეგრელებს, უეჭველათ, ერთი დირექტორი ჰყოლოდათ ბანკში. კენჭების დათვლისაგან აღმოჩნდა, რომ თ. ნი-კოლოზ ტარიელის ძე დადიანი ამორჩეულ იქმნა დირექ-ტორათ—790 თეთრის კენჭით; შავი კენჭი ამოვი-და—122.

რადგან ჩვეულებათ შემოიღეს, რომ ყველა ახლათ-ამორჩეულებს საზოგადოებისთვის სიტყვა ეთქვათ, თ. ნიკ. დადიანმაც სთქვა დაახლოვებით შემდეგი: „ვმად-ლობ საზოგადოებას იმ პატივის-ცემისა და ნდობისა-თვის, რომელიც ამ ამორჩევით გამომიცხადა. ბევრი ლაპა-რაკისა და დაპირების დროა არ არის აქ; მხოლოთ ერთს ვიტყვი: მე ჩემს თავს, გონებას და სხეულს დავსდებ ამ საქმისათვის.“

მეხუთე სხდომა აბრაგს 26

იმავე ყვირილით გაიხსნა ეს სხდომაც, როგორც წი-ნანდელი.

— კენჭი! კენჭი! ძირს!

პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, უფ. მ. დარახვე-ლიძემ (ლოლობერიძეთ პარტიის მყვირალმა კაცმა—ეს კარგათ დაიხსომეთ) ყეფხოვა ფავმჯდომარეს, რომ სიტ-

ყვა არავისთვის მიეცა, არავისთვის მიეცა ლაპარაკის ნება: უიმისოთაც დიდხანს ვუნდებით ამ არჩევნებს, შეწუხდა შორიდამ მოსული თავად-აზნაურობაც, კენჭი ვყაროთ, კენჭი გაგვასწორებსო.

ნიკ. დადიანის შემდეგ, პირველათ მამია გურიელი იყო ჩაწერილი დირექტორების კანდიდატთა სიაში.

კრებაში ამბობდენ, რომ ღოლობერიძეები მამია გურიელს ჰპირდებოდენ დახმარებას, თუ გურულები ბეს. ღოლობერიძეს ამორჩევაში მოგვეხმარებიანო. ამნაირათ მ. გურიელი ღოლობერიძეების კანდიდატათ ითვლებოდა. ეს, სხვათა შორის, იქიდამაც ჩანდა, რომ მ. გურიელი ღოლობერიძეების მოწინააღმდეგეებს თავის მოწინააღმდეგეებათ სთვლიდა.

მაგრამ ბოლოს დამტკიცდა, რომ მ. გურიელი შეცდა თავის ანგარიშში. ღოლობერიძეებმა, ხელის გამართვის მაგიერ, მამია გურიელს წინააღმდეგ წამოაყენეს თ. დავ. ერისთავი, რომლის გაშავება შეუძლებელი იყო.

ამ ორნმა გააშავა მამია გურიელი: 464 შავი კენჭი მიარტყეს და 346 თეთრი. მეგრელებმა „ბუჩაქოჩი“ დაარქვეს იმას.

ამავე დღეს მეორე კანდიდატსთან დ. ერისთავს უფარეს კენჭი და ყველა დარწმუნებული იყო, თვითონ, რომ იმას გაათეთრებდენ.

— არ ენებებინა, ბატონო, ანიაზ დავითს კენჭისყრა, კარგი იქნებოდა; მაგრამ ორადგან ინება, რა გაეწყობა: შავს ვერ ჩავუგდებთ, ამბობდენ იმერლები;—უტუმაგას, პარტენიო უუბნებოდენ ერთმანეთს მეგრელები.

მართლაც გათეთრდა 604 თეთრი და 164 შავი. ამიიღო და მხოლოთ—164 შავი.

ჩვეულებისამერ, ამანაც სიტყვა უთხრა საზოგადოებას: ვეცდები დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ არ შესცდით ჩემს ამორჩევაშიო და სხვა.

დანარჩენ ყველა ხუთ კანდიდატმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე, რომსთვისაც საზოგადოებამ მადლობა შესწირა. მართალი უნდა ვსთქვათ, ეს უარის თქმა თითქმის ძალ-დატანებული იყო, რადგან საზოგადოებამ დაიწყო ყვირილი: „ნუ გვაყრევინებთ კენჭს, თორემ გაგაშავებთ, გაგაშავებთო!“

მეექვსე სხდომა 27 აპრილს.

წყნარი, მშვიდობიანი სხდომა. ჯამაგირიანს, საპატიო თანამდებობაზე დღეს კენჭის ყრა არ არის: სამი კანდიდატი უნდა ამოურჩიონ ბანკის გამგეობას.

კანდიდატებათ მხოლოთ სამი კაცი იყო წარმოდგენილი: ნესტორ ერისთავი, დავით ლორთქიფანიძე და დავ. ბეჟ. ჩხეიძე. მოქიშპე და მოცილე არავის ჰყავდა ამ თანამდებობაზე, ამიტომ სამივე დაუბრკოლებლივ ამოირჩიეს.

ნესტორ ერისთავმა მიიღო 599 თეთრი კენჭი და 10 შავი, დავ. ჩხეიძემ—583 თეთრი და 24 შავი და დავ. ლორთქიფანიძე—558 თეთრი და 54 შავი.

მეშვიდე სხდომა 28 აპრილს.

გამგეობის ამორჩევის შემდეგ ქუთაისის საზოგადოებრ. ერთი რამ დიდი შეცოდება ჩაედინოს, ისე იყო სინანულში ჩავარდნილი.

სწორეთ შესანიშნავი ფსიხოლოგიური მოვლენა მოხდა: თვითონვე ამოირჩიეს დირექტორები და თითონვე დაიწყეს მერე სინანული და ყვედრება:

— ეს რა კაცები ამოგვარჩევინესო!

— მართალი უნდა მოგახსენოთ, მითხრა ერთმა თავადმა, რომელმაც ორთავე დირექტორს თეთრი ჩაუგდო, მართალი უნდა შოგახსენოთ, რომ დათა ერისთავი და ნიკო დადიანი ორივე საპატიო, ჩინებული, ყოვლად პატიოსანი კაცები არიან, მაგრამ ამ ჩემი მცირე ჭკუით ვფიქრობ, რომ ბანკისთვის ისინი არ გამოგვადგებიან.

— მაშ რაღათ ირჩევდით?

— გვითხრეს, შე დალოცვილო, და ქე დაუჯერეთ!

ყველა ღოლობერიძეებს აბრალებს ახლა ამ, იმათის აზრით, შეცდომას. იმნაირათ მიგვაწყვდიეს, რომ არ შეგვეძლო, ესენი არ ამოგვერჩიაო. და ნანობენ.

ამათზე—ღოლობერიძეებზე უნდა ამოიყარონ ახლა ჯავრი, და, როგორც დაინახავთ, მართლაც ამოიყარეს...

თითქმის 500 მეკენჭე მეგრელში დღევანდელ სხდომაზე 120—150 ვაცის მეტი არ იქნება.—„ჩვენ ჩვენი კაცები (ე. ი. ბეს. ღოლობერიძე და ნ. დადიანი) ამოვირჩიეთ და მეტე რაღა გვინდოდა!.„ სხვები ამბობდენ, საგძალიოთ შემოაკლდათ და იმიტომ წაგიდენო. დარჩენ ღოლობერიძეებზე გაცხარებული რაჭველები და ლეჩხუმლები და იმერლები, რომელნიც ამათ კარგათ იცნობენ.

კრება ძალიან შემცირდა: ათას ასის მეკენჭის ნაცვლათ, დღეს სულ 650 კაცია, მეტი არა.

ზედამხედველი კომიტეტის წევრნი უნდა ამოარჩიონ დღეს.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა თავის სია წარადგინა

კანდიდატებისა; ამ სიაში იყვნენ ჩაწერილნი: ლუკა ასათიანი, ლუარსაბ ლოლუა, დავით ბაქრაძე, ირაკლი ლორთქიფანიძე, პეტრე ნაკაშიძე და ივ. ჯაიანი. იმ წამსვე საიდგანლაც მეორე სია გაჩნდა; ამბობენ, ეს სია „უმთავრესს შტაბში“ შეადგინა ხელათ უფ. გ. ღოღობერიძემ; ამ სიაში ეწერენ: გ. ღოღობერიძე, ანტ. ლორთქიფანიძე, დ. ჩხეიძე, ივანე ჯაიანი, ნიკ. ღოღობერიძე და კონსტ. დადიანი.

დილის ათ ჩ საათიდამ მოკიდებული შუადღემდე იმაზე იყო გაუწყნარებელი ხმაურობა, თუ რომელი სიით უნდა დაიწყონ ამორჩევა. ერთი ნაწილი საზოგადოებისა იძახის, ცხარობს:

— ასათიანი, ლოლუა, ბაქრაძე! ასათიანი, ლოლუა, ბაქრაძე!

მეორე, მართალია, უფრო მცირე ნაწილი, არა ნაკლების გაცხარებით იძახის:

— ღოღობერიძე, ლორთქიფანიძე, ჩხეიძე!

ბოლოს, თუმცა ღოღობერიძეები ყოველის ღონისძიებით ეწინააღმდეგებოდენ, თუმცა უფ. ნ. ღოღობერიძემ ორჯერ დაახურვია სხდომა, თავმჯდომარეს, რადგან იცოდენ, რომ ვისაც პირველათ უყრიდენ კენჭს, დაღალული კრება უთუოთ ამოირჩევდა, ასათიანმა, ლოლუამ და ბაქრაძემ მაინც გაიტანეს: პირველათ იმათ უყარეს კენჭი და სამივე გაათეთრეს:

ლუკა ასათიანს ამოუვიდა თეთრი — 595 — 57 შავი
ლუარსაბ ლოლუას „ — 571 — 83 „
და დავით ბაქრაძეს „ — 460 — 192 „

ნაშუადღევის ოთხი საათი იყო, როცა ამ ორი კენჭი დათვალეს. საზოგადოება [illegible] ულობდა, რომ კენჭის მო-

გვუკით და ბარემ სამს წევრსაც ამოვირჩევთ, გავათავებ-თო. მაგრამ ვერ შეთანხმდენ პირების ამორჩევაში: ზოგს ერთი სიით უნდოდა კანდიდატების არჩევა და კენჭის ყრა და ზოგს მეორეთი. თავმჯდომარემ შეატყო, რომ დღეს საქმე სახეიროთ არ გათავდებათ და შესწყვიტა სხდომა.

მერვე სხდომა 29 აპრილს.

ბევრს პატიოსანს, წყნარ, მშვიდობიან ცხოვრების მიჩვეულ კაცს არ სძინებია წინალამეს. რამდენიმე ფაეტონი დაჭერილია მთელი ღამით და ქალაქის ერთი კუთხიდამ მეორე კუთხეში დაქანცებს.

გაცხარებული აგიტაციაა ზიმ. სიის კანდიდატების წინააღმდეგ, რომელიც ლოლობერიძეებს არ ეჭაშნიკათ. ხმა დაჰყარეს, რომ თუ ირ. ლორთქიფანიძე ამოარჩიეს ზედამხედველი კომიტეტის წევრათ, გამგეობა უარს ამ-ბობს სამსახურზედაო. ბევრს სხვა რასმეს ლაპარაკობენ.

ამ დღეს ერთი სიის მეტი აღარ ამოჩნდა, იმ სიისა, რომელიც „უმთავრესს შტაბში“ იყო შედგენილი; კოში-სიამ გამოაცხადა, რომ, რადგან ერთი სიის მეტი არ არ-ის, ამით უნდა ვყაროთ კენჭი.

— ჩვენი სია! ჩვენი სია! მოისმის ძახილი. იმ სიით უნდა ვყაროთ კენჭი, რადგან ჩვენ პირველათ არის წარ-მოდგენილი.

ცოტა ხანს შემდეგ დაკარგული სია, რალაც მანქა-ნების ძალით გაჩნდა, ფრება დათანხმდა, რომ ექვს კაცს ერთათ უყარონ კენჭი, სამ ბერს „შტაბის“ სიიდამ და სამსაც მეორედამ.

უ. გ. ლოლობერიძეს სულითა და გულით უნდოდა

წევრობა; მაგრამ როცა კრებაში გამოაცხადეს, რომ იმ-ას კენჭის-ყრა უნდა, თითქმი ერთხმათ მიაყვირეს:

— ნუ იყრი კენჭს! გაგაშავებთ, გაგაშავებთო! ნუ შეგვარცხვენიებთ თავს!

ამნაირათ უყარეს კენჭი: ირავლი ლორთქიფანიძეს

რომელსაც ამოუვიდა .	თეთრი 290—295	შავი
დავით აბაშიძეს . .	200—385	„
ანტონ ლორთქიფანიძეს .	377—203	„
დავით ჩხეიძეს . .	297—281	„
ივანე ჯაიანს . .	398—183	„
პეტრე ნაკაშიძეს . .	327—253	„

ამორჩეულ იქმნენ: ანტ. ლორთქიფანიძე, პეტრე ნაკაშიძე და ივანე ჯაიანი.

თითოეული ამორჩეულისთანაგრძნობისა და მოლოცვის ნიშნათ, საზოგადოებამ მალლა აისროლა

თითოეულმა, აგრეთვე ჩვეულებისამებრ, რამდენიმე თფილი, გრძნობიანი „სიტყვა“ წარმოსთქვა.

**შეცხრე

ახალი სამინისტრო დაფუძნდა.

ძველმა თავმჯდომარემ ახალ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს უფ. ლუკა ასათიანს გადასცა თავისი მოვალეობა.

კრებაში ახალი, უკეთესი წესიერებაა. საზოგადოება იმის ნახევარიც აღარა სჩანს, რამდენიც პირველ სხდომებზე იყო; ვინც არიან, ეტყობა, იმათაც მოსწყინდათ.

სცენაზე, ერთის მხრით—წინ ზედამხედველი კომიტეტის ექვსი წევრია, შუაში თავმჯდომარე ზის,—რომელიც შავი, ცოცხალი თვალებით მძიმეთ გადმოჩერებია საზოგადოებას,—იქით ბანკის გამგეობის წევრნი.

ესენი არიან ჩვენი ბანკის წარმომადგენელნი!

თავიდამვე გამოიჩინა ზედამხედველ კომიტეტმა თავის მხნეობა, შრომა და საქმის ერთგულება: ორი დღის განმავლობაში ზედამხედველ კომიტეტმა შემდეგი კითხვები გადაწყვიტა და დამზადებული მოხსენებანი წარუდგინა საზოგადო კრებას დასამტკიცებლათ:

ა). წმენდა შემოსავლიდამ ბანკის საჯარგებლო $1^1/_2$ % დარჩეს.

ბ). საზოგადო კრებამ გადაწყვიტოს, რომ დიდ მთავარს კავკასიის ნამესტნიკს დეპუტაცია გაეგზავნოს თავადაზნაურობისაგან ძალმადლობა გამოეცხადოს.

გ). საზოგადო კრებამ იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, რომ ქუთაისის გუბერნიის მიწების გამიჯვნა დაჩქარონ.

დ). დამფასებელი კომისიის წევრთ-რიცხვს ერთი კიდევ მოემატოს.

ე). ბანკის გამგეობამ თფილისის ბანკს დაფასების

ისტრუქცია (წესდება) მიიღოს დროებით, იმ პირობით, რომ ზედამხედველ კომიტეტმა შესცვალოს ის მუხლები, რომლების შეცვლას ადგილობრივის მიზეზების გამო, საჭიროთ დაინახავს.

ვ). თ. სვ. აბაშიძეს ბანკის ვალი 32,000 მან. კიდევ ერთს წელიწადს ადროვებს.

ზ). ბანკის გამგეობისათვის ხარჯი (რომელიც ჩვენს გაზეთში ამას წინათ იყო მოყვანილი).

ყველა ეს წინადადებანი ზედამხედველი კომიტეტისა საზოგადო კრებამ ტოთქმის ერთულაპარაჯებლად მიიღო და დამტკიცა.

ამნაირათ, 1 მაისს ნაშუადღევის სამს საათზე გათავდა ქუთაისის საზოგადო კრება ბანკის თაობაზე.

დაიწყო მღელვარებით, ჭექა-ქუხილით,—გათავდა მშვიდათ, ლმობიერათ.

კრება-კი გათავდა, მაგრამ ჩვენ კიდევ ერ გაგვითავებია იმაზე ლაპარაკი: შემდეგს ნომერში რამდენისამე სიტყვის თქმის ნება კიდევ მოგვეცით საზოგადოთ ამ კრებაზე და კერძოთ იმ პირებზე, რომელთაც აქ თავი გამოიჩინეს.

თვალის-გადავლება ქუთაისის საზოგადო კრებაზე.

ათასს კაცზე მეტი იყო ქუთაისში; ყველა წარმომადგენელნ დასავლეთის საქართველოსა ეაეხწრო ბანკის არჩევნებს: იმერეთიდამ, სამეგრელოდამ, ლეჩხუმიდამ, რაჭიდამ და სხვ.

ვრცელი ზალა საზნაურო სახლისა, რომელიც კრებისათვის იყო დანიშნული, ვერ იტევდა ხალხს.

სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა ეს დარჩეულ თავად-აზნაურთა კრება!

რაც დასავლეთ საქართველოს კეთილ-შობილობას საუკეთესო წარმომადგენელი ჰყავდა, თითქო ყველა აქ გამოეგზავნა, მშვენიერი, მხნე, ლომის შეხედულობის ხალხი; ლაზათიანათ, მოხდენილათ ჩაცმულნი, „კბილებამდი დაიარაღებულნი,“ როგოც ფრანგები ამბობენ.

ერთი ამათი დანახვა აფიქრებინებდა კაცს, რომ ძველი ქართველური სული თითქო კიდევ უნდა ედგას ამ ხალხსაო. ასეა ხშირათ: კაცის გარეგანის შეხედულობით ამ კაცის შინაგან თვისებების და ხასიათების შესახებ ვსჯით, და ეს სჯა ძალიან ხშირათ არ გვაცუილებს ხოლმე...

ევროპიულ ტანისამოსიანს, „კოთხოიანს“ ბევრი-ბევრი 20—30 კაცს თუ ნახავდით; დანარჩენი სულ ჩოხიანები, იყვნენ ჩერქესიანები, ხმლითა და სატევრით გვერდზე, რევოლვერით ან დამბაჩით უკან ქამარში.

მეგრელები ცალკე დგანან ზალაში, მარცხნივ; იმერლობა ცალკე, მარჯვნივ; ამათ უკან ლეჩხუმლები და რაჭველები.

მოხუცებული პეტრე დადიანი, ახალგაზდა ტარიელ დადიანი, ბესარიონ დგებუაძე და ალექსანდრე იოსელიანი მეგრელების წინა კაცები არიან. ამაში ნიშნებით ესენი ხან საზარელი ხმით აწყებენ ყვირილსა და ხან დაწყნარდებიან; ბესარიონ დგებუაძის თვალების ქუჩვა მარტო ნაზ-ნერვებიანთ ქალებს არ აშინებდა.

იმერლებს არა ჰყავთ წინამძღოლი, მოთავე კაცები. გ. ღოლობერიძე და ანტ. ლორთქიფანიძე თითქო რაღაცას ფაცურობენ, თითქოს ანიშნებენ ხან გაჩუმებასა და ხან ყვირილს კრებას, მაგრამ იმათ ისევ უფრო მეგრელები უგონებენ, ვიდრემ იმერლები.

თითქმის ხუთასი კაცი მეგრელი ისე მოქმედებდა, ისე იქცეოდა კრებაში, როგორც ერთი კაცი. რასაც მოთავე კაცები უჩვენებდენ და ანიშნებდენ, ყველანი ერთათ დაიწყებდენ ყვირილს.

„— პირველათ მივდივართ იმერეთში; არ შევრცხვეთ იმერლებთანო: თანხმობით და ერთათ ვიმოქმედოთო!“ ეს იყო თურმე იმათ პაროლი.

იმერლებმა-კი თავის განხეთქილება და პარტიობა ამ ბანკის საქმეშიაც ვერ დაივიწყეს: წულიკიძეები ცალკე იყვნენ, ლორთქიფანიძეები ცალკე, შორაპნის უეზდი სხვა გზას ადგა, ქუთაისის სხვას, რაჭა და ლეჩხუმი არც ერთს არ ეთანხმებოდა, სულ განზე იყო გამდგარი.

ამისთანა დიდი შეკრებილება პირველია ჩვენს ქვეყანაში. საქმე, რომელმაც ეს საზოგადოება მოიწვია, აგრეთვე დიდი და მძიმეა...

ერთი საზოგადო შენიშვნა:

ბევრჯელ დავსწრებივარ უცხო ქვეყნების სახალხო კრებების სხდომას. იქაური პარლამენტური წესები, იქაური პარტიები საუკუნოებით შემდგარა და დაფუძნებულა. ყველა წესს, ყოველ პარტიას იქ თავისი ისტორიული მნიშვნელობა და საფუძველი აქვს.

ამ ჩვენი ქვეყნის კრებას არც ერთი არ მიუძღვის წინ: წესებიც გუშინ გაჩნდა და პარტიებიც...

მაგრამ ნეტა გენახათ, რა დისციპლინა, რა წესი

და პარტიული პირი იყო ამ კრებაში, ამ ათასი კაცის სხვა-და-სხვა ნაწილებში.

მხოლოთ პირველ სხდომაზე მოხდა ის უწესობა, რომელიც ამასწინათ იყო ჩვენს გაზეთში აწერილი, და მეორე დღეს, როდესაც უფ. ნ. ნიკოლაძემ მოინდომა სიტყვის თქმა. და ესეც მხოლოთ იმ მოთავე კაცების, იმ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურების საქმე და ბრალი იყო, რომელნიც უ. ნიკოლაძისაგან თავისთვის სასიკეთო სიტყვას არ მოელოდენ. საზოგადოება, განსაკუთრებით მეგრელები, რომელნიც ყველაზე უფრო მომეტებულს ყვიროდენ: „არ გვინდა ნოკოლაძის სიტყვაო“, ესენი სხვებისაგან იყვნენ ჩაგონებულნი.

დანარჩენ დროს თითქმის ერთი ისეთი უწესობა არ მომხთარა, რომელიც ამგვარ კრებებში ყოველთვის და ყველგან არ იყოს შესაძლო და მოსალოდნელი.

გთხოვთ, კრების დამცირებათ არავინ ჩამომართვათ, როცა მოგახსენებთ, რომ ისინი მოთავე კაცებს უჯერებდენ-მეთქი.

ათიდამ ცხრა წილი მაინც ისეთი დაესწრო ამ კრებაზე, რომელსაც თითქმის ბანკის სახელიც პირველათ გაეგონა, რომელსაც ამ საქმის წაყვანაც „განათლებულებისათვის“ მიუნდვია თავის გულში, და რათ გაგიკვირდებათ, რომ ამისთანა ხალხმა ამ „განათლებულებს“, ამ წინამძღოლებს, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ ცრუ წინამძღოლებს დაუჯეროს? რათ გაგიკვირდებათ, რომ—უკაცრავათ სიტყვაზე,—შუაგული სამეგრელოს ტყიდამ გამოვარდნილმა მეგრელმა ცივილიზაციის ლაქ-წაცხებულს „გიორგი ღოლობერიას“ ანუ რომელსამე სათვალებიან „პარტონისკუას“ დაუჯეროს და გაუგონოს ყვე-

ლაფერი, რაც ჭკუაში დაუჯდებაო, რასაც თავის აზრით, თავის ბანკისთვის სასარგებლოთ დაინახავს.

საქმე იმაშია, რომ ეს მიყოლა, ეს დარწმუნება წმინდა, გულ-წრფელი და ანგარებით გაუსვრელი იყო. უკანასკნელი წევრი კრებისა მხოლოთ იმიტომ იდგა ერთს რომელსამე გადაწყვეტილებაზე, რომ აშას ბანკისათვის სასარგებლოთ ხედავდა; მტრობითა და მოსყიდვით არავის არ უგდებდა შავ კენჭს, არამედ სხვა უფრო პატიოსნური ანგარიშით, რომელიც იმის აზრით ბანკს შეეხებოდა.

მართალია, ამბობდენ, ბევრსაც ამბობდენ, რომ ფული დაარიგესო, დამფასებლების ადგილები უკანასკნელ სამოცდა-ათ კაცს დაჰპირდენო, ვექსილები დაიწერა და დაიხაო და სხვ. ამბობდენ, მაგრამ მე თითქმის ნამდვილათ შემიძლია ვსთქვა, რომ ამგვარ საქმეში კრება არ გასვრილა; და არ გასვრილა იმიტომ, სხვათა შორის, რომ ძნელიც იყო უმრავლესობის მოსყიდვა; და ერთსა და ორს რომ თავსლაფი დაესხას, ეს მთელ კრებას ჩიტქს ვერ მოსდებს, ვერ გააჭუჭყიანებს. თუ ეს მართალია, რცხვენოდეს იმას, ვინც მისცა, ვინც დახარჯა და უფრო მოქეტებულათ იმას, ვინც აიღო!

ამ საზოგადო შენიშვნების შემდეგ ახლა ორიოდე სიტყვა მომისმინეთ იმ კერძო პირებზედაც, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ კრების დროს. ამ პირებში ზოგიერთებს ისეთი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე და ბანკის საქმის გადაწყვეტაზედ, რომ ეს ორიოდე სიტყვა მეტი არ იქნება, მეორეს მხრივ იმიტომაც, რომ ამ პირებს შემდეგ ჭრებებშიაც, შემდეგ ჩვენ საზოგადო საქმეშიაც უქნებიათ გავლენა და მნიშვნელობა.

დავიწყოთ იმერეთიდამ, როგორც უფროსი: ძმა-თგან.

ხელ-ნაწერი პორტრეთები.

გასარგი დროებრივ. უძველესი მოთავეები ამ ახალ-გაზდა პარტიის, რომელსაც იმერეთში „წვეროსნებს“ ეძახიან, თუმცა ამის სახელზე კაცს თავის დღეში წვერ-ულვაშიარ უნახავს.

ფეხედვით 50 წლის იქნება. ყირიმის ომის დროინ-დელი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტია.

თვითონ ჩარგვალებული, ჩასქელებული; ხმა ჩაწ-ვრილებული, ჩადისკანტებული. მუდამ თვალებს აპაჭუ-ნებს. ფართო, ერთ-ნახევარი შუბლი და ნახევარი ცხვე-რი. მიხვრა-მოხვრით ჯენტლემენი, ხასიათით და გარეგა-ნი შეხედულობით ხიმპატიური კაცი. ქალებს ძალიან მოსწონთ. სხვათა შორის, თავის სიფაქიზით არის იმერეთ-ში გათქმული: ამბობენ, პერანგებს ოდესაში აგზავნის გასარეცხათაო.

ლმერთს გალოლობერიძე ქალების კავალერობით, სპეკ-ტაკლებისა და ბალების გასამართავად, საზოგადოების შესაქცევად გაუჩენია, და დახე უსამართლობას, გარე-მოებამ პარტიის მოთავე გახადა, ისიც სად? იმერეთში. „სოფელი ვნახე უძალლო, შიგ გაუიარე უკუღმა“ — სწორეთ ამაზეა ნათქვამი: ჩამოვიდა თუ არა რუსეთიდამ ეს სალონისათვის გაჩენილი კაცი, იმ წამსვე მჭრელების ემორჩევა დაეკარგა, თ. ნ. წ—ის კენჭის ყრას დაესწრო; ერთი რალაც სიტყვა წამოსცდა, ხუთიოდე მომხრე გაუ-

ჩნდა; იფიქრა: პარტიის მოთავედ გავხდეო, და გახდა. მას აქეთ ყოველ კენჭის-ყრაში ერევა; ყოველთვის თავის პარტია ყავს და მოწინააღმდეგე თუ არავინ გამოჩნდა, ძალათ გააჩენს.

ამბობენ, სამი წლის განმავლობაში მუდამ სძინავსო და მხოლოთ ერთხელ, როცა კენჭის-ყრა იწყება, მაშინ გამოიღვიძებსო. მაშასადამე წლევანდელი წლის მეტათ გამოღვიძებული ის მე არ მინახავს. მაგრამ, უნდა გავტყდეთ, რომ წელს-კი კარგათ ეღვიძა: დილიდამ საღამომდი და ხანდახან, როგორც ამბობდენ, საღამოდამ დილამდის, მუდამ ფაცურობდა, მუდამ იქით-აქეთ დარბოდა, ხან ფეხითა და ხან ფაეტონით, იმას წაელაპარაკებოდა, ამას გაუღიმებდა, სააზნაურო სახლს დღეში უკანასკნელი თხუთმეტჯერ შემოუვლიდა გარშემო, თითქოვისმეს ან რასმეს ეძებსო; მუდამ მღელვარებაში იყო.

ლაპარაკი წინადადებით იცის, ათს სიტყვაზე მეტს ერთათ არ ამბობს, იმასაც საშინელის აღელვებით, სულის-წასვლით და ხელების მტვრევით.

ნიკო ღოღობერიძე. შემცდარია ძველი რომის მწერალი—ოვიდი, როდესაც ამბობს, რომ „პოეტათ იბადება კაცი და ორატორათ-კი კეთდებაო“. ეს მწერალი რომ ნიკ. ღოღობერიძის ნაცნობი ჰყოფილიყო, უეჭველია იტყოდა: „პოეტათ და ჩინოვნიკათ იბადება ადამიანიო.“

ერთი მშობლისაგან რომ ორი ამნაირათ განსხვავებულის ხასიათისა და ჭკუის კაცი დაბადებულიყოს, როგორც ნიკო და გიორგი ღოღობერიძეები, ძნელათ ნახულა: ერთი განხორციელებული აშკარებაა, გულღიობა,

შეორე გულ-ჩახვეული; ერთი პირში მთქმელი, მეორე თავის აზრს თავის დღეში არ გეტყვის; ერთი ჯენტლემენი, დარდიმანდი, კეთილი, მეორე წვრიმალი ხასიათის, ეგოისტი; ერთი მუდამ მღელვარებს, მუდამ ფანტაზიებს ემორჩილება, აღტაცებაში მოდის, მეორეს გულს, მგონი თავის დღეში არ უგვრძნია, რა არის მღელვარება, აღტაცება, ფანტაზია. გიორგის სიცილი გულ-გახსნილი, წრფელი სიცილია, ნიკო თავის დღეში არ უნახავს კაცს არც გაცინებული და არც შუბლ-შეკრული: ის მუდამ იღიმება, მაგრამ როგორ იღიმება? თვალები და ტუჩები ორივე ერთათ გეუბნებიან: „ჩვენ ვიცინით ჩვენის პატრონის ბრძანებითაო.“

ნ. ღოლობერიძეს კრებაში ზედ-მიყოლებით თვითონ ორი სიტყვა არ უთქვამს თავის დღეში ერთათ.

ვინც გვერდით უზის, იმათ უჩურჩულებს ხოლმე.— ახლა ეს სთქვი, ახლა ისაო! საწყალ გიორგის ამისაგან კალთები დახეული აქვს: როცა ეს დაიწყებს ლაპარაკს და ნიკო შეატყობს, რომ მომეტებულის მღელვარებისაგან ერთობ მაღლა შეჰფრინდა, ეწევა და ეწევა სერთუკის კალთებს. თვითონ თუ არ არის იმასთან ახლოს, უთუოდ კაცს მიუჩენს ვისმეს და ეტყვის: „ათი სიტყვა რომ სთქვას, მერე მაგრათ ჩამოსწიე კალთა, გააჩუმე და თუ არ გაჩუმდეს კათედრიდამ ჩამოიყვანეო!“

ერთი სისუსტე სჭირს ნიკ. ღოლობერიძეს: ფილოლოგიის სიყვარული, რასაკვირველია სიტყვით. ჯერ მასწავლებლათ იყო და ვინც ახალგაზდა ვინმე შეხვდებოდა, მუდამ ამას ეუბნებოდა: „ეს თანამდებობა დროებითია ჩემთვის; მაცალეთ, ქართულ ისტორიას და ფილოლოგიას მოვკიდებ მალე ხელსაო“. მერე სასოფლო

შკოლების ინსპექტორად იყო; კიდევ ამას ამბობდა, მწ-
ცალეთ ერთი ორი წელიწადი, შერე ფილოლოგიას შე-
ვუდგები. შემდეგ ბასამართლოს ნაწილში გადავიდა, კი
დევ ამას იმეორებდა, ასე გასინჯეთ, ადვოკატობის დრო-
საც კი ფილოლოგია ახსენდებოდა! ახლა ნატარიუსია
და ნეტა თუ კიდევ ახსოვს ფილოლოგიის შესწავლა?
თუ წარსულით მომავლის წინასწარმეტყველება
შეიძლება, მე არა მგონია, რომ ამ საპატიო კაცმა ოდეს-
მე ფილოლოგია შეისწავლოს. ეს-კი ვიცი, რომ ჩინოვ-
ნიკობის იერარქიაში მაღლა აიწევს.

როგორ არ გაგიკვირდებათ ამის შემდეგ, ახლა
რომ გითხრათ, ეს კაცი ქალებს არ უყვართ-მეთქი. მა-
გრამ არაა ეს შავს რა: ქალის სიყვარულის ნაცვლათ, ის
ორდენებით შემოსავს გულს...

ანტონ ლორთქიფანიძე. ანტ. ლორთქიფანიძე იმე-
რელია, ნამდვილი იმერელი თავის მშვენიერი ღირსებე-
ბითა და თავის ნაკლულევანებითაც: ნიჭიერი, ცოცხალი,
სიმპატიური, ალაგ-პირში მთქმელი და ალაგ-პირს უკან,
მყვირალა და ჩუმ-ჩუმა, კარგი ამხანაგი და...

უნივერსიტეტმა და უმაღლეს მეცნიერებამ ვერ ვერ
მოუცვალა იმას ეს დედის რძისაგან შეთვისებული იმერ-
ლის ხასიათი.

ხშირათ მაგის იმერულის მოქმედებას ხედავ, ხედავ,
მაგრამ ცუდი ვერა გიფქვამს რა იმაზე. მაგისთანა საყვა-
რელი კაცი ძნელათ მინახავს. ერთსა და იმავე დროს
იმის ჩაქოლვაც გინდა და სულში ჩაძვრენაც.

ერთი რამა მსურს იმისთვის: ნეტა იმ დღეს ოდეს-

წრეებრდეს, რომ ლოლობიერიძეებისა ყურ-მოჭრილი ყმა არ იყოს, რომ ყველა იმათ მოქმედებებს ახელილი თვალით შეხედავდეს და ბრმათ არ ემორჩილებოდეს. მაშინ ანტ. ლორთქიფანიძე ძვირფასი პაკი ექნებოდა იმერეთში.

ბეტრე ადიანი. ძველად დარბაისელი ქართველივ მძიმეთ, დინჯათ მოლაპარაკე. სამეგრელოში ფილოსოფოსათ მიაჩნიათ; მართლაც, ანტონ კათოლიკოზის „ხრონოგრაფი“, როგორც ეტყობა, წაკითხული უნდა ქონდეს. რმის ქართული ლაპარაკის ყურება საიმოვნოა, ყოველს სიტყვაზე იგავი ან არაკი მზათა აქვს; ხანდახან ძალიან მოსწრებული სიტყვა იცის.

ერთს ნასწავლ კაცზედ ლაპარაკობდენ. ბეტრე და დარბნმა თავის აზრი ამ კაცზე შემდეგი იგავით გამოსთქვა.

— ბატონო, ვარგ სტუმარს კარგი მასპინძელი უნდა. შემოვიდა ახლა, ესთქვათ, თქვენთან ბატონიო სტუმარ, ჭა: თუ კარგთ არ დაუხვდით, თუ კარგი სასმელ-საჭმელი არ მიართვით, თუ ლმობიერათ არ მოეპყარით და კარგი ლოგინი არ დაახვედრეთ, როდი მოიცდის, არ მოისვენებს, ბატონო, თქვენ სახლში, სხვაგან წაბრძანდება. ასე გეხლავთ სწავლისა. თქმეს, თუ კარგ ბუნებითი ჭკუა არ დაუდგა სწავლას, როდი მოიცდის, არ მოისვენებს ამისთანა მასპინძელთან, სხვაგან წავა.

— ყოველ მუშაკს, თავის შრომის ნაგვარათ სასყიდველი ეჭირვებაო — სთქვა იმან, ბანკისა მმართველის ჯამაგირზე რომ მოლაპარაკებაიყო და ეს ფრაზა მინდა-ტურულ ფრაზათ გადაექცა კრებაში.

მე მიყვარს ამის ქართული. ესეც ცოტაა ახლა ჩვენ-ში კარგ მ-ქართულე...

გიგო ფალავა. გამოჩენილია თავის ლურჯი სათვალეებით, რომელიც გარეთ და ოთახში, ჩრდილში და მზეში, ყოველთვის შუბლზე ადევს და არა თვალებზე.

აკაკიმ ერთს ვიღაცაზე, რომელსაც ამნაირივე ჩვეულება ჰქონდა თავის კვიმატის ენით სთქვა, როცა ჰკითხეს:

— რატომ მუდამ შუბლზე ადევს ამ კაცს ეს სათვალებიო?

— იმიტომ, რომ თვალებით-კი არ-არი სბრმა, გონებით არისო.

საშინელი ცხარე კაცია ეს გიგო ფალავა ამბობენ. ერთ დროს ამისთანა მარჯვე და მხნე კაცი მთელს სამეგრელოში არ მოიძებნებოდაო. ახლა-კი სულ ცხარობს, სულ ჯავრობს ეს დალოცვილი. მაგრამ რადგანაც შეუბრალებელ სიბერეს კბილები წაურთმევია იმისთვის, ამიტომ კაცს ვერ გაუგია: რაზედ ან ვიზედ ჯავრობს.

ტარიელ დადიანი ზედ გამოჭრილი მეგრელია: მარჯვე, გონება მახვილი, ყოველს საქმეში მოხერხებული.

ამისთანა გავლენა მეგრელებზე არც ერთს „პარტენისკუას“ არ ჰქონია; თუმცა ჯერ ახალგაზდაა, მაგრამ კაცის ხასიათი და განსაკუთრებით მეგრელი კაცისა ზედ მიწვენით იცის; იცის, ვის როგორ, რა მხრით მიადგეს, როგორ იმოქმედოს იმაზე, როგორ შეაყვაროს ან შეაძულოს რომელიმე კაცი ან აზრი.

ტარიელ დადიანისთანა კაცი ყოველს პარტიაში ძვირფასს საუნჯეს შეადგენს.

უეჭველია, რომ ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებში, საცა-კი მეგრელები მონაწილეობას მიიღებენ, ტარიელ დადიანს დიდი მნიშვნელობა და ხმა ექნება. ერთი შეხედვით პატარა, შეუნიშნავ კაცათ გეჩვენებათ, მაგრამ ამ პატარა კაცს, თავის წრეში დიდი სახელი და პატივისცემა აქვს. ამიტომაც სასურველია, რომ ყოველთვის საზოგადო საქმეში წინდახედვითა და მოფიქრებით მოიქცეოდეს, სანამ რომელსამე აზრსა ანუ პარტიას დაადგებოდეს.

ლუარსაბ ლოლუა. მეგრელია, კუდურია,
წყალში ამოწუმპულია;
დღე სძინავს და ღამე არა,
თვალებ გამოკუსულია.

ნიკო ნიკოლაძე. ერთმა გამოჩენილმა მწერალმა სთქვა ნ. ნიკოლაძეზე, რომ ვეფხს ჰგავსო, მაგრამ ამ ვეფხს ძარღვებში, სისხლის მაგივრათ, რძე უდგასო.

თუმცა ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ვეფხობა მაინცა-და-მაინც დიდი არაფერია; მაგრამ ნ. ნიკოლაძეს ვეფხობამდი ჯერ ბევრი აკლია. ამ შედარებაში მართალი მხოლოთ ერთია: როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხი თავის დღეში არ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთს კედელს შეახტება და ხან მეორეს, სწორეთ ისე ნ. ნიკოლაძეც მოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათის კაცია მუდამ მოწინააღმდეგეებს ეძებს, კბილებს ილესავს, თითქო განგებ უნდა მტერი გაიჩინოს

საბრძოლველათო და თუ ვინმე გამოიგდო ასპარეზზე, აღტაცებაშია, ნამდვილათ მხოლოთ მაშინ ცოცხლობს.

ჩხუბი ბაასი, ბრძოლა ისეთს საჭირთებას შეადგენს იმისთვის, როგორც წყალი თევზისთვის.

ზედ სახეზე აწერია, რა ხასიათის კაციც არის: ერთი შეხედვის მეტი არ გინდათ, რომ გამოიცნოთ, რომ ამ შავ-ყვითელს, ნაღველ-ჩაქცეულთანე პირის-სახის, საოთვალეებიდამ გამოსხედავ მაყვალივითო შავ-თვალებიანს, წმინდა ტუჩებიანს და გამხმარ გაწვრილებულ კაცს ლმობიერება და სისხლის-მსმელი ინსტიქტი ორივ ერთათ აქვს შეზავებული, რომ ის არის ერთსა და იმავე დროს ავი და კეთილი, მგელი და ცხვარი, ვნებით სავსე და მშვიდი, ხან აღელვებული, გაგიჟებული ზღვა და ხან კი წყნარი, უშფოთველი ტბა, მკრთალი და გამბედავი.

ეს სახე გეუბნებათ, რომ იმისგან როგორც სიტყბოს ისე სიმწარესაც უნდა მოელოდეთ, რომ ის მზათაა, კაცი გასრისოს და, თუ საჭიროთ დაინახავს, თვითონაც შენთვის მოიკლავს თავსაო.

ამგვარ ხასის —გამომეტყველების წყალობით არის, რომ ნიკ. ნიკოლაძე ქალებთან ხშირათ მარჯვეს ხოლმე. სახეზე რომ ხედავენ, რაღაცა უცნაურს, საშინელ მოქმედებას მოელიან იმისაგან, მაგრამ რომ გაიცნობენ და ნახვენ, რომ ისე უეცრათ და ისე საშინელის სათამაშმით არ იქცევა, რომ, ბევრის შაგივრათ, ცოტა რამ მეტითხოვა, თანახმდებიან და მოსწონთ. გამბედავი კაცი ქალებს საზოგადოთ ძალიან უყვართ...

პლანები, პროექტები იმის ხელთ არის: დიდ ტაქტიკათ მიაჩნია თავის თავი, ამ პლანებში და ტაქტიკაში ნათლათ მოჩანს იმის ხასიათი, იმის გამბედაობა, იმის

ხან წინდაუხედაობა და ხან ერთიმეორეს, მომეტებულათ შორს-გამსჭვრეტელობა.

ამას ხანგრძლივათ დაუსისტემატიურათ ერთს საქმეზე დადგომა რომ მისცა, ამის შრომას რომ დიდხანს, დაუღალავათ გატანა შეეძლოს ყველა იმ პროექტებისა და ტაქტების გაყოლა, რომელსაც ასე მშვენიერად დაგილაგებს და გიქადაგებს, მაშინ რაღა უშავს? ყველას თუ არა საზოგადოთ მაინც ასრულებდა თავის კეთილ-შობილურ განზრახვებსა და საწადელს.

უბედურება ეს არის, რომ ასე შეუძლია. ერთობ მგრძნობიარე ნერვების პატრონია, ერთობ უდუღს ძარღვებში სისხლი, ერთობ მსწრაფლათ დნება, და ეს საზოგადო წანონია, რომ ამგვარ ბუნების კაცს ხანგრძლივი, სისტემატიური, გამტანი მუშაობის ძალა, დგ ენერგია არა აქვს.

ყველა იმის ნაკლულევანება და ღირსება ამ დაუდეგარის ნერვებიანი ბუნებისაგან წარმოსდგება.

დავით მაქალაძე. ეს სიმპატიური, ყველასათვის და განსაკუთრებით ქალებისთვის საყვარელი ყმაწვილი კაცი! ცარგი ტანადი, ლამაზი თვალადი, კარგათ გაზრდილი წვერ-ულვაში, ეუეუნა თვალები, ფართო შუბლი... მაგრამ მაღლა ნულარ აიწევით... ქუდი ორო ეხურის, ისე ნახეთ.

ხასიათში საშუალო საუკუნის რაინდული თავისებანი და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილება ერთათა აქვს შეზავებული.

პარიზში ყოფილა; ალტაცებულია ფრანგების პო-

ლიტიკურის ცხოვრებითა და ნაციონალურ კრების ორატორებით; ცდილობს ჩვენს კრებაში ლაპარაკის დროს იმათ წაბაძოს ხელების ქნევითა და სიტყვის მანერით.

ახალი ქართული გაზეთი.

ამბობენ, რომ მომავალი წლიდამ ახალი ქართული გაზეთი გამოვა ჩვენშიო...

ამბობენ, როგორც თვითონ გაზეთი იქნება დიდი, ფართო და გრძელი, ისე პროგრამაც დიდი და ვრცელი ექნებაო: პოლიტიკური, ლიტერატურული, კრიტიკული, ბელლეტრისტული, იურიდიული, სამეცნიერო, პედაგოგიური და ბევრი სხვა „ული“ და „ური“ განყოფილება იქნება შიგაო.

რედაქტორობა ამ გაზეთისა თ. ილ. გ. ჭავჭავაძეს უკისრნია. თანამშრომელებს ურიცხვს ამბობენ: პეტერბურღის ქართული ენის პროფესორს უფ. ალ. ცაგარელს, ოდესის ქიმიის პროფესორს უფ. ვ. პეტრიაშვილს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგებელს უფ. ბეს. ღოღობერიძეს, უფ. ნ. ქანანოვს, ი. გოგებაშვილს, ბეს. ჯაფარიძეს, დავ. ჩქოტუას და ბევრს კიდევ სხვა ნაცნობ და უცნობ პირებსა.

ამბობენ, თხოვნა გაზეთის ნების დართვისათვის და პროგრამა უკვე წარდგენილია, სადაც რიგიაო და მოკლე ხანში მმართებლობისაგან დამტკიცებას მოელიანო.

ამბობენ, ეს ახალი გაზეთი როგორც ლიტერატურულის მხრით (თანამშრომელებით) იქნება მდიდარი, ისე მატერიალურის მხრითაცაო: ამ თავითვე ხუთასი თუმანი

ხელში ექნება გაზეთს ძირის ფულათო და ამას გარდა სხვა გვარი შემოსავლის იმედიც აქვთო; ერთი სიტყვით, ახალს გაზეთს ყველა ის საშუალება ექნება, რასაც „დროებას“ ჰპირდებოდენ, „დროების“ მეპატრონენი რომ ამ ახალი გაზეთის მოთავეთ წინადადებაზე დათანხმებულიყვენო.

ამბობენ, ეს გაზეთი კვირაში ერთხელ გამოვა და წელიწადში 7 მანეთათ ეღირებაო და სხვა-და-სხვა.

ამნაირათ ჩვენს გაზეთს ახალი მოძმე ეგბადება.

კეთილი იყოს იმის ჩასახვა ილ. ჭავჭავაძისა და ბეს. ღოლობერიძის აზრში. კეთილი იყოს იმის დაბადება! კეთილი იყოს, თუ ამ მომავალ ჩვენს მოძმეს მარტო და მხოლოთ ლიტერატურული ინტერესები ექნება მხედველობაში და არა სხვა რამე. კეთილი იყოს, თუ ის საზოგადო სარგებლობისათვის მოღვაწეობას გამოიჩენს და არა კერძო პირების, კერძო ინტერესებისათვის. კეთილი იყოს, თუ ის „მაღლა დაიჭერს ლიტერატურის დროშას,“ ისე მაღლა, რომ ქვეყნიური რაიმე ჩირქი მას არ მოეცხოს. კეთილი იყოს, თუ ის იქნება მიუდგომელი, მოუსყიდველი და პატიოსანი.

მაგრამ, რა ვქნათ? ეჭვი ვერ მოგვიშორებია თავიდამ. ის გარემოება, რომელმაც დაბადა ეს ახალი გაზეთი, რომელმაც უფ. ბეს. ღოლობერიძე და ილ. ჭავჭავაძე „აიძულა,“ რომ ქართული გაზეთის გამოცემისთვის ხელი მოეკიდათ, ის გარემოება სულ სხვას გვეუბნება, ცდილობს სულ სხვაში დაგვარწმუნოს.

თქვენც იცით ეს გარემოება: ბეს. ღოლობერიძემ და ილ. ჭავჭავაძემ მხოლოთ მაშინ გაივლეს გულში ახა-

ლი გაზეთის გამოცემაზე, როდესაც „დროების“ ერთმა ფანამშრომელთაგანმა გაბედა იმათს მოქმედებაზე ცოტა-ოდენი ეჭვის შემოტანა.

ამ პირებმა წინადადება მისცეს „დროების“ ახლანდელ პატრონებს, რომ, თუ აკ. წერეთელსა და ნიკ. ნიკოლაძეს გამოაგდებთ რედაქციიდამ და მათ ნაცვლათ უუ. ბეს. ჯაფარიძესა და დ. ჩქოტუას მიიღებთ, მატერიალურ და სხვა ყოველ-გვარ შემწეობას მოელოდეთ ჩვენგანაც. და თუ არა, თუ არა, ჩვენ ახალს გაზეთს გამოვცემთ!

რომელიმე გაზეთი რომ ამისთანა გარემოებაში დაიბადება, როგორ ვრ შეგვივა კაცს ტვინში ეჭვი, რომ ეს გაზეთი მიუდგომელი და „ლიტერატურის დროშის მაღალა დამჭერი“ ვერ იქნება? როგორ არ გაივლებს საზოგადოება გულში იმ აზრს, რომ ამ გაზეთს ზოგი კერძო ინტერესებისა და კერძო პირების სამსახური ექნება მხედველობაშიო?

ჩვენ ამას ვამბობთ, ამ ეჭვსა ვაცხადებთ; მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ყველაზე პირველათ და იქნება ყველაზე მომეტებულთაც ჩვენ გავიხარებთ, თუ ეს ჩვენი ეჭვი ბოლოს არ გამართლდება და ჩვენი ახალი მოძმე-გაზეთი სწორს, პატიოსანს, საზოგადო სიკეთის გზას მტკიცეთ შეურყეველათ, მხნეთ დაადგება.

ყველაზე მომეტებულთ ჩვენ გაგვიხარდება, თუ ამ გაზეთში ჩვენ ისეთ ნამდვილ მოძმეს შევიძენთ, რომელიც ხელი-ხელში გაყრილი ჩვენთან ერთათ იბრძოლებს ბმის წინააღმდეგ, ბის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვით. თუ ის ჩვენთან ერთათ ემსახურება ჩვენს საზოგადოებას, თუ ჩვენთან ერთათ მოინდომებს და იკისრებს ამ საზოგადო-

ების გამოლვიძებან, წარმატებასაც ალბათ ნამდვილს სამსახურს.

შრომასაც გაგვინახევრებენ, ტვირთსაც ერთიორათ მსუბუქი შეგვექნება, საზოგადოების წარმატებასაც ერთიორათ უფრო აჩქარებით და ფონიერათ დაიწყებს მსვლელობას, ყველა ჩვენ საზოგადო საქმეებს ფომორი მეუღლე ეყოლება მაშინ,—და ჩვენ მეტი რაღა უნდა გვინდოდეს, ამაზე მეტს რაღას უნდა ვნატრულობდეთ?!

მაშინ ვეღარავინ იტყვის, რომ ბ. თფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების გამგებელთაგვის არის დაარსებულია.

თფილისის სემინარიის წესები

როდესაც ერთხელ თქმულს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია იმან, ვისთვისაც ის იყო ნათქვამი, მაშინ მთქმელს შეუძლია და ვალდებულებაც აქვს, ორჯერ, ოთხჯერ გაიმეოროს თავის სიტყვა: სანამ მსმენელნი კარგად არ გაიგონებენ.

იმ წესებზე, ანუ უკეთა ვსთქვათ—იმ უწესოებაზე, რომელიც ჰსუფევს ჩვენს სასულიერო სემინარიაში, და ახლანდელ იმის მმართველობისა და რექტორის, განსაკუთრებით ინსპექტორის მოქმედებაზე, ორჯერ-სამჯერ იყო ჩვენს გაზეთში რამდენიმე სიტყვა ნათქვამი. მაგრამ დღემდე ჩვენს სიტყვას მხოლოთ ის შედეგი ქონდა, რომ ამავე სემინარიის მმართველობის განკარგულებით, თფილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში

ფიცხელი მიწერილობა გაიგზავნა, რომ, „რადგან „დროება“ არა პატრიოტული (!) და ტვინის გამრყვნელი გაზეთი არისო, ამის გამო არც მასწავლებლებმა და განსაკუთრებით არც შაგირდებმა არ გაბედონ ამ გაზეთის კითხვაო.“ ამ უკანასკნელ გარემოებას უფრო დაწვრილებით შეიტყობს მკითხველი მაშინ, როდესაც სასამართლომდინ მიაღწევს საქმე, რადგან ჩვენ განზრახვა გვაქვს, ცილის წამებისათვის ვუჩივლოთ სემინარიის მმართველობას.

ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი წესები ისევ ძველებურის ძალითა და სიმხნევით მოქმედებენ ამ სემინარიაში; ისევ ძველებურათ ჰყრიან შაგირდებს მხოლოთ იმისთვის, რომ რომლისამე წიგნის წაკითხვაზე და განსაკუთრებით ქართული წიგნისა ან გაზეთის წაკითხვაზე წაესწრება შაგირდს მასწავლებელი ან ინსპექტორი; ისევ ძველებურათ გახშირებულია ჯაშუშობა, ბეზღაობა; ისევ ძველებურათ სდევნიან ცოტაც არის ცოცხალ, მკვირცხლ შაგირდებსა და სხვ.

ჩვენ გვაქვს ხელში ერთი ისეთი საბუთი, რომელიც ყველაზე უკეთ გვიმტკიცებს ამ სიტყვების სინამდვილეს; და ყველაფერს, რასაც ჩვენ აქ ვამბობთ, ოფიციალურის საბუთებით დავამტკიცებთ. აი რაშია საქმე:

გასული მაისის 10-ს ერთი მესამე კლასის შაგირდი, სახელათ ნიკო შავლიევი გამოაგდეს სემინარიიდამ, მმართველობას და განსაკუთრებით ინსპექტორს როგორღაც არ მოსწონდა თურმე ეს შაგირდი და მიზეზს უძებნიდენ, რომ თავიდამ მოეშორებიათ; მიზეზიც მონახეს: ერთხელ სწავლის დროს ყმაწვილს გარეთ გასვლა ეთხოვნა

მასწავლებლისთვის; ამას ნება არ მიეცა. შაგირდმა ვერ მოითმინა და გავარდა; მით უფრო გაბედა ეს, რომ სხვებიც ძალიან ხშირათ დაუკითხავათ გადიოდენ ხოლმე გარეთა, როცა რაიმე გაჭირვება ექნებოდათო.

აი მხოლოთ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ შავლიევი გამოაგდეს სემინარიიდამ.

მოწმობაში, რომელიც ამ ყმაწვილს მისცეს, სწერია, რომ ნიკო შავლიევი თავისნებით გამოდის სასწავლებიდანაო; მაგრამ ეს მართალი არ არის. ემუქრებოდენ თურმე: თუ თხოვნა არ შემოიტანე ახლავე, რომ შენის ნებით გსურს გამოსვლა, მაშინ ჩვენ გამოგაგდებთ და ისეთს მოწმობასაც მოგცემთო, რომ შემდეგ არსათ არ შეგეძლოს შესვლა არც სწავლისთვის, არც სამსახურში, არც მღვდლათო და სხვ.

სემინარიიდამ მიღებულ ოფიციალურს და ბეჭედ-დასმულ მოწმობაში ნაჩვენებია, რომ შაგირდს ნ. შავლიევს „ძალიანი კარგი“ ყოფა-ქცევა აქვსო. სწავლის თაობაზე ამავე მოწმობაში მოხსენებულია შემდეგი: ნ. შავლიევი სამღვთო წერილს სწავლობდა კარგათ, მეტყველებას—კარგათ, ისტორიას—კარგათ, ალგებრას—გვარიანათ, ლიტერატურას—კარგათ, მსოფლიო ისტორსას—კარგათ, გეომეტრიას—კარგათ, ლათინურსა და ფრანგულს ენებს—კარგათ.

ახლა წაიკითხეთ ეს წიგნი სემინარიის ინსპექტორის უფ. ი. კუსჩინსკისა, რომელიც იმან ამ გამოგდებულ შაგირდის ძმას ბერს მ. იოანნე შავლიევს მისწერა ამ ყმაწვილის გამოგდების თაობაზე. სიტყვა—სიტყვით ვთარგმნით ამ წიგნს:

„თფილისს, 30 ივნისს 1876 წ.

„ქალბატონ ეკატერინა ალექსეევნა!

„ჩქარენმა ძმამ ინებოს მეხოვნელმოგწეროთ მიზეზები ენუ გარემოებანი, რომლისა გამოცვლაზე გამორიცხულია სემინარიიდან.

„ნიკ. შავლიევი სუსტი ნიჭის ყმაწვილია და საკმაოთ ცარ არის გონებით გახსნილი; ამის გამო ვერ ასწრობდა იმდენათ სწავლაში წინ წასვლას, რომ მეოთხე კლასში გადასულიყო ან ამ მომავალი ქ-ი ივლისიდამ სახელმწიფოხარჯზე დარჩენილიყო.

„ეს ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმის, რომ გადუბლა სემინარიიდან.

„რაიცა შეეხება იმის ზოგიერთ ზნეობით შეცდომებს, ამისთვის იმან ჯერეოვანი დასჯა მიიღო და არ შეეძლება, რომ ეს ოჯახის ვასამართლების საგნათ შეიქნეს.

„ამის გამო გთხოვთ, ისე უყუროთ ამ ყმაწვილს როგორც ძმას, რომლისთვისაც თქვენის მხრით დახმარება საჭიროა.

„მე მგონია, რომ ნიკ. შავლიევს შეუძლია იქმნეს მშვენიერი ოჯახის ვაცი და სამაგალითო მღვდელი. მე მგონია, რომ მდვდლობის ხარისხის მიღება იმას მხოლოთ თქვენის შემწეობით შეუძლია ნუ გააგდებთ იმას.

„თქვენი და ყხ... კუსჩინსკი.“

წაიკითხეთ? ახლა შეადარეთ ეს წიგნი. იმ ზემომოყვანილ მოწმობას! როგორ მოგწონთ სემინარიის მმართველობისა და უფ. ინსპექტორის მოქმედება და ლოლიკა? გამოაგდეს როგორც არა საიმედო ყმაწვილი; მოწმობას აძლევენ, რომ ძალიან კირგის ყოფაქცევისა არი-

სო, ამასვე ამტკიცებს ბ. ინსპექტორიც. მოწმობა გვიჩვენებს, რომ ყველა საგნებში შაგირდი კარგად სწავლობდა, კუსჩინსკის წიგნი კი უხნის გამოგდებული ყმაწვილის ძმას, რომ თქვენს ძმას სწავლა არ შეეძლო, ნ. ენ არ აქვსო და ამიტომ გაგზავნეთო! მოწმობაში სწერია, რომ შაგირდი ნ. შავლიევი თავის თხრვნით და ნებით გამოდის სემინარიიდამაო და კუსჩინსკის წიგნი კი გვეუბნება, ჩვენ გამოვაგდეთო! ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ მიღებულს მოწმობაში სწერია, რომ შეგირდი ნ. შავლიევი ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი არისო, და კუსჩინსკი კი გვიმტკიცებს, ისე უნიჭოა, რომ, სემინარიის სწავლის მიღება არ შეუძლიაო და სხვ. და სხვ.

რასაც ჩვენ აქ ვამბობთ, ყველაფრის საბუთი ხელში გვაქვს; ხელში გვაქვს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწმობა, თფილისის სასულიერო სემინარიის და აგრეთვე საკუთარის ხელით დაწერილი წიგნი უფ. ინსპექტორის კუსჩინსკისა.

აი ამისთანა წესებია ჩვენს ერთათ-ერთს თფილისის სემინარიაში, რომლიდამაც უნდა გამოდიოდენ ჩვენს ხალხთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომნი სამღვდელო პირნი, საიდამაც გამოდიან სულიერნი მამანი, ხალხის კერილი მაგალითის მაჩვენებელნი და დამრიგენი!

როგორ შაგალითს უნდა წაბაძონ იმათ სკოლის სკამიდამვე? როგორი უფროსებისაგან უნდა ისწავლონ იმათ ზნეობა? როგორი გაჭლენა უნდა ჰქონდეს ამისთანა მასწავლებლებს ნორჩ შაგირდებზე?

შავი ზღვის ნაპირების დასახლება.

მას აქეთ, რაც ოსმალეთში გადასახლებულ ჩერქეზების მიწები, საზოგადოთ შავი-ზღვის ნაპირები, რუსეთის ხელშია, რამდენჯერმე სცადა ჩვენმა მართებლობამ და თუ რუსებსა და თუ სხვა ტომის ხალხს დაურიგა იქ მიწები, რომ დასახლებულიყვენ და შეემუშავებინათ.

მაგრამ ეს ცდა ყოველთვის უნაყოფო შეიქნა: ზოგიერთები, მართალია, მოდიოდენ და ესახლებოდენ, მაგრამ ერთ-ორ წელიწადს უკან რწმუნდებოდენ, რომ აქ ისინი ვერ მოთავსდებიან; იმათ არ იცოდენ არც აქაურის ნიადაგისა და საზოგადოთ ბუნების ხასიათი, არც მუშები ჰყავდათ, და უკანვე ბრუნდებოდენ.

გლეხებსა და მუშა ხალხს გარდა, ბევრი ადგილები „დამსახურებულ“ პირებს, სხვა და სხვა ღენერლებს მიეცათ შავი ზღვის ნაპირს. ამათ არც კი უნახავთ თავის მამულები: თუ მყიდველი იპოვეს, გაჰყიდეს, და ვინც ვერ გაჰყიდა, ისე დაუტოვებია გავერანებული მიწები.

თვით უფ. კატკოვი, რომელიც მუდამ ქადაგობს თავის გაზეთში, რომ კავკასიაში მაგრათ უნდა ჩავდგათ რუსებმა ფეხი, ღრმა ფესვები უნდა გავიდგათო და რომელიც ასე ხშირათ სჩივის, რომ რუსეთის ხაზინას კავკასიაზე ბევრი ეხარჯება და სარგებლობა კი იქიდამ ჩვენ არა გვაქვს რაო, თვით ეს უფ. კატკოვი, ვამბობთ, ჰყიდის ახლა, როგორც ამბობენ, თავის მამულს, რომელიც ამ ხუთა-ექვსი წლის წინათ მისცა მას მთავრობამ ბიჭვინტის მახლობლათ.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის, რომ ეს უცხო

ქვეყნებიდამ მოსული ხალხი ვერ სძლებს, ვერ იმაგრებს ფეხს შავი-ზღვის ნაპირა ადგილებზე?

უმთავრესი მიზეზი თვით ბუნება გახლავთ: ბარის კაცი მთაში ვერ გაძლებს, ქვიშიან უდაბნოს მცხოვრები ზღვის ჰავას ვერ შეეთვისება.

მთელი ის ადგილები, რომლიდამაც ჩერქეზები გადასხლებულ იყვნენ და რომელთაც დასახლება უნდა ახლა ჩვენს მმართებლობას, ზღვის ნაპირა, ნოტიო და მთიანი ადგილებია. ერთს დროს აქ, სანამ ხალხი სცხოვრებდა, ცოტა არის მიწები შემუშავებული იყო; ახლა კი მთელი ეს მხარე თითქმის სრულიათ გავერანებულია.

ხალხი აქ აღარ სცხოვრებს და მუშები მაშასადამე საღლა იქნებიან! რუსეთიდამ მოსული მუშა აქ, როგორც ზევით ვსთქვით, ვერ გაძლებს.

ისევ ჩვენის ქვეყნის ხალხი შეიძლებს ამ ადგილებში გაძლებას, მოთავსებასა და მუშაობას.

და ამის გამო, ჩვენი აზრი ეს არის, რომ ამ შავი ზღვის ნაპირა ალაგებზე ისევ კავკასიის ხალხები უნდა დასახლდენ და სხვა ტომისა და სხვა ქვეყნის ხალხის აქ მოთავსებას თვით ბუნება ეწინააღმდეგება...

ჩვენს მეშაურთ.

ერთი რუსის მწერალი ამბობს: „თუმცა ბატონყმობა მოისპო ჩვენში, თუმცა გლეხის სული მებატონესაგან დამოუკიდებელი შეიქნაო, მაგრამ ეს გლეხი არც ახლა არის თავისუფალი და დამოუკიდებელიო: ეკონო-

მიური გაჭირვება, ყოველ გვარი მძიმე გადასახადი, თითქმის მონათ და გარემოების, ყურ-მოჭრილ ყმად ჰხდის იმასაო.“

ამ სიტყვებს, ჩვენში, ნაკლები ძალა არა აქვს:

მართლაც, ბატონისაგან გათავისუფლებული ჩვენებური გლეხი ისევ სრულს დამოკიდებულებაშია იმისაგან. უბატონოთ „თავისუფალი“ გლეხი ფეხს ვერ გადასდგამს, სულის მობრუნებაც არ შეუძლია.

ავხსნათ ორიოდე სიტყვით:

ჩვენს გლეხს უმიწა-წყლოთ, უტყეოთ ცხოვრება არ შეუძლია იმიტომ, რომ ის მეურნეობის მიმდევარია, იმიტომ რომ იმის არსებობა ახლაც ისე, როგორც ათასის წლის წინათ, მხოლოთ მიწის მუშაობაზე არის დამოკიდებული.

და, მითხარით, ბევრს ნახავთ საქართველოში ისეთს გლეხს, რომელსაც იმდენი საკუთარი მიწა ჰქონდეს, რომ მებატონეებისაგან იჯარით, ღალით აღება არ ეჭირვებოდეს? ასში ერთს თუ შეხვდებით, ისიც ბევრია: დანარჩენ უმრავლესობამ კი ძალა-უნებურათ უნდა მიმართოს, უნდა სთხოვოს ან თავის ადრინდელ ნაბატონევს, ან სხვა რომელსამე მემამულეს, რომ მიწა მიაქირავოს, ტყეში შეუშვას და სხვ.

და რამდენს აძლევენ ამისთვის ღალას? შემოსავლის მეოთხედს თუ დასჯერდა მემამულე, გლეხს ბედნიერათ მიაჩნია თავი. მომეტებულს ნაწილსა კი სამესამედოთ და ზოგჯერ სანახევროთაც აქვთ მიწები აღებული. ან მეტი რა ჭარა აქვთ, რომ არ აიღონ?

ეს კიდევ არაფერი: ზოგი მებატონეები თხოულობენ, რომ „ნადელის“ ფული გლეხებმა, ჭირ-ნახულით

კი არა, ფულით აძლიერებენ. საადა აქვსთ ვინ მისცა გლეხს ფული? ვინ მისცა განსაკუთრებით იმისთანა გლეხს, რომელიც სადმე მიყრუებულს, მივარდნილს სოფელში ცხოვრობს და რომელსაც ქალაქი და იმის ვაჭრობა, იქნება, თავის დღეშიაც არ ენახოს?

გაჭირვებული გლეხი, რომელსაც მხოლოთ ერთი წყარო აქვს ცხოვრებისა—ბიწა, ყველაფერზე დათანხმდება, რომ მიწა იშოვოს და შეამუშავოს; დათანხმდება იმ იმედით, რომ „ღმერთი მოწყალეა, როგორც იქნება გადავიხდი ბატონის ლალასაო“. მაგრამ დრო რომ მოაწევს, შემოდგომა რომ დადგება და ჰხედავს, ერთის მხრივ ბატონი მოადგა, მეორეს მხრით ხაზინა, მესამეს—მოვალე ვაჭარი და მეოთხეს—მღვდელი,—სრულებით იბნება, და არ იცის, რა ქნას.

ყველა ეს მდგომარეობა მიიღონ მხედველობაში ჩვენმა მებატონეებმა; მიიღონ და დაფიქრდენ იმაზედაც, რომ გლეხის შევიწროება არც იმათ დააყრის სიკეთეს, რომ გლეხის სიღარიბეს თვით იმათ კეთილ-დღეობაზედაც ექნება უეჭველი გავლენა.

მაშასადამე თვით მებატონეების, შემამულეების კერძო სარგებლობაც იმას მოითხოვს, რომ უფრო ანგარიშიანათ, უფრო კაცობრიულათ მოექცენ გლეხებს, რომელნიც იმათთან ასე დაკავშირებულნი არიან და რომელთანაც ერთათ ცხოვრობა უნდა შეაღგენდენ ერთ-გულს ხალხსა.

მაგრამ თუ რადესმე გლეხებსა და მებატონეებს შუა რაიმე უკმაყოფილება აღმოჩნდება, მაშინ გავლენიან პირს, კეთილ-გონიერ ადამინს ყოველთვის შეუძლია ისეთი ზედმოქმედება იქონიოს იმათზე, ისეთნაირათ ელა-

პარაკოს, ისე ვდაარიგოს, რომ დროზედ მოსპოს ეს ოკმა-ოფილება. კანონის გარკვევით ახსნას, ტკბილ სიტყვა-სა და გონიერათ ლაპარაკს ყოველთვის სასურველი გა-ვლენა ექნება ხალხზე.

ᲝᲠᲗᲐᲕᲔᲡ

ანგელოზები არ ცხოვრებენ ჯერ ამ ჩვენ ცოდვილ დედა-მიწაზედ, რომ ყველაფერი წყნარათ, შეუშფოთებ-ელათ და თანხმობით მიდიოდეს; ყოველ კაცს, რომელიც კი მოქმედებს, რომელსაც გულში რაიმე გრძნობა აქვს და თავში — აზრი, ყოველ კაცს, რომელიც, ერთის სიტყვით, ცოცხალია და ცხოვრებს, უეჭველია, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ბევრი ისეთი პირები, რომელნიც ამ კაცის არც საქმეს თანაუგრძნოგენ, არც გრძნობასა და არც აზრებს.

გაზეთს ამისთანა მოწინააღმდეგენი, ამისთანა პირე-ბი, რომელნიც იმის აზრებს არ ეთანხმებიან, რასაკვირვე-ლია, კიდევ უფრო მომეტებული უნდა ჰყავდეს, იმიტომ რომ კერძო კაცმა შეიძლებათავისი აზრი და მოქმედება არ გამოაშკარავოს საზოგადოთ, და ამის გამო იმასაც მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებიან, და გაზეთის ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი კი აშკარაა, საქვეყნოთ გამო-ცხადებულია. გაზეთი, რომელსაც მოწინააღმდეგე ბევრ ჰყავს, რომელიც არავის არ სძულს, რომლის აზრებსა და მიმართულებას ყველა ეთანხმება, ის გაზეთი ან მკვდარ საზოგადოებაში უნდა იცხოვრიდეს, და ან თვითონ უნ-და იყოს მკვდარი.

რა კაცია ისეთი, რომელიც ყველას მოსწონს? რომლისაც ყველგან კმაყოფილია?

რა გაზეთია ის გაზეთი, რომელსაც შოწინააღმდეგე არა ჰყავს? რა გაზეთია ის გაზეთი, რომლის აზრები და მიმართულება ყველას მოსწონს, დიდსა და პატარას, გლეხსა და ბატონს, ერის კაცსა და ბერს?

მადლობა ღმერთს, ამ მხრით ჩვენს გაზეთს უკმაყოფილების გამოცხადება არ შეუძლია, რადგან მეგობრები, თანამოაზრენი და თანამგრძნობნი თუ ჰყავს, მომეტებული თუ არა, ერთი იმდენი მაინც მტერიც ჰყავს და უკმაყოფილონი.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს უკმაყოფილება და საბედურავი ჩვენს გაზეთზე აშკარათ არ ცხადდება: ჩურჩულით, საიდუმლოთ, თავის გულში ბუბუნებენ, რომ გაზეთის ეს და ეს აზრი, მოქმედება ან მიმართულება არ მოგვწონსო. ათს წელიწადზე მეტია, რაც „დროება“ გამოდის და ამ დროს განმავლობაში მხოლოთ ერთი „მნათობი“ იყო, რომელიც აშკარათ და ერთობ ფიცხლათ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას „დროებაზე“. მაგრამ ეს უკმაყოფილება ისეთი წვრილმალი, ისეთი პირადი, ისეთი უშნო და ხანდახან ისეთი საძაგელი იყო, რომ გონივრული უკმაყოფილებისა, კრიტიკისა და საქმის ცოდნის ნატამალიც არა ჩნდა; ეს უფრო გაბრაზებულ დედა-კაცის გულის შთყვანასა და ჯავრს ჰგავდა, რომელიც თავის მეზობელს ლანძღავს და თათხავს მხოლოთ იმისთვის, რომ რატომ იმას აცვია ახალი კაბა და მე კი არაო!

როცა უფ. მაჭახელაძემ კრძალვით განაცხადა ურვილი „დროებაზე“ მოლაპარაკებისა, ჩვენ დიდის სია-

მოვნებით იმ წამსვე დავეთანხმეთ, იმიტომ რომ ვიცოდით, იმას არავითარი პირადი ანგარიშები არა აქვს არც „დროებასთან“ და არც ამ გაზეთის „სულის ჩამდგმელებთან“; იმიტომ კიდევ დავეთანხმეთ, რომ ვფიქრობდით; ეს ახალგაზდა მწერალია, ცოცხალი, ცხოვრებისაგან ჯერ გაურყვნელი ტვინი და აზრები აქვს, შეიძლება ისეთი რამე გვითხრას, რომელიც გაზეთისათვის გამოსადეგი იქნება, შეიძლება ისეთი რამ ნაკლულევანება შენიშნოს გაზეთის მიმართულებას, რომლის გასწორება სარგებლობას მოგვიტანს ჩვენ-გაზეთის მოღვაწეებსაცა და თვით ჩვენს მკითხველებსაც. ვფიქრობდით: დეე, გამოთქვას, რაც სურს და როგორც სურს; თუ კარგად, გონიერი რაიმე სთქვა, ხო კარგი, ხო გამოგვადგება, და თუ არა, ჩვენ ამით მაინცა რა დაგვაკლდება რა, რადგან უმასართლო შეწამებას, შეუსაბამო დარიგებასა და განკიცხვას ჩვენ აინუმშიაც არ ჩავიგდებთ, რადგან ამის პასუხის გაცემა და გაქარწყლება ადვილია მეოქი,

ჩვენ მივიღეთ დაპირებული სტატია („დროებაში დროებასვე“ *). მივიღეთ, წავიკითხეთ, მაგრამ, საუბედუროთ, რასაც მოველოდით, ვერ ვიპოვეთ. ნაცვლად გაზეთზე მოლაპარაკებისა, ნაცვლად იმ ბევრი ნაკლულევანებისა ჩვენებისა, რომელსაც ასე მხნეთ დაგვპირდა უ. მაჭახელაძე, ნაცვლად სხვა და სხვა შემცდარი აზრების მხილებისა და ჩვენი მიმართულების გასწორებისა,—ნაცვლად ყველა ამისა ჩვენ წავიკითხეთ დიდი, გრძელი, უშველებელი სტატია, უფ. ნიკოლაძეზე და იმის დიქტატორულ პუბლიცისტობაზე ანუ პუბლიცისტიკურ დიქტატორობაზე.

---

*) იხ. „დროება“ № 96 ამავ 1876 წ.

საზოგადოთ „დროებაზე“ და იმის მიმართულებაზე მხოლოთ ორიოდე სიტყვაა, ორიოდე ცარიელი სიტყვა, რომელიც არც ფაქტებით და არც მაგალითებით არ არის დამტკიცებული, რომელშიაც ახალი, ორიგინალური არა არის რა, რომელიც ასე ხშირათ გვესმოდა ჩვენ უფ. ან. ფურცელაძის მოგვარე კაცებისგან და საზოგადოთ ისეთ პირებისაგან, რომელთათვისაც „დროებას“ ცხვირში ძმარი უდენია და ფრთები შეუკვეცია.

ეს უფ. მაჭახელაძის ცარიელი სიტყვა მდგომარეობს იმაში, რომ „დროების“ მოღვაწენი მტერს არ ერიდებიან, მასთან ბრძოლისთვის მუდამ მზათ არიან... ყველაფერს შესწირვენ საქართველოს, ოღონდ მან კი ითხოვოს. მაგრამ ვაი რომ ამაებს მარტო „დროების“ ჰწკრები (სტრიქონები) მეუბნებიან... მის მწერლების მოქმედებას რომ დავაკვირდი, ცოტა უფრო ახლოს რომ შეხედე, მაშინ კი წინააღმდეგი ვსცანი... რაც შეეხება მათის საყვარელ მამულის სიკეთეს, ამისთვის იგინი მაშინ ცდილობენ და შრომობენ, როცა გუნებაზე არიან, როცა ქეიფი ამის ნებას აძლევს. ამის შედეგი უნაყოფიერებაა საზოგადო საქმეში...

„სწორეთ ეს არის „დროების“ ვითარება: წაღმართი სიტყვა და უკუღმართი მოქმედება, სჯობს ვსთქვა: გზა-დაბნეული მოქმედება“

ყველაზედ პირველათ ეს ამიხსენით: „დროებაზე“ გაზეთზე ლაპარაკობთ, თუ იმ პირებზე, რომელნიც „დროებაში“ სწერენ? თუ გაზეთზე ლაპარაკობთ, მაშინ ხომ მოქმედებაზე სჯა უალაგოა; გაზეთს მიმართულებას, აზრს, ფსჯელობას მოსთხოვენ და მხოლოთ ათასში ერთხელ საქმესა, მოქმედებას. მაშ რა აზრი აქვს თქვენ სიტყ-

ვებს, რომ „დროებას“ აქვს „წარმართული სიტყვა და უკულმართო მოქმედებაო“.

თუ პირებზე ლაპარაკობთ, რატომ უფრო აშკარად უფრო დალაგებით არ ამბობთ? ან განა „დროების“ მოქმედება და აზრი მარტო უფ. ნიკოლაძის აზრსა და მოქმედებაში გამოიხატება? განა შესაძლებელია, რომ გაზეთი ერთს კაცში, ისიც გარეშე კაცში და არა რედაქციის წევრში, გაახორციელოს ადამიანმა?!

„დროების“ მოღვაწეობის „უნაყოფიერობაზედ“ ამბობთ. პირებზე, თუნდაც ეს პირები „დროების“ მოღვაწენი იყვნენ, აქ ლაპარაკს არა ვამოვაგდებთ. რაიცა შეეხება თვითონ გაზეთს, იმედია, ამ „უნაყოფიერობაზე“ ლაპარაკს არ იკადრებთ: თუ თქვენ გახსოვდეთ, რა იყო ამ ათის წლის წინათ ჩვენი საზოგადოება, თუ ერთის მხრით ამ საზოგადოების ცხოვრებისათვის და მეორე მხრით „დროებისათვის“ გიდევნებიათ თვალ-ყური, მაშინ უეჭველია, დაგვეთანხმებით, რომ „დროების“ ამ ათის წლის სიცოცხლესა და სიტყვას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სხვა არა იყოს რა, ამ დამპალ ცხოვრებას, ამ მიძინებულ საზოგადოებას ხანდახან მაინც ჩაჰყვირებდა ხოლმე ყურში ისეთს რამეებს, რომელიც აფხიზლებდა, მოსვენებას არ აძლევდა, ტვინს ულვიძებდა. მას სხვა არა იყოს რა, ქართულ სიტყვას, ქართულ მსჯელობას მაინც აგონებდა. ცუდათ თუ ავათ, ყველა ამისთანა მოვლენაზე ლაპარაკობდა, რომელზედაც თვითონ საზოგადოებაც სჯიდა და ლაპარაკობდა.

უნაყოფიერებაო! აზრის გავრცელება ხორბალი ხომ არ გგონიათ, უფ. მაჭახელაძე, რომ დასთესოთ და მერე გამოიცხვეწი პური სჭამოთ! თვალ-ყურისდევნა, მახვი-

ლი, დამკვირებელი გონება არის საჭირო, ვისაც სურს შეიტყოს, თუ რომელიმე მქადაგებელ გაზეთმა ან პირმა რა ზნეობითი სწავლა გაავრცელა, ან რა ნაყოფი მოიტანა საზოგადოებაში.

ეს ორიოდე სიტყვა მე საკმაოთ მიმაჩნია იმ ორიოდე სიტყვისვე პასუხათ, რომელიც უფ. მაჭახელაძემ მოიყვანა საზოგადოთ „დროების“ წინაამდეგ. დანარჩენი სტატია მთლათ უფ. ნ. ნიკოლაძეს შეეხება, რომლის პასუხი მკითხველს წინანდელს ორს ნომერში ექნება წაკითხული.

მინდოდა მეთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა უფ. მაჭახელაძის სტატიის იმ ალაგზე, საცა ის ჩვენს ახალგაზდობას ურჩევს, რომ

„არც ერთის და არც მეორის პარტიაში არ უნდა შევიდეს კაცი; მხოლოდ როდესაც რომელიმე პარტია ერთს რასმე ქვეყნის სასარგებლო საგანს მოჰკიდებს ხელს, კაცმა მაშინ უნდა გაუწიოს უღელი.“

მინდოდა ეთქვა, თუ რამდენათ, უაზრო და— მომიტევეთ მაგარი სიტყვა—საძაგელია ამისთანა თეორიის გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში; თუ რამდენი თავ-მოყვარეობა, ეგოიზმი და სიმხთალე იხატება ამ სწავლაში, მაგრამ, რადგან უფ. ნიკოლაძემ დამასწრო და იმის ნათქვამზე მე მაინცა და მაინც დასამატებელი ბევრი არა მაქვს რა, არას ვამბობ, არას ვამბობ, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ სხვა უფრო საინტერესო და მძიმე რამეებზედ მაქვს კიდევ ბევრი რამ სათქმელი.

ჩემი შემდეგი სიტყვა უფ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. ეს იმ აზრების შესახებ იქნება, რომელნიც ამან უფ. მაჭახელაძის პასუხში გამოსთქვა. საგანი ერთობ საინტერესოა

და, იმედი მაქვს, მკითხველი არ დაგვემდურება, თუ ამაზე ჩვეულებრივზე უფრო მომეტებულს ვილაპარაკებთ.

თავის პასუხში უფ. ნიკოლაძემ ორი ისეთი აზრი წარმოსთქვა, რომელსაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით და რომლის გავრცელება ამ ჟამათ ჩვენს საზოგადოებაში მავნებელათ და უადგილოთ მიგვაჩნია.

და აი, დღეს ამ ორ საგანზე გვინდა უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

პირველი ამ მავნებელ აზრთაგანი ის არის, რომ სადაც კი უნდა შრომობდეს და ცხოვრებდეს ქართველი კაცი, სულ ერთი არისო.

„სადაც უნდა იცხოვროს ან იმოქმედოს მამულის მოყვარე პირმა, ჩემის აზრით, ყოველგან სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისთვის, თუ კი, სურვილს გარდა, იმისთვის ბუნებას ნიჭი, ცოდნა და ძალა მიუნიჭებია. რითიმე, როგორმე ყოველგან მოუტანს ის ხეირს თავის ქვეყანას, აქ იყოს, გინდ სტამბოლს, გინდ მადრიდს...“

რამდენჯერმე გამოუთქვამს „დროებას“ თავის აზრი ამ საგნის შესახებ, და ეს აზრი, როგოც თვითონ უფ. ნიკოლაძე ამბობს, იმის აზრს არ ეთანხმება.

„დროების“ აზრი ეს არის:

ყოველი კაცი, რომელსაც კი გონივრულათ ესმის თავის მოვალეობა სამშობლო ქვეყნისადმი, ვალდებულია, ამ სამშობლო ქვეყანაში იშრომოს, ამას მოუტანოს ის სარგებლობა, რაც კი შეუძლიან, იმ ნიჭითა და იმ ძალით, რაც იმისთვის ბუნებას მიუცია; ვალდებულია იმიტომ, რომ ამ ქვეყანამ შეჰქმნა ის, ამ ხალხმა გახადა ეს კაცად, ამან მისცა იმას მოქმედებისა და ცხოვრების ძალა, და თუ რამე შეუძლია, თუ როგორმე მოახერხებს, თავის ვალი უნდა დაუბრუნოს.

დიახ, ი ქვეყანა, იტალია ყოველი თავის განცალკავებული წევრის კრედიტორია და ის, ვინც თავის კალს არ უხთის იმას, ვინც თავის გრნებას, თავის ნიჭს და თვით ცხოვრებასა იმის სასარგებლოდ არ ხმაროპს, ამისთანა წევრი უუპირველესს კაცობრიულ მოვალეობას ვერ ასრულებს.

ახლა მეორე მხარე ამავე საგუთისა;

სად უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შემიძლია, ვთქვათ, მე, ქართველ კაცს: აქ, საქართველოში, სადაც დავბადებულვარ, სადაც აღვზრდილვარ, საქართველოში, რომლის ხალხის ხასიათი, ბუნება, ჩვეულება, ცოტათ არის თუ ბევრათ, გამიცვნია, მინახავს,—ვკითხულობ, აქ ამ ჩემ ქვეყანაში უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შემიძლია, თუ მადრიდში, თუ ჩინეთში, რომლის ხალხსა და ბუნებას მე მხოლოთ წიგნებით ვიცნობ, რომელშიაც მაშასადამე მე სრულიათ ვენ მოვთავსებები, რომლის ხასიათსა და ბუნებას ჩემი ხასიათი და ბუნება, ჩემი აზრები, ჩემი მოქმედება სრულებით ვერ შეეთვისებიან?

— სტამბოლშიაც, მადრიდშიაც შეიძლება იცხოვროს მამულის შვილმა და იქაც მოუტანოს თავის ქვეყანას სარგებლობაო, „თუ ბუნებას იმისთვის სურვილი, ნიჭი და ძალა მიუნიჭებიაო!“

ვინ ამბობს, რატომ არა! მაგრამ საქმე საზოგადო აზრია და არა განკერძოებული შემთხვევა; საქმე საზოგადო კანონია და ერა ერთ-ორი მოვლინება! და ეს საზოგადო კაცობრიული კანონი კი უეჭველათ იმას თხოულობს, რომ კაცი თავის ქვეყანაში მოქმედობდეს, რად-

გან აქ იმის მოქმედებას უფრო მეტი ნაყოფის მოტანა შეუძლია.

თქვენ თითონვე ამბობთ ამას, უფ. ნიკოლაძეო.

„მართალია, ჩვენის ქვეყნისათვის ის უფრო ემჯობინება, რომ მისი ჩინებულათ ნასწავლი და დახელოვნებული შვილები აქვე შრომობდენ, დანარჩენ მის შვილებს პირდა-პირ ეხმარებოდენ, მაგრამ ესეც ცარ იყოს, მე ოც-და-ათს შინაურს უმეცარს ერთი გასული ნასწავლი მირჩევნია.„

„სხვა რომ არ იყოს რა, ჩვენებური კაცი, რუსეთში პროფესორათ გამხდარი, ერთს ჩვენებურს სტუდენტს ხელს მაინც გაუწყობს, ერთ ჩვენს ყმაწვილს მაინც დაიფარავს და შემწეობას მისცემს თავის გავლენით.“

პირველი ნახევარი უფ. ნიკოლაძის წინადბდებისა სრულებით ეთანხმება ჩვენს აზრს; მართლაც, ჩვენ გონება-გახსნილ, მოქმედ და საზოგადო სარგებლობის გამგე პირებზე ვამბობთ და არა ისეთებზე, რომელნიც ესაქმურათ დაეხეტებიან ქალაქებში, გინდ სოფლებში და ცოდვილ დედა-მიწას ამძიმებენ და ცუდათ პურს სჭამენ. ამისთანა პირები სადაც უნდა ცხოვრებდენ, სულ ერთია, ყველგან მავნებელნი არიან, და რაც უფრო ცოტა იქნებიან ჩვენში, რასაკვირველია, მით უფრო გასახარელი და სასიამოვნოა.

მაგრამ მაგალითი რომ მოგყავთ, ყოველი მაგალითი ერთგვარ პირებს თხოულობს: პროფესორი რუსეთში დააყენეთ, უმეცარი, ბაიყუში ჩვენში, და ერთმანეთს ადარებთ? ამას შედარება არ ჰქვიან. შედარება ის იქნება, როცა თქვენ მეტყვით, — თუ იგივე პროფესორი ან რომელიმე სხვა „ნასწავლი და დახელოვნებული“ კაცი ჯერ რუსეთში ან სხვაგან სადმე აცხოვროთ და მე-

რე ეი ჩვენში, იმის სამშობლო ქვეყანაში, როგორ გგონიათ, სად უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს ეს კაცი?

„სხვა ეზრა იყოს, რომ, იქ ერთს სტუდენტს მაინც ხელს გაუწყობსო!“ საქმეც ასაა, რომ „იქ“ შეიძლება მხოლოდ ის სარგებლობა მოიტანოს, რომ ერთს ჩვენებურ მოსწავლეს გაუწყოს ხელი და ჩვენში კი ამავე სწავლულს, მთელი ქვეყნის სასარგებლო საქმის წაყვანა თუ არა, ათი და ასი ახალგაზდის სწორი, წინ-წამწევი გზის ჩვენება მაინც შეუძლია.

უფ. მაჭახელაძის საბუთი ამ შემთხვევაში, ურიგო საბუთი როდია: იქ, სხვა ქვეყნებში ჩვენ ჩვენის სწავლითა და ხერხებით ვერას გავაკეთებთ, რადგან ჩვენისთანა და უფრო მომეტებული სწავლულიცა და დახელოვნებულიც ათასობით არიან და ჩვენში კი თითო-ოროლობით ითვლება.

ეს პირველი.

მეორე შემცდარი აზრი უფ. ნიკოლაძისა მდგომარეობს იმაში, რომ სულ ერთია, რა ენაზედაც უნდა სწეროს ქართველმა, ყოველ ენაზედ შეუძლია იმას თავის ქვეყნის სარგებლობის მოტანაო. ამის დასამტკიცებელად იმას შემდეგი მსჯელობა მოჰყავს:

„ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთთან არის შეერთებული...“

„ნუ თუ სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ რუსეთმა არ იცოდეს ჩვენი მდგომარეობა? ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ღირსეული აზრი ჩვენზე შეიდგინოს არა თუ მარტო რუსეთმა, არამედ მთელმა ევროპამაც? მაშასადამე ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ქართველები სწერდენ რუსულ და ევროპიულ ენებზე, აგებინებდენ რუსეთს და ევროპას ჩვენს ხასიათს, ჩვენს მდგომარეობას, მიმართულებას, სურვილს, ლხინსა და დარდს?“

„... ეს უკანასკელი შრომა (ე. ი. უცხო ენებზედ წერა) ყვე-

ლასთვის, ვისაც კი შეტანდნათ ესმის პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებები, თითქმის იმდენათვე აუცილებელი და საჭიროა, როგორც პირველი" (ე. ი. ქართულს ენაზე წერა).

ცხადია, რომ, თუ „დროებას" ლოლიკა აქვს, აქაც იმავე საზოგადო მსჯელობით უნდა ხელ-მძღვანელობდეს, რ ოგორც ზევით მოყვანილს შემთხვევაში.

ქართველი ყველაზე პირველად ქართულად წერის მოვალეა, ისე, როგორც ფრანგი ფრანგულათ წერისა, რუსი რუსულად, ინგლისელი ინგლისურად და სხვ.

ეს მოვალეობა წარმომდინარეობს იქიდამ, რომ ვისაც უნდა თავის ქვეყანას რაიმე ჩაგონოს, თავის ხალხს რამე ასწავლოს, თავის მოძმეებს რომელიმე კეთილი და სასარგებლო აზრი აცნობოს და გონება გაუხსნას, უეჭველია, იმ ენაზე უნდა აუხსნას, ელაპარაკოს, უქადაგოს, რა ენაც იმისთვის უფრო გასაგებია, უფრო მისახვდენი.

მაგრამ „დროება", მეორეს მხრით, არასოდეს არ ყოფილა, იმ ვიწრო ზზრის მიმდევარი და თაყვანის მცემელი, რომ ჩვენი ქვეყანა „ჩინეთის კედლით" შემოვზღუდოთ, ნურავის ნუ ვაცნობებთ ჩვენის ქვეყნის, ხალხის ხასიათს, ჩვეულებას, საჭიროებასა და სხვ. ჩვენ ყველაზე პირველათ დაუმადლებთ და ტაშს დაუკრავთ იმ პირს, ქართველი იქნება ეს პირი, თუ გერმანელი, თუ ჰოტენტოტელი, რომელიც ამ ჩვენს ქვეყანასა და იმის ხალხის ლხინსა და დარდს, საჭიროებას მთელს დედამიწაზედ მოფენს

მაგრამ „დროება" ამასთანავე ერთს რასმე ჰფიქრობს და ჰგონია, რომ ეს იმის ფიქრი ყველასთვის ყურადღების ღირსია:

„დროება" ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ ჟამათ

„დროება“ ჰფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყანა განსხვავებული გარემოებებშია, რომ ეს მდგომარეობა მოითხოვს, და მოითხოვს აუცილებელად, რომ ყველა მისი შვილები, განსაკუთრებით ყველა ვონება-გხსნილი და ნასწავლი შვილები მეცადინოებდენ, ძალე გადააბიჯონ ამ მდგომარეობას. აი, რაშია საქმე:

გაიხედ-გამოიხედეთ თქვენს გარშემო, უფ. ნიკოლაძე: როგორ მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა? რა გვარი თანამედროე საზოგადოება გარს გვახვევია ჩვენ? განსაკუთრებით გთხოვთ, დააკვირდეთ ახლანდელ ახალგაზდობას.

რა შედეგი გამოგყავთ თქვენ ამ დაკვირვებისაგან? როგორ გეჩვენათ ეს ქვეყანა? როგორ მოგწონთ ეს თაობა? როგორი მიმართულება აქვს ჩვენს ახალგაზდობას— ჩვენი ქვეყნის მომავალ იმედსა და დედა-ბოძს?

განა ყველგან არ ჰხედავთ, რომ ქართველთ ქვეყანას ჩვენისავე წყალობით ქართულ ქვეყნის ხასიათი ეკარგება? განა ყოველ ნაბიჯზე არ შეგინიშნავთ ხოლმე, რომ ქართველი კაცი ქართველი კაცი აღარ არის? განა ვერ ამჩნევთ, რომ ჩვენი ახალი თაობანი თან-და-თან ჰკარგვენ თავის ნაციონალურ ხასიათსა, თავის განსხვავებულ ფერსა და შეხედულობას? ნუ თუ ვერ ატყობთ რომ ჩვენის უმეცრებით და დაუდევნელობით რალაც უცხო, შერეული ტომი ვხდებით, რომ ჩვენი ვანსაკუთრებული თვისებანი თან-და-თან გვიძვრება ხელიდამ და მათ ნაცვლად სხვას, გარეშეს, ჩვენთვის უცხო თვისებებსა, ხასიათს, ჩვეულებას და ყველაფერს ვითვისებთ?

თუ ყველა ამას ხედავთ, მაშინ თქვენ უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ამისთანა დროშე, ბამულის ნამდვილ შვი-

ლებს, გონიერ მოწინავეთ საზოგადოებისა ცოტათი უფრო მძიმე მოვალეობა აწევთ, ვიდრე მაშინ, როცა ხალხის ცხოვრება რიგიანის, ჯეროვანის მსვლელობითა და გზით მიდის.

„დროება“ ჰფიქრობს, რომ ამისთანა დროს განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყოველი ქართველი ქართველობის დარაჯათ იდგეს, რომ იცავდეს ყოველ, მცირეც არის, ქართველობის თვისებასა და განსხვავებას, თუ ესენი საზოგადოების მავნებელნი არ არიან; ის ფიქრობს, რომ ეხლა საჭიროა, ქართველმა ქართველზედვე იზედმოქმედოს, გავლენა იქონიოს, გამოალვიძოს, თვალები გამოაჭყეტინოს, დაანახვოს მრუდი გზა, რომელსაც ის უფსკრულში, გაქარწყლებისაკენ მიჰყავს და ეცადოს უფრო სწორს გზაზე დაყენება, უფრო მოსახდენ საშუალებათა მოძებნა და დახმარება ამ გზისათვის; ის ჰფიქრობს, რომ ამისთანა დროში ცოტათი უფრო გარდამეტებული მამულის სიყვარულიც უალაგო არ არის...

კარგათ იცით, რომ ყველა ჩვენი ნასწავლი ყმაწვილები უცხო ენაზე უკეთ სწერენ, უკეთ გამოსთქვამენ თავიანთ აზრს, ვიდრე სამშობლო ენაზედ, რადგან ბავშობიდანვე სწავლა და განათლება უცხო ენებზე მიუღიათ.

თქვენ რომ ის აზრი დაამტკიცოთ, რომ ყველა ენაზე შეიძლება თავის ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს მამულის შვილმაო, ეს აზრი რომ დამკვიდრდეს, ჭეშმარიტებად შეიქნეს ჩვენში, იცით, რა მოსდევს ამას? ის, რომ ყველა ვისაც კი ცოტაოდნათ რუსულს ან, ვსთქვათ, ფრანგულს ენაზე წერა შეუძლია, მოჰყვება და დაიწყებს ამ ენაზედ ჯღაბნას! მოჰყვება იმიტომ, რომ უფ-

რო სწავლულათ, უფრო მცოდნე კაცათ გამოიჩინოს თავი; ამასობაში სამშობლო ქვეყნის გაცნობა, რასაკვირველია, მივიწყებული და განზე გადაგდებული შეიქნება.

ყოველი კაცი ცოტათ თუ ბევრათ თავმომწონეა; ყველა მწერალს სურს, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული მსმენელი და მკითხველი ჰყავდეს; რომ იმაზე, იმის აზრებზე და მსჯელობაზე, თუ შეიძლება, მთელი ქვეყანა ლაპარაკობდეს. ვიწრო წრე, პატარა საზოგადოება იმას არ აკმაყოფილებს, ფართო ასპარეზი უყვარს.

ეს არის, ჩემის აზრით, უმთავრესი მიზეზი, რომ ზოგიერთი ჩვენი ვაჟბატონები უცხო ენებზე იწყებენ წერას.

— იქ მთელს რუსეთს ესმის ჩემი სიტყვა, იქ მთელი საფრანგეთის ჟურნალისტიკა დაიწყებს ლაპარაკს ჩემს აზრებზე, ქვეყანას ავაყაყანებ. აქ რაა! ძალიან საჭიროა, თუ ერთ-ორ ჩირთუქესან, ტიბუცა ქართველმა ან იმერელმა წაიკითხა ჩემი სტატია ან ჩემს აზრებზე თუ გამოსთქვა თავის ხეპრული მსჯელობა!

ერთი მიჩვენეთ, უფ. ნიკოლაძე, ის ქართველი, რომელსაც უცხო ენაზე ეწეროს და ამით მაინცა-და-მაიაც შესაძენეველი სარგებლობა მოეტანოს ჩვენის ქვეყნისათვის! მიჩვენეთ, და ამასთანავე ისიც დამიმტკიცეთ, რომ ეს კაცი უფრო ნაკლებ სარგებლობას მოუტანდა თავის ქვეყანას, თუ რომ მარტო სამშობლო ენაზედ წერა. არა მგონია, რომ ამისთანა ქართველი მიჩვენოთ და ეს დამიმტკიცოთ. თქვენ, უფ. ნიკოლაძე, ხომ ნიჭიერი მწერალი ხართ და ამასთანავე ხომ სხვებზე უკეთაც გესმით ის სარგებლობა, რომელიც, თქვენის აზრით, ქართველს შეუძლია რუსულს და ევროპიულს ენებზე წე-

რით; მაგრამ ნუ გეწყინებათ, და ჩვენი აზრი ეს არის, რომ თქვენს რუსულსა და ფრანგულ ნაწერებში თქვენი ქართული ნაწერის მეოთხედსაც არ გავსცვლი, იმიტომ, რომ ქართული წერით თქვენ ათი იმდენი სარგებლობა მოუტანეთ ჩვენს ქვეყანას, რამდენიც უცხო ენებზე წერით, თუმცა უცხო ენებზე, მგონი, უფრო მომეტებულიც გიწერიათ, ვიდრე სამშობლოზე.

თქვენი მაგალითი თუ ამას გვიმტკიცებს, თქვენს უცხო ენებზე ნაწერებს თუ თითქმის ასე უნაყოფოთ ჩაუვლია ჩვენის ქვეყნისთვის, თქვენის, რომელსაც შესამჩნევი ნიჭი გაქვთ მწერლობისა, მაშ რაღა უნდა ვსთქვათ სხვებზე, რომელთაც არც თქვენისთანა ნიჭი აქვთ, არც თქვენსავით არიან გონება-გახსნილი და არც თქვენსავით მოყვარენი სამშობლო ქვეყნისა?!

უიმისოთაც გაჭიანურდა ეს სტატია, თორემ მე შემეძლო ორიოდ მაგალითის მოყვანა თქვენი სტატიებიდამ, რომელიც დაამტკიცებდა, რომ თქვენს უცხო ენაზე ნაწერს, იქნება, სარგებლობა არა მოეტანოს რა.

ერთს ალაგას თავის სტატიაში უფ. ნიკოლაძეს შემდეგი სიტყვები აქვს მოყვანილი:

„მე დიდი იმედი არა მაქვს ჩვენი მამულის მომავალისა; მაგრამ ის-კი მტკიცეთ მრწამს, რომ ჩვენი მდგომარეობა ჩვენმა ახალგაზდობის მტკიცე, შეერთებულმა შრომამ უნდა გააუმჯობესოსო“.

თუნდაც რომ მართალი და ნამდვილი იყოს უფ. ნიკოლაძის სიტყვა, რომ იმას ჩვენი ქვეყნის იმედი არა აქვს, ეს მწარე სიტყვა მაინც არ უნდა ეთქვა. არ უნდა ეთქვა განსაკუთრებით უფ. ნიკოლაძეს, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში სამართლიანი ნდობა და სახელი და-

უმსახურებია. არ უნდა ეთქვა განსაკუთრებით იმიტომ, რომ გულს მოუკლავს კაცს ამგვარი იმედ-გადაწყვეტილი და სასოწარკვეთილი აზრის გაგონება.

რა ენერგია, რა ცხოვრების ხალისი უნდა ექნეს ახალგაზდობას იმ საზოგადოებისთვის, რომელზედაც ამას ეუბნებიან? ან, ღმერთო ჩემო, რამ ჩაუნერგა გულში ახალგაზდა ნიკოლაძეს ამისთანა სასოწარკვეთილი, უიმედო აზრები თავის სამშობლო ქვეყანაზე? რომელმა გაუსწორებელ გარემოებამ აფიქრებინა, რომ ჩვენ მომავალის იმედი უნდა დავიწმინდოთ, გულ-ხელ-დაკრეფილი უნდა ვუცადოთ ჩვენს უნუგეშო მომავალს?

მირთალია, ბევრი უნუგეშო მოვლენაა ჩვენს აწინდელ ცხოვრებაში, ბევრი ისეთი ნიშანია, რომელსაც ხეირიანი ბოლო არ ექნება; მაგრამ ეს საძაგელი და უნუგეშო შოვლენანი უფრო უნდა გვამხნევებდენ ჩვენ იმათ წინააღდეგ ბრძოლისათვის, უფრო მაგარ სულს უნდა გვდგამდენ, უფრო მომეტებულ ენერგიას უნდა გვაძლევდენ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის ყოველ მხრივი ბედნიერებისა და წარმატებისა დამაბრკოლობელი მოვლენანი თავიდამ ავიშოროთ და იმ ბედის ვარსკვლავს მივსდიოთ, რომელიც ყოველ სამშობლოს მოყვარე შვილს შორიდამ უნდა უნათებდეს ცხოვრებისა და მოქმედების გზას...

ამით ვათავებთ, ჯერ-ჯეროობით, ამ სასიამოვნო პოლემიკას. ვამბობთ „სასიამოვნო“ს ამიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ჯერ ისე პოლემიკა და ბაასი არ ნახულა, რომ მობაასეთ ერთმანეთის ლანძღვა, და პირადობაზე უშვერი სიტყვები არ წამოესროლოთ. აქ კი წმინდა აზრებზე, პრინციპებზე იყო სჯა და თუ გაგრძელდა, შემდეგშიაც, იმედი გვაქს, ამ გზას არ გადავსცილდებით.

მეგობრებმა, ერთს გაზეთში თანამშრომელებმა მეგობრულათ დავიწყეთ სჯა ისეთ საგნებზე, რომელთა ყოველ მხრივ გაცნობა ჩვენი საზოგადოებისთვის უალაგოთა და უსარგელოთ არ მიგვაჩნდა. ეს სჯა, ეს ბაასი, თუნდაც რომ ხანდისხან ცხარე კილოთი ყოფილიყოს, მაინც იქამდინ არ მიალწევს, რომ ჩვენ—მობაასენი ერთმანეთს დავშორდეთ, რომ ჩვენ შემდეგშიაც იმ საშუალებითვე და იმ ღონის ძიებით არ ვიზრუნოთ ჩვენი საზოგადო სამშობლოსათვის, როგორც ადრე ვზრუნავდით. ზოგ აზრებში უთანხმოება, ზოგიერთს მსჯელობაში განსხვავება ჩვენს საზოგადო სამსახურს და მოვალეობას არ დაგვავიწყებს და არც პირადათ ერთმანეთზე გულს აგვიცრუებს.

მაშ ჩვენი მტრები ნუ გაიხარებენ, ნუ აუფანცქალდებათ სიამუვნებით გული და ნუ იფიქრებენ: „არიქა, ღძერთი შეგვეწია, „დროების“ თანამშრომელნი ურთმანეთს დაერიენ და ჩხუბობენ, გვეშველაო!

ზოგიერთს აზრებში უთანხმოება არც ჩხუბია და არც ერთმანეთის დარევა. ეს მხოლოთ პოლემიკაა და, ვიმეორებთ, ამგვარი პოლემიკა ჩვენ თუ არ დაგვაახლოვებს ერთმანეთთან, თუ უფრო არ გვამსახურებინებს ერთისა და იმავე მიზნისთვის, თორემ ჩვენი დაშორება ამას არ შეუძლია.

ჩვენი საზოგადო სენი.

ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა იმ კაცის მდგომარეობას ემსგავსება, რომელიც დამწყვდეულია ბნელს

ოთახში და ხან ერთს კედელს ეცემა, ხან მეორეს, ეძ-ებს გარეთ, სინათლეში გასასვლელს კარებსა და ვერ უპოვნია.

ახლანდელი ჩვენი ცხოვრება ბნელი, გზა-გაუკვლე-ველი და უსინათლო ცხოვრებაა. ჩვენც, იმ კაცსავით, ხან ერთ მხარესაკენ მივარდებით და სინათლის, ბედნიერები-სა და საზოგადო კეთილ-დღეობის კარებს ვეძებთ, ხან მეორე მხრისაკენ, ხან მესამესკენ, და ამრიგათ მთელი ჩვენი აწინდელი ცხოვრება ამ კარის ძებნაში მიდის.

ერთი ამბობს: ჩვენი ბედნიერება სკოლაზედ არის დამოკიდებული: გაამრავლეთ სკოლები და ნახავთ, რომ ჩვენ კეთილ-დღეობას მოვესწრებითო.

მეორე ამგვარადვე ამტკიცებს, რომ ჯერ ეკონო-მიური ცხოვრება უნდა გავაუმჯობესოთ და მერე, მხო-ლოთ მერე, როცა ხალხი იძულებული არ იქნება ლუკ-მა-პურისთვის იზრუნოს, შეიძლება სკოლებზე და სხვა რამეებზე ფიქრიო. ამის გამო ყველაზე პირველათ ჩვენში სასოფლო ბანკები და პურის მაღაზიები უნდა გაიხ-სნასო.

მესამე წრფელის გულით გეუბნებათ, რომ ყველა ჩვენი უბედურება მკითხავებისა და სოფლის ექიმებისაგან წარმოსდგებაო; ისინი რომ არ იყვნენ, იმათ რომ თა-ვიანთი ხელობა აღეკრძალოთ, რაღა უშავს მაშინ ჩვენს ხალხს? სანეტარო მდგომარეობაში იქნებაო.

მეოთხე იძახის: ჩვენი დამღუპველი ადვოკატები არი-ან! ისინი რომ არ გაჩენილიყვნენ, არა გვიშავდა რაო!

ისეთი ქართველიც გვინახავს ჩვენ, რომელიც პრძნუ-ლის სახით ამტკიცებდა, რომ საქართველოს ყოველ-მხრი-ვი წარმატებისათვის მხოლოთ ერთი საშუალებაა საკ-

მაოლ! ამნაირათ ყველა თავისკენ ეწევა, მიათრევს ამ ჩვენ საწყალ, გზა-დაბნეულ საზოგადოებას: ერთი ბანკისაკენ, მეორე სკოლისაკენ, მესამე პურის მაღაზიაში მიათრევს, მეოთხე კუპრისაკენ და სხვ.

მაგრამ ეს კი არაფერია: საქმე ისაა, რომ თითოეულ ამათგანს თავის საშუალება ყოველის მხსნელ და ყრვლათ-მკურნალ საშუალებათ მიაჩნია საზოგადოებისათვის; მიაჩნია, და ამასთანავე დარწმუნებულია, რომ თუ იმის ნაჩვენებ გზაზე, იმის საშუალებით არ იხალმძღვანელა საზოგადოებამ, დაღუპულია.

არც ეს გარემოებაა უბედურება. უბედურება მხოლოთ ის არის, რომ ამისთანა, თავის საშუალების მხოლოობაში და ყოვლის შემძლებლობაში დარწმუნებული პირი, როგორც-კი დაინახავს, რომ ეს იმის საშუალება, აზრი ანუ წამალი არ მიიღო საზოგადოებამ, იმ წამსვე ხელებს ჩამოუშვებს, კისერს იდრეკს და არავითარ სხვა საშუალებასა და საზოგადო საქმეს ხელს აღარ ჰკიდებს. „არა ღირსო, ამბობს სასოწარკვეთილებით: ამ გზით საზოგადოება კეთილ-დღეობამდინ თავის დღეში ვერ მიეღწევსო!“

უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაგვიგია, რომ ხალხის ცხოვრება ერთი რამ მაშინა არ არის, რომ მხოლოთ ერთის ბურღის მოშლით ან გაკეთებით მოიშალოს ანუ გაკეთდეს.

ეს ვერ გაგვიგია, რომ ხალხის ცხოვრებაზედ ათას გარემოებას, ათას მოვლენას, გარეგანსა და შინაგანს, აქვს თითქმის ერთგვარივე ზეგავლენა და ძალა.

ვერ გაგვიგია, რომ სკოლა, სასოფლო ბანკი, ცრუმორწმუნებათა მოსპობა, კარგი გუთანი, და სხვ. და სხვ.

ყველა ერთათ საჭიროა, ყველა ერთათ ეხმარება ხალხის წინ წაწევას, იმის კეთილ-დღეობის მოახლოვებას და სხვ.

წრეს გადასული, მეტის-მეტი თავმოყვარეობა არის ამ საქმეში ჩვენი ხელის შემშლელი და დამაზიანებელი: თითეულს ერთობ მოგვაქვს თავი, შეუცდომელათ და შეუცოდებელათ მიგვაჩნია ყველა ჩვენი საქმე და აზრი.

ამას გარდა, ამავე უსამზღვრო და უაზრო თავმოყვარეობის მიზეზით, ჩვენ ზოგიერთნი, პატარა საქმეს არ ვკიდებთ ხელს; თითქოს გვეთაკილება. უფრო უდიდესი რამესთვის, უფრო ვრცელი ასპარეზისათვის დაბადებულათ მიგვაჩნია ჩვენი თავი; და რადგან ამ დიდ საქმეს ვერ ვპოულობთ, ანუ, უფრო ხშირათ, თუმცა ვპოულობთ, ვხედავთ, მაგრამ იმის გაკეთება ვერ მოგვიხერხებია, პატარასაც თავს ვანებებთ და ამნაირათ ხელები გულზე დაგვიკრეფია, ვზივართ დაღონებული, იმედწართმეული და ვიძახით:

„ჩვენს ხალხში არაფრის გაკეთება ვერ შეიძლება! საზოგადოება გაფუჭებულია, დაცემულია, იმის წინ-წაწევა აღარ მოხერხდება!“

ნიჭი, მოხერხება და ძალა არა გვაქვს, და სურვილს, ცარიელი სურვილი—კი. ღონე არა გვაქვს, რომ დიდი რამ გავაკეთოთ, მთელ, საზოგადოებას რომ დააჩნდეს, მთელმა ხალხმა რომ იგრძნოს, იმისთანა,—და გული, ნდომა, კიდევ ცარიელი გული და ცარიელი ნდომა-კი გვაქვს.

ამ მხრით ჩვენ ბევ მებატონეს ვგევართ, რომელსაც მდიდრული ცხოვრება უყვარს, ქვეყანაში თავის გამოჩენა, მაგრამ იმდენი შემოსავალი კი არა აქვს თავის მამუ-

ლიდამ, რომ ეს თავის ნდომა შეასრულოს, ამისთანა მე-მამულეს ადრე თუ გვიან, უჭველია, გაკოტრება მოელის.

ამგვარი სენია ჩვენი საზოგადო სენიც. და ამ მებატონეს მსგავსათ ჩვენც ზნეობითი და მატერიალური გაკოტრება მოგველის, თუ ჩვენი მამულის შვილები უფრო მხნეთ არ გაანძრევენ ხელს, თავიანთ წვრიმალ, უადგილო თავ-მოყვარეობის დავიწყებას ვერ მოახერხებენ და ყველა, თავის ღონისა და საშუალების დაგვარათ, საზოგადო საქმებს არ მოჰკიდებს ხელს.

სიტყვა და საქმე.

ძნელათ თუ სადმე სხვა ქვეყანაში და საზოგადოებაში ნახავს კაცი ისეთს განსხვავებასა და თითქმის წინააღმდეგობას სიტყვასა და საქმეს შუა, როგორც ჩვენში.

ყველა, ვისაც-კი ცოტაოდენი რამ განათლება მიუღია ჩვენში, ყველა, ვისაც რამე უსწავლია, წიგნში ამოუკითხავს, ან გაუგონია, ყველა ტკბილათ ლაპარაკობს, გულ-შემტკივნელათ გეჩვენებათ საზოგადო საქმეებისათვის, ხალხის, მდაბიო ხალხის ბედზე შემოგტირისთ, სამშობლოს სიყვარულს გიცხადებს და გაცხარებული მომხრეა ქვეყნის ყოველ მხრივ წინ-წაწევისა, წარმატებისა.

უცხო კაცმა რომ ამათს ლაპარაკს ყური დაუგდოს, აღტაცებაში მოვა და იტყვის: „ნეტავი საქართველოს, რა კარგი შვილები ჰყოლიაო!“

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამას მხოლოთ

უცხო კაცი იტყვის და არა ის, რომელიც ამ ტკბილ მოლაპარაკეთა და მოღალადეთ კარგათ იცნობს და რომელიც აქ, ჩვენში, ამათ სიტყვასაც ისმენს და საქმესაც ხედავს.

აი, ვსთქვათ, ეს ერთი ყველასაგან პატივცემული, ყველასაგან ჭკუიანათ ნაცნობი პირი. თუთხმეტი წელიწადია, რაც უმაღლესი სწავლა დაუსრულებია; მას აქეთ ყველგან და მუდამ იმას ამბობს და ყვირის, რომ ჩვენი ხ ლხი თან-და-თან ეცემაო, მხნეობა აკლდება, თითქო ცხოვრება მოსწყენიაო. გამოღვიძება ეჭირვება იმას, გამხნევება, ენერგიული მოთავე პირები წინ უნდა გაუძღვეთო!

და რას აკეთებს ეს კაცი? მამული აქვს, ჩინებული, კარგი შემოსავლიანი მამული; ყოველ წლობით აიღებს— უკაცრავათ: თვითონ არც-კი აიღებს, მოურავისაგან მიიღებს—ორ-სამ-ათასს მანეთს გლეხების „ნადელებისა" და სხვა შემოსავლის ფულს, დაბრძანებულა ქალაქში და უდარდელათ ცხოვრებს.

აი, მეორე, აგრეთვე განათლებული თავადიშვილი, რომელიც საქვეყნოთ ქადაგობს უზენაესს პრინციპებზე: ძმობაზე, ერთობაზე, პატრიოტობაზე. მაგრამ საქმით-კი ამ ჩინებულ კაცს, არა თუ ამ პრინციპების სისრულეში მოსაყვანათ, განსახორციელებელათ თავის დღეში ხელი არ გაუნძრევია, ბოროტი ენები ამბობენ, რომ თავის გლეხებს უკანასკნელ ტყავს აძრობსო და თუ სადმე ვინმე ჩაიგდო ხელში, მტყუანსა და მართალს არ დასდევს, ოღონდ თავის ჯიბეს რაიმე შეჰმატოსრ.

ესეც მესამე,—ეს ადვოკატია, უმაღლესი სწავლა ამასაც დაუსრულებია. სასამართლოებში ამის ლაპარაკს

რომ ყური დაუგდოთ, იტყვით: „აი პატიოსანი, ნამდვილი კაცური კაცი ეს უნდა იყოსო!“ გაცხარებით, გრძნობით ლაპარაკობს პატიოსნებაზე, სამართლიანობაზე და ჭეშმარიტებაზე! მაგრამ იგივე ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ამ კაცმა ერთ გლეხს უკანასკნელი სამოსახლო ადგილი გაუყიდა თავის ვალში. ამტკიცებენ კიდევ, რომ სარგებლით ასესხებს ფულსაო, თუმცა ბევრს სარგებელს კი არ იღებს: თუმანზე მხოლოთ ოთხ მანეთს წელიწადშიო!

აი მეთხე—ნასწავლი ჩინოვნიკი. ამბობს, ჩინოვნიკობა სრულიათ ჩემი საქმე და დანიშნულება არ არის; ლუკმა-პურისთვის ვმსახურებ, მაგრამ ღვთით, აქაც ჩინოვნიკობაშიაც, ჩემი შრომა უნაყოფოთ არ მიდის: საცა უსამართლოთ დაჩაგრული კაცი ანუ საწყალი, ღატაკი გლეხი შემხვდება, ხელს ვუწყობ, რითაც შემიძლია, და ბევრი ამგვარები გამომიხსნია უბედურ მდგომარეობიდამ. ამას ამბობს, მაგრამ საქმით კი... იმის ხელ-ქვევითი გლეხები ამბობენ, ნეტავი ამას მოგვაშორებდენ აქედამ და მადლიერი დავრჩებითო...

მეტი ჩამოთვლა საჭირო არ არის; ისეც ყველა ხედავს, რომ ამ დროინდელი ჩვენი ნასწავლი თაობის მომეტებული ნაწილი სიტყვით ერთია და საქმით სხვა.

ევროპის ერთი ქვეყნის ჩვენს ქვეყანასთან შედარებას რომ გავბედავდე, ვიტყოდი, რომ ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა ჰგავს იმ დგომარეობას, რომელშიაც ამ ასი წლის წინათ იყო ის ქვეყანა. როგორც მაშინ იქ ბლომათ იყვნენ ისეთი „სიტყვისა“ და „კალმის“ კაცები, რომელნიც სიტყვით ქადაგებდენ ჩინებულ აზრებსა და პრინციპებს, და საქმით კი თავის გარშემო მყოფ დავა-

რდნილ, გარყვნილ საზოგადოებისაგან არაფერში არ განსხვავდებოდენ; როგორც მაშინ იქ უწარჩილებულესს მწერლებს „დიდი მზღვარი“ ედვათ სიტყვასა და საქმეს შუა; როგორც მაშინ იქ საუცხოო პრინციპები და საძაგელი საქმეები ერთად, ერთ დროს, ერთ კაცში თავსდებოდენ, ისე ახლაც ჩვენში სიტყვასა და საქმეს შუა „დიდი მზღვარი“ გვიზის და ამათს ერთმანეთის შეათანხმებას, ხელიხელში გაყრილ მსვლელობას კი ვერა ვხედავთ.

განსხვავება ჩვენსა და იმათში ეს არის მხოლოთ, რომ იმისთანა კაცების სიტყვა ისეთი ძლიერი, ძვალ-რბილში გამჯდომი და საზოგადოების ტვინის გადამბრუნებელი სიტყვა იყო მაშინ, რომ შემდეგში ნაყოფი, საქმე, დიდებული მოვლინება მოიტანა. ამისთანა „სიტყვის კაცებს“ ბევრი შეცოდება მიეტევებათ...

ჩვენში კი ამისთანი მთქმელები, ამისთანა „სიტყვის კაცები“ სად არიან? იქაური მწერლების წვრილმანი შეცოდებანი და ზნეობრივი სიკოჭლე შთამომავლობამ დაივიწყა იმიტომ, რომ იმათ თავის კალმით ისეთი ძეგლი ააგეს, რომ ეს შეცოდებანი იმასთან არაფრათ არა სჩანს.

ჩვენ ხომ ამათთან ფეხს ვერ გავწვდით, და კიდეც რომ გავწვადოთ, რა გამოვა? გამოვა ის, რომ, ჩვენი შთამომავლობის გადასაცემათ, შეგვრჩება ხელში მხოლოთ ცალიერი გაცვეთილი, პატარა ლამაზი სიტყვები და ფრაზები და საძაგელი, ულირსი, უპატიოსნო საქმეები და დიდი შეცოდებანი...

ომის მოლოდინი.

თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არა არის, მაგრამ კაცს ვერ ნახავთ ამ ჟამად ჩვენში, რომ ამ მოკლე დროში ომიანობის დაწყებას არ მოელოდეს; და როგორც ამისთანა დროს შეეფერება, ყველა რაღაც არაუჩვეულებრივს ფაცა-ფუცში და მღელვარებაშია.

თუმცა ჯერ თვით დიპლომატებმაც არა იციან რა, რადგან ყველაფერი იმ კონფერენციაზე არის დამოკიდებული, რომელიც სტამბოლს უნდა შეიკრიბოს და რომლის გადაწყვეტილების მიღებით რუსეთმა და ოსმალეთმა, ძალიან ადვილათ შეიძლება, ომიანობა თავიდამ აიცილონ; მაგრამ ჩვენი ხალხი მზადებას ხედავს და ამის გამო დარწმუნებულია, რომ ომიანობა უეჭველათ იქნებაო, და თავის თადარიგს იჭერს და ემზადება.

როცა მტერს მოელი, რასაკვირველია, რიგია, იმის ლირსეულათ დასახვედრათ და თავის არსებობის დასაცველათ მზათ იყო. მაგრამ, ვამბობთ, ჯერ გადაწყვეტილი არ არის: იქნება ომი, თუ არა? ზოგიერთები იმასაც ამტკიცებენ, რომ ეს მზადება სულ იმისთვის არისო, რომ მოწინააღმდეგეთ ერთმანეთი დააშინონ—რაო და ხო ხედავ, რომ ბრძოლისათვის მზათ ვარო, და ამ გვარის ხერხის შემწეობით სტამბოლის კონფერენციაზე თავისი გაიტანონო.

რაც უნდა იყოს, ჩვენ გვამზადებენ ომისათვის. ყველამ ვიცით, თუ როგორი მზადებაა რუსეთში; შევიტყეთ აგრეთვე ის მკვიდრი სიტყვა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უთხრა მოსკოვის საზოგადოებას; წავიკითხეთ რუსეთის უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრის კან-

ცლერის თ. გარჩაკოვის ცილკულარი რუსეთისავე დიპ-ლომატურ აგენტებთან, რომელშიაც ის იწერება, რომ რუსეთს მშვიდობიანობა სურსო, მაგრამ ისეთი მშვიდობიანობა, რომ იმის სახელი, პატივი და მოთხოვნილება შეწყნარებული და დაცული იქმნასო.

ამას გარდა აქ, ჩვენს ქალაქში ამ ჟამად შეკრებილნი არიან კავკასიის უწარჩინებულესი ღენერლები და გუ-ბერნიის მარშლები და მოლაპარაკება აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა შემოიყვანონ მილიცია, როგორი წესები, რა გვარი იარაღი უნდა იყოს იმათში და რა შემწეობის ფიცემა შეუძლია ამ მილიციას ომიანობის დროს.

ეს უკანასკნელი საგანი ახლა ყველაზე უფრო სა-ყურადღებოა ჩვენთვის. საყურადღებოა იმიტომ, რომ აქა-ურმა სამხედრო რჩევამ გადაწყვიტა, რომ მილიცია უე-ჭველათ უნდა მოიკრიბოს და შეიარაღდესო; ზოგი ნა-წილი ამ მილიციისა ბრძოლის ველზე უნდა გავიდეს და ზოგი-კი ადგილობრივ უნდა დარჩეს ყარაულათაო.

მილიციას, უეჭველია, თოფებს დაურიგებენ და სამ-ხედრო ხელობის სწავლებას დაუწყებენ...

შემდეგ როგორ მოიქცევიან ისინი, რა კაცობასა და ვაჟ-კაცობას გამოიჩენენ,—ეს იმათ ქართველობაზე, იმათ გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული. ამ თავითვე ჩვენ მხოლოთ ერთის თქმა შეგვიძლია: რომ ქართველი ქართველობას, თავის სამშობლოს სიკეთესა და სარგებ-ლობას არ დაივიწყებს ამ საზოგადო შეტაკებისა და გა-ჭირვების დროს...

საზოგადოება და იმის მოთავენი.

რომელისამე ხალხისა ანუ საზოგადოების ყველა წევრნი რომ ერთნაირათ გონება-გახსნილნი და ერთის მიმართულებისანი იყვნენ, შეუძლებელია; შეუძლებელია, რომ ხალხში ყველას ერთნაირათ ესმოდეს თავის ქვეყნის სიკეთე, ერთნაირის გონების ძალით ხედავდეს იმ გზას, რომელიც იმის ქვეყნის წარმატებისათვის და თანამოძმეთ ბედნიერებისათვის, ყველაზე უფრო მოკლე და სწორი გზაა.

ყოველთვის და ყველგან, სხვა-და-სხვა ბედნიერ გარემოებათა წყალობით, ხალხში გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი პირები, რომელნიც თავის გონების გამჭრიახობითა და ტვინის ძალით, დანარჩენ თავის თანამემამულეებზე წინ დგანან, რომელნიც სხვებს წინ მიუძღვიან და საზოგადო კეთილ-დღეობის მისაღწევლათ სწორს გზას უჩვენებენ.

ამისთანა პირნი შეადგენენ ხალხის საუკეთესო ძალას; ისინი, იქნება, არც ხვნენ, არც სთესვენ, არც ვაჭრობენ და არც ჩინოვნიკობენ; მაგრამ, თუ კი მართლა საზოგადოების მოწინავე პირნი ყრიან, თუ ნამდვილათ გული შეტკივათ თავის ქვენის სიკეთისათვის, დარწმუნებული იყავეთ, რომ მათი გავლენა ხალხის ცხოვრებაზე ყოველფვის შესამჩნევი იქნება და მთელს იმათ ქვეყანას, ადრე თუ გვიან, დაეტყობა.

ბევრგვარი უნდა იყოს იმათი შრომა და ზედმოქმედება, გავლენა საზოგადოებაზე;—ეს იმაზედაა დამოკიდებული, თუ რა ხილხში, რა დროსა და როგორ გარემოებებში მოქმედებენ ეს მოთავენი. არის დრო, რო-

დესაც მოწინავე საზოგადოების მთელი ყურადღება თრთ-ქმის მარტო ხალხის ცხოვრების პოლიტიკურ მხარეზე უნ-და იქმნეს მიპყრობილი; არის დრო, როდესაც ეკონო-მიურ ცხოვრებაზე ზრუნვას უნდა მიეცეს უპირატესობა; აგრეთვე სხვა დროს პირველი ადგილი, შეიძლება, გონე-ბის განათლებისა, ანუ სამრეწველო ცხოვრების გაუმჯო-ბესობას, ანუ სამხედრო მხრის გაძლიერებასა და სხვ. უნ-და ეჭიროს. რასაკვირველია, ყველა ეს მხარეები ხალ-ხის ცხოვრებისა ერთობ მკვიდრათ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული; ერთობ გადახლართული არიან ერთი მეორეზე, ასე, რომ ერთის რომლისამე მხრის ყუ-რადღებაში მიღება და მეორესი სრულიათ დავიწყება შე-უძლებელია; მაგრამ ჩვენ კიდევ მაინც იმას ვამბობთ, რომ ხალხის მდგომარეობასა, დროსა და გარემოებებზეა დამოკიდებული, თუ რომელ ამ მხარეთაგანს უნდა მისცენ საზოგადოების მოწინავე პირთა უპირატესი ადგილი.

მაგალითები ცხადათ აგვიხსნის ამას:

წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე ხალხი მშვიდობიან-ათ ცხოვრობს და რიგზე განათლებულიც არის. მაგრამ საზოგადო ცხოვრება იმნაირათ დაარსებულა და განწყო-ბილა, რომ ერთი წოდება საზოგადოებისა მდიდრულათ, ბატონურათ ცხოვრობს, რურო-ვერცხლში ჩაფლობილა და მეორე კი, ამავე დროსა ოფლსა ღვრის, შრომობს და შიმშილით კი სული ძვრება.

ამისთანა დროსა და მდგომარეობაში მოწინავე პირების ვალია, რომ ხალხის ეკონომიურ საქმეებზე, ლუკმაპუ-რის უფრო სამართლიანათ, უფრო თანასწორათ გაწილა-ებაზე იზრუნონ.

ანუ შეორე მაგალითი: რომელსამე ხალხს, ვსთქვათ,

უეცრათ მტერი დაესხა თავს და ქვეყნის აკლებასა და აოხრებას უპირებს.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში მოწინავე საზოგადოებამ წვრიმალი ეკონომიური ინტერესები უნდა დაივიწყოს და მთელი თავისი ძალა და გავლენა იმაზე უნდა მოიხმაროს, რომ ხალხის ქვეყანა და თვით არსებობა სამხედრო ძალითვე მტრისაგან დაიცვას.

ასე, ყოველ დროს, ყოველ მდგომარეობას თავის საჭიროება აქვს და მის ჩვენება მოწინავე საზოგადოების ვალია; იმის ვალია ყოველი შემთხვევით, ყოველი გარემოებითა და ძალით ისარგებლოს, რომ თავის საზოგადოებას, რაც შეიძლება, მომეტებული სარგებლობა მოუტანოს და ხალხი, რაც შეიძლება, უკეთესის, უმოკლესის გზით მიიყვანოს კეთილ-დღეობამდის.

ხალხი ინსტიქტით, ყნოსვით იცნობს თავის მოკეთესა და მზრუნველს, და თუ ვერ იცნობს, თუ თავის მოძმეთ ვერ აღიარა,—ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოკეთე ფუჭი მოკეთე ყოფილა და საზოგადო საქმის წაყვანის არ-მცოდნე.

1876 წელიწადი.

როგორც ყოველ საუკუნესა და ნახევარ საუკუნეს, ისე ყოველ წელიწადსაც თავის განსაკუთრებული ხასიათი და მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში.

საუკუნოებისა და ნახევარ-საუკუნოების ხასიათსა და მნიშვნელობას იკვლევენ და გვაცნობებენ დიდი მწერლები, ისტორიკოსები; წლებისა და დღეების ხასიათის ჩვე-

ნება და განმარტება კი ჟურნალისტების საქმეა; ჟურნალ-გაზეთების საქმეა, უჩვენონ საზოგადოებას ყოველ-დღიური და ყოველ-წლიურ შესანიშნავ მოვლენათა ხასიათი და ინტერესები.

ამ წესს მტკიცეთ იცავს ახლანდელი ჟურნალისტიკა: ისე ჟურნალი და გაზეთი არ გამოვა წლის დასასრულს, რომ გასულ წლის შესანიშნავ მოვლენებზე და საზოგადო ხასიათზე რამე არ სთქვას, გასული წლის ანგარიში არ წარუდგინოს თავის მკითხველ საზოგადოებას. ჩვენც ამ ერთხელვე მიღებულს წესს ვემორჩილებით და ამის გამო დღესაც ორიოდე სიტყვას ვიტყვით იმაზე, თუ გასული წელიწადი რითი იყო კაცობრიობის ცხოვრებაში შესანიშნავი და საყურადღებო.

პირველი საგანი, რომელზედაც უეჭველათ უნდა მივაქციოთ ჩვენი და ყველასი ყურადღება, არის ის ნაცნობალური მოძრაობა, რომელიც შარშან და წელს ასე გაძლიერდა ოსმალოს ქვეშევრდომ პატარა სლავიანთა ხალხებში.

ორგვარი ცხოვრების ტალღა ატრიალებს დასავლეთის ევროპას მთელი ამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში.

იქ ზოგიერთი ძლიერი ხელმწიფენი და სახელმწიფოები ცდილობენ და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ, რაც იმათ მოსამზღვრე და, თუნდაც მოშორებით, სუსტი და უღონო წვრილი ხალხებია, ხელში ჩაიგდონ, დაიმორჩილონ, თავიანთ დიდი სახელწიფოებს შეუერთონ...

წინალმდეგ ამისა, პატარა ხალხები, მაგალითად ბერძნები და სლავიანები თავიანთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას მეცადინეობენ, ამ დამოუკიდებ-

ლობისათვის იბრძვიან, ქადაგობენ და სისხლსა დვრიან. ეს პატარა ხალხები ამბობენ, და ამაში ბევრი მეცნიერიც ეთანხმება იმათ, რომ მათ უფრო იადვილათ შეუძლიათ წარმატების გზაზე წინ წასვლა და ცხოვრების გაუმჯობესობა, რომ ყოველ ახალ ცვლილების მოხდენა პატარა ხალხში და საზოგადოებაში უფრო მოსახერხებელია, ვინემ დიდშიო; ისინი ფიქრობენ, რომ ყოველს დიდს სახელმწიფოში პიროვნების, სახელმწიფოს უფლება უფრო ძლიერია, უფრო შეუხებელი, უფრო ძნელათ დასაყენებელი სწორს თავისუფლების გზაზედ, ვინემ პატარა სახელმწიფოში, პატარა ხალხშიო.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, იმათ თვით-არსებობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება აქვთ და მათდა-უნებურათ, მით უმეტეს, ძალ დატანებით, როგორც ერთმა კაცმა მეორე არ უნდა დაიმონავოს, ისე ერთმა ხალხმაც შეორე, რაც უნდა ძლიერი და განათლებული იყოს ერთი და რაც უნდა სუსტი, უმეცარი იყოს მეორე, არ უნდა დასჩაგროს.

აი, ამგვარი აზრები ევროპ ერთობ გავრცელდა ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით ევროპის ხალხებში, და იმათ სისრულეში მოსაყვანათ რამდენიმე რევოლიუციამ, რამდენიმე მოძრაობა მოხდა და, უეჭველია, შემდეგაც ბევრი მოხდება, სანამ ხალხთა შორის უკეთესი, უგონიერესი წესები არ დაარსდება.

სლავიანების პატარა ხალხებიც ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი ლტოლვილებამ აღელვა. მთელი წლევანდელი წელიწადი ბულგარეთ ოსმალოს მმართებლობასთან ბრძოლაშიო ბევრი ბრძოლა, ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი ქალაქი და სოფელი აოხრდა და იქნება უარეს-

საც მოვესწროთ იმათ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის.

საქმე დღესაც არ გათავებულა. მომავალმა 1877 წელმა, ცუდათ აქნება თუ კარგათ, დროებით ან სამუდამოთ, უნდა გადაწყვიტოს ეს ესრეთ-წოდებული „აღმოსავლეთის კითხვა“, რომელზედაც ასე გადამბულ-დაკავშირებულნი არიან ოსმალო, იმის სლავიანები, ინგლისი, რუსეთი და ავსტრო-უნგრეთი...

დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებისათვის წლევანდელი წლის განმავლობაში კაცს ყურადღება არ მიუქცევია, ან თუ აქცევდენ, რამდენათაც ეს სახელმწიფოები „აღმოსავლეთის კითხვასთან“ იყვნენ გადამბულნი. მართალი რომ ვსთქვათ, დანარჩენ ევროპაში მაგდენი ყურადღების ღირსი მოვლენა არც კი რამ მომხდარა...

ჩვენში? ჩვენში რა მოხდა ამ წელს ყურადღების ღირსი და მატიანეში ჩასაწერი?

თითქმის სრულებით არაფერი.

ნელ-ნელა, აუშფოთებლათ, წყნარათ მიდის ჩვენი ცხოვრება. წინ ვიწევთ, უეჭველია, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა დინჯი, რა დუნე არის ეს წინ-წაწევა და წარმატება! თუ არ კარგი დამაკვირვებელი თვალი და გამჭრიახე გონება, ვერც შენიშნავს—მიმდინარეობს ეს ჩვენი საზოგადო ცხოვრება, თუ დამპალ ტბასავით ერთს ალაგას არის გაჩერებული.

ვინუგეშოთ თავი იმ იმედით, რომ მუდამ ესეთი არ იქნება ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენს საზოგადოებას გაეღვიძება გონება, გამოიფხიზლებს, სხვებს შეხედავს და მერე თავის თავზედაც დაიხედავს. მოვა დრო, როცა ჩვენც ვიგრძნობთ ჩვენს ახლანდელ არა-რაობას, მკვდარ

სიცოცხლეს. თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და მოვინდომებთ ამ მდგომარეობიდამ გამოსვლას...

ამის იმედი რომ არა გვქონდეს, ეს რომ არ გვანუგეშებდეს, ამ ქვეყანაზე ჩვენი სიცოცხლე ხომ სიცოცხლეს არ ემსგავსებოდა!..



1877 წ.

ჩვენი „შაურიანი“ ლიტერატურა.

ამ ორი-სამი წლის წინეთ, ერთს პატარა წრეში გამოთქმული იყო ის აზრი, რომ ჩვენს ლარიბსა და წიგნის კითხვის ჯერ კიდევ შეუჩვეველს ხალხში პირველი ადგილი ისეთს წიგნებსა ლა საზოგადოთ გამოცემათ უნდა ეჭიროსთ, რომელნიც იაფათ ფასობენო. „შაურიანი ლიტერატურა“ არის ახლა ჩვენი მხსნელიო, ამბობდენ ამ წრეში.

აზრი, თუ გნებავთ, კარგი და გონიერი იყო. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, როგორც ხშირათ მოხთება ხოლმე ჩვენში, ახლაც ისე მოხთა: აზრი გამოითქვა და საქმის აღსრულებას კი ის წრე არ შეუდგა.

მაგიერათ, სხვა პირები გამოჩნდნენ, რომელთაც ამ აზრით ისარგებლეს.

და ამ ომიანობამაც ხელი მოუწყო ამ საქმეს, ამ „შაურიანის ლიტერატურის“ გაძლიერებასა და აყვავებას.

ხედავენ, რომ ამისთანა იაფი პატარა წიგნებნ კარგათ იყიდება ხალხში; ხედავენ, რომ ეს საქმე, ცოტა არ იყოს, სასარგებლო საქმეა... ამათი ჯიბისათვის,—და ამოჩ-

ნდენ ისეთი პირნი, რომელთაც თავის დღეში არა უსწავლიათ, არა უკითხავთ, არა უწერიათ—რა ,გარდა მოკითხვის წიგნებისა, ისეთი პირნი, რომელთაც ჩვენი ხალხის გონების გახსნა ანუ გარყვნა შარშანდელ თოვლათ მიაჩნიათ.—და ამ პირებმა დაიწყეს ხსვა-და-სხვა „ომის სიმღერების“, „ბებუთოვის ლექსების“, „ჩოლოყაშვილის ლექსის,“ „ქვრივის ლექსის“ და სხვა ამგვარ ქმნილებათა წერა, გამოცემა და შაურათ გაყიდვა.

ყველა ეს ბროშურები, ეს ლექსები, ეს შაურიანი წიგნები რომ ერთათ მოვაგროვოთ, ყველაში ერთათ ერთი მისხალი ჭკუა, გრძნობა, პოეზია და აზრი არ მოიპოვება. ცალიერის უაზრო სიტყვების უაზრო და უხეირო რახა-რუხია.

მაგრამ ხალხი ჰყიდულობს.—ომი ახლა მოდაა! ყველას ჰგონია, ერთ რასმე შევიტყობ ამ წიგნებიდამ ომზედაო, ჩვენებურების მამაცობაზედა და თავ-ვანწირულებაზედაო! იაფიც არის! შაურის მიცემა არ ეძნელებათ, —და ჰყიდულობენ.

ეს გარემოება, სხვათა შორის, იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხი, უბრალო, მდაბიო ხალხი გონების-საზრდოს თხოულობს, რომ ამ ხალხს კითხვა სწყურია.

ნუ შეუდგებით იმის გამოძიებას—თუ ვინ ანუ რამ აღძრა ჩვენს ხალხში ეს გონების, საზრდოს საჭიროება.

ჩვენი განათლებულებისთვის, ხალხის გულ-შემატკივარ პირებისათვის, იმ პირებისათვის, რომელთაც ხალხის წინამძღოლთ და გზის მაჩვენებელთ ეძახიან, პირველ მოვალეობას შეადგენს ახლა ის, რომ ეს ჩინებული და სასიამოვნო მოთხოვნილება ხალხისა უფრო გონიერათ,

უფრო რიგიანათ დაკმაყოფილონ, ვინემ დღემდის ის ზემოხსენებული წიგნების გამომცემელნი აკმაყოფილებენ.

ეს იაფი ლიტერატურა ძლიერი იარაღია. საუბედუროთ, ეს იარაღი სხვა-და-სხვა ისეთის პირების ხელში ჩავარდნილა, რომელთაც წიგნის გამოცემა დუქნის გაღებაზე უფრო სასარგებლო საქმედ დაუნახავთ.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს ძლიერი იარაღი ამ-გვარ ხალხს გამოვაცალოთ ხელიდამ და უფრო სინიდისიანათ, უფრო გონიერათ მოვიხმაროთ...



1878 წ.

შარშან და წელს.

ცა მოღრუბლული იყო, ანუ როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, პოლიტიკური ჰორიზონტი მოღრუბლული იყო, როდესაც შარშან ახალი წელიწადი დადგა.

ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეკრებილი იყვნენ სტამბოლში, ირეოდენ, ფაცაფუცობდენ და, როგორც დიპლომატების წესია, თითოეული ყველა დანარჩენების ყინულზე გაცურებას აპირებდა.

— იქნება ომიო! იძახდა ერთი.

— არ იქნებაო! ამბობდა მეორე.

— ოსმალეთი დათანხმდება რუსეთის მოთხოვნილებაზედაო! ჰყვიროდა მესამე.

— მითჰხად — ფაშა ყველას მოატყვილებსო! მოისმოდა მეოთხესაგან.

12 აპრილამდის გასტანა ამ გამოუკვლეველმა მდგომარეობამ.

12 აპრილს რუსეთის ხელმწიფემ კიშინევში მოაწერა ხელი ომის გამოცხადებას. პოლიტიკა, დიპლომატია ჩაჩუმდა; ბურთი და მოედანი რუსეთისა და ოსმალეთის მხედრობას დარჩა.

მას აქვთ „პოლიტიკური ჰორიზონტი“ ერთსა და იმავე მდგომარეობაშია. ომია, ბრძოლაა; ერთის მხრით ოსმალეთი, მეორეს მხრით რუსეთი, რუმინია, ჩერნოგორია და სერბია.

მთელი ქვეყანა ამათ შეტაკებას, ამათ ბრძოლას შესჩერებია. „აღმოსავლეთის კითხვის“ გადაწყვეტას ამ ბრძოლისაგან მოელიან.

ბევრჯელ იცვალა მებრძოლთა ბედი ამ ცხრა თვის განმავლობაში. აქეთკენ, ჩვენსკენ ერთ დროს საქმე იქამდის მივიდა, რომ კინალამ ჩვენს სატახტო ქალაქს მუხთარ-ფაშა არ ესტუმრა.

მაგრამ ეს იყო მხოლოთ ერთს წამს... შემდეგ რუსეთის მხედრობა წინ იწევს სტამბოლისაკენ და ოსმალეთისა კი უკან. დღეს, 1 ივნვარს, რუსის ჯარი ერთის მხრით ადრიანოპოლამდის მივიდა თითქმის და მეორეს მხრით არზრუმს მიადგა.

და რა გასაკვირველია, რომ ძლიერმა რუსეთმა თავის მომხრეებით გაუწყნარებელ ომითა და არეულობით დასუსტებულ ოსმალოს მოერიოს. გასაკვირველი ის არის, რომ ამდენი ხანი გაუძლო ოსმალეთმა თავის მოწინააღმდეგეებს და რაც ძალა ჰქონდათ, ბრძოლის ველზე გამოაყვანინა.

წელს ეს ომი გათავდება. ასე აუჩქარებლათაც რომ გაიწიოს წინ რუსეთის ჯარმა, როგორც გასულ წელიწადში მიდიოდა, ამ წლის დამლევს მაინც სტამბოლის კარუბამდის მიაწევს და, თუ მანამ არა, მაშინ მაინც, უეჭველია, ოსმალეთი ძალა-უნებურათ დათანხმდება მორიგებაზედ, თუნდაც ეს მორიგება დამამცირებელი იყოს იმის ღირსებისა და შემამცირებელი იმის სამფლობელოსი.

ამ ომის წყალობით ევროპამ ჩვენს ქვეყანასაც მიაქცია ყურადღება. ჩვენი ქვეყანა სამის მხრით მოდებული იყო რუსისა და ოსმალეთის მხედრობით: ყარსისა, ოზურგეთისა და აფხაზეთისაკენ.

ამ გარემოებამ მოაქცევინა ევროპას ჩვენსკენ თავისი ყურადღება. აქ დატრიალებდენ ევროპიული გაზეთების კორესპონდენტები, რომელნიც მარტო ომის მსვლელობას კი არა, ჩვენს ხალხს, ბუნებას, ხასიათს, ჩვეულებას და საზოგადოთ მთელს ჩვენს არსებას აკვირდებოდენ და უეჭველია, რომ ამ თავის დაკვირვებასა და შთაბეჭდილებას შემდეგში საქვეყნოთ გამოაცხადებენ.

საუბედუროთ, არა გვგონია, რომ იმათ ნაწერებში ჩვენთვის სანუგეშო და სასიამოვნო რამე მოვნახოთ. ყველა ამას იტყვის:

„ბუნება მდიდარი, ჰაერი მთელი, ქვეყანა მშვენიერი,—მაგრამ ხალხი კი დაუდევარი, ცხვირს იქით არაფერის შემნიშნავი; თავად-აზნაურობა ზანტი, გლეხი ყოვლის მხრით დაჩაგრული, განათლებული ვაუნათლებელი, მხოლოთ თავის კუჭისათვის მზრუნავი და სხვ.“

ეს ამას იტყვიან ჩვენზე ისინი, ვინც შარშან გვნახა, ამას იტყვიან ჩვენზე ისინიც, ვინც წელს და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გვნახავს...

მაგრამ ჩვენ მაინც იმით ვინუგეშებთ თავს, რომ იმ გზაზე, რომელსაც ხალხის წარმატების გზას ეძახიან, წინ მივდივართ, მართალია, ჩვენი ნაბიჯი ერთობ აუჩქარებელია, კუბოს ნაბიჯის მსგავსია, მაგრამ მაინც წინ გადადგმაა ფეხისა, და ჩვენ შუა არა, ჩვენი შვილები, შვილის შვილები მაინც ერთს რასმე კეთილს მოესწრებიან...

ბოლოდ გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმ ჩვენთვის

ყურადღების ლირსს გარემოებაზე, რომელიც მრწმთა წელს ჩვენს კავკასიაში: უბედური ლეკებისა და კიდევ უფრო უბედური აფხაზების არეულობაზე, იმათ უკულმართ ბედზე, თუ რამ აიძულა ისინი ასაჯანყებლათ, თუ ვინ არის ამაში ყველაზე უფრო დამნაშავე და სხვ;—მაგრამ ესეიგი საგანია, რომელზედაც გულ-წრფელიათ ლაპარაკი ჯერ-ჯერობით შეიძლება, ამიტომ სჯობიან სულ არა ვთქვათ რა...

ეს პატარა შენიშვნა დღევანდელი დღის—ახალი წლის მოლოცვით არ დავიწყეთ, ამით დავაბოლოვოთ ჯაიბუ:

— მოგილოცავთ ახალ წელიწადს! მოგილოცავთ ყველას, მტერსა და მოყვარეს, ბოროტსა და კეთილს. ღმერთმა ყველას თქვენი გულითადი წადილი აგისრულოთ! მაგრამ ისეთი წადილი კი არა, რომელიც მარტო კერძოთ თქვენთვის იქნება სასარგებლო, არამედ ისეთი, რომელიც მთელი ხალხისათვის იქნება სასარგებლო და კეთილი. ტაბლათ დაგაბეროსთ!

მასლაათი*)

(ნ. ნიკოლაძის შესახებ)

„ობზორი“ ამბობს, „რომ მოწინააღმდეგეთ საზოგადოებასომხებისა (ეუეჭველია, ქართველებსაც იგულისხმებს), იმ-დენათ განათლებული არისო, რომ ამას ადგილობრივი—სომხური (ალბათ ქართულიც) ჟურნალისტიკა ვერ აკმაყოფილებს, რუსულსა და ევროპიულს მწიგნობრობაში და ჟურნალისტიკაში დაეძებს თავის გონებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებასო, ევროპისა და ახალ-მწიფო-ლიტერატურულ ნაწარმოებების გაცნობასა და საზოგადოებრივ თავის გონების საზრდოს მოპოვებასაო...

*) იბეჭდება ნაწილი. გამომც.

ადგილობრივი ჟურნალისტიკის დანიშნულება და მოვალეობა კი, „ობზორის“ აზრით, ის არის, რომ ისეთს წრეში დარჩეს, ისეთის საზოგადოების ნაწილისთვის იმუშაოს, რომელმაც რუსული და ევროპიული ენები არ იცის, რომელსაც „ცივილიზაციის ანბანიც“ არ გაეგება,—ერთი სიტყვით, სომხური და ქართული გაზეთები მხოლოთ დაბალი, უმეცარი ხალხისთვის უნდა გამოდიოდესო, რადგან „განათლებულ“ საზოგადოებას თქვენ ვერ დააკმაყოფილებთო, ამ საზოგადოებას მხოლოთ რუსული და ევროპიული გაზეთები აძლევენ ტვინის საზრდოსაო და სხვ. და სხ.

ყველას ეპატიება ამგვარი აზრის გამოთქმა ადგილობრივ ქართულ-სომხურს ჟურნალისტიკაზე, და არა „ობზორს“, რომლის რედაქტორი, უფ. ნ. ნიკოლაძე, ახლა თუ არა, ერთ დროს მაინც იღებდა არა მცირედ მონაწილეობას ამ ადგილობრივს ჟურნალისტიკაში, თუმცა დაგვეთანხმება, რომ იმგვარ სახალხო მწერლათა და ჟურნალისტათ, როგორც თვითონ ამბობს, ის თავის დღეში არც ყოფილა და არც იქნება. უფ. ნიკოლაძისაგინ, რომელიც ათი წელიწადი მოღვაწეობდა ქართულს ადგილობრივს ჟურნალისტიკაში, უფრო გონივრულ აზრს და შეხედულობას მოველოდით ამ ჟურნალისტიკის მნიშვნელობაზედ.

პირველათ ეს უნდა ვსთქვათ, რომ „ხალხი“ და განათლებული, მოწინავე საზოგადოება, მგონი, არსად არ არის ისე ერთმანეთზე დაახლოვებული, როგორც ჩვენში; ორივე ერთნაირათ გაუნათლებული, ანუ უკეთ განათლებელნი და უმეცარნი არიან, ორივეს ერთნაირი გონების

გახსნა, ორთავეს ერთი ენა, ერთი ჭირი და ერთი ლხინი აქვთ.

ამიტომაც არის, რომ უფ. ნიკოლაძის ნაწერებს თითქმის ერთნაირის გაგებით, ერთგვარის სიამოვნებით ანუ უსიამოვნებით წაიკითხავს, როგორც გლეხი, ისე თავადი, როგორც ვაჭარი, ისე ჩინოვნიკი.

განსხვავება, რასაკვირველია, არის; მაგრამ ისეთი არა, როგორც მაგალითათ პეტერბურგის განათლებულ საზოგადოებასა და, ვსთქვათ, რომელიმე ვოლოგდის გუბერნიის გლეხებს შუა.

მაგრამ ვთქვათ, არის ჩვენი ხალხის ორ ნაწილს, ორ წოდებას შუა დიდი განსხვავება,—განა დაწინაურებული ნაწილი ხალხისა ისეთს ვერაფერს იპოვის ჩვენს გაზეთებში, რომ იმის ყურადღებისა და ცოდნის ღირსი იყოს? ვსთქვათ, აქაური გაზეთები, როგორც თქვენ მამა-შვილურათ გვირჩევთ, მდაბიო ხალხისთვის გამოდიოდეს, განა დაწინაურებული და ევროპის ცხოვრების თვალყურ მადევნებელი საზოგადოება მაინც ვალდებული არ უნდა იყოს, გაიცნოს, თუ რას სწერენ იმის მდაბიო ხალხისთვის?

ყველა ამას გარდა, ადგილობრივ ჟურნალისტიკას აქვს ერთი ღირსება, რომლის გამოც ყველა ნამდვილათ განათლებული ადგილობრივი მცხოვრები უეჭველათ ვალდებულია, რომ იმას ყურადღება მიაქციოს. ეს ღირსება გახლავთ შემდეგი:

არც ერთს აქაურს რუსულს გაზეთში, არც „კავკაზში“, არც „თფ. მოამბეში“ და არც, უკაცრავათ ნუ ვიქნებით, „ობზორში“, არ მოიპოვება იმდენი მასალა

აქაური ხალხისა და ქვეყნის გასაცნობათ, რამდენიც ადგილობრივს გაზეთებში.

და გვგონია, რომ მოწინავე საზოგადოებამ, თუ ნამდვილათ მოწინავე და განათლებულია, უნდა იცოდეს, რომ ყველაზე უწინ ყოველმა მოქალაქემ თავის ქვეყანა უნდა გაიცნოს, თავისი ხალხი. უფ. ნ. ნიკოლაძის „ობზორი“ კი იმას გვიქადაგებს, რომ მაღალი განათლებული საზოგადოებისათვის ადგილობრივი გაზეთები უვარგისი ყოფილა, მარტო მდაბიო ხალხისთვის უნდა სწეროთო.

ერთი კითხვა საკუთრივ „ობზორის“ რედაქტორს უფ. ნ. ნიკოლაძეს:

— რადგან ამგვარის აზრისა ხართ ადგილობრივ გაზეთების მნიშვნელობაზედ, იქნება იმოტომაც გადექით თქვენ განზე, იქნება იმიტომ მიატოვეთ ქართული მწიგნობრობა და ჟურნალისტიკა, და შეუდექით რუსულს?

ერთი კითხვა უფ. ნიკოლაძეს.

ერთი რამ უნდა ვკითხოთ უფ. ნიკოლაძეს და სრული იმედი გვაქვს, ის, ვისაც თავის დღეში არ გაჭირვებია პასუხის გება, ამ კითხვაზე სინიდისიან პასუხს მოგვცემს:

უთხარით, თუ არა, თქვენ, უფ. ნიკოლაძე, ამ შაბათს უფ. იაკობ გოგებაშვილსა და სტეფანე მელიქიშვილს, და იქნება კიდევ სხვებსაც, რომ ის დღეს თქვენს გაზეთში დაბეჭდილი სტატია „Туземная печать“, ნრ. გეკუთვნის თქვენ, რომ ის სტატია დასწერა ვიღაც უფ.

ჟუკოვმა, რომელსაც თქვენ მიეცით პროგრამა—თუ რა-
გორი აზრით უნდა დაეწერა?

უთხარით, თუ არა, თქვენ ზემოხსენებულ პირს, რომ ჟუკოვმა ვერ გაიგო თქვენი პროგრამა, თქვენი აზრი და რაღაც სულელობა დასწერა, რომ თქვენ დასწერთ ამ საგანზედვე სხვა სტატიას, რომელშიაც გამოთქმული იქნება ნამდვილი შეხედულობა „ობზორისაკ", ანუ საკუთრივ თქვენი, ქართულ-სომხურ ჟურნალისტიკის მნიშვნელობაზე და ის აზრი სრულებით არ ემსგავსება უფ. ჟუკოვისაგან თქვენსავე გაზეთში გამოთქმულს ხეპრულს, სულელურს აზრებს?

თუ უთხარით (და რომ უთხარით, ეს ნამდვილია), მაშ დღეს (№ 43) რაღათ დამღერით იმავე ანგზე? დღეს რაღათ ამართლებთ, რაღათ იცავთ იმავე აზრებს, რაც შაბათს „ხეპრულათ და სულელურათ" მოგეჩვენათ და რისთვისაც იმ თქვენს თანამრშომელს ისეთი სახელი დაუძახეთ, რომლის ხმარება ბეჭდვაში მიღებული არ არის?

ამ დღევანდელსავე სტატიაში თქვენ გვპირდებით, უფ. ნიკოლაძე, რომ „დროებას" ცალკე პასუხს მისცემთ იმ შენიშვნაზე, რომელიც კვირის ფელეტონში იყო დაბეჭდილი,—და გთხოვთ, ამ ზემორე მოყვანილ კითხვებზედაც ბარემ მაშინ მოგვეცით პასუხი.

რაც შეეხება თქვენს კუდაბზიკურ ტრაბახობას, რომ სანამ თქვენ არ გაუჩნდით ქართულ ჟურნალისტიკას, მანამ ის დაღუპული, უმნიშვნელო იყო, და გაუჩნდით თუ არა, ამ ლიტერატურას ღონე, ძალა მიეცა, გაცხოველდა და, გაჩაღდა და სხვ.,—ეს ამგვარი ტრაბახობა თქვენგნით არ გვაკვირვებს, რადგან მიჩვეული ვართ... მაგრამ, თუ საჭიროება მოითხოვს, თქვენივე დაბეჭდილი

სტატიების ციტატებიდ დაგიმტკიცებთ, რომ ადრე, ამ სამი-ოთხი წლის წინეთ, ამ საგანზედ ამისთანა აზრის არ იყავით. გაცხარებამ მეხსიერება არ უნდა დაგიკარგოთ...

რუსულ „ობზორს“ და ქართველ ნიკოლაძეს.

აკი გითხარ, დედამთილო,
ნუ გამგზავნი წისქვილშია,
იქ ბიჭები დამხვდებიან,
ჩამაგდებენ სირცხვილშია!

(ხალხური ლექსი)

დღევანდელი ჩვენი მასლაათი გაზეთს „ობზორ“ და იმის რედაქტორს უფ. ნ. ნიკოლაძეს უძღვნათ. თუ იმან ამ ერთი კვირის განმავლობაში, ოთხი სამ-სამ საჟენიანი მოწინავე სტატია შემოგვწირა, რიგი და ზრდილობა მოითხოვს, ჩვენც ამ ჩვენი პატარა გაზეთის პატარა შენიშვნა მაინც უძღვნათ...

თავიდამვე უნდა გითხრათ, რომ ჩვენ გვეძნელება იმისთანა კაცთან ბეჭდვითი მასლაათის გაშართვა, რომელიც მუდამ ჰყვირის, ავათა ვარო, ექიმები მიშლიან წერასა და კითხვასო, რომელიც დღეს ერთს იტყვის და ხვალ გადათქვამს, ან სხვას აბრალებს და სხვ.

შაგრამ ამ სიძნელეს იმით გავიადვილებთ, რომ ახალს, უცნობს თითქმის არაფერს არ ვეტყვით „ობზორს“ და იმის რედაქტორს: გავახსენებთ მხოლოდ იმას, რაც ამ ერთ-ორ კვირაში თვითონვე თქვა ან ჩვენ ვთქვით იმ საგანზე, რომელზედაც ჩვენ ვმასლაათობთ. ეს მკითხველი-

სთვისაც კარგი იქნება: ის ადვილათ გაიგებს მაშინ, თუ რომელი ჩვენგანი დაცურავს ვერცხლის—წყალივით, რომელი ჩვენგანი „შულერობს“, რომელს უფრო უნდა დაეჯერებოდეს სიტყვა და საზოგადოთ რომელია მტყუანი და რომელი მართალი.

ამნაირათ, ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენიმე ალაგს, სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილს, იმ სტატიებიდამ, რომელნიც „ობზორმა“ უძღვნა ადგილობრივ მწერლობას და ამ ალაგებიდამ, იმედია, ყოველი მკითხველი თვითონვე გაიგებს, თუ რამდენი ლოღიკა და აზრია უფ. ნ. ნიკოლაძის ნაწერებში.

პირველი მაგალითი

პირველი სტატია ადგილობრივ მწერლობაზე გაზეთის „ობზორისა“ იწყება ამ სიტყვებით:

„ვისაც ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში თვალ-ყური უდევნებია ადგილობრივ ენებზე დაბეჭდილ გაზეთებისათვის, ის, რასაკვირველია, შენიშნავდა, რომ ამ გაზეთებში ხშირათ იბეჭდება საჩივარი იმაზედ, რომ მკითხველი საზოგადოება არ თანაუგრძნობს იმათ„ (ე. ი. სომხები სომხურს გაზეთებს და ქართველები ქართულს არ იწერენო).

უმორჩილესათ ვთხოვ „ობზორს“, გვითხრას „მშაკს“ გარდა, რომელს ხხვა ქართულს ან სომხურს გაზეთში იყო აშისთანა საჩივარი? გვითხრას, ლიტერატურული პატიოსნება, ლოღიკა მოითხოვს განა, რომ კერძე მოვლენა საზოგადოთ გაბადოს კაცმა?

მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო ის არის, რომ

ამას ამბობს, როგორც თვითონ ნიკოლაძეც გვეთანხმება, ვილაც უფ. ჟუკოვი, რომელსაც არც ქართულისა და არც სომხურის „ინჩიც“ ესრ გაეგება, რომელსაც, იქნება, ქართული და სომხურ გაზეთები თვალითაც არ უნახავს.

მეორე მაგალითი

იმავე ნომრის იმავე სტატიაში დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„სომხის (იგულისხმე ქართველიც) მოწინავე საზოგადოება იმდენათ განათლებულია, რომ იმას არ აკმაყოფილებს სამშობლო ენებზე გამოცემული გაზეთები, ევროპისა და საზოგადო-პოლიტიკურ ცხოვრების გასაცნობათ. ეს გაზეთები დააკმაყოფილებენ მხოლოთ იმ ნაწილს საზოგადოებისას, რომელსაც არ შეუსწავლია ჯერ ცივილიზაციის ანბანი; და ადგილობრივი გაზეთების მოვალეობაც ის არის, რომ ეს ნაწილი გაანათლოს უკეთესი ცხოვრების გაცნობითა და სწავლით.“

მთელი დიდი სტატია „ობზორის“ №-43 ნომრისა (რომელიც საკუთრივ უფ. ნოკოლაძის დაწერილია) ამ აზრის განსამარტებელათ და დასამტკიცებლათ არის დაწერილი.

მაგრამ, ორი დღის შემდეგ, გამოდის № 46 „ობზორისა“ და ამაში ვკითხულობთ:

„ჩვენ აზრათაც არ მოგვსლია ბიბის თქმა, რომ ადგილობრივ მწერლობას არ შეუძლია ადგილობრივი განათლებული საზოგადოების ნაწილის დაკმაყოფილება. ჩვენ ვამტკიცებდით (?) და ახლაც ვამტკიცებთ, რომ ის მწერლობა ახლა ვერ ასრულებს ამ მიზანს.“

მგონია, განმარტება არ არის საჭიროა.

მესამე მაგალითი.

„ობზორის“ № 43-ში სხვათა შორის, მოყვანილია შემდეგი ალაგი:

„ერთმიმეთხარეთ, ვის უფრო ადვილათ და მოხერხებით შეუძლია ყველა გვარი აზრის გაბმარტება და კითხვების შეხება,—იმ ჟურნალისტს, რომელსაც თავის წინამორბედათ ისეთი კაცები ჰყავს, როგორც ვოლტერი, დიდრო, ლესინგი, ბიორნე, ბორკი და სხვ., თუ იმას, რომელსაც ამგვარ წინამორბედთ ჰყავს უფ. კერესელიძე და სიმონიანცი?“

ერთი პატარა კითხვა უფ. ნიკოლაძეს:

— თუ თქვენთვის, რუსული „ობზორის“ რედაქტორო, უფ. ქართველო ნ. ნიკოლაძევ, დიდრო, ლესინგი და სხვა ამგვარი ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი მწერლები წინამორბედნი არიან, რატომ ჩვენთვის არ არიან? რატომ ჩვენს, ქართველ მწერლებს, არ შეუძლია ამ მსოფლიო მწერლებისაგან გაკვლეული გზით ისარგებლონ, თუ კი თქვენ, რომლისათვისაც ესენი ისეთი უცხონი არიან, როგორც ჩვენთვის, თუ კი თქვენ შეგიძლიათ?

მეოთხე მაგალითი.

ამ № 43-ში სხვაც ბევრია შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ალაგი. აი მაგალითათ ნიმუში უფ. ნ. ნიკოლაძის კუდაბზიკურ ტრაბახობისა:

„ამ სტრიქონების დამწერს (ე. ი. უფ. ნ. ნიკოლაძეს) ყველაზე უფრო ამომეტებული უფლება აქვს კავკა-

სიაში (?), ილაპარაკოს მწერლობაზე ისე, რომ ის ამ მწერლობის მტრათ არ ჩაითვალოს (?). ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის დროს იმას (ე. ი. უფ ნ ი კოლაძეს) დახვდა ეს მწერლობა აკვანში მწოლიარე, უსუსური, რომელსაც, ანა თუ არავითარი გავლენა არ ჰქონია ადგილობრივ ცხოვრებაზე, არამედ არც მნიშვნელობა. ორი ადგილობრივი გაზეთი 200—300 ეგზ. იბეჭდებოდა, მაგრამ იმათ ფიფქმის არავინ ჰკითხულობდა; ამ ხელისმომწერლების მოსაგროვებელათაც რედაქციები გუბერნატორებს, ეპისკოპოზებს, მაზრის უფროსებს და სხვ. ამ გვარებს მიმართავდენ ხოლმე. და რასაკვირველია, რომ ამისთანა ძალა-უნებური ხელისმომწერლები იმდენად ჰკითხულობდენ ამ გაზეთებს, რამდენათაც ჩვენ იაპონურ გაზეთებს ვკითხულობთ. რამდენათ ეს გაზეთები შინაარსითსუსტი და ფუტურო იყვნენ, ამას ამტკიცებს ის, რომ თავის ნებით გაზეთებს არავინ იწერდა“.

„აი ამ მდგომარეობაში დაგვხვდა ჩვენ (ე. ი. უფ. ნ. ნიკოლაძეს), ასე რვა წლის წინათ ადგილობრივი მწერლობა. ყველას შეუძლია ახლა შეადაროს ახლანდელი მდგომარეობა ამ მწერლობისა, რომელსაც რამდენიმეთ მაინც აქვს სახე და მსგავსება რიგიანი პერიოდული ლიტერატურისა (იგულისხმეთ, ჩემის ,უფ. ნ. ნიკოლაძის წყალობით!)

„ჩვენს თავს არ მივაწერთ ამგვარ გაუმჯობესებას ადგილობრივ მწერლობისას (!). მაგრამ ვერავინ უარჰყოფს იმას, რომ ამ სტრიქონების დამწერის (ე. ი. სულ ისევ უფ. ნ. ნიკოლაძის) შრომას უნაყოფოთ არ ჩაუვლია“.

ე. ი. ჩვენ საწყლებმა ჩვენ უბედურებაზეა

გეშველებოდათ, რომ მე არ გაგჩენოდითო! ჩემ მოსვლამდის ძალათ თუ ჰკითხულობდენ თქვენს გაზეთს, თორემ ნებით კაცი წელს არ ჰკიდებდაო! მე ჩამოველი, მე დაბეჭდე წერა და ლიტერატურა ლიტერატურას დაემსგავსა, გაზეთი გაზეთს! ყველა აღტაცებით ჰკითხულობდაო! მე მოგშორდით ახლა და კიდევ დაეცა თქვენი ლიტერატურა, კიდევ აღარავინ ჰკითხულობს თქვენს გაზეთებს! ხელ-ახლათ ხელში ჩასაჩეჩელი შეიქნა ქართული ნაწერები! უპატრონოთ დარჩით!

კარგად გადაიკითხეთ, უფ. ნიკალაძე, ის ზემოამოწერილი ადგილი თქვენი სტატიისა. ამ კუდაბზიკურ ტრაბახობას გარდა, იმაში ისეთიც აზრიც არის, რომლის პატიოსნებაზედაც კარგა გულ-დასმით რომ მოგეფიქრათ, დაწმრუნებული ვარ, თავის დღეში არ დასწერდით; რატომო, მკითხავთ? მე ვერ გეტყვით—რატომ; მაგრამ წაიკითხეთ და მაშინ, იმედია თქვენც მიხვდებით, რა საძაგელი აზრია იმ სტრიქონებში და რა მავნებელი მოსაზრებისა და დასკვნის გამოყვანა შეიძლება იქიდამ...

ამას გარდა, ბარემ, გადაიკითხეთ ის თქვენი სტატიები „დროებაზედ“ და უფ. გ. წერეთლისა და ახლანდელი რედაქტორის ლიტერატურულ მოღვაწეობაზედ, რომელიც თქვენ 1875 წელს დასწერეთ „თფილისის მოამბეში.“ გადაიკითხეთ და ამ ზემო-მოყვანილ აზრს შეადარეთ... დღეს ჩინებულია კაცი და ხვალ, მარტო იმიტომ, რომ თქვენ ვერ გასიამოვნათ, ცუდიც შეიქნა და ურგებიც. არ იქნება ეგრე-და! პატიოსანი პუბლიცისტის მოვალეობა არ მოითხოვს ამას...

მეხუთე მაგალითი

ერთი ნიმუშიც უფ. ნ. ნიკოლაძის ტრაბახობისა.

ამბობს, რომ სომხური გაზეთის „მშაკის“ დამაარსებელი ვარო! ურჩევდი იმის რედაქტორს გაზეთის გამოცემასაო!

ჰეშმარიტება ის არის, რომ ახლათ ჩამოსული უფ. არწრუნი არა თუ მარტო უფ. ნიკოლაძეს, ყველა თავის ნაცნობებს ეკითხებოდა: „ექნება მნიშვნელობა და გასავალი გაზეთს, რომ გამოვცე, თუ არაო? და ყველა ურჩევდა, რომ გამოეცი, ნუ გეშინიაო.

დაიჯერა, თვითონაც ნახა და დაიწყო იმ კაცმა გაზეთის გამოცემა, ახლა კი უფ. ნიკალაძე (თითქოს ქვეყნის დასარწმუნებლათ, რომ ადგილობრივი მწერლობა სულ ჩემი მხრებით გამომიყვანია ასპარეზზედაო) გაიძახეს: ქართული გაზეთები მე წამოვაყენე ფეხზედა! სომხური გაზეთიც ჩემი დაარსებულიაო!

მეექვსე მაგალითი

დღევანდელს (№ 47) „ობზორში“ ჩვენ გვწამებს უფ. ნიკოლაძე, ვითომც „ობზორი“ გვარიგებდეს ჩვენ, რომ დაბით გაუნათლებელ ხალხისთვის სწერეთო და ჩვენ კი ვწყრებოდეთ, რომ არ გვინდა „შრომა для низкаго народа.“

ყველაფერს მოველოდი, ამას კი ვერ უფ. ნ. ნიკოლაძისაგან.

ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს და არც ვიტყვით, რომ ხალხისთვის შრომა არ გვეკადრება-მეთქი. ჩვენ

ვთქვით; ესრედ-წოდებული მდაბიო ხალხსა და განათლებულს ორივეს ერთნაირათ ესმის ქართული ნაწერები-მეთქი და სხვ. უფ. ნიკოლაძეს კი „მდაბიო ხალხი," ე. ი. простой народъ, გადაუთარგმნია სიტყვით „სულ მდაბალი" —низкій!

აი, ლიტერატურული „შულერობა" ამას ჰქვიან...

მეშვიდე ბაგალითი.

„ობზორის" მე-44 ნომერში უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ „თფილისის მოამბის" რედაქტორი უფ. ბებუთოვი ბევრათ უფრო ჭკუიანი და გონება-გახსნილი არისო, ვინემ უფ. არწრუნიო, ის რომ სომხური გაზეთის რედაქტორი იყოს, უეჭველია, საზოგადოების ყურადღებას დაიმსახურებდაო, რადგან ეცოდინებოდა, თუ რა და როგორ უნდა სწეროსო და სხვ.

გაიხსენეთ გასული თვის დამდეგს რა იყო დაბეჭდილი თქვენს გაზეთში. სიტყვა-სიტყვით არ გვახსოვს, მაგრამ აზრი კი ნამდვილათ ეს იყო, რომ ჩვენ არ შევებმებით უფ. ბებუთოვის „ოფილისის მოამბესო", რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ამ გაზეთს და იმის რედაქტორს სრულიათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენ საზოგადოებაშიო და სხვ!..

რომელი ერთი დაგიჯეროთ?

ეს, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, არსად არ ყრის დაბეჭდილი, მაგრამ ნამდვილი კია:

ერთის ისეთის პირისაგან, რომლისაგან, წინეთ უფ. ნიკოლაძეს, ქებისა და თანაგრძნობის მიღებას, შეჩვენებისა ლ

ლანძღვის მოლება ერჩივნა,—ალბათ, თავის სტატიების გამო, თანაგრძნობის ადრესი-ძიულია!

მოგვილოცავს! ჩვენ, როგორც თქვენ ამბობთ, ვერ შავიგეთ თქვენი სტატიების მნიშვნელობა, მაგიერათ იმ ადრესის გამომგზავნს კარგათ გაუგია და გილოცავსთ...

უფალთ კუვშინსკის, ჟელიხოვსკის, სტრელეცკის, მარკოვს და ამათ ამხანაგებსაც ძალიან მოსწონებიათ თქვენი აზრები ქართულ ლიტერატურაზე და, როგორც გავიგე, ისინიც მოლოცვის ადრესს გიმზადებენ.

მოგვილოცავს...

ვიკმაროთ და ვაკმაროთ მკითხველსაც ამდენი მასლაათი. გაზ. „ობზორის“ ხსენებულს სტატიებში იმდენი უსიამოვნო, საძაგელი და ალაგ-ალაგ საზიზღარი ლაყბობა და ფრაზების რახა-რუხია, ყველა რომ მოვიყვანოთ, შორს წავა საქმე.

უკანასკნელათ ერთიც უნდა ვკითხოთ უფ. ნიკოლაძეს:

— რისგან არის, რომ ქართულათ ის თითქმის ყოველთვის უკეთ სწერს, უფრო გონიერათ და უფრო პატიოსნათ, და რუსულათ კი ასე ხშირათ კოჭლობს იმის სტატიები? რისგან არის, რომ ერთსა და იმავე დროს ხშირათ უფ. ნ. ნიკოლაძეს ქართველ მკითხველებისათვის ერთსა და იმავე საგანზე ერთი აზრი გამოუცხადებია და რუსულათ კი სხვა, სულ წინააღმდეგი?

ეს რომ ნამდვილია, ყველა ცხადათ ხედავს... მაგრამ რისგან? რატომ?

ახლათ შეძენილი საქართველო.

ჯერ, სანამ რუსეთსა და ოსმალეთსა შუა მორიგების პირობები არ დამტკიცებულა და ოფიციალურათ არ გამოცხადებულა, ჩვენ, რასაკვირველია, ნამდვილათა და ბოლოჯითებით ვერ ვიტყვით—თუ რა-და-რა მაზრები და რა სამზღვრებში დარჩება რუსეთს, ამ მორიგების პირობის ძალით, მცირე აზიაში.

მაგრამ უცხო ქვეყნის გაზეთები, რომელნიც ადრე გაიგებენ ყოველ ამბავს, იმისთანასაც კი. რომელიც ყველაზე უფრო ჩვენშ ეგვეხება და სხვებზე ადრე ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ესუცხო ქვეყნის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ რუსეთი ევროპაში შეიძენს ადგილებს მხოლოთ დობრუჯუში (რუმინიას გაუცვლის ბესარაბიაში) და ჩვენსკენ მცირე აზიისკენ კიბაიზეთს, ყარსსა და ბათუმს თავის მაზრებით.

სამზღვრებსაც გვეუბნებიან: ახალი სამზღვარი რუსეთისა სამხრეთით ბაიზეთიდამ დაიწყებაო, შემდეგ ალაშქერთან გაივლის დასავლეთით, სოლანლულის ქედით ოლთისამდის, მერე მდ. ჩოროხი და ამის მეყოლებით ბათუმამდის.

თუ ეს სამზღვრები დაახლოვებით მაინც მართალია, რუსეთის სამზღვარში დარჩება, სამხრეთიდამ რომ დაიწყოთ, შემდეგი ქალაქები: ბაიზეთი, ალაშქერთი, ყალიზმანი, ყარსი, ოლთისი, არტაანი, არდანუჯი; შემდეგ მაზრები: ჩილდირი, შავშეთი, ლიდი და პატარა აჭარა და ქობულეთი.

როგორც ხედავთ, ლაზისტანი ამ სამზღვრებში არ არის მოტანეული, ის ისევ ოსმალეთს დარჩებაო, ამბობენ.

მაშასადამე ეს უკანასკნელი მაზრები: ჩილდირი, შა-

ვშეთი, აჭარა- და ქობულეთი, რომელნიც ერთ დროს საქართველოს ნაწილს შეადგენდენ, ახლა ისევ ამ საქართველოსვე უბრუნდებიან. ისტორიკოსები და მოგზაურები ამბობენ, რომ ამას გარდა საქართველოს ეკუთვნოდა და ქართველი ხალხით დასახლებული იყოო მთელი ლაზისტანი ბაიბურთამდის; მაგრამ ეს მაზრა ახლა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ისევ ოსმალეთს რჩება.

ჩვენ, რუსის ქართველები, თითქმის სრულებით არ ვიცნობთ ამ ახლათ ჩვენს უბეში დაბრუნებულ მოძმეებს. ვიცით მხოლოდ, რომ ყველა ესენი გამაჰმადიანებულები არიან, რომ მომეტებულ ნაწილს ამათგანს ძველი საქართველოს ხასიათი და ჩვეულება ჯერაც არ დავიწყნია, ვიცით, რომ ზოგან იმათ თავიანთი სამშობლო —ქართულში ენა ჯერაც არ დაკარგვიათ, და სხვა არაფერი.

იმათ ქვეყანას, ოსმალეთის ხელში შეძენილ ჩვეულებებსა და ხასიათებს, იმათ ოჯახობას, მეურნეობას, წარმოებას, იმათ პოლიტიკურ მიმართულებას, ზნეობას და შეხედულობას სხვა-და-სხვა საგნებზე, იმად გონებით გახსნას, იმათ სახალხო პოეზიას, და სხვ. და სხვ. ჩვენ სრულებით ვერ ვიცნობთ.

ახლა ეს დიდი ხნის ჩვენგან მოშორებული მოძმები ხელ ახლათ შემოგვიერთდებიან. მაგრამ რა მოძმეები იქნებიან, რა შემოერთება იქნება, თუ ჩვენ იმათ ვერ ვიცნობთ და ისინი ჩვენ ვერ გვიცნობენ? რა მოძმენი იქნებიან, თუ იმათსას ჩვენ ათში ერთს გავიგებთ და ესინი ჩვენსას? როგორი შეერთება იქნება, თუ ესინი ჩვენ ვერ გვიცნობენ და ჩვენ იმათს?

ამიტომაც ჩვენი სამღვთო მოვალეობა არის, რომ

კარგად გავიცნოთ ეს ახლათ შემოერთებული ჩვენ თანამოძმეები და იმათაც გავაცნოთ ჩვენი თავი. უამისოთ ჩვენ შორის ერთობა და ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის შვილობა თავის დღეში არ ჩამოვარდება. როგორ ერთს სქართველოს შვილნი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთისა ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება?

ვიმეორებთ: ჩვენ სამღვთო მოვალეობას შეადგენს, რომ ისინი გავიცნოთ და ჩვენი თავი იმათაც გავაცნოთ.

როგორ უნდა გავიცნოთ ჩვენ ის ოსმალოს ქართველები, რომელნიც დღე-დღეზე უნდა შემოგვიერთდენ? როგორ უნდა გავაცნოთ იმათ ჩვენი თავი? როგორ უნდა დაუახლოვდეთ და როგორ უნდა დავიახლოვოთ, რომ ჩვენ შორის ნამდვილი ძმობა, ნამდვილი ერთ-გვარტომობა, ერთი მამულის-შვილობა დამყარდეს?

აი ამ კითხვაზე გვინდა მოკლე სიტყვის თქმა.

საუკეთესო საშუალება ორი ხალხის ერთმანეთთან დაახლოვებისა და გაცნობისაც თუნდაც ეს ხალხები სულ სხვა-და-სხვა გვარ-ტომის შთამომავლობისანი იყვნენ, ის არის, რომ ერთმანეთში ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდეთ, ვაჭრული ან სხვა კავშირი იქონიონ ერთმანეთთან, ხშირათ ხედავდნენ ერთმანეთს. ამნაირათ ორი ხალხი ძალაუნებურათ გაიცნობენ ერთმანეთს, ძალა-უნებურათ შეიტყობენ—თუ ერთი და მეორე რა ხასიათის არიან, რა ჩვეულება აქვთ, რა მიწა, რა წყალი, ერთის სიტყვით, რა ზნეობისა და მატერიალური ძალა.

ჩვენ ქართველები, ვაჭარი ხალხი არა ვართ; არ გვიყვარს აგრეთვე ჩვენს ცხვირს იქით სადმე ფეხის გა-

დადგმა; თუ ძალიან დიდი საჭიროება არ მოითხოვს, არა-თუ სადმე უცხო ქვეყანაში არ წავალთ იმ ქვეყნისა და ხალხის გასაცნობათ, არამედ ჩვენივე ქვეყნის ერთი მაზრიდამ მეორე მაზრაში გადასვლა გვეძნელება. აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ ჩვენ, ერთი ქვეყნისა, ერთი მიწისა და ხალხის შვილნი ერთმანეთს თვითქმის სრულებით არ ვიცნობთ.

მაშასადამე იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ამ საშუალებით ჩვენ და ახლათ-შემოერთებული ქართველები გავეცნობით ერთმანეთს.

მაგიერათ არის მეორე ღონის-ძიება, რომელიც დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

ეს ღონის-ძიება არის ქართული სახალხო სკოლები და ქართული სახალხო ლიტერატურა.

როგორც იწერებიან და ამბობენ, ამ ახლაო-შემოერთებულ ოსმალოს (ახლა რუსის) ქართველებს დიდი ხალისი და სურვილი აქვთ სწავლა-განათლებისა; იმათს ნიჭსა და გონების გამჭრიახობას ყველანი აქებენ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში ალმოჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც მიიღებენ მხედველობაში ამ სწავლის ხალისსა, ამ ხალხის გონების გამჭრიახობასა, და სახალხო სკოლების დაარსებით მისცემენ იმათ სწავლის მიღების საშუალებას.

რაღა თქმა უნდა, რომ სწავლა ამ სკოლებში უეჭველათ ქართულს ენაზედ უნდა იყოს, რადგან ეს ენა იმაფთვის სამშობლო ენაა და ამ ენაზე შეიძლება, პირველ-დაწყებითის მაინც, სწავლის გადაცემა. უეჭველია, აგრეთვე, რომ მთავრობა ხელს მოუწყობს, მატერიალუ-

რათ მოეხმარება იმ პირთ, რომელნიც ამ საქმეს შესწირვენ თავს, რომელნიც იქ ხალხის განათლებისათვის იზრუნვენ.

საჭიროთ ვრაცხთ აქვე ვსთქვათ, რომ ოზურგეთისა და ახალციხის სკოლების გამგებელნი კარგს იქმოდენ, რომ ამ ახლად შეერთებულ ქართველების ახალგაზდობას მიიზიდავდენ თავიანთ სკოლებში.

ადგილობრივ სკოლებში ანუ ოზურგეთისა და ახალციხის სკოლებში კურს-შესრულებულთ, შეუძლიათ, თუ გზის მაჩვენებელი ეყოლებათ, ქუთაისის ან თფილისის საშუალო სასწავლებლებში (გიმნაზიაში) გადმოვიდენ და აქედამ უმაღლესს სასწავლებელში წავიდენ სწავლის შესასრულებლათ. და ამნაირათ სახალხო განათლების საქმე იქ მხოლოდ მაშინ დადგება ნამდვილს ჯეროვან საფუძველზე, როდესაც ამ ქვეყნისავე შვილები იმდენათ მომზადებული და განათლებული იქნებიან, რომ თვითონვე დაეხმარებიან თავის ქვეყნის განათლებისა და გონებით წარმატების საქმეს. მაშინ ჩვენი და იმათი შეერთება და ერთმანეთის გაცნობა და დაახლოება კიდევ უფრო გაადვილებული იქნება.

რაიცა შეეხება სახალხო ლიტერატურის გავრცელებას,—ეს რასაკვირველია, დროზედ არის დამოკიდებული. უნდა ადმოჩნდენ ჩვენში ისეთი პირები, რომელთაც შეკრიბონ აჭარაში, ქობულეთში, შავშეთში და სხვა შემოერთებულ მხარეებში იმათი სახალხო პოეზიის ნაწარმოები, იმათი ზღაპრები, ლეგენდები, ისტორიული და სხვ. გადმონაცემი, სახალხო ლექსები და სხვ. და ეს დაეხმარება იმათაც, როგორც წერა-კითხვის გავრცელების საშუალება და ჩვენც—იმათ გასაცნობათ.

ამ ომის დაწყებამდის შვიდი ეგზემპლარი ჩვენი გაზეთისა მიდიოდა აჭარაში და ქობულეთში იქაურ ბეგებს, და როგორც გვესმოდა, დიდის ხალისით ჰკითხულობდნენ და ტყობულობდნენ ჩვენებურს და უცხო ქვეყნების ახალ ამბებს. ამას გარდა რამდენჯერმე პატარ-პატარა ქართული წიგნები (სხვათა შორის „არსენას ლექსი“), გაიგზავნა იქ და, ამბობენ, ხალხში გავრცელდაო.

რასაკვირველია, შვიდი ეგზემპლარი გაზეთი ან ასი წიგნი ბევრი არაფერია; მაგრამ ეს გვიჩვენებს, რომ იმათ ხალისი აქვთ ქართული კითხვისა და ჩვენი ყოფა-ცხოვრების გაცნობისა. დღეს ბეგებსა აქვთ ხალისი, ხვალ ეს შეიძლება ხალხში აღიძრას.

მაგრამ ეს შეიძლება მხოლოთ მაშინ, რადესაც ჩვენ ამ საქმეს წრფელის გულითა და ენერგიულათ მოვინდომებთ.

საუბედუროთ, ამისთანა პირები ჩვენში დღეს სანთლით ძაძებნელი არიან. მაგრამ იმედი უნდა გვქონდეს, რომ, რაც დღეს არა გვაქვს, ვინც დღეს არა გვყავს, იმას ხვალ შევიძენთ.

მხოლოთ ამ იმედით, მხოლოთ იმტომ რომ ჩვენ შევიძლებთ ახლათ-შეძენილ საქართველოში ქართველების აღდგენას, გვიხარიან ჩვენ ამ ქვეყნების შემოერთება, გვიხარიან, ამ ბედისაგან დავიწყებული, ჩვენგან მოშორებულის თანამოძმეების ხილვა...

იმერეთის ახალნი სკოლები.

„ახალხო განათლების საქმე ჩვენში ცუდად მიდისო„—ერთობ ხშირად გვწერენ ამ უკანასკნელ დროს იმერეთიდამ ამისთანა სიტყვებს.

„სასოფლო სკოლებში შაგირდები აღარ დაიარებიან; ხალხმა ერთობ გულ-გრილათ დაუწყო ამ საქმეს ყურებაო!“

„ზოგან უნდათ, ცარიელი სკოლები დაკეტონ და გაითავისუფლონ თავი მასწავლებლის ჯამაგირისათვის ტყუილ-უბრალო ხარჯისაგან, მაგრამ მამასახლისები და მასწავლებლები ისეთ ნაირათ ახერხებენ საქმეს, რომ სკოლას არ ახურვინებენ და ხალხს ხარჯი ხდებაო!“ და სხვა და სხვ.

ეს გარემოება, უეჭველად, გასაკვირველათ დარჩება იმ პირთათვის, რომელთაც იციან, თუ ამ ათი წლის წინათ როგორის ხწლისით მოჰკიდა ხელი იმერეთის სოფლის ხალხმა განათლების საქმეს და როგორის სიამოვნებით მზათ იყო უკანასკნელი კაპეიკი დაეხარჯა ახლათ გასახსნელ სკოლისათვის ხელი მოემართა და ხეირიანი მასწავლებელი დაეჭირა. ეს გარემოება გასაკვირველია აგრეთვე ყველა იმისთვის, ვინც იცის იმერეთის ხალხის ცნობის-მოყვარეობა, იმათი მხურვალე სურვილი, რომ რამე ისწავლონ, ქვეყნიერება გაიცნონ, თვალები აიხილონ და სხვ. და სხვ.

თუ ეს ასეა, მაშ რას უნდა შეეწეროთ ეს ახლანდელი გულ-გრილობა იმერლებისა თავის სკოლისადმი? რისგან არის, რომ ახლა ისინი ცდილობენ დაკეტონ

თავიანთი სკოლები და შვილებს ფითქმის სრულიათ ალარ აგზავნიან ამ სკოლებში?

მიზეზი ამისა სულ ეუბრალოა, ეგეუნურისთვისაც კი ადვილათ გასაგებია:

ხალხი ვერ ხედავს ამ სკოლაში იმ სარგებლობას, რომელსაც მოელოდა; ის ხედავს, რომ ფულები ეხარჯება და ნაყოფი კი არა არის-რა; ერთი სიტყვით, ხედავს, რომ იმათი შვილები ცთებიან შინაურულ მეურეობასა და სკოლაში კი ვერაფერს სწავლობენ.

ახლა ამ მიზეზის მიზეზიც უნდა შევიტყოთ: რატომ ესე გამოუდეგარი შეიქნა ხალხისათვის იმერეთის სკოლები?

პირველად უნდა ვთქვათ, რომ ყველგან ესე ცუდათ კი არ მიდის ქუთაისის გუბერნიაში სახალხო განათლების საქმე, და ყველგან კი ალ-ცთილობს მარფლა ხალხი რომ ერთხელვე გახსნილი სკოლები დახურეს. არის ისეთი სკოლები (გურიაში, სამეგრელოში და თვით იმერეთშიც), სადაც ხალხი ძველებურის თანაგრძნობითა შესჩერებია თავის სკოლებს და არაფერს არ ზოგავს ამ ათთვის. მაგრამ ბევრგან კი სოფლის ხალხი ისე ეპყრობა სკოლას, როგორც ზევით მოგახსენეთ.

იმერეთის ხალხს ახლაც ისეთი მხურვალე-სურვილი აქვს სწავლისა, როგორც ამ ათი წლის წინათ ჰქონდა. ახლაც ისეთისავე გულით უნდა, რომ წერა-კითხვა მაინც ასწავლოს თავის შვილებს, როგორც ადრე.

მაგრამ რა უნდა ჰქმნას, როდესაც ნათლად ხედავს, რომ სკოლა თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, როდესაც ეს სკოლა მხოლოდ ბევრ ფულს სთხოვს ხალხისაგან და მაგიერად სარგებლობას კი არავითარს არ აძლევს?

ამას წინათაც ვთქვით და ეხლაც ვამბობთ: სანამ სკოლებში ცოტათი მაინც უფრო ხეირიანი, თავის საქმეში დახელოვნებული და პატიოსანი მასწავლებლები არ იქნებიან, სანამ ამ სკოლაში ქართულის სწავლასა და ქართულს ენაზედ სხვა ყველა საშუალო საგნების სწავლას არ ექნება ჯეროვანი ყურადღება მიქცეული, მანამ ხალხი ყოველთვის გულ-გრილათ დარჩება თავის სკოლების ბედისთვის და არ ეცდება, ხელი მოუმართოს იმას.

საჭიროა, რომ ხალხმა თავის თვალით ნახოს სკოლებისაგან რაიმე სარგებლობა. საჭიროა, რომ სკოლაში ნასწავლმა შვილმა უკეთესი შვილობა გაუწიოს, ვინემ უსწავლელმა. საჭიროა, რომ ეს სკოლაში ნასწავლი შვილი თავის ოჯახობაში, შინაურობაში გამოადგეს მშობელს. ხალხი თავის შვილისაგან პირ-და-პირ სარგებლის მოტანას მოელის იმ ხარჯისათვის, რომელიც შვილის გაზრდაში გასწია.

სანამ ეს ასე არ იქნება, მანამ არავის არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხალხი გულ-ავარდნით უყურებს სოფლის სკოლას...

ძველ-მოძძედ საზოგადოებანი.

ყოველთვის და ყოველგან ასე მომხთარა და ჩვენშიაც ასე ხთებაჰ! როდესაც საზოგადოება გონებით გამოლვიძებასა და თვალების გამოჭყეტასა დაიწყებს, ჩნდებიან მოწინავე პირნი ამ საზოგადოებაში, რომელნიც სხვა-დასხვა საქმეს უფრო მიმეტებულათ თანაუგრძ-

ნობენ, გროვდებიან ერთად რამდენიმე ეს თანამგრძნობი პირები და ამნაირად არდგენენ წრეს ანუ საზოგადოებას ხსენებული საქმის წინ წასაყვანათ, წარმატებისათვის.

მე, ვთქვათ, სახალხო სკოლა კეთილ და ქვეყნის სასარგებლო საქმედ მიმაჩნია; ვპოულობ რამდენსამე პირს, რომელნიც ჩემსავით თანაუგრძნობენ ამ საქმეს, ვადგენ საზოგადოებას და ვცდილობ, რომ ეს სკოლის საქმე ფეხზე დავაყენოთ, კარგათ წავიყვანოთ ჩვენს ქვეყანაში.

შენ გგონია, რომ სასოფლო ბანკები მარგებელია ქვეყნისათვის და ამის გამო შენ შენის მხრით შენს თანამოაზრეებს ეძებ, ერთად ჰკიდებთ ამ საქმეს ხელს, და წარმატებაში მიგყავთ.

ის დაგწმუნებულია, რომ სასოფლო პურის მაღაზიები, ან საამხანაგო ყველის ქარხნები, ანუ სოფლის გზები ყველაზე უფრო საჭიროა ხალხისთვის, და ისიც ამგვარადვე იქცევა.

რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარად რომელიმე საქმის წაყვანა ძალიან გონივრული მოქმედებაა, რადგან რაც ერთს კაცს არ შეუძლია, რასაც ერთი ვერ მოახერხებს, ის შეუძლია მოახერხოს და შეასრულოს რამდენიმე პირმა ერთად შეყრილმა — საზოგადოებამ.

ბევრი ამგვარი საზოგადოება დაარსებულა და არსებობს ამ ჟამათაც ჩვენში. რასაკვირველია, ეს საანუგეშო მოვლენაა; ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენშიაც არიან ისეთნი პირნი, რომელნიც საზოგადო საჭიროებისათვის, სახალხო სარგებლობისათვის ზრუნავენ.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ თითქმის ყველა ერთ

ამგვარ საზოგადოებას მაგრათ ხარ გაუშლია ფესვები ჩვენში, თითქმის არც ერთი ჯერ დამყარებულა ისე მკვიდრათ, რომ საშვილიშვილოთ დიდი ხნით დარჩენილიყოს.

მომეტებული ნაწილი ამგვარ ქველ-მოქმედ საზოგადოებათა ერთი ანუ რამდენიმე პირის თაოსნობით დაშადებულა, პირველ ხანებში თანამგრძნობი ბევრი აღმოჩენია, მაგრამ ბოლოს ყველას ნელ-ნელა გაგრილებიათ გული საზოგადო საქმეზე, ცოტ-ცოტათი ჩამოცლილან ამხანგებს, დავიწყნიათ თვით საზოგადოების არსებობა, დავიწყნიათ ის მხურვალე სიტყვები, რომელნიც იმათ უთქვამთ ამ საზოგადოებაში „საზოგადო ინტერესის მზრუნველობაზედ,“ „ხალხის აუცილებელ საჭიროების“ დაკმაყოფილებაზედ და სხვ. და სხვ., და ამნაირათ საზოგადოება ნელ-ნელა, შეუმჩნეველათ მიცვალებულა.

ბევრი მაგალითი საჭირო არ არის, მოვიყვან მხოლოთ რამდენიმეს, რომელიც ამ ჩემი სიტყვების სიმართლეს დაამტკიცებს:

ჩემს მეხსიერებაში უკანასკნელი სამჯერ შემტყბარა სხვა-და-სხვა საზოგადოება, რომლის დანიშნულება იყო, რომ უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ყმაწვილებისათვის შემწეობა მიეცა.

სად არიან ეხლა ეს საზოგადოებანი?

ამ რამდენიმე წლის წინეთ თფილისში შესდგა „წერა-ფითხვის“ გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც, თუ არ ვცთებით, კარგა ბლომათ ფულები მოაგროვა.

სად არის ეხლა ეს საზოგადოება?

ორი წლის წინად ქუთაისში შესდგა ერთ დამხმარებელი იქაური სასწავლებლების ღარიბ შაგირდებისა.

სად გაჰქრა ის წრე?

სამი წლის წინათ თფილისში დაარსდა პატარა საზოგადოება ძველი და ახალი ქართული წიგნების გამოსაცემათ, ორი-ოდე წიგნიც გამოცა; თანამგრძნობელი ბევრი ჰყავდა.

მაგრამ ახლა სად ქვესკნელში ჩაძვრა ეს საზოგადოება?

სად არიან, სათ გაიფანტენ, სად გაჰქრენ ყველა ეს საზოგადოებანი, ამხანაგობანი და წრენი? რატომ იმათი მოქმედების კვალი თითქმის არაფერში არ გვატყვია? რატომ ხმას აღარ იღებენ? რატომ არ აცნობებენ ისინი ქვაყანას: ცოცხალ არიან თუ მიიცვალენ?

მაგრამ ამის პასუხი იმათგან საჭირო არ არის; თუ ისინი ხმას აღარ იღებენ, თუ იმათი მოქმედება აღარა სჩანს, მაშ ცხადია, რომ მიცვალებულან.

აი, ახლა ერთი ძრიელ ჩინებული და კეთილ-მიზნიანი საზოგადოება არსდება ჩვენში—საზოგადოება დამხმარებელი, ხელის გამწყობი იმ თავად-აზნაურთა შვილებისა, რომელნიც ღარიბნი არიან, და ამის გამო სწავლა ვერ მიუღიათ. მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ ეს სასარგებლო საზოგადოება სხვებზე უფრო ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე იქნება?

რისგან არის, რომ ეს საზოგადოებანი ასე „უცბად იბადებიან ჩვენში, უცბათვე ჰქრებიან?“

ორიოდე სიტყვით შეიძლება, ამის პასუხი მოგახსენოთ.

პირველი და უმთავრესი ის გახლავთ, რომ ჩვენ ჯერ მიჩვეული არა ვართ საზოგადო საქმისთვის ზრუნვას, საზოგადო საჭიროებისთვის თავის საკუთარ სარგებლობის დავიწყებას.

რიდესაც რომელსამე საქმეს ვკიდებთ ხელს, ყველაზე პირველათ იმაზე გვიჭირავს თვალი, რომ ეს საქმე სასარგებლო, გამოსადეგი იქნება კერძოთ ჩვენთვის, თუ არაო. თუ ამ საზოგადო საქმეს არ შეუძლია ამ თავითვე, დღესვე ჩვენი სარგებლობის მოტანა, ან ჩვენი სახელის, ჩვენი ქების საქვეყნოთ გამოაშკარება, ჩვენ ვივიწყებთ იმას, რაც უნდა საზოგადო-სასარგებლოთ და ხალხისათვის საკითელ-დღეოთ მიგვაჩნდეს და რაც უნდა მხურვალეთ მოგვეკიდნოს პირველში იმისთვის ხელი.

ამ საზოგადოებათა არსებობაში ჩვენ შეგვინიშნავს შემდეგი გარემოება:

თუ საზოგადოებაში, ანუ წრეში ერთი მაინც მოიპოება იმისთანა წევრი, რომელიც განსაკუთრებით თანაუგრძნობს საზოგადოების საქმეს, რომელიც მუდამ ცთილობს იმის საქმეების კარგათ წაყვანას, რომელიც ყოველთვის იმაზე ფიქრობს და სხვებს, დანარჩენ თავის ამხანაგებს აქეზებს,—თუ ამისთანა პირი ერთი მაინც მოიპოება საზოგადოებაში და იმასაც მალე არ გამოელია ენერგია, საზოგადოება, ავათ არის, თუ კარგათ, არსებობს, ცოცხლობს და ქვეყანა ხედავს იმის ნაყოფს. მაგრამ, თუ ამისთანა ენერგიული, თავგადადებული პირი ერთი მაინც არა ჰყავს, წინათვე შეგიძლიათ, სთქვათ, რომ ეს საზოგადოება, რაც უნდა კეთილი და ჩინებული მიზნით იყოს დაარსებული, სასიკვდილოთ არის დანიშნული, ერთ-ორ წელიწადს როგორც იქნება, დიდის ჭაპან-წყვეტით გაატარებს თავის ცხოვრებას და მერე დაღლევს სულს, მიიცვლება.

ამის გამო ჩვენი რჩევა იმ პირებისათვის, რომელთაც რაიმე საზოგადოების დაარსება სურსთ, რომელთაც უნ-

დათ, უკვე დაარსებულს საზოგადოებაში მონაწილეობა მიიღონ, ეს არის: ჯერ კარგათ, ნამდვილათ დარწმუნდენ: იქნება იმ დასაარსებელს საზოგადოებაში ანუ დაარსებულში ერთი პირი მაინც, რომელიც გულითა და სულით თანაუგრძნობს იმას და ენერგიულათ ეცდება იმის წარმატებას, თუ არა, თუ არის ამისთანა პირი, მიიღეთ მონაწილეობა და დარწმუნებული იყავით, რომ ეს საზოგადოება რამე ხეირს იქს, სარგებლობას მოიტანს, თუ არა და, არა გამოდნება-რა, ტყუილია, ნურც დროს ჰკარგავთ, ნურც ფულსა და ნურც შრომას.

შესანაშნავია, რომ ჩვენში ისე ერთი უბრალო საზოგადოებაც ვერ გაუმართვთ, რომ ესრეთ წოდებული „დიდკაცები" არ გაურიონ შიგ; აუცილებელ საჭიროებათ ხედვენ, მაინც და-მაინც დიდი გვარის, ძველი შეჯამომავლობის და ფულიანი, გავლენიანი კაცები გახადონ მონაწილეთ და ხან-და-ხან მოთავედ ყოველ ასეთ საზოგადოებისა.

ეს ანგარიში აქვთ, რომ ამგვარი პირნი უფრო დიდ ძალას, საშუალებასა და მნიშვნელობას მისცემენ საზოგადოებასაო; იმათი შემწეობით სხვებიც მიიღებენ მონაწილოებას ამ ქველსაქმეშიო.

ეს შემცდარი ანგარიშია...

ჩვენის აზრით, ათასჯერ უმჯობესია, რომ საზოგადოება „სახელს" კი არ ეძებდეს კაცისას, ეძებდეს იმისთანა პირს, რომელსაც ნამდვილი შრომა, გულ-მხურვალე ფანაგრძნობა და შემწეობა უნდოდეს (და შეეძლოს კიდეც) იმ საქმისათვის, რომლის წარმატებაში წაყვანა იმას უკისრნია. საცა საქმის ერთგულებაა, საცა შრომაა და სურ-

ვილი, იქ ფულიც ადვილათ იშოვება და სხვა ყველაფერი ამ საქმის შესასრულებელათ.

უკანასკნელათ ვიტყვით, რომ საზოგადოებანი, რომელთაზედაც ამ სტატიაში ვლაპარაკობთ, აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ათას-გვარ სასარგებლო და კეთილ საქმეების შესასრულებელათ. მაგრამ ისინი თავის დღეში ვერაფერს მკვიდრს ვერ დასთესვენ და ვერ მოიყვანენ ჩვენში, სანამ თვითონ მკვიდრს საფუძველზე და რიგიან, შესაფერ საძირკველზე არ იქნებიან დამყარებულნი...

ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებზე.

პირველი და უმთავრესი აზრი ყველა საადგილ-მამულო ბანკების ის არის, რომ სოფლის ხალხს, მემამულეებს, მეურნეობას მოუმართოს ხელი.

ვაჭრობისათვის, ქალაქის მცხოვრებთათვის სხვა-გვარი ბანკებია მოგონილი: სავაჭრო, ურთი-ერთ ნდობისა და სხვ. და სხვ., რომელთაც მიზანი სხვა აქვთ და მისდა-გვარად მათი წესდებაც სხვა არის.

საქართველოს ხალხი ისტორიულად მიმდევარია მეურნეობისა, თავიდამვე ქართველების იმედი, ნუგეში, მარჩენალი და მაცოცხლებელი იყო და არის მიწა, მამული.

საუბედუროთ, მიწის მუშაობის საქმე ჩვენში ღღემდი ერთობ მძიმედ მიდის, ერთობ ძველებურათ, მამა-პაპურათ; ქართველ მემამულეს იმის მეათედი სარგებლობის მიღებაც არ შეუძლიან თავის მდიდარის მიწა-წყლი-

საგან, რის მიღებაც შეიძლება და რაც სხვაგან, განათ-ლებულნი და მეურნოების მცოდნე ხალხები იღებენ.

აბ, ამ ნაკლულევანების შესავსებელათ იყო დაარსებული ჩვენში თფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკები, იმათი დანიშნულება იყო და არის, რომ ფულით ხელი მოუმართონ იმ მემამულეთ, რომელნიც ცთილობენ თავიანთ მიწიდან მომეტებული სარგებლობის ქამოტანას, რომელთაც ჰსურთ, რომ გონივრული მეურნეობა შემოიღონ; ერთი სიტყვითა ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები იმისთვის იყო დარსებული, რომ წინ წასწიონ, წარმატებაში შეიყვანონ ჩვენში მეურნეობის საქმე და ამის გამო წარმატება მისცენ აგრეთვე ჩვენს ხალხს, რომლის თითქმის ერთათ-ერთი, ისტორიული ხელობა არის მეუნეობა.

ასრულებენ ეს ბანკები ამ თავიანთ დანიშნულებას?

რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ბანკების არსებობა და მოქმედება ყველას ცხადათ არწმუნებს, საუბედუროთ, რომ ამ დანიშნულებას ხსენებული ბანკები ვერ ასრულებენ.

საკმაოა ერთი უბრალო გარემოება მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებლათ იმათთვის, ვისაც ეს არა სჯერა: საკმაოა ვთქვათ მხოლოთ ის, რომ ორივე ბანკებიდამ, იმ ბანკებიდამ, რომელნიც მემამულეების ფულებით არიან დაარსებული და რომელთაც მემამულებისთვის უნდა მოეწყოთ ყველაზე პირველათ ხელი, ამ ბანკებიდამ დღემდი ორი მესამედი ფული-სესხი, თუ მეტი არა, ვაჭრებმა, სახლების პატრონებმა და სხვა ამგვარ პირებმა გაიტანეს და დანარჩენი ერთი მესამედი კი იმ პირთა, რომელთათვის ეს ბანკები იყვენენ და არიან დაარსებულნი.

ამნაირათ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებისაგან ისეთმა პირებმა ისარგებლეს, რომელთაც ამ ბანკების დაარსებისათვის ერთი გროში არ შეუწირავთ და ნამდვილი მეპატრონენი ჯერ ბანკების თანხისა თითქმის, როგორც ამბობენ, რიყეზედ დარჩენ.

ჩვენ არაფერს ვამბობთ მიზეზზე, თუ ვის ანუ რას უნდა მიეწეროს ამგვარი შეუსაბამო ქმიმართულება ჩვენ ნ ბანკების საქმისა.

ჩვენი განზრახვა მხოლოთ ის არის, რომ ამ სამწუხარო გარემოებაზედ საზოგადოების, ბანკის დამაარსებლების ყურადღება მივაქციოთ:—იქნება ერთი რამ წამალი, ერთი რომელიმე სახსარი აღმოჩნდეს ისეთი, რომ ბანკები და იმის ფული მარტო „სახელით“ არ იყოს საქართველოს თავად-აზნაურობისა და საზოგადოთ მემამულეებისა და „სახრავი“ კი სხვისი იყოს.

უწესლოება ქიზიყში.

ქვემოთ წაიკითხავთ სამწუხარო შემთხვევის აღწერას, რომელიც ივნისის 4-ს მომხთარა ქიზიყში.

კორესპონდენტი ამბობს, რომ ეს არა-საამო შემთხვევა წარმოსდგა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ხალხის ერთმანეთის გაუგებლობისა და უცოდნელობისაგანაო. არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ იმას.

საჭირო არაა იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში დიდი და შესამჩნევი არა არის-რა. ის წარმოსდა მხოლოთ უბრალო მიზეზით, რომ ხალხს არ ჰსურდა იმ წესით მოემხდარიყო მილიციონერების აკრება, როგორც

შარშან მოჰკრიბეს, როდესაც ხდებოდა ყოველგვარი უსამართლობა და უწესობა, როდესაც მამასახლისები და პრისტავები მდიდარი ხალხიდამ ქრთამს იღებდენ და ისე ათავისუფლებდენ ლაშქარში გასვლიდგან და ღარიბები კი, რომელნიც ოჯახის-ერთი იყვნენ, რომელთაც ჯერი არ იყო გასვლისა, გაჰყავდათ. ვამბობთ, ხალხს არ უნდოდა, რომ ახლაც ამგვარათ წასულიყო მილიციონერების აკრება და ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ამ მილიციონერების კენჭის-ყრით გაყვანას.

ხალხს არ უნდოდა, მაგრამ ადმინისტრაციას კი უნდოდა, რადგან ბრძანება ჰქონდა მიღებული.

ხალხის ხასიათის მცონე პირებს, რასაკვირველია, ადვილათ შეეძლოთ, ისე აესრულებინათ ეს ბრძანება, რომ არც თავის მოვალეობას გადამცდარიყვნენ, მილიციონერებიც გამოეყვანათ და ხალხიც სრულიათ კმაყოფილი დარჩენილიყო.

საუბედუროთ, ეს ასე არ მოხთა. სიღნაღის მაზრის უფროსი, უფ. ტიზენგაუზენი, რომელსაც ძლიერ კეთილ-სინდისიან და პატიოსან კაცს ამბობენ, არ იცნობს დაახლოვებით ხალხის ხასიათს და მაშასადამე ამას არ შეეძლო ჩაეგონებინა რამე ხალხისთვის და ვერც ხალხი გაგონებდა იმას თავის სურვილსა და მოთხოვნილებას.

ერთი სიტყვით, ამ საშუალო საქმეში არც ერთს არ არის დამნაშავე, ანუ თუ არის, ცოტ ცოტათ ორივე მხარეა.

კორესპონდენტი გვწერს, რომ თუქურშიმიდამ ჯარი მოიხმეს დასამშვიდებლათა. ჩვენი აზრით, რომ ამისთანა შემთხვევაში ქართველი ხალხისთვის სრულებით ჯარი საჭირო არ იყო, სრულიათ საკმაო იყო

ერთი თავიანი კაცი, რომელიც აუხსნის ხალხს გარემოებას, აუხსნის იმას, თუ მმართებლობის წინაალმდეგობასა და კანონის აუსრულებლობას რა მოსდევს, და დარწმუნებული ვართ, რომ ეს ერთი კაცი, თუ იცის ხალხთან ლაპარაკი, მარტო ეს ერთი კაცი დაამშვიდებდა იმ გაბრაზებულ ხალხს და რაც რიგი იყო, ასრულებინებდა.

ამბობენ, რომ უფ. თფილისის გუბენატორი და თ. იასე ჭავჭავაძე წავიდენ კახეთში ამ საქმის თაობაზედ. იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი ტკბილის სიტყვით და გონიერის მოლაპარაკებით დაამშვიდებენ ხალხს,

ერთი საღილი შერიფ-ბეგთან.

წარსულს კვირაში ახალციხიდამ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში ახლათ ჩვენკენ გადმოსული აჭარელი შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი.

მე ძალიან გულით მინდოდა იმის ნახვა; მინდოდა გამომეკითხნა რამე თვითონ იმის დავ-გადასავალზე და უფრო აჭარისა და საზოგადოთ ოსმალოს საქართველოს ქართველებზედ.

—

მინდოდა, მაგრამ მართალი გითხრათ — პირ-და-პირ მისვლა იმასთან მე, როგორც უცნობს კაცს, როგორღაც მეეიაკილებოდა; სასიამოვნო არ არის, მარტო იმისთვის მიხვიდე ერთ უცნობ ვისმესთან, რომ მეიმუნივით გასინჯო, თითქო ჩვენება ჩამოართვა, რამდენსამ კითხვაზე პასუხი მიილო და მერე წამოხვიდე.

ამგვარ შემთხვევაში, ამისთანა დაუპატიჟებელს სტუ-

მართან კაცი თავის ბღლეში გულ-ღიათ არ იქნება და დაუ-
რიდებლათ არ გეტყვის, რაც გულზედ აწევს და რასაც
ფიქრობს... სულ სხვა არის, როდესაც ამისთანა „საინტე-
რესო კაცს" ვინმე ნაცნობთან, თითქო-შემთხვევით შეხ-
ვთები, გაეცნობი და დაუწყებ მასლაათს. მაშინ ის ალარ
მოგერიდება, პირ-და-პირ იტყვის, რისიც თქმა უნდა და
რასაც კითხავ, რადგან იცის, რომ საზოგადო „კეთილ"
ნაცნობთან იმყოფება.

ამისთანა შეხვედრას ვეძებდი მე შერიფ-ბეგთან და
მალეც ამისრულდა ნატვრა:

გასულ ორშაბათს, 19 ივნისს, ის და უფ. მიხეილ
მეფისოვი უფ. სტ. მელიქიშვილთან იყვნენ სადილათ
მიწვეულნი. სხვათა შორის, მეც არ გაუშვი, რასაკვირ-
ველია, შემთხვევა, რომ ამ სადილზე დავსწრებულვიყავ
და მენახა, გამეცნო შერიფ-ბეგი და აგრეთვე არტაანის
მაზრის ახლანდელი მმართველი უფ. მიხეილ მეფისოვი,
რომელიც ამ უკანასკნელ დროს აგრეთვე გამოჩენილ კა-
ცათა შეიქნა, რადგან შერიფ-ბეგის ჩვენკენ მომხრობა,
უეჭველია, იმას მიეწერება...

***

როდესაც მესამე საათის ნახევარზედ მივედი ჩვენი
მასპინძლისას, თითქმის ყველა სტუმრები მოგროვილიყ-
ვნენ. შერიფ-ბეგი ბღლივნზედ იჯდა, რმის გვერდით მ. მე-
ფისოვი.

მე იგამაცვნეს ერთიც და მეორეც, სანამ აქ
მყოფი განაგრძობდენ ჩემს მოსვლამდი დაწყებულ მუსა-
იფს, მე მქონდა თავისუფალი დრო, რომ ეს ორი საინ-
ტერესო პირი კარგათ დამეთვალიერებია.

—

შერიფ-ბეგი, როგორც თვითონ სთქვა, 45 წლის კაცია, „დიდკაცობა“ იმას პირველ შეხედვაზე ეტყობა: გარდაშლილი შუბლი, ნათელი სახე, თეთრი კანი, პატარა, ნაზი ხელები, დინჯი, დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და წყნარი, მშვიდობიანი ლაპარაკი.

ზორბა ტანზე ქართული კაბა აცვია და მხრებზე დაკერებული ახალი პაგონები ამტკიცებენ, რომ ის რუსის ლერენალია.

შერიფ-ბეგი წმინდა, ნამდვილს ქართულს ლაპარაკობს; მხოლოთ სიტყვების გამოთქმაში გურულათ უქცევს, იმ განსხვავებით, რომ გურულებს, როცა ლაპირაკობენ, თითქო ცეცხლი ამოდისთ პირიდამო, ჩქარობენ, სხაპა-სხუპობენ, სიტყვებს ერთი მეორეს მიაყრიან ასე, რომ ყური ვერ ასწრობს იმათი ლაპარაკის გაგონებას და ტვინი—გაგებას; შერიფ-ბეგი კი უფრო წყნარათ, უფრო აუჩქარებლათ ლაპარაკობს; და ისეთი ტკბილი „სიტყვა-პასუხი“ და უბრალო ლაპარაკშიაც კი ისეთი, თრბ-ქო—ორატორული-საუბარი აქვს, რომ მგონი, თავის დღეში არ მოგწყინდებათ, იმას ყური უგდოთ. ერთი სიტყვით, როგორც ძველი დარბაისელი ქართველი თავადიშვილის ლაპარაკი გაგიგონიათ, ისე ლაპარაკობს.

ლაპარაკის დროს ძალიან ხშირათ გადახედავდა ხოლმე მიხ. მეფისოვს, თითქო უნდა ამრიკითხოს იმის სახეზედ—მოსწონს მიხეილს, რასაც მე ვამბობ, თუ არაო? საზოგადოთ ეტყობა, რომ შერიფ-ბეგს ძალიან უყვარს უფ. მეფისოვი, თანაც ამ უკანასკნელს იმაზე დიდი გავლენაც უნდა ჰქონდეს.

არც ერთი და არც მეორე გასაკვირველი არ არის. სიყვარული იმიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ორ-

თავეს ერთის ძიძის რძე უწოვნიათ და ეს იმათში ისეთ ნათესავობათ ითვლება, როგორც მკვიდრი ძმობაა. უფ. მეფისოვს რომ შერიფ-ბეგზე გავლენა აქვს — ესეც ადვილათ აიხსნება იმითი, რომ მეფისოვი ჭკვიანი, ძალიან მოხერხებული და, როგორც ჩვენში ამბობენ, „გამოქნილი“ კაცია.

—

საზოგადოება აჭარაზედ ლაპარაკობდა.

— ქართული ხომ არ დაუვიწყნიათ იქითკენაო? ჰკითხა ვილაცამ შერიბ-ბეგს.

— რა ბრძანებაა, ბატონო! მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმაურობს? მამაკაცებმა კიდევ იციან თათრული, დედაკაცებს კი ქართული სიტყვა-პასუხი აქვთ.

— წერა-კითხვა, ბატონო ბეგო?

— მაგაში კი სუსტობენ. ალაგ-ალაგ კიდევ იციან ზემო აჭარაში, მაგრამ სხვაგან ძვირათ მოგეხსენებათ მედრესსები (სკოლები) აქვთ და იქ მოლლები ოსმალურ წერა-კითხვას ასწავლიან.... უფრო დედაკაცებმა იციან ქართული კითხვა..

— ამბობენ, ბათომს არ იძლევიან ოსმალები და ივარგებს აჭარა უ-ბათომოთ? კითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— რატომ არა, ბატონო. აჭარაც ორია, ბატონო: ერთია ზემო-აჭარა, ქვეყანაა მდიდარი, ყველაფერი უხვათ მოდის; ხალხიც მდიდარი, მხნე, მამაცი და შრომის-მოყვარე; ისეთი გლეხი ვიცი, ბატონო, რომ წელიწადში ორმოცდა-ათი ფუთი ერბო გაუყიდია. მეორე აჭარაც ქვემო აჭარაია, ლარიბი ქვეყანა გახლავთ, მთა-კლდიანი ადგილია, სულ არაფერი მოდის, ხალხიც ისეთი ამპარ-

ტავანი და თავ-მომწონეა, რომ დიდი მეფე როგორ იქნება ისე!.. ახლა, ბატონო, ამ ზემო-აჭარის ხალხს ყველაფერი შეუძლია მოიტანოს თფილისში, ან ქუთაისში, ახალციხეს, ოზურგეთს, რაც ეჭირვება, მირკალი ვარო, თუ რკინეულობა, თუ სხვა რამ, ამ ქალაქებში იყიდის. ბათომი მანცა-და-მაინც არაფრათ დააკლდება იმას. ქვემო აჭარაი მთის ხალხია, ის ბევრს არც არა რაის გაჰყიდის და არც იყიდის... აღებ-მიცემობაი არ იციან, ბატონო, იქ...

— მოისურვებს კი აჭარის ხალხი ჩვენსკენ გადმოსვლას? ვკითხე მე.

შერიფ-ბეგი ცოტა არ იყოს შეჩერდა; მერე გადახედა მეფისოვს და სთქვა:

— რატომ არა, ბატონო; თუ ბრძანება იქნება, იგინი როგორ გაბედვენ წინააღდეგობას?!

— ამბობენ, თქვენი წამოსვლა ეწყინათო!

— ეწყინათ კი არა, მეტი ჰქნეს; როგორც შეიტყვეს ჩემი წამოსვლა, მეორე დღესვე მისულან სხალტას და ჩემი სახლი, კარი, ყველაფერი გარდაუწვავთ. შემიტყვეს, რომ თვალი აქეთკენ მეჭირა და ძალიან განზედ მიყურებდენ... ადრე ცხრა ბათალიონი მყამდა, დერვიშფაშა ყოველ კვირაია მწერდა: გეიწი, გეიწი ახალციხისკენო! რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასაო! ჯერ-კი ვაღორებდი (ვატყუებდი), რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავინძრევი აქედამ. მაგრამ როცა რუსის ჯარი არდანუჯისაკენ გაუშვი ხელ-უხლებლათ, მაშინ-კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დერვიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ქვემო და ზემო-აჭარას შუა. წაუკიდწ ისინი და ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლათ

გავგზავნე; დამრჩა ხუთი ბათალიონი; კიდევ ორი სხვა-გან გავფანტე და დამრჩა სამი ბათალიონი ახლა-კი მივ-წერე დერვიშ-ფაშას, რომ ამ სამი ბათალიონით წინ ვერ გევიწევი, ისევ აქ გავმაგრდები-თქვა და ვიყავი. მაგრამ ბოლოს მაინც ეჭვი ჰქონდათ, კაცები მიდიოდენ, ჩამასმინეს: იმას რუსისაკენ უპირავს თვალი და მეტი არ შემეძლო, ცოლ-შვილი არტაანში გავგზავნე და მე ახალციხეს გამოვიპარე.

— ახლა სულ ახალციხეში უნდა იცხოვროთ, ბა-ტონო ბეგო?

— მაგი ვინ იცის, ბატონო. საქმეზე ჰკიდია; საცა მეტყვიან, იქ უნდა წავიდე. ჩვენი სახლობა უბედურია: ამ სამოც წელიწადში სამჯერ აოხრებულა ჩვენი ოჯახი: პაპუა ჩემი სულთან მაჰმედმა მოიხმო სტამბოლში, მოჭრა თავი და რაც გააჩნდა, სულ ყველაფერი ფაშიებმა წაი-ღეს. მამაჩემი იყო და ისიც აიკლეს; მე სულ ხელ-ახ-ლათ დავდგი ოჯახი, გევიშენე სახლი, მაგრამ ხომ ჰხე-დავთ, მეც რა ბედი მქონია: ყველაფერი მივატოვე, რაც გამაჩნდა, ოჯახი, სახლი, კარი და წამოვედი...

როდესაც თავის ბედზედ დაიწყო ლაპარაკი, რო-გორღაც დაღონდა და ჩაფიქრდა. ყველანი დაჩუმდენ. მაგრამ მასპინძელმა გამოგვიხსნა ამ მძიმე მდგომარეო-ბიდგან:

— მობრძანდით, ბატონებო, სადილი მიირთვით!

ყველანი ავდექით, შერიფ-ბეგის წინამძღოლობით პურის-საჭმელ ოთახში შევედით და სუფრაზედ დავსხე-დით.

ჩვეულებრივათ სადღეგრძელოები გიახელით. ყველა-იქ მყოფი სტუმრისა და მასპინძლის სადღეგრძელო რომ

დავლიეთ, მასპინძელმა აიღო სტაქანი ხელში და სთქვა:

— ესეც ჩვენი მოძმე აჭარლების სადღეგრძელო იყოს!

ამ სიტყვის გაგონებაზე მე შევატყვე, რომ შერიფ-ბეგს სახე გაუნათლდა, სიამოვნების ღიმილი მოერია:

— კაი იქნება, ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებულნი. მაგრამ თუ აგი არ მოხთა, საცაი უნდა იქნენ, ვინატროთ, ბედნიერათ იყვენ, განათლებაი ეჭირვება, ბატონო, იმათ. ამ ბენი ახალგაზდაი კაცები ხართ, განათლებულები. წადით, გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... ბა, რა ძმა ხართ თუ ისე აბდლურათ დატოვთ?!

ეს იყო შერიფ-ბეგის უკანასკნელი და კარგი სიტყვებიც.

შემდეგ სუფრიდამ ავდექით, ყავა დავლიეთ ზალაში და კიდეც გამოვეთხოვეთ მასპინძელს.

აქედამ შერიფ-ბეგი შევიდა უფ. სტ. მელიქიშვილის სტამბაში და დაათვალიერა. სტამბიდამ წავიდა უფ. ჩარკვიანის ახლათ გახსნილს ქართულ წიგნების მაღაზიაში, იყიდა იქ ოცი ეგზემპლიარი ქართული ანბანი, თითო ეგზემპლიარი ყველა ქართული წიგნებისა, რაც-კი იპოვნებოდა ამ მაღაზიაში და შემდეგ შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს შერიფ-ბეგი და მიხ. მეფისოვი ქუთაისში უნდა წასულიყვნენ, სადაც ამათ უცთიდა თ. გრ. გურიელი.

ბათომის ამბები

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ თფილისის სომხები ახლათ-შეძენილ ბათომის მაზრაში მამულების შეძენას აპირებენო; იმათ უფიქრნიათო, რომ, უეჭველია, ზოგიერთი ოსმალები გადავლენ იქიდამ ოსმალეთში, თავიანთ ადგილ-მამულს მიატოვებენ და ამ მიტოვებულ მამულებს იაფათ ვიყიდითო.

სასაცილო კია ის გარემოება, რომ ჯერ რუსეთისთვის არც კი ჩაუბარებიათ ბათომი და იმის მაზრა, ჯერ არც კი ვიცით ნამდვილათ—გადასახლდებიან მართლა იქიდამ მცხოვრებლები და ადგილ-მამულები დარჩება გასასყიდელი, თუ არა, ჯერ არ ვიცით—მთავრობა რა კანონს დასდებს, რა განკარგულებას მოახთენს ამგვარ მამულების შესახებ,—და ახლავე ჩნდებიან პირები, რომელთაც აქაც კი განუზრახავთ ხელის მოთბობა, სარგებლობა, მუქთათ დაფლობა მამულებისა!

რადგანაც ამ საგანზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ, მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებასა და გამოვაცხადოთ ჩვენი აზრი და სურვილი:

რასაკვირველია, სომხებს ფულები აქვთ და ყველგან შეუძლიათ მამულების ყიდვა. მაგრამ კარგი იქნება ამ თავითვე იცოდენ, რომ ბათომის მხრისაკენ ამ შემთხვევაში საშიში და ყურადღებაში მისაღები მოწინააღმდეგეები (კონკურენტები) დახვთებიან: ეს კონკურენტები იქნებიან მეგრელები.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ ჟამად ბათომში ერთი სომეხიც არ მოიპოვება, რომელსაც ხეირიანი ვაჭრობა ჰქონდეს. მომეტებული ნაწილი იქაური მამულის პატ-

რონების და ვაჭრების ლაზეგია, რომელნიც ხასიათით, ენით, მოხერხებულის და მახვილის ჭკუით და აგრეთვე ენითაც თითქმის წმინდა მეგრელები არიან.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ საზოგადოდ შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში: ქერჩში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში და თითქმის ოდესაშიაც ბლომად არიან მეგრელები და ზოგნი ვაჭრობენ, ზოგნი ისე მუშაობენ და ერთი სიტყვით „საქმეები აქვთ". მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ მეგრელს ხალხს თითქმის ყველა ის თვისება აქვს, რაც საზოგადოდ ვაჭრობისათვის საჭიროა, ე. ი. ანგარიშის ცოდნა, გაძრომ-გამოძრომა, მოხერხება, ფულის შენახვა, დაფასება და სხვა. და ამას გარდა კიდევ ერთი ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვენებურს ვაჭრებში იშვიათად მოიპოვება: გამბედაობა ვაჭრობაში.

რაღა თქმა უნდა, რომ ბათომელს მხარე ამისთანა ხალხს უფრო ადვილად შეეთვისება, ამისთანა ხალხთან, რომელიც ამავე დროს თანამოძმე ხალხიცაა, უფრო სიამოვნებით, უფრო ადვილად დაიჭერს საქმეს, ვინემ სხვაგვარ ვაჭრებთან.

ყველა ამას მიუმატეთ კიდევ ისიც, რომ მეგრელი ვაჭარი თავის დღეში არ არის ისეთი შეუბრალებელი ფულის, ისეთი ფულის მოყვარე, რომ ამ ფულისათვის თავისი სინდისი და სული გაჰყიდოს, ოგაჭირვებული ხალხი შეავიწროვოს.

ყველა ეს შეეხება ვაჭრებს და საზოგადოდ იმ პირთ, რომელნიც თვიფრონ ქალაქს ბათომში მოინდომებენ მიწეპის შეძენასა და ვაჭრობის დაწყებას.

სოფლის მამულების შეძენას თფილისელი სომხები, რასაკვირველია, არ გაუმოუდგებიან, რადგან მეურნეობა

ამათთვის არ არის გაჩენილი. თუ ამ მამულებს მთავრობამ გაყიდვა დაუწყო, უეჭველია, ბევრნი უცხო ტომის ხალხი აღმოჩნდება ყიდვის მსურველი.

მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით იმას, რომ უცხო ტომის ხალხი ამ ქვეყანაში ვერ გასძლებს ისე, როგორც ვერ გასძლო იმან აფხაზეთში და მეორეს მხრით იმასაც, რომ უცხო ხალხის ჩასახლება ამ თავითვე, უეჭველია, ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს ადგილობრივს ხალხზე,—არ შეგვიძლია, არა ვსთქვათ, რომ ბევრად უფრო სასურველია, რომ ეს სოფლის ადგილები გურულებსა და მეგრელებს ჩაუვარდეთ ხელში და თუ მთავრობა გაჰყიდის იმ მამულებს, შემსუბუქებული პირობებით მიჰყიდოს ისევ ზემოხსენებულებს.

იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს ნატვრას სხვა რაიმე აზრით არ ჩამოგვართმევენ; ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ამ მხრით ახლათ შეძენილს მხარეებში კეთილ-გაწყობილება ამყარდეს...

ახალი მოვალეობა

ბათომის და აჭარის შემოერთება ჩვენს ქვეყანასთან დიდს და მძიმე მოვალეობას სდებს ჩვენს ესრეთ-წოდებულ განათლებულ საზოგადოებას.

ეს მოვალეობა შემდეგის უბრალო სიტყვებით გამოხატა ახლად ჩვენ კენ გაწმოსულმა აჭარის შერიფ-ბეგმა ხიმშიაშვილმა.

„ბანათლებაი ეჭირვებაწ, ბატონებო, იმათ (ოსმალეთის ქართველებს). ამდენი ახალგაზდა კაცებ ირბარ-ბა-

ნათლებულები, წადით, გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა. აბა როგორი ძმა ხართ, თუ ასე აბდლურათ დასტოვთ?!"

ორი რომელიმე ხალხის შეერთების დროს, ყველაზე უფრო ძნელი საქმე ის არის, რომ ამ ორ ხალხს შუა ერთმანეთის ნდობა იყოს; თავიდამვე უნდა იყვნენ ესენი დარწმუნებულნი, რომ ერთი მეორის გასაცარცვავათ და შესაჭმელათ როდი შეერთებულან, არამედ მხოლოთ იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელი-ხელში ჩაავლონ და ამნაირათ უფრო ადვილათ გაიარონ ცხოვრების მძიმე გზა.

ეს დანდობა აქვსთ ჩვენი ახლათ შემოერთებულ ოსმალეთის ქართველებსა. იმათ იციან, რომ ჩვენ იმათი ძმები ვართ, რომ ორთავენი ერთს ტაფაში ვიქნებით, ორთავეს ერთი ბედი და უბედურება მოგვველის და რომ ერთმანეთის ხელი-ხელში მიცემით ჩვენ შეგვეძლება ჩვენი უღლის გაწევა და მრმავალი ცხოვრების გაუმჯობესება.

მაშასადამე ამ მხრით ჩვენსა და ახლათ შემოერთებულ ქართველებს შუა არავითარი დაბრკოლება და გაუგებლობა არ იქნება.

საქმე ისაა—თუ როგორ ვისარგებლებთ ჩვენ იმათის დანდობით, როგორ დავიჭერთ იმათთან თავიდამვე საქმეს, როგორ ვეცოდინებით, რომ ეს დანდობა გავამართლოთ, და, მართლა, როგორ ამობას ალმოუჩენთ იმათ.

აი, ამ მხრით არის შიში; აი ეს გარემოება გვაშინებს; იმედი არა გვაქვს, რომ ჩვენ ისე დავიჭირეთ საქმე ახალ ძმებთან, რომ იმათ სცნან და დაინახონ, რომ

ჩვენ მართლა ნამდვილი, უანგარო და მოყვარული ძმები ვყოფილვართ.

და ამას ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ მაგალითი გვაქვს თვალწინ, მაგალითი იმისი, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი განათლებული ახალგაზდები ჩვენსავე ქვეყანაში, რუსეთის საქართველოში.

რა გაგვიკეთებია ჩვენ, განათლებულებს, იმ ჩვენი ხალხისათვის, რომლის ოფლით ნაშოვნ პურით გამოვზდილვართ? რაც ამ ხალხმა მოგვცა, მაგიერი მესამედი სარგებლობა დაგვიბრუნებია? რომელ საზოგადო საქმეს მოვკიდეთ ხელი და გავაკეთეთ? რომელი მხარე ხალხის ცხოვრებისა ერთის ნაბიჯითაც არის, წინ წავწიეთ? ერთის სიტყვით, როდის, სად და რასში დაეტყო საქართველოს ხალხს, რომ იმას, ათასობით თუ არა, ათობით და ასობით მაინც ჰყავს განათლებული, სწავლა მიღებული, და ავ-კარგის გამომრჩევი შვილები?

საუბედუროთ, ვერც ერთს ამ კითხვაზე სანუგეშო პასუხს ვერ მივიღებთ. ასში ერთი თუ გამოსულა ჩვენთაგანი ისეთი, რომელსაც რაიმე საზოგადო ინტერესისათვის გული შესტკიოდეს, რომელსაც ამ საზოგადო სარგებლობისათვის კერძო, საკუთარი სარგებლობა, მეათედიც არის, მაინც შეეწიროს; ასში ერთი თუ გამოსულა ისეთი, რომელსაც ახსოვდეს, რომ ის მოვალეა ხალხის წინაშე და ამ ვალს გარდახდა უნდა.

დანარჩენები? დანარჩენები ისეთები არიან, ისე ცხოვრებენ, ისე მოქმედებენ, როგორც „ყველანი". საზოგადო ინტერესი მჩვრათ მიაჩნიათ, ხალხზე და იმის გაჭირვებაზედ იმდენად ფიქრობენ, რა დენათაც მე და შენ,

მკითხველმა, შარშანწინდელ თოვლზე; „თავისთვის“ ცხოვრობენ...

ოდესაც ამისთანა განათლებული, ამისთანა მოწინავე საზოგადოება გვყავს, დამეთანხმეთ, ბევრი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ეს განათლებულები რასმეს გააკეთებენ ახლად შემოერთებულს ქართველებში. ბევრი იმედი არა, მაგრამ ცოტა კიდევ დაგვრჩენია; და იმაზედაც მოვილაპარაკებთ, თუ როგორია ეს იმედი, როგორ უნდა შესრულდეს ჩვენი მოვალეობა ოსმალოს ქართველებისა წინაშე და რა გზას, რა სახსარს უნდა მივმართოთ თავიდამვე, რომ ეს იმედი შეგვისრულდეს...

ახლა უნდა მოგელაპარაკოთ იმ ღონისძიებაზე, რომლისა შემწეობითაც შეიძლება ჩვენსა და ახლათ შემოერთებულ ოსმალოს ქართველებს შორის გაწყვეტილი ძმობის ხელახლათ დაარსება და საზოგადო საქართველოსთან შეერთება ბათომისა და აჭარის გამაჰმადიანებულ ქართველებისა.

ამისათვის საჭიროა, ბევრი ღონისძიება არის გამოსადეგი, ბევრი საშუალება არის რომ ერთმანეთთან განშორებული ძმა-ხალხის დაახლოვებისა და დაკავშირებისათვის: ხშირი მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან, ვაჭრობა, აღებ-მიცემა და სხვ. მაგრამ ჩვენ გვინდა დღეს მოვილაპარაკოთ ერთს საშუალებაზე, რომელიც ჩვენის აზრით, უმთავრეს და უპირველეს საშუალებათ უნდა ჩაიფიქროს.

ეს საშუალება არის ქართული ენისა და წერა-კითხვის გავრცელება მაჰმადიან ქართველებში.

ამისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ერთი გზა არის: სახალხო სკოლა. ამ გზის აცილება არ შეიძლება.

ახლათ-შემოერთებულს ოსმალეთის საქართველოში რაც შეიძლება ბევრი და კარგი სკოლა უნდა გაიხსნას, და უნდა გაიხსნას უეჭველად ქართული სკოლები, ე. ი. ისეთები, რომლებშიაც ყველა საგნების სწავლა ქართულს ენაზედ იყოს, რადგან ეს ენა ყველა იმათვის მშობლიურია, ყველასათვის გასაგები ენაა.

მაგრამ საქმე ისაა, თუ რა საშუალებით უნდა გაიხსნას ეს სკოლები? სადა გვყვანან იმდენი მასწავლებლები, რომ აქაც დაგვრჩენ და იქაც შეიძლებოდეს გაგზავნა? სად არის ქართული სახელმძღვანელო წიგნები?

აი, ამაზე გვმართებს ჩვენ ამ ჟამად ფიქრი; ამაზედ უნდა იზრუნოს და იფიქროს როგორც ჩვენმა მთავრობამ, აგრეთვე ჩვენმა განათლებულმა ახალგაზდობამაც.

ეს ისეთი დაბრკოლება არ არის, რომ იმის მოსპობა არ შეიძლებოდეს. სკოლების გახსნისათვის ყველაზე მომეტებული ხარჯი, რასაკვირველია, თვითონ მმართველობამ უნდა იკისროს იმ შემოსავალიდამ, რომელიც ამ ახლათ-შეძენილ მაზრებიდამ ექნება ხაზინას. ქართველი მასწავლებლების გამრავლება შეუძლიათ სამასწავლებლო ინსტიტუტებს: ალექსანდრესა (თფილისისას) და გორისას

ამ ინსტიტუტებმა უნდა ეცადონ, რაც შეიძლება მომეტებული ქართველი მიიღონ და გამოზარდონ მასწავლებლებად; იმათ უნდა მიაქციონ მომეტებული ყურადღება ქართულ ენას, რადგან იქიდამ გამოსულ მასწავლებლებმა, როგორც ზევით მოვიხსენეთ ბათომისა და აჭარის მხრის სკოლებში უეჭველად ქართულს ენაზე უნდა შემოიღონ პირველ-დაწყებითი სწავლა ისე, რო-

გორც, უფ. სტრელეცკის სიტყვით, თფილისის სახალხო სკოლებშია.

ამ ინსტიტუტებს გარდა თფილისის სასულიერო სემინარია და აგრეთვე მომავალი სემინარია ქუთაისისა. საკმარ მასწავლებლებს მოგვცემენ ამ მხარეების თვის.

მთავრობას გარდა, ამ შემთხვევაში ჩვენმა საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს რამე, მაგრამ ჩვენ მეორე მხრით მოველით ამ საქმეში საზოგადოებისაგან დახმარებას:

სკოლებს სახელმძღვანელო წიგნები დასჭირდება, წერა-კითხვის მცოდნე ხალხს—საკითხავი წიგნები. აი, აქ იწყება უმთავრესი ზნეობითი მოვალეობა ჩვენი განათლებული საზოგადოებისა.

ამ საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს საშუალება, უნდა ღონის-ძიებე იხმაროს, რომ ერთხელვე გაჭსნილ სკოლები უსახელმძღვანელო და უსაკითხავ წიგნებით არ დარჩეს. ჩვენს ენაზედ არის რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი, არის ბლომად ისეთი წიგნები, რომელნიც როგორც სკოლის შაგირდებისა, აგრეთვე ხალხის საკითხავათ გამოდგებიან. მაგრამ ეს არ კმარა; საჭირო იქნება კიდევ ახალი წიგნების გამოცემა, საჭირო იქმნება განსაკუთრებით ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა (მაგ. არითმეტიკისა, საზოგადო და საქართველოს პატარა ისტორიისა და გეოგრაფიის და სხვ.), რომელნიც ჯერ ჩვენ სრულებით არა გვაქვს. საჭირო იქნება, რომ ეს წიგნები, სულ მუქთათ თუ არა, ძალიან იაფ ფასათ დაურიგდეს სკოლებსა და ხალხს.

და ყველა ეს ერთს რომელსამე პირს არ შეუძლია, ამას მხოლოდ საზოგადოება მოახერხებს და შეიძლებს.

აი, რას მოველით ჩვენ ჩვენის განათლებულის სა-

ზოგადოებისაგან. და თუ ამ საზოგადოებამ ვერც ეს შეასრულა, თუ იმან ამ თავის წმინდა მოვალეობას ენერგიულად არ მოჰკიდა ხელი და ყველაფერი „ბედსა და განგებას მიანდო“, მაშინ ჩვენ ნამდვილათ დავარწმუნდებით, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადოება არაფრისთვის გამოსადეგი არ ყოფილა...

სანამ ამ სტატიას გავათავებდე, ერთი შენიშვნა მაქვს კიდევ:

აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლათ-შეძენილ ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი აზრი ეს-არის, რომ ეარა თუ ძალ-ლატანებით, ქადაგებითაც, ტკბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ განსაკუთრებით ამ თავით, მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლ-მადიდებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველია, ჩვენ თავიდამვე შევაძულებთ იმათ ჩვენს თავს, თავიდამვე განზე დაგვიწყებენ ყურებას. სარწმუნოება სინიდისის საქმეა, ერთობ ფრთხილათ უნდა შეეხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის წინ მაჰმადიანის სარწმუნოების კაცი გიდგია. არც ქადაგება, არც რჩევა არ არის საჭიროა ამ შემთხვევაში. თვითონ თავის-თავათ თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი; თუ არა, და იყვნენ, დარჩენ ისე, როგორც არიან: სარწმუნოების განსხვავება არ დაბრკოლებს, არ დაშლის ჩვენსა და იმათ ძმობასა და ერთობას...

ახლათ შემოერთებული ქართველები

იმ მოკლე შენიშვნებიდამ, რომელნიც „დროების“ უკანასკნელ ნომრებში იბეჭდებოდენ, ჩვენი მკითხველი ცოტათი მაინც გაიცნობდა ჩვენთან ახლათ შემოერთებულ ბათომის და ქობულეთის მაზრის ქართველების ხასიათსა და ცხოვრებას. მკითხველი დარწმუნდებოდა იმაში, რომ ამ ქართველებში, რომელნიც ორას წელიწადზე მეტია მოშორებიან თავის მოძმეებს და ოსმალეთის ხელში გადასულან, ახლაც დაცულია ქართული ენა, ხასიათი, ზოგიერთი ცრუმორწმუნოება და ჩვეულება.

„ბედის ბრუნვამ“ ხელ-ახლათ შემოგვიერთა ახლა ჩვენ ეს დიდი ხნით განშორებული ძმები.

მაგრამ, როგორც იმავე შენიშნვებიდამ შეიტყობდით, მომეტებული ნაწილი ქობულეთის, ჩაქვის და აგრეთვე ბათომის მაზრის ქართვებისა გადადიან ოსმალეთში. ისეთნაირათ გაფანატიკებულან მაჰმადის სარწმუნოებაში, რომ ეთაკილებათ, ერიდებიან მართლ-მადიდებელ სახელმწიფოს ქვეშ ყოფნას. ერიდებათ აგრეთვე სხვა გარემოებისა, რომელნიც გუშინდელს ბათომიდამ მოწერილს წერილში იყო მოყვანილი.

ეს გარემოება, რომ ოსმალოს ქართველები გადადიან, გვშორდებიან, დიდათ სამწუხარო და საფიქრებელი გარემოებაა. სამწუხაროა ერთის მხრით იმიტომ, რომ უეჭველია, ამათ ოსმალეთში იგივე სისაწყლე, შიმშილი, ამოჟლეტა და სხვა ყველა უბედურება მოელისთ, რაც მოუვიდათ ჩერქეზებსა და აფხაზებს, რომელნიც ახლა რუსეთის მმართებლობას ეხვეწებიან, უკან, ჩვენს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მოგვეცით.

ჩვენ ვფიქრობ, იმათ მოძმე ქართველებისათვის ეს გარემოება მით უფრო სამწუხარო უნდა იყოს, რომ ჩვენ ხელ-ახლათ გვეკარგებიან, გვშორდებიან დიდიხნის განშორების შემდეგ ახლათ შეძენილი ძმები; კაცთ-მოყვარეობის გრძნობას გარდა ჩვენში ძმური, ნათესაობითი გრძნობა უნდა მუშაობდეს...

თვით რუსეთისათვის მავნებელია ამათი გადასვლა ოსმალეთში, პირველათ იმიტომ რომ ამათგან დატოვებული ადგილების დასახლება, კოლონიზაცია, როგორც აფხაზეთისა, და, საზოგადოთ შავიზღვის ნაპირების მაგალითმა არა ერთხელ დაგვიმტკიცა, შეუძლებელია, რადგან უცხო ხალხი ამ ადგილებში ვერ სძლებს ესენი-კი უეჭველია, დღეის შემდეგ იქნებოდენ საუკეთესო დამცველები შავი ზღვის ნაპირებისა; მეორეთ იმიტომ, რომ ცარიელი უდაბნო ადგილები საზოგადოთ მთელ რუსეთში უიმისოთაც ბლომათაა და ამ მხრისაც კიდევ გაუდაბნოება, დაცლა ხალხისაგან, უეჭველია, საზარალო იქნება მთელის სახელმწიფოსათვის, რადგან ამ სახელმწიფოს მოაკლდება მუშა ხელები, მიწა-წყლის შემმუშავებლები და პატრონები.

ამის გამო ყველა ქართველის, ყველა იქ მყოფ კეთილ სინდისიანის კაცისათვის სამღვთო მოვალეობას უნდა შეადგენდეს, ეცადნენ, რომ რჩევით, ჩაგონებით და სხვა ყველა შესაფერი საშუალებით, დაუშალონ იქაურ ქართველებს ოსმალეთში გადასახლება. უნდა აუხსნათ, რომ სამი წელიწადი ვადა აქვთ, თუ ამ ხნის განმავლობაში დარწმუნდებიან, რომ იმათ ჩვენთან ცხოვრება არ გამოადგებათ, მერე შეუძლიანთ გადასახლება; უნდა წარმოუდგინოთ იმათ თვალწინ გადასახლებული

ჩერქეზებისა და აფხაზების მაგალითზე; უნდა აუხსნათ, თუ რამდენად დამღუპველია ყველა ადამიანისთვის მამაპაპისაგან შემუშავებული და გაკეთებული ოჯახის ოხრათ მიტოვება და რამდენად ძნელია სხვაგან, უცნობ ქვეყანაში, უცხო ხალხში ახალი ოჯახობის დაწყება, მოთავსება; უნდა უთხრათ, რომ იმათ სჯულს, იმათ ცოლ-შვილს, იმათ სახლ-კარს და ქონებას კაცი არ შეეხება და სხვა და სხვა.

ყველა ეს უნდა აუხსნათ. უნდა ჩააგონოთ და ამას უეჭველია, იმათ გადაწყვეტილებაზედ დიდი გავლენა ექნება.

მაგრამ ამაზე უფრო მომეტებული გავლენა ექნება პირველად შესული ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი ჩინოვნიკების მოქმედებასა და მაგალითს. ყველა ჩვენს ნაბიჯს, ჩვენს მოქმედებას ახლა ისინი გაცეცებულის თვალით, დაკვირვებით შესცქერიან; ამ პირველი ჩვენი კაცების მოქმედებით უნდათ შეიტყონ ამათ—თუ რა ხალხი ვართ ჩვენ, უნდა დარწმუნდენ—მოახერხებენ ისინი ჩვენთან ერთად ცხოვრებას, გაძლებენ თუ არა.

გუშინდელს ნომერში მოყვანილი იყო სულ უბრალო შემთხვევა, რომელიც მომხთარა ამას წინეთ ბათომში: ერთს ვიღაც დამთვრალ მილიციონერს ძაღლი მოეკლა ქუჩაზე, და რადგან მაჰმადიანებს ძაღლი წმინდა არსებათ მიაჩნიათ, საშინლათ გაჯავრებულიყვნენ და ქუჩებში ერთი ყვირილი და ღრიალი შექნილიყო. ეს ხომ სულ უბრალო შემთხვევაა; მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამის მნახველი რამდენიმე ბათომელი იტყოდა თავის გულში: „არა, ჩვენ ამისთანა ხალხთან გაძლება არ შეგვიძლია, სჯობს წავიდეთო:“

ამნაირათ, პირველათ მაინც განსაკუთრებითი სიფრთხილე მართებს ყველას, ვისაც ამ ხალხთან რაიმე საქმე და კავშირი ექნება. თუ ჩვენ ჩვენის პატიოსნებით, ჩვენის საქმით, მაგალითით დაუმტკიცებთ იმათ, რომ ხალხის შესაწუხებელათ არ მოვსულვართ ამათ ქვეყანაში, რომ სამართლიანები ვართ, ავსა და კარგს გავარჩევთ, პატიოსნება გვიყვარს; თუ ჩვენ, ერთის სიტყვით, ისე მოვეპყრობით იმათ, როგორც ნამდვილ ძმას შეეფერება და არა ისე, როგორც ძალით აღებულს, დაპყრობილ ხალხს, დარწმუნებული იყავით, რომ დიდის სიამოვნებით დარჩებიან, აღარ გაივლებენ გულში ოსმალეთში გადასახლებას.

და ეს იმათი თავის ქვეყანაში დარჩენა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევრის მხრით სასარგებლო იქნება როგორც თვით მოავრობისათვის, აგრეთვე ჩვენთვის, ქართველებისათვის...

საამო ნიშნები

იყო დრო—და ამ დროს აქეთ დიდი ხანი არ გასულა, როდესაც ზოგიერთი პირები ფეხ-ქვეშ თელავდენ იმ უპირველესს პედაგოგიურ კანონს, რომ ყოველმა ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზედ უნდა მიიღოს პირველ-დაწყებითი სწავლა

იყო დრო, როდესაც თვით ჩვენს სასოფლო სკოლებშიაც კი არ ესმოდათ ეს კანონი და გლეხების შვილებსაც კი პირ-და-პირ უცხო გაუგებარს ენაზედ ასწავლიდენ ყველაფერს.

თითქმის უმეტესად პირათ სთვლიდენ იმას, ვინც ამგვარი სწავლების წინააღმდეგი იყო და ვინც ამბობდა, რომ სანამ სკოლებში სწავლა მშობლიურს ენაზედ არ იქნება, მანამ ამ სკოლებისაგან თითქმის არავითარ სარგებლობას არ უნდა მოველოდეთო.

ეს დრო ლვთით წავიდა ბევრ ისეთ ყეთილ-გონიერი და მთავრობის თვალში საიმედო და სანდო კაცი, როგორიც არის ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი უფ. სტრელეცკი, თითქმის სიამაყით აცხადებს ახლა თავის წლევანდელ ანგარიშში, რომ ქართლ-კახეთის ყველა სასოფლო სკოლებში სწავლა სამშობლო ენაზედ არისო

ადრინდელი და ახლანდელი ჩვენი სახალხო სკოლების მდგომარეობა, სწავლა ამ სკოლებში რომ შევადაროთ ერთმანეთს, უეჭველია, დავრწმუნდებით, რომ ყველგან, საცა კი ცოტათი მაინც ხეირიანი მასწავლებელია, სწავლა სამშობლო ენის შემოღების წყალობით ბევრათ უკეთ მიდის, ვინემ ადრე მიდიოდა.

დიდი სიამოვნებით ვხედავთ, რომ ყველა მასწავლებლები ქართლ-კახეთის სასოფლო სკოლებისა, რომელნიც ამ ჟამათ ქალაქში არიან შეკრებილნი, იმ აზრისანი არიან, რომ სწავლა უეჭველათ სამშობლო ენაზედ უნდა იყოსო. გამოცდილებამ დაარწმუნა ყველა ესენი, რომ სასოფლო სკოლაში მხოლოთ მაშინ მიდის ხეირიანათ სწავლა, როდესაც ეს სწავლა სამშობლო ენაზედ სწარმოებს

ამ მასწავლებლებმა საერთოდ შეადგინეს სია იმ წიგნებისა, რომელნიც სასოფლო სკოლებისათვის აუცილებელ საჭიროებას, შაგირდებისა თუ თვითონ მასწავლებ-

ლებისათვის—სახელმძღვანელოსუნდა შეადგენდეს. ამ სიაში ბევრი ქართული წიგნია მოყვანილი, სხვათა შორის, თითქმის ყველა სახელმძღვანელოები, რომელნიც ჩვენი პატიცემული უფ. გოგებაშვილისგან არიან გამოცემული.

ყველა ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოთუნდა დარჩეს იმისთვისაც ვინც ჩვენი სახალხო განათლების საქმეს თანაუგრძნობს, ვისაც ჰსურს ამ განათლების წარმატება.

მაგრამ თვით ეს სასიამოვნო მოვლენა მოგვაგონებს ჩვენ ერთს გარემოებას, რომელიც ჩასაფიქრებელი და არა-საამოა.

ჩვენ ვამბობთ იმაზედ, რომ ახლა, როდესაც ქართული სახელმძღვანელოები საჭიროა და შემოლებულია ჩვენი სკოლებისათვის,—ზოგიერთი სახელმძღვანელოთაგანი ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ არა გვაქვს, მაგალითად, არითმეტიკა, გეოგრაფია (არა თუ საზოგადო, არც სამშობლოსა), არც შემოკლებული ისტორია (აგრეთვე არც საზოგადო და არც სამშობლოსა), არა გვაქვს სამღვთო ისტორია, არა გვაქვს ხეირიანი სახელმძღვანელო თვალთ-საჩინო სწავლისა და სხვ.

და მოგეხსენებათ, ჩვენში ისეთი პირები ბლომათ აღმოჩნდებიან, რომელნიც იტყვიან: როგორ უნდა ვასწავლოთ სამშობლო ქართულს ენაზე ყმაწვილებს, როდესაც ამ ენაზედ თქვენ სახელმძღვანელო წიგნები არ გაგაჩნიათო!

აი, ამიტომაც საჭიროა, რომ მცოდნე პირები შეუდგენ ახლავე, დაუყოვნებლივ იმ სახელმძღვანელოების შედგენას და გამოცემას, რომელნიც ჯერ არ არის ქარ-

თულს ენაზე და რომელნიც ასე ეჭიროთ ჩვენი სახალ-ხო სკოლებისთვის.

როდესაც ყველა სახელმძღვანელლრები გვექნებაიმა-შინ ველარ გვეტყვიან: როგორ ვასწავლოთ ქართულათ, რომ წიგნები არა გვაქვსო!...

თფილისის სასულიერო სემინარია

ჩვენ ვაცნობეთ ამ დღეებში მკითხველებს, რომ თფილისში ჩამოვიდა პეტერბუგიდამ სინოდისაგან გამო-გზავნილი პირი (უფ. გრიგორიევსკი), რომელმაც ჩვენს სასულიერო სემინარიაში უნდა მოახდინოს რევიზია.

ამას წინათ გამოვაცხადეთ და ახლაც ვაცხადებთ სურვილს, რომ ამ რევიზორმა სინდისიანათ, მაგრა მოჰხ-კიდოს ხელი თავის მონდობილებას.

საქმე იმას ბევრი ექნება; სარევიზიო საგნები ბევრი მოიპოვება უფ. კუვშინსკის ხელში მყოფს სასულიერო სემინარიაში.

მართლაც, მგონია ერც ერთს რუსეთის სემინარია-ში არ მიდის ისე ცუდათ, ისე უთავბოლოთ სწავლისა და სხვა ყველა საქმე, როგორც ამ ჩვენს სემინარიაში.

რამდენი დაიწერა ამაზედ ადგილობრივს გაზეთებ-ში. რამდენი უკანონობა აღნიშნეს ამ გაზეთებმა, რომე-ლიც სემინარიის მთავრობას ჩაუდენია, რამდენი გადაცდე-ნა დამტკიცებულს პროგრამმაზე, რამდენის შაგირდის ტყუილ-უბრალოთ გამოყრა და სხვა-და-სხვა. მაგრამ ჯერჯერობით, საუბედუროთ, არა გამოსულა რა...

ცხადათ იყო, შაგალითად, დამტკიცებული, რომ

რამდენიმე ყმაწვილი მხოლოთ იმიტომ გამოჰყარა სემინარიის მთავრობამ, რომ ქართულს წიგნებსა ანუ გაზეთებს ჰკითხულობდენ, ცხადათ იყო დამტკიცებული, რომ ყმაწვილებს დამპალ, აყროლებულ თევზს აჭმევდნენ, აყროლებულ, გაფუჭებულ, ჭიან პურს და მთელი დიდი მარხვის განმავლობაში მარტო ლობიოთი ბერავდნენ; გაზეთში გამოცხადებული იყო უფ. კუვშინსკის წიგნი მოწაფის შავლეევის ძმასთან მიწერილი, რომელშიაც იწერებოდა, რომ თქვენი ძმა უნიჭო არის, ვერ ბსწავლისო, მაგრამ მღვდლად ძალიან კარგათ გამოდგებაო! და ამავე დროს სემინარიის მთავრობისაგან მიცემულის მოწმობაში ნაჩვენები იყო, რომ ეს შაგირდი კარგათ სწავლობსო; ცხადათ დამტკიცებული იყო, რომ ქუჩაზედაც არ ასვენებს შაგირდებს, ყველგან დასდევს მათ, ქუჩაზე, ბულვარზე დაიჭერს, ჰყვირის, ურისხდება, სემინარიაში ან სახლში გაჰყრის და სხვ. და სხვა.

ყველა ეს იყო დამტკიცებული, საქვეყნოთ გამოცხადებული, მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, არა გამოვიდა-რა.

ახლა კი, თუ ეს ახალი რევიზორი უფ. გრიგორევსკი უფ. კურსკის გზას არ დაადგა და რაღაც ქართველების პარტიას, რომელიც ვითომ სემინარიაში და საზრგადოდ ჩვენს ქვეყანაში სუფევსო, არ დაუწყო უნაყოფოდ ძებნა, უეჭველია, ეს რევიზორი ყველა ამ უწესოებასა და, იქნება, ბევრს სხვასაც აღმოაჩენს.

ჩვენი ნატვრა ეს არის, რომ სასულიერო სემინარიის პროგრამმა სრულად და რიგიანად იყოს შესრულებული, ამ პროგრამმის შემდგენელს კარგად სცოდნია, რომ თფილისის სემინარიაში კურს-შესრულებულები ქართველი

ხალხის შოძღვარნი და გზის-მაჩვენებელნი უნდა შეიქმნენ და მაშასადამე ქართული უნდა იცოდნენ. ამის გამოც ქართულს ენას ადგილი აქვს ამ პროგამაში.

ჩვენი ნატვრა ეს არის, რომ სემინარიას ჯარგი, პატიოსანი გამგებელი ჰყავდეს, რომ სწავლის საქმეები რიგიანად წაიყვანოს და ცოტა კაცური ცხოვრებაც მიენიჭოს ბურსაში მყოფს პანსიონერებს.

ჩვენი ნატვრა, ერთის სიტყვით, ის ჯრის, რომ ამ ერთადერთს ჩვენს სასულიერო სემინარიაში უფრო თავიანად წაიყვანონ საქმეები და ამით აასრულებინონ იმას თავის მძიმე დანიშნულება.

იმედი გვაქვს, რომ ამ საქმის შესრულებას გაადვილებს ახალი რევიზორი თავის სინდისიანის მოქმედებით და პატიოსანის რევიზიით.

საუნივერსიტეტო სკოლაზედ

ბევრჯერ თქმულა, და ეს უთქმელადაც ცხადია, რომ ჩვენი ქვეყანა ყველაზე უმთავრესათ და ყველაზე უწინ მეურნეობის ქვეყანაა. შეიძლება ჩვენ, ქართველებმა, ვაჭრობაც დავიწყოთ, ქარხნები და ფაბრიკებიც გავმართოთ, მაგრამ თვითონ ხალხი ჩვენი მაინც მუდამ მეურნეობის მიმდევარი, მიწის შემმუშავებელი ხალხი იქნება. თვითონ ბუნებას, ისტორიულ ცხოვრებას მოუნიჭებია ჩვენთვის მეურნეობა.

მეურნეობიდამ უნდა მოველოდეთ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობას და წარმატებასა. ის ჯრის და ის უნდა იყოს შერთათერთი წყარო ჩვენი ცხოვრე-

ბისა. მიშასადამე იმაზე ამ მეურნეობაზე და მიწის შემუშავებაზე უნდა გვქონდეს ჩვენ უმთავრესი ყურადღება მიქცეული.

ასე უნდა იყოს, მაგრამ ნაცვლათ ამისა რას ვხედავთ?

ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ქართველი, თუ ცოტა რამ განათლება მიუღია, სტოვებს თავის ადგილ-მამულს, ბიწულსა წყალს და შედგს სამსახურში ან სხვა რამე საქმეს ჰკიდებს ხელს. რას ვამბობ განათლებულებზე, თვით გლეხიც ასე იქცევა: ისიც ყოველ წამს ოცნებობს, მიატოვოს თავისი მამული (თუ კი გააჩნია).

რისგან არის ეს? იმისაგან, რომ ჩვენი მეურნეობა ისევ იმავე მდგომარეობაშია, როგორც ჩვენი მამა-პაპების დროს ყოფილა, ისევ იმავე მიწას ვხნავთ, ისევ იმავე სამეურნეო იარაღებით, იმავე ხერხით, ერთის სიტყვით, ეს მეურნეობა ისევ ისე მიგვყავს, როგორც ჩვენ წინაპართ მიჰყავდათ, „მიწა „დაიღალა", იმას მოაკლდა ნაყოფიერება, იმის მესამედსაც ალარ გვაძლევს, რასაც ადრე გვაძლევდა. ალარ მოაქვს იმას ჩვენთვის საკმაო საზრდო და ჩვენც ვანებებთ იმას თავს და სხვა საქმეს ვკიდებთ ხელს; ეს სხვა საქმისაგან უფრო მომეტებულ სარგებლობის გამოგლებას მოველით.

მაგრამ ჩვენი უბედურობა ეს არის, რომ ვერც იმ სხვა საქმეში ვხედავთ ხეიბრს, ვერც ფიქედამ გვეძლევა მომეტებული ს ა ر გ ებ ლ ობ ა, და ჩვენი ადგილ-მამულიც უპატრონოთ გავერანებული და ბეუმეუშავებელი ჩრჩება.

ამ უკანასკნელ წელიწადებში რამდენიმე ჩვენებურმა ახალგაზდა ყმაწვილმა თითქოს შეისწავლეს სამზღვარგარეთ მეურნეობა და დაბრუნდენ თავის ქვეყა-

ნაში. მაგრამ იმათგან ჯერ-ჯერობით ჩვენ ქვეყანას არა-ვითარი ხეირი არ უნახავს. ყველა გულ-ხელ დაკრებილი დაბრძანებულა შინ და ამბობენ: — „ფულებით არა გვაქვს და უფულოთ არაფრის დაწყება არ შეგვიძლია.“

ბრაბვინარ ყადრულობს, რომ ჯერ პატარათი დაიწყოს, ცოტ-ცოტათი ეცადოს მეურნეობისა და ოჯახობის რიგიანს გზაზე დაყენება და ცოტ-ცოტათი შემოიღოს ის გაუმჯობესება, რაც ევროპის მეურნეობაშია, და ამნაირათ ჯურგი გაიმაგრეს. ყველას ერთბაშათ, უეცრათ ხელ-გაუნძრეველათ უნდა, რომ ერთმა დღიურმა მამულმა უეკველათ ათი თუმანი ნაღდი სარგებლობა მოუტანოს და ბოთლი ღვინო მანეთად გაასაღოს.

ეს არის ჩვენი უბედურება.

ამ განათლებულ მეუნეებისაგან ჩვენ იმდენ სარგებლობას არ მოველით, რამდენსაც ცოტა ნასწავლთაგან; ისევ პრაკტიკულათ მცოდნე მეოჯახეების ფიდი უნდა გვქონდეს, ისეფეების, რომელნიც ამ თავით პატარათი კმაყოფილდებიან და თვითონ მუშობენ თავის ხელით.

ამ გვარი პირების გაჩენა შეეძლო ჩვენში სამეურნეო სკოლებს.

მაგრამ გასაკვირველია, დასაფიქრებელი, როგორ არ არის, რომ კავკასიის აქეთა მხარეში, ამ მეურნეობის დედა-ქვეყანაში ანაც ერთი სამეურნეო სკოლა და სასწავლებელი არ არის. ერთი სკოლა იყო — ლოჭინისა, — ისიც დაბურესცდა ბლა ასულ უარარაოთ. დავრჩით

თუ ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც ამ-ვარი საქმეებისათვის ხაზინიდამ ბლომათ ეძლევა ფული, არ ზრუნავს ამისთვის, თუ ამას ეს სამი წელიწადია

ადგილიც კი ვერ ამოურჩევია სამეურნეო სკოლის გასახსნელათ, ჩვენ, ქართველი შეძლებული და განათლებული ხალხი, სადა ვართ? რატომ თვითონ არ ვზრუნავთ, რატომ თვითონ ჩვენ არ ვცდილობთ, რომ როგორმე მოვათავსოთ ეს ჩვენი ორსებითი საქმე და ორი სამეურნეო სკოლა მაინც გავმართოთ: ერთი ქუთაისს და მეორე თფილისის გუბერნიისათვის? ნუთუ მუდამ მთავრობას უნდა შევჩერებოდეთ ხელებში და ყველაფერს იმისაგან უნდა გამოველოდეთ?

ჩვენი ქალაქის რჩევა და გამგეობა

სულ უბრალო გარემოების წყალობით ჩვენი ქალაქის გამგეობას, ანუ უკეთ ვსთქვათ, ქალაქის თავსა და რჩევას შუა ასეთი უკმაოფილება მოხდა, რომ ქალაქის თავი უფ. დიმიტრი ყიფიანი კიწალამ იძულებული შეიქნა, თავის თანამდებობისათვის თავი დანებებინა.

საქმე ისაა, რომ გასულ ოქტომბერის სხდომაზე, 30 ოკტომბერს, როდესაც ზოგიერთ კერძო პირებისაგან ქალაქის მამულების მითვისებაზე იყო სჯა, უფ. ხმოვანი ალადათოვი ორჯერ გაუჩერებია თავმჯდომარეს, ორჯერ უთქვამს იმისთვის, რომ თქვენ არ გაძლევთ სიტყვის უფლებას და თუ არ დაჩუმდებით, მე იძულებული შევიქნები, რომ სხდომა დავხუროვო; მაგრამ ხსენებული ხმოვანი მესამედ წამომდგარა რაღაცის სათქმელად და ამ დროს თავმჯდომარე მოთმინებიდან გამოსულა და თა-

ვის მუქარა ყიდეც აუსრულებია: გამოუცხადებია კრებას ავხურავო, ამდგარა დათგამოსული კრებიდამ.

აი, ამ გარემოების თპობაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი ქალაქის რჩევის გუშინდელს სხდომაზე, ქალაქის თავი თხოულობდა, რომ რადგან ხმოვანმა უფ. სტ. ალადათოვმა დაარღვია კრების წესიერება, ამის გამო, ქალაქის წესდების მე-69 მუხლის ძალით, ის უნდა დაისაჯოს შენიშვნის მიცემით და 3—7 დღით კრებიდან გამორრიცხვითაო.

მთელმა რჩევამ თითქმის ერთხმად გამოაცხადა: უარი ქალაქის თავის ამ წინადადებაზე. ყველა ამბობდა, რომ მართალია, უფ. ალადათოვმა დაარღვია წესიერება, მაგრამ ეს დარღვევა ისეთი არ იყო, რომ ამისთვის იმას რაიმე სასჯელი მივაყენოთ.

რასაკვირველია, ქალაქის თავს არ ეჭაშნიკა ამგვარი გადაწყვეტილება რჩევისა და გაცხარებულის, აღელვებულის ხმით გამოაცხადა, რომ ის წინამღმდეგია ამ განაჩენისა და იძულებულია ეს გარემოება უმაღლესს მთავრობას მოახსენოსო...

ეს გახლავთ გუშინდელი „ისტორია“ ქალაქის რჩევისა.

ადრეც ჩანდა უკმაყოფილება ქალაქის რჩევას და გამგეობას შუა; ადრეც ხშირად გვინახავს კინკლაობა ამ ორ უფლებას შუა; მაგრამ ამ უკანასკნელმა უბრალო მიზეზისაგან წარმომდგარმა გარემოებამ ცხადად, აშკარად დაუმტკიცა ყველას, რომ ამათ შორის ისეთი განხეთქილება ყოფილა, რომ, ცხადია, ამათ აღარ შეუძლიანთ ერთსა და იმავე საქმის წაყვანა, ერთის საქმისათვის სამსახურში

ჩვენ არ ვიცით—რისთვის ემდურიან ეს ჩვენი რჩევა და გამგეობა ერთმანეთს; არ ვიცით, რა მიზეზისაგან წარმოსდგა ამათ შუა განხეთქილება.

მაგრამ ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ არის ერთი ვინმე, რომელიც ორივეს—გამგეობასაც და რჩევასაც თანასწორად და ერთნაირად ემდურის, რომელიც ორივეზედ ერთნაირს უკმაყოფილებას აცხადებს: ეს არის ამომრჩევლები ქალაქისა, საზოგადოება, მთელი ქალაქი თფილისი.

ეს ამომრჩევლები ორივეს მალე გადძეებენ, ორთავეს შესახებ გამოსთქვამენ მალე თავის აზრს, ჩვენის აზრით, ახლანდელ ქალაქის რჩევასა და გამგეობის წევრებს არაფერი არა აქვთ ერთმანეთში დასამდურებული და საუკმაყოფილო; თუ ვისმე აქვს, ოქვს ქალაქსი, რომელიც მოტყუებული შეიქნა თავის დანდობაში და იმედებში.

ომომავალ ქრისტეშობისთვეში იქნება ახალი ამორჩევა, როგორც ქალაქის რჩევისა (ხმოვანებიც), აგრეთვე თვით გამგეობის წევრებისა; ჩვენ დარწმუნებული ვარ, რომ ერთხელ მოტყუებული ამომრჩევლები ალარ დაენდობიან ეიდევ თავიანთ ახლანდელ დეპუტატებს, და სულ თუ არა, მომეტებულს ნაწილს მაინც ახალ პირებს ამოირჩევენ ხმოვანებად, და ეს ახალი ხმოვანებიც თავის მხრით ახალ წევრებს ამოირჩევენ გამგეობაში.....

ამას გარდა, გასულ სხდომაზე, კიდევ ერთი ტკბ გამოაშკარავდა, ის, რომ გასული სამი წლის განმავლობაში, ეს ... მსჯავრ ექნეთ, რაც ეს რჩევა და გამგეობა დაარსდა, ხშირად მომხდარა, იმგვარი უწესობა, როგორიც მოახდინა უფ. ხმოვანმა ალადათოვმა; ხშირად მომხდარა, რომ ხმოვანები ერთსა და იმავე საგანზე სა-

მჯერ-ოთხჯერ ჩამეორებდენ, ღეჭდენ-ოცოხნიდნენ-ფავი-ანთ აზრს.

რისგან იყო ესე? იმისაგან, რომ ჩვენი ხმოვანები ხეირიანად ვერ ლაპარაკობდენ რუსულად, იმისაგან, რომ მოკლე მკაფიო სიტყვით იმათ ვერ გამოუთქვამენ, რაც გულზე აწევთ და რაც თავში აქვთ; თავში იქნება აზრი აქვთ, მაგრამ ენაზე არ იციან, ვერ მოუხერხებიათ ორგანიანად ლაპარაკი. ეს აქედან წარმოსდგება ხოლმე, ის ტარემოება და ღეჭა სიტყვისა, რამდენჯერმე დაბრუნებულ ერთი და იმავე საგნისაკენ და ამის გამო საქმეების განხილვის დაგვიანება; აქედან წარმოსდგება, რომ სხდომისათვის ხშირად 12—15 საგანია განსახილველად დანიშნული, მაგრამ თითო სხდომაზე ორი-სამ საგნის მეტი ვერ გაურჩევიათ, ეიფერ-ოგადაუწყვეტლათ.

ამედი უნდა ვიქონიოთ, რომ შომაგალ-ახალი რჩევა ქალაქისათვის დაბრკოლებისაც მოსპობს; ის არ ითაკვლებს, როდესაც ქართველი, რომელსაც არ ემარჯვება რუსულად ლაპარაკი, პირდაპირ თავის სამშობლო ქართულს ენაზე გამოთქვამს თავის აზრს, მოკლედ, ცხადად და გასაგებად და სომხები სომხურად.

სილნალის არეულობის მიზეზი

ოდესაც პირველად გავრცელდა ჩვენში ხმა, რომ სილნალის უეზდში არეულობა მოხდაო, ორბელიანს, უეზდის უფროსს, პროკურორსა და სხვებს შეურაცხყოფა მიაყენესო და სხვ., ბევრს არ სჯეროდა ეს ამბავი.

არ სჯეროდათ, რადგან იცოდენ, რომ ჩვენი ხალხი, ერთ დროს, მართალია, ამაყი, ახლა ერთლობ მორჩილი შეიქნა. ვერ წარმოედგინათ, ამისთანა უწესობას, ამისთანა „მმართებლობის წინააღმდეგობასო“ როგორ გაბედავდენ ქართველებიო.

მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ ისინი სცთებოდენ: სინანულის არეულობა და მთავრობის წარმომადგენელი პირების შეურაცხყოფა ხალხისაგან ნამდვილი, მართალი ამბავი გამოდგა.

და ისეთი მიზეზებიც ყოფილა, რომ იმათგან წარმომდგარ ხალხის გაბრაზებას და უკანონო მოქმედებას ადვილათ მიხვთება და გაიგებს კაცი.

მგონი, თვე არ გავიდოდა ისე, რომ ჩვენსა და სხვა ადგილობრივ გაზეთებში არ ყოფილიყო დაბეჭდილი კახეთიდამ მიღებული ეორრესპონდენციები, რომელთა ავტორები ერთ-ხმათ იუწყებოდენ, რომ ცუდის მოსავლის წყალობით დაღარიბებული და შეწუხებული ხალხი კიდევ უფრო მეტს შეწუხებაში და ტანჯვაში არის სოფლის მამასახლისებისა და ადმინისტრაციის წვრილ ჩინოვნიკებისაგანო. უკანასკნელს ტყავს აძრობენ, ვისაც ჩაიგდებენ ხელშიო, ვისაც ქრთამის მიცემა არ შეუძლიაო, ვინც როგორმე ვერ მოისყიდის ამათაო.

— რატომ არ სჩივოდით თქვენს შემწუხებლებზედაო? ჰკითხა სამხედრო სასამართლოს თავსმჯდომარემ ერთს ბრალდებულს გლეხს

— ვისთან ვიჩივლებდით, შენ ჰირიმე?.. ზენა ერთხელ ვიჩივლეთ? მაგრამ ყოველთვის ჩვენვე გამოვდიოდით მტყვნი და კლიაჩზნს ხალხს გვეძახდენ!

ამ პასუხში გამოიხატება გასამართლებელი მიზეზი არეულობის მომხდენთა: რასაკვირველია, დიდი, ძალიან დიდი უკანონობა ჩაიდინეს სიღნაღის უეზდის გლეხებმა, რომ ასე უმოწყალოთ, ასე შეუბრალებელათ სცემეს ყველა ბრალიან და უბრალო ჩინოვნიკს, რომელნიც ხელში მოხვდათ ნ ივლისს ბაკურ-ციხეში. ამისთვის კიდეც ჯეროვანი სასჯელი გარდახდათ, მაგრამ იმათი მდგომარეობაც წარმოიდგინეთ: ყოველის მხრით სცარცვენ, აწვალებენ, უკანონობას, უსამართლოებას ხედავენ; ხედავენ, რომ მდიდარი განთავისუფლებულია ყველა გადასახადისაგან და ღარიბს კი თავის და სხვისი ტვირთი აწვება კისერზე; — ყველა ამას ხედავენ, სჩივიან, სამართალი არ ეძლევათ, და ფატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი, შეიძლებოდა, გაბრაზებულიყო და როგორც ყველა გაბრაზებულს, ბევრი უკანონო მოქმედება ჩაედინა?!.

თვითონ სამხედრო პროკურორმა სთქვა თავის გამამტყუნებელ სიტყვაში:

„...აბნაირათ ცხადია, რომ ხალხის არეულობის მიზეზი ყოფილა ის ბოროტ-მოქმედება, რომელიც, მოხელეებს ჩაუდენიათ ხარ-კამეჩით ბეგარაზე გაწვევის და მილიციონერების აკრების დროს...“

ერთმა ბრალდებულმა გლეხმა ამავე სამხედრო სასამართლოში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები სთქვა:

„თხუთმეტი წლის განმავლობაში იმისთანა მოსავალი არ გვქონია, როგორც შარშან იყო. და ამისთანა დროს მოგვადგენ ბეგარაზე გასაყვანათ! ღარიბებს, რომელთაც ქრთამის მიცემა არ შეგვეძლო, ხარ-კამეჩებს

გვარეთმევდენ; მდიდრებს კი არც ბეგარაზე აწუხებდენ და იმათგან არც სამილიციო ხალხი
აუყვანიათ... — განა ეს სამართალია?“

უფ. ხოსროევის ჩვენებით, ხალხი ყვიროდა: „გვაცალეთ ჯერ მოსავალის მოწევა, რომ ხარჯს გადახდა შევიძლოთ, და მერე, თუ რაეს-ხელმწიფე გვიბრძანებს, ყველანი სათითაოდ გაგვალეთ ხელაშქროდ!

აი, ამგვარს გარემოებებში ჩავარდნილ ხალხმა, ასე შეეიწროებულმა მოახდინა ჩხუბი საქმე, რომლისთვისაც სასტიკათ იყვნენ დასჯილნი.

კანონმა, რასაკვირველია, დასაჯა ისინი; მაგრამ ამ შემთხვევამ ეარგათ უნდა ჩაეფიქროს ის, ვისაც მინდობილი აქვს ხალხის ბედზედ ზრუნვა. და ამ ჩაფიქრებიდამ, უეჭველია, ერთს დასკვნას გამოიყვანს:

თუ გვინდა, რომ ხალხი ამგვარ შემთხვევასა და უბედურებას ავაცილოთ შემდეგში, უნდა მოვსპოთ ის მიზეზები, რომლების წყალობით თვითონ ეს შემთხვევა დაიბადა; უნდა მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ხალხის გამგეობას, იმ პირთ, იმ მოხელეთ მოქმედებას, რომელნიც ყველაზე უფრო ახლო დგანან ხალხთან...

მ ა ს ლ ა ა თ ი

მასლაათის შეწყვეტის მიზეზი.—ომი გარეთ და ომი შიგნით. მთავარ-სარდალი შიგნითი ბრძოლისა.—ნ. ნიკოლაძე და იმის „ობზორი“.— რას ვფიქრობდით იმაზე სამი წლის წინათ?—იმის ახალი ხასიათები.—მხნეობ ს მიზეზი.—მანერა პოლემიკისა.— კატა როგორც უნდა გადააგდო, ფეხზე დადგება.— შედარება პოლ დეკასსანიაკისა და ნ. ნიკოლაძისა.— გაფრთხილება.

ბევრმა მღვრია და სუფთა წყალმა ჩაიარა, ბევრი მიქელა მოკვდა და ბევრიც დაიბადა მას აქეთ, რაც უკანასკნელათ ვემასლაათებოდი ჩემს მკითხველს.

ბევრი უმანკო და მანკიანი სისხლი დაიღვარა, ბევრი ფუთი თოფის-წამალი დაიხარჯა, ბევრი ჩხუბი, ბრძოლა დავი-დარაბა გამოვიარეთ მას აქეთ, ბევრი ზარბაზნის ზუზუნი გავიგონეთ, ბევრი ხმლის ტრიალი დავინახეთ...

ვის ჰქონდა ჩვენი მასლაათის სმენის თავი ამისთანა დროში? ჩვენს ტკბილ ტიტინს ვინ მოისმენდა, როდესაც ყურები ყველას კრუპის ზარბაზნის ზუილით ჰქონდა გაჭედილი, თვალები დაბრმავებული მოელვარე იარაღების ქნევითა და გონება დახშობილი ადამიანის ხოცვა-ჟლეტითა და სისხლის ნაკადულითა, რომელიც ორის მხრით ჩადიოდა შავს ზღვაში!...

ბრძოლა გათავდა. დამყარდა შშვიდობიანობა. მართალია, როგორც ახალ წლის ნაშუალამევის შემდეგ, გათენებისასაც მოისმის ხოლმე აქა-იქ თოფის სროლა, ისე ახლაც კიდევ თითო-ოროლა თოფი გავარდება; მაგრამ ეს არის მხოლოდ უკანასკნელი სულის-ლაფვა, უკანასკნელი ნიშნები გავლილის ბრძოლისა, დამშვიდებული

არე-მარესი. ვინ იცის, ამ სისხლის ღვრას იქნება მალე ახალი ახალ-წელიწადი დაუდგეს. იქნება მალე ახალი ჭახა-ჭუხი და ჩახა-ჩუხი გაჩნდეს,—ყველაფერი შესაძლებელია ამ ცოდვიან დედა მიწაზე და ახლანდელ დაუდეგარ დროში; მაგრამ ახლა კი ბრძოლა მაინც გათავებულათ ითვლება!...

მაშ ეგრე; რადგან მშვიდობიანობაც და გონება, ყურები და თვალები შესვენებული გვაქვს, იქნება ახლა მომაპყრას ყური ჩემმა მკითხველმა და სხვა რამე გამიგონოს.

არც ისეთს საგანზე გადავალ, რომელიც მაინცა-და-მაინც ბრძოლაზე, ბრძოლის ველზე, შეტაკებაზე და სისხლის ღვრაზე ერთობ მოშორებული იყვეს..

აქაც ბრძოლა იქნება, აქაც იქნება ბრძოლის ველი, შეტაკება და ღვრა, თუმცა არა სისხლისა.

მე მოგახსენებთ იმ გაუწყნარებელ ბრძოლაზე, რომელიც გარეგანი ომის შემდეგ, ატეხილია შიგნით, ჩვენში, და რომლის მთავარ-სარდლათ ითვლება უფ. ნ. ი. ნიკოლაძე, ბრძოლის ველათ—იმის გაზეთი „ობზორი“ და როდესაც უმანკო სისხლის ღვრის მაგივრათ ჩვენ ვხედავთ შეუბრალებლათ ღვრას ალიზარინის უმანკო მელინისას, მოელვარე ხრმლის მაგიერ წამწვეთებულ კალმის წვერს, ვხედავთ მსხვერპლებს—გაკაწრულებს, დაჭრილებს და ტალახში ამოსვრილებს!..

პირველი ადგილი ამ შინაგან ბრძოლაში, როგორც მოგახსენეთ, უფ. ნიკოლაძეს და იმის „ობზორს“ ეკუთვნის.

ამ სამი წლის წინათ, მაისში 1876 წელს, როდესაც ქვემორე ამისა ხელის მომწერელი თავის მეგობრათ

და ხავის ბანაკის კაცათ სთვლიდა უფ. ნიკოლაძეს, მან შემდეგი სიტყვებით გამოხატა ამ კაცის ხასიათი:

„ერთმა გამოჩენილმა რუსის მწერალმა სთქვა ნ. ნიკოლაძეზე, რომ ვეფხვს ჰგავსო, მაგრამ ამ ვეფხვს ძარღვებში, სისხლის მაგიერ, რძე უდგასო.

„თუმცა ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ვეფხვობა მაინცა-და-მაინც დიდი არაფერია, მაგრამ ნ. ნიკოლაძეს ვეფხვობამდინ ჯერ ბევრი აკლია. ამ შედარებაში მართალი მხოლოდ ერთია: როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხვი არასოდეს არ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთს კედელს შეახტება და ხან მეორეს, სწორედ ისე ნ. ნიკოლაძე მოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათის კაცია. მუდამ მოწინააღმდეგეს ეძებს, კბილებს ილესავს, თითქო განგებ უნდა მტერი გაიჩინოს საბრძოლველათაო და თუ ვინმე გამოაგდო ასპარეზზე, აღტაცებაშია, ნამდვილად მხოლოდ მაშინ ცოცხლობს.

„ჩხუბი, ბაასი, ბრძოლა ისეთს საჭიროებას შეადგენს იმისთვის, როგორც წყალი თევზისათვის...“

ამ აზრის ვიყავით ჩვენ უფ. ნიკოლაძეზე ამ სამი წლის წინათ.

მას აქეთ იმან გაიჩინა თავის საკუთარი გაზეთი (ანუ „საკუთარი დუქანი“, როგორც თვითონ ამბობს) და ზოგიერთი წვრილმანი ნაკლულევანება იმის ხასიათისა ისე აშკარად გამოჩნდა, ისე გაიზარდა, რომ ეს ვეფხვი კატათ იქცა...

უმთავრესი თვისება იმის ხასიათისა—ბრძოლის წყურვილი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ახლაც დარჩა. მაგრამ მაგიერათ ამასთან ერთი რამეც შეიძინა: იარაღის

დაუდევნელობა თავის მოწინააღმდეგის დასამარცხებლად პაწაწინა კლანჭებით ყველას კაწვრა.

ყოველ იარაღს იხმარს, არავითარ საშუალებას არ დასდევს, თუ კი, დარწმუნებულია, რომ ეს იარაღი და საშუალება მტრის დასამარცხებლად გამოადგება. ლანძღვა, გინება, შენი სიტყვების გადასხვაფერება, ბრძოლის ველიდამ გადახტომა, ცილის-წამება, — ყველაფერი გამოსადეგია იმისთვის, თუ კი შეგეტაკა

„სულელო!“ „იდიოტო!“ „კბილებს ამოგამტვრევს!“ „ყბას დაგილეწავს!“ „უსინიდისო!“ „მახინჯო!“ „ტყავზე დაგწერ!“ „ერთის ხელის მოქნევით გაგაქრობ!“ „გაგანადგურებ!“ „ბრიყვო!“ „უმეცარო!“ და სხვა ამისთანა სიტყვები ათასი ერთ გროშად ულირს!

განსაკუთრებით მხნეა უფ. ნიკოლაძე როდესაც, ჰხედავს, რომ მის სიტყვებს მოწინააღმდეგეზე რაიმე გავლენა აქვს. ორ მაგალითს მოგიყვანთ: სანამ არ შეიტყო, რომ იმის სიტყვებს უფ. ბ. ლოლობერიძის ნერვებზე ცუდი გავლენა აქვს, მანამ ხან-და-ხან გადაჰკრავდა ხოლმე ქუთაისის ბანკს. მაგრამ უთხრეს თუ არა (მართალი თუ ტყუილი—არ ვიცით), რომ ბ. ლოლობერიძე ავათ გახდა იმის სტატიებისაგან, რომ იმას ღამე აღარ აქვს ძილიო,—მოუხშირა და მოუხშირა ლანძღვა და რაც ლონე ჰქონდა, უნდოდა ტალახში ამოესვარა. მეორე სწორეთ ამისთანა მიგალითს წარმოადგენს უფ. ი. გოგებაშვილი, რომელსაც უიმისოთაც დასუსტებული ნერვები აქვს და რომლის ერთ ღამის ძილის გატეხა უფ. ნიკოლაძეს ასე ახარებდა, რომ ბოლოს ბავშს საღდგომო კვერცხი გაეხარდება.

დამეთანხმეთ, რომ ეს გმირის ხასიათი არ არის.

მაგრამ ამაზე უარესი იარაღების ხმარება იცის ჩვენ-
შა რჯინდლა თავის მტრის წინააღმდეგ:

სანამ შენ იმის მეგობარი ხარ, სანამ იმის ნაწერი
და ყოფა-ქცევა მოგწონს, შენზე უკეთილშობილესი,
შენზე უჭკუესი და უპატიოსნესი კაცი დედამიწაზე არ
მოიპოვება. მაგრამ გასწყრა ღმერთი, და ერთი რამ მცი-
რედი ნაკლულევანება შეამჩნიე, რომელიმე იმის კეთილ
ან მოქმედება არ მოიწონე,—

იმ წამსვე სულელიც შეიქენი, ბრიყვიც, უპატიოს-
ნო და უსინდისოც!

გუშინ სთქვა, თუნდა ბუჭდვითაც, რომ შენ კეთილი
კაცი ხარ, რომ შენ ქვეყნისთვის სასარგებლო მო-
ქალაქე ხარ, რომ შენს მოქმედებაში კაცი ლაქას ვერ
ნახავს.

დღეს შენ გაბედე იმის გაჯავრება? შენისთანა
შავნებელი ადამიანი დედა-მიწაზე არ დაბადებულა! შე-
ნისთანა ბრიყვი სანთლით არ მოძებნება! შენს ცხოვრე-
ბაში ერთი იოტი პატიოსნება არ მოიპოვება! შენი მო-
ქმედება ბოროტი მოქმედებაა! სულელი ხარ! გაგაქრობ
დედა-მიწის ზურგიდამ!

იყო დრო, როდესაც ვფიქრობდი, რომ უფ ნიკო-
ლაძეს შეეძლო საქმის გაკეთება საქმის გაკეთებისათვის
და სხვა რაიმე მიდრეკილებით.

წავიდა ის დრო. „ობზორის“ გამოცემამ და ამ უკა-
ნასკნელი წლის იმის ლიტერატურულ მოქმედებამ და-
მარწმუნა, რომ ერთათ-ერთი აღმძვრელი ძალა იმის მო-
ქმედებისა და მწერლობისა ის-კი არ არის, რომ ამ მო-
ქმედებით და წერილით ქვეყანას რამე სარგებლობა
მოუტანოს ანუ რაიმე კეთილ მიზანს მიაღწიოს.

არა. იმის მწერლობისა და მოქმედების აღმძვრელი ძალა არის მხოლოთ წვრილმანი, ბავშური თავმოყვარეობა და პატივ-მოყვარეობა.

ოღონდ-კი აქე, ოღონდ-კი მოიწონე ის, ოღონდ ქვეყანა აალაპარაკოს, და ყირაზე ივლის სახალხოთ; ვინც უნდა იყო, რა ზნეობისა და მიმართულობისაც უნდა იყო, რაგინდ მავნებელი და მტერი იყო ქვეყნისა, თუ-კი ის მოგწონს, თუ-კი ტკბილი სიტყვა უთხარი რომელისამე იმის ნაწერის შესახებ, შენისთანა გონიერი, შენისთანა სასარგებლო კაცი არ გაჩენილა და არც გაჩნდება! პატივის-მცემელი ეჭირვება, ეჭირვება ხალხი, რომელიც იმაზე ლაპარაკობდეს, იმას ადიდებდეს. — ამისთვის თავის სიცოცხლეს გასწირავს, ფეხ-ქვეშ გაგიგორდება, ათას საძაგლობას ჩაიდენს, ბრიყულ უპატიოსნო აზრებს გამოთქვამს, მტერს გაუმეგობრდება და მეგობარს სასიკვდილოთ გადაემტერება.

დღეს ერთს იტყვის, ხვალ მეორეს; დღეს ღმერთს უმსახურება, ხვალ ტარტაროზს; რაც დღეს მოსწონდა, ხვალ საძაგელია,—ყველა ეს წამზე, გუნებაზედ, პირველ შთაბეჭდილებაზედ არის დამოკიდებული, იმაზედ, თუ როგორ შეეხეთ თქვენ იმის პატივ-მოყვარეობას.

პრინციპები, ერთხელვე გაკვალული გზა, დამჯდარი რწმუნებანი არ არსებობს იმისთვის: როგორც იმის პატივ-მოყვარეობას მოუხთება, ისე სწერს, ისე მოქმედობს...

იმის იმერული კუდაბზიკობა და კვეხნა-ტრაბახობა საარაკოთ არის გადაქცეული. რომ ჰკითხო, ერთ დღეს შეუძლია გაგაქრეს დედა-მიწის ზურგიდამ და თუ მოინდომა, მეორე დღეს ისევ ცამდი აგამაღლებს. მწერლო-

ბაში ბიორნესთვის, ლესსინგისთვის, დობროლიუბოვისთვის შეუდარებია თავის თავი, ნიჭი და ცოდნა! იმის აზრით, ქვეყანა ძრწის იმის შიშისაგან, ერთის კალმის მოსმით მთას ბარათ აქცევს, ბარს მთათ, „უწყლოსა წყალს ადენს,“ ზღვას დააშრობს?

ვსთქვათ, დაიჭირე რჯსმეში: ბეჭდვით სიცრუე წარმოსთქვა, ან ურიგო აზრი, ან მისის სიტყვებითვე გაამტყუნე, ერთის სიტყვით შიამწყვდიე კედელთან და დაადგე ძირს; — როგორ გგონია დაგემორჩილება თუ? სულაც არა, კატასავით წაშოხტება ზეზე და უ-პირისწყლობ, აშარ-დედაკაცივით მოგვარდება პირში და გეტყვის:

— „მეც შაგას არ ვამტკიცებდიო?“ ან კიდევ სულ სხვა საგანზე დაგიწყებს ბაასს!

გამოგვიჭედა ყურები, რომ მე- არასოდეს არავის პირადობაზე არ მილაპარაკნია ბეჭდვითო, და თუ სადმე მონახავთ პირად შეხებას ჩემს მწერლობაში, უმეცარი, უსინიდისო მწერალი და სხვა, რაც გერჩიოთ, ის დამიძახეთო.

„თფილისის მოამბემ“ ერთის მაგიერ, ხუთი წარმოუდგინა იმას ამისთანა მაგალითი.

როგორ გგონიათ, გატყდა ანუ ალიარა თავისთაჭი იმ სახელების დარქმევის ღირსათ, რაც ორი დღის წინათ იხმარა? სულაც არა.—კარგი შენიშვნა იყო ჩვენზე „თფილისის მოამბეში,“ „ნეტავი მუდამ ამისთანა სტატიებს გვიწერდენ ჩვენი მოწინააღმდეგეებიო!“ სთქვა და მორჩა.

ერთი ნიკოლაძისთანა მწერალი ვიცით ჩვენ საფრანგეთის ლიტერატურაში: უფ. პოლ-დე-კასსანიაკი.

მთელს თავის სიცოცხლეს ის თავის მოწინააღმდეგების ლანძღვა-გინებაში ატარებს. იმისთანა მოხთენილი, გემოიანი გინება კაცმა არ იცის.

პირველათ იმის სიტყვა ლახვარივით ესობოდა მოწინააღმდეგეს და ამ დროს იყო, რომ იმას ფიქრის მუდამ თვე დუელები ჰქონდა.

მაგრამ გავიდა დრო და ამ გინებით ისე მოაბეზრა ყველას თავი, იმის მოწინააღმდეგეთ ისე მიაჩვიეს ყურები იმის გინებას, რომ ახლა როგორც ძაღლის ყეფას არ უგდებს კაცი ყურს, ისე იმის საშინელ გინებასა და უშვერ სიტყვებს...

უ. ნ. ნიკოლაძეს ჯერ ეს დღე არ დადგომია. მაგრამ თუ არ გაუფრთხილდა, უეჭველია, ძაღლის ყეფასავით არაფრათ ჩააგდებენ იმის წამ-და-უწყმ გინებას.

და მაშინ რაღა დარჩება? რაღა დარჩება იმ კაცს, რომელსაც მაგარი სიტყვების მეტი „უზურში“ ბევრი არა გააჩნია—რა?!

ამისთანაა ის კაცი, რომელიც შემჩნეულ ლიტერატორათ ითვლება კავკასიაში.

როგორ არა ვსთქვათ, რომ ის ლიტერატურა, რომელშიაც ამისთანა მწერლები შემჩნეულ ლიტერატორებათ ითვლებიან, ღარიბი და საწყალი ლიტერატურაა!

ქალაქის ყენჭის-ყრა

დღეს, სამშაბათს, იქნება ყენჭის-ყრა ქალაქისა, დღეს პირველი ხარისხის ამომრჩეველთა უნდა ამოირჩენ 24 ხმოვანი—ქალაქის წარმომადგენელნი. 15-ს იქნება

ენ ჭის ყრა მაორე ბარისხინ ამომრჩეველთა და 18-ს— შესამესი.

მთელი გავლილი ოთხი წლის განმავლობაში მუდამ ღღე, მუდამ წამს ვჩიოდით, ყველაფერში ვემდუროდით ახლანდელ ქალაქის რჩევას (დუმას) და იმისგან ამორჩეულ გამგეობას (უპრავას), ვემდუროდით და ვჩიოდით, რომ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობასაო, ქალაქის ინტერესებზედ არა ზრუნავენო, ხალხის გაჭირვების შეასამსუბუქებლად თითსაც არ ანძრევენო, ქალაქის შემატებას და გამშვენიერებას არ ფიქრობენო და სხვ. და სხვ.

ახლა გამოგვაჩნდება, თუ რამდენათ გულ-წრფელი იყო ჩვენი საჩივარი: თუ მართლა ვემდურით ახლანდელ რჩევასა და გამგეობასა, უეჭველია, ამათ ხელ-მეორედ ალარ მივმართავთ კიდევ.

ჩვენს ბედზე საზრუნველად, ხელ-მეორედ ალარ ამოვირჩევთ ხმოვანებათ იმ პირთა, რომელთაც გავლილ ოთხი წლის სამსახურიან დაგვიმტკიცეს, რომ ქალაქის სარგებლობა და თავიანთს ამომრჩევლებზე ზრუნვა იმათ ფეხებზე ჰკიდიათ.

ყველაფერი ამ ჭენჭის-ყრაზედ არის დამოკიდებული: თუ ხეირიან კაცებს ამოვარჩევთ ხმოვანებად, კარგი რჩევა გვეყოლება და ეს კარგი რჩევა, უეჭველია, რიგიან გამგეობას, რიგიანს ქალაქის თავს და იმის თანაშემწეებს ამოირჩევს. მაშინ ქალაქის საქმეებიც კარგად წავა.

თუ არა—და ბრალი თქვენი, ბრალი ქალაქის! არჩევის ალარ უნდა დავემდურეთ, ჩვენვე ვიქნებით დამნაშავენი, თუ შემდეგშიაც ისე უხეიროთ წავიდა ჩვენი თვით-მმართველობის საქმე, როგორც გავლილი ოთხი წლის განმავლობაში მიდიოდა.

ერთი უბედურება გვჭირს: მაინც-და-მაინც გამოჩენილს, მდიდარს ხალხს ვეძებთ; თითქო გვგონია, რომ, თუ არ შეძლებული, თუ არა ფულიანი კაცი, ისე ვერავინ გაარიგებს საქმეს, ისე ვერავინ მოახერხებს ჩვენს წარმომადგენლობას, თითქო თუ ფულიანი კაცია, უეჭველად ჭკუიანიც და პატიოსანიც უნდა იყოსო.

ეს ძალიან შემცდარი, ძალიან მავნებელი აზრია. ცხოვრებაში თითქმის მუდამ ამის წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ: რაც უფრო მდიდარია კაცი, ის უფრო ნაკლებად ზრუნავს ხოლმე სხვებზე, ღარიბებზე, საზოგადო სარგებლობის მოტანაზე; პირიქით, ღარიბი კაცი უფრო ადვილად გაიგებს და უფრო მალე თანაუგრძნობს თავისთანავე ღარიბ ხალხს და უფრო გულითაც ეცდება იმათ გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქებას, საზოგადო სიკეთის მოტანას.

ასს მდიდარში ერთს ვერ ნახავთ ჩვენში, რომ ჭკუითა და პატიოსანის სახსრებით და ღონის-ძიებით შეეძინოს თავისი სიმდიდრე, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენებური მდიდრები თითქმის ყველა ხალხის მოტყუებით, გაიძვერობით, ქრთამის შემწეობით და სხვა ამისთანა ოინებისა და ხერხის წყალობით გამდიდრებულან. და ამისთანა ხალხს ვირჩევთ ხოლმე წინამძღოლებად, წარმომადგენლებად! იმისთანა ხალხს ვირჩევთ, რომელთაც ადამიანის უბედურებისა და გაჭირვებისფვის გული გაქვავებული აქვთ, რომელთაც საზოგადო ინტერესი თავის საკუთარი ჯიბის ინტერესათ მიაჩნიათ, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი და სურვილი აქვთ ცხოვრებაში—რა საშუალებითაც, რა ღონის-ძიებითაც იქნება, მოიპოვონ სიმდიდრე.

ამისთანა ხალხს ვირჩევთ და შემდეგ, როცა ამათ ტკბილად სძინავთ, როცა ესენი იმდენად ზრუნავენ ქალაქის ღარიბ ხალხზე და გაჭირვებაზე, რამდენადაც ჩვენ ახლა შარშანდელის თოვლზე ვზრუნავთ, მაშინ ვწყრებით, ვჩივით, ვემდურით ამათ და საყვედურს უცხადებთ!

ჩვენს თავს უნდა ვემდუროდეთ, ჩვენს თავს უნდა უწყრებოდეთ და არა ამათ! ჩვენვე ვართ დამნაშავენი: რად ამოვირჩიეთ ესენი ისეთი საქმის გასარიგებლად, რომელიც გროშათ არ მიაჩნიათ?! რად დავისვით კისერზე? რად მივანდეთ ამათ ჩვენი ბედი და ჩვენ საჭიროებაზე ზრუნვა?!

გამოცდილება ამიტომ არის კარგი, რომ ჭკუას ასწავლის კაცს. ერთხელ ვსცადეთ ამგვარი ხალხი და კარგად დავრწმუნდით, რომ არ გამოგვადგენ.

ვნახოთ ახლა, ვისწავლეთ ჩვენ ჭკუა, თუ არა? ვნახოთ, მივაგნებთ ჩვენ ახალს ხალხს, საზოგადო სარგებლობისათვის გულშემატკივარ და უანგაროთ ქალაქისათვის მზრუნველ ხალხს, თუ არა?

მოვნახავთ, მოვიგონებთ ამისთანა ხალხს—კარგი; არა, და შემდეგში ჩვენვე ვიკითხოთ, ჩვენვე ვირტყათ შუბლში ხელი...

მ ა ს ლ ა ა თ ი

საგანი მასლაათისა: — როგორ ირჩევენ საბ-ზღვარ გარეთ თავიანთ წარმომადგენელებს? — ჩვენში? — განსხვავება — ნიმუშები შესხმისა. — გა-რეგნობას ვუყურებთ. — შედარება მეკენჭეთ რიცხვისა და ხმოვანებისა. — მდიდარი და ღარიბი მეკენჭე: ი. მ. მირზოევი: და დარჩო: ათაბაგოვი. — ჩემი მეგობრის აზრი ქალაქის თავის კანდიდატებზედ: დ. ყ ფიანზედ, იაზ. თუმანოვზედ, მიხ. ალიხანოვზედ და ანტ. ყორღანოვზედ. — ერთი შენიშნვა უფ. ნ-ს თარგმანზედ. — შენიშნვა იმის შენიშნვაზედ.

ახალი ხმოვანების კენჭის ყრაა ჩვენს ქალაქში ამ ჟამათ. ახალი რჩევა უნდა ამოირჩიონ ქალაქის მეკენ-ჭეებმა.

თუ ამ საგანზე არა, სხვა რაზედ უნდა იმასლაათოს ფე-ლეტონისტმა დღეს? სხვა რაზედმე რომ დაიწყოს ლაპა-რაკი, ყურს ვინ დაუგდებს?!

მაშ გვინდა თუ არა, ძალა-უნებურათ ჩვენ დღეს ქალაქის ამორჩევაზე, კენჭის ყრაზე და სხვა ამგვარ საგ-ნებზე უნდა ვილაპარაკოთ. ფელეტონისტის მოვალეობაა, რომ „დღიურ“ საგნებზე, იმისთანა საგნებზე ელაპარა-კოს თავის მკითხველს, რომელნიც დღეს აწუხებენ სა-ზოგადოებას, რომლების შეტყობა, გამოკვლევა, გაცნობა დღეს არის საინტერესო და საჭირო მკითხველისათვის...

—

მაგრამ რა ვილაპარაკოთ?

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამისთანა საქმეები ლაპარაკით, განსჯითა და რჩევით არ წყდება ხოლმე ჩვენში. შესანიშნავია მართლა: სამზღვარ გარეთ, როცა

ამგვარი ამორჩევებია, მთელი ქალაქი ფეხზე დგას, ყველა მცხოვრებლები ხმა-მაღლა, გაზეთებში და საზოგადოკრებებზე სჯიან, სწონიან, თათბირობენ, ბაასობენ, ცხარობენ, არჩევენ—თუ ვინ უფრო გამოსადეგი იქნება საზოგადოებისათვის, თუ ვის შეუძლია კარგათ, პატიოსნათ დაიცვას ჩვენი ინტერესიო, და მხოლოთ ამ ხანგრძლივი ბაასისა და მოლაპარაკების შემდეგ ამოარჩევენ ხოლმე. ასო-ასო გაარჩევენ ყველა კანდიდატებს, იმათ წარსულს, ახლანდელ ცხოვრებას, იმათ კარგ და ცუდ მხარეებს გამოაშკარავებენ საქვეყნოთ და შემდეგ უყრიან კენჭს.

ამნაირათ, ყველა მეკენჭემ კარგათ იცის—ვის, რა კაცს, რა აზრებისა და მიდრეკილების კაცს ირჩევს ის თავის წარმომადგენელათ.

—

ჩვენში? ჩვენში ყველა ამგვარი საქმე ჩურჩულით იწყება და ჩურჩულითვე თავდება! თუ რამე სთქვი რომ მელსამე კანდიდატზე, თუ სთქვი, მაგალითათ, რომ ეს კაცი ამა და ამ მიზეზით არ გამოგვადგება ჩვენ წარმომადგენელათ, ანუ ქალაქის თავად, იმ წამსვე მთელი ქვეყანა ყალყზე დადგება:

— როგორ შეიძლება, ბატონო! ეს პირადი შეხება არის ადამიანისაო?

არა, თქვენი ჭირიმე, ეს პირადი შეხება სრულიად თაც არ გახლავთ: თქვენ გამოდიხართ საზოგადო ასპარეზზედ, თქვენ ამბობთ, ამირჩიეთ მე თქვენ წარმომადგენელათ, თქვენ მაგიერად მე ვიზრუნავ თქვენი სიკეთისა და კეთილ-დღეობისათვისაო,—თქვენ ამას მეუბნებით და მე ნებას არ მაძლევთ, რომ გაგიცნოთ, რომ შევიტყო:

ვინ ბრძანდებით, რა კაცი ხართ, რა მიგაჩნიათ თქვენ ჩემთვის და საზოგადოებისათვის სიკეთეთ! ნებას არ მაძლევთ შევიტყო, რა საქმეები მიგიძღვისთ თქვენ, რა მიმართულების, რა ზნეობის კაცი ხართ!—ეს როგორ შეიძლება? უცნობ კაცს როგორ დაგენდოთ?

—

ვსთქვათ წამოდგა რომელიმე კანდიდატი, რომელსაც ჰსურს ხმოვანობა ანუ ქალაქის თავობა. ვსთქვათ, მე კარგათ ვიცნობ ამ კაცს, ავდექი და ვთქვი:

„— მოწყალენო ხელმწიფენო: ეს კაცი გახლდათ თევზის მეიჯარადრეთ და ისე წაიყვანა საქმე, რომ თავის ოინებით თვითონ კი, მართალია, მილიონები შეიძინა, მაგრამ ამასთანავე ერთის მხრით საიჯარადრო წყლებში თევზები სრულიათ ამოსწყვიტა და მეორეს მხრით ხალხსაც საძაგელ, აყროლებულ და ჭიან თევზს აძლევდა და ამგვარ თევზში ერთი-ორათ, ერთი-ოთხათ ახთევინებდა ფასს! ამისთანა კაცი, რომელიც, თავის კერძო სარგებლობისათვის, ყველაფერს ივიწყებს დედა-მიწაზე: ღმერთს, სინიდისს, პატიოსნებას, ხალხის თანაგრძნობას და სხვ., არ უნდა ამოვირჩიოთ ჩვენ ისეთს თანამდებობაზედ, რომელიც ხალხის სარგებლობის მოსატანათ არის გაჩენილი. ასეთი კაცი ხალხს და იმის ინტერესს გროშათაც არ ჩააგდებს...

ან წარმოიდგინეთ კანდიდატათ გამოვიდა რომელიმე ჩინოვნიკი, რომელსაც თავის სიცოცხლეში უფრო ასებთან წელის დრეკის მეტი არა უქნია-რა, და მე ვსთქვი:

„— მოწყალენო სელმწიფენო! შესაძლებელია, რომ ეს კანდიდატი ბეჯითათ ასრულებდეს თავის თანამდებობას. მაგრამ მე ნამდვილათ ვიცი, რომ ამა და ამ დროს

ამა და ამ კაცს იმან ქრთამი გამოართვა. იმას წელიწადში სულ ოთხი ათასი მანეთი ეძლევა ჯამაგირი და მოგეხსენებათ, რომ ამ სიძვირეში ამ ფულით ისე მდიდრულათ, ცხოვრება არ შეიძლება, როგოც ის ცხოვრობს. ამასთანავე იმან ააშენა სახლი, რომელიც უკანასკნელი რვა ათასი თუმანი ღირს, იმას აქვს ეკიპაჟები,—საიდამ, რომელი კანონიერი შემოსავლიდამ?!.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მე ან სხვა ვინმემ ამისთანა სიტყვის თქმა გაბედა რომელსამე კანდიდატზე; რას მეტყვით თქვენ, ე. ი. ამომრჩევლებო, მეკენჭეებო?

— გააჩუმეთ, ხმას ნუ ამოაღებინებთ! ეგ კერძო ცხოვრებას ეხებაო!

განა ამას არ დამიძახებთ? კიდევ უკეთესებიც აღმოჩნდებიან თქვენში; ისეთები, რომელნიც იტვიან:

— ჭკუიანი კაცები ყოფილან ის მეიჯარადრე და ჩინოვნიკი, რადგან ფულები და სიმდიდრე შეუძენიათ, რადგან სცოდნიათ გარემოებით სარგებლობა! ამისთანა კაცები გვეჭირვება ჩვენო.

—

საცა ამისთანა შეხედულობაა კენჭის ყრაზე, საზოგადო თანამდებობაზედ და ადამიანის ღირსებაზედ, ზნეობაზედ, იქ ხეირიანს რას უნდა მოველოდეთ? რათ გვიკვირს, რომ იქ საზოგადო საქმეები ამისთანა კაცების ხელში კოჭლობდენ?

ჩვენ, როგორც ყველა ნამდვილ განაფლებას მოკლებული ხალხი, მხოლოთ გარეგნობას უყურებთ: კაცი მდიდარია, კაცი ჩინიანია, გული და მხრები მოჭედილი აქვს, დიდ-კაცებისაგან პატივ-ცემულია,—მაშასადამე ის

კარგი კაცი უნდა იყოს, ჭკუიანი; მაშასადამე ის გამოგვადგება ჩვენ წინამძღვრათ!

აბ, ასე ვსჯით ჩვენ, და კიდეც იმიტომ კარგათ არ მიდის ჩვენი საზოგადო საქმეები!

—

მაგრამ თავი დავანებოთ ახლა ამ ფილოსოფიურ გოდებას და ისევ ახლანდელ ამორჩევებზე ვილაპარაკოთ.

მოგეხსენებათ, რომ მთელი ქალაქის ამომრჩეველნი ანუ მეკენჭეები სამ ნაწილათ (რაზრიადათ) არიან გაყოფილნი: პირველი ნაწილის ამომრჩევლებათ ითვლებიან ისეთი მდიდარი მცხოვრებლები ქალაქისა, რომელნიც წელიწადში, თუ არ ვსცთებით, 300 მანეთზე მეტს ხარჯს იხთიან ქალაქის სასარგებლოთ, მეორე ნაწილისა იხთიან წელიწადში რვა თუმნიდამ ოც და-სამ თუმნამდი და მესამესი—რვა თუმანზე ნაკლებს.

უკანასკნელი სიით ქალაქში სულ 4,537 ამომრჩეველია. ამათში პირველი ხარისხის ამომრჩევლების რიცხვი არის სულ—45 კაცი, მეორეს—221 და მესამესი-კი დანარჩენი—4,271.

თითოეული ამ სამ ნაწილთაგანი 24 ხმოვანს ირჩევს, 221-იც 24-ს და 4,271 მეკენჭეც 24-ს! ეს რაზრიადები ხარჯის გადახთაზედ არის დამოკიდებული: ვინც ბევრს აძლევს, იმას მომეტებული ხმა აქვს და ვინც ცოტას ცოტა.

ეს კანონია. ამის წინააღმდეგის თქმა არ შეიძლება; მაგრამ როგორ არა თქვას კაცმა, რომ იმ დარჩო ათაბეგოვისთვის, რომელიც ქალაქის ხაზინას წელიწადში მხოლოთ 15 კაპ. ხარჯს აძლევს, ეს 15 კაპეიკი უფრო ძვირათ ღირს, ვინმე რვან მინაიჩ მორზოვისათვის ის

4,132 მანეთი და 18 კაპეიკი, რომელსაც ის იხთის წელიწადში ამავე ქალაქის ჯაზინისათვის! როგორ არა ვსთქვათ, რომ იმ დარჩო ათაბეგოვს ქალაქის გამდიდრებაში ღა კეთილდდეობაში მეტი ინტერესი აქვს, ვინემ ი. მ. მირზოევს? ვინ იცის, იქნება ამ საწყალმა დარჩომ თავის უკანასკნელი დღიური ლუკმა მისცა ქალაქს და ივან მინაიჩს-კი ათასი და ასი-ათასი ამისთანა ფულების გადახდით რა დააკლდება?..

—

მოგეხსენებათ, რომ თითოეულ ფელეტონისტს ჰყავს თითო უცნობი და უხილავი მეგობარი, რომელსაც ტელეფონივით ჩასძახებს და რომელსაც ფელეტონისტი რაც თვითონ სურსა იმას ათქმევინებს.

ერთი ამისთანა მეგობარი მეც გავიჩინე.

და ახლანდელი ქალაქის თავის კანდიდატებზე ეი რა მითხრა:

„— დიმიტრი ყიფიანი, რასაკვირველია, თავიანი და სათავო კაცია. კარგად მოლაპარაკე, ჩინებული წამოსადეგი, პატიოსანი.. მაგრამ ერთი ნაკლულევანება აქვს: ბაზარი არ იცის.

„— იაზონ თუმანოვი, რასაკვირველია, ძალიან წამოსადეგი და ჩინებული ბოხის ხმით მოლაპარაკე კაცია... მაგრამ იმის მოგონებასთან ყველას უფ. რუკრც თან წამოუდგება თვალწინ.

„— მიხაილ ალიხანოვი, რასაკვირველია, მოხერხებული, ოსტატი კაცია, მთავრობასთან საქმეებს კირგად გაარიგებს... მაგრამ იმასთან ერთად ყველას საწყალი თევზები, უბედური მატლიანი, აყოლებული თევზები წარმოუდგება თვალწინ.

„— ანტონ ყორლანოვი, რასაკვირველია, შნნე ენერგიული კაცია, ყოჩაღად საქმის გამრიგებელი და მარჯვედ ფულის მხარჯავი... მაგრამ, თუ მუდამ კალთის ჩამომწევი არ ეყოლა გვერდით, ქალაქის ხაზინას ძეგლების აშენებაში, ან ერთი რომელიმე თავხედურ პროექტის შესრულებაში გაფლანგავს...“

ჩემმა მეგობარმა კიდევ რამდენიმე კანდიდატი ჩამოთვალა, მაგალითად: უფ. კ. რეიტერი, ა. ლ. თაიროვი, ლომიზე და სხვ., მაგრამ ამათ ისეთი დიდი და ისეთი ბევრი „მაგრამ“-ები მიაყოლა უკან, რომ ამათი ჩამოთვლაც კი არა ღირს...

—

უკანასკნელი სიტყვაც „ობზორი“-ს ნიკოლაძეს ანუ ნიკოლაძის „ობზორს“:

ძალიან გმადლობთ, ჩემი გასული კვირის „მასლაათის გადათარგმნისთვის და თქვენს გაზეთში დაბეჭდვისათვის: ქართველებისთვის იყო დაწერილი, დაე, რუსებმაც თქვენმა მკითხველებმაც გაიცნონ თავის რედაქტორი.

მაგრამ თქვენი ხასიათი ამ თარგმანშიაც გამოიხატა: საძაგლად, უაზროდ, უგემურად გადათარგმნეთ! რასაკვირველია განგებ: დაინახონ ჩემმა მკითხველებმაო—როგორი მწერალი მოწინააღმდეგეები მყავსო მეათასე ნიმუშია თქვენი კეთილ-სინდისიანობისა პოლემიკაში, და ამით ვერ გამაკვირვებთ...

ერთი შენიშვნაც: იმ პატარა წინასიტყვაობაში, რომელიც ამ თარგმანს ზედ დაურთეთ, თქვენ ამბობთ, იმიტომ ვთარგმნითო, რომ არ დაიკარგოს ამისთანა ქმნილება (დაცინებით რასაკვირველია) შთამომავლობისთვისაო.

მაშ რაც „დროებაში“ დაიბეჭდა—დაკარგულია რაღა?!

თუ ეს ასეა, ვერ მოგილოცავთ, და ვერ გეტყვიდ, რომ თქვენ ოდესმე შთამომავლობამ რიგიანად მოგიხსენოთ.

მ ა ს ლ ა ა თ ი

ახალი წლის მოახლოვება.—ანგარიშების გაწმენდა.—ვაჭარი, ჩინოვნიკი, სულიერი მამა, მხვნელ-მთესველი.—ახალი რჩევა და გამგეობა თფილისში.—ახალი თავი ქუთაისში.—უფ. ნ. ლოლობერიძე ყოვლათ-კანდიდატი.—

სწორეთ ერთი კვირის შემდეგ ეს ჩვენი პატიოსანი 1878 წელიწადი გათავდება და ამის ადგილს დაიჭერს ახალი, ბრწყინვალე, ჩინებული 1879 წელი.

სწორეთ ერთი კვირის შემდეგ ახლანდელი წელიწადი გასულ წლად შეიქნება და ჩავრიცხება იმ წელიწადებში, რომელნიც, დადგომის დროს, ბევრს იმედებს გვაძლევენ, მაგრამ გათავებისას კი პირიქია და ხელცარიელს გვტოვებენ.

ამის მაგიერათ დადგება ახალი წელიწადი, რომელიც ბრწყინვალეა მხოლოთ, სანამ დადგება, რადგან თითოეულს ჩვენგანს ბრწყინვალე იმედები ებადება თავში ამ ახალ წელიწადში შესასრულებელათ; მაგრამ დადგება ბოლოარა, მეორე დღესვე ვრწმუნდებით, რომ ეს ახალი წელიწადიც ძველისაგან მაგდენათ არაფრით განირჩევა...

ყველა გავლილი წლის ანგარიშს არდგენს ახლა. საქმიანსა და უსაქმოს ყველას ცნობაში მოჰყავს, თუ რა გაუკეთებია, რა შეუძენია და რა დაუკარგავს ამ შიმავალი წლის განმავლობაში.

ვაჭარს ჩოთქი უჭირავს ხელში და ანგარიშობს, თუ

ამ გავლილ წელიწადში რამდენი მოიგო მანეთზე; — შარშანდელი წელიწადი ომის წელიწადი იყო, მოსავლიანი; მაშასადამე კარგი გამოანგარიშება ეჭირვება.

ჩინოვნიკს ცნობაში მოჰყავს იმის ანგარიში, თუ რამდენი ქალალდი, „საქმე“ შეასრულა, რამდენი „საქმე“ გავიდა იმის ხელიდამ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ამაზედ არის დამოკიდებული—თუ რამდენს საახალწლო ჯილდოს მიიღებს თავის უფროსისაგან...

სულიერი მამა თითებზედა სთვლის, თუ რამდენი მონათლა, რამდენი დააქორწილა და რამდენი გაისტუმრა „წიაღსა შინა აბრამისასა,“ საიდამაც აღარავინ ბრუნდება.

მხვნელ-მთესველი თავის დედაკაცს ეკითხება და იმისაგან ტყობილობს, თუ რა მოუტანა იმას ყანამ, ზვარმა და სხვ. იმისგანვე დაწვრილებით შეიტყობს აგრეთვე, როგორ დაუჯდა იმას ამ წელიწადში ის თუმანი, რომელიც კარაპეტ ყუზანოვისაგან ისესხა და სხვ. და სხვ.

ამნაირათ ყველანი ანგარიშობენ, ყველას ცნობაში მოჰყავს თავის გავლილი წლის შემოსავალ-გასავალი, გაკეთებული და გაუკეთებელი საქმე.

და დარწმუნებული იყავით, რომ როდესაც ამ შაფათ საღამოს „იტოგს“ გაუკეთებელ გავლილ წელიწადს და ჯამს გამოიყვანებენ, ვაჭარიც და ჩინოვნიკიც და სულიერი მამაც კმაყოფილი დარჩებიან და ტკბილათ დაიძინებენ, როდესაც შეიტყობენ, რომ ეს 1878 წელიწადი „სარფიანი“ წელიწადი ყოფილა იმათთვის...

მაგრამ არის ერთი ვინმე, რომელსაც ამგვარი ანგარიშები მაგდენათ არ ეპიტნავება, რომელიც არც კი ანგარიშობს, რადგან თავიდამვე იცის, გრძნობს, რომ წარსულ წელიწადს იმისთვის სიკეთე არაფერი შეუძენია;

არის ერთი ვინმე, რომელიც წლითი-წლობამდი მუდამ შრომობს, მუდამ ოფლის-ღვრაშია, რომელსაც თუმცა ყველაზე საგრძნობლათ დაატყდება თავზე ომი, ჭირი, სნეულობა, მაგრამ ხეირს კი ვერა ხედავს.

ეს ერთი ვინმე არის—ხალხი, საზოგადოება. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ თითოეული პირები: ვაჭარი, ჩინოვნიკი, მემამულე, სულიერი მამა მდიდრდებიან, კეთილ-დღეობას იძენენ,—და ხალხი კი ფითქმის ისევ ამავე მდგომარეობაში რჩება, როგორც „პატარა კახის“ დროს იყო. იგივ გაჭირვება ადგია (არა გარეშე მტრისაგან—შინაგანისაგან), რაც მას მაშინ ადგა, ისევ ის ხვნა-თესვა აქვს, ისევ ის ნახევარ-პირუტყული ცხოვრება, რაც მაშინ

რისგან არის ეს, ჩემო მკითხველო?...

სანამ შენ ამ ძველზე უძველესს გამოცანას გამოიცნობდე, მე სხვა რაზედმე დავიწყებ მასლაათს.

—

მომავალი ახალი წელიწადი, სხვათა-შორის, ჩვენი ორი დედა-ქალაქისთვის—თფილისისა და ქუთაისისთვის დიდად შესანიშნავი წელიწადი იქნება.

ერთს ეყოლება ახალი რჩევა: ახალი კრება თავის ჭირისა და ლხინის წარმომადგენელთა; მეორეს—ახალი თავიჩერთიც და მეორეც ძველებში მოტყუებულნ დარჩენ, ახლისაგან მოელიან ყოველ ბედნიერებას, ყოველ გაჭირვებისაგან დახსნას.

ჯალა თქმა უნდა, რომ ერთიც და მეორეც ამ იმედებში, სულ ჯერ არა, სანახევრთ მაინც, მოტყუებული დარჩება: და დარწმუნებული ვარ, რომ, როცა ოთხი წლის შემდეგ ამ ქალაქებში ახალი რჩევისა და

გამგეობის ამორჩევის დრო მოაღწევს, ამგვარივე ლაპარაკი იქნება, როგორიც ახლა არის, ამგვარადვე დაუწყებენ ძველებს საყვედურს და ახლის იმედით ინუგეშებენ თავს.

რას იქთ? ადამიანნი ასეთნი ეგვეთია: აწმყოთი ის არასოდეს არ კმაყოფილდება,—სულ უკეთესს ეძებს, ეძებს და ეძებს.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ — რა ფაცა-ფუცი, გაცხარებული ბაასი და პარტიობა იქნება ახლა ქუთაისში. ჯერ, როცა ბანკის მოხელეებს ირჩევდენ „აჩენჩიკობის“ თანამდებობისათვის, თავ-პირს ამტვრევდენ ერთმანეთს; ახლა ქალაქის თავს ირჩევენ და ხუმრობაა: ამ თავს წელიწადში უკანასკნელი 3,500 მანეთი მაინც ექნება ქალაქის ხაზინიდამ ჯამაგირათ დანიშნული!

რამდენი კანდიდატები გამოჩნდებიან! ვინ არ იყრის კენჭს! რამდენს ყორანივით გააშავებენ! რამდენი ცხარე სიტყვები, რამდენი პარტიების მახინაციები, რამდენი გაძრომ-გამოძრომა დაიხარჯება!

—

თფილისში შყავს ერთი პატივცემული პირი, რომელიც, საცა კი ამორჩევით შეიძლება რამე მანამდებობის მიღება, დარწმუნებული უნდა იყოთ, უთუოთ იქ არის და უეჭველათაც კენჭს იყრის. რამდენჯერ გაუშავებიათ, მაგრამ არა უშავს-რა: ახალი ამორჩევითი თანამდებობა გამოჩნდა სადმე,—იგივე კანდიდატი კიდევ მზათ არის!

ერთი ამნაირი პატივცემული პირი ქუთაისშიაც არის. ეს გახლავთ—უფ. ნიკო ლოლობერიძე. სააზნაურო ბანკის თავ-მჯდომარე გინდათ—უ. ნ. ლოლობერიძე მზაოა. ამავე ბანკის დირექტორებს ეძებთ? ბევრი ძებნა რა სა-

ჭიროა? აი, იგივე ნ. ღოღობერიძე ჩინებულათ აასრულებს ამ თანამდებობას. თავად-აზნაურთა მარშალი გჭირიათ? ნ. ღოღობერიძეზე უკეთესი წინამძღოლი ვინღა გნებავთ?! მართალია, უფ. ღოღობერიძეს არც ერთს ამ თანამდებობაზედ არ უყრია კენჭი, რადგან გაყვავ-გაყორნობის წინა-გრძნობა ჰქონდა, მაგრამ საქმე ის არის რომ იმას ჰყავს ზოგიერთი „კეთილ-მოსურნეები“, რომელნიც ყოველთვის იმას წამოაყენებენ კანდიდატათ.

კარგია, ღმერთმანი, ეყოფა ამ ღოღობერიძეებს, რაც ამდენი ხანი საზოგადოებას გამდელობა გაგვიწიეს! ახლა ერთი სხვებიც ვსცადოთ! არიან იმერეთში ახალგაზდობი, რომელთაც ჰსურსთ და შეუძლიათ კიდეც საზოგადოების სამსახური. სულ თქვენ, ყველგან თქვენ —როგორ იქნება!..

სარჩევი

1869 წელ.

I. მეყველეთ ამხანაგობა . . . 5

1870

II. ჩვენებური განათლებულები . . . 16
III. „დროების“ აღსარება . . . 26

1871

IV. ბიბლიოგრაფია (კრებული, 2. ჯიბრი, 3. წერეთლისა) 31
V. რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი? 39

1872

VI. არსენა 58
VII. ჩვენი მამები და შვილები 66

VIII. სამი კვირა იმერეთში 71
IX. ჩვენი განათლება 84
X. ქართული თეატრი 89
XI. ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება . . 92
XII. ბიბლიოგრაფია (О существѣ націон. индивидуальности и объ образоват. значеніи крупн. нар. единиць) . . . 96
XIII. თფილისის გუბერნიის თ. აზნაურობის ბანკი . 103
XIV. ახალი მიმართულება ჩვენის ახალ-თაობისა . 106
XV. რუსული გაზეთის აზრი წვრილ ხალხებსა და სამშობლო ენაზედ 110
XVI. თფილისის გუბ. აზნაურობის ბანკი . . 115
XVII. კიდევ ბანკზე 121
XVIII. ჩვენი ბანკების საქმე. 125
XIX. თფილისის და ქუთაისის სააზნაურო ბანკების შეერთებაზე 130

1873

XX. გუშინ და ხვალ 135
XXI. კავკასიის მეურნეობის საზოგადოება და სასოფლო გაზეთი. 139
XXII. ჩვენი სოფლის ხალხი და სასოფლო ბანკები . 142
XXIII. ჩვენი თავმოყვარეობა 146
XXIV. ჩვენი ხალხი და ჩვენებური ვაჭრები . . 148
XXV. კენჭის ყრაზე 151
XXVI. თავად-აზნაურობას 155
XXVII. კიდევ ქუთაისის ბანკზე 159
XXVIII. ჩვენი სასოფლო ბანკების მომავალი . . 162

1874

XXIX. ხამი მოგზაურის შენიშვნ. და ფიქრები (უცხოეთში) 165
XXX. საზოგადო მიმართულება 211
XXXI. ჩვენი ბანკების დანიშნულება 213
XXXII. იმერეთის ბანკზე 217
XXXIII. ჩვენებური ვაჭრები და ვაჭრობა 219
XXXIV. ქალაქის ახალი გამგეობა 222

1875

XXXV. ებრაელების შესახებ. 224
XXXVI. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებ 226
XXXVII. ჩვენი ნაბატონრები და გლეხები 229
XXXVIII. რისთვის გვიწყრებიანზ 231
XXXIX. თფილისის საზოგადოება ურთიერთის ნდობისა 233
XL. ქართულს წარმოდგენაზე 236
XLI. შთაბეჭდილება 238
XLII. ქართული რეპერტუარი 240
XLIII. რა მოსპობს ქურდობას? 242
XLIV. ისტორიული მასალები 244
XLV. „დროების“ მკითხველები 248
XLVI. პოლემიკის მნიშვნელობა 251
XLVII. ჩვენს სამღვდელოებაზე 254
XLVIII. ჩვენებური ცოლქმრობა 256
XLIX. სამღვდელოების მდგომარეობა 258
LX. რედაქცია და თანამშრომლები 261
LXI. გაზეთის თანამშრომლები 264
LXII. ლიტერატურული პატიოსნება 267
LXIII. ვის ხელშია ქალაქის ვაჭრობა? 269
LXIV. ქალაქის წვრილი ვაჭრებისათვის 271

LXV. შავი ზღვის ნაპირების დასახლება . . . 273
LXVI. ქართული სამუდამო სცენა 276
LXVII. მეურნეობა და ვაჭრობა 278
LXVII. ხალხის გაცნობა 280
LXIX. ოსმალოს საქართველო 282
LXX. ისეთმა ფურმა დამწიხლოსო... . . . 285
LXXI. კიდევ ქართულ თეატრზე 289
LXXII. რა მოეთხოვება გაზეთს? 296
LXXIII. ჩვენი მოვალეობა 298
LXXIV. ყურადღების ღირსი აზრი 300
LXXV. ვისი ბრალია? 303
LXXVI. წინადადება 307
LXXVII. ჩვენი მეცნიერები 312
LXXVIII. გლეხებისაგან მიწის შეძენა 314
LXXIX. ქართული ენის დევნა 316
LXXX. კიდევ ქართული ენის დევნაზე 318
LXXXI. პლატონ იოსელიანი. 320
LXXXII. კომედია „პეპო“ ქართ. სცენაზე . . . 323

1876

LXXXIII. გლეხს კრედიტი უნდა 329
LXXXIV. ზოგიერთი კითხვები 332
LXXXV. ახალციხის ქართველები 339
LXXXVI. „დროება“ 1866—1876 წ. . . . 340
LXXXVII. „დროების“ 10 წლის დღესასწაულზე წარმოთქმული სიტყვა 345
LXXXVIII. ქუთაისის ბანკის გამგეობა 346
LXXXIX. ქუთაისი 15 აპრილს 349
XC. თ. აზნაურიშვილ საზოგადო კრება ქუთაისში ბანკის საქმის თაობაზედ 353
XCI. ქუთაისის საზოგადო კრება 369

XCII. თვალის გადავლება ქუთ. საზოგადო კრებაზე . 380
XCIII. ხელნაწერი პორტრეთები 385
XCIV. ახალი ქართული გაზეთი 394
XCV. თფილისის სემინარიის წესები . . . 397
XCVI. შავი ზღვის ნაპირების დასახლება. . . . 402
XCVII. ჩვენს მემამულეთ 403
XCVIII. ორთავეს 406
XCIX. ჩვენი საზოგადო სენი 422
C. სიტყვა და საქმე 426
CI. ომის მოლოდინი 430
CII. საზოგადოება და მისი მოთავენი . . . 433
CIII. 1876 წელიწადი 434

1877

CIV. ჩვენი „შაურიანი“ ლიტერატურა. . . 439

1878

CV. შარშან და წელს 442
CVI. მასლაათი 445
CVII. ერთი კითხვა უ. ნიკოლაძეს . . . 448
CVIII. რუსულ „ობზორს“ და ქართველ ნიკოლაძეს . 450
CIX. ახლათ შეძენილი საქართველო . . . 459
CX. იმერეთის სახალხო სკოლები . . . 465
CXI. ქველმოქმედი საზოგადოებანი. . . . 467
CXII. ჩვენს საადგილ-მამულო ბანკზე . . . 473
CXIII. უწესოება ქიზიყში 475
CXIV. ერთი სადილი შერიფ-ბეგთან . . . 477
CXV. ბათომის მიწები 484
CXVI. ახალი მოვალეობა 486
CXVII. ახლათ შემოერთებული ქართველები . . 493

J 587

CXVIII. საამო ნიშნები 496
CXIX. თფილისის სასულიერო სემინარია. 499
CXX. სამეურნეო სკოლაზედ 501
CXXI. ჩვენი ქალაქის რჩევა და გამგეობა 505
CXXII. მასლაათი 511
CXXIII. ქალაქის კენჭის ყრა 518
CXXIV. მასლაათი 522
CXXV. მასლაათი 529

შეცდომის გასწორება:

329 გვერდიდან („წერილიდან „ბლეხს კრედიტი უნდა“) იწყება
1876 წლის წერილები.

301.19
J 587